ალფრედ ნავიგატორი
გურამი სიხარულიძე

საუბარი ეგვიპტის ცის ქვეშ

ანუ იესოს ბავშვობა, ყრმობა და დიდი დაპირისპირების სხვა მართალი ამბები

ალფრედ ნავიგატორი
გურამი სიხარულიძე

საუბარი ეგვიპტის ცის ქვეშ

თბილისი
2017

ამ ნაწარმოების ყველა მოქმედი გმირი გამოგონილია. ნებისმიერი მსგავსება ნემისმიერ პიროვნებასთან, ცოცხალთან ან მკვდართან არის დამთხვევა.

ალფრედ ნავიგატორისა და
გურამი სიხარულიძის სხვა წიგნებია:
Eurasia 2050
Are We Living in the End Time?
Armenian Odyssey
Dragon has Wakened Up
Eurasia 2066
Origin and Mission of Satan
The Reformer Man with the Tie from Caucasus
The Burj of Great Armenia
ერთხელ ბრაიტონზე
Russia: Truth and Delusion

ციტატები სახარებიდან მოყვანილია გამოცემებიდან: ENGLISH STANDARD VERSION. WHEATON, ILLINOIS 2011 და WATCH TOWER BIBLE AND TRACT SOSIETY OF NEW YORK, INK. BROOKLYN, NEW YORK, USA.
(თარგმანი ავტორის, თავისუფალი)

დაკაბადონება ნიკა ხვედელიძე

Published by SAUNJE, LTD
P.O. box 32/34 Tbilisi, Georgia

© All Right Reserved.

ISBN 978-9941-27-125-0

Printed in Georgia

სარჩევი

საუბარი ეგვიპტის ცის ქვეშ..... 5
იესოს ბავშვობა და ყრმობა..... 113
იესო აღმოსავლეთის ქვეყნებში..... 160
იესოს მოგზაურობა სკანდინავიაში და დიდ ბრიტანეთში.. 201
იუდეას რამდენიმე პოლიტიკური სურათი იესოს მოსვლამდე
და მის შემდეგ..... 215
იესოს საოცრებები..... 240
არქანგელოზ სატანას ფენომენი..... 250
პირველი ფრაგმენტი „სატანას ციური ქრონიკებიდან“ 257
სატანას რამდენიმე თვალსაზრისი 270
მეორე ფრაგმენტი „სატანას ციური ქრონიკებიდან“ 284
13 თეზისი 304
მოთხრობები „სატანას ციური ქრონიკებიდან“
წარსული 306
კაენის ნიშანი 323
ბაბილონის გოდოლა 336
ანანიას ამბავი..... 377
ანტონი და სატანა..... 384
ნაწყვეტები წიგნიდან „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“
დევდორაკის სინდრომი..... 390
ორი მეგობარი..... 395
პირველი პრეტენდენტი..... 399
საყვარელი ქალაქი 413
სვიმონის დაღუპვა 422
შეხვედრა ტიბეტში..... 427
ზეციური ზუზუნი..... 436

საუბარი ეგვიპტის ცის ქვეშ
ანუ იესოს ბავშვობა, ყრმობა და დიდი დაპირისპირების სხვა მართალი ამბები

ღამე პირველი

როგორც ბოლო ხანებში რამდენჯერმე მოხდა, იოსებს შუაღამისას კვლავ გაოფლიანებულს გამოეღვიძა. უკვე თითქმის ერთ თვეზე მეტია რაც ეგვიპტის იმპერიაში იმყოფება და ყოველთვის მარტო იძინებდა. მარიამი ოთახის მეორე კუთხეში მიწოლილიყო. ისინი გრძელი ტახტის თავში და ბოლოში იწვნენ. ტახტი გამომწვარი აგურით ნაშენ კედელს მიუყვებოდა, რომლის შუა ნაწილში ჭერის დამჭერი ხის ორი საყრდენი ამოზიდულიყო. მათ შორის დაკიდული სარწეველა – ჰამაკში იესო იწვა. იგი უკვე სამი თვის იყო.

იოსები ტახტზე წამოჯდა, თვალები მოისრისა. ძილი გაუქრა. საფიქრებელ-სადარდებელმა თავგზა ისე აუბნია, რომ რაზე ეფიქრა აღარ იცოდა. ფანტასტიკა და რეალობა ერთმანეთში იყო გადახლართული. ტახტიდან გადმოვიდა, ფეხები ხის ფოსტლებში წაყო და კედელზე დაკიდულ ხელსახოცს სწვდა. წელზევით გაშიშვლდა და ტანი საგულდაგულოდ გაიმშრალა. ეს უკვე მერამდენედ მძაფრი სიზმრები ოფლად წურავდნენ. მშრალ სხეულზე ჯვალოს სუფთა ხალათი გადაიცვა და ბავშვს მიუახლოვდა.

პატარა, შავტუხა, მაგრამ ცისფერთვალება ბიჭს თვალები დაჭყეტილი ჰქონდა და ჭერს შესცქეროდა. პატარას ხელფეხი გაკრული ჰქონდა და გულაღმა იწვა. იოსებმა იესოს მზერას თვალი გააყოლა და გაბოლილი ჭერის დირეზე დაკიდებულ მეუფე ბაალის საგულდაგულოდ გამოჩორკნილ ხის ფიგურას დააკვირდა.

ბაალი განთქმული და წარჩინებული ღმერთი იყო და დიდ ყურადღებას მოითხოვდა. მისი განაწყენება კარგს არავის მოუტანდა. ბაალი საქმიანი ღმერთი იყო და ბევრი პასუხისმგებლობა ჰქონდა, მაგრამ მოსავლის აღებასა და

სავაჭრო საქმიანობას ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობდა.

როგორც სჩანს ბაალის ხის გამოჩორკნილი ფიგურა იესოს მაინც და მაინც არ მოსწონდა, რადგან მალიმალ მზერა ბაალიდან კარისაკენ გადაჰქონდა.

„ხვალვე გავიტან მეუფე ბაალს ოთახიდან გავიდა და მისაღებ ოთახში დავასვენებ“, თქვა იოსებმა და იესოს დააკვირდა. იოსები არამეულად ფიქრობდა და ლაპარაკობდა. ეს მისი ენა იყო.

ბიჭი უკვე მამას უყურებდა. ცისფერი, გამჭოლი მზერა ჰქონდა. იოსებს თვალს თამამად უსწორებდა. იოსებმა ბიჭს მზერა მოარიდა.

„შეიძლება ჩემს პატარა ბიჭუნას ჩემი მზერა არ მოსწონს“, თქვა იოსებმა ღიმილით, „წავიდეთ ბანზე, როგორც სჩანს ძილი არ გვიწერია. შევხედოთ ეგვიპტის ზეცას და იქნებ ერთმანეთს რაიმე გავუგოთ.“

იოსებმა ბავშვი სარწეველიდან ამოიყვანა, გულზე მიიხუტა და აივანზე გავიდა.

იოსების ოჯახი, კარგად ნაგები კირისა და გამომწვარი აგურისაგან ნაგები აივნიანი სახლის მე-2 სართულის საძინებელ ოთახში იძინებდნენ ხოლმე. აივნიდან ქვის ვიწრო, უმოაჯირო კიბე სახლის ბანისაკენ მიუყვებოდა. იოსები ფრთხილად აუყვა აივნიდან ამავალ კიბეს და მალე სახლის ბანის შუაგულში მოთავსებულ დასატკეპნ მრგვალ ქვაზე ჩამოჯდა.

ხმელთაშუა ზღვის ცხელი ზაფხულის გრილი ღამე იყო. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. რომ იტყვიან ასტრონომიის მოყვარულთა ზეცა იყო. ვარსკვლავებს შორის კომეტები მიმოდიოდნენ. ზოგჯერ დედამიწის ატმოსფეროში შემოჭრილი მეტეორისტებიც გაიელვებდნენ ხოლმე. იესო ცას აჰყურებდა.

„რომელია შენი ვარსკვლავი ჩემო ბიჭუნა, საიდან მოხვედი?“ თქვა იოსებმა და დაამატა, „როგორი იქნება შენი ცხოვრება?“

იოსებმა იესოს მზერას თვალი გააყოლა. ბიჭი ორიონის

თანავარსკვლავეთს გაჰყურებდა. იოსებმაც შვილის მზერას შეუერთა თვალი.

დიახ! ეჭვი არ იყო რომ იესო ორიონის თანავარსკვლავეთს გაჰყურებდა. ეს უკვე მეორედ ხდებოდა, რომ იგი ამ მხარეს იყურებოდა. ორი დღის წინ იოსებმა რაბინს ჰკითხა ამ თანავარსკვლავეთის შესახებ და ახლა ბავშვთან ერთად გაჰყურებდა ზეცას. ეჭვი არ იყო, რომ ეს მხარე ბავშვის დაინტერესებას იწვევდა. იესო მართლაც არაჩვეულებრივი ბავშვი იყო.

„დედას სძინავს. მთელი დღე ფეხზე იდგა. გივლის და გიფრთხილდება როგორც შეუძლია. შენ ხომ გამორჩეული ბიჭი ხარ. მინდა რომ რაც შენზე მითხრეს ყველაფერი დავიჯერო, მაგრამ ძალიან მიჭირს. ახსნას ვერ ვპოულობ, ამიტომ წიგნებში ვცდილობ პასუხის მოძებნას. ყველაზე ძნელი და თითქმის აუტანელი გრძნობაა, რომ რჩევას ვერავის ვეკითხები. არავინ დაიჯერებს რაც მოხდა. ამიტომ ჩუმათ ვარ და გულში ვიტრიალებ დარდს. ჩვენ განსაკუთრებული სამეული ვართ, შენ, მე და დედაშენი, ხომ ასეა ჩემი ბიჭუნა?“ თქვა იოსებმა და ბიჭს ლოყაზე თითი მოუთათუნა.

ბავშვმა განზე გაიწია, თითს აერიდა, რაც მეტად უჩვეულო იყო. იგი ხომ თოთო ბავშვი იყო, თან ბუნებით მეტად თვინიერი და ცნობისმოყვარე.

„შენს ასაკში ყველა ბავშვი ტირის, შფოთავს, მოითხოვს, მან უკვე იცის რა არის მისი. შენ რატომ ხარ ასე მშვიდად? რატომ არ ტირი? ტირილი ხომ ფილტვებს ამაგრებს. შენ კი მუდამდღე ჩუმათ ხარ და ცოტა მძინავს. როგორ გავიგოთ თუ რა არის შენს თავში? თუ შენ უკვე ყველაფერი იცი?“

იოსებმა სახლის ბანზე გაიარ-გამოიარა. ცდილობდა სავსე მკერდით შეეგრძნო ჩვილი ბავშვის სითბო. იგი ხომ მამა იყო, ბედნიერი მამა, ან ამის მსგავსი რაღაც.

ბინდი ემოსა ბაღნარ ქალაქ ალექსანდრიას. აშრიალებულ ხეთა ფოთლებში ხანგამოშვებით კრთოდა ჭრაქის შუქით განათებული ფანჯრები. ეს ქალაქი დღე და ღამე შრომობდა. იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე უფრო მოწ-

ინავე და კულტურულ ქვეყანაში დასახლდა იოსები. აქ ერთ მილიონამდე ებრაელი ცხოვრობდა. ისინი თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ეგვიპტე ყველა გაჭირვებულსა და დევნილს არ იღებდა. ამ სახელმწიფოში მოხვედრა და ცხოვრება მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. იგი ისეთივე ძნელი იყო, როგორც დღევანდელ შეერთებულ შტატებში მოხვედრა და ცხოვრება. ეგვიპტე მაშინდელი მსოფლიოს თავისუფლებისა და განათლების შუქურა იყო. მისკენ ბევრი მოისწრაფვოდა. ეგვიპტის სასაზღვრო დაცვის ოფიცრები საგულდაგულოდ არჩევდნენ ქვეყანაში შესვლის მსურველებს. ტერორისტებს, ლოთებს, უსაქმურებსა და ქურდ-ბაცაცებს ეგვიპტის კარიბჭეებში ვერ შეესვლებოდათ. ისინი არასასურველი სტუმრები იყვნენ. სამაგიეროდ ყველა თავისუფლების მოყვარული ადამიანისათვის და რელიგიური დევნილისათვის ეგვიპტის კარები ღია იყო.

მას შემდეგ რაც იუდეადან გამოიქცა იოსები ყოველთვის გრძნობდა, რომ რაღაც ნებისყოფა და აუხსნელ;ი ინტუიცია რჩევებს აძლევდა მას თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მოგზაურობის ამა თუ იმ მომენტში, რა ეპასუხა შემხვედრი ხალხისათვის, როგორ არიდებოდა მუდამჟამ მომლოდინე ხიფათს. დღიდან იესოს ბეთლემში დაბადებისა, რამდენჯერმე იოსების ოჯახის წევრების სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ რაღაც რთული მოვლენების თანამიმდევრობის შედეგად ყველა ხიფათს მათ თავი ბედნიერად დააღწიეს. იოსების ოჯახს ყოველთვის ხვდებოდათ სტუმარ-მოყვარე ებრაელები, რომლებთანაც ღამეს ათევდნენ, ისვენებდნენ, იღებდნენ უანგარო დახმარებებს და გონივრულ რჩევებს.

გზაზე შემხვედრი ქურდ-ბაცაცები და გამობრძმედილი მძარცველებიც კი ულაპარაკოდ უთმობდნენ გზას და უფრო მეტიც, სარჩო-საბადებელსაც აძლევდნენ მათ. ზოგჯერ გზის ყველაზე უფრო ძნელ და სახიფათო მონაკვეთებში მეგზურობასაც უწევდნენ, ეხმარებოდნენ ხევებისა და მდინარეების, ასევე უდაბური ადგილების გადალახვაში. ასე

მოვიდნენ ისინი განთქმულ ქალაქ ალექსანდრიაში, სადაც ებრაეულმა მრავალდარგობლივმა სათვისტომომ არსებითი დახმარება გაუწია მათ. სათვისტომოს აქტივისტები დაეხმარნენ ეგვიპტის საემიგრაციო ოფიცრებთან საუბრისას და გარანტად დაუდგნენ იოსების ახალგაზრდა ოჯახს.

იოსებმა ებრაელთა სათვისტომოს რჩევით და ხელშეწყობით ძალიან ხელსაყრელ პირობებში ავეჯის საამქრო აიღო იჯარით. საამქროს ორი გამრჯე ეთიპიელი მუშაც მოყვა, რომლებიც საამქროს უკან მდებარე ერთსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. სახლიდან გრძელი ბილიკი იწყებოდა, რომელიც შამბნარისა და პატარა ტყე-პარკის გადავლით ნილოსისაკენ მიემართებოდა. ამ გზით მუშებს წყალი მოჰქონდათ ხოლმე, რითაც ძალიან უადვილებდნენ მარიამს დიასახლისობას.

იოსები საამქროს მეორე სართულზე დასახლდა. აქ იოსების განკარგულებაში ორი ფართე ოთახი და დამხმარე რამდენიმე სათავსო იყო, სადაც ეგვიპტის ცხელ კლიმატში საკმაოდ გრილოდა და პროდუქტებიც და დოვლათიც კარგად ინახებოდა. შედარებით მომცრო ოთახი სამზადი იყო, სადაც სტუმარსაც იღებდნენ. ოთახის შუა ადგილას კერია იყო, საიდანაც ბოლი ჭერში დატანებული ოცდათორმეტწახნაგოვანი გვირგვინიდან გადიოდა. ამავე გვირგვინიდან ოთახში შუქიც შემოდიოდა. მეორე უფრო ფართე ოთახი საძილე იყო, სადაც მთელი ოჯახი იძინებდა.

სახლის წინ საკმაო სიდიდის შემოზღუდულ კორტი იარდ ეზოში რამდენიმე ბაგა-ბოსელი და საქათმე იყო. დანარჩენ ადგილას გასაყიდად გამზადებული ავეჯი ან საქონელი ელაგა. ეზოდან მეორე სართულზე მდებარე სამზად ოთახში ფართე კიბე მიუყვებოდა. საიდანაც შესაძლებელი იყო საძილე ოთახში გასვლა და აივანზე გაკეთებული კიბით სახლის სხვენზე ასვლა, სადაც ახლა იოსები იესოსთან ერთად ეგვიპტის ცის ქვეშ წინ და უკან დადიოდა.

იესომ თავისი ცხოვრების პირველი ორი თვე უმთავრესად ვირზე მჯდომარემ გაატარა და შეეჩვია ვარსკვლავებით

მოჭედილი ცის ყურებას. მხოლოდ რამდენიმე დღე არის, რაც ჭერ-ქვეშ მოექცა. იოსებსაც მეტი დრო გაუჩნდა რომ ყურადღებით შეეხედა ბავშვისათვის, რომლის დაბადებასაც ასეთი აურზაური მოჰყვა ბეთლეჰემში და კოპერნაუმში.

„ჩემო პატარა ბიჭუნავ“, წამოიწყო ისევ იოსებმა, „შენს მეტი არავინ მყავს, რომ ჩემი მღელვარე აზრები გავუზიარო. ზევით, უფალი ღმერთი და ვარსკვლავებია, დაბლა კი ჩვენ, შენ და მამაშენი. ვგრძნობ, რომ ყველაფერი გესმის, ამიტომ ცოტა შორიდან დავიწყებ“, თქვა იოსებმა და ზეცას აჰხედა:

„უფალო! ყოვლის მქნელო შემომქმედო. რის ლაპარაკსაც ახლა ვაპირებ, პირველ რიგში ჩემთვის და შემდეგ კი ჩემი ჩვილი ბავშვისათვის არის განკუთვნილი, რათა კიდევ ერთხელ გავიაზრო თუ რა მოხდა უახლოეს წარსულში და შემდეგ გადაწყვეტილებას მივიღებ. თუ რაიმეს არასწორად ვიტყვი, შემინდე, შემისწორე, ნებისმიერ შემთხვევაში მუდამ შენს თავმდაბალ მსახურად დავრჩები“. იოსებმა ახლა იესოს შეხედა:

„წინასწარმეტყველმა მალაქიამ ერთხელ განაცხადა, რომ დედაშენ მარიამის ბიძაშვილის შვილი იოანე შენი მეკვლე იქნება და ისტორიები რომლებიც მის თავზე დატრიალდება, გარკვეულად შენც შეგეხება.

შენს დაბადებამდე და შემდგომ პერიოდშიც უფლის საიდუმლო ხელი ყოველთვის იგრძნობოდა და იგრძნობა, რაც მე ძალიან მაღელვებს და ამიტომ ვცდილობ რომ ჩემი მონოლოგი – საუბრის დროს უნებლიე შეცდომა არ დავუშვა და მის ნებას მივყვე.

ჩემო ნატვრის თვალო, ვინ იცის რა საქმეებს დაატრიალებ“, თქვა იოსებმა და რადგან დიდებული ნილოსის მხრიდან ღამის ბრიზმა შემოუქროლა, იესოს მოსასხამი მოაფარა. სადღაც იქით ტურებიც აჩხავდლნენ, რომლებიც ქალაქგარეთ სანაგვეში იქექებოდნენ. აქა-იქ შეშფოთებული დედლები აკაკანდნენ. შორიახლოს კი დედაკაცების ქოთქოთი ისმოდა. იოსებმა კი გააგრძელა:

„დედაშენი მარიამი საიდუმლოებით მოცული ქალია და მის ამბავს შენს მეტს ვერავის ვეტყვი. იგი, გინდა დაიჯერე და გინდა არა, მეფე დავითის ოჯახიდან არის წარმოშობით. ე. ი. იგი სამეფო წარმოშობის ქ-ნია და განათლება იერუსალიმის ტაძარში მიიღო. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა.

მარიამის მამა, ანუ ბაბუაშენი იოაჰიმი გალილეის რაიონის ქალაქ ნაზარეთიდან იყო. უნდა აღინიშნოს, რომ გალილეაში და განსაკუთრებით კი ნაზარეთში შეიძლება ითქვას, რომ მთელ რომის იმპერიაში ყველაზე უფრო გაუნათლებელი ხალხი ცხოვრობდა, ისინი ცრურწმენობისა და ილუზიების სრულ ტყვეობაში იყვნენ.

მისი მეუღლე, მარიამის დედა, ანუ შენი ბებია ანნა წარმოშობით ბეთლეჰემიდან იყო. ამ ქალაქში შედარებით ტვინნათელი ხალხი ცხოვრობდა. სიტყვამ მოიტანა და დავსძენ, რომ მეც წარმოშობით ბეთლეჰემიდან ვარ და არც თუ ისე ურიგო განათლება მაქვს ბავშვობაში მიღებული.

იოაჰიმისა და ანნას ოჯახი, როგორც ბევრი სხვა ებრაული ოჯახი ფრიად ხვთისნიერი იყო. ისინი ცდილობდნენ რომ აქტიური როლი ეთამაშათ ნაზარეთის სათვისტომოს საქმიანობაში. იოაჰიმის ოჯახი შემოსავლის ერთ მესამედს იერუსალიმის ტაძარს სწირავდა, ერთ მესამედს უცხოელებს, ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს ახმარდნენ, ხოლო დანარჩენ ერთ მესამედ შემოსავლის წილს კი ოჯახური კეთილდღეობისთვის იყენებდნენ.

ასე ცხოვრობდნენ შენი ბებია და ბაბუა შეხმატკბილებულად, მაგრამ ვაგლახ! ოცი წლის განმავლობაში შვილი არ ჰყავდათ. ეს გარემოება კი ებრაულ საზოგადოებაში დიდ მინუსად ითვლებოდა. ებრაელები თვლიდნენ, რომ თუ ქალს ბავშვი არ ჰყავდა, ეს ღმერთის სასჯელი იყო. იოაჰიმსა და ანნას სიტყვა ჰქონდათ დათქმული, რომ თუ შვილი ეყოლებოდათ მას უფლის უშუალო სამსახურში ჩააყენებდნენ, იერუსალიმის ტაძარში წაიყვანდნენ და იქ დატოვებდნენ როგორც უფლის ქალიშვილს. ეს საერთო ებრაული ტრადიცია იყო.

„ერთ მშვენიერ მზიან დღეს იოაჰიმი იერუსალიმის ტაძარს ეწვია და თავისი შემოსავლის ერთი მესამედი წილიც ტაძრისათვის შესაწირად თან გაიყოლია. ეს იყო სხვადასხვა სახის საქონელი, მათ შორის იყო შინაური ცხოველები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ასევე ფული.

იმ დროს იერუსალიმის ტაძრის უმაღლესი მღვდელმთავარი იყო ისაჰარი, რომელმაც ტაძარში მისულ ბაბუაშენს იოაჰიმს უაღრესად ჩამაფიქრებელი სიტყვები უთხრა:

„იოაჰიმ! რატომ აკეთებ ამას? შენ ხომ შვილი არ გყავს და რატომ სწირავ უფალს შესაწირს იმ ხალხთან ერთად რომლებსაც შვილები ჰყავთ? ხომ იცი, რომ თორაში სწერია, დაწყევლილია ის ვისაც შვილი არ ჰყავს და მათგან შემოსული შემოსაწირი ყველასათვის უსიამოვნოა. ჯერთ განთავისუფლდი უფლის წყევლისაგან და შემდეგ მოდი და შესწირე შესაწირი იმ ხალხთან ერთად, რომლებიც უფლისაგან დალოცვილები არიან“.

ისაჰარის ეს განცხადება ბაბუაშენისათვის ფრიად შემაცბუნებელი იყო“, იოსები იესოს თვალებში ჩააცქერდა. ეგვიპტის ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ იესოს თვალებში ვარსკვლავების სხივები ციმციმებდნენ. იგი ყურადღებით უსმენდა მამას, სახეში შესცქეროდა მას, „მეჩვენება, რომ ყველაფერი გესმის, ეს ხომ საბოლოო ანგარიშით შენ გეხება“, დასძინა იოსებმა და გააგრძელა, „ისაჰარი ძალიან უტაქტოთ მოიქცა. ასეთი საყვედური მან ბაბუაშენს მეზობლების თანდასწრებით უთხრა, რითაც ძალიან შეარყია მისი რეპუტაცია. ასეთი შეურაცხყობის შემდეგ ბაბუაშენი თავის მწყემსებთან ერთად საძოვრებზე წავიდა, და გადაწყვიტა იქ დარჩენილიყო სამუდამოდ, რათა მეზობლები აღარასოდეს ენახა.

ასე დაიწყო იოაჰიმმა ველად ცხოვრება. ალიონზე დგებოდა და გვიან ღამემდე მუშაობდა. ხშირად მუშაობას ვარსკვლავებისა და მთვარის შუქზეც აგრძელებდა, რითაც არღვევდა წესს რომელიც დაბნელების შემდეგ მუშაობას კრძალავს. იოაჰიმი ცდილობდა იმ წყენის დავიწყებას,

რომელიც ისაჰარმა მიაყენა. საერთოდ იგი ყველაფრის დავიწყებას ცდილობდა. ასეთია ჩემო პატარა ბიჭუნა დაუმსახურებლად მიღებული წყენის შედეგები“, შესძახა იოსებმა და ბიჭი ჰაერში რამდენჯერმე შეაქანა, სახით ვარსკვლავებისაკენ შეატრიალა, შემდეგ კი გააგრძელა თხრობა:

„ერთ საღამოს დადარდიანებული ბაბუაშენი, დაღლილ-დაქანცული თოხზე დაყრდნობილი კარვის წინ იდგა და მეწამურ ჰორიზონტს გასცქეროდა. იგი ხშირად იდგა ხოლმე ასეთ პოზაში რომლის დროსაც თავისი ცხოვრების წარსული ფურცლების ანალიზს აკეთებდა. ცდილობდა ენახა მოვლენა, რის გამოც ასეთ მდგომარეობაში მივიდა, რომლის დროსაც სირცხვილით ხალხის ნახვას გაურბოდა.

უეცრად უჩვეულო მოვლენა მოხდა. იოაჰიმს ზეციდან გამოტყორცნილ სხივში გახვეული ანგელოზი გამოეცხადა, რომელიც სავარაუდოდ ლუციფერი ან გაბრიელი უნდა ყოფილიყო.

„იოაჰიმ არ შეშინდე! და არც კი გაიფიქრო, რომ ჩემს დანახვაზე რაიმე შარში გაეხვევი. მე შენს დასახმარებლად მოვედი და არა სამტროდ“, თქვა ანგელოზმა, რომელიც უფრო ლუციფერი უნდა ყოფილიყო, რადგან ასეთი სიტყვებით მხოლოდ იგი გამოიხატებოდა ხოლმე.

„მე უფლის ბრძანებით ვარ შენთან გამოგზავნილი, რათა გაუწყო შემდეგი“, ანგელოზი იოაჰიმს მიუახლოვდა, თოხი გამოართვა, იქვე წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა და შეცბუნებული ბერიკაციც გვერდით მოისვა.

„უფალმა მიიღო შენი წყალობა. მან გაიზიარა შენი გულის ტკივილი, იერუსალიმის ტაძრის უმაღლესი მღვდელმთავარ ისაჰარის უსაფუძვლო და უადგილო საყვედურის გამო შენი მეუღლის უშვილობის თაობაზე. მღვდელმთავარი ისაჰარი ამის გამო უკვე ისჯება. მას შარდის შეუკავებლობა დაეწყო, ძალიან იტანჯება და ჩქარა ამ ქვეყანას დატოვებს. შენ კი მინდა კვლავ შეგახსენო, რომ ჩვენი უფალი იეჰოვა საბათაი შურისმაძიებელია ცოდვის წინააღმდეგ და არა ბუნების. თუ მან ვინმეს საშო ჩაკეტა, ამას აქვს თავისი მიზეზი, რათა

შემდეგ იგი კვლავ საზეიმოდ გააღოს და ვინც იქიდან დაიბადება, იქნება არა ხურუშის პროდუქტი, არამედ უფლის საჩუქარი.

ჩემო იოაჰიმ! და ანგელოზმა იოაჰიმს მხარზე ხელი მეგობრულად გადახვია: „შეგახსენებ, რომ შენი ერის პირველი დედა სარაჰ, თავდაპირველად ბერწი იყო და ასე გაგრძელდა, მისი ცხოვრება 90 წლამდე ვიდრე უფლის ნებით ისააკი, შენი ერის დამაარსებელი არ დაიბადა. ისააკის მეუღლე რეიჩელი, ასევე დიდი ხნის განმავლობაში ბერწი იყო და ბოლოს იგი გახდა ეგვიპტის გუბერნატორის იოსების დედა, რომელმაც ბევრი ერი იხსნა შიმშილით სიკვდილისაგან.

სამსონი ხომ გახსოვს, ცნობილი დევგმირი“, დაამატა ანგელოზმა, „და კეთილშობილი სამუელი, ორივეს დედები თავდაპირველად ბერწები იყვნენ. ამას იმიტომ გიყვები რომ იცოდე, რომ შენი მეუღლის ბერწობა არ არის რაიმე განსაკუთრებული. იგი უფლის ნებაა და არა ბუნების. შენი მეუღლე ანნა“, გააგრძელა ანგელოზმა, რომელიც სავარაუდოთ უფრო ლუციფერი იყო, ვიდრე გაბრიელი, რადგან მეტად დელიკატურ საკითხებზე საუბრობდა, დაბადებს ქალიშვილს, რომელსაც მარიამს დაარქმევს. ბავშვს, თქვენივე ფიცის თანახმად პატარაობიდანვე უფალს მიუძღვნით და იგი აღივსება წმინდა სულით. მარიამი განსაკუთრებული, ოქროსთმიანი გოგო იქნება. მან არ უნდა დალიოს ან შეჭამოს წაწყმედილი საკვები და, რაც მთავარია, არ ესაუბროს მდაბიო ხალხს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რადგან მდაბიო ხალხი უსუფთაო საკვებით იკვებება, რაც მათი სხეულის გაბინძურებას იწვევს და ისინი მეტად საშიში ბაცილებით სავსე მოსიარულე გვამებად იქცევიან. მათთან კონტაქტი დამღუპველია, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად.

მარიამი უნდა აღიზარდოს იერუსალიმის ტაძარში, სადაც მიიღებს ზეციურ განათლებას და აცდება ცხოვრების ცდუნებებსა და ამაოების გრძნობის ფუჭ ილუზიებს. მოემზადება მომავალი მნიშვნელოვანი მისიისათვის, რომლის შესახებაც საჭირო დროს და საჭირო ადგილას გაიგებს.

ახლა წადი აქედან. დროებით მიატოვე ეს საძოვრები და იალაღები და გაეშურე იერუსალიმის ტაძრის ოქროს კარიბჭისაკენ, სადაც ნახავ შენი არყოფნით ფრიად შეწუხებულ შენს ძვირფას მეუღლე ანნას, დააწყნარე იგი და ერთად შეემზადეთ მომავალი დიდი საქმეებისათვის“, ამის თქმა იყო და უფლის ქერათამიანი ანგელოზი, რომელიც უფრო ლუციფერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე გაბრიელი ან სხვა ვინმე, ზეცაში აღზევდა, გაუჩინარდა და გამოეცხადა იოაჰიმის მეუღლე ანნას, რომელიც იერუსალიმის ტაძრის ოქროს კარიბჭესთან, თხრილის გადაღმა სიპ ქვაზე იყო ჩამომჯდარი და მწარედ მოთქვამდა, იოაჰიმის დაკარგვას.

ანგელოზმა დაამშვიდა ანნა და უთხრა:

„ანნა! არ შეშინდე და არც კი გაიფიქრო, რომ მე გამჭვირვალე სული ვარ. მე ვარ უფლის უფროსი ანგელოზი, მისი მარჯვენა ხელი და მის ყველაზე უფრო რთულსა და დელიკატურ დავალებებს ვასრულებ. ახლა შენთან ვარ გამოგზავნილი, რათა გახარო რომ მალე ოქროსფერთმიანი ქალიშვილი დაგებადება. დაარქვით მას მარიამი. იგი მაშინვე უფლის სათნოების ქვეშ მოექცევა. ეს გაგრძელდება სამი წლის განმავლობაში, რომლის დროსაც თქვენს სახლში იცხოვრებს, მერე კი ცხოვრებას გააგრძელებს იერუსალიმის სოლომონის ტაძარში, სადაც შეიძენს ცოდნას, ილოცებს და იმარხულებს. აერიდება ცხოვრების ყოველგვარ ცდუნებებს, გახდება უფლის ქალწული და სულიწმინდის დახმარებით დაბადებს ვაჟს, რომელიც მთელ ეპოქას შექმნის კაცობრიობის ისტორიაში. ახლა კი თხრილზე ფრთხილად გადადი და იერუსალიმის ტაძრის ოქროს კარიბჭის წინ შეხვდები შენს აღელვებულ იოაჰიმს, რომელიც საძოვრებზე ხანგრძლივი ყოფნის გამო ქალის ალერსს ფრიად მონატრებულია. წადით ერთად სახლში და მოისიყვარულეთ უფლის სახელზე“, თქვა არქანგელოზმა ლუცისფერმა თუ გაბრიელმა და ზეცისაკენ გაემართა. მართლაც ასე მოხდა ეს ამბავი“, თქვა იოსებმა და იესოს თვალებში ჩააცქერდა, აინტერესებდა პატარა ბიჭი მისმენს თუ არაო. იესო თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა მა-

მას. აშკარა იყო, რომ ბიჭს მამის ლაპარაკი შესანიშნავად ესმოდა და ეს საოცრება იყო. „დიახ, ჩემო ბიჭიკო, ვატყობ, რომ შენ ყველაფერი იცი, შესაძლოა წარსულიც და მომავალიც, ამიტომ თამამად გეტყვი, რომ როდესაც ბებიაშენი და ბაბუაშენი ოქროს კარიბჭესთან ერთმანეთს შეხვდნენ მათ ძალიან გაიხარეს და სახლში აღტაცებულები დაბრუნდნენ. იერუსალიმიდან ნაზარეთამდე სამი დღის სავალია და ეს გზა მათ დღე-ნახევარში გაიარეს. ვირს შეუჩერებლად მიაჯირითებდნენ.

ნაზარეთელი სამეზობლო გაკვირვებულები უყურებდნენ ხელიხელჩაკიდებულ ანნას და იოაჰიმს. მოსიყვარულე წყვილი თავიანთ სახლში შევიდნენ. ერთი კვირა არ გამოჩენილან, მხოლოდ ერთხელ წავიდა ანნა წყალზე, დანარჩენ დროს ისინი ლოგინში იწვნენ და ელოდებოდნენ თუ როდის შესრულდებოდა ანგელოზის სიტყვები. ეს ამბავი სოფლის ჭორიკნების საყვარელი თემა იყო და მე ამიტომ გავიგე“, თქვა იოსებმა და გააგრძელა:

„მალე ბებიაშენი ანნა დაორსულდა და დაიბადა ოქროსფერთმიანი ულამაზესი გოგონა, რომელსაც ანგელოზის მითითებისამებრ მარიამი დაერქვა. ასე დაიბადა დედაშენი, შესანიშნავი ქალი და თუ რა მოხდა შემდეგ ხვალ მოგიყვები ჩემო პატარავ“, თქვა იოსებმა და ბანიდან მეორე სართულისაკენ მიმავალ ვიწრო და უმოაჯირო ქვის ვიწრო კიბეს ფრთხილად დაუყვა. იოსები ოთახში შევიდა. მარიამს ტახტის კიდეზე ეძინა. ოთახის შუაგულში ჭრაქი ხრჩოლავდა. იოსებმა ტახტის შუაგულზე გაჭიმულ სარწეველა-ჰამაკში იესო ფრთხილად ჩააწვინა, ბადე გადააფარა, ჭრაქს ბოლომდე დაუწია და თვითონაც ტახტზე მიწვა. შეიძლება გულის გახსნამ უშველა და იოსებმა ღრმა და უსიზმრო ძილით დაიძინა.

ღამე მეორე

იოსებმა შემდეგი დღე შეუჩერებელ ჯაფაში გაატარა. ადრიანად ადგა, განიბანა, ისაუზმა, მუშებს დავალებები მისცა და მუშაობას შეუდგა. ალექსანდრიის ერთ-ერთმა ებრაულმა სასწავლებელმა გრძელი მერხი, ოთხი სკამი და გრიფელის დაფა დაუკვეთა. როგორც უკვე ავღნიშნეთ იოსებს თავისი საცხოვრებელი სახლის პირველი სართული და შიდა ეზო, როგორც სადურგლო სახელოსნო იჯარით ჰქონდა აღებული. ახალჩამოსულ ოჯახს ალექსანდრიის ებრაულმა თემმა დიდი დახმარება გაუწია. თბილად მიიღეს, დააპურეს, აბანავეს, უმკურნალეს, გაკრიჭეს, მოუძებნეს ბინა, არენდით აუღეს სადურგლო სახელოსნო. თანხის მეტი ნაწილი საჩუქრად გადასცეს, ხოლო მცირე ნაწილი კი დაბალპროცენტიან სესხად სამი წლის ვადით გადასცეს, ვალის გაგრძელების უფლებით. ამავე დროს თემმა უფასოდ გადასცა უმთავრესი საოჯახო ნივთები, ლოგინი, ტანსაცმელი, ჭურჭლეულობა. რამდენიმე ბატი, ქათამი, ჯორი და ცხვარი, ხოლო პატარა იესოს კი სათამაშო ზანზალიკები და მოოქროვილი შიბაქი გადასცეს, რაც ეგვიპტური ტრადიციით მამაკაცურ პოტენციას აძლიერებს. ეგვიპტელთა ეს ტრადიცია ებრაელებშიც დიდი მოწონებით სარგებლობდა, რადგან ისინი მზარდ გამრავლებას აპირებდნენ.

ასე რომ იოსების დევნილი ოჯახი ახლა ეკონომიკურად თითქმის უზრუნველყოფილი იყო. და ეს გამონაკლისი კი არ იყო. ებრაელთა თემი ასე ეხმარებოდა ყველა მის დევნილ თანამემამულეს. ერთმანეთისადმი დახმარება ებრაელებს ძვალში და რბილში ჰქონდათ გამჯდარი, მაგრამ ხანგრძლივმა სახიფათო მოგზაურობამ და აქედან გამომდინარე ნერვიულმა დაძაბულობამ თავისი გაიტანა. მარიამსა და იოსებს დაღლა დაეტყოთ. ხასიათში აპათია შეეპარათ. მოძრაობა შეუნელდათ. ზებუნებრივმა მოვლენებმა და განსაკუთრებით კი ანგელოზებთან შეხვედრებმა თავგზა აუბნიათ. გართულდა რეალური და ილუზიური ცხოვრების გარჩევა,

მაგრამ იოსების ოჯახი იხტიბარს არ იტეხდა. შრომობდნენ როგორც ყველა ებრაელი სისხამ დილიდან გვიან ღამემ-დე. ღამეს ისვენებდნენ და ყოველ შაბათ დღეს კი უფალზე ფიქრობდნენ.

იოსები მთელი დღე ფიქრობდა თავისი შვილის იშვიათ გონებრივ გამჭრიახობაზე და ჰოზირონტის სიფართოვეზე. გრძნობდა, რომ ბიჭი მის საუბარს საგულდაგულოდ უსმენდა. თუმცა იესო ჯერთ არ ლაპარაკობდა, მაგრამ მისი თვალები მეტყველებდნენ.

„გააგრძელე მამა, გააგრძელე საუბარი, მე ყურადღებით გისმენ“, ამბობდნენ იესოს მეტყველი თვალები.

აი ახლაც, უკვე ღამის პირველის ნახევარი თითქმის დასრულდა, ჭრაქის ალი უკვე იღვენთება. ყველა შინაურ ფრინველსა და პირუტყვს სძინავს. მხოლოდ ღამის აქტივ-ისტ სულდგმულებსა და იოსებს კვლავ არ ეძინება. მთელი დღის ნაჯაფი მაინც ფხიზლობს. ფიქრები არ ასვენებს. რამ-დენად რეალური იყო ანგელოზებთან სიზმარში საუბარი? რამდენად მართალი იყო რომ ყველაფერი უფლის ნების მიხედვით ხორციელდებოდა?

ბოლოს იოსებმა ლოგინში ვეღარ მოისვენა, წამოიწია, ფეხები ხის ფოსტლებში გაყო და იესოს სარწეველა ჰამაკს მიუახლოვდა. ბიჭს მშვიდი ძილით ეძინა. დედა მას საგულ-დაგულოდ უვლიდა. იგი პირველი ბიჭი იყო და საუკეთესო საცვლებში იყო გახვეული. ერთი ეთიპიელი მონა უმთავრე-სად იესოს საცვლების რეცხვითა და ნილოსიდან წყლის მოტანით იყო დაკავებული.

იოსებმა ჰამაკის ბადე გადასწია და ბავშვის სახეს დააკ-ვირდა.

„რა ბედი ელის ამ არაჩვეულებრივ ბავშვს? საით წავა მისი გზები?“ ჩურჩულებდა იოსები.

უცებ იესომ თვალები ჭყიტა და იოსებმაც ბიჭი ხელში აიტაცა.

„წავიდეთ ბანზე ჩემო ძვირფასო! წავიდეთ და ჰაერი ჩავყლაპოთ. მერე კი კვლავ ვისაუბროთ“.

იოსებმა შვილი გულში ჩაიხუტა, ტაატითა და სიფრთხილით ბანისაკენ მიმავალ კიბეს შეუყვა. მარიამს კი ჩვეულებისამებრ მშვიდათ ეძინა ტახტის კიდეზე.

იოსები ბანზე ავიდა და სახლის თავის მოპირდაპირე კიდეს მიუახლოვდა. შამბნარითა და მოკლე ტყით დაფარულ ნილოსის სანახებს გადახედა. მდინარიც დელტა აქ განსაკუთრებით ფართე იყო. მისი უკიდურესი ნაწილი ვარსკვლავებით მოჭედილ ცაში ერთიანდებოდა. მარცხნივ ლაჟვარდოვანი ხმელთაშუა ზღვა იწყებოდა. მარჯვნივ შორს კი შავი აფრიკა ბუბუნებდა.

„გუშინ ჩემო პატარა გვრიტო“, წამოიწყო იოსებმა, როდესაც სახლის თავის შუაგულს მიუახლოვდა და ბანის მრგვალ სატკეპნ ქვაზე ჩამოჯდა, „მე მოგიყევი თუ როგორ დაიბადა შენი ლამაზი დედიკო. ახლა კი მოდი თხრობა გავაგრძელოთ და ვთქვათ თუ რა მოხდა შემდეგ. ეს ამბები ჩემთვის ნაზარეთელი ჭორიკნებისაგან და ანგელოზების მონათხრობით გახდა ცნობილი.

მაშ ასე, როდესაც დედაშენი მარიამი სამი წლის გახდა იოაჰიმმა და ანნამ სიტყვის თანახმად იერუსალიმის სოლომონის ტაძარში, უფლის სამსახურში წაიყვანეს. გაკრიალებული, გასუფთავებული და ბაფთებით შელამაზებული სამი წლის მარიამი დამოუკიდებლად შეუყვა ტაძრის მარმრილოს კიბეებს და მიაღწია მეთხუთმეტე საფეხურს. ამ საფეხურიდან იწყებოდა ოთახი, სადაც უფლის სამსახურში შესული სხვა გოგონების მსგავსად განიწმინდა და დარჩა უბიწოდ, 14 წლამდე შეიძინა დიდი ცოდნა და ყოველდღიურად ესაუბრებოდა ანგელოზებს.

მაშასადამე დედაშენი ტაძარში დარჩა 11 წელიწადი და ძალიან ბრძენი ქალი შეიქმნა. მან შეისწავლა ბერძნული, ქალდეური და ლათინური ენები. გაეცნო ღვთისმეტყველებას, ასტროლოგიას, ციურ გეომეტრიას და ებრაულ ფოლკლორს. მარიამი განსაკუთრებით ცნობილი გახდა მისი ანგელოზებთან ხშირი შეხვედრების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგელოზებთან შეხვედრა ყოვე-

ლი ადამიანისათვის დიდი გამოცდაა. ბევრს გული მისდის, კვდებიან კიდევაც შიშისაგან ან ეგრევე ისაქმებენ ხოლმე. ხშირ შემთხვევაში ანგელოზთან შეხვედრის შემდეგ კაცი ან ქალი ჭკუაზე გადადის. ამიტომ დადის ამდენი გიჟი ამ ქვეყანაზე. ანგელოზებს ასეთი ხალხი არ მოსწონთ და მათზე ზოგჯერ ბოროტად ხუმრობენ ხოლმე და პირიქით, ანგელოზებს მოსწონთ სულით მტკიცე ადამიანები, ისინი ვინც არ უფრთხიან ანგელოზებთან შეხვედრას, საუბრობენ მათთან და ზოგჯერ კამათობენ კიდევაც. ასეთი ხალხი ანგელოზების პატივისცემას იწვევს და მათ ეხმარებიან კიდევაც. ზოგჯერ ზეცაშიც აყავთ ექსკურსიაზე. ასეთი გოგო იყო მარიამი. იგი თითქმის ყოველდღე ესაუბრებოდა ანგელოზებს, რჩევებს აძლევდა მათ და ასევე ბევრ რამეს გებულობდა მათგან. მარიამმა ასეთი მდგომარეობის გამო მღვდელთმსახურების დიდი პატივისცემა და ამავე დროს შურის გრძნობაც დაბადა. ზოგიერთი მღვდელი მთელი ცხოვრება ელის ხოლმე ანგელოზის გამოჩენას და ამაოდ. ბოლოს რომ გამოჩნდება შიშისაგან ჩაისვრის ხოლმე. ეს ამბავი ტაძარში შეუმჩნეველი არ რჩებოდა და ასეთი მღვდელი რაც არ უნდა მოწინავე და ჭკვიანი ყოფილიყო ტაძარს სტოვებს და შერცხვენილი საძოვრებზე მიდის საცხოვრებლად და საქონელთან ერთად ბაგებში ცხოვრობს.

ამასობაში სოლომონის ტაძრის მღვდელმთავარმა სახალხო ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ტაძარში მყოფი ყველა ქალწული, რომლებმაც მიაღწიეს 14 წლის ასაკს, როგორც ფრიად მომწიფებულები უნდა დაბრუნებულიყვნენ სახლებში და ტრადიციისამებრ დაქორწინებულიყვნენ.

ყველა უფლის ქალწული მეტად კმაყოფილი შეხვდა მღვდელმთავრის განცხადებას. მარტო მარიამმა გამოთქვა უკმაყოფილება, როდესაც სთქვა, რომ მას და მის მშობლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ იგი დარჩეს ქალწული და მთლიანად მიუძღვნას თავი უფლის დიდებას. ახლა ერთი რამ უნდა მოგითხრო“, უთხრა იოსებმა იესოს, „მგონია, რომ

შენ მე სწორედ გამიგებ. მინდა იცოდე თუ როგორ დაქორწინდა დედაშენი ჩემზე და თუ როგორ მოხდა ყველაფერი ეს“. იოსებმა შეიცადა, ბანზე რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, რატომღაც იესოს მომვლელ ეთიპიელ მუშაზე გაიფიქრა ამ საღამოს რაღაც ვერ ვხედავო, მერე კვლავ ბანის სატკეპზე ჩამოჯდა და თქვა:

„როდესაც დედაშენმა მარიამმა განაცხადა, რომ ვინმეს ცოლად ყოფნა არ მინდა და ცხოვრება იაჰვე-ღმერთს უნდა შევწიროო, მღვდელმთავარი ჩაფიქრდა, მარიამის სურვილს ძალა ჰქონდა, იგი თითქმის ყოველდღე ანგელოზებს ელაპარაკებოდა. მარიამს შეეძლო ანგელოზებთან ეჩივლა და ამით არავის კარგი დღე არ დაადგებოდა. ამავე დროს მღვდლმთავარს კარგად ახსოვდა თუ რა დაემართა მის წინამორბედს ისაჰარს, რომელმაც გაბედა და მარიამის მამას იოაჰიმს თუმცა სწორი შენიშვნა მისცა, მაგრამ ვერ გაითვალისწინა კონკრეტული მომენტის სირთულე და ძალიან აწყენინა მას. ასევე ისაჰარის შემდგომ მღვდელმთავარ რეუბენს არ უნდოდა ახალი ტრადიციისათვის ჩაეყარა საფუძველი, რომლის დროსაც მომწიფებული ებრაელი ასული გაუთხოვარი დარჩებოდა და ისრაელს შთამომავლობას არ გადასცემდა. შთამომავლობის სიმრავლეში კი სამღვდელოება ძალიან იყო დაინტერესებული. ჯერ ერთი და თავად უფლის სურვილი იყო, რომ ებრაელები გამრავლებულიყვნენ. ამავე დროს ბევრი ხალხი ბევრ შემოსავალს იძლეოდა. მოსახლეობა შემოსავლის 1/3 სამღვდელოებას სწირავდა. სამღვდელოებას კი ხარჯი თითქმის არ ჰქონდა. პენსიებს მაშინ არ არიგებდნენ, ხოლო ღარიბი ხალხი მათხოვრობდა, რაც ასევე ძალიან განვითარებული საქმიანობა იყო. შეიძლება ითქვას, რომ მათხოვრობის ინსტიტუტი ისეთივე შემოსავალს იძლეოდა, რასაც ეკლესიისა და მეფის ადმინისტრაციის, ან რომაელების გადასახადები, ხოლო მათხოვრობის შემოსავალი მთლიანად სოლომონის ტაძრის ადმინისტრაციაში შედიოდა. ასე რომ, ისრაელის სამღვდელოება ყოველი ებრაელის დაბადებისათვის

ხმალამოღებული იბრძოდა. ეს იყო ბრძოლა შემოსავლისათვის და ისრაელის საკეთილდღეოდ.

სოლომონის ტაძრის მთავარი მღვდელმთავარი რეუბენი უხერხულ მდგომარეობაში იმიტომაც იყო ჩავარდნილი, რომ ისრაელის სამღვდელოება დემოკრატიულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული და ყველა მორწმუნის აზრს ითვალისწინებდა.

ამ რთულ სიტუაციაში მღვდელმთავარმა რეუბენმა შეცდომის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა რჩევა უზენაესისათვის ეკითხა და ერთ-ერთი უახლოესი საფესტივალო ლოცვის შემდეგ უფლის აზრის გასაგებად თაბერნეიკელში შევიდა. ეს არის სოლომონის ტაძრის ყველაზე წმინდა ადგილი და ღმერთის სახლი, დიდი იაჰვეს ადგილსამყოფელი. იქ შესვლა საპატიოც იყო და საშიშიც.

თაბერნეიკელში შესვლისთანავე გაისმა უფლის სახელობის ხმა რომ ესაიას წინასწარმეტყველების მიხედვით ქალწული მარიამი დავითის ოჯახის ჩამომავალზე და წევრზე უნდა დაქორწინებულიყო.

ეს საოცარი ცნობა იყო და მღვდელმთავარი ტაძრის სხვა ხანდაზმულ და ღირსეულ თანამშრომლებთან ერთად შეიკრიბა სათათბიროდ. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ქალწული მარიამის სურვილი და უფლის ხმის მითითება შემდეგნაირად შეესრულებინათ.

1. სოლომონის ტაძრის ტრიუმფალური საფეხურების წინ საცოლის მოყვარული ყველა ებრაელი მამაკაცი უნდა შეკრებილიყო და მარიამის გარდა ტაძრის სქესობრივად ყველა მომწიფებული ქალიშვილი ცოლებად გაენაწილებინათ.

2. მარიამის გათხოვება ცალკე და ფრიად რთულ პროცესად გამოყვეს.

პირველი ამოცანა სწრაფად შესრულდა და საცოლის მოყვარულმა ებრაელმა ყმაწვილებმა ცოლები სწრაფად წაიყვანეს.

ამის შემდეგ ტაძრის ტრიუმფალურ საფეხურებზე საცოლის მოყვარულები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ, მაგრამ

ისინი ყველანი მეფე დავითის პირდაპირი ჩამომავლები იყვნენ. მათ თავიანთი სასიარულო ხელჯოხები საკურთხეველზე დაალაგეს და მოშორებითჟრიგებად ჩამწკრივდნენ.

მტრედში განსახიერებული წმინდა სული, ყვავილებში ჩამჯდარი ყურადღებით ადევნებდა თვალს მეფე დავითის ჩამომავლებს. ითვლებოდა, რომ თუ რომელიმე ჯოხზე მტრედი დაჯდებოდა, ამ ჯოხის პატრონი უბიწო ქალწულის მარიამის ქმარი გახდებოდა. ხოლო თუ მტრედი არც ერთ ხელჯოხს არ დააჯდებოდა, მაშინ ოქროსფერთმიანი მარიამი, როგორც განსაკუთრებული არსება სიცოცხლის ბოლომდე უფლის სამსახურში დარჩებოდა, როგორც დიდი იაჰვეს ქალიშვილი და ცოლი.

მე, ჩემო საყვარელო იესო ხანდაზმული კაცი ვიყავი და ახალგაზდა ცოლი არ მინდოდა, საერთოდ ცოლი არ მინდოდა, მაგრამ ჩვენი დიადი მეფის დავითის ჩამომავალი ვიყავი და ამიტომაც ბრძანებას დავემორჩილე, ტაძარში გამოვცხადდი, მაგრამ ჯოხი არ მივიტანე, რადგან უჯოხოდაც მშვენივრად დავდიოდი. დავდექი პრეტენდენდების უკან რადგან მრცხვენოდა, რომ თითქმის შუახნის კაცი ახალგაზრდა საცოლეების მაძებრების რიგებში გავერიე, თან ვფიქრობდი, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის მეთქი.

ყველა პრეტენდენტმა ჯოხები საკურთხეველზე დაალაგეს და ლოდინი დაიწყეს, მაგრამ არაფერი მოხდა. კარგახანს ვიდექით. ბოლოს მღვდელმთავარმა რეუბენმა ჯოხები და პრეტენდენტები გადათვალა და განაცხადა:

„ჯოხი აკლია“.

მოითხოვეს ჯოხი. მე ვდუმდი. წინ მდგომების ზურგებს ვეფარებოდი. სირცხვილით ვიწურებოდი, თან ჯოხი არ მქონდა. ამასობაში მტრედში განსახიერებულმა წმინდა სულმა, რომელიც ყვავილების უკან იჯდა და საქმროებს უთვალთვალებდა, თვალებით მომძებნა, თავზე დამაჯდა, დამასკინტლა, კვლავ ყვავილების უკან დაბრუნდა და განაცხადა:

„საქმროებს უკან რომ ხანდაზმული კაცი დგას, ეს არის

იოსები, მეფე დავითის ყველაზე ღირსეული ჩამომავალი, რომელიც მარიამის ქმარი უნდა გახდეს. იოსებმა მოძებნოს ჯოხი და საკურთხეველზე დადოს“.

ეს ბრძანება იყო. იქვე კიბეებზე დაგდებული ფიჩხი მოვძებნე, წინ გავედი, ფიჩხი საკურთხეველზე უკვე დალაგებულ ჯოხებს გვერდით მივუდე. როგორც კი ჩემი ფიჩხი საკურთხეველზე მოთავსდა მაშინვე მტრედი დაჯდა და კვლავ დაასკინტლა, ეს ჯვარედინი ღვთიური დამოწმება იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე იოსები, პროფესიით ხურო, მაგრამ მეფე დავითის პირდაპირი შთამომავალი, ასევე მეფე დავითის პირდაპირ შთამომავალზე უფლის ქალწულ უბიწო მარიამის ოფიციალური საქმრო გავხდი.

მე პროტესტი გამოვთქვი. ვთქვი, რომ ვარ საკმაოდ ხანდაზმული კაცი, ქვრივი და მყავს შვილები აწ გარდაცვლილი მეუღლისაგან, ეგ ქალი კი ძალიან ახალგაზრდაა და ვშიშობ, რომ მთელს იუდეაში სასაცილო შევიქმნები-მეთქი.

დიახ! ჩემო პაწაწკინტელა და საოცნებო ბიჭუნა, სწორედ ასე ვუთხარი მღვდელმთავარ ისაჰარის შემცვლელ რეუბენს, რომელმაც თითი ჩემკენ გამოიშვირა, როგორც მარიამის საქმროზე“.

მაგრამ მღვდელმთავარმა რეუბენმა ჩემს რეპლიკაზე დამტუქსა და თქვა:

„იოსებ! გეშინოდეს უფლის! რიდი მაინც გქონდეს! გაიხსენე თუ როგორ დასაჯა უფალმა ურჩობისათვის დათანი, კორაჰი და აბირამი. თუ როგორ გააღო მიწამ პირი და შთანთქა ისინი უმოწყალოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთის სურვილის წინააღმდეგ არა საქმით, არამედ მხოლოდ ფიქრით წავიდნენ“.

რაღა უნდა მექნა. ძალიან დავმწუხრდი, თან სიამაყის გრძნობამაც ამიტანა, რომ უფლის რჩეული და მზეთუნახავი მარიამის საქმრო შევიქენი.

საეკლესიო დანიშვნის შემდეგ გავეცანი მარიამის მშობლებს იოაჰიმსა და ანნას და მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებზე შევთანხმდით. ამის შემდეგ გავეცანი მარიამს

და ვუთხარი, რომ რადგან ასეთი გარემოებაა, საუკეთესო ქმარი ვიქნები-მეთქი და დავბრუნდი ჩემს სახლში ბეთლეჰემში. დავიწყე ქორწილისათვის მზადება და საქორწინო ხელშეკრულების ქეთუბალის დასადებად. მარიამის მშობლები კი თავიანთ სანაქებო ქალიშვილთან ერთად გალილეიას პროვინციის სოფელ ნაზარეთში დაბრუნდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალწული მარიამი მოვლენების ასეთი განვითარების გამო მეტად უკმაყოფილო იყო და პირველად არც კი დამელაპარაკა. პირბადეც არ მოიხსნა და ეს სადღაც გასაგები იყო, რადგან იმის მაგივრად, რომ უფლის ცოლი გამხდარიყო, გახდა შუახნის ასაკის კაცის ცოლი და ასევე ასცდა მრავალ ახალგაზრდა და მდიდარ ცოლის მაძიებლებს. მარიამი ოქროსფერთმიანი ძალიან ლამაზი ქალწული იყო. ოქროსფერი თმები იუდეაში დიდი იშვიათობას წარმოადგენდა და უფლის ნიშნად ითვლებოდა. ეჭვი არ არის, რომ შენც ჩემო ბიჭუნა ოქროსფერთმიანი იქნები. მარიამი სოლომონის ტაძარში აღიზარდა და ბევრისათვის სასურველ საცოლეს წარმოადგენდა. ახლაც დაბრუნდა თუ არა ნაზარეთში, მაშინვე შესამჩნევი გოგო გახდა. როდესაც წყალზე მიდიოდა ქალები შურის, კაცები კი ტრფობის თვალით უყურებდნენ. ეს მე არ მინახავს, რადგან ამ დროს ბეთლეჰემში ვიყავი, მაგრამ ვიცი რადგან ნაზარეთელმა ნაცნობმა დურგლებმა გადმომცეს ეს ამბები.

მე პირველი ცოლიდან უკვე ორი შვილი მყავდა. კარგი ბიჭები იყვნენ და დურგლობაშიც კარგად გეხმარებოდნენ. მეუღლე ადრე გარდამეცვალა, მაგრამ უფლის შემწეობით შვილები კარგად გავზარდე. ასაკით ისინი ჩემს საცოლეზე მარიამზე ოდნავ უფროსები იყვნენ. მარიამი 14 წლის იყო, ჩემი უფროსი ბიჭი აბეგაილი 15-ის, ხოლო უფროსი ვაჟიშვილი ჯოშუა 17 წლის იყო. ამიტომ ჩემს სახლში შვილებზე ახალგაზრდა ცოლის მოყვანა უხერხულობას იწვევდა, მაგრამ ჩემი შეუღლება უფლის, წმინდა სულისა და მღვდელმთავარ რეუბენის ბრძანება იყო. მათი სურვილი იყო, რათა ორივე მხრიდან მეფე დავითის შთამოამვლები დაოჯახებულიყვნენ.

უფროსი ბიჭი ჯოშუა, რომელიც შენი ნახევარი ძმა არის სასწრაფოდ დავაქორწინე და სახლი დავუტოვე. მეორე შენი ნახევარი ძმა აბეგაილი, რომელიც ფრიად დიდი ნიჭიერებით გამოირჩეოდა ცოდნის ასამაღლებლად ფარისეველთა რელიგიურ სასწავლებელში გავამწესე. მე კი რათა ცოლის მოსაყვანი ფული მომეგროვებინა საზღვარგარეთ სახლის მშენებლობაზე წავედი.

ამრიგად, ცოლის მოყვანის მომენტისათვის მე 38 წლის ვიყავი და მარიამზე 24 წლით უფროსი გამოვდიოდი. რაც მაინც და მაინც დიდ სხვაობად არ ითვლებოდა. მაგალითად, მრავალი საუკუნის შემდეგ შენი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი ალფრედ ნავიგატორი, თავის ერთ-ერთ ცოლზე 35 წლით უფროსი იქნება, მაგრამ ეს ისე სხვათაშორის გეუბნები.

როგორც ადრე მოგახსენე ჩემო თვალისჩინო, ჩემო საამაყო ბიჭუნა, დედაშენი ძალიან ლამაზი ქალი იყო და არც მამაშენი იყო ცუდი შესახედაობის. შენც ძალიან ლამაზი ცისფერთვალება ქერათმიანი ბიჭი უნდა იყო, მაგრამ უფრო მთავარი ის არის, რომ შენ ყველაზე ცნობილი კაცი გახდებო მსოფლიოში.

ირკვევა, რომ როგორც ჩემთან, ისე დედაშენთან ანგელოზები ხშირად სტუმრობენ სასაუბროდ. ანგელოზები, როგორც ღვთის ნების შემსრულებლები მაშინ მიდიან ადამიანებთან სასაუბროდ, როდესაც რაიმე სერიოზული საქმეა გასაკეთებელი. ეს მაფიქრებინებს იმას, რომ შენ, ჩემო კოხტა ბიჭო, დიდი საქმეებისათვის ხარ გაჩენილი და როგორც შენს გაჩენამდე, ისე შენი გაჩენის შემდეგ დიდი მოსამზადებელი საქმიანობები ჩატარდა და ისინი დღესაც მიმდინარეობენ.

ერთხელ ჩვენი ოჯახის მეგობარი ანგელოზი გაბრიელი დედაშენს გამოეცხადა და უთხრა:

„მშვიდობა შენდა მარიამ, ძალიან პატივცემული ქალი ხარ შენ“. მარიამი, რომელიც სოლომონის ტაძარში ცხოვრებისა და სწავლების დროს ძალიან ხშირად ხვდებოდა ანგელოზებს, გაბრიელის გამოჩენაზე, მაინც ძალიან აღელდა,

მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა, „ნუ გეშინია მარიამ, შიში და გაურკვევლობა შორს იყოს შენგან. უნდა გითხრა შენთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ. უფალი ძალიან კმაყოფილია შენით და განიზრახა, რომ გაგაბედნიეროს. მალე ბავშვი გეყოლება და მას სახელად იესო უწოდეთ. ეს ბავშვი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიადი პიროვნება იქნება“, აუხსნა გაბრიელმა მარიამს, რომელიც კედელთან მდგარი გაბრიელის ახოვანი ფიგურისაგან, მოპირდაპირე კუთხეში მიიყუჟა და თავზე კედლის ხალიჩა ჩამოიფარა. „მას ეწოდება უფლის უზენაესი შვილი, ძე, და უფალი მას გაამეფებს. იგი მარადიულად იმეფებს და მისი მეფობა არასოდეს დასრულდება. მასში გადავა ღმერთის ძალა, სულიწმინდის სახით და მას უფლის ძედ მოიხსენიებენ. მზად ხარ სულიწმინდის შენში შემოსვლისათვის, რომელიც გაგანაყოფიერებს“, ხაზი გაუსვა გაბრიელმა და დასძინა, „ეს დიდი პატივი იქნება შენთვის, მაგრამ იქნებ ფიქრობ, რომ სულიწმინდას შენი განაყოფიერება არ შეუძლია?“ თქვა გაბრიელმა, როდესაც დაინახა, რომ მარიამმა თავი ხალიჩებიდან გამოყო და გაკვირვებულმა შეხედა, „გახსოვდეს, რომ რაც ადამიანისათვის შეუძლებელია, ღმერთისათვის შესაძლებელია. მისთვის შეუძლებელი არაფერია. მაგალითად, შენი ბიძაშვილი ელისაბედი ფრიად ხანდაზმულია, მაგრამ მალე მას მრავალჯერ ნანატრი ყმაწვილი იოანე შეეძინება, რომელიც შენი შვილის, იესოს წინამორბედი და მეკვლე იქნება“.

ამის შემდეგ არქანგელოზმა გაბრიელმა მარიამს თავზე ხელი გადაუსვა, გასამხნევებლად ლოყაზე უჩქმიტა და სხვა საქმეებზე წავიდა, დედაშენი კი გაოგნებული დასტოვა.

„ჩემო სწორუპოვარო შვილიკო“, წამოიწყო ისევ იოსებმა, „უკვე საკმაოდ გვიანია, ხმელთაშუა ზღვიდან გრილმა სიომ წამოუქროლა, რაც იმის ნიშანია, რომ ხვალ ცხელი დღე იქნება. თუ როგორ განვითარდება მოვლენები მოდი ხვალ ღამით ვისაუბროთ, ახლა კი წავიდეთ და დავიძინოთ, რადგან ვხედავ, რომ თუმცა თვალები დაჭყეტილი გაქვს და მისმენ, მაინც ვატყობ, რომ ძილი გერევა. ახლა ძილი

ძალიან საჭიროა შენთვის, რადგან ძილში ყველა პატარა როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად სწრაფად იზრდება“.

იოსები ფრთხილად დაუყვა ბანიდან მეორე სართულზე მიმავალ ქვის კიბეს და იესო ჰამაკში მოათავსა, ჭრაქის შუქი გააქრო, ტახტზე მიწვა და მაშინვე ჩაეძინა.

ღამე მესამე

დილა უსიამოვნებით დაიწყო. წინა საღამოს წყლის მოსატანად ნილოსზე წასული ერთი ეთიოპიელი მუშა უკან არ დაბრუნდა. ჯერთ იფიქრეს იქნებ თევზაობსო, მაგრამ როდესაც დილასაც არ გამოჩნდა, მეორე ეთიოპიელი მუშა ფრიად აღელდა, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ მისი მეგობარი კოლეგა – მონა ნიანგის მსხვერპლი შეიქმნა.

ნილოსის დელტა აფრიკელი ალიგატორებით იყო სავსე და გაუფრთხილებელი მოსახლეობა ხშირად მათი მსხვერპლი ხდებოდა. ალიგატორები საათობით იწვნენ შამბნარში ან ნილოსის მღვრიე წყლის ფსკერზე და ცალი თვალით ზვერავდნენ მიდამოს და როდესაც მსხვერპლს ამოირჩევდნენ ელვის უსწრაფესად ესხმოდნენ თავს. ალოგატორებს განსაკუთრებით მუქკანიანი ეთიოპიელები და ძაღლები მოსწონდათ.

იოსები მეორე ეთიოპიელთან ერთად ნილოსისაკენ მიმავალ შამბნარით ნახევრად დაფარულ ბილიკს დაუყვნენ. იოსები მამაცი კაცი იყო. ხელში შუბი ეჭირა და ყოველთვის მზად იყო მტაცებლის დასალახვრავად. მალე ნილოსის ნაპირებს მიადგნენ. აქ მათ მიწაზე დაყრილი თუნუქის ორი სარცხლი და მათი დამაკავშირებელი უღელი ნახეს. ისინი ნაპირიდან არც თუ ისე შორს ეყარნენ. იოსებმა მიდამოს მიმოხედა, მეორე ეთიპოიელს უბრძანა მოშორებით დადექიო და გრძელი დანა-მაჩეტეთი რამდენიმე იარდზე სქელი ბუჩქნარი მოსხიპა.

უეცრად შამბნარში მიმალულმა გატორმა კუდი შემოკრა, მაგრამ იოსებს ვერ მისწვდა, დააცილა. გატორი ძალიან სწრაფია შეტევის დროს, განსაკუთრებით როდესაც მშიერია, მაგრამ ახლა რაღაც სიზანტე შეემჩნეოდა. როგორც სჩანს მაძღარი იყო, მაგრამ ამავე დროს არანაკლებ სხარტი იყო იოსები, რომელიც გვერდზე გახტა და ხელში შუბი შეიმჩატა. გატორმა ბრძოლას თავი აარიდა და ნილოსს მიაშურა, წყალზე დაიტყაპუნა და გაქრა. ეჭვსგარეშე იყო, რომ ეთიოპიელი მუშა გატორის მსხვერპლი შეიქმნა. დამწუხრებულმა იოსებმა მეორე ეთიოპიელს უბრძანა სათლები წყლით შეავსეო და დამძიმებული გულით სახლის გზას დაადგნენ.

როდესაც ეს ამბავი მარიამმა გაიგო ისიც დამწუხრდა, რადგან კარგი დამხმარე ხელი გამოაკლდა. მონა ძვირი იყო, ნახევარი ძროხის ფასი ჰქონდა და ისინი ებრაულმა სათვისტომომ გადმოსცა საჩუქრად, როგორც ახლად ჩამოსულ ემიგრანტებს. ახლა კი ერთი კარგი მუშაკი ხელიდან გამოეცალათ.

ასეთი დიდი უსიამოვნების მიუხედავად იოსები თავს მშვენივრად გრძნობდა. იგი სწორ გზაზე იდგა და ხალისიანადაც მუშაობდა. მოგზაურობის შემდგომი დაღლილობაც თანდათან გაქრა. შეკვეთები ბევრი ჰქონდა და ფულიც მალე თავზე საყრელი გაუხდა. ასე რომ მალე შესძლებდა ახალი დამხმარე მონის შეძენას. შუადღისას იოსებმა გაიფიქრა კიდეც:

„თუ ასე კარგად წავა ყველაფერი, მოდი ახალ სახლს ვიყიდი და ძველს კი ხელსაყრელ ფასად გავაქირავებ და ამ მშვენიერ ქალაქში და ახალ სახლში საბოლოოს დავსახლდები“.

იოსებმა ეს გაიფიქრა თუ არა, მაშინვე არქანგელოზი გაბრიელი ცხადად გამოეცხადა. გაბრიელი ყოველთვის ყვითელი ან წითელი ფერის იყო. ამჯერად კი იგი მწვანე იყო. ანგელოზმა თქვა:

„ნუ გიკვირს იოსებ, რომ მწვანე ვარ. როდესაც გაბრაზებული ვარ ვმწვანდები. როდესაც მიხარია ან მაქებენ

წითური ვხდები. შენმა აზრმა შემაშფოთა და გავმწვანდი.

არც კი იფიქრო ამ ქალაქში დარჩენა. იუდეაში უნდა დაბრუნდე. ამის დრო რომ მოვა, შეგატყობინებ. შენს შვილს იქ დიდი საქმეები აქვს გასაკეთებელი. ასე, რომ ამისთვის მზად იყავი“, თქვა მწვანე გაბრელმა და სხვა საქმეებზე წავიდა.

იოსები ფრიად შეწუხდა. ასეთი მკრეხელური აზრი როგორ გავიფიქრეო და მთელი დღე გვიან ღამემდე თავაუღებელ შრომაში გაატარა. აშკარა იყო, რომ უფალს მისი ოჯახი მონიშნული ჰყავდა, და ამაზე გახარებოდა თუ შეწუხებულიყო არ იცოდა.

ღამით იოსები, იესოსთან ერთად ეგვიპტის ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ბანის თავზე მდებარე სატკეპნ ქვაზე ჩამოჯდა და კარგა ხანს სდუმდა. იესო ცას გაჰყურებდა. როგორც ყოველთვის ორიონის თანავარსკვლავეთისაკენ იყურებოდა.

„ჩემო პატარა ბიჭუნა. გუშინ მე უკვე გითხარი თუ როგორ საოცრად დაიბადა დედაშენი მარიამი. ახლა მინდა მოგითხრო, რომ არანაკლები საოცრება იყო შენი განთქმული ბიძაშვილის იოანეს დაბადება. ეს ასე მოხდა:

ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით მე-3 წელია. იუდეას მთიანეთში, იერუსალიმიდან არც თუ ისე შორს, დაახლოებით ისეთივე მანძილზე როგორიც კოჯორსა და თბილისს შორის არის, ცხოვრობდა იერუსალიმის ტაძრის მღვდელი ზაჰარია. ის და მისი მეუღლე ელისაბედი ისე მოხუცდნენ, რომ შვილი არ ჰყავდათ. ეს კი როგორც ადრე გითხარი „ისრაელის შვილების“ წინაშე ცოდვად ითვლება. ამის გამო რაც არ უნდა დიდი შესაწირი მიგეცა ტაძრისათვის, უშვილობის ცოდვას ვერ გადაწონიდა.

იმ დროს პალესტინაში დაახლოებით 18 ათასი ებრაელი ღვთის მსახური იყო. ისინი იყოფოდნენ 24 ჯგუფად. თვითოეულში 750 მღვდელი იყო. ყოველი ჯგუფი წელიწადში ორჯერ მიდიოდა სოლომონის ტაძარში და ერთი კვირის განმავლობაში მსახურობდა იქ. თუ ვის უნდა ემსახურა ამ ერთი კვირის განმავლობაში წყვეტდა კენჭისყრა. შედეგად

მღვდლების უმრავლესობა, რომლებიც არ იქნებოდნენ არ-ჩეულები უსაქმოდ რჩებოდნენ.

ყოველ დილით ოთხი კენჭი იყრებოდა თუ ვის უნდა შეესრულებინა ოთხი მნიშვნელოვანი ამოცანა საკურთხევ-ელზე. შუადღეს მე-5 კენჭი იყრებოდა, რათა განესაზღვრათ თუ ვინ შევიდოდა წმინდა ადგილას, რათა შეესრულებინა საღამოს ლიტურგია გუნდრუკის კმევით. ეს ექსტრაორდი-ნალური პრივილეგია ხდებოდა მხოლოდ ერთხელ ცხოვრე-ბაში. ვისაც კენჭი შეხვდებოდა იგი იქნებოდა რჩეული, სანამ სხვა 749-ე მღვდლის რიგი მოვიდოდა.

მღვდლების ჯგუფი, რომელშიც ზაქარია შედიოდა ზო-გიერთი ვერსიით მახარობელ ლუკას დროს მსახურობდა, თუმცა ეს შეიძლება სწორი არ იყოს. შუადღეს რომ კენჭი ის-როლეს იგი ზაქარიას შეხვდა და იგი შევიდა თაბერნეიკელში, წმინდათა წმინდა ადგილას, უფლის საცხოვრებელში, რათა საღამოს ლიტურგია და გუნდრუკის კმევა შეესრულებინა.

ზაქარია თაბერნეიკელში შევიდა და თავისი სამსახური დაიწყო. კარგად შეაზავა გუნდრუკი, მოუკიდა და ამღერდა. მღვდლების მთელი ასამბლეა გარეთ დარჩა და ზაქარიას ელოდებოდა. უეცრად საკურთხევლის სამსახვერპლოს მარ-ჯვენა მხარეს ზაქარიას ანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა. ზაქარია შეშფოთდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხანდაზ-მული მღვდელი იყო ანგელოზი მას პირველად გამოეცხადა, მაგრამ ანგელოზმა გაბრიელმა დაამშვიდა და უთხრა:

„ნუ გეშინია ზაქარია, შიში ნუ გიპყრობს. კარგ ამბავზე გეახელი. შენი ლოცვა გაგონილ იქნა და შენი ცოლი ელის-აბედი გიშობს შვილს, რომელსაც იოანეს დაარქმევ. შენ ბედნიერი იქნები. შენი შვილი დიადი იქნება. იგი უფალს მომზადებულ ხალხს წარუდგენს“.

შემდეგ იოსებმა დასძინა:

„ახლა ისმის კითხვა, რატომ თქვა გაბრიელმა შენი ლოც-ვა შესმენილი იქნაო, ზაქარია ხომ თაბერნეიკელში ისრაელ-ზე სალოცავად შევიდა. როგორც სჩანს ზაქარიამ ისრაელ-ზეც ილოცა და შვილებზეც, რაც უფალმა შეისმინა. ამასთან

დაკავშირებით მინდა ავღნიშნო, რომ ზოგიერთი ფიქრობს, რომ არარეალურზე ფიქრი და ლოცვა არ არის კარგი. ეს არ არის სწორი. ხომ ცნობილია, რომ ის რაც მოკვდავისათვის შეუძლებელია ღმერთისათვის შესაძლებელია.

გაოგნებულ ზაქარიას უჭირს არქანგელოზ გაბრიელის ნათქვამის დაჯერება. მას შეუძლებლად მიაჩნია, რომ ხანდაზმულ ელისაბედს, ამ ასაკში შვილი ეყოლება. და ამის შესახებ გაბედა და გაბრიელს უთხრა:

„მიჭირს თქვენი ნათქვამის დაჯერება, რადგან ელისაბედმა კარგა ხანია რეპროდუქციის უნარი დაკარგა და მეც უკვე უღონო ვარ“.

ზაქარიას მერყეობის გამო გაბრიელმა მკაცრი განცხადება გააკეთა:

„როდესაც შენთან მოვდივარ, ყოველთვის გაფრთხილებ, რომ არ შეშინდე-მეთქი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ წყნარად მოისმინო უფლის სურვილი და არაფერი არ აგერიოს. მაგრამ თუ მაინც გააგრძელებ ურჩობას და არ შეისმენ უფლის ნებას, ჩვენ მკაცრადაც შეგვიძლია მოგექცეთ. აჰა! დადგუმდები და ვერ შესძლებ ლაპარაკს იმ დღემდე, ვიდრე ჩემი ნათქვამი არ ახდება, რადგან არ ერწმუნე ჩემს სიტყვებს“, თქვა არქანგელოზმა და სხვა საქმეებზე წავიდა.

ამასობაში საკურთხევლის გარეთ მყოფ ხალხს უკვირს, თუ რატომ ყოვნდება ასე დიდხანს ზაქარია. ბოლოს და ბოლოს, როდესაც იგი გარეთ გამოდის, ადრე ძალიან მჭერმეტყველი კაცი ვეღარ ლაპარაკობს, მხოლოდ ხელებით აკეთებს რაღაც ნიშნებს და ხალხი ხვდება, რომ მან რაღაც ზებუნებრივი იხილა.

ტაძარში მსახურების შემდეგ ზაქარია სახლში აბსოლუტურად დამუნჯებული ბრუნდება. ზოგიერთი მორწმუნე ფიქრობს, რომ დიდ ბედნიერებას პრობლემებიც ახლავს. მათ უკვე აღარ იცოდნენ რა ეფიქრათ თუ რა იყო უკეთესი „ზებუნებრივი მოვლენის ხილვა და დამუნჯება, თუ მისი არ ნახვა, და ჩვეულებრივად ლაპარაკი“.

მალე ზაქარიას მეუღლე ელისაბედი ორსულდება. მას მენსტრუაციული ციკლი დაეწყება და შემდეგ შეუწყდება,

რაც უტყუარი ნიშანია, რომ მას ბავშვი ეყოლებოდა. ორსულობის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ელისაბედი სახლიდან გარეთ ფეხს არ დგამს. ცდილობს ხალხის თვალში არ მოხვდეს. წყალზეც დამუნჯებული ზაქარია დადის. ისე მათ ოჯახს უკვე საშიშროება ემუქრება, რადგან ხანდაზმული, თეთრი თმების მქონე ქალის ორსულობა შესაძლოა ჯადოქრობად ჩაითვალოს. ზოგჯერ ასეთ ქალს სასამართლოზე გასვლაც უწევს, სადაც მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ორსულობა ქმართან რეგულარული სექსუალური ურთიერთობის შედეგია. თუ მას ქმარიც ბებერი ჰყავს, შესაძლოა ასეთ ქალს ქვებით ჩაქოლვა მიუსაჯონ, რაც სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ ზაქარიას ოჯახმა ელისაბედის გაბედნიერების შესახებ მხოლოდ უაღრესად ახლო ნათესავებს იოაჰიმსა და ანნას შეატყობინეს, რომლებმაც უკვე გამოსცადეს ანალოგიური ამბავი, როდესაც მათ ხანდაზმულ ასაკში მარიამი ეყოლათ.

როგორც ადრე გითხარი ჩემო ბიჭიკო“, გააგრძელა გრძელი მონოლოგი იოსებმა, „ფულის დასაგროვებლად საზღვარგარეთ წავედი სახლის მშენებლობაზე-მეთქი, მაგრამ შორს არ ვიყავი და პერიოდულად ვახერხებდი დედაშენის, ანუ ჩემი ახალგაზრდა საცოლის ნაზარეთში ნახვას და მის ოჯახში სადილზე დასწრებას. ერთხელ სადილის დროს დედაშენმა განაცხადა:

„გადავწყვიტე რამდენიმე თვით იუდეაში, იერუსალიმში წავიდე და ჩემი ბიძაშვილი ელისაბედი ვინახულო. როდესაც იერუსალიმის ტაძარში ვცხოვრობდი, მის ოჯახს ბევრი სიკეთე აქვს ჩემზე გაკეთებული. მისი ქმარი ზაქარია და ელისაბედიც ხშირად მნახულობდნენ. მათი ყურადღება და მზრუნველობა კარგად მახსოვს. ახლა ვგრძნობ, რომ მათ ოჯახში მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მოხდეს და ამიტომ მინდა წავიდე და ელისაბედის გვერდით ვიყო“.

მამამისმა ანუ ჩემმა მომავალმა სიმამრმა ამ იდეას მხარი დაუჭირა და სადილის დასრულების შემდეგ ბრძანება გასცა, რომ მარიამის სამოგზაუროდ ჯორები გაემზადებინათ.

მარიამის დედამ ანუ ჩემმა მომავალმა სიდედრმა სადილ-ის შემდეგ საგზლის მომზადება დაიწყო. მათი სახლიდან იერუსალიმში მისვლის 3-4 დღე მგზავრობა სჭირდებოდა. ეს ხანგრძლივი და ზოგ შემთხვევაში საშიში მოგზაურობა იყო, რადგან გზაში ხშირად ყაჩაღები და ქურდ-ბაცაცები აქტიურობდნენ.

მე ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავვარდი. ძალიან მინ-დოდა მარიამს გავყოლოდი გზაში და თუნდაც მეგზურობა გამეწია, მაგრამ ამის უფლება არ მქონდა, რადგან მე მხ-ოლოდ დანიშნული ვიყავი მასზე და არა ქმარი. ამავე დროს საზღვარგარეთ სახლის მშენებლობა არ მაძლევდა სამ-უშაოზე დაგვიანების უფლებას.

მაშასადამე, მარიამი უჩემოდ მიიჩქარის გაბედნიერებუ-ლი ელისაბედის სანახავად. უფლის დახმარებით მან გრძელი გზა წარმატებით დასძლია და მათ კარზე დააკაკუნა. როდე-საც ელისაბედს მარიამის ხმა ესმის, მის მუცელში ბავშვი სიხარულისაგან შეითამაშებს. აღტაცებნული ელისაბედი, რომელიც ხვდება თუ რა დიდი მისია აკისრია მას და მარი-ამს ამბობს:

„შენ მარიამ, განსაკუთრებით კურთხეული ხარ ქალებს შორის, რადგან ღმერთის დედა იქნები“.

მარიამი დაახლოებით სამი თვის განმავლობაში დარ-ჩა ელიზაბედთან და დახმარებას უწევდა მას ორსულობის დროს, განსაკუთრებით ბოლო კვირეების განმავლობა-ში. მარიამის მისია, მართლაც რომ შესანიშნავია. ეს ორი ერთგული ქალი, რომლებსაც ღვთის დახმარებით ჩაესახათ ბავშვები, თავიანთი ცხოვრების ამ კურთხეულ ჟამს ერთად არიან.

ელისაბედის მშობიარობამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მისი შვილი, ჯანმრთელი დაიბადა და მარიამი აქტიური მონაწილე იყო ამ მშობიარობის. მარიამი დაესწრო ელის-აბედის ბავშვის წინდაცვეთასაც, რომელიც ებრაული წესი-სამებრ ბავშვის დაბადების მე-8 დღეს საზეიმო ვითარებაში ხდება.

წინდაცვეთა უფალთან ხელშეკრულების დადებას ნიშნავს და აუცილებელი აქტია ყველა მორწმუნე ებრაელისათვის. მოჭრილი ჩუჩა მრგვალია, იგი ბეჭდის ფორმით შემორჩა გოიმებს. ეს ისევე მოხდა, როგორც შენ გაგიკეთეს წინდაცვეთა, ჩემო კარგო ბიჭუნა. მტკივნეული იყო? მზრუნველობით ჩაეკითხა იოსები იესოს, რომელიც როგორც ყოველთვის დიდი გულისყურით უსმენდა მამას, ყველა გაკვირვებული ვიყავით, რომ წინდაცვეთის დროს ხმა ერთხელაც კი არ ამოიღია, რაც ძალიან საოცარი იყო. მაგრამ დავუბრუნდეთ შენი ბიძაშვილის, ელისაბედის შვილის ამბავს. თვალებში გატყობ ინტერესს. დიახ, ჩემო დედის იმედო, ეს შენ იქნები უკვე და შენ უნდა იცოდე ამის შესახებ.

როგორც ავღნიშნეთ, წინდაცვეთა საზეიმო აქტია. ამ დროს ნათესავები და სტუმრები იკრიბებიან და ბავშვს სახელსაც არქმევენ. სტუმრებმა განაცხადეს, რომ ახალდაცვეთილ ბავშვს მამამისის ზაქარიას სახელი ეწოდოს. მაგრამ ლაპარაკში ახალგაბედნიერებული დედა ელისაბედი ერევა.

„არა! ბავშვის სახელი იოანე იქნება, ასე ბრძანა არქანგელოზმა გაბრიელმა“, მტკიცედ განაცხადა ელისაბედმა.

მაგრამ მას მეგობრები და სტუმრები ეწინააღმდეგებიან.

„ელისაბედ! შენს ნათესავებში არავინ არის რომ ეს სახელი ერქვას, როდესაც ასაკიან ოჯახს ბავშვი დაებადება მას მამის სახელი უნდა დაერქვას“, ამბობდნენ სტუმრები.

მაგრამ ელისაბედი კვლავ მოითხოვდა ბავშვისთვის „იოანეს“ დარქმევას.

„ეს უფლის სურვილია!“ აცხადებდა ელისაბედი.

სტუმრები და ნათესავები თავისას არ იშლიან და ახალდაბადებული და უკვე წინდაცვეთილი ბავშვის ბედნიერ, მაგრამ დამუნჯებულ მამას ხელებითა და სხვა ნიშნებით ეკითხებიან ვაჟისთვის როგორი სახელის დარქმევა სურდა. ზაქარია ითხოვს გრიფელის ფიცარს და ყველასდა გასაკვირველად წერს:

„ბავშვის სახელი იქნება იოანე“.

ამ დროს ზაქარიას სასწაულებრივად უბრუნდება მე-

ტყველება. ასე ასრულდა არქანგელოზ გაბრიელის მითითება და ყველა დარწმუნდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მოყმე დაიბადა.

მჭერმეტყველებადაბრუნებული ზაქარია ძალიან გახარებულია. მან წმინდა ღვინით სავსე სასმისს ხელი სტაცხა და თავის შვილზე ასეთი წინასწარმეტყველება-სადღეგრძელო თქვა:

„და შენ ყმაო დაგერქმევა უზენაესის წინასწარმეტყველის სახელი. შენ იწინასწარმეტყველებ უფლის შვილის მოსვლას და მისთვის გზებს გაამზადებ. მისცემ უფლის მიმდევარ ხალხს ცოდნას, აჩვენებ ხსნის გზებს. მიუტევებ მათ ცოდვებს და სიკვდილის ჩრდილში მსხდომარეთ გაანათლებ, რათა ისინი წავიდნენ ხსნის გზით“.

ზაქარია მიხვდა თავისი შვილის დიდ მისიას. ისევე როგორც მე ვხვდები შენს დიდ მისიას, ჩემო ლამაზო და უჭკვიანესო ბიჭუნა. თქვენ უეჭველია შეხვდებით ერთმანეთს და დიად საქმეებს გააკეთებთ. ვაგლახ! თქვენი საქმის გამარჯვებას ვერ მოვესწრები, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მომავალი დიადი საქმეების ფუნდამენტის ჩაყრაში მონაწილეობას ვიღებ.

ახლა ჩემო კოხტა ბიჭო, დედაშენის მარიამის ამბებს დავუბრუნდეთ, რომელიც არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე შენი ბიძაშვილის იოანეს დაბადება“, თქვა იოსებმა და იესოს ფეხისგულზე შეუღიტინა.

„მარიამი ჯერთ კიდევ ელისაბედთან ყოფნის დროს ატყობდა, რომ მისი მუცელი დიდი ხდებოდა. ჭამას მოუკლო, მაგრამ მუცელი ზრდას აგრძელებდა. ეს განსაკუთრებით შესამჩმევი გახდა, როდესაც იგი უკან დაბრუნდა, ნაზარეთში, თავის ოჯახში. მარიამი შიშობს, რომ მისი ორსულობა მეზობლებმა არ შეამჩნიონ. იგი ხომ ჯერ კიდევ იოსებზე დანიშნულად ითვლება და ამ დროს დაოსრულება სიძვას ნიშნავს. ყველას ვერ აუხსნი, რომ მასში სულიწმინდას გზით უფლის ძალა ჩაბუდდა. ყველა ვერ გაიგებდა საკითხის სირთულეს და მარიამს ბოზად ჩათვლიდნენ. მეზობლე-

ბი მაშინვე გაიხსენებდნენ თუ როგორ დაალევინა მარიამმა ერთ ცხელ საღამოს ოკუპანტ რომაელ ლეგიონერებს წყალი. სხვა დროს კი როგორ შეუხვია ჭრილობა ახალგაზრდა რომაელ ადვოკატს, რომელიც ებრაელი მძარცველების თავდასხმის მსხვერპლი შეიქმნა. მარიამი კარგად ლაპარაკობდა ლათინურად, რომელიც იერუსალიმის ტაძარში ცხოვრების დროს შეისწავლა, და ამიტომ ზოგჯერ გზა-აბნეულ რომაელი ჩინოვნიკებს რჩევა-დარიგებებს აძლევდა მუშაობის ამათუიმ მომენტში. ერთხელ რომაელებმა მარიამს მადლობის ნიშნად ოქროთი სავსე ქისა გამოუგზავნეს, და ეს ამბავი ნაზარეთელებისათვის ცნობილი შეიქმნა.

მეზობლები მარიამის ქორწინებამდე ორსულობას გარყვნილებაში ჩათვლიდნენ და ამიტომ მას ქვით ჩაქოლა ემუქრებოდა. ეს საშინელი სასჯელი იყო. მსხვერპლს ფართე ორმოს შუაგულში დააყენებდნენ, წაიკითხავდნენ განაჩენს და ორმოს ნაპირზე მდგომი მოსახლეობა სიკვდილმისჯილს ქვებს დაუშენდნენ. ბოზობა დიდი დანაშაული იყო. იგი ოჯახის სიწმინდეს ემუქრებოდა და ბოზებს უეჭველი სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. მარიამი დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

აქ ჩემო პატარა სიცოცხლე ერთი რამეც უნდა ავღნიშნო. თუმცა პაწაწკინტელა ხარ, მაგრამ რომ არ ვთქვა საკითხი ბოლომდე ვერ გაირკვევა“, თქვა იოსებმა და სახლის ბანზე დინჯად გაიარ-გამოიარა, ნილოსის მხრიდან მონაბერ თბილ ნიავს მკერდი მიუშვირა და იესოს ჩააცქერდა, „ჩვენს ქვეყანაში და რომის იმპერიაში ბოზობასთან დაკავშირებით ერთი და იგივე კანონი მოქმედებდა. პროსტიტუცია და გარყვნილება ერთმანეთისგან ფრიად არსებითად განსხვავდებოდა. პროსტიტუცია რომის იმპერიაში და იუდეაშიც პროფესია იყო. პროსტიტუტი ქალები და კაცები გილდიებში იყვნენ გაერთიანებულები ან ინდივიდუალურად ემსახურებოდნენ მშრომელ მოსახლეობას. იმპერია დაქსელილი იყო ბორდელებისა და საროსკიპოების ფართო ქსელით. სოფელ ნაზარეთშიც იყო საროსკიპე და იქ მომსახურე ქალებს ყვე-

ლა გარკვეულად პატივს სცემდა, რადგან ისინი ოფიციალურად მუშაობდნენ და ვაჭრებსა და მოგზაურებს ემსახურებოდნენ, მაგრამ თუ ქალს ოჯახი ჰქონდა ან დანიშნული იყო, მისი არაოფიციალური სექსუალური ცხოვრება გარყვნილებაში ჩაითვლებოდა, რაც სიკვდილით ისჯებოდა. სწორედ გარყვნილებაში ანუ ბოზობაში დადანაშაულება ემუქრებოდა მარიამს, რამაც ძალიან დამადარდიანა, როდესაც ეს ამბავი შევიტყე.

მარიამზე ნიშნობის მე-6 თვეს საცოლის მოსანახულებლად ნაზარეთში ჩავედი, რომელიც ელისაბედთან სტუმრობისა და იოანეს წინდაცვეთის შემდეგ ნაზარეთში ახალი დაბრუნებული იყო. მე საკმაო ფული მქონდა შეძენილი და იქვე ნაზარეთში სახლის შეძენასა და მარიამზე დაქორწინებას ვაპირებდი. შევედი მათ ოჯახში ვინახულე და ვესაუბრე მარიამის მშობლებს იოაჰიმსა და ანნას, მაგრამ მარიამი არ მოდიოდა ჩემს სანახავად. არც სადილზე გამოჩნდა. მე მისი ნახვა მოვითხოვე და აღელვებულმა სახლში სიარული დავიწყე. იოაჰიმი ჩუმად იჯდა და ოხრავდა, ანნამ კი წინ გადადგომა მოინდომა. ხელით ნაზად ჩამოვიცილე და მარიამის ძებნა გავაგრძელე. ბოლოს იგი ეზოში, ქურასთან მდგარი ვნახე. მარიამის მუცელი გადიდებოდა და სახეზეც შეცბუნება ეტყობოდა. რეტი დამესხა და უფალს შევღაღადე:

„ჩემო დიდო უფალო, ჩემო შემქმნელო და დამკვალიანებელო, თავდაპირველად ამ ქალის ცოლად მოყვანა არ მინდოდა, რადგან ჩემს შვილებზე უმცროსი იყო. შენ მიბრძანე ცოლად მომეყვანა იგი და მე დაგთანხმდი. ახლა კი რა თვალით შეგხედო? ტაძარში ქალწული კოკორი იყო, ქალწული დამინიშნე საცოლედ, ახლა კი თითი არ დამიკარებია და ორსული გახდა და მაინც ცოლად მოვიყვანო? ვინ მიყო ეს? ვინ მომატყუა? ვინ შეაცდინა კოკორი მარიამი? ვინ შემომიგდო სახლში ბოროტება? ადამის ისტორია ხომ არ განხორციელდა ჩემს თავს?

ჩემო ყოვლისშემძლე უფალო! მე, როგორც ფრიად აღელვებული კაცი ვბედავ და გახსენებ, რომ როდესაც

ადამი დიდების მწვერვალზე იყო და შენს ზეციური საქმეებისათვის ემზადებოდა თავისი ცოლი ევა, ცოტა ხნით მარტოდ დატოვა და საჭირო საქმეზე გვერდით, ბუჩქებში გავიდა. ამ მცირე დროის განმავლობაში ევა გველმა-სატანამ შეაცდინა. ზუსტათ იგივე მანერაში ისტორია ჩემს მიმართ განხორციელდა“, ამას ეზოს ქვიშაში თავდამხობილი ვგოდებდი“, როგორ მოხდა რომ იერუსალიმის ტაძრის წმინდა კედლებში განათლება მიღებულმა ქალმა, რომელსაც ანგელოზები საკუთარი ხელიდან აძლევდნენ საკვებს ასეთი რამ ჩაიდინა? ესე იგი სწორია ის ჭორი, რომ მარიამი რომაელმა ლეგიონერებმა შეაცდინეს?“

ამასობაში ჩემი სათაყვანებელი მარიამი ცხარე ცრემლებით გოდებდა და ამტკიცებდა, რომ მას კაცის ხელი არ შეხებია, რომ მასში უფლის სულია ჩასახლებული.

„არქანგელოზი გაბრიელი ჯერთ ელიზაბეტს ესტუმრა, შემდეგ კი მე და ასე დავორსულდი“, დაბეჯითებით აცხადებდა მარიამი.

აბა ვინ დაიჯერებდა ასეთ სისულელეებს? შიშმა შემიპყრო, რადგან მომავალი ძალიან დამებურა. საცოლის სახლიდან ბარბაცით გამოვედი, გავიარე ნაზარეთის მტვრიანი ქუჩები, გავედი სოფლის გარეთ, ავედი ჯაგნარით დაფარულ ბორცვზე და ჩავფიქრდი თუ რა ხდებოდა ჩემს თავს.

აი რა იყო ჩემთვის ცნობილი:

„უფლის სახელით ყვავილებში ჩამალულმა მტრედმა, რომელიც საკურთხევლის უკან იჯდა და მღვდელმთავარმა რეუბენმა თავისი პირით მითხრა, რომ ქალწული მარიამი ცოლად მომეყვანა. მე სუსტი წინააღმეგობა გავუწიე, მაგრამ რეუბენმა მიბრძანა, რომ უფლის ნებას დავმორჩილებოდი, რადგან წინააღმდეგობის შემთხვევაში სასტიკად დავისჯებოდი.

ახლა მარიამი ორსულად იყო და ამის მიზეზი მე არ ვიყავი. მე მქონდა სრული მიზეზი რომ ქორწინება ჩამეშალა. მაგრამ იყო სერიოზული წინააღმდეგობები. თუ მე გავახმაურებდი მარიამის დანაშაულებრივ ორსულობას და ქორწინებას ჩავშლიდი, მარიამს დიდი სასჯელი ელოდა.

მას როგორც გახრწნილ ქალსა და ბოზს ქვებით ჩაქოლავდ-ნენ. თუ მოვლენები ამ გზით განვითარდებოდა მე უფლის წინაშე დამნაშავე ვიქნებოდი, რადგან ჩვენმა დიადმა უფალ-მა იერუსალიმის ტაძარში გამოზრდილი და დაქალებული კოკორი ჩამაბარა, რომელსაც ვერ მოვუარე ჯეროვნად და ჩემს ხელში გაბოზდა.

მაგრამ თუ დავუშვებდი რომ მომხდარა არნახული და გაუგონარი სასწაული და მარიამს სექსუალური კავშირი ჰქონდა ანგელოზთან და მე როგორც საქმრო განვაცხადებდი, რომ ამ საქმეში არაფერ შუაში არ ვიყავი, საზოგადოება ამას სწორედ ვერ გაიგებდა და მე რქებდადგმული თხა გამოვდიო-დი, ფაქტიურად კი უფლის უბიწო კოკორის დისკრედიტაციას გავაკეთებდი, რაც ძალიან დიდი ცოდვა იქნებოდა.

ამავე დროს თუ მარიამის ორსულობაზე თვალებს დავხ-უჭავდი და მას ცოლად მოვიყვანდი, დაბადებული ბავშვი ნაბიჭვრად ჩაითვლებოდა. იგი დაიბადებოდა ქორწინებიდან მე-3 თვეს, რაც დიდ ეჭვს გამოიწვევდა, რადგან იმჟამად მარიამი უკვე ორსული იყო და მე-6 თვის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ნაბიჭვარი შვილი პრობლემა იყო, ნაბიჭვარი არ შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს შვილი ან მოქალაქე ყოფილიყო. ნაბიჭვარს შეუძლია იყოს მხოლოდ მონა ან უცხოელი, რომელსაც უფლება არ აქვს ებრაელი ქალი ცო-ლად მოიყვანოს, რადგან ქორწინებისათვის ორი ებრაელი მოწმეა საჭირო. ამ სიყალბეზე კი არც ერთი რაბინი არ წავა.

რა უნდა მექნა? ვიყავი ორ ცეცხლს შუა. ერთის მხრივ, იყო ჩვენი დიადი უფლის ნება და მეორეს მხრივ, ებრაული საზოგადოების სამართლებრივი წესები.

გადავწყვიტე მარიამის გაშვება და მასზე უარის თქმა, რაც მის უცილებელ განადგურებას გამოიწვევდა. იმ დროს დანიშნულები დაქორწინებულებად ითვლებოდნენ და ნიშ-ნობის გასაუქმებლად გაყრა მოეთხოვებოდათ. მე გადავ-წყვიტე ფარული გაყრა გამეკეთებინა, რათა იქნებ მარიამი გადამერჩინა. ამავე დროს, იმედი მქონდა, რომ უფალი თავ-ის ნებას მაჩვენებდა და ხსნის გზაც გამოჩნდებოდა.

ამიტომ ჩემო კარგო ბიჭუნა, მე, იოსებმა გადავწყვიტე, რომ საცოლის სახლში არ დავბრუნებულიყავი და ღამე ნაზარეთის გარეთ ძროხების ბოსლების უკან გამეთია. მართლაც რომ მოუსვენარი ღამე გამოდგა. ვერ ვიძინებდი. ქვის უკან ვიწექი და მუდმივად გვერდს ვიცვლიდი. ბოლოს ოდნავ ჩამთვლიმა თუ არა უფლის არქანგელოზი გაბრიელი გამომეცხადა და მითხრა:

„იოსებ ნუ ღელავ! ნუ გეშინია მარიამის ცოლად მოყვანა, ვინაიდან ვაჟი, რომელიც მას უნდა ეყოლოს, ღმერთმა მისცა. მას იესოს დაარქმევთ, რომელიც ხალხს გადაარჩენს და მათ ცოდვებს გამოისყიდის“.

გულზე მომეშვა. მაშინვე გამოვიღვიძე. პატარა ბოჩოლა მოსულიყო ჩემთან და ლოყებს მილოკავდა. მომეჩვენა, რომ იგი ღვთის ხბო იყო. ბოსლებს შემოვურბინე სერზე ავირბინე და დღევანდელი ღამესავით ვარსკვლავებით მოჭედილი ცისქვეშ ჩვენი დიადი უფლის სადიდებელი ლოცვა აღვავლინე, რომელმაც ასეთი დიდი პატივი დამდო, სპეციალური ანგელოზი მაახლა, გზა მაჩვენა და ქალწული მარიამი გადაარჩინა“.

იოსები თვალებდაჭყეტილი იესოს დააკვირდა:

„ასე რომ ჩემო სწორუპოვარო პაწიავ, შენი დაბადება ძალიან დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ბევრმა მოინდომა შენს საქმეებში ჩარევა, მაგრამ უფლის ნებით ყველაფერი ძნელად, მაგრამ მეტად საინტერესო გზით წავიდა. აბა ახლა დაბლა ჩავიდეთ და დავიძინოთ. სადაც არის მამალი იყივლებს და თუ რა მოხდა შემდეგ თუ შენი სურვილი იქნება ხვალ მოგიყვები“, თქვა იოსებმა და მეორე სართულისაკენ მიმავალ კიბეზე დაეშვა. ახლა იგი თავს უკეთესად გრძნობდა, რაც პატარა იესოს საუბარი დაუწყო, ამ ამბების თავს და ბოლოს უკეთესად გაუგო.

ღამე მეოთხე

შემდეგ დღეს იოსები სისხამ დილიდან ჩვეულებისამებრ მუშაობას შეუდგა. მის პირველ სართულზე მოთავსებული სადურგლო სახელოსნო მშვენივრად იყო მოწყობილი. საგულდაგულოდ დაგვილ და მორეცხილ იატაკზე მტვრის ნასახიც არ იყო. ეთიოპიელი მუშა მუყაითად მუშაობდა და იოსებიც ხალისიანად შეუდგა საქმეს. ცხოვრების მომავალი ნაკლებად აშინებდა, საქმე გადასარევად მიდიოდა და, რაც ყველაზე მთავარი იყო, ოჯახი დაპურებული ჰყავდა.

სადილის შემდეგ იოსებს მაღალი, გამხდარი, შუა ასაკის ღირსეული შეხედულების ბერი ესტუმრა. ეს ნიკოდიმოსი იყო, კუმრანის უდაბნოში განლაგებული ლეგენდარული ესენელების სექტის ალექსანდრიის ფილიალის წარმომადგენელი. იგი უკვე ორჯერ შეხვდა იოსებს და ახლაც განსაკუთრებული მისიით ესტუმრა.

„მშვიდობა შენ და შენს ოჯახს“, თქვა ნიკოდიმოსმა და სახელოსნოს კუთხეში გადაყირავებული სამფეხა სკამი გადმოაბრუნა და ჩამოჯდა.

„მშვიდობა და უფლის მადლი არ მოგაკლდეს შენ და შენს დიდებულ სათვისტომოს“, იოსები რომელიც მაგიდას რანდავდა, სამუშაოს მოსცილდა, მოსულს მიუახლოვდა და გულთბილად მიესალმა.

ესენელები განსაკუთრებული ხალხი იყო. ისინი იშვიათი ჯანმრთელობითა და პატიოსნებით იყვნენ ცნობილნი. მათ ფარისევლებთან და სედუსელებთან შედარებით მეტად მგზნებარე ღვთის სიყვარული ჰქონდათ. ისინი „ზადოკის“ შვილებად თვლიდნენ თავს და ღმერთის შეუპოვარი, თითქმის ფანატიკური მიმდევრები იყვნენ. მათი გონებრივი ჰორიზონტი და სულიერი სისპეტაკე მეტად განსაცვიფრებელი იყო.

ესენელებს ღრმად სწამდათ სამყაროს აპოკალისფური დასასრულის შესაძლებლობა. მათი აზრით სამყარო ორ ბანაკად „სინათლისა და სიბნელის შვილებად“ იყოფიან. მათ შორის ცხოვრების ყველა სფეროში გამუდმებული ბრძოლა

მიმდინარეობს. ამ ბრძოლებს სინათლის პრინცი და სიბნელის ანგელოზი ხელმძღვანელობენ. გადამწყვეტი ბრძოლა განკითხვის ჟამს სინათლის პრინცის გამარჯვებით დასრულდება. ამ ბრძოლების დროს უფლის მიერ შექმნილი სამყარო ძირფესვიანად შეირყევა და შეიცვლება. ესენელები ამისთვის საგულდაგულოდ და გამუდმებით ემზადებიან. იწმინდებიან სულიერად, აწრთობენ საკუთარ სხეულს. ამრავლებდნენ და ინახავდნენ ყველა იმ ხელნაწერებს, რომელზედაც ხელი მიუწვდებოდათ. ესენელები განსაკუთრებული ჯანმრთელობითა და პატიოსნებით გამოირჩეოდნენ. სწორედ მათზე თქვა გამოჩენილმა ებრაელმა სამხედრო მოღვაწე და ისტორიკოსმა იოსებ ფლავიუსმა, რომ „ესენელები ჩემპიონები არიან მეგობრობაში“. ისინი უფლის ჯარისკაცები იყვნენ. ესენელები საბოლოოდ რომის ლეგიონერებმა გაანადგურეს, მაგრამ მათი ნაშრომების ნაწილი მრავალი საუკუნის შემდეგ მკვდარი ზღვის სანაპიროების გამომშრალ გამოქვაბულებში ჩაფლული ნახეს.

ნიკოდომოსიც უპატიოსნესი და ღვთის ღრმად მოშიში „ჯარისკაცი“ იყო.

„გუშინ ძალიან მაღალი რანგის ანგელოზი ცხადად მეწვია“, თქვა ნიკოდიმოსმა, „მან მითხრა, რომ შენთან ცხოვრობს პატარა ბიჭი, იესო, რომელიც ესაიამ მოიხსენია. იგი როგორღაც გამოისყიდის კაცობრიობის ცოდვებს, აპოკალიფსის წინ და მის განმავლობაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს“.

იოსები შეკრთა. იგი ძალიან ფრთხილი იყო იესოსთან მიმართებაში, ნიკომედიასთან კი არაფერს შიშობდა. ამ კაცს მთლიანად ენდობოდა.

„ჩემო ნიკოდიმოს“, თქვა იოსებმა, „მართალი ხარ. ვგრძნობ, რომ ჩემს შვილში საიდუმლო მისიაა ჩაბუდებული. იქნება იგი მესია თუ არა, არ ვიცი. მესია ხომ დაუმარცხებელი უნდა იყოს და ეს ამბავი საბოლოო შედეგების შემდეგ ირკვევა, მაგრამ ის გარემოება, რომ იესო განსაკუთრებულია, ეს ნათელია“.

„ბედნიერი მამა ხარ იოსებ, მაგრამ ეს პასუხისმგებლობასაც გმატებს. ძნელი ცხოვრება მოგელის. ასეთია შენი ხვედრი. მე მოვედი შენთან, რომ მეთქვა შენი დიდი როლის შესახებ და მორალურად მხარი დამეჭირა შენთვის“, თქვა ნიკოდიმოსმა და გააგრძელა, „ესენელებმა იციან, რომ ადრე თუ გვიან „სინათლის პრინცი“ გამოჩნდება, მაგრამ მათ ჯერ არ იციან რომ იგი შენი შვილია. გავა დრო და შენი შვილის წინამორბედი და სულიერი მეკვლე იოანე ჩვენთან მოვა და გზას გაუკვალავს იესოს. კარგი იქნებოდა, თუ იესოც, თავისი დიდი მისიის შესრულების წინ ჩვენთან მოვა. ახლა ნება მიბოძე ვნახო ჩვენი შესანიშნავი ბიჭი და გავაგრძელო ჩემი საქმე“, დაასრულა თავისი საუბარი ნიკოდიმოსმა.

ამის შემდეგ ორი ღირსეული მამაკაცი იესოს სანახავად მე-2 სართულზე ავიდნენ და ჰამაკს მიუახლოვდნენ. ნიკოდიმოსმა მარიამის მიერ მიწოდებულიო წითელი ღვინით სავსე თასით იესო დალოცა და მალევე დატოვა იოსების სახლი.

იოსებმა საღამომდე მეტად კმაყოფილმა იმუშავა. დაღლას აღარ გრძნობდა. თანდათან მის გარშემო არსებული გაურკვევლობა და ბურუსი ქრებოდა. იგი მეტად დიდი საიდუმლოებებით მოცული ამბების შუაგულში იმყოფებოდა და ეს ძალებს მატებდა.

„მარიამ! ძვირფასო. აი ხომ ხედავ რა მისიაში გავეხვიეთ“, თქვა იოსებმა ნიკოდიმოსის წასვლის შემდეგ, „აღარ ვიცი როგორ მოვიქცე, მაგრამ უფალი ანგელოზების სახით გზას გვაჩვენებს, და ეს გარემოება იმედით აღმავსებს“, სიხარულით თქვა იოსებმა და მუშაობა გააგრძელა.

შუაღამისას მძინარე იოსებს მარიამი მიუახლოვდა, გააღვიძა და უთხრა:

„იოსებ გაიღვიძე, დრო არის ბიჭს ესაუბრო, იგი ელოდება შენს საუბარს“.

იოსები გამოფხიზლდა, ფოსტლებში ფეხები წაყო და იესოს მიუახლოვდა. მღვიძარე ბიჭი ხელში აიყვანა და მიესიყვარულა.

„ჩემო იესო, ჩემო მარგალიტო, მელოდები? მაშ წავი-

დეთ ერდოზე და გავაგრძელოთ ჩვენი გუშინდელი საუბარი, რომელიც ვინ იცის რამდენი ხანი გაგრძელდება“, თქვა იოსებმა და სახლის ბანისაკენ მიმავალ კიბეს ფრთხილად აუყვა. მარიამმა მეუღლესა და ბავშვსაც ჩინეთიდან ახლად ჩამოტანილი აბრეშუმის თხელი მოსასხამი მოასხა და თავისი ტახტისაკენ შებრუნდა. ისიც დიდი გულისყურით შეჰყურებდა პატარა ბიჭის ფანტასტიკურად სწრაფ გონებრივ განვითარებას.

იოსები ბანის შუაგულში შესდგა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გახედა, ორიონის თანავარსკვლავეთსაც გახედა და დაიწყო.

„გუშინ ჩემო პატარა ბიჭიკო მითხარი, რომ შენი დაბადება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. დღეს მინდა კიდევ ერთ სირთულეზე მოგითხრო: ეს არის მაგალითი თუ როგორ არ უნდა მოიქცეს სიდედრი, რომელიც ასევე უფლის მიერ იყო დაჯილდოებული ქალიშვილის ანუ მარიამის დაბადების უნარით, მიუხედავად ამისა იგი უნებლიედ თუ შეგნებით თავისი ქალიშვილისა და სიძის, ანუ ჩემს წინააღმდეგ გამოვიდა, რაც კინაღამ კატასტროფით დასრულდა. რომ იტყვიან წკიპზე ვეკიდე.

მართლაც მარიამის დედა, ანნა მწერლებთან მივიდა და თქვა: „იოსებს ჩვენი ქალიშვილი მარიამისათვის ქორწინების ვადის, ანუ ერთი წლის განმავლობაში თითის დაკარების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ აი ნახავთ რა ხდება! დანიშვნიდან 6 თვის შემდეგ ჩვენი უბიწო ქალიშვილი ორსულად არის, ხოლო ქორწინების ვადის გასვლამდე კი კიდევ ექვსი თვე არის დარჩენილი.

გადამწერი ჩაფიქრდა და თქვა:

„ძალიან რთული და საჭირბოროტო საკითხია. მის გადაუჭრელად ჩემი ავტორიტეტი არ ყოფნის. საჭიროა სწორი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ სჯობს მღვდელს ან რაბაის მიმართოთ.

ამის შემდეგ ბებიაშენი ანნა მღვდელთან მივიდა და უთხრა: „იოსები, რომელსაც ასეთი დიდი პატივი დასდეთ,

დამნაშავეა. მან წაბილწა ჩვენი ქალწული, რომელიც უფლის ტაძრიდან უბიწო კოკორი მიიღო. და ეს უღირსი საქმე მან ჩაიდინა დანიშვნისა და ქორწინების ვადებს შორის რითაც დაარღვია ისრაელის შვილების წესი“.

იერუსალიმის ტაძრის მღვდელი ღრმად ჩაფიქრდა და შემდეგ კი თქვა:

„იოსებმა ნამდვილად ჩაიდინა ეს უღირსი საქმე?“

„თუ თქვენ გაგზავნით თქვენს ავტორიტეტულ მსახურს ჩვენს სახლში, ნაზარეთში, სადაც ჩვენი ქალიშვილი ცხოვრობს დარწმუნდებით, რომ ჩვენი ქალიშვილი მარიამი, რომელიც უბიწო უნდა იყოს, შვილს ელოდება“.

მღვდელმა ტაძრის ხარჯით ნაზარეთში ავტორიტეტული მაცნე-მაძიებელი გაგზავნა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა იერუსალიმში და დაადასტურა, რომ უფლის უბიწო ქალიშვილი მარიამი, იოსების საცოლე, ორსულად არის.

ამის შემდეგ მღვდელმა საქმე საჯარო სასამართლოს გადასცა, სადაც ორივე დანიშნული იოსებიც, როგორც მეფე დავითის ჩამომავალი და მარიამი, როგორც უფლის უბიწო ქალიშვილი დაიკითხნენ.

სასამართლოზე მღვდელმა, რომელიც ბრალდებლის როლს ასრულებდა, მარიამს ჰკითხა:

„რატომ ჩაიდინე ეს მარიამ? რატომ წაიწყმიდე სული? რატომ დაივიწყე რომ აღიზარდე წმინდა ადგილას, იერუსალიმის ტაძარში, როგორც ჩვენი დიადი უფლის კოკორი, იღებდი საკვებს მხოლოდ ანგელოზების ხელიდან, მათთან ერთად მღეროდი ღვთის სადიდებელ სიმღერებს. ვინ იყო რომ ტვინი ასე გადაგიბრუნა და უფლისა და სამშობლოს წინააღმდეგ წახვედი?“

დედაშენი ცრემლად იღვრებოდა, და აცხადებდა, რომ იგი ღვთის ერთგული მსახურია და მოყვარულია, რომ კაცის თითი მას არ დაკარებია. თუმცა, იგი ორსულად არის, მაგრამ იგი უბიწოა ღვთის და სამღვდელოების წინაშე.

„მაშ როგორღა დაოსრულდი?“ იკითხა მღვდელმა.

„წმინდა სულმა დამაორსულა“, მამაცად განაცხადა მარიამმა.

მარიამის ამ განცხადების შემდეგ სასამართლო დარბაზი აჩოჩქოლდა, არავინ იჯერებდა მოვლენების ასეთ განვითარებას.

„ძალიან ძლიერი განცხადებაა“, თქვა მღვდელმა და დასძინა, „მაგრამ ყოველთვის ვიქნები უფლის თავმდაბალი მსახური“,

ამის მერე ვთქვი:

„მე უდანაშაულო ვარ. მარიამს არც დანიშვნამდე და არც მერე არ შევხებივარ, მათ სახლში ღამე არ გამითევია. საზღვარგარეთ სახლის მშენებლობაზე ვმუშაობდი და ველოდებოდით ქორწინებას, რომლის შემდეგ ნაზარეთში დასახლებას ვაპირებდი“.

„ტყული არ თქვათ. ილაპარაკეთ მხოლოდ სიმართლე. ჩვენი უძლეველი უფალი, წმინდა სულის სახით თვალყურს გვადევნებს და მის მითითებებს უნდა დავემორჩილოთ“, თქვა მღვდელმა და მოსამართლეს შეხედა.

მე ჩუმათ, თავდახრილი ვიდექი. ვგრძნობდი, რომ უკვე მერამდენედ უფლის რისხვა მიახლოვდებოდა და ვცდილობდი გავრკვეულიყავი თუ სად დავუშვი შეცდომა, თუ რატომ ჩიოდა და მასამარებდა მარიამის ანუ დედაშენის დედა, ჩემი სიდედრი, რატომ მითხრიდა ძირს ისრაელის უმაღლეს ავტორიტეტთან, სოლომონის ტაძრის მღვდელთან და სანჰედრინის სასამართლოსთან.

მცირე პაუზის შემდეგ მოსამართლემ ბრძანა:

„იოსებ! შენ უნდა აღადგინო ტაძრის ღირსება და დაუბრუნო უკან მას უბიწო ქალიშვილი, როგორიც იყო მარიამი სანამ შენ მას იქიდან წაიყვანდი“.

ეს საშინელი ვერდიქტი იყო. ჩემო ძვირფასო იესო! პირველად ჩემს ცხოვრებაში ცხარე ცრემლებით ავქვითინდი. როგორ უნდა დამებრუნებინა უბიწო ქალიშვილი უკან ტაძარში, რომელიც ახლა მე-7 თვის მუცელგაბერილი ორსული იყო? რატომ ხდებოდა ჩემს თავს ასეთი უბედურება? ჩემს გარშემო სასიკვდილო წრე იკვრებოდა. ჩემი წინათგრძნობა მალევე ახდა, როდესაც მღვდელმა თქვა:

„სასამართლოს გამოცდის თანახმად თქვენ ორივემ, ახლად დანიშნულმა მარიამმა და იოსებმა უნდა დალიოთ „უფლის წყალი“ და თქვენი ცოდვები მაშინვე წარმოჩინდება“.

ამის შემდეგ მოსამართლის მარჯვენა ხელმა, რომელიც სასჯელაღსრულების საკითხებს ხელმძღვანელობდა „უფლის წყლით“ აავსო მომცრო თასი, რომელიც სხვა არაფერი იყო თუ არა უძლიერესი „საფაღარათო“. „უფლის წყალი“ იმოქმედებდა თუ ეჭვმიტანილი დამნაშავე იყო. იგი რამდენიმე წუთის შემდეგ ფაღარათად იქცეოდა, ხოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სულს ვერ მოითქვამდა, რის შემდეგაც როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე „გამოსაცდელი“ კვდებოდა ან თუ გაუმართლებდა ცხოვრების ბოლომდე ინვალიდი ხდებოდა. საწინააღმდეგოდ ამისა თუ ეჭვმიტანილი უდანაშაულო იყო „უფლის საფაღარათო წყალი“ მას ვერაფერს დააკლებდა, რაც მისი უდანაშაულობის დასტური იყო.

მე და მარიამმა გულისფანცქალით შევსვით „უფლის წყალი“. მღვდელმა და სასჯელაღსრულების ექსპერტმა საგულდაგულოდ აგვწონეს და მთებში გაგვაგზავნეს, საიდანაც მეორე დღეს ჩამოგვიყვანეს და კვლავ წავდექით სასამართლოს წინაშე. ისევ აგვწონეს. ყველა დარწმუნდა, რომ „უფლის წყალმა“ ვერაფერი დაგვაკლო. იგივე წონა გვქონდა და იგივე ფერი. „საფაღარათომ“ ჩვენზე ვერ იმოქმედა და ცხადი გახდა ყველასთვის რომ ჩვენ უდანაშაულონი ვიყავით.

მოსამართლემ დაუყოვნებლივ გაგვანთავისუფლა. მე და მარიამი წავედით მის სახლში ნაზარეთში. გახარებულები ვიყავით, რადგან უფალი ნამდვილად გვფარავდა. სახლში სიდედრი ანნა, თითქოს არაფერიაო კარებში შემოგვეგება. მე სიდედრს ასეთი სიტყვებით მივმართე:

„ქალბატონო ანნა! თქვენს მეუღლეს იოაჰიმს ძალიან დიდ პატივს ვცემ, როგორც უპატიოსნეს კაცს, რომელიც სირცხვილს გაექცა და ცხვარში გავიდა საცხოვრებლად, რადგან მღვდელმთავარი ისაჰარი უტაქტოდ მოექცა. იოაჰიმს ძალა ეყო და ისაჰარის ბოროტებას სიკეთით უპასუხა.

ყველაზე დიდად სიკეთით გადახდილი შურისძიება ფასობს. ძალიან ადვილია ბოროტებას ბოროტებით უპასუხო. ეს ყველა გამვლელს შეუძლია გააკეთოს. რჩეულთა ხვედრია ბოროტებას სიკეთით უპასუხო. შენი სიკეთით უნდა გაანადგურო ბოროტება. ეს არის შურისძიების დიდება. და აი თქვენი დიდებული მეუღლე ისაჰარს საყვედურის მაგივრად მადლობას უხდის და მალე დიდებული ქალიშვილი მარიამი დაიბადა. მაგრამ ამან ისაჰარს არ უშველა. გვიანი იყო თითზე კბენანი. ისაჰარი სიცოცხლის ბოლომდე შარდად იყო ქცეული. მეც ასე მინდა მოგექცეთ. მინდა მადლობა მოგახსენოთ უსაფუძვლო ბრალდებისათვის და ჩენი სასამართლოზე გაყვანისათვის, რის გამოც კინაღამ ფაღარათად ვიქეცი, მაგრამ უფალი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს, ჩვენ ხომ ადამიანები ვართ და არა კოღო-მწერები. სასამართლოზე დამტკიცდა, რომ თქვენი ქალიშვილისთვის ხელი არ მიხლია და ახლა ვინც დაიბადება დიდი ალბათობით გამოჩენილი პიროვნება იქნება ან ღმერთი და ეს რომ ასე იქნება ამაში მე ღრმად ვარ დარწმუნებული. თქვენ კი ქალბატონო ანნა, გთხოვთ რომ თავს გაუფრთხილდეთ, რადგან რაც ისაჰარს შეემთხვა, ფრიად ჭკუისსასწავლებელია.

ასე რომ ჩემო პატარა ბიჭუნა“, იოსებმა პატარა იესოს ფეხზე შეუღიტინა, „იცოდე რომ თუ ვინმე ცხოვრებაში ცუდს გაგიკეთებს მას მადლობა გადაუხადე, ასე უფრო მოიგებ. მოთმინებით შენითა მოიპოვე სული შენი. თუ ერთ ლოყაზე ხელს გაგარტყამენ, მეორე ლოყა შეუშვირა, ამით თავდამსხმელი იბნევა და უიარაღო ხდება, რითაც შეგიძლია ისარგებლო და სიკეთით გადაუხადო სამაგიერო, რაც სასტიკ დასჯას ნიშნავს, თუ წინ ხიფათი გელოდება ნუ შედრკები, წინ წადი, რამეთუ უფალი გაარჩევს ცუდსა და კარგს, ხოლო დამნაშავეს სასტიკად დასჯის. საერთოდ იცოდე, რომ ჩვენი დიდი უფალი იეჰოვა მამაცების მხარესაა, მშიშრებისაკენ არც კი იხედება, მათ ვერ ამჩნევს, ახლა კი ქვევით, ჩვენს დასაძინებელ ოთახში ჩავიდეთ და მოვისვენოთ. ტურები უკვე აჩხავლდნენ და გველებმაც სისინი ატეხეს,

რაც იმის ნიშანია, რომ კარგ სიზმრებს ვნახავთ, ხვალ კი მოგიყვები ამბებს, რომლებიც უშუალოდ შენს დაბადებას ეხება, რადგან გავა დრო და ეს ამბები მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ამბავი იქნება“, თქვა იოსებმა, პატარა ბიჭი რამდენჯერმე შეაქანავა ხელში და ფრთხილად გაუყვა მეორე სართულისაკენ მიმავალ კიბეებს.

ღამე მეხუთე

შემდეგი დღე პარასკევი იყო და იოსებმა მხოლოდ ნახევარი დღე იმუშავა, ისადილა და მარიამთან ერთად წმინდა შაბათის დღის მოსამზადებელ სამზადისს შეუდგნენ. ეს საქმიანობა მალევე დაასრულეს და შემდეგ კი ერთად დაწვნენ.

ულამაზესი მარიამი მშობიარობისა და მძიმე მოგზაურობის შემდეგ უკვე სავსებით მოკეთდა. ცხოვრებისეული სირთულეები წარმატებით იქნა დაძლეული და მარიამიც სულითა და გულით შეუდგა მეუღლის მოვალეობის სრულად შესრულებას. და ეს განსაკუთრებით იოსების მიმართ ითქმოდა. დღემდე მარიამს კაცის ხელი არ შეხებოდა და ახლა იოსებზე დანიშვნიდან და მერე საიდუმლო ქორწინებიდან თითქმის წელიწადზე მეტი ხნიდან, შაბათი დღის შესაყართან იგი იოსებთან სიმბოლური მეუღლიდან სრულ მეუღლედ იქცა. ორივე გახარებულები იყვნენ და იოსებმა ცოტა ღვინოც კი დალია ძილის წინ.

იოსებს მშვენივრად ეძინა. მერე უეცრად კვლავ არქანგელოზი გაბრიელი ესიზმრა. იოსებმა გამოცდილებით იცოდა, რომ როდესაც გაბრიელი ეცხადებოდა ეს ყოველთვის პრობლემა იყო. ახლაც ასე მოხდა. გაბრიელმა კიდევ ერთხელ შეახსენა იოსებს, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა გაეწია იესოსათვის. არ აეღელვებინა იგი. არ დაესაჯა, ყოველთვის გაგებით მოჰკიდებოდა მის სურვილებს. არ-

ქანგელოზმა გაბრიელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისი პატარა ბიჭი მოგვიანებით ციური მამის ბრძანებების შესრულებას ჯერთ ინსტინქტურად, შემდეგ კი სრული პასუხისმგებლობით შეუდგებოდა, რასაც იოსები „განსაკუთრებული გაგებით“ უნდა მოჰკიდებოდა. იოსებს უნდოდა შეჰკითხოდა გაბრიელს თუ იესოს რომელ საქციელს უნდა მოჰკიდებოდა განსაკუთრებული გაგებით, მაგრამ ძილში იყო და ვერ მოახერხა კითხვის დასმა. ამის შემდეგ იოსებმა მღელვარება და ბორგვა დაეწყო და როგორც ყოველთვის შუა ღამით გამოეღვიძა. იოსები როგორც აღელვებული, ისე მშვიდიც იყო. ცხადი იყო, რომ იგი უფლის გეგმებში იყო ჩათრეული და ამიტომ ცდილობდა რომ უფლის სურვილები წარმატებით შეესრულებინა.

იოსები წამოჯდა, თვალები მოისრისა და გადაწყვიტა წყალი დაელია და იესოსთვის დაეხედა, რომელიც როგორც ძილში, ისე ცხადშიც ბევრი ზეციური და მიწიერი არსებობის ინტერესის ხანაში შეიქმნა.

იოსები მძინარე იესოს დასცქეროდა. ბავშვს სახეზე თითქოს ნიღაბი ეფარა. მის მიღმა გონება გამალებული მუშაობდა. ზოგჯერ ბავშვის სახის ზოგიერთი ნაკვთი შეუგნებლად ათამაშდებოდა ხოლმე. იოსებმა მძინარე ბიჭი ჰამაკიდან ამოიყვანა და ფეხაკრეფით სახლის სახურავზე ავიდა, შეჩვეულ ადგილას ბანის სატკეპნ საგორავებელ ქვაზე ჩამოჯდა და ცას ახედა. უკვე მისთვის ცნობილი მიმართულებით – ორიონის თანავარსკვლავეთისაკენ გაიხედა.

იესოს სახეზე ვარსკვლავები აციმციმდნენ. ბავშვმა თვალები გაახილა და მამას მიაცქერდა, თითქოს მიანიშნა თხრობა დაიწყეო და იოსებმაც დაიწყო:

„იმპერატორმა კეისარ აუგუსტმა ბრძანება გასცა, რომ მთელს იუდეაში მოსახლეობის აღწერა ჩაეტარებინათ. აღწერის მიზანი იყო ზუსტად განესაზღვრათ ხარკის რაოდენობა, რათა განემტკიცებინათ იმპერიის ბიუჯეტი.

ჩემო თვალისჩინო, ჩემო ყველაფრის მცოდნე კარგო ბიჭუნავ, გეტყვი, რომ რომის იმპერია მსოფლიოს უძლიერესი

იმპერიაა. იგი მსოფლიოს მპყრობელია. სადაც რომაელებმა ფეხი დადგეს ყველა ის მხარე აყვავებულია. რომის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა ყოველი ერისათვის დიდი პატივია, მაგრამ ეს ყველას ხვედრი არ არის. თუ ქვეყანა ეკონომიკურად ძალიან ჩამორჩენილია და გეოგრაფიულად ვერ ერწყმის რომის იმპერიას ასეთი ქვეყანა რომს არ სჭირდება. ადრე, ახალგაზრდობაში რამდენიმე კოლხ და კავკასიელ იბერიელ ვაჭარს შევხვდი. მათ ძალიან უნდოდათ რომის იმპერიაში შესვლა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მოსახლეობა გონებრივად არ იყო მზად რომის მოქალაქე რომ გამხდარიყო. ამას იმიტომ გეუბნები, ჩემო პატარავ, რომ ჩვენი სამშობლო იუდეა უკვე ორმცოდაათი წელია რომის კონტროლის ქვეშ არის და ეს საპატიოც არის და პრობლემებსაც ქმნის. ეს ამბები უკეთჲ რომ წარმოვიდგინოთ, მოდი ვთქვათ თუ ვინ იყო აუგუსტუსი.

შენს დაბადებამდე 63 წელს დაიბადა გაიუს ოქტავიუსი. 19 წლის შემდეგ მისი დიდი ბიძა იულიუს კეისარი მოჰკლეს. მალე რომის სენატმა გაიუს ოქტავიუსი რომის იმპერიის ერთპიროვნულ მმართველად დანიშნა და კეისარ აუგუსტის ტიტული უბოძა. იგი 41 წლის განმავლობაში მართავდა და მართავს რომის იმპერიას. ომის ღმერთის ტაძარი ე. წ. „იუნიუსის ტაძარი“ დაკეტილია, რადგან იმპერიაში სრული სიმშვიდე სუფევს. ქვეყანა ყვავის. აბა წარმოიდგინე შენს გონებაში რომ ხმელთაშუაზღვას ყოველი მხრიდან სწრაფმავალი ხომალდები სერავენ. ზოგიერთი გალერის სიგრძე ორასი ფუტი იყო და ათი ათასობით ტონა ხორბალი, ფქვილი და ასობით მგზავრი გადაჰყავს.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ უძველეს ქვეყანა ეგვიპტეში, რომელიც ასევე რომის იმპერიის ნაწილია. ამ ქვეყნის მთავარი ექსპორტი ხორბალია. ამიტომ ამ ქვეყნიდან რომში განსაკუთრებით დიდი ხორბლის მზიდი ლაინერები თვეში ორჯერ მიემართებიან რომის მთავარ პორტ ოსტიაში. რომის იმპერია დაქსელილია სასტუმროების, ფოსტებისა და ბორდელების ფართო ქსელით. აქ ყველაფერი მოსახ-

ლეობის საკეთილდღეოდ კეთდება. წერა-კითხვა იმპერიაში სავალდებულოა. თუ გაუნათლებელი ხარ, რომის იმპერიის მოქალაქე ვერ გახდები. შესანიშნავი სოციალური და საპენსიო პოლიტიკა რომის იმპერიას მეტად მოწინავე ქვეყნად აქცევს. ეს მშვიდობა რომმა ხმლებით იყიდა. რომის ცენტრში საკურთხეველი, „პაქს აუგუსტუსი“ – „აუგუსტუსის მშვიდობა“ აშენდა. რატომ გიყვები ყოველივე ამას ჩემო ბიჭუნა? რაში უნდა გაინტერესებდეს „Pax Augustus“-ი? თქვა იოსებმა, იესოს ყურადღებით დააკვირდა და გააგრძელა, „საქმე იმაშია, ჩემო ბიჭუნა, რომ ჩვენ ახლა ვცხოვრობთ „Pax Augustus“-ის მშვიდობის პერიოდში. რა კავშირი აქვს ახლანდელ მშვიდობასა და იმ მშვიდობას შორის, რომელსაც შენ მალე დაამყარებ? ამჟამად რა ვიცით? უფალმა აუგუსტუსის საპირწინედ გამოგგზავნა შენ, მისი შვილი, რომ ამ მშვიდობას კორექცია გაუკეთო, შეიძლება მოსპო კიდეც ეს მშვიდობა, ხალხის ცოდვები გამოისყიდო და გადაარჩინო კაცობრიობა ჩემო დიდო შვილო, პატარა იესო. მაგრამ ხანდახან ვფიქრობ ასეთ რამეს:

„ვთქვათ არავინ რომ არაფერი არ გააკეთოს და აუგუსტის მშვიდობა შენარჩუნდეს, ხომ იქნება ეს კაცობრიობის აყვავება? ვთქვათ რამდენიმე საუკუნე რომ რომის იმპერია მშვიდობის იმპერიად იქცეს, ხომ იქნება ეს დედამიწის ტოტალური მშვიდობა? დაგროვდება უდიდესი სიმდიდრეები. აღარ იქნებიან ღარიბები, აღარ იქნება ომები, რადგან ომებს იწყებს ღარიბები. მდიდრები ომები არ სჭირდებათ, მაგრამ უფალმა, რომელმაც შენ გამოგაგზავნა უკეთ იცის“, დასძინა იოსებმა და გააგრძელა:

„აუგუსტმა ბრძანება გასცა იუდეას მოსახლეობის აღწერის შესახებ. აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. ჩვენ ებრაელები ვთვლით, რომ ჩვენი კულტურა, რელიგია და ცხოვრების წესი უფრო მაღალი და დახვეწილია, ვიდრე რომის იმპერიის ცხოვრების წესი. ამიტომ არის, რომ ჩვენ, ებრაელები ვცდილობთ რომ რომის უღლისაგან განვთავისუფლდეთ. რამდენჯერმე ავჯანყდით, ველოდებ-

ით ჩვენს მხსნელს, მესიას, რომელიც აუცილებლად ადამიანური წარმოშობის უნდა იყოს, მაგრამ რომის იმპერიის არმია უძლიერესია მსოფლიოში. იგი მთელ ხმელთაშუა ზღვას აკონტროლებს, აკავშირებს კომუნიკაციებს გზებით, ფოსტით, სასასტუმრო მეურნეობებით, სამგზავრო დილიჟანსებით. ჩვენი სამშობლო იუდეა მთლიანად ჩართულია ამ სისტემაში უფლის მიერ მონიჭებული კარგი სავაჭრო ინსტინქტის გამო, ცუდათ არ ვცხოვრობთ. რომის იმპერიის ბიუჯეტი აფინანსებს ყოველივე ამას, არიგებს ხელფასს, პენსიებს, ინახავს ჯარს.

იუდეაში შედეგი სახის სოციალურ-ეკონომიკური სურათი იყო. ხელმძღვანელი კლასი იღებდა ქვეყნის ეროვნული შემოსვლის მეოთხედს. სახელმწიფო კლასი იყო იუდას მოსახლეობის ერთი პროცენტი. ხელმძღვანელი და სახლემწიფო კლასები ერთად იღებდნენ ეროვნული შემოსვლის არანაკლებ ნახევარს.

მომსახურეთა კლასი იყო მოსახლეობის ხუთი პროცენტი. ესენი იყვნენ გადამწერები, ბიუროკრატები, რომლებიც პოლიტიკურ ელიტას ანუ ხელმძღვანელ და სახელმწიფო კლასებს ემსახურებოდნენ.

იყო ვაჭართა სერიოზული კლასი, მაგრამ თუ რამდენი ვაჭარი ჰყავდა იუდას ჯერ-ჯერობით ზუსტად არ ვიცით. მხოლოდ ვიცით რომ როდესაც იუდეა რომის იმპერიაში შედიოდა ხელოსნები მოსახლეობის ხუთ პროცენტს შეადგენდა.

სერიოზული ფენა იყო სამღვდელოება. თავისი მფლობელობის მომსახურე პერსონალით იგი მოსახლეობის 15 პროცენტი იყო.

მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო გლეხობაში. ისინი ძალიან უუფლებო კლასი გახლდათ.

ქვეყანაში იყო უსუფთაოთა და დეგრადირებულთა კლასი, მსგავსი ინდოეთში არსებული „მიუკარებლებისა“. ესენი იყვნენ კარისკაცები და დარაჯები, მაღაროელები, პროსტიტუტკები, მკვდარი ადამიანებისა და ცხოველების უტილიზატორები.

იყო აგრეთვე ე.წ. დამოკიდებულ ადამიანთა დიდი კლასი. ისინი მოსახლეობის 5-10 პროცენტს შეადგენდნენ. ესენი იყვნენ მათხოვრები, კრიმინალები, ხალხი ვინც მოწყალებით ირჩენდა თავს, რამდენადაც მდიდარია საზოგადოება იმდენად მრავალრიცხოვანია დამოკიდებულთა კლასი. მათ როგორც წესი პარაზიტულად ცხოვრების მოყვარულებიც ეტმასნებიან.

და ბოლოს იუდეას მოსახლეობის 0,5 პროცენტი იყო მქადაგებელთა კლასი. მასში შედიოდნენ ჯადოქრები, წინასწარმეტყველები და მესიანელები. მათი ხვედრი მძიმე და საპატიო იყო. დიდებასა და სიკვდილს შორის ერთი ნაბიჯი იყო. თუ წინასწარმეტყველება არ გამართლდებოდა, ყალბ წინასწრმეტყველს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. თუ ხალხს წინასწარმეტყველის სიმართლე არ მოეწონებოდა მას რაიმე მიზეზს მოუგონებდნენ და ან კარგად გაჯოხავდნენ ან ქვებით ჩაქოლავდნენ. მქადაგებლები განათლებული ხალხის ჯგუფი იყო, რომლებიც იუდეაში აუდიტორიას იოლად ნახულობდნენ.

ასეთი იყო იუდეას საზოგადოების ძირითადი ფენები აღწერის დროს.

მე იოსები ბეთლეჰემიდან ვარ წარმოშობილი და უნდა დავბრუნებულიყავი ჩემს საცხოვრებელ ადგილას, სადაც რეგისტრირებული ვიყავი, როგორც ბეთლეჰემის რეზიდენტი. ასე შემეძლო მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობის მიღება და სახელმწიფო ხარკის გადახდა. ამავე დროს, მე ყურადღება უნდა მიმექცია ჩემი ორი ახალგაზრდა ბიჭის საქმიანობაზე, რომლებსაც ასევე თავიანთი ხარკი უნდა გადაეხადათ. მაგრამ რა მექნა მარიამის თაობაზე არ ვიცოდი. დედაშენი მარიამი, ახალგაზრდა ქალი, სიმბოლურად და უფლის ბრძანებით, ასევე ტაძრის სასამართლოს განაჩენით უბინო კოკორი იყო, როგორც ჩემი დაურეგისტრირებელი ცოლი.

მარიამის როგორც ჩემი ცოლის დარეგისტრირება არ შემეძლო, რადგან მაშინვე შევრცხვებოდი. მარიამთან საქორწინო კონტაქტი „კეტუბალი“ ჯერთ მოწერილი არ

მქონდა, რომელიც რაბაისა და ორი მოწმე ებრაელის წინაშე ხდება. მარიამი მე-8 თვის ორსული იყო, რადგან საქმე გახმაურდებოდა, გაირკვეოდა, რომ უბიწო და უქორწინო ქალი, დანიშვნის პროცესში მე-8 თვის ორსული იყო და კანონით კვლავ ქვებით ჩაქოლვა დაემუქრებოდა. ამის გამო მარიამზე დაქორწინება და მისი ხარკის გადახდა, როგორც იმპერატორი აუგუსტუსი ბრძანებდა, არ შემეძლო.

ასევე არ შემეძლო მარიამის, რომელიც ჩემი შვილების ტოლი იყო, გამეფორებინა, როგორც ჩემი ქალიშვილი, რადგან მთელმა ისრაელმა იცოდა, რომ იგი ჩემი ქალიშვილი არ იყო.

ამ რთულ ვითარებაში მარიამის დედამ, ჩემმა მომავალმა სიდედრმა და შენმა ბებიამ, ქალბატონმა ანნამ, კვლავ დაიწყო მეზობლებში სიარული და ლაპარაკი, რომ იოსებმა შესაძლოა ჩემი ქალიშვილი მარიამი შეაცდინაო. მე რომელიც ნაზარეთში ქირით ვცხოვრობდი, ველოდებოდი თუ რას მეტყოდა უფალი ამ სიტუაციაში, რადგან მე თავად ვერ ვხედავდი თუ რა იყო კარგი და რა ცუდი.

მარიამის მამა, ჩემი მომავალი სიმამრი ბატონი იოაჰიმი ძალიან დასნეულდა და ღვინოს მიეძალა. ღამით ნასვამი მე მომადგებოდა და ჩიოდა, რომ თითქოს მისი ცოლი, და შენი ბებია, ქალბატონი ანნა ამტკიცებდა, რომ მე და შენ, იოსები ერთად ვცდილობდით მარიამის სახელის გატეხვას. მე და იოაჰიმმა რამდენიმე ღამე თეთრად გავტეხეთ, ღვინოს ვსვამდით და ვფიქრობდით, თუ რა გვექნა შექმნილ სიტუაციაში. ბოლოს მშობიარობის დროს მოვიდა. მარიამი უკვე რამდენიმე თვე იყო ოთახიდან არ გამოდიოდა, რათა მეზობლების სალაპარაკო არ გამხდარიყო.

ნაზარეთი, ერთი ჩამორჩენილი სოფელი იყო გალელეის პროვინციაში. იქ დაახლოებით ერთმანეთის ახლო ნათესავი ასი ოჯახი ცხოვრობდა და ერთმანეთს მოხარშულს იცნობდნენ.

ამ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში დედაშენს ვუთხარი:

„მარიამ, საყვარელო! შენს ბეთლეჰემში წამოსვლას აზრი არ აქვს. იქ მარტო კაცები რეგისტრირდებიან. მარტო წავალ.

მივალ რომის ადმინისტრაციაში გამოვცხადდები, დავრეგ-ისტრირდები და ერთი კვირის შემდეგ უკან დავბრუნდები. ახლა აღწერა გამოცხადებულია, გზები გადატვირთულია და სასტუმროებშიც ადგილი არ იქნება. დარჩი აქ და შენს ნა-თესავ-მეგობრებთან ერთად და ასევე დედაშენთან ერთად, რომელიც ენას ვერ აჩერებს და მიხედეთ თქვენს თავს, მე კი ჩემს თავს მივხედავ!“

„ვიცი, მაგრამ მაინც შენთან ერთად მინდა წამოსვ-ლა“, მომიგო მარიამმა, „არქანგელოზ გაბრიელის აზრიც ეგ არის“, დაამატა შემდეგ.

„რადგან გაბრიელის აზრიც ეგ არის, ეგრე იყოს“, დავეთანხმე მე და, „თან მუცელიც ძალიან გაბერილი გაქვს“, დავსძინე ბოლოს.

უახლოეს უმთვარო ღამეს ჩემი საყვარელი მარიამი ჯორზე შევსვი და ჩემს შვილ ჯოშუასთან ერთად, რომელიც ერთი კვირით ადრე დასახმარებლად გამოვიძახე, ბეთლე-ჰემის გზას დავადექი. წინ 70 მილი გზა მქონდა ბეთლეჰე-მამდე, იერუსალიმამდე კი 80 მილამდე იქნებოდა.

წასვლის წინ ნასვამი იოაჰიმი მოვიდა და მოგზაურობა-ში შემოერთება მთხოვა. ვირზე იყო ამხედრებული. იოაჰი-მი იმდენად მთვრალი იყო, რომ ვირზე ძლივს იჯდა, თან აცხადებდა: „ანნამ სისხლი გამიშრო და მინდა სიცოცხლის ბოლო დღეები ჩემს საყვარელ ქალიშვილს მარიამს მივუძ-ღვნა, რომელიც ახლა ასეთ საშიშროებაში არის“.

იძულებული გავხდი ამ ღირსეული ადამიანისათვის ამეხსნა, რომ თავად ხეირიანად არ ვიცოდი თუ სად მი-ვდიოდი და ორი ადამიანის მიახლოებით პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ-მეთქი. მე მხედველობაში მქონდა იოაჰიმი და მისი მეუღლე ანნა, რომელიც ეჭვს გარეშეა ნათესავების თანხლებით დამედევნებოდა და ქმრის მოტაცებაში დამდებ-და ბრალს. ამიტომ მარიამის ჯორს ხელი მოვკიდე აღვირში და წინ გავწიე. დღე ტყეებში ვიმალებოდით, ღამით კი მი-ვდიოდით. ვცდილობდი რაც შეიძლება ჩქარა მოვცილებუ-ლიყავი ნაზარეთის ხეპრე სამეზობლოს.

გული საგულეს აღარ მქონდა. იოაჰიმზე ვდარდობდი. ჯერ მღვდელმთავარმა ისაჰარმა გაუშრო სისხლი, ახლა კი ცოლის მსხვერპლი შეიქნა ეს დიდებული ადამიანი.

გზაზე სიფრთხილის ყველა ზომას ვიცავდი, მაგრამ უსიამოვნებას მაინც ვერ ავცდით. მეორე ღამით სამი ყაჩაღი დაგვესხა თავს. კარგად იყვნენ შეიარაღებულები. ორი გზის თავში და ბოლოში დადგნენ, ერთი კი მოგვიახლოვდა და გვითხრა:

„სამნი ხართ. ჩვენც სამნი ვართ. თითო სულში ხუთი შეკელი მოგვეცი, სულ თხუთმეტი შეკელი და ბეთლეჰემამდე ხმას არავინ გაგცემთ. თუ არადა დაგხოცავთ და ფულს მაინც წავიღებთ“. ვინც ამას ამბობდა ღონიერი აგებულების ახალგაზრდა კაცი იყო. განათლებულად მოქმედებდნენ, ცდილობდნენ ამაყად და თავდაჯერებულად მოქცეულიყვნენ, მაგრამ შევატყე, რომ შეუძლებელი იყო, რომ მათაც ისეთივე საბრძოლო გამოცდილება ჰქონოდათ, როგორც მე, რომელსაც ახალგაზრდობაში დურგლობის გარდა რამდენიმე სხვა პროფესიაც მქონდა და ამას გარდა, რამდენჯერმე ნამოგზაურები ვიყავი სპარსეთში, და ორჯერ ვესტუმრე შუა აზიის ქვეყნებსაც, როგორც სავაჭრო ქარავნების მცველი. ჩემს შვილს ჯოშუას და მარიამს ვანიშნე მოშორებით ხის ქვეშ გააჩერეთ ჯორი-მეთქი და ახალგაზრდა ყაჩაღს ვუთხარი:

„მე ვარ იოსები, მეფე დავითის ჩამომავალი, ამჟამად ბეთლეჰემელი დურგალი, მაგრამ ამავე დროს ცნობილი ვარ, როგორც ქარავნების მცველი, მეტსახელი „ზაჰრიმი“. ის გარემოება, რომ სამნი ხართ და მე ერთი არაფერს ნიშნავს. ისე დაგხოცავთ როგორც ბევრი არაბი ყაჩაღი დავხოცე. ამავე დროს კარგად შეიარაღებული ვარ და ყაჩაღებს არბალეტი მივუშვირე. თუ ცოცხლად გინდათ დარჩენა, თავად გადაიხადეთ თვითოეულმა თქვენგანმა ათი შეკელი, სულ ოცდაათი შეკელი, სურსათ-სანოვაგე და იარაღი აქ წინ დამილაგეთ და ეგ გრძელი მოსასხამიც გაიხადე და ცოცხლად გაგიშვებთ და მერე გეცოდინებათ თუ როგორ უნდა „ზაჰრიმზე“ თავდასხმა“.

ამაზე ახალგაზრდა თავდამსხმელმა მომიგო:

„ბატონო! არ ვიცოდით, რომ ასეთი ცნობილი კაცი იყავით, თორემ არ შეგაწუხებდით. ჩვენ დამწყები, შეიძლება ითქვას, ახალბედა ყაჩაღები ვართ, არავის არაფერი უსწავლებია ჩვენთვის. სულ სამად სამი შეკელი გვაქვს და არავისთან არ ვართ გაერთიანებულები. თუ ცოცხლად გაგვიშვებთ, მუდამ თქვენი მადლიერი ვიქნებით“.

„რა გქვია შვილო“, ვკითხე მე.

„ბარნაბა“, მომიგო ახალგაზრდა ყაჩაღმა და დამწუხრებულმა თავი დახარა.

„იმ ორს“, ჩავეძიე მე.

„ზებულონი და სვიმონი“, იყო პასუხი.

„კარგი შვილო“, მოვლბი მე, „ახლა გაპატიებ თავხედობას და გირჩევთ რომ მომავალში რომელ საქმესაც მოჰკიდებთ ხელს, ჯერთ კარგად ისწავლეთ და მერე მიხედეთ საქმეს. რაც არ იცი, არ გააკეთო და რისი მოწოდებაც არ გაქვთ იმ საქმეს გაეცალეთ. თუ ყაჩაღობას აპირებთ უნდა დაარწმუნოთ თქვენი თავი რომ ეს საქმე გიყვართ. თუ საქმე არ გიყვარს გულს ვერ დაუდებ. იყავით თქვენი საქმის პროფესიონალები. ყაჩაღობისათვის მთავარია უტიფრობა, სიმამაცე და იარაღის კარგად მოხმარება, თქვენ გატყობთ, რომ ყაჩაღობისათვის ძალიან ზრდილობიანები ხართ და თეორიული ცოდნაც გაკლიათ. მეტი მუშაობა გმართებთ თქვენს თავზე“, დავაკვალიანე ყაჩაღები და დავძინე, „მე სერიოზულ საქმეზე მივდივარ. ჩემმა საცოლემ უნდა იმშობიაროს და ამიტომ ვერც პრაქტიკულად და ვერც თეორიულად ვერ დაგეხმარებით, თქვენს თავს თქვენ უნდა მიხედოთ“.

„საცოლემ როგორ უნდა იმშობიაროს, გამიგია, რომ მხოლოდ ცოლი მშობიარობს“, უნდობლობა გამოთქვა ბარნაბამ.

მე გამეცინა და ყაჩაღს მივმართე:

„ჩემო ბარნაბა, რაც თავში აზრი მომივიდა შეიძლება სწორია, მაგრამ ყველაფერი კი არ უნდა თქვა. თავს წააგებ, ისე კი გეტყვი, რომ სადღაც სწორი ხარ, მაგრამ აქ უფლის ხელია ჩარეული“, დავასრულე ყაჩაღებთან საუბარი და გზას გავუდექი.

„ჩემო იესო“, ახლა იოსებმა პირდაპირ იესოს მიმართა, „ის ახალგაზრდა გამოუცდელი ყაჩაღი მოგვიანებით რომის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ცნობილი განგსტერი „ბარნაბა“ გახდება. ჩემი შიდა და გარე ხედვით „ბარნაბას“ ბედი შენს ბედს კრიტიკულ მომენტში შეხვდება და ამიტომაც მოგიყევი მასთან შეხვედრის ისტორია.

ჩვენმა პატარა ჯგუფმა მოგზაურობა გააგრძელა და ყაჩაღებთან შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ეს იყო ნიშანი, წინ ბევრი სირთულეები გველოდა, რომლებსაც უფლის დახმარებისა და ჩვენი სიმარჯვის გამოისობით წარმატებით დავძლევდით.

ბეთლეჰემისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ რამდენიმე არსებითი და არაარსებითი სირთულეები შეგვხვდა, რომლებიც უფლის დახმარებით წარმატებით დავძლიეთ და მოგზაურობის ბოლოს მიუახლოვდით.

ბეთლეჰემი პატარა ქალაქი იყო, რომელიც ოდესღაც ჩვენი სახელოვანი მეფის დავითის შვილმა რობოაბომმა მეტად გაამაგრა. იგი იერუსალიმიდან 3-4 მილის დაშორებით იყო განლაგებული და ძალიან ლამაზი ქალაქი გახლდათ. მისი შთამბეჭდავი გარემო ვენახებით იყო სავსე. ასევე შემოგარენი სავსე იყო თხილისა და ქლიავის ბაღებით, მაგრამ გზა ბეთლეჰემისკენ მტვრიან და მშრალ უდაბნოზე გადიოდა.

ასე მივუახლოვდით ბეთლეჰემს, რომლსი მთავარი და კიდევ ორი მომცრო სასტუმრო ხალხით იყო სავსე. ბევრი მათგანი აღწერაში მონაწილე სახელმწიფო მოხელეები იყვნენ, რომლებიც ყველა მოზრდილ მამაკაცს, როგორც აღწერის ობიექტს ისე უყურებდნენ. მათ უფლება ჰქონდათ ნებისმიერი ებრაელი შეეჩერებინათ და პიროვნების დამადასტურებელი საბუთი ან სახლის მფლობელობის აქტი მოეთხოვათ. ამის გამო ჩემთვის უფრო უხიფათო იყო სადმე წყნარი ადგილი მენახა, უფრო ბუნების წიაღში, უცხო თვალისაგან შორს. ამავე დროს მარიამი თითქმის მშობიარობის პირზე იყო.

როგორც ადრე რამდენჯერმე ავღნიშნე წარმოშობით ბეთლეჰემიდან ვიყავი და საგვარეულო სახლიც მქონდა იქ. ამჟამად იქ ჩემი უფროსი შვილი ჯოშუა ცხოვრობდა, თავისი ოჯახით. ჯოშუა ჩემს გამო ნაზარეთში ჩამოვიდა და მოგზაურობაში მეხმარებოდა. მეორე ვაჟიშვილი აბიგაილი კი ფარისეველთა სასწავლებელში სწავლობდა იერუსალიმში. ჩემს სახლში დაურეგისტრირებელი ცოლით ცხოვრება არ შემეძლო. იქ საცოლის მიყვანაც კი არ შემეძლო, რადგან მეზობლებში ერთი მითქმა-მოთქმა ატყდებოდა, რაც რომაელი მოხელეების მოსვლას გამოიწვევდა. ამავე დროს ჩემი უფროსი შვილი ჯოშუა, რომელიც ნაზარეთიდან ბეთლეჰემამდე ჩემთან იყო, ძალიან დაიღალა. ამიტომ იგი დასასვენებლად სახლში გავუშვი, თან დავარიგე თუ როგორ მიეღო მონაწილეობა იუდეას მოსახლეობის აღწერაში, თუ როგორ შეეტანათ სიაში სახლში არმყოფი მამის სახელი.

დავრჩით მარტო მე და მარიამი. ბეთლეჰემიდან სამი მილის მოშორებით შევჩერდით. მარიამს შევხედე. შევატყვე, რომ იგი ტკივილებისაგან ტუჩებს იკვნეტდა. შევწუხდი. აქეთ-იქით გავიხედე. ნახევრად მოხრიოკებული ადგილი იყო. როდესაც ისევ მარიამს შევხედე დავინახე, რომ იგი ამჯერად იცინოდა. გაკვირვებულმა დედაშენს ვუთხარი:

„მარიამ, საყვარელო, როგორ ხდება, რომ ზოგჯერ რომ შეგხედავ ტკივილებისაგან გული მიგდის და ზოგჯერ კი გახარებული ხარ. რაშია საქმე?“

მარიამმა მიპასუხა, რომ მან დაინახა ორი ადამიანი, რომლებიც ჩემგან მოშორებით იდგნენ. ერთი ტიროდა და მეორე იცინოდა, რომ ისინი შესაძლოა ანგელოზები იყვნენ და მათი ასეთი ურთიერთგამომრიცხავი საქციელი რაღაცის ნიშანი იყო.

მე ჯორზე მჯდარ მარიამს მივუახლოვდი. მარიამმა ჯორიდან მიწაზე ჩამოსვლა მთხოვა.

„ძვირფასო. უკაცრიელ ადგილას ვართ. ბეთლეჰემიდან საკმაოდ მოშორებით, რათ გინდა ჯორიდან ჩამოსვლა?“ მივუგე მე.

მარიამმა კვლავ მოითხოვა ჯორიდან ჩამოსვლა. ჩემს გულში ვინც იჯდა, იმანაც იგივე მოითხოვა. მარიამი ჯორიდან ჩამოვსვი. მალე მტირალი და მცინარი ანგელოზების ახლოს გამოქვაბული დავინახეთ და შიგნით შევედით. ამასობაში ჩემი მეორე შვილი აბიგაილი ჩემთან გამოცხადდა. მან ფარისეველთა სკოლაში არდადეგები აიღო. მას ჯოშუაც მოყვა. სახლში ვერ გაჩერდა. გულმა ვერ მოუთმინა. ახლა ყველა ერთად ვიყავით. ბავშვებმა მითხრეს:

„ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც გვითხარი. აღწერაში მონაწილეობა მივიღეთ და შენი სახელი შესაბამის ადგილას ჩავწერეთ, როგორც ქვრივი კაცი ისე მოგიხსენიეთ. ამის გამო შენ, როგორც შვილების კმაყოფაზე მყოფი ადამიანი ისე დაგაფიქსირეს. შედეგად ჩვენი ოჯახი ბევრი გადასახადისაგან განთავისუფლდა“.

ეს კარგი ამბავი იყო და შვილებს ჭკუა-მახვილობა შევუქე. რომაელი მოხელეები მკაცრი და სამართლიანი ხალხი იყო, ამავე დროს მათი პატიოსნების გამო შეცდომაში შეყვანაც იოლი იყო.

იმ ღამით გამოქვაბულში დავრჩი, ცოლს ჩემი ქურქი მოვახვიე, გვერდით მივუწექი. მთელი ღამე ვათბობდი. გაგვახსენდა, რომ ბეთლეჰემი იყო ადგილი, სადაც იაკობის ცოლმა რაჰილმა იმშობიარა და შვა ბენიამინი. შემდეგ რაჰილი გარდაიცვალა და დაკრძალეს ბეთლეჰემის გზის მახლობლად, სადაც დაახლოებითდ ახლა ვიმყოფებოდით. ეს ისტორია კარგად ვიცოდი, რადგან იუდეაში საღვთო რჯულს ყველა ბავშვობიდან სწავლობს. რაჰილის, აბრაჰამისა და იოსების ამბები კარგად ვიცოდი. ასევე გამახსენდა რომ სწორედ ბეთლეჰემში მოვიდა ახალგაზრდა რუთი, მოაბიტელებისაგან და თან ახლდა თავისი კეთილი დედამთილი ნოემინი. ბოლოს ჩვენი დიადი მეფე სოლომონი გამახსენდა, რომელმაც ბეთლეჰემის მიდამოებში ე. წ. სოლომონის გუბეები მიაწყო, რამაც მშრალი და მტვრიანი მიდამო წალკოტად აქცია.

მეორე დღეს ჩემი შვილები და მარიამი გამოქვაბულში

დავტოვე და ებრაელი მეანი ქალის საძებნელად ბეთლეჰემში წავედი, რადგან ჩემი საყვარელი საცოლე თითქმის მშობიარობის პირზე იყო.

მეანი ქალის ძებნის დროს, ბეთლეჰემის ერთ-ერთ მოედანზე იერუსალიმიდან ახლად დაბრუნებული კაცის ლაპარაკს მოვუსმინე. იმ კაცმა გასაოცარი ამბავი თქვა:

„იერუსალიმის სოლომონის ტაძრის ახალმა მღვდელმთავარმა ქაიაფაზმა განაცხადა, რომ ამჟამად ახალი მესია იბადება. იგი ჯერთ არ დაბადებულა, მაგრამ როგორც კი დაიბადება და წინდაცვეთის ცერემონიალს ჩაუტარებენ, მას ენა აეხსნება და თავის დედას მარიამს ეტყვის, რომ იგი არის იესო მესია ანუ ქრისტე, რომელიც ქვეყნიერებაზე გამოჩნდება არქანგელოზ გაბრიელის გაცხადებით. იგი იქნება ღმერთის შვილი და კაცობრიობას მოევლინება, რათა მათი ცოდვები გამოისყიდოს“.

ეს რომ მოვისმინე, ძალიან შევწუხდი, რადგან იერუსალიმიდან ჩამოსულმა კაცმა პირდაპირ დაასახელა მარიამისა და იესოს სახელები, რაც მეტად საშიშს ხდიდა ჩემს მდგომარეობასაც.

„ჩემო პატარა გვრიტო. მინდა ერთ გარემოებაზეც გავამახვილო ყურადღება, რომელიც შესაძლოა ასი პროცენტით შენ შეგეხებოდეს. არ არის გამორიცხული, რომ შენ შესაძლოა იყო მესიის ერთ-ერთი კანდიდატი, თუ მესია არა“, ვთქვი მე და დავსძინე:

„ტერმინი „მესია“, ანუ როგორც ებრაელები ამბობენ „ჰამაშიაშ“ ნიშნავს მირონცხებულს და ეფუძნება ებრაეულ ტრადიციებს მეფისათვის ტახტზე საზეიმოდ ასვლის წინ ზეთის ცხებას! ეს მეფე უძლეველი სარდალი უნდა იყოს, რომელიც ებრაელების მხსნელი და თავისუფლების მიმნიჭებელი იქნება. ეს არის იუდაიზმის რელიგიის ერთ-ერთი საფუძველი. ებრაული ტრადიციით „ჰამაშიაშ“-ს აქვს მკაცრი კრიტერიუმები. თუ „მესიის“, ანუ „ჰამაშიაშის“ გაგება არ ჯდება ამ კრიტერიუმებში, მაშინ იგი „მესია“ არ არის.

„მესიის“ კრიტერიუმები ანუ მოთხოვნები ბევრია. ისინი

მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდნენ. ებრაელი ხალხი ყოველთვის ელოდა „მესიას“ ანუ ხსნას, რომელიც იხსნიდა მას იმ მრავალი საშიშროებისაგან, რომელიც მას ყოველი მხრიდან ემუქრებოდა და ეს გაგება არის როგორც ავღნიშნე „იუდაიზმის საფუძველი“, ხაზი გაუსვა იოსებმა და გააგრძელა:

„ებრაული გაგებით“ მესია ანუ „ჰამაშიაშ“ დიდი პოლიტიკური ლიდერი უნდა იყოს. როგორც იერემია თავისი წინასწარმეტყველების 83 თავის მე-15 პარაგრაფში აღნიშნავს, იგი მამის მხრიდან მეფე დავითის პირდაპირი ჩამომავალი უნდა იყოს. ხშირად ხალხი მესიას დავითის შვილს, ანუ „ჰამაშიაშ ბენ დავითს“ უწოდებენ. მე ვფიქრობ, რომ თუ შენ მესია ხარ, ჩემო კარგო ბიჭო, შენ უნდა კარგად იცოდე შენი გენეალოგია და ამიტომ დღეს მე, ეგვიპტის ცის ქვეშ, ჩვენს დღევანდელ საუბარში შეგახსენებ მას:

„თერაჰი იყო ებრაელი ხალხის მამამთავრის, აბრამის მამა.

აბრამი იყო ისააკის მამა,

ისააკი იყო იაკობის მამა,

იაკობი იყო იუდას და მისი ძმების მამა,

იუდა იყო პერესისა და ზერაჰის მამა, რომელთა დედაც იყო თამარი,

პერესი იყო ჰეზრონის მამა,

ჰეზრონი იყო რამის მამა,

რამი იყო ამინნადაბის მამა,

ამმინადაბი იყო ნაჰშონის მამა,

ნაჰშონი იყო სალმონის მამა,

სალმონი იყო ბოაზარის მამა, რომლის დედა იყო რაჰაბი,

ბოაზარი იყო ობედის მამა, რომლის დედა იყო რუთი.

ობედი იყო ჯესსის მამა,

და ჯესსი იყო მეფე დავითის მამა.

დავითი იყო სოლომონის მამა, რომლის დედა იყო ურიაჰის ცოლი,

სოლომონი იყო რეჰობოამის მამა,

რეჰობოამი იყო აბიჯაის მამა,

აბიჯაი იყო აზას მამა,
აზა იყო იოსაფატის მამა,
იოსაფატი იყო ჯეჰორამის მამა,
ჯეჰორამი იყო უზზიაჰის მამა,
უზზიაჰი იყო ჯოტამის მამა,
ჯოტამი იყო აჰაზის მამა,
აჰაზი იყო ჰეზეკიას მამა,
ჰეზეკია იყო მანასსეს მამა,
მანასსე იყო ამონის მამა,
ამონი იყო ჯოსიას მამა,
და ჯოსიაჰ იყო ჯეკონიასა და მისი ძმების მამა ბაბილონის ტყვეობის დროს.

ბაბილონის ტყვეობის შემდეგ:
ჯეკონია იყო შეალტიელის მამა,
შეალტიელი იყო ზერუბბაბელის მამა,
ზერუბბაბელი იყო აბიუდის მამა,
აბიუდი იყო ელიაკიმის მამა,
ელიაკიმი იყო აზორის მამა,
აზორი იყო ზადოკის მამა,
ზადოკი იყო აკიმის მამა,
აკიმი იყო ელიუდის მამა,
ელიუდი იყო ელიზარის მამა,
ელიზარი იყო მატტანის მამა,
მატტანი იყო იაკობის მამა,
და იაკობი იყო იოსების, ანუ ჩემი მამა, რომელიც როგორც ხედავ არის დედაშენ მარიამის ქმარი.

მარიამი იყო იესოს დედა, რომელიც როგორც ამბობენ შეიძლება იყოს მესია.

მაშასადამე, დედაშენი მარიამი და მე, შენი მამა იოსები ვართ შენი, ანუ იესო ქრისტეს მშობლები.

„ამრიგად, ჩემო პატარა ბიჭუნა, იყო 14 თაობა აბრაჰამიდან დავითამდე, და 14 თაობა დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე და 14 თაობა ბაბილონის ტყვეობიდან იესო ქრისტეს დაბადებამდე“ (მათე 1:2).

ასეთი ვნებათაღელვები იყო ებრაული მესიის ირგვლივ და ამიტომ გიყვები ამას ჩემო პატარა ბიჭუნა. ამავე დროს მესია უნდა იყოს მოსეს კანონმდებლობის კარგი მცოდნე, როგორც ამას ესაია აღნიშნავს თავის წინასწარმეტყველებაში (ესაია 11:2-3) და უნდა ემორჩილებოდეს ათ მცნებას. იგი უნდა იყოს მგზნებარე ლიდერი და თავისი მაგალითით აღაფრთოვანოს თავისი მიმდევრები. ებრაელთა მესია უნდა იყოს უდიდესი სამხედრო სარდალი, რომელიც ისრაელის სასარგებლოდ მოიგებს ყველა საპრობლემო ბრძოლას, უცხოელთა ბატონობისაგან გაანთავისუფლებს ებრაელებს. იმავდროულად როგორც ამას იერემია აღნიშნავს იგი უნდა იყოს შესანიშნავი მოსამართლე, რომელიც ყოველთვის უჩვეულო, მაგრამ სამართლიან გადაწყვეტილებებს მიიღებს და როგორც თორა აღნიშნავს ის რაც ხალხისათვის თითქოს სამართლიანია, იგი ღვთისათვის მიუღებელია და პირიქით.

ამავე დროს, ჩემო პატარა ბიჭუნა, მომავალში შესაძლოა ყველაზე გამოჩენილო პიროვნებავ, გეტყვი, რომ „მესია“ უნდა იყოს ჩვეულებრივი, ადამიანური არსება, არა ღმერთი, ნახევარად ღმერთი, ან ზებუნებრივი ქმნილება. იგი შესაძლებელია ჩვენს გვერდით ცხოვრობს, არ ჩანს, მეტწილად ბიბლიოთეკაში ზის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებას დაიწყებს და ყველა დაინახავს მის მესიანურ, ზებუნებრივ შესაძლებლობებს, რომელიც არა ღვთიურ, არამედ ადამიანურ შესაძლებლობებზე იქნება დაფუძნებული“.

იოსები შეჩერდა. ჩაფიქრდა. ერთი შეხედვით თითის სიგრძე ბიჭს მისთვის უცხო საკითხებზე ესაუბრებოდა, მაგრამ შინაგანი ხმა ეუბნებოდა:

„იოსებ სწორედ იქცევი, ამ ბიჭს სჭირდება შენი მონათხრობი. იგი მისთვის შესაძლოა მეტად საჭირო იყოს“.

იოსებიც იგივეს ფიქრობდა. შინაგანი ხმა და საკუთარი აზრი ერთმანეთს ემთხვეოდა. და იოსებმაც ხელი გააქნია. პატარა ბიჭი ვარსკვლავების ფონზე ჰაერში შეათამაშა და გულში ჩაიხუტა.

„ეჭვი არ მეპარება ჩემო თვალისჩინო, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვართ. გავყვეთ მას და გავაგრძელოთ საუბარი მესიის შესახებ“, შესძახა იოსებმა.

„ყოველ თაობაში იბადებოდა და იბადება მესიის პოტენციის მქონე რამდენიმე პირი, მაგრამ მათი პოტენციის გახსნა მოხდება მხოლოდ შესაბამის დროს და ის იქნება ერთი. და შესაძლებელია ის ერთი შენ ხარ ჩემო ბიჭიკო“.

ახლა კვლავ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ და გავიაზროთ თუ როგორ ვითარებაში დაიბადე. ყოველ ნიუანსს ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ წამდაუწუმ უფლისა და ანგელოზების ხელი იგრძნობა.

მალე მოვნახე ჩემი ნაცნობი იერუსალიმელი წარმოშობის მეანი ქალი, შევსვსი იგი ჯორზე და ერთად გავემართეთ გამოქვაბულისკენ. შუადღეს ოდნავ გადაცილებულიყო, მაგრამ ჯერთ კიდევ ცხელოდა. ერთ მომენტში ცას ავხედე და მეტად დიდი უცნაურობა დავინახე. ღრუბლებში და ცაში მფრინავი ყველა ფრინველი ერთ ადგილას იყვნენ გაჩერებულები. არ მოძრაობდნენ. ახლა აქეთ-იქით გავიხედე. დავინახე, რომ ბევრგან მოსახლეობას სახლის წინ ტაბლა გამოეტანათ. სუფრებიც გაშლილი იყო. მომუშავე ხალხი მაგიდებს შემოჯდომოდნენ, მაგრამ არ ჭამდნენ. გაშეშებულები იყვნენ. ზოგიერთს ხორცი უკვე პირში ჰქონდათ მოთავსებული, მაგრამ არ ღეჭავდნენ. მათ ვისაც ხელები თავისაკენ ჰქონდათ აწეული, ქვემოთ არ უშვებდნენ, მაგრამ ყველას სახე ზეცისაკენ იყო მიმართული.

ამასობაში მე და იერუსალიმელი მეანი ქალი გამოქვაბულს მივუახლოვდით. მზე უკვე ჩასული იყო, როდესაც გამოქვაბულში შევიდით. იგი უფრო მეტად იყო განათებული ვიდრე სანთლებსა და ჩირაღდნებს შეეძლოთ გაენათებინათ. როდესაც მე და იერუსალიმელი მეანი ქალი მარიამს მივუახლოვდით, დავინახეთ ახლადდაბადებული ყმა, რომელიც თეთრ ქსოვილში იყო გახვეული და მარიამის მკერდიდან რძეს სწოვდა. დედა-შვილი გამოქვაბულის ბოლოს კლდეში ნაკვეთ საწოლზე დალაგებულ თივაში იყვნენ მოთავსე-

ბულები. იქვე ჩემი შვილები ჯოშუა და აბიგაილი იდგნენ. მეანე ქალმა თქვა:

„ვინ არის ეს ქალი?“

„ჩემი დანიშნულია“, ვთქვი მე.

„იგი არ არის შენი ცოლი, ბავშვი კი დაბადებულია“. როგორ მოხდა ეს? იკითხა იერუსალიმელმა მეანე ქალმა.

„ჩემო პატარა ბიჭუნა, ხომ ხედავ, ყველა როგორი დაეჭვებით კითხულობდნენ შენს დაბადებას“. მე მივუგე მეანე ქალს, რომ დედაშენმა მარიამმა განათლება იერუსალიმის ტაძარში მიიღო, ხოლო მისი დასრულების შემდეგ ღვთიური მტრედის განცხადებით ჩემზე დაინიშნა ერთი წლის ვადით, მაგრამ მაშინვე დაოსრულდა ღვთიური სულის მიერ. ბავშვის დაბადება და დანიშვნის ვადის გასვლა თითქმის დაემთხვა ერთმანეთს.

„ახლა ჩემო პაწიავ, კიდევ მინდა მოგითხრო ებრაული დანიშვნის ტრადიციის შესახებ, რადგან შესაძლებელია მომავალში შენ მთელს დედამიწის მოსახლეობაზე ებრაული წესით დაქორწინდე.

იუდეაში ქორწინებამდე მიღებულია ქალწულის დანიშვნა, რომელიც წინ უსწრებს ქორწინებას. იგი კარგად არის ჩამოყალიბებული საქორწინო კონტრაქტში. იგი ითვალისწინებს და აანალიზებს სიძისა და საცოლის ურთიერთობას.

საქორწინო კონტრაქტს – ქეთუბალს და ქორწინების მიმდინარეობას არეგულირებს რაბაი. შენს შემთხვევაში ჩემო პატარა ბიჭუნა, შენს ურთიერთობას მომავალში შენს მიმდევრებთან დაარეგულირებს ჩვენი დიდი უფალი იეჰოვა ღმერთი. ჩვენი მამა და მასწავლებელი.

რაბაი იხილავს სიძე-საცოლის ურთიერთობის რამდენიმე საკითხს, რომელთა შორის გამოირჩევა ორი:

1. საქმრო ეტყვის თავის რჩეულს, რომ იგი წაიყვანს მას ცოლად მოსეს კანონებით და ისრაელის ტრადიციებით.

2. ამ ამბის მოწმე უნდა იყოს არანათესავი ორი ებრაელი კაცი, რომლებიც დაამოწმებენ ებრაულ საქორწინო კონტრაქტს ორი ხელმოწერით, რაც რაბაის თანდასწრებით მოხდება.

კონტრაქტში ჩაწერილი იქნება საცოლე არის თუ არა კოკორი-უბიწო, ან ქვრივი, განქორწინებული ან რჯულ-შეცვლილი. თუ საცოლე უბიწოა კონტაქტში ჩაიწერება რომ იგი არის „უბიწო-კოკორი – ადრე არასოდეს გათხოვილი“. თუ ზემოთ მოყვანილი ოთხი პოზიცია არ ემთხვევა რეალობას, კონტაქტში უბრალოდ ჩაიწერება „საცოლე“. საქორწინო კონტრაქტში არ იწერება „ბოზი“, რადგან იგი არ არის ტრადიციული არჩევანი, მაგრამ ჩემო პატარა ბიჭუნა, ჩვენ უნდა მივუთითოთ, რომ უპირატესობა ყოველთვის ენიჭება „უბიწო კოკრებს“, რადგან ამ შემთხვევაში სიძის მიერ გადასახდელი თანხა ორმაგდება, რაც კოკორის ოჯახისათვის ფრიად სასარგებლოა.

საქორწინო კონტრაქტის ანუ საქორწინო ქეთუბლის, როგორც მას ჩვენ ებრაელები ვუწოდებთ, სერიოზული შემადგენელი ნაწილია საურავი, რომელსაც სიძე უხდის საცოლის ოჯახს. საურავი ძველ საუკუნეებში ზოგჯერ იყო კომერციული შეთანხმების ნაწილი. ასე მაგალითად, ჩვენი პატრიარქი აბრაამი იძულებული გახდა თავისი ცოლი სარაჰ დროებით მიეყიდა ფარაონისათვის, მის ჰარემში. საპირისპირო ფარაონმა აბრაამს როგორც საურავი ბევრი საჩუქარი და ფული მისცა, მათ შორის თავისი განთქმული ასული ჰაგარი, რომელიც მოგვიანებით ყველა არაბის დედა გახდა.

ქეთუბალ-ქორწინების ყველა ასპექტი არის რაბაის გარანტის ქვეშ. იგი ყოველ სიტუაციაში იცავს ცოლს. ეს იქნება ქორწინების შეწყვეტის ან განქორწინების შემთხვევაში, სიკვდილის ჩათვლით. სიძე იხდის ნაღდ ფულს განქორწინების შემთხვევაში. ამავე დროს ქმარი თავის მხრივ იღებს პასუხისმგებლობას განახორციელოს თავისი ცოლისათვის სამი მთავარი ოპერაცია: უზრუნველყოს მეუღლე ტანსაცმლით, საჭმელით და ცოლქმრული ურთიერთობებით.

კონტრაქრი იწერება არამეულ ენაზე. ეს არის ამჟამად იუდეას მოსახლეობის სალაპარაკო და სახელმწიფო ენა. როდესაც ქორწინების დრო მოვა, საქმრო მიდის საცოლის სახლში და აცხადებს თავისი სურვილის შესახებ. საცოლე

გამოდის მის შესახვედრად და შეჰყავს იგი თავისი მამის სახლში. საზეიმო ვახშმის შემდეგ საცოლე გამოაცხადებს საქმროს როგორც ქმარს და ასე წარუდგენს ყველას. ისინი ხდებიან მეუღლეები და ამ დღიდან იწყებენ ახალი თაობის შექმნას, რომლის პირველი წარმომადგენელი 9 თვის შემდეგ აუცილებლად ქმრის სახლში უნდა დაიბადოს. ამ პროცესის დარღვევა იწვევს სირთულეს, რაც შეიძლება დიდ პრობლემად იქცეს.

ამიტომ, ჩემო ბიჭიკო, შენი დაბადება, რომელიც საქორწინო საზეიმო ვითარების გარეშე და ჩემი როგორც საქმროს, ქმრად გადაქცევამდე მოხდა, პრობლემებს ქმნიდა.

ასე რომ, იერუსალიმელმა მეანე ქალმა სრულიად ბუნებრივია, როდესაც იკითხა:

„რამდენად მართალია, რომ ეს ქალი დაორსულდა ღვთიური სულისაგან და დაბადა ეს ბიჭი ქორწილამდე?“

„დიახ, ეს ნამდვილად ღვთიური სულისაგან დაორსულებული და ახლა უკვე მშობიარე ჩემი ყოფილი საცოლე და ახლა უკვე ცოლია“.

„თუ ეს ასეა, ეს ჩემთვის დიდებული დღეა“, თქვა მეანმა ქალმა და მარიამს ჰკითხა:

„ეს მშვენიერი ბიჭი შენი შვილია?“

„დიახ, ქალბატონო, ჩემი შვილია“, მიუგო მარიამმა.

„ჩემს პრაქტიკაში არასოდეს მომხდარა ბავშვის დაბადება მეანი ქალის დახმარების გარეშე“, თქვა იერუსალიმელმა მეანმა ქალმა, მწოლარე მარიამს მიუახლოვდა და თეთრ სამოსში გახვეულ ყრმას დააკვირდა. შემდეგ იქვე გვერდით პატარა ბაგის კარებთან მდგარ ჩემს შვილებს დააკვირდა.

„ჩემი მეუღლის შვილებმა, პირველი ცოლიდან აბიგაილმა და ჯოშუამ დიდი დახმარება გამიწიეს. მათ განბანეს და სუფთა საცვლებში გაახვიეს თავიანთი ახალდაბადებული ნახევარძმა“, თქვა მარიამმა.

„ადრე ბავშვის დაბადებაში მონაწილეობა მიგიღითა?“ ჰკითხა მეანმა ქალმა ჩემს ბავშვებს.

„არასოდეს ქალბატონო“, მიუგეს მათ.

„საოცარია ასეთი ამბავი. ეს უთუოდ უფლის ხელია“, თქვა მეანმა ქალმა და ბეთლეჰემისაკენ გაემართა. წასვლის წინ კი მითხრა, რომ სიცოცხლეში ბოლომდე ამ ახლადდაბადებული ყმაწვილის მსახური იქნებოდა.

„მე სამუდამო ჯილდო მივიღე, მადლობთ იოსებ, რომ მომიხმე“, დასძინა ბოლოს.

„ბავშვის წინდაცვეთაზე მობრძანდით ერთი კვირის შემდეგ, საზეიმო სადილი გვექნება“, ვთქვი მე, იერუსალიმელი მეანი ქალი გზა-ჯვარედინამდე გავაცილე, და უკან გამოქვაბულისაკენ გავემართე.

უკვე დაბნელებული იყო, მაგრამ უეცრად ყველაფერი მოულოდნელად განათდა. ძალიან მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ჯადოსნური ღამე იყო. გამოქვაბულის მახლობლად, მინდორზე მწყემსები იყვნენ. მე მათ მივუახლოვდი. ირგვლივ კი სინათლე კაშკაშებს. უფლის მადიდებელი სიმღერებით ციდან უხილავი კიბით ანგელოზები მიწაზე ჩამოდიან და მწყემსებს ეუბნებიან:

„ნუ გეშინიათ! აჰა, გაიხარეთ! დიდი სიხარული მოვიდა თქვენთან და მთელს თქვენს ხალხთან, ვინაიდან დღეს თქვენს ქალაქში, დავითის ქალაქში მაცხოვარი იშვა, რომელიც არის ქრისტე უფალი“.

მე ყურადღებით ვისმენდი ანგელოზების საუბარს და მწყემსებს კიდევ უფრო ვუახლოვდებოდი, თითქმის მათ გვერდით დავდექი. ერთ-ერთი ანგელოზი მწყემსებს ეუბნება:

„იმ ყრმას თქვენ ჰპოვებთ გამოქვაბულში, ბაგაზე მწოლიარეს და შეხვეულს თეთრ სამოსში. გაჰყევით ამ კაცს და ყველაფერს თქვენი თვალით ნახავთ“, თქვეს ანგელოზებმა და მწყემსებს ჩემზე მიანიშნეს უკან გაჰყევითო. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ანგელოზი ჩამოვიდა ციურ კიბეზე და ყველამ ერთად უტკბილესი გალობა დაიწყეს. როდესაც ანგელოზების სიმღერები მინელდა მე მწყემსებს მივუბრუნდი:

„მე იოსები მქვია. სწორედ იმ ყრმის მამა ვარ, რაზედაც ანგელოზები ახლახან გესაუბრებოდნენ. დროებით თქვენი გამოქვაბული გამოვიყენე, სადაც თქვენ ცხვარს აჩერებთ იქ

როგორც ანგელოზებმა მოგახსენეს უფლის ყრმა დაიბადა“.

ანგელოზების ზეცაში დაბრუნების შემდეგ მწყემსები ჩემთან ერთად გამოქვაბულისაკენ გავემართეთ, და როგორც ანგელოზებმა აღუწერეს, ვიპოვეთ მოყმე იესოს, მწოლიარე ბაგაში. ისე როგორც ანგელოზებმა აღწერეს. მწყემსები ყვებიან ანგელოზებთან საუბრის შინაარსს, რასაც მარიამი და იოსების შვილები კარგად იმახსოვრებენ. ისინი ხვდებიან, რომ რაღაც დიადი მოხდა მათ ცხოვრებაში.

გამოქვაბული ისეთი გაჩახჩახებული იყო, რომ თვალის გახელა შეუძლებელი იყო, მაგრამ მალე სინათლის კაშკაშმა თანდათან დაიკლო და ყველამ, მწყემსებმა, მე, ჩემმა ორმა შვილმა და კიდევ სამმა შეგვიანებულმა მგზავრმა ნათლად დაინახეს პატარა მოყმე, რომელიც დედის მკერდიდან რძეს წოვდა, გამოქვაბულში კიდევ ერთი დამგვიანებელი მგზავრი ქალი შემოვიდა. ეს გამვლელი ქალი სალომე იყო. ერთ-ერთმა მგზავრმა, რომელიც სალომეს იცნობდა, უთხრა:

„მე ერთი განსაცვიფრებელი ამბავი უნდა გითხრა, რომელი ჩვენ ანგელოზებმა და ამ კაცმა გვითხრეს“, თქვა მან და ჩემზე მიუთითა.

„ამ ქალმას“ და გამვლელმა კაცმა ამჯერად მარიამზე მიუთითა, „ქალწულმა კოკორმა ყრმა შვა, ის რაც ბუნებისათვის დამახასიათებელი არ არის“, და კაცმა სალომეს დაწვრილებით მოუყვა ეს საოცრება.

„ამას ვერ დავიჯერენ, სანამ შესაფერისი დამამტკიცებელი საბუთი არ მექნება“, თქვა სალომემ და მარიამს და ყრმას დააკვირდა. უეცრად სალომეს მარჯვენა ხელი გაშეშდა, სალომემ მწარედ ამოიოხრა და თქვა:

„დარდი და კრულვა მე, ეს ჩემო ბოროტებისათვის ხდება. მე ხომ უფალს ბევრჯერ შევცოდე და აი, ამის ნათელი დადასტურება. ჩემს ხელი უკვე ხმება“. სალომე ძალიან დადარდიანდა. კვლავ შეიგრძნო თუ რა დიდი ცოდვა და საშიშროება იყო უფლისადმი რწმენის უკმარისობა.

„უფალო! წამოიწყო ისევ სალომემ, „ნუ დამივიწყებ მე,

რომელიც არის აბრაჰამის, ისააკის, იაკობისა და მოსეს შთამომავალი. ნუ განმკითხავ ისრაელის შვილების წინაშე, აღადგინე ჩემი სულის სიმტკიცე და ცხოვრების დარჩენილ ნაწილს გულ-მოწყალების ძებნაში გავატარებ“.

ამის თქმა იყო და სალომეს უფლის ერთგული და ყველ-გან მყოფი არქანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და უთხრა:

„უფალმა ღმერთმა შეისმინა შენი ლოცვა-გოდება და გადაწყვიტა დაგეხმაროს. გასწი წინ, გასახმობად განწირუ-ლი ხელი უფლის ყრმას შეახე და განიკურნები, ამავე დროს რწმენაც გაგიძლიერდება“.

სალომე სიხარულითა და იმედით აღივსო. გადაწყვიტა იესოსათვის თაყვანი ეცა, როგორც ისრაელის უდიდესი მეფისათვის. იგი შუბლითა და ხელით იესოს ფეხებს შეეხო და სალომეს გამხმარი ხელი მაშინვე განიკურნა. გახარებული სალომე ბეთლეჰემისაკენ გაემართა. მიუხედა-ვად ღამისა, გზას ცისფერი ინდიკატორი უნათებდა, რომელ-იც ხევებსა და ოღრო-ჩოღრო ადგილებს გვერდს უვლიდა. სალომე მონდომებით მიყვებოდა ინდიკატორის ნიშანს და აღარაფერი უკვირდა.

შენი დაბადების მე-8 დღეს, როგორც ამას მოსეს კანონები მოითხოვს, შენი წინდაცვეთის საზეიმო ცერემონიალი ჩატარ-და. სწორედ ამ დღეს შენ როგორც უფალი ბრძანებდა იესო გეწოდა. ამ დღეს იერუსალიმელი მოხუცი მეანე ქალი კვლავ ესტუმრა ჩვენს გამოქვაბულს, რომელიც მწყემსებმა დიდსუ-ლოვნად დაგვითმეს დროებით სარგებლობაში. გამოქვაბულ-ში კიდევ რამდენიმე დაინტერესებული პირი მოვიდა. ცოტა ყველი, პური და ღვინო მოიტანეს. ყველა ხარობდა შენს წინ-დაცვეთას. მოხუცმა მეანე ქალმა აიღო შენი მოჭრილი ჩუჩა, რომელიც უფალთან გარიგება-შეუღლების მნიშვნელობა აქვს და ალებასტრის ქოთანში შესანახად მოათავსა, რომელ-იც სფიქენარდის ძველი ზეთით იყო სავსე. ეს ზეთი ტიბეტის მთიანეთში მზარდი სურნელოვანი მცენარეებისაგან მზადდე-ბოდა. ამის შემდეგ ქალმა ქოთანი თავის შვილს, რომელიც მეწამლე-პროვიზორი იყო გადასცა და უთხრა:

„აიღე ეს ქოთანი, მიუხედავად იმისა, რომ მასში ძალიან ძვირადღირებული ზეთია, ის რაც მასში დევს უფასოა. იგი განძია. შეინახე ის, ხოლო ზეთი კი მარიამს ცოტა თავზე მოუსვი, ხოლო მოყმე იესოს კი ფეხებზე“.

აი ასე მოხდა, შენი წინდაცვეთა ჩემო პატარა ბიჭუნა. შენი ძვირფასი ჩუჩა მეანე ქალის შვილმა ალებასტრის ქოთანთან და ზეთთან ერთად თან წაიღო. ამავე დროს გეტყვი იმასაც, რაც ანგელოზებმა მითხრეს, რომ მომავალი თითქმის 20 საუკუნის განმავლობაში შენი ჩუჩა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმოგზაურეობს, და იქნება შენი სხეულის ერთადერთი ნაწილი, რომელიც დედამიწაზე დარჩება შენს ზეცაში ასვლის შემდეგ. 1968 წლამდე შენი ჩუჩა შენახული იქნება იტალიის სოფელ ქელქათის ტაძარში. ხალხი მრავლად მივა შენი ჩუჩის თაყვანისაცემლად, მაგრამ იმ პერიოდში ხალხის ზნეობა წახდება. ზოგი ლაპარაკს დაიწყებს, რომ პატრონი ზეცაში წავიდა, ხოლო ჩუჩა კი თქვენთვის დედამიწაზე დატოვაო. მალე შენი ჩუჩა გაქრება, რაც ნამდვილი ნიშანი იქნება შენი მეორედ მოსვლისა, მაგრამ ეს ყველაფერი შორეულ მომავალში მოხდება“, თქვა იოსებმა, როდესაც შეატყო, რომ იესო ცნობისმოყვარე თვალებით შეჰყურებდა მას.

მაშასადამე, შენი დაბადება და შემდგომ დღეები ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. მე და დედაშენს მომავლის დაგეგმვა არ შეგვეძლო. ვითარება კალეიდოსკოპური სისწრაფით ყოველდღიურადფ იცვლებოდა და საშიშროება არ კლებულობდა. ხანდახან ვფიქრობდი, რომ მთელი ქვეყნიერება ჩვენს წინააღმდეგ აღსდგა. ერთ ხიფათს რომ თავს დავაღწევდით, მეორე საშიშროება წამოყოფდა თავს. ახლაც ასე მოხდა“, თქვა იოსებმა და გააგრძელა:

„აღმოსავლეთიდან რამდენიმე კაცი მოვიდა, ესენი იყვნენ ბალთაზარი, კასპარი და მელქიორი. ისინი ასტროლოგები იყვნენ. რამდენადაც შევატყე ისინი წარმოშობით სპარსეთიდან იყვნენ. ჩემო პატარა ბიჭიკო, შემახსენეს,

რომ ასტროლოგები არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ვარსკვლავების განლაგების მიხედვით შეუძლიათ გამოიცნონ პიროვნების, სახელმწიფოსა და სამყაროს ბედი. ეს მეცნიერება ქალდეველებმა, რომლებიც ბაბილონში ცხოვრობდნენ და შესაძლოა ებრაელების წინაპრებიც იყვნენ, ძალიან განავითარეს. ეს მეცნიერება სპარსეთშიც ძალიან იყო განვითარებული.

სპარსეთში საიდანაც ეს ხალხი იყო წარმოშობით ვარსკვლავთმრიცხველობასა და ასტროლოგიას ისეთივე ყურადღება ექცეოდა როგორც ბაბილონში. მათ ერთ-ერთი მედიტაცია-მეცადინეობის დროს ახალი ვარსკვლავი დაინახეს. ეს დიდი მოვლენა იყო. ზემოთ ხსენებულმა სამმა ასტრონომმა უფლება აიღეს სპარსეთის მეფისაგან, რათა სამოგზაუროდ წასულიყვნენ ვარსკვლავის კვალს გაჰყოლოდნენ.

ჩემო ბიჭიკო, საერთოდ ითვლება და ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომ ხალხი ვინც მოგზაურობს, უფრო ჯანმრთელები და ჭკვიანები არიან, ვიდრე ისინი ვინც ერთ ადგილზე ცხოვრობენ, რომ არაფერი ვთქვათ ტახტზე გამუდმებით მჯდარ „ოქროს აგურებზე“. მოგზაურობა ჭეშმარიტებისა და უფლის ძიებაა. მოგზაურობის დროს უფრო ხშირად მოუხმობ ხოლმე უფალს და მის მსახურ ანგელოზებს დასახმარებლად. ახალმოსული ხალხი ბრძენი ხალხი იყო. ერთი მათგანი კასპარი ახალგაზრდა კაცი იყო უწვერულვაშო და გრძელი თმებით, ძლიერი აგებულებით. მელქიორი მოხუცი თეთრწვერა და ასევე გრძელთმიანი ღირსეული ადამიანი იყო. ბალთაზარი შავკანიანი იყო, გრძელი თეთრი წვერითა და სუფთად გაპარსული თავით. თვითოეულ ბრძენს ორ-ორი მსახური ჰყავდათ, ტვირთისად, ჯორების სატარებლად. მაშასადამე, სულ 9 კაციანი ჯგუფი იყო. მათ კიდევ სამი ადგილობრივი მეგზური დაემატათ და ასე, რომ 12-კაციანი ჯგუფი იერუსალიმში ჩავიდა, რომლის თავზეც ვარსკვლავის კვალი გაჩერდა. შეგახსენებ, რომ იერუსალიმი ასობით კილომეტრით იყო დაცილებული სპარსეთის სამეფოს.

შევიდნენ თუ არა იერუსალიმში, პირველივე სასტუმროში ახალგაზრდა კასპარმა საუზმის დროს დაუფიქრებლად იკითხა:

„სად არის იუდეველთა ახლად დაბადებული მეფე? იგი ხომ ახლახან იშვა, ვინაიდან მისი ვარსკვლავი ვიხილეთ აღმოსავლეთის ცის კაბადონზე და მოვედით რათა თაყვანი ვცეთ მას. მისი დაბადება ზოროასტერმა (ზარატუსტრამ) იწინასწარმეტყველა. ჩვენ მისთვის ჩვენი დიადი მეფის თაყვანისცემა მოვიტანეთ, რადგან იგი არის მესსია ანუ კაცობრიობის მხსნელი, ე. ი. ქრისტე“.

კასპარს ლაპარაკი იერუსალიმში სწრაფად გავრცელდა. ბრძენმა ბალთაზარმა კასპარს შენიშვნა მისცა და უთხრა:

„კასპარ, ლაპარაკის დროს დაფიქრდი ხოლმე, მოჩვენება ხომ არ ხარ. ჩვენ ბევრი ძვირფასეულობა გვაქვს და იდეას ახალ მეფის შესახებ ასე დაუფიქრებლად ნუ ახსენებ. ხალხი აქ ღარიბია, იფიქრებენ, რომ მდიდრები ვართ და ყაჩაღებს დაგვახვედრებენ“, მაგრამ უკვე გვიანი იყო. სადილამდე ამბავი იუდეას მეფე ჰეროდის ყურამდე მივიდა. მეფის მსტოვრებს არ ეძინათ. მან მღვდლები და მღვდელმთავრები დაიბარა და ჰკითხა, თუ სად უნდა დაბადებულიყო ქრისტე. სამღვდელოება საღვთო წერილზე დაფუძნებით პასუხობენ.

„ბეთლეჰემში“.

ამის გაგების შემდეგ ჰეროდი სპარს მოგზაურებს სასახლეში იბარებს და ეუბნება:

„ჩემო ძვირფასო მოგზაურო ასტროლოგებო წადით და გულმოდგინედ გამოიკითხეთ იმ ყრმის ამბავი და როგორც კი იპოვით შემატყობინეთ, რომ მეც მივიდე და თაყვანი ვცე მას“.

ასტროლოგებმა პირობა მისცეს.

„როგორ მოხდა, რომ ახლადდაბადებული ყრმის ძებნა დაიწყეთ?“ იკითხა მეფე ჰეროდმა.

ბრძენმა ხალხმა მიუგო:

„ჩვენ დავინახეთ არაჩვეულებრივად დიდი ვარსკვლავი, რომელიც სხვა ვარსკვლავებს შორის სიკაშკაშით გამოირჩეოდა და არ ქრებოდა. იგი ჩვენს ქვეყანაში, სპარსეთში გამოჩნდა და ჩვენი დიადი და უძლეველი მეფის მითითებით

ვარსკვლავის კვალს გავყევით. იგი ისრაელისაკენ წამოვიდა და ჩვენ რასაც ვხვდებოდით დამტკიცდა, რომ თქვენს ქვეყანაში დაიბადა დიადი მეფე. ჩვენ მოვედით, რათა მას მოწიწებით თაყვანი ვცეთ“.

„კარგად და ბრძნულად მოქცეულხართ. აბა ახლა გასწით, მოყმე მოძებნეთ და ამბავი მაშინვე შემატყობინეთ“, კიდევ ერთხელ ბრძანა ჰეროდმა და ასტროლოგები დილის საუზმეზე მიიპატიჟა. ყუათიანი საუზმის შემდეგ ბრძენი ასტრონომები ჰეროდის სასახლიდან გამოვიდნენ და მოედანზე შეკრებილი ხალხი დაინახეს, რომლებიც ცაში იყურებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნათელი დღე იყო ცაში ნათლად ჩანდა საოცრად დიდი ვარსკვლავი, რომელიც ქალაქის მთავარი აბანოს თავზე იდგა და ნელა ასტროლოგების სასტუმროსაკენ და შემდეგ კი ბეთლემისაკენ გაემართა. ასტროლოგები გახარებულები გაყვნენ ვარსკვლავს და მალე ბეთლეჰემში მივიდნენ, რომლის მახლობლად მდებარე მწყემსების გამოქვაბულში ჰპოულობენ მარიამს, პატარა იესოსთან ერთად. იქვე იყვნენ ჩემი ორი ვაჟიშვილი აბიგაილი და ჯოშუა და მეც იქ ვიყავი. ერთ-ერთმა ბრძენმა, ახალგაზრდა კასპარმა თქვა:

„დიდი გზა გამოვიარეთ და ძლივს მოგძებნეთ. ჩვენს წინაშე არის საიდუმლოებით მოცული მოყმე. იგი დიდი და ძლიერი კაცი გახდება. ყველას თავისაკენ მიიზიდავს“.

კასპარმა ჩვილ იესოს მოწიწებით თაყვანი სცა, ასევე მოიქცნენ ბალთაზარი და მელქიორი. ისინი დამსწრე საზოგადოებასაც, მათ შორის, მარიამს, მე და ჩემს ორ შვილსაც პატივისცემით მიესალმნენ და ჩანთებიდან იესოსადმი მიძღვნილი საჩუქრები: ოქრო, გუნდრუკი და მური ამოიღეს. მათ ასევე ოჯახს სპარსეთის მეფის მოკრძალებული ჯილდო, თანხა და ვარსკვლასაჭვრეტი ჭოგრიტები გადასცეს. მარიამმა საპასუხოდ ჩვილი იესოს ნახმარი საცვლები და ნახვევები გადასცა. ასტროლოგებმა მარიამის საჩუქრები ძვირფასი გულითა და დიდი აღფრთოვანებით მიიღეს, საპატიო და მეტად დაცულ ადგილას მოათავსეს ჩანთებში.

მოგვიანებით, ვახშმობის შემდეგ, ბრძენმა აღმოსავლეთელმა ილუზიონისტმა ჯადოქრებმა გამოქვაბულის მახლობლად მინდორში გაისეირნეს. ამ დროს მე მათ ვახლდი, და მოვუყევი მათ ჩემი სპარსეთში და აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ. ილუზიონისტები ყურადღებით მისმენდნენ და მეთანხმებოდნენ, რომ იმ დროს კაცობრიობის მთავარი ცოდნა ბაბილონში, ეგვიპტეში, სპარსეთში, ინდოეთში და ჩინეთში იყო თავმოყრილი. ასე რომ ჩემო პატარა ბიჭუნა, მიმართა იოსებმა იესოს – ეგვიპტე, სადაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა, მაგრამ ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ზემოთაღნიშნული ქვეყნების დიდი მნიშვნელობაც, მაგრამ კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას.

ჰაერზე სეირნობის შემდეგ მათ გამოქვაბულის კუთხეში მოისვენეს. მეორე დღეს, ისინი აპირებდნენ მეფე ჰეროდ დიდისთვის მოეხსენებინათ ახალდაბადებული ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ. მაგრამ ძილში მათ თავად უფალი გამოეცხადათ, რომელმაც კატეგორიულად გააფრთხილა, რომ ახალდაბადებული მოყმის ადგილსამყოფელის შესახებ მეფე ჰეროდი საქმის კურსში არ ჩაეყენებინათ და სამშობლოში იერუსალიმის გვერდით ავლით დაბრუნებულიყვნენ.

დილით, როდესაც ბრძენი ასტროლოგები ჯერ კიდევ გამოქვაბულში იმყოფებოდნენ და იესოსა და მის თაყვანისმცემლებს ემშვიდობებოდნენ, მათ ამჯერად უფლის ანგელოზი გამოეცხადათ, რომელსაც ვარსკვლავის ფორმა ჰქონდათ და ჯადოქარ-ასტრონომებს შეახსენა უფლის წინა ღამის ბრძანება და მათ სამშობლოში დასაბრუნებულად ახალი გზით წარუძღვა.

როდესაც მოგზაური ჯადოქარი მამები სამშობლოში დაბრუნდნენ, მათ სპარსეთის სამეფო ადმინისტრაციამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო, რომელსაც ქვეყნის მეფე, დედოფალი და უფლისწული ესწრებოდნენ.

„როგორ იმოგზაურეთ და რა გააკეთეთ?“ იკითხა მეფემ.

„რა ხასიათის მოგზაურობა იყო და რა შედეგს მიაღწიეთ? ხომ ჯანმრთელად ხართ?“ იკითხა დედოფალმა.

„ვინ გაცილებდათ? და როგორ ჩაიარა უკან დაბრუნებამ?“ იკითხა უფლისწულმა.

კასპარმა, ბალთაზარმა და მელქიორმა ერთხმად განაცხადეს, რომ მათი მოგზაურობის მიზანი დიდებულად აღსრულდა, რომ მათ ნახეს და თაყვანი სცეს ისრაელისა და სამყაროს ახალ მეუფეს იესოს, რომლის ნახვევი საცვლები და სახვევები, როგორც უძვირფასესი რელიქვიები რუდუნებით თან ჩამოიტანეს. ყველანი აღელდნენ. „სახვევები და საცვლები“, ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო.

„აი უფლის საცვლები“, თქვა კასპარმა და ნივთები მეფის წინაშე ოქროს მაგიდაზე დაალაგეს.

ტრადიციის თანახმად, სახვევებს ყველამ თაყვანი სცა და მოწიწებით ბუხარში მოათავსეს. მალე ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ სახვევებსა და საცვლებს ცეცხლმა ვერაფერი დააკლო. ცეცხლი თითქოს არც კი შეხებიათ.

ყველამ საცვლების და ნახვევების კოცნა დაიწყო. დაადეს თავზე, თვალებზე და ამბობდნენ, რომ ახლა თავს უკეთ ვგრძნობთო, ღვთიური მადლი ჩვენში ნამდვილად გადმოდისო.

ამის შემდეგ იესოს ნახმარი საცვლები და ნახვევები დიდი პატივისცემით მეფის საგანძურში მოათავსეს და დამატებითი მცველები ჩაუყენეს.

გადის 40 დღე და იესო 40 დღის ხდება. ასეა ჩემო ბიჭუნა დრო ადგილზე არ დგას. მთელი ჩვენი ოჯახი იერუსალიმში მივდივართ, რომელიც ბეთლეჰემიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაცილებული. მოსეს მიერ ჩვენთვის მოცემული რჯულის თანახმად ვაჟის დაბადებიდან 40 დღის გასვლის შემდეგ დედას მოეთხოვება განმწმენდი შესაწირის შეწირვა. ეს იერუსალიმის სოლომონის ტაძარში ხდება. მარიამიც ამას აკეთებს.

მოსეს რჯულის მითითენით დედის განსაწმენდელად საჭიროა ბატკნის შეწირვა, მაგრამ დედას თუ ამას შესაძლე-

ბლობა არ აქვს. ორი ჩიტი მაინც უნდა შესწიროს, რომელიც უფრო იაფია, ვიდრე ბატკანი. მარიამმა ორი გვრიტი შესწირა. ეს შეწირვა დედასთან ერთად ვაჟსაც ეხება, რომელმაც დედის საშო გახსნა და სუფთა უნდა წარუდგეს უფალს.

როდესაც მარიამი სოლომონის ტაძარში მსხვერპლშეწირვას აკეთებდა იქ იმყოფებოდა ერთი ღირსეული ადამიანი. იგი სვეტებთან ახლოს შეამჩნევს ციურ სხივებში გახვეულ მარიამს და ჩვილ იესოს. მეც იქვე ვიყავი და დედაშენს ყურადღებას ვაქცევდი. ღირსეული ადამიანი მოგვიახლოვდება. ეს სვიმონია. ღმერთმა მას განუცხადა, რომ არ მოკვდებოდა, სანამ არ იხილავდა იეჰოვას მიერ ხელდასმულ ქრისტეს, ანუ მესიას. ამ დღეს სვიმონი ტაძარში მიდის, მას სულიწმინდა ხელმძღვანელობს. მას სვიმონი ბავშვთან მიჰყავს, რომელიც იოსებმა ანუ მე და მარიამმა ტაძარში მივიყვანეთ. სვიმონი მეტად აღტაცებულია. მას იესო ხელში აჰყავს და თაყვანს სცემს და უფალს განუცხადებს:

„აწ განუტევებ სულსა მეუფეო, შენს მონას. მშვიდობით. ვინაიდან იხილა უკვე ჩემმა თვალებმა შერნს გასაბრწყინვებლად და ჩემი ხსნისათვის ყმა, რომელიც ასევე განადიდებს შენს რჩეულ ხალხს და მთლიანად ისრაელს“.

ჩვენ ფრიად გაგვიკვირდა ამის მოსმენა. ამის შემდეგ სვიმონი გვაკურთხებს და მარიამს ეტყვის, რომ ძე დაყენებულია... მრავალთა დასამხობათ და ისრაელის აღსადგენად“.

ამ შემთხვევის დროს ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის წინასწარმეტყველი ქალი ჰანნა, რომელიც ყოველდღე დადიოდა სოლომონის ტაძარში და მედიტაციას აკეთებდა. ახლა იგი მოგვიახლოვდა და თაყვანი სცა ჩვენს ყმას, ანუ შენ. ჰანნა ყველას ელაპარაკებოდა შენს შესახებ და არწმუნებდა მლოცველებს, რომ შენ ნამდვილად ღვთის შვილი იყავი, რაშიც თანდათან ჩვენც ვრწმუნდებოდით.

ამ ამბის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომლებიც ისევ შენთან იყო დაკავშირებული, თქვა იოსებმა. როგორ ფრთხილად არ ვიქცეოდით. შენი მოვლენა ამ ქვეყანაზე

ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები საიდუმლოებით მოცული მოყმის შესახებ, რომელმაც უნდა რადიკალურად შეცვალოს ქვეყნიერების ცნობიერება და ამის შესახებ ჩემო ლამაზო გვრიტო ხვალ ღამით მოგიყვები, როდესაც კვლავ ამოვალთ აქ, სახლის ბანზე ეგვიპტის გაჩახჩახებული ცის ქვეშ.

იოსები იესოს შუბლზე ეამბორა და საძილე ოთახისაკენ მიმავალი კიბეები ქვემოთ დაეშვა, მაგრამ ვაგლახ! იოსებს კიბის ერთ საფეხურზე ფეხი დაუცდა, თავის შესაკავებლად ტიტანური ენერგიის დახარჯვის მიუხედავად იოსები წონასწორობას კარგავდა და ბოლოს კიბეებზე გულაღმა დავარდა და ახლა ქვის კიბეებზე ნიდაყვებით სცადა თავის შეკავება, რადგან ხელში იესო ეკავა. იოსები დაცურდა და სისწრაფეს უმატებდა. საჯდომს გამუდმებით ურტყამდა ქვის საფეხურებს. ფეხის ქუსლები, საჯდომი და ნიდაყვები მთლიანად დაუსისხლიანდა, მაგრამ ჩვილ ბავშვს ხელს არ უშვებდა. ბოლოს იოსებმა ხელში ატატებულ იესოსთან ერთად კიბის ბაქნის ბოლოს მიაღწია და ბნელ ეზოში გადაეშვა.

ეზო ძველი ავეჯითა და სხვადასხვა ძველი თუ ახალი სამეურნეო ნივთებით იყო სავსე. კიბის ბაქნის ქვეშ ურემი იდგა, რომელზედაც იოსებს წინადღით გამზადებული ტახტი და სკამები შემოეწყო. სამწუხაროდ, იოსები ტახტს და სკამებს ზურგით დაენარცხა, ჩაამტვრია ისინი და ზედ ურმის ფსკერიც მიაყოლა. მხოლოდ ურმის ბორბლების სიმტკიცემ შეაჩერა იოსებისა და იესოს ვარდნა.

იოსები თითქმის წელმოწყვეტილი იყო. მცირე ხნით გონება დაკარგა, მაგრამ მალე ნებისყოფის უდიდესი დაძაბვის ფასად ურმიდან მიწაზე გადახოხდა. პატარა ბიჭი უვნებელი იყო. იგი კიბის ბაქანზე გადმომდგარ დედას უყურებდა, რომელსაც ხელში ჩირაღდანი ეპყრა და ბნელ ეზოს ჩაჰყურებდა, საიდანაც ასეთი გრუხუნი ამოდიოდა.

„იოსებ, ეს შენ ხარ? მე კი მეგონა სახლის თავზე იყავით“, შესძახა გაოგნებულმა მარიამმა, როდესაც ბნელ ეზოში მდგარი იოსები დაინახა, რომელსაც ჩვილი ბავშვი გულში ჩაეკრა.

„მე ვარ, აბა ვინ იქნება“, თქვა დამწუხრებულმა იოსებმა, „როგორც სჩანს, ამ ღამით ბევრი ვილაპარაკე, თანდათან გამოვშტერდი, კიბეზე ფეხი დამიცდა და ეზოში ჩამოვვარდი, მაგრამ უფლის დახმარებით მეც და იესოც გადავრჩით“.

„მე კი ვიფიქრე, რომ ჯორმა აიშვა ან უდაბნოს ყაჩაღები დაგვესხნენ თავს“, თქვა გახარებულმა მარიამმა.

„ყველაფერი კარგად არის, ჩემო ძვირფასო, ერთი კარგად გამინათე კიბე, რომ როგორმე ზემოთ ამოვიდე“, თქვა იოსებმა, ეზოში დაყრილ ხარა-ხურასა და დამტვრეულ ავეჯს გვერდი აუარა და საძილე ოთახისაკენ ამავალ კიბეს კოჭლობით აუყვა. ბაქანზე ავიდა თუ არა მარიამი შემოეშველა და ოთახში შეუძღვა, იესო ჰამაკში მოათავსეს და ბავშვი კარგად შეათვალიერეს. მათდა გასაოცრად, მშობლებმა დაინახეს, რომ აბსოლუტურად უვნებელ ბავშვს მშვიდი ძილით ეძინა. იოსებს გულზე მოეშვა, კვნესით იქვე ტახტზე მიწვა. ამის შემდეგ მარიამმა ფართე ტაშტით წყალი მოიტანა და მეუღლეს დასისხლიანებული ნიდაყვები, დუნდულები და ფეხის ქუსლები მოჰბანა, დაჟეჟილ ადგილებზე ნუმიბიური მალამო მოუსვა და ის დღეც ასე გასრულდა.

ღამე მეექვსე

შემდეგ დღეს სადილობამდე იოსებმა ადგომა ვერ შესძლო. დამტვრეული სხეული ვერ დადიოდა. სადილობისას მარიამმა იოსებმს ჰკითხა:

„როგორ გაქვს საჯდომი და ნიდაყვები?“

„მადლობთ ჩემო მარიამ. უფლისა და შენი მალამოს დახმარებით დაჟეჟილობა თითქმის გაქრა“, უპასუხა იოსებმა და ცოლს მადლობის ნიშნად თავზე ხელი გადაუსვა.

მარიამს იოსების ყურადღება დიდად ეამა და მეუღლეს ცხვრის მწვანილმოყრილი ნეკნები გადაუღო, შემდეგ კი ჰკითხა:

„იოსებ, როგორ ფიქრობ, რამდენად უხიფათოა ჩვენი აქ ყოფნა?“

„ჩემო მარიამ! ძალიან ჭკვიანური და დროული კითხვაა შენის მხრიდან. ჩემი აზრით, აქ თითქმის პრობლემა არ გვაქვს. უხიფათო გარემოა. კრიმინალი თითქმის არ არის. ვართ ელინურ-ებრაულ გარემოში. ჩვენი სინაგოგა ორ ნაბიჯზეა. იგი პირველი სინაგოგაა ებრაულ დიასპორაში, რომელსაც ებრაული თემის შეიარაღებული რაზმი იცავს. ასე, რომ ჩვენი აქ ყოფნა უფრო უხიფათოა, ვიდრე სხვა ქვეყანაში რომ ვიყოთ. საქმე იმაშია, რომ ეგვიპტის ყოფილ საფარაონოს ახლა კი სასელევკიდოს იუდეას მეფე ჰეროდთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს, ხოლო ყველგანმყოფი რომაელები კი აქ ჩვენთვის საშიშნი არ არიან“.

სადილის შემდეგ იოსებმა იკითხა:

„ბიჭი რას შვება, როგორ გრძნობს თავს გუშინდელი ინციდენტის შემდეგ?“

„მშვენივრად არის. იზრდება. ვატყობ, რომ მალე ლაპარაკს დაიწყებს“, თქვა მარიამმა.

„ძალიან ჩქარა ბევრ რამეს გავიგებთ მისგან, იგი არაჩვეულებრივად ცნობისმოყვარეა. მიჭირს რაიმე განსაზღვრულის თქმა მის შესახებ“, თქვა იოსებმა.

„ძალიან წყნარი ბიჭია, არ მეგონა თუ ასეთი იოლი იქნებოდა ბავშვის გაზრდა“, შენიშნა მარიამმა.

„გეთანხმები“, თქვა იოსებმა, „ეთიოპიელიც ძალიან გეხმარება, ამავე დროს როგორც ანგელოზები ამბობენ, იგი უფლის ყმა არის და ჩვენ კი, განსაკუთრებით მე მისი მიწიერი მამობილი ვარ“.

„ძალიან საინტერესო ცხოვრება გვაქვს. არაჩვეულებრივობა მუდამჟამს ჩვენს გვერდითაა“, განაცხადა მარიამმა და მაგიდიდან წამოდგა.

სადილის შემდგომი ლოცვის შემდეგ იოსებმა მარიამს უთხრა:

„ხვალ არ ვიმუშავებ, შაბათია, მაგრამ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში კი წავალ. ამბობენ, რომ წინასწარმეტყველმა

ესაიამ იწინასწარმეტყველა ჩვენი ბიჭის დაბადება. მჯერა, რომ ეს ასეა, მაგრამ მაინც წავალ და წავიკითხავ. მერე კი ბიჭს ვეტყვი ამის შესახებ. ეს ამბავი უფლის ნებაა. ვიფიქრებ მასზე და ჩვენს ბიჭზე. უფალმა თქვა ექვსი დღე იმუშავე და მე-7 დღეს კი ჩემზე იფიქრეო, მეც ასე მოვიქეცი. ჩემო ძვირფასო შეიძლება ბიბლიოთეკაში მთელი დღე დავრჩე, ამიტომ კარგი იქნება თუ საგზალსაც გამიმზადებ დილისთვის“, თქვა იოსებმა და სადილის შემდგომ ძილისთვის ტახტზე მიწვა.

ღამით იესოსთან სასაუბროდ კვლავ სახლის ბანზე ავიდა, როგორც ყოველთვის არაჩვეულებრივი ღამე იყო. ნილოსის დელტიდან გრილი სიო უბერავდა. მეზობელ ეზოებში ღამის ჩიტები ჟღურტულებდნენ. ზოგან კატები კნაოდნენ და ძაღლები ყეფდნენ. მარცხნივ ცაში შორს იყო აჭრილი ალექსანდრიის ცნობილი შუქურა, რომელიც ძალიან დიდ მანძილზე მიანიშნებდა გემებს პორტში შესასვლელს. შუქურა კუნძულზე იყო მოთავსებული. იგი მეორე, უფრო ფართე კუნძულთან ხიდით იყო შეერთებული. სწორედ ამ მეორე კუნძულზე მდებარეობდა ალექსანდრიის ცნობილი ბიბლიოთეკის შენობები. ისინი სწორ მწკრივად იყვნენ ჩამწკრივებულები. სწორედ იქ აპირებდა იოსები მეორე დღეს წასვლას და შაბათი დღის გატარებას, უფლის სიბრძნის შესწავლას.

„ვიცი მოუთმენლად ელოდები ჩემი მოთხრობის დაწყებას. ეს ამბავი შენ კარგად იცი, უბრალოდ ჩემი მონათხრობის მიხედვით ამბების მიმდინარეობას სწორ მიმართულებებს აძლევ“, უთხრა იოსებმა იესოს და გააგრძელა:

„ამ ღამის საუბრები მეფე ჰეროდის ამბებით დავიწყოთ. იგი კარგა ხანს ელოდა ბრძენ ხალხს, რათა მათგან გაეგო იესოს ანუ ისრაელის ახალი მეფის ადგილსამყოფელის შესახებ. მაგების ვიზიტიდან გავიდა თითქმის 40 დღე და როდესაც ბრძენი ხალხი აღარ გამოჩნდნენ ჰეროდმა გადაწყვიტა ბეთლეჰემის ყველა ახალდაბადებული ბავშვი მოეკლა, რათა კონკურენტი მეფის აღზევებისათვის ხელი შეეშალა.

ჰეროდი აქტიური მეფე იყო. მისი გადაწყვეტილება ბავშვების დახოცვის შესახებ ძალიან ძნელი გადაწყვეტილება იყო. მთელი ღამე მან თეთრად გაათენა. მის წინაშე მეტად ძნელი საკითხი იდგა.

მან, ჰეროდ დიდმა, თუმცა რომის იმპერიის ქვეშევრდომი იყო, დიდად აღადგინა ებრაელთა შელახული სახელმწიფო. ჰეროდმა უდიდესი ბრწყინვალებით აღმართა ბაბილონელების მიერ დანგრეული სოლომონ დიდის ტაძარი, გააფართოვა იგი და მარმარილოთი შემოსა. აღადგინა მასადას უძლიერესი ციხე, გაიყვანა გზები, გახსნა სკოლები, ხელი შეუწყო აღებ-მიცემობის განვითარებას. მაქსიმალურად დაწია სავაჭრო და სამოსახლო გადასახადები. მისმა შვილებმაც, შესაბამისი ცოდნა შეიძინეს და მზად იყვნენ ქვეყნის სამართავად. ამისათვის კი საჭირო იყო სიმშვიდე, სტაბილურობა, რათა რომაელებმს ეგრძნოთ, რომ იუდეადან რომის იმპერიას საფრთხე არ ემუქრებოდა.

ჰეროდის ყველაზე დიდი მიღწევა იყო უშესანიშნავესი პორტის კესარიას მშენებლობა, რომელიც ფაქტიურად, ყველაზე კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა იუდეაში. კესარია იმ დროის მსოფლიოს ყველაზე დიდ ხომალდებს იღებდა და ისტუმრებდა. კვირაში ერთხელ გადიოდა დიდი სატვირთო და სამგზავრო გალერები, რომლებსაც ათი ათასობით საქონლისა და ასობით მგზავრის გადაყვანა შეეძლო კესარიიდან რომში. ამავე დროს ჰეროდის ბრძანებით მკვდარი ზღვის ნაპირას ასფალტის ქარხანა აშენდა, რომელიც ბაბილონთან და ეგვიპტესთანაც კი ვაჭრობდა. მის დროს კესარიაში და იერუსალიმში დასრულდა წყლისა და კანალიზაციის დიდი სისტემების მშენებლობა.

ასე, რომ ახალი, კონკურენტი მეფის გამოჩენა უცნობი პროგრამით ქვეყნის სიმშვიდეს არღვევდა და რომის ადმინისტრაციას საბაბს აძლევდა ძალმომრეობისა და დემოკრატიული შეზღუდვებისათვის. ამის გამო ჰეროდმა დიდი ყოყმანის შემდეგ საშინელი გადაწყვეტილება მიიღო – ორ წლამდე ბავშვების განადგურების შესახებ.

„მხოლოდ ებრაული სახელმწიფოს ინტერესებისათვის ვაკეთებ ამას“, უთხრა ჰეროდმა, თავის კანცლერს, როდესაც გადასცა სიტყვიერი ბრძანება ბავშვების განადგურების შესახებ.

მარიამის ბიძაშვილმა ელისაბედმა შემთხვევით გაიგო, რომ ჰეროდის სადამსჯელო რაზმები ბავშვების განადგურებას აპირებენ. მისი ფეხბედნიერი შვილი იოანე საფრთხეშია. ელისაბედმა იოანე საცვლებში გაახვია და მთაში წაიყვანა. იქ მან შესაფერის სამალავს დაუწყო ძებნა. ელისაბედს ხანდაზმული ასაკის გამო მთაზე ასვლა არ შეეძლო. მან სევდიანად ამოიოხრა და თქვა:

„ო, მთაო! მთაო! უფლის სახელით მიიღე დედა-შვილი, რომელთაც სასიკვდილო საფრთხე ემუქრებათ“.

მთა მაშინვე გაიღო. გამოჩნდა უფლის ანგელოზი, რომელიც დედა-შვილს მთის უხიფათო ნაწილში წარუძღვა.

მაგრამ ჰეროდის რაზმელები ყველა ახალდაბადებულს, მათ შორის იოანესაც საგულდაგულოდ დაეძებდნენ. საქმეს აიოლებდა რომაელების მიერ შემოღებული რეგისტრაციის წესი, რომლის დროსაც იუდეაში მცხოვრები ყველა მამაკაცი, მათ შორის ახალდაბადებული ყმაწვილიც აღირიცხებოდა, როგორც გადასახადის გადამხდელი.

ჰეროდის ხალხი იოანეს მამას, ზაჰარიას ეწვივნენ. იგი იერუსალიმის სოლომონის ტაძრის საკურთხეველს ემსახურებოდა. რაზმელებმა ზაჰარიას ჰკითხეს:

„სად არის შენი ახლადდაბადებული ბიჭი იოანე, რომელიც ახლა ექვსი თვის უნდა იყოს და რომელიც ხანდაზმულ ასაკში შეგეძინა? ჩვენი, შენი და შენი მეუღლის ელისაბედის შესახებ ყველაფერი ვიცით. ისინი ვერსად ვერ ვნახეთ“, თქვეს რაზმელებმა.

„მე ვარ უფლის სამსახურში და ვემსახურები საკურთხეველს. საიდან უნდა ვიცოდე, თუ სად არის ჩემი შვილი?“

რაზმელები უკან წავიდნენ და ჰეროდს მოახსენეს ეს ამბავი.

მეფე ჰეროდი დიდად განრისხდა და ბრძანა:

„ხომ არ არის ტაძრის მსახურის ზაქარიას შვილი იოანე ისრაელის მეფედ დანიშნული? მის შესახებ ხომ არ ლაპა-

რაკობდნენ აღმოსავლეთიდან მოსული სამი ბრძენი ჯადოქარი?“

ჰეროდმა ისევ გაგზავნა თავისი ხალხი ტაძრის საკურთხეველში და ზაქარიას კატეგორიულად მოსთხოვეს სიმართლის თქმა.

„ზაქარია, გონს მოდი. მეფე ჰეროდის ბრძანებაა, გვითხრა სიმართლე თუ სად არის შენი შვილი იოანე. წინააღმდეგ შემთხვევაში შენს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება“.

„მე ვარ უფლის წამებული მსახური. თუ თქვენ დაღვრით ჩემს სისხლს, უფალი მიიღებს ჩემს სულს“, თქვა ამაყად ზაქარიამ და სიკვდილისათვის მოემზადა.

ამ სიტყვების შემდეგ ჰეროდის ხალხმა ზაქარია ხმლებით აკუწეს. იგი იყო ისრაელის მომავალი მეფის მეკვლისა და დიდი წინასწარმეტყველის მამა. ეს მკვლელობა მოხდა იერუსალიმის სოლომონის ტაძრის საკურთხეველთან და ისრაელის შვილებმა ჯერაც არ იციან ამ მკვლელების სახელი.

დაახლოებით ერთ საათს ელოდნენ ტაძრის მღვდლები და მლოცველები ზაქარიას. ამაო ლოდინის შემდეგ ერთი მლოცველი შევიდა თაბერნეიქელში, სადაც საკურთხეველი იყო. იქ მან უამრავი სისხლი ნახა, რაც უეჭველი ნიშანი იყო ბოროტი საქმისა. უეცრად ზეციდან მოსულმა ხმამ მღვდელს აუწყა, რომ ტაძრის ერთგული მსახური ზაქარია მოკლულია და მისი სისხლი არ აღიგვება მიწისაგან პირისა, სანამ შურისძიება არ აღსრულდება.

ამ ამბის შემსწრე მღვდელი ფრიად შეშინდა და სასწრაფოდ დატოვა თაბერნეიქელი, გამოვიდა გარეთ და სხვა მღვდლებს მოახსენა თუ რა საშინელება ნახა და მოისმინა. ყველანი უკან დაბრუნდნენ და დარწმუნდნენ, რომ ტაძრის უწმინდეს ადგილას – საკურთხეველთან, რომელიც უფლის სახლში, თაბერნეიქელში იმყოფებოდა, უსაზიზღრესი მკვლელობა მოხდა. ვერავინ ნახა ზაქარიას აკუწული სხეული, ხოლო მისი სისხლი კი თაბერნეიქელის მარმარილოს ფილაქანზე გაშეშდა. მცირე თათბირის შემდეგ მღვდლების ჯგუფი ტაძრის შესასვლელ ფართე კიბეებთან გამოვ-

იდნენ და დამსწრე საზოგადოებას მოახსენეს, რომ ტაძრის ერთგული მსახური, საკურთხევლის მომსახურე მღვდელი ზაქარია მოკლული იქნა. ყველა დამწუხრდა, ხოლო კულტის მსახურებმა კიდევ ერთი თათბირი გამართეს ამის თაობაზე და დიდი შეშფოთება გამოთქვეს.

ამ დროს ჩვენი ოჯახი უკვე იერუსალიმში იყო. ღამით არქანგელოზი გაბრიელი ისევ მესტუმრა და მითხრა:

„იოსებ დროს ნუ დაკარგავ. ადექი, წაიყვანე ყმა და მისი დედა და ეგვიპტეში გაიქეცით და იყავით იქ სანამ მე ახალ ბრძანებას არ მოგცემთ. მეფე ჰეროდ დიდს სურს თქვენი მოყმის მოძებნა და მისი დაღუპვა, რათა ხელი შეუშალოს მის გამეფებას“.

მე სასწრაფოდ გავაღვიძე მარიამი და დაწვრილებით მოვუყევი თუ რა მითხრა ძილში არქანგელოზმა გაბრიელმა. მარიამს ანგელოზებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ანგელოზების გამოზრდილი იყო. იგი მთლიანად დამეთანხმა, რომ დიდი საფრთხის წინაშე ვიდექით, სასწრაფოდ შევაგროვეთ ჩვენი ნივთები და საჩუქრები, რომლებიც იესოს დაბადების დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა ღირსეულმა ადამიანმა გვიბოძა, შევჯექით ჯორზე და თავს გაქცევით ვუშველეთ. ეს ძალიან დროული მოქმედება იყო, რადგან მეფე ჰეროდის ბრძანებით უკვე დაიწყო ნიშანდადებული პატარა ბავშვების ხოცვა.

მეფე ჰეროდი მიხვდა, რომ აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებიდან მოსულმა ასტროლოგებმა იგი შეცდომაში შეიყვანეს. მათ არ მოახსენეს ახლადდაბადებული ყმის ადგილსამყოფელი. მათი საქციელი მიანიშნებდა მხოლოდ ერთს, რომ მართლაც დაიბადა მოყმე, რომელიც მომავალში იუდეას მეფე უნდა გამხდარიყო. ამიტომ ჰეროდი ცდილ;ობს იესოს მოკვლას. იმის გამო, რომ ყველა პატარა სახით ერთმანეთს ჰგავს, ჰეროდმა გადაწყვიტა ორ წლამდე ასაკის ყველა პატარის დახოცვა. მეფემ ეს ასაკი იმ ინფორმაციის თანახმად განსაზღვრა, რომელიც მან აღმოსავლეთელი მაგი ასტროლოგებისაგან მიიღო.

ჩემო პატარა ბიჭიკო, ერთი შეხედვით ძალიან რთულ საკითხებზე გელაპარაკები, მაგრამ შენ ხომ არაჩვეულებრივი ბიჭი ხარ“, თქვა იოსებმა და ორიონის თანავარსკვლავეთს მიაშტერდა, „იქნებ იქიდან ხარ, იქნებ პლანეტა ნიბირუდან ხარ, რომელსაც მე-12 საიდუმლო პლანეტას ეძახიან, იქნებ სულაც ბიბლიაში მოხსენიებული ნიფელიმელების ჩამომავალი ხარ, ვინ იცის, შენ შეიძლება განსაკუთრებული დავალება გაქვს, საფრთხე გვერდს გივლის, თუმცა შენს გამო დიდი ამბები ხდებოდა და კიდევაც მოხდება. სანამ შევძლებ გავუძლებ მათ, მე შენი ერთგული ჯარისკაცი ვიქნები, მაგრამ თუ ვერ შევძელი ტვირთის ზიდვა, ნუ დამძრახავ, მე ხომ მხოლოდ ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, შენი მიწიერი მამობილი, ზეციური შენი მამის საპირისპიროდ.

ჩემო ძვირფასო თაფლის ბიჭო, მიუხედავად ჩემი სისუსტისა და მიწიერობისა თავს ნებას ვაძლევ რომ თუმცა აღმოსავლეთელმა ჯადოქრებმა ძალიან დამაჯილდოვეს, სანამ შენ არ გაიზრდები და დიდი ჯადოქარი არ გახდები განძი, რომელიც მათ გადმომცეს სამუდამოდ შეგინახავ, რომელსაც როდესაც საჭირო გახდება მაშინ გამოიყენებ. ხოლო ჯადოქრებზე კი ვიტყვი, რომ მათ მეტი ჭკუა უნდა გამოეჩინათ და ენისათვის კბილი დაეჭირათ. მაშინ ბევრ საფრთხეს ავცდებოდით. ენა ჩვენი ყველაზე დიდი მტერია. გაფრენილ სიტყვას ვეღარ დაიჭერ. ტკბილი სიტყვით გველსაც კი ამოიყვან ხვრელიდან. ახლა შენ ჯერთ არ ლაპარაკობ, მაგრამ მერე ვგრძნობ, რომ ნამდვილი ოქროპირი გახდები, მაგრამ ყოველ სიტყვას კარგად აწონ-დაწონვა უნდა. აღმოსავლეთელ ბრძენებს კასპარს, ბალთაზარსა და მელჰიორს ცჭკუა რომ ჰქონოდათ ჰეროდისთვის არ უნდა ეთქვათ, რომ ამა და ამ ადგილას იუდეას ახალი მეფე დაიბადაო. მათ ჩუმათ უნდა ენახათ იესო, ანუ შენ, თაყვანი ეცათ მისთვის და მერე თავის გზაზე წასულიყვნენ. მე ჩემო პატარავ, ზუსტად არ ვიცი, რომ ხარ შენ იუდეას ახალი მეფე თუ არა. მე მხოლოდ ვარაუდობ, რომ შეიძლება ეს შენ ხარ, თუმცა არქანგელოზმა გაბრიელმა უკვე მითხრა ამის შესახებ, მაინც ვყოყ-

მანობ, რადგან მიწიერი ვარ. ამიტომ ვახსენებ ხოლმე ზოგ-ჯერ იესოს, როგორც მესამე პირს, რადგან მისი ზეციური სტატუსი სცილდება ჩემს მიწიერ მოვალეობებს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ბრძენ ჯადოქრებს რომ მოეკეტათ, უამრავ ხიფათს ავცდებოდით, ამის მაგივრად მათ ყველას გააგებინეს ამ ამბების შესახებ და დაიწყეს ტაძრის ეზოში ლაპარაკი:

„იუდეას ახალდაბადებული მეფე სად არის?“

„არ ვიცით“, უპასუხა ხალხმა.

სამი „ბრძენი“ კი არ ეშვება მათ:

„როგორ არ იცით, ჩვენ ხომ სპარსეთიდან მოვდივართ, მის ვარსკვლავს მივყვებით. აი იერუსალიმში მოვედით, ვარსკვლავიც აგერ ცაზე ჰკიდია, ახლა გამოვიანგარიშებთ რომელი სახლის თავზე გაჩერდება, იქ უნდა ახლადდ-აბადებული მოყმე იყოს, რომელიც მერე იუდეას დიდებული მეფე იქნება, ხომ ვერ დაგვეხმარებით ამის გარკვევაში?“

ხალხი ინტერესდება, იწყება მითქმა-მოთქმა, ჭორები, ბრძენი ხალხის ეს ლაპარაკი მეფე ჰეროდის ყურამდე მიდის, ისიც კონკურენტი მეფის მოკვლას გადაწყვეტს.

პატარა ბიჭების ხოცვა რაღაც შემზარავი სანახაობაა! ჰეროდის ჯარისკაცები ერთი სახლიდან მეორეში იჭრებიან, როცა ნახულობენ პატარა ბიჭებს, დედებს მათ ხელიდან სტაცებენ და ყელს ჭრიან. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ბავშვი მოკლეს მათ, მაგრამ დედების გოდების ხმა ზეცას სწვდება, რითაც სრულდება წინასწარმეტყველ იერემიას სიტყვები, რომლებიც ჩაწერილია ბიბლიაში. ამბობენ, ჰეროდის ხალხმა 200 პატარა მოკლაო, სხვა ცნობებით 400 ბავშვსაც ამბობენ, ზოგჯერ ციფრ 1000-საც ასახელებენ.

ეს სისხლი სადღაც ჩვენც გვეხება. მართალია ეს ამბავი „ბრძენი“ ხალხის უპასუხისმგებლობით ან უვიცობით მოხდა, მაგრამ ჩვენ ხომ გადავრჩით, ისინი კი დაიხოცნენ. ჩემო ბიჭიკო, დიდი მსხვერპლია შენს გადასარჩენად გაღებული“, თქვა იოსებმა და იესოს თავზე ხელი გადაუსვა, „ასეთია ცხოვრება“ დაამატა მერე და კვლავ ორიონის თანავარსკვ-

ლავეთს გახედა. იესომაც მის მზერას გააყოლა თვალი და გააგრძელა თხრობა:

„ასე დავდექით იერუსალიმ-ეგვიპტის გზას. ორი დღე ჩემი ბიჭები მაცილებდნენ, მერე კი ისინი სახლში დავაბრუნე. დავრჩით მე, მარიამი და შენ. გზაში ბევრი ამბავი გადაგვხდა, რომელთაგან რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანია და, მიუხედავად იმისა, რომ მეტად პატარა ხარ, შეიძლება ისინი გახსოვს კიდევაც.

ერთი დიდი ქალაქის მისადგომებთან წარმართი ღმერთის ქანდაკება იდგა. როდესაც მას მივუახლოვდით ჩვენს ჯორს ერთი ღვედი გაუსკდა და ამიტომ იძულებულ შევიქენი შენ და დედაშენი ჯორიდან ჩამომესხით. იქვე იდგა წარმართი ღმერთის მსახური, რომელიც კერპს ალაპარაკებდა. ხალხი გაოცებული იყო. საქმე იმაშია, რომ კერპში სატანა იყო შესული და სინამდვილეში ის ლაპარაკობდა.

კერპის მსახურს ჰყავდა შვილი, რომელშიც ავი სულები იყვნენ ჩაბუდებულები. შვილი თითქმის შიშველი დადიოდა ქუჩებში და ვისაც კი დაინახავდა, ქვებს ესროდა.

კერპის მახლობლად პატარა სასტუმრო იყო და ღამის გასათევად იქ გავჩერდით. მე მაშინვე ჯორის გამსკდარი ღვედის დაკერება დავიწყე, ხოლო მარიამმა იესოს საცვლების რეცხვა დაიწყო.

ამასობაში კერპის წინ, პატარა მოედანზე ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ ქალაქის ბევრი კეთილშობილი პირი შეუერთდა. მათ განაცხადეს:

„რატომ არის, რომ მთელ ქალაქში შიშმა დაისადგურა? როგორც ირკვევა, ეს მოვლენა მეზობლად მდებარე სოფლებზე და ქალაქებზეც ვრცელდება. რაშია საქმე? ძალიან შეწუხებულები ვართ ამ ამბით“, თქვენს წარჩინებულმა მოქალაქეებმა და ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

კერპმა თეძოები შეარხია და განაცხადა:

„შიშის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ჩვენს არემარეში უცნობი ღმერთის შვილი გამოჩნდა. იგი ჩვენთვის არის უცნობი, მაგრამ სინამდვილეში იგი უცნობი უფლის ჭეშ-

მარიტი შვილია. არავინ არის ღირსი რომ მის გვერდით იყოს, არავინ არის ღირსი, რომ მას ეთაყვანოს. იგი უფლისწულია“.

ამის თქმა იყო და მიწამ ზანზარი დაიწყო. ზოგიერთი მსუბუქი კონსტრუქციის შენობა დაინგრა. საზოგადოებაში შიშმა იმატა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კერპი მიწაზე პირქვე დაემხო და დაიმსხვრა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო:

„უფრთხილდით იესოს, რადგან იგი ყველას ჭკუაზე მოგიყვანთ...“, მაგრამ ვერ მოასწრო წინადადების დასრულება.

კერპის მსახური, რომელიც უკანასკნელი სამი წლის განმსავლობაში ემსახურებოდა წარმართი ღმერთის ქანდაკებას, ძალიან შეწუხდა და გაოგნებული დადიოდა კერპის ნემსხვრევებს შორის. საბედნიეროდ, კერპის თეძოების შუა უკანა ნაწილი თითქმის უვნებლად გადარჩა. მსახურმა კერპის გადარჩენილ გავას ღრმა თაყვანი სცა და ჩაფიქრებული ზედ ჩამოჯდა.

მისი გონებრივად დაზიანებული შვილი იმ სასტუმროში წავიდა, სადაც ჩვენ, მარიამი და იოსები, ჩვენს ყმასთან ერთად ვცხოვრობდით და ჩვენს წინ გამოცხადდა. მე ჩემო პატარა ბიჭიკო, ძალიან შევცბუნდი“, თქვა იოსებმა და ეგვიპტის ცის ქვეშ, სახლის ბანზე ბოლთის ცემა გააგრძელა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი დასძინა, „დარტყმულისაგან“ ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ამ დროს მარიამი იესოს საცვლებს თოკზე აშრობდა. ბიჭი, რომელსაც ეშმაკი შეუჩნდა მარიამს მიუახლოვდა. მარიამმა ბიჭს თავზე იესოს მშრალი საცვლები დაადო და მოხდა საოცრება. ეშმაკი და ავი სულები ბიჭის პირიდან ბაყაყისა და გველით სახით გამოვიდნენ და იქაურობას გაეცალნენ. ამის შემდეგ განკურნებულმა ბიჭმა იესოს ქება დაიწყო.

მალე ბიჭი სასტუმროდან გამოვიდა და მამას მიუახლოვდა, რომელიც სასტუმროს წინ მდებარე მოედნის მეორე ბოლოში მდგარ და შემდეგ კი დამსხვრეული კერპის გადარჩენილ საჯდომზე იჯდა. ბიჭი მამას მიუახლოვდა, გვერდი აუარა კერპის დამსხვრეულ ნაწილებს, თავს, ხელებს,

ფეხებს, ნიდაყვი ჩამოსდო უზარმაზარი ფალოსის თავს და მამას გამოელაპარაკა. მამა გაოცებული დარჩა ბიჭის განკურნებით.

„ჩემო შვილო“, თქვა კერპის ყოფილმა მსახურმა, „რა მოხდა შენს თავს? როგორ განიკურნე, რამაც ასე ძალიან გამახარა?“

„როდესაც ეშმაკმა შემიპყრო, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი, კარგად გახსოვს. ტიტველი დავდიოდი და ხალხს ქვებს ვესროდი, როდესაც კერპი დაიმსხვრა და მიწა იძრა, მე სასტუმროში წავედი. იქ ვნახე ძალიან ლამაზი ქალი, პატარა ბიჭთან ერთად. ქალმა ბიჭის საცვლები გარეცხვამდე თავზე ჩამომაფარა. ერთ-ერთი ყველაზე გაურეცხავი მაჩუქა კიდევაც. როგორც კი ეს ამბავი მოხდა ეშმაკმა დამტოვა“, თქვა ბიჭმა. კერპის ფალოსს სწრაფად მოსცილდა და კერპის საჯდომიდან მიწაზე ჩამომხტარ მამას დიდი სიხარულით გადაეხვია.

მამამ ძალიან გაიხარა და თქვა:

„ჩემო საყვარელო შვილო, ის ბიჭი, რომლის საცვლებმაც შენ განგკურნა ნამდვილად ცოცხალი ღმერთის შვილია, იმ ღმერთის, რომელმაც ცა და დედამიწა შექმნეს. როგორც კი მისი შვილი ჩვენს არემარეში გამოჩნდა, მან განგკურნა და ყველა წარმართი ღმერთის კერპი მიწაზე დასცა და დაამსხვრია. შეხედე შვილო ამ კერპს, რომელიც ასე საგულდაგულოდ დაიმსხვრა. მისგან მთელი მხოლოდ საჯდომი და ფალოსის თავი დარჩნენ. იგი დაიმსხვრა, რადგან მასზე უფრო დიდმა ძალამ იმოქმედა“.

როდესაც მამა-შვილი ასე საუბრობდნენ ჩვენ მოედნის გადმოღმა სასტუმროში ვიმყოფებოდით, მაგრამ დამტვრეული კერპიდან დაბერილ სიოს მამა-შვილის საუბარი ჩვენს ყურს აღწევდა. ჩვენ ვაანალიზებდით საუბრის შინაარსს და კარგად გავიაზრეთ თუ რა მოხდა, რამაც ძალიან შეგვაშინა. ფაქტია, რომ კერპი დაეცა და დაიმსხვრა. შესაძლებელია ქალაქის ადმინისტრაცია, რომელიც ეგვიპტის სელევკიდების დინასტიის დაქვემდებარებაში იყო დაინტერესებულიყო

თუ რა მიზეზით დაიმსხვრა მათი კერპი. ხომ არ იყო ამაში ახალჩამოსული მოყმის ბრალი? ბევრმა მოისმინა კერპის უკანასკნელი სიტყვები: „უფრთხილდით იესოსო, იგი ყველას ჭკუაზე მოგიყვანსო“ და ა. შ. ამ სიახლეს ისინი ქალაქის ყველა გზაჯვარედინზე და ყავა-ხანაში იმეორებდნენ, რითაც შიშსა და პანიკას თესავდნენ. ამავე დროს ჩვენ კარგად გვახსოვდა თუ როგორ დახოცა ისრაელის მეფე ჰეროდმა ყველა საეჭვოდ დაბადებული ბავშვი ბეთლეჰემში და მიმდებარე რაიონებში. ასეთი რამ ამ ქალაქშიც რომ არ გამეორებულიყო და აქაური ბავშვებიც რომ არ დახოცილიყვნენ და ასევე ჩვენ როგორც კერპის დანგრევაში ეჭვმიტანილები ცოცხლად ცეცხლში რომ არ დავეწვით, გადავწვიტეთ ეს ქალაქი სასწრაფოდ დაგვეტოვებინა. ამავე დროს ბარგიც საკმაოდ დაგვიგროვდა. გზას უცნობ გარემოში ფრთხილად მივიკვლევდით.

მალე ჩვენ მივუახლოვდით იმ მხარის ქურდების ძალიან დიდ თავყრილობას. მათი ბაზა ისეთ ადგილას იყო, რომ გვერდს ვერაფრით ავუვლიდით. ჩვენ ან უკან უნდა დავბრუნებულიყავით, ან ქურდების ბაზაში მივსულიყავით. მერე შევიტყეთ ფრიად უცნაური ამბავი, რომ რაც უფრო ვუახლოვდებოდით ყაჩაღების ბაზას, მათ ჩვენი ჯორების ნაცვლად ეჩვენებოდათ რომ მეფის დიდებული ამალა გვიახლოვდებაო, საყვირებისა და დოლების გრიალით, ცხენების ფლოქვების თქარა-თქურით.

ამავე დროს კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი მოხდა. ახლომდებარე ქალაქების სატუსაღოებში პატიმრებმა შესძლეს ერთმანეთის ჯაჭვების გაღება, ციხის კარების განგრევა და განთავისუფლება. განთავისუფლებული ნაძირალები სწორედ იმ ადგილას შეგროვდნენ, რომელსაც ჩემი ოჯახი უახლოვდებოდა. როდესაც ახლოს მივედით, ქურდებმა და ახლად განთავისუფლებულმა პატიმრებმა მკითხეს:

„სად არის მეფე, თავისი ამალით, რომელიც ცხენების თქარა-თქურით ასე საზეიმოდ რომ გვიახლოვდებოდა?“

„ისინი ჩვენს უკან არიან და ჩქარა აქ იქნებიან“, ვთქვი

მე, რადგან ძალიან შეშფოთებული ვიყავი, უკვე სამი ჯორი გვყავდა სხვადასხვა ძვირფასეულობებით დატვირთული, მათ შორის იყო სამი აღმოსავლეთელი ჯადოქრის საჩუქრები და ეშმაკისაგან განთავისუფლებული ბიჭის მამის მადლიერი ძღვენი“.

ყაჩაღები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ და მითხრეს:

„ძალიან კარგი ამბავი გვითხარი, გასწი ახლა წინ და ჩვენ კი მეფის ამალას კარგად გავძარცვავთ, მაგრამ თუ შემოგვიერთდები ერთ სამოცდამეთორმეტე წილსაც მოგცემთ ალაფისაგან“.

მე დიდი მადლობა მოვახსენე ყაჩაღებს და ვუთხარი, რომ პატარა ბავშვი მახლავს მეუღლესთან ერთად და სახლში მივიჩქარით-მეთქი.

აბა ახლა ჩემო კარგო, დავამთავროთ ჩვენი დღევანდელი ღამის გრძელი საუბარი და დავიძინოთ, რათა ძილში გავიაზროთ თუ რაზე ვილაპარაკეთ. ჩემო დედის იმედო, შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე. ის რაც ჩვენს ოჯახს გადახდა თავს, როგორც შენს დაბადებამდე და ისე შენი დაბადების შემდეგ შესაძლებელია არც ერთ ოჯახს არ გადახდენია თავს მთელს დუნიაზე“, თქვა იოსებმა და საძილე ოთახისაკენ დაეშვა. კიბეებს ამჯერად მტკიცე მოაჯირი ჰქონდა მორგებული და ამიტომ თუმცა ღამე იყო, იოსები სამ-სამ კიბეზე უშიშრად ხტებოდა, რადგან სავსე მთვარე და ვარსკვლავების შუქი ამის გაკეთების საშუალებას აძლევდა.

ღამე მეშვიდე

ღამით იოსებს მშვენივრად ეძინა. შემჩნეული ჰქონდა, რომ პარასკევ-შაბათს ჯანსაღი ძილი ჰქონოდა ხოლმე, რაც უტყუარი ნიშანი იყო, რომ უფლის დავალებებს პირნათლად ასრულებდა. დილით იოსებმა შვრიის ფაფით კარგად ისაუზ-

მა, მარიამმა საგზალიც გაუმზადა, რადგან ბიბლიოთეკა ქალაქის მეორე ნაწილში, ალექსანდრიის შუქურის რაიონში მდებარეობდა.

მზე ახალი ამოსული იყო, როდესაც იოსები გზას დაადგა. დიდებუვლი ქალაქი იყო ალექსანდრია. პტოლემეიოსის შემოქმედება. იგი ისევე ფიქრობდა ალექსანდრიისათვის, როგორც მეფე ჰეროდი იერუსალიმისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრია ხმელთაშუაზღვის ყველაზე კომფორტაბელური ქალაქი იყო, სადაც მსოფლიოს მრავალი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. იოსები ალექსანდრიის ებრაულ გეტოში დასახლდა. იგი ფაქტიურად ცალკე ქალაქი იყო, ებრაული მმართველობითა და სინაგოგებით. ეგვიპტის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა რომ ყველა ეროვნების მოქალაქეს თავი ისე ეგრძნო როგორც საკუთარ სახლში და ეს ასეც იყო. მთელს ეგვიპტის იმპერიაში ერთ მილიონამდე ებრაელი ცხოვრობდა და ისინი თავს შესანიშნავად გრძნობდნენ. იოსები დაუყვა ქვაფენილით დაფარულ გეტოს სუფთა ქუჩებს და მზად თითქმის ყველა შემხვედრს დილა მშვიდობისას უსურვებდა. იოსებს ახალგაზრდობაში თითქმის მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი. ინდოეთში და ტიბეტშიც კი იყო ნამყოფი და მისი აზრით ალექსანდრია მსოფლიოს ყველაზე ზრდილობიანი ქალაქი იყო. ქალაქში ახლადჩამოსული ქილიკიელი და ეგეოსიელი გაუთლელი და უხეში პირატი-ვაჭრებიც კი მოკლე დროში ზრდილობიან მოქალქეებად იქცეოდნენ ხოლმე. ერთ ადგილას იოსებს ნაცნობი ებრაელი მიესალმა, რომელმაც იგი საუზმეზე მიიპატიჟა თავის სასტუმროში. იოსებმა მადლობა გადაუხადა მიპატიჟებისათვის, უთხრა, რომ ახლახანს ისაუზმა და მოიკითხა მისი ახლობლები, ასევე დასძინა:

„სხვა დროს შემოგივლი ჩემო ზიზი, შეიძლება ერთ კვირაში, ახლა კი ბიბლიოთეკაში მივდივარ სამეცადინოდ„.

„რომელ განყოფილებაში?“ იკითხა ზიზიმ.

„წინასწარმეტყველებების დეპარტამენტში მივდივარ“, მიუგო იოსებმა.

„კარგია“, დაეთანხმა ზიზი, „ძნელია განსჭვრიტო მომავალი. წინასწარმეტყველებების ნაშრომები კი გვიადვილებს მომავლის წარმოსახვას“, დაამატა მერე.

„მეც ასე ვფიქრობ“, კვერი დაუკრა იოსებმა.

„როგორ იზრდება შენი პატარა ბიჭუნა?“ იკითხა ისევ ზიზიმ.

„სწრაფად იზრდება, გონიერი ბიჭია“, შენიშნა იოსებმა.

„ღმერთმა გაგიზარდოს და მისი შვილი იყოს“, თქვა ზიზიმ, „უფრო უკეთესი იქნება თუ ჩვენი „მეშაია“ იქნება“, დააზუსტა ბოლოს.

„უფალმა გისმინოს და შენი საქმიანობა დალოცოს“, თქვა იოსებმა და გზა გააგრძელა.

ალექსანდრიის განთქმული ბიბლიოთეკა კუნძულზე იყო მოთავსებული. ქალაქის მთავარ ნაწილსა და ბიბლიოთეკის კუნძულს შორის ჯებირის ტიპის გზა-ხიდი იყო გაყვანილი. იოსები სწორედ ამ გზა-ხიდზე მიდიოდა უკვე. აქ ნილოსი დაგუბებული იყო. შემოსული ხომალდები მოადგებოდნენ საგუბრების ჯებირებს, სადაც ზღვის დონეს გასწონასწორებული აუზის საშუალებით ხომალდები ზღვიდან ნილოსს აღმა აუყვებოდნენ ხოლმე. ბიბლიოთეკის კუნძულზე დაახლოებით თხუთმეტი მოგრძო შენობა იყო. აქედან 8 შენობა უშუალოდ ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა, თავისი საცავებით. დანარჩენ შვიდ შენობაში ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მეცნიერების საერთო საცხოვრებლები იყო. კუნძულის განაპირას, შესანიშნავ ბაღში მოთავსებული იყო კიდევ სამი შენობა. ეს უმაღლესი კლასის სასტუმროები იყო, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან ჩამოსული მეცნიერები ცხოვრობდნენ. ზოგიერთი გამოჩენილი სწავლული თხუთმეტკაციანი ამალით ცხოვრობდა და მათ ხშირად ცალკე სახლები ჰქონდათ დაქირავებულები. მთლიანად კუნძული შესანიშნავ ბაღში იყო ჩაფლული, რომლის საჩრდილობლებისა და სასაუბრო ჯიხურებში მეცნიერები საუბრობდნენ. ღამით ბიბლიოთეკა ალექსანდრიის შუქურისა და ჩირაღდნების შუქზე აგრძელებდა მუშაობას. ბიბლიოთეკის შენობებს შორის მოკირწყლულ გზებზე მონები მიმოდიოდნენ ზურგზე აკიდებუ-

ლი სპეციალური ხურჯინა-ჩანთებით, სადაც პაპირუსებისა და პერგამენტების გორგლები ელაგა. კუნძულზე აგრეთვე იყო შესანიშნავი ამფითეატრი, აბანო და საროსკიპე.

იოსებმა წინასწარმეტყველთა დეპარტამენტის შენობა მოძებნა და დაღამებამდე თავაუღებლივ კითხულობდა და მეცადინეობდა. მის მაგიდაზე პაპირუსებისა და უზარმაზარი წიგნების მთელი გორა იყო. იოსები ცდილობდა უკეთ გარკვეულიყო წინასწარმეტყველთა შეხედულებებში მესია-მხსნელის გამოჩენის შესახებ. და უკავშირდებოდა თუ არა მესიისათვის დამახასიათებელი ნიშნები მისი პატარა ბიჭის თვისებებს. მესიის ებრაელი ექსპერტები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ებრაელთა მხსნელი ადამიანური წარმოშობის უნდა იყოსო. იმავე აზრზე იყვნენ ზოგიერთი არაებრაელი მეცნიერებებიც, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მესიის ღვთიური წარმოშობის თეორიისაკენ იხრებოდნენ, რაც იოსებს საგონებელში აგდებდა. რადგან თუ მისი ბიჭი მესია უნდა ყოფილიყო, მაშინ ებრაული გაგებით ადამიანი უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ იგი უფლისწული იყო, მაშინ იგი ებრაელთა მესია ვერ იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, იოსებს უკვე ეჭვი არ ეპარებოდა იესოს არაჩვეულებრივ თვისებებში. მას უკვე შეეძლო გონებით ლაპარაკი და ბრძანების გაცემა. და ეს უკვე ძალიან პატარა ასაკში.

საღამოს პირზე თავდამძიმებული იოსები სახლში დაბრუნდა და ვახშმობის შემდეგ მარიამს მოახსენა:

„ჩემო ძვირფასო მარიამ! დიდი გამოცდა გვარგუნა უფალმა. უკვე ეჭვი აღარ მეპარება ჩვენი შვილის ექსტრაორდინალურ თვისებებში. იგი ძალიან მაღლა დგას და მზად იყავი თუ ერთ მშვენიერ დღეს მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობების საკითხს გადახედავს, თუ მოულოდნელად იგი თავის თავს მშობლებზე მაღლა დააყენებს და განაცხადებს, რომ ჩვენ მისი მშობლები არა ვართ, რომ სინამდვილეში მისი მშობელი არის იაჰვე.“

„ეს ძალიან სასიხარულო ამბავი იქნება და მე მზად

ვარ ვიტვირთო ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელსაც ჰქვია „იყო ღვთის მშობელი“, განაცხადა აღფრთოვანებულმა მარიამმა.

„მეც პირობას გაძლევ, რომ შევეცდები თავმდაბლად შევასრულო უფლის მამინაცვლის როლი“, თქვა იოსებმა მოკრძალებით.

ცოლ-ქმარი მეტად აღგზნებულები იყვნენ. ადგილს ვერ პოულობდნენ, ხუმრობა კი არ იყო უფლისა და ანგელოზების ხელდადებული შვილის ყოლა. იოსებმა ცოტათი დალია კიდევაც, ასე უფრო იოლად უმკლავდებოდა გაზრდილ პასუხისმგებლობას.

ღამით იოსები სახლის ბანზე მარტო ავიდა და კარგა ხანს მიდი-მოდიოდა წინ და უკან. იოსები ცდილობდა გაეანალიზებინა თუ რა წაიკითხა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში. ერთი რამ უეჭველი იყო. ისრაელის მომავალ;ი მესია ბეთლეჰემში უნდა დაბადებულიყო. ეგვიპტეში უნდა გაქცეულიყო, რაც ახდა. ხოლო ცხოვრებით ქალაქ ნაზარეთში უნდა ეცხოვრა. ბეთლეჰემი და ეგვიპტე შესრულდა, რაც შეეხება ნაზარეთს იქ წასვლა იოსებს არაფრით არ უნდოდა. ჯერ ერთი სიდედრს იგი უკვე ველარ იტანდა, სიმამრი იოაჰიმი ფაქტიურად, აღარ ცხოვრობდა სახლში, რადგან ცოლთან ანნასთან საერთო ენას ვერ ნახულობდა. ხოლო თვით ნაზარეთი მეტად ჩამორჩენილი დასახლება იყო. მას მეტად ცუდი სახელი ჰქონდა, როგორც ჩანს ადრე, ჯერ კიდევ იესოს დაბადებამდე მისი მოქალაქეები წარმართობისაკენ იხრებოდნენ, ან სხვა რამე ცუდს აკეთებდნენ, ამის გამო „ნაზარეთელი“ ცუდ კაცად ითვლებოდა მთელს იუდეაში, რამაც მომავალში მის შვილს რა თქმა უნდა, პრობლემებს შეუქმნიდა.

მოგვიანებით იოსები ბანიდან საძილე ოთახში დაეშვა, იესო ჰამაკიდან ამოიყვანა და კვლავ ბანზე დაბრუნდა. იოსებმა იესოს მიმართა. სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა:

„პატარავ! შეეცადე ყოველივე კარგად გამიგო, რადგან ვგრძნობ, რომ შენს მჩქეფარე ცხოვრებას დიდხანს ვერ გავუძლებ. თითქმის ყოველ დღე გამოცანების გამოცნობა

მიხდება. ყოველი შემდეგი დღე ჩემთვის გამოცდაა. ჩემო ბიჭო, ეს შენ ხარ გამოცანა და გამოცდა. თუ დიდხანს ვერ გაგიძლებ უნდა მაპატიო, დღეს კი მოდი გავიხსენოთ და გავაანალიზოთ თუ როგორ მოხდა, რომ ხალხის ბედზე ზეგავლენის მოხდენა დაიწყე მაშინ, როდესაც ვერ ლაპარაკობდი, რამაც უამრავი ადამიანი გააოცა.

გუშინ შეგახსენე ყაჩაღებთან შეხვედრის ამბავი. დღეს კი მინდა ერთი ქალის ისტორია გავიხსენოთ. როდესაც ახალ ქალაქში შევედით, იქ ცხოვრობდა ქალი რომლის ბუნებაში ეშმაკი იყო ჩასახლებული. ერთ ღამეს იგი გაშიშვლდა, და სახლიდან გარეთ გავიდა, აიღო დოქი ვითომ წყლის მოტანა სურდა. ამავე დროს ტანზე ჯაჭვები შემოირტყა. გზად სასაფლაოს ჩაუარა, მის მოაჯირს გადაახტა და მის უკან ჩასაფრდა. გამვლელ კაცებს ქვების სროლა დაუწყო.

ეს ამბავი დედაშენმა გაიგო და შიშველი ქალი ძალიან შეეცოდა. მონახა იგი და ისევ შენი გაურეცხავი საცვლები თავზე დაადო. ეშმაკმა უმალ დატოვა ქალი, რომელსაც მაშინვე შერცხვა სიშიშვლის და თავის ტანსაცმელს დაუწყო ძებნა, ცდილობდა კაცის თვალს არიდებოდა. ბოლოს იგი თავისი მშობლების წინაშე წარსდგა და ყველაფერი მოუყვა. მშობლები ქალაქის წარჩინებულ ფენას ეკუთვნოდნენ და ძალიან გაიხარეს. მათ მონახეს მარიამი და დიდი პატივი სცეს. ჩვენს ოჯახს დიდძალი საკვები გადასცეს, ასე რომ შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ლაპარაკი არ იცოდი, მაგრამ თავის რჩენა იოლად შეგეძლო.

შემდეგ დღეს უკვე საკმაოდ დატვირთულები ჯორებზე შევჯექითჲ და საღამოს ახალ ქალაქს მივადექით, სადაც ქორწილი იყო. ეშმაკისა და ზოგიერთი ჯადოქრის გამოისობით ქორწილის ყველაზე საზეიმო მომენტში სიძეს ხმა ჩაუწყდა და ყურები დაეხშო. მას მარტო ყურება შეეძლო. ქორწილის მასპინძლები ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მშვენივრად მოლაპარაკე და მომღერალი სიძე უცებ ყრუ-მუნჯი გახდა. პატარძალი უკვე უკმაყოფილებას ამჟღავნებდა.

„სიძე არ მომწონს“, ამბობდა იგი.

ქორწილს ჩაშლა ემუქრებოდა, პატარძლის მშობლები უკვე აცხადებდნენ, რომ ასეთ სიძეზე ჩვენ არ შევთანხმებულვართო.

ასეთი ვითარება იყო საზოგადოებაში, რომლებიც საქორწილო სახლში იყვნენ შეკრებილები, რომლის შესასვლელთან დამწუხრებული სიძე იდგა თავის ახლო ნათესავებთან ერთად. სიძის ახლობლები ამაოდ ცდილობდნენ მისთვის ხმა ამოეღებინათ. მათ მეზობელი ქალაქიდან სასწრაფოდ გამოიძეს იმ მხარის ყველაზე უფრო ძლიერი ოხუნჯი, რომლის მონათხრობზე ყველანი მიწაზე გორაობდნენ და ფეხზე დგომა აღარ შეეძლოთ.

„გააჩერეთ ეგ ოხუნჯი, თორემ მოვკვდებით“, ამბობდნენ ისინი თან მუცელი ხელით ეჭირათ.

მაგრამ სიძეზე არაფერი მოქმედებდა. არც ლაპარაკობდა და არც რაიმე ესმოდა. უეცრად სიძემ ჯორზე შემჯდარი მარიამი და მის ხელში ატატებული იესო დაინახა. სიძეს თვალები აენთო და ხელები მათკენ გაიშვირა, შემდეგ კი მათკენ გაიქცა და მზრუნველად მოეხვია, იესო გულთბილად გადაკოცნა და განაცხადა:

„მადლობთ უფალო, რომ ამ ჩემთვის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან დღეს, როდესაც ჩემს ქორწინებას ეშმაკის გამო სერიოზული საფრთხე დაემუქრა, შენი შვილი და ცოლი გამომიგზავნე, რომ გადავრჩენილიყავი“, შემდეგ პირადად მე მომიბრუნდა და მითხრა:

„შენც ჩემო უფროსო დიდ მადლობას მოგახსენებ“. ის სასწაული იყო და ყველამ დიდად გაიხარა. მაცხოვრებლები დარწმუნდნენ, რომ მათ ქალაქში უფლის შვილი, უფლის ქალიშვილი და მისი მცველი ანგელოზი მოვიდნენ. ანგელოზად ხალხმა მე მიმიჩნია და თაყვანის მოცემა დამიწყეს, რამაც ძალიან შემაშფოთა. ხალხის ამბავს კარგად ვიცნობდი, ან აგაშენებენ ან დაგაქცევენ. შეიძლება ისეთი რამე ეთხოვათ, რასაც ვერ გავაკეთებდი და ამის გამო ხიფათში გავებმებოდი. სულაც შეიძლება ცრუ-ანგელოზი ეწოდათ ჩემთვის, რის

მერეც სასამართლოს გადამცემდნენ და კარგად შემამოწ-მებდნენ და თუ ფრენას ან გაუჩინარებას ვერ შევძლებდი, უეჭველად ტრადიციისამებრ ცოცხლად დამწვავდნენ, ზედ კი ჩემს ცოლსა და შვილსაც მიაყოლებდნენ. აღტაცებულმა პატარძალმა კი განაცხადა:

„მე უბედნიერესი ქალი ვარ, რადგან ჩემი ქორწილი დღეს შენმა შვილმა ჩემს საქმროს ენა აადგმევინა და სმენა დაუბრუნა“.

იმ ქალაქში სამ დღეს დავრჩით და ყველა დიდ პატივს გვცემდა. ყველასთვის სასურველი სტუმარი ვიყავით. მეორე დღე დამატებით ორი ჯორი ვიყიდე, რომლებიც როგორც ქალაქის წარჩინებულ სტუმრებს იაფად მოგვყიდეს. ჯორზე ბევრი საჩუქარი და პროდუქტები მოვათავსე და სხვა ქა-ლაქში წავედით. იმის გამო, რომ ახლა ხუთი ჯორი მყავდა, შემდეგ ქალაქში ცალკე სახლი დავიქირავე და იქ დავბინა-ვდით. იმ ქალაქში ცხოვრობდა ერთი კეთილშობილი ქალი. ერთ დღეს ეს ქალი მდინარეზე საბანაოდ წავიდა, სადაც იგი ეშმაკმა შეაცდინა. ამის შემდეგ ეშმაკი გველის სახით ყოვ-ელ ღამე ქალს ლოგინში უწვებოდა. გველს განსაკუთრებით ქალის მუცელზე დახვეულად ძილი მოსწონდა.

ამ ქალმა დახმარებისათვის ჩვენს ოჯახს მიმართა, რად-გან მარიამისა და იესოს სასწაულმოქმედი ძალის შესახებ გაგონილი ჰქონდა. მარიამმა ქალის ბედი გულთან ახლოს მიიტანა და ისე მოიქცა, რომ იესომ ანუ შენ პაწაწინა ხელი ქალს მუცელზე შეახე, მაშინვე გველის ფორმის ეშმაკმა ქალი მიატოვა და ქვიშიან იატაკზე კუთხეში ხვრელი მოძე-ბნა და შიგნით ჩაძვრა.

ქალი განიკურნა და უფალს დიდი მადლობა აღუვლინა.

მეორე დღეს იგივე ქალი ისევ მოვიდა ჩვენთან და თან მოიტანა სპეციალური საკმევლებით გაზავებული წყალი და მარიამს სთხოვა:

„შეიძლება ამ წყალში განბანო თქვენი სასწაულმოქმედი შვილი?“

ჩემმა ცოლმა თანხმობა მისცა და შენ გაგბანეს ამ

წყალში, რომელსაც შესანიშნავი არომატი ასდიოდა. შემდეგ კი ქალმა განბანილი წყალი შეინახა.

მათ მახლობლად იმყოფებოდა გოგონა, რომელსაც უკვე მძიმე სტადიის კეთრი ჰქონდა. მას სადაცაა ცხვირი მოსძვრებოდა. ადრე განკურნებულმა ქალმა, რომელსაც იესოს განბანილი წყალი ჰქონდა შენახული, გამოიყენა შესაძლებლობა და ამ წყლით უხვად აპკურა კეთროვანი გოგონა, რომელიც სასწრაფოდ განიკურნა.

ამის მოწმე ხალხმა ერთხმად განაცხადეს, რომ მარიამი, იოსები და იესო ნამდვილი ღმერთები არიანო. ესენი არ არიან უბრალო მოკვდავებიო, დაასკვნეს ბოლოს.

შემდეგ დღეს როდესაცჩვენი ოჯახი მოგზაურობის გასაგრძელებლად ემზადებოდა ჩვენთან კეთრისაგან განკურნებული გოგონა მოვიდა, რომელსაც ახლა ცისფერი კაბა ჩაეცვა და სახე გაბრწყინებული ჰქონდა, თან ახალგაზრდა ჯორი მოიყვანა.

„მინდა თქვენთან ერთად ვიყო. უდიდეს მადლიერებას ვგრძნობ თქვენი ოჯახის წინაშე და იქნებ რამეში გამოგადგეთ. თუ შეიძლება გამოგყვებით“, თქვა ყოფილმა კეთროვანმა გოგონამ.

დედაშენი უყოყმანოდ დათანხმდა. შენ კი თანხმობის ნიშნად თვალები დაახამხამე, მეც დავთანხმდი და მალე ყველანი ჯორებზე შევჯექით და გზას გავუყევით. ახლა უკვე ჩვენს განკარგულებაში ექვსი ჯორი იყო.

მალე სხვა ქალაქში მივედით, სადაც იყო მეფის სასახლე. იგი იმ სასტუმროდან არც თუ ისე შორს მდებარეობდა, სადაც საცხოვრებლად გავჩერდით და ყოფილი კეთროვანი გოგონა, მცირე მოსვენების შემდეგ მეფის სასახლეში გაემართა, რათა გაეგო თუ როგორი ამბავი იყო ამ ქალაქში. როდესაც სასახლეში შევიდა, იქ ძალიან დადარდიანებული უფლისწულის მეუღლე დახვდა.

„რა მოგივიდათ? რატომ ხართ ასე დადარდიანებული? თქვენ ხომ უფლისწულის მეუღლე ხართ?“ იკითხა ყოფილმა კეთროვანმა გოგონამ.

„თუ ღმერთი გწამს, ნუ მკითხავ. დიდი უბედურება მჭირს, რომ ვერც კი ვბედავ რაიმე ვთქვა“, მიუგო უფლისწულის მეუღლემ, მაგრამ ყოფილი კეთროვანი რომელიც ახლა ძალიან სანდომიანი ცისფერთვალება და ქერათამიანი გოგონა გახდა არ მოეშვა.

„თუ მე მენდობი და გამიზიარებ შენს პირად დარდს, იქნებ რაიმე საშუალება მოვძებნო და გიშველო“, თქვა ყოფილმა კეთროვანმა.

„მაშინ გეტყვი ჩემს უბედურებას“, თქვა უფლისწულის მეუღლემ, „მაგრამ პირობა უნდა მომცე, რომ ზედამიწის ზურგზე არავის არ უნდა გაუმხილო ჩემი საიდუმლო, რადგან მეფის ოჯახის წარმომადგენელი ვარ“.

„ისე მდუმარედ ვიქნები როგორც სფინქსი“, თქვა ყოფილმა კეთროვანმა, ახლა კი მეტად ლამაზმა ცისფერთვალება გოგონამ.

„მე უფლისწულზე ვარ დაქორწინებული“, თქვა უფლისწულის მეუღლემ. ჩემი ქმარი მეფის ბრძანებით ერთ-ერთ დიდ დომინიონს ხელმძღვანელობს. იქ დიდხანს იყო ხელმძღვანელი, სანამ ერთი ბავშვი გაუჩნდებოდა ჩემგან. ბოლოს და ბოლოს, დიდი ჯაფის შემდეგ დავორსულდი, მაგრამ ვაგლახ! კეთროვანი ვაჟი დაგვებადა. ჩემი ქმარი ძალიან განრისხდა და თქვა:

„ეს ჩემი კი არა შენი ბრალი არის“.

ქმარი ყველაფერში მე მადანაშაულებდა, საკმაოდ აქტიური არ იყავი ლოგიონშიო, ბოლოს კი მიბრძანა:

„ან შენი კეთროვანი შვილი მოკალი, ან ისეთ ადგილას გაგგზავნე მომვლელ ქალთან ერთად, რომ არავინ ჩვენს სამეფოში არაფერი იცოდეს. ეს სავალდებულოა, რომ სამეფოში არავინ უნდა გაიგოს, მათ შორის, მამაჩემმა, მეფემ, რომ ჩემს ოჯახში კეთროვანი დაიბადა, რადგან მე მომავალი მეფე უნდა ვიყო. შენ კი შენს თავს მიხედე. მოსცილდი აქაურობას, რადგან აღარ მინდა შენი ნახვა“.

„აი ახლა ასეთ დღეში ვარ და ჩემს ბედს ვწყევლი, ვწუწუნებ, რომ ასეთ საცოდავ დღეში ჩავვარდი. ვაიმე ჩემო

საბრალო თავო! ვაიმე, ჩემო საბრალო შვილო! ვაიმე, ჩემო საბრალო ქმარო!“ მოთქვამდა უფლისწულის მეუღლე.

ყოფილი კეთროვანი გოგონა დიდი გულისყურით უსმენდა უფლისწულის მეუღლის მოთქმას და ბოლოს მიუგო:

„მე ვიცი შენი გადარჩენის საშუალება. მე მინდა დაგარწმუნო, რომ აუცილებლად გადარჩები. თავად მე კეთროვანი ვიყავი, მაგრამ განვიკურნე. მე გადამარჩინა იესომ, მარიამისა და იოსების შვილმა“.

„სად არიან ამ შესანიშნავი ოჯახის წევრები?“ დაინტერესდა უფლისწულის მეუღლე.

„აქვე ახლოს, ქალაქის ცენტრალურ სასტუმროში ცხოვრობენ“, მიუგო ყოფილმა კეთროვანმა გოგონამ.

„მაგრამ როგორ განგკურნეს?“ იკითხა ისევ უფლისწულის მეუღლემ.

„ძალიან უბრალოდ“, მიუგო ყოფილმა კეთროვანმა.

„შეგიძლია მითხრა?“ დაინტერესდა მტირალი ქალი.

„რატომაც არა“, თქვა ყოფილმა კეთროვანმა, „რომ გითხრა სიმართლე და გიშველო, სწორედ ამიტომ მოვედი. მე ავიღე წყალი, რომელშიც მარიამისა და იოსების პირმშომ იესომ იბანავა, დავისხი ეს წყალი კეთრით დაავადებულ ადგილებზე, განვბანე ყველა კეთროვანი წყლული ჩემს სხეულზე და განვიკურნე“.

დაინტერესებული უფლისწულის მეუღლე უმალ ფეხზე წამოიჭრა და ბრძანება გასცა, რომ შემდეგი დღისათვის კარგი წვეულება გაემართათ, სადაც იოსების, მარიამისა და იესოს გარდა ქალაქის წარჩინებულებიც დაესწრებოდნენ.

მეორე დღეს, წვეულების დასრულების შემდეგ, უფლისწულის მეუღლემ, მარიამის ნებართვით აიღო იესოს ნაბანი წყალი, რომელიც ყოფილმა კეთროვანმა გოგონამ გადასცა და განბანა თავისი ვაჟიშვილი, რომელიც მაშინვე განიკურნა კეთრისაგან.

ამ საოცრების შემდეგ უფლისწულის მეუღლემ ღმერთის სადიდებელი სიმღერა დაიწყო და ბოლოს დასძინა:

„დალოცვილი იყოს დედა, რომელმაც იესო შვა!“ და ამ სიტყვებით დედაშენს მარიამს გადაეხვია.

ამის შემდეგ მან მარიამს მრავალი საჩუქარი გადასცა და არაჩვეულებრივი პატივისცემით გაისტუმრა.

შემდეგ დღეს ჩვენი ოჯახი მეზობელი ქალაქის ერთ ოჯახში დაბინავდა. ეს ოჯახი ვერ იყო ბედნიერი. ოჯახის მამას ავი სულები დაპატრონებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენმა ოჯახმა მათ სახლში ღამე გაათია ოჯახის უფროსი ავი სულებისაგან განთავისუფლდა, რითაც ძალიან გაახარა ცოლი. მან დიდი მადლობა გადაგვიხადა და თქვა:

„დალოცვილი იყავით, თქვენ, უცნობი მოგზაურო ოჯახო, დიდი მადლობა რომ ჩვენს ოჯახში შეჩერდით, რადგან თქვენი ღამის გათევის შემდეგ ჩემი ქმარი ავი სულებისაგან განთავისუფლდა და ამის სამადლობლად ეს მძივები და ოქროულობა სამახსოვროდ გქონდეთ“.

მალე სახლის პარმაღზე აბსოლუტურად განკურნებული ქმარი გამოვიდა. მე გადამეხვია და მითხრა:

„თავს შესანიშნავად ვგრძნობ, ყველა მაჯლაჯუნა გულზე რომ მაჯდა და ღამით მახრჩობდნენ, წავიდნენ. ასე მსუბუქად თავი არასოდეს მიგრძვნია და ეს სამგზავრო აღჭურვილობა და ჯორი ჩემს სამახსოვროდ გქონდეთ. ამის მერე დავითვალე და გამოვიდა, რომ უკვე რვა ჯორი გვყავს და ბევრი საჩუქრებიც დაგვიგროვდა. გზა კი შორი გვაქვს. ალექსანდრიაში მივდივართ, ამიტომ ნუ შეწუხდებით-მეთქი“, მივუგე მე.

„რას ბრძანებთ“, შესძახა მაჯლაჯუნებისაგან განთავისუფლებულმა აღელვებულმა კაცმა, „თქვენ რომ არა, ჩემი ტანჯვა გაგრძელდებოდა. ნება მიბოძეთ მადლიერების ნიშნად თქვენი მეუღლის ფეხს ვეამბორო“, დასძინა ბოლოს კაცმა და მარიამის წინაშე მიწაზე განერთხო, ხოლო მისი ფეხი თავზე დაიდო.

ასე და ამრიგად თბილად დავემშვიდობეთ ჩვენს მასპინძლებს და გავაგრძელეთ ჩვენი გზა. საღამოსთვის შემდეგ ქალაქს მივუახლოვდით, რომლის ერთ-ერთ ქუჩაზე სამი

მტირალი ქალი დავინახეთ. ჩემმა ცოლმა მარიამმა, თავის კომპანიონს, ყოფილ კეთროვან გოგოს უთხრა:

„წადი და გაიგე თუ რატომ ტირიან ეს ქალები? რა უბედურება შეემთხვათ მათ?

ჩვენი კომპანიონი მაშინვე წამოეწია ქალებს და შეეკითხა მათი მოთქმის მიზეზი, მაგრამ ქალებმა მიზეზის შესახებ არაფერი თქვეს, მაგრამ ყოფილ კეთროვანს შეეკითხნენ:

„დღე მთავრდება. ღამე კი ხელის გაწვდენაზეა. როგორ ხართ?“

„ჩვენ ვმოგზაურობთ. ქალაქიდან ქალაქში გადავდივართ და უხიფათო ადგილს ვეძებთ“, უთხრა ჩვენმა კომპანიონმა. „ამჟამად კი ვეძებთ სასტუმროს“.

„წამოდით ჩვენთან და დაბინავდით“, თქვეს მტირალმა ქალებმა და მოგვიახლოვდნენ. ჩვენ დავთანხმდით და მალე შესანიშნავ სახლს მივუახლოვდით, რომელიც ასევე შესანიშნავი ავეჯით იყო სავსე.

ზამთრის პირი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ თბილოდა, ერთ-ერთი ქალი სახლის სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა, სადაც ორი სხვა ქალი უკვე იჯდა და ცხარე ცრემლებით ტიროდნენ. მათ გვერდით იდგა შესანიშნავი ჯორცხენა, რომელიც აბრეშუმის ქსოვილებით იყო თავიდან ფეხებამდე შემკული, ყელზე კი ქარვის ყელსაბამი ჰქონდა. ყურებზე და ქეჩოზე ზანზალაკები ეკიდა. ქალები ჯორცხენას გამუდმებით ეფერებოდნენ, კოცნიდნენ და აღმოსავლეთის ტკბილეულობებით უმასპინძლდებოდნენ.

ჩვენ სახლის მეორე ნახევარში წავედით და იესოსთან ერთად მოხერხებულად დავბინავდით. მტირალა ქალებთან და ლამაზ ჯორცხენასთან ჩვენი კომპანიონი, ყოფილი კეთროვანი გოგონა დარჩა, რომელიც როგორც ადრე ავღნიშნეთ, იესოს ნაბანავები წყლით განიკურნა. მტირალა ქალებსა და ჩვენს კომპანიონს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

„ასეთი ლამაზი ქალები მოთქვამთ ცხარე ცრემლებით და თქვენთან ერთად დგას ეს მშვენიერი ჯორცხენი, რომელსაც ეფერებით, კვებავთ ტკბილეულობით და ალევინებთ

უძვირფასეს ღვინოს, ხოლო ტანს ძვირფასი ზეთით უზელთ, ფაფარს უვარცხნით, თან ტუჩებში კოცნით. გასაოცარია თქვენი ასეთი ყურადღება ამ ჯორცხენისადმი“, თქვა ყოფილმა კეთროვანმა გოგონამ.

„ეს ლამაზი ჯორცხენა არის ჩვენი ძმა, რომელიც როგორც ჩვენ ერთი დედისაგან დავიბადეთ“, თქვეს მტირალა ქალებმა, „როდესაც ჩვენი ძვირფასი მამა გარდაიცვალა, მან მნიშვნელოვანი სამემკვიდრეო დაგვიტოვა. ჩვენ მხოლოდ ერთი ძმა გვყავდა და ვფიქრობდით, რომ იგი ჯეროვან დონეზე დაგვექორწინებინა. ასე ვეძებდით კარგ ქალს, მაგრამ ქალებს შორის შეჯიბრი და კონკურენცია დაიწყო. ყველას თავისთვის უნდოდა კარგი სასიძო. საპატარძლოებს შორის სამწუხაროდ უხვად იყვნენ ხარბი, ეჭვიანი და ჯადოქრობისაკენ მიდრეკილი ქალები. ასევე გამოჩნდნენ კონკურენტი სასიძოებიც, რომლებიც ცდილობდნენ უღირსი საშუალებებით გზიდან ჩამოეცილებინათ ჩემი ძმა, მოენუსხათ და მოეჯადოვებინათ. ერთ ღამეს, „გააგრძელეს მტირალმა დებმა და მათმა დედამ“, განთიადისას, როდესაც ყველა კარები დაკეტილი იყო, ჩვენ დავინახეთ თუ როგორ იქცა ჩვენი კოხტა ძმა ლამაზ ჯორცხენად და ისეთი გახდა, როგორსაც ახლა ხედავ“.

„ამ მდგომარეობაში“, მოთქვამდნენ დედა და დები, „მამის გარეშე, რომელიც ყოველთვის გვამშვიდებდა მელანქოლიურ მდგომარეობაში ჩავარდნილებს, მივმართეთ ყველა ბრძენ ადამიანს, ჯადოქარს, ღვთისნიერს, ნათელმხილველს დასახმარებლად, მაგრამ ამაოდ. ამიტომ დღეს დედასთან ერთად წავედით მამის საფლავზე და შევჩივლეთ ჩვენი გასაჭირი, როდესაც უკან ვბრუნდებოდით თქვენმა ოჯახმა დაგვინახა მტირალი და დასამშვიდებლად მოხვედით, რასაც ძალიან ვაფასებთ. ამიტომ ჩვენს სახლში შემოგთავაზეთ ღამის გათევა“.

როდესაც ჩვენმა კომპანიონმა, ყოფილმა კეთროვანმა გოგომ ეს მოისმინა, ფეხზე წამოხტა...“ ამ დროს იოსები თავის შვილს დააკვირდა, რომელიც ტუჩებს აცმაცუნებდა.

„ლაპარაკს ხომ არ იწყებ, ჩემო იადონო?“ შესძახა იოსებმა და იესო შეარწია.

„მუუ“, წამოიძახა ბავშვმა.

„სჯობს ჯერ ააა თქვა, და შემდგომად ამისა კი ბეეე“, გაამხნევა იოსებმა იესო, მაგრამ ბავშვმა ტუჩების ცმაცუნს თავი დაანება და მამას თითქოს ენა გამოუყო.

იოსებმა ეს კარგ ნიშნად ჩათვალა.

„მე მგონია თხრობის გაგრძელებას ითხოვ. კეთილი“, თქვა იოსებმა და დასძინა, მაშ, ვაგრძელებ თხრობას, როდესაც ყოფილი კეთროვანი გოგო ფეხზე წამოხტა, თქვა:

„გულს ნუ გაიტეხთ და გამხნევდით, შეწყვიტეთ დარდი, რადგან არის იმედი, რომელიც თქვენგან ძალიან ახლოს არის. იგი ფაქტიურად თქვენს სახლშია“.

ქალები მოსასმენად მოემზადნენ და წინ წამოიწიენ.

„მე კეთროვანი ვიყავი“, წამოიწყო ისევ გოგომ, „მაგრამ შემხვდა ერთი ქალი, წმინდა მარიამი, რომლის ვაჟმა, მას იესო ჰქვია, გადამარჩინა“.

„როგორ?“ იკითხეს ჯორცხენას დებმა და დედამ.

„იესოს განბანილი წყალი რომ კეთრით დაავადებულ სხეულზე გადავისხი, მაშინვე განვიკურნე. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იესო ნამდვილად გიშველით“, დაასრულა თხრობა ყოფილმა კეთროვანმა. ახლა კი ფრიად სანდომიანმა ქერათმიანმა გოგონამ.

როგორც კი ასეთი რამ მოისმინეს ჯორცხენას დები მაშინვე ფეხზე წამოცვივდნენ და სალონის ბოლოს იმ ოთახისაკენ გაემართნენ, სადაც მე, მარიამი და იესო დავბინავდით“, თქვა იოსებმა.

დები და მათი დედა ოთახში შემოვიდნენ და მარიამის ფერხთით დაემხნენ.

„წმინდაო მარიამ“, მოთქვამდნენ დები და მათი დედა, „თქვენ ხედავთ, რომ ჩვენი ოჯახი ხელმძღვანელის გარეშე დარჩა. აღარ გვყავს ოჯახის უფროსი, არ არის ძმა, ეს ჯორცხენა, რომელსაც თქვენ სალონის ბოლოს ხედავთ, ქალებმა სალონში გამავალი კარი შეაღეს და ჯორცხენა დაგვანახეს, არის ჩვენი ძმა, რომელიც ჯადოქრებმა ასეთად აქციეს. გთხოვთ გაიზიაროთ ჩვენი მწუხარება“, მოთქვამდნენ ქალები.

ჩემმა ცოლმა ღრმად გაიზიარა მათი მწუხარება. მან ხელში აიყვანა იესო და ნელი ნაბიჯით სალონის ბოლოსაკენ გაემართა, სადაც ჯორცხენა იდგა და დაშაქრულ თივას შეექცეოდა. მარიამმა იესო ჯორცხენაზე შემოსვა და თქვა:

„იესო! განკურნე ეს ჯორცხენა, გამოიყენე შენი ექსტრაორდინალური ძალა, მიეცი მას ძველი ფორმა, დაუბრუნე კაცობა, აქციე იმ ქმნილებად, რაც ადრე იყო“.

როგორც კი მარიამმა ეს სიტყვები წარმოთქვა, ჯორცხენაზე შემომჯდარმა იესომ ჯორცხენას თავისი პაწია ფეხები შემოჰკრა და ყველას თვალწინ საოცარი სასწაული მოხდა. ჯორცხენა ახალგაზრდა კაცად იქცა, რომლის მხრებზეც პატარა იესო იჯდა.

კაცი მაშინვე თავის დებთან და დედასთან ერთად მუხლებზე დაემხო, მარიამს თაყვანი სცეს, შემდეგ წამოდგნენ, იესო ხელში აიყვანეს, კოცნიდნენ მას და იძახდნენ:

„დალოცვილი იყოს იესოს დედა, წმინდა მარიამი, მსოფლიოს გადამრჩენის დედა. დალოცვილი იყოს ის თვალები, რომლებიც მას დაინახავენ“.

ორმა გახარებულმა დამ თავიანთ ბედნიერ დედას მიმართეს:

„დედიკო! ჩვენი საყვარელი ძმა განიკურნა იესო ქრისტეს დახმარებით და ამ გოგოს კეთილმოსურნეობით, რომელმაც გვირჩია, რომ დახმარებისთვის წმინდა მარიამისთვის მიგვემართა“, მათ ხელი ყოფილი კეთროვანი გოგონასკენ გაიშვირეს, რომელიც ახლა ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი და დამფასებელი გახდა. „იმის გამო, რომ ჩვენი ძმა უცოლოა, მოდი შევრთოთ მას ცოლად ეს ლამაზი ცისფერთვალება გოგო, რომელმაც ასეთი ამაგი დაგვდო“, დაასრულეს სათქმელი დებმა.

ამის შემდეგ ორმა დამ და დედამისმა საკონსულტაციოდ მარიამსა და მე მომმართეს. ჩვენ თანხმობა მივეცით და მალე ამ შეძლებულ ოჯახში შესანიშნავი ქორწილი გაიმართა. მათი დარდი სიხარულად იქცა, მათი გლოვა ბედნიერებად. ყველა ზეიმობდა. მათ საუკეთესო ტანსაცმელი

ჩაიცვეს, მოირთვნენ და ადიდებდნენ უფალს და ამბობდნენ:

„ო, იესო! დავითის შვილო, რომელმაც დარდი სიხარულად აქციე, დალოცვილი იყავი“.

ათ დღეს დავრჩით ამ ბედნიერ ოჯახში, რომელმაც ძალიან დიდი პატივით უხვად დაგვაჯილდოვა უამრავი საჩუქრით. ერთ დღეს შევჯექით ჩვენს დატვირთულ ჯორებზე და გზას გავუდექით. ჩვენი კეთრისგან განკურნებული გოგონა დავტოვეთ ამ ბედნიერ ოჯახში. მისმა მეუღლემ ყოფილმა ჯორცხენამ სამი საჩუქრებით დატვირთული ძვირფასი ჯორი გვაჩუქა და ასე გავემართეთ სამოგზაუროდ.

ჩვენ გავაგრძელეთ ჩვენი სვლა. გეზი როგორც უკვე ვთქვი ალექსანდრიისაკენ გვეჭირა. მალე უდაბურ ადგილებში მოვხვდით. ეს ადგილები ყაჩაღებით იყო სავსე და ამიტომ მე და მარიამმა გადავწყვიტეთ ღამით გაგვევლო ეს ადგილები. ერთ ადგილას დავინახეთ ორი ქურდი, რომლებსაც სხვა მრავალ ქურდთან ერთად ეძინათ. ჩვენ ძალიან შევშფოთდით, რადგან იესოს პოპულარობის გამო დიდძალი საქონელი დაგვიგროვდა. ეს ყოველთვის ასეა. ფული არ მაქვს პრობლემაა, გაქვს ფული და ისიც პრობლემაა. ამასობაში პირველად დანახულ ორ ქურდს გამოეღვიძათ. ერთ-ერთი მათგანი თითქოს მეცნო კიდევაც. იმ ორი ყაჩაღის სახელები ახლა იყო ტიტუსი და დუმაჩუსი. ტიტუსმა თქვა, ჯორების ხმაურმა გამაღვიძაო.

„დუმაჩუს! გთხოვ ეს ხალხი წყნარად გავატაროთ და ჩვენს კომპანიონებს ნურაფერს ვეტყვით“.

დუმაჩუმ ყოყმანი დაიწყო თქვა, რომ ყაჩაღების საძმოს წინააღმდეგ წასვლა „ყაჩაღთა საძმოს ფიცის“ გატეხვას ნიშნავდა, მაგრამ ტიტუსმა კვლავ თქვა:

„ჩემს ოქროს სარტყელს მოგცემ და ზედ 40 გროთ შვრიას დავამატებ, ოღონდ ეს ხალხი წყნარად გავატაროთ“.

როდესაც ჩემმა ცოლმა ტიტუსის კეთილშობილება დაინახა, თქვა:

„უფალი ღმერთი გფარავდეს ტიტუს და შენც დუმაჩუს, შეგინდოთ ყველა თქვენი ცოდვები!“

აქ ასეთი ამბავი მოხდა, რაც მარიამმა შეამჩნია. მე არაფერი არ გამიგია, მაგრამ მარიამმა თქვა, რომ შენ პირველად დაილაპარაკე თითქოს:

„დედა“, თითქოს შენ თქვი „33 წელი რომ გაივლის და ებრაელები ჯვარს მაცმევენ იერუსალიმში და ეს ორი ქურდი, რომლებიც ერთმანეთის მეგობრები არიან, ჩემთან ერთად იქნებიან გოლგოთაზე. ტიტუსი ჩემგან მარჯვენა მხარეს იქნება, და დუმაჩუ მარცხენა მხარეს. ტიტუსი მაშინ ბარნაბას სახელით იქნება ცნობილი და ჩემთან ერთად წამოვა სამოთხეში“.

მარიამის ნათქვამს არ ვიჯერებდი, მაგრამ დავეჭვდი, რადგან ტიტუსი მეცნო. იგი სწორედ ის ყაჩაღი იყო, რომელმაც ნაზერეთ-ბეთლეჰემის გზაზე დაგვიპირა გაძარცვა. ასეა თუ ისეა ჩვენ გავიარეთ ეს სახიფათო ადგილი და წავედით მემფისში, სადაც შორიდან დავინახეთ ეგვიპტის ფარაონი. შემდეგ კი აქ დავსახლდით და ჯერჯერობით აქ ვიქნებით“, თქვა იოსებმა. „ახლა კი წავიდეთ ქვევით და დავიძინოთ, ვნახოთ თუ რა შედეგებს მოგვიტანს ჩვენი საუბრები“.

იოსები დასაძინებელი ოთახისაკენ დაეშვა, იესო ჰამაკში მოათავსა და, თითქოს ღვინის დაცლილი ბოთლიაო, თავის ტახტზე მიწვა და უსიზმრო ძილით დაიძინა.

ის ღამე იყო და იოსები სახლის ბანზე აღარ ადიოდა, თითქოს ბავშვს ყველაფერი უთხრა და თავისი მოვალეობა პირნათლად მოიხადა.

იესოს გავშვობა და ყრმობა

გავიდა ხანი. იესო წამოიზარდა და სამი წლის გახდა. მან ლაპარაკი დაიწყო და ისეთი თვისებები გამოამჟღავნა, რომ კაცს ენა მუცელში ჩაუვარდებოდა. იესომ ბევრი სასწაული მოახდინა, მაგრამ მარიამი და იოსები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, რომ ეს ამბები არ გახმაურებულიყო.

იოსების ოჯახი კარგად ცხოვრობდა. მათ საკუთარი სახლი და პატარა კარ-მიდამო ჰქონდათ. ებრაული სათვისტომოდან აღებული სესხი იოსებმა მთლიანად დაფარა და დამატებით საკმაო თანხა გადაიხადა ებრაული საკვირაო სკოლის გასახსნელად. მარიამს ოჯახის მეურნეობის გასაძღოლის ერთი მსახური ქალიც ჰყავდა. მათ ოჯახში ყოველ კვირას ორ ინჩიანი ნაზუქი იდო მაგიდაზე.

იოსები ბევრს მუშაობდა. მან სადურგლო სახელოსნო გააფართოვა და საამქრო გახსნა, რომელშიც ათი ებრაელი, ორი ეთიოპიელი და ზედამხედველად ერთი მეგვიპტელი ამქარი მუშაობდნენ. იოსები თავს მშვენივრად გრძნობდა და მეგვიპტე თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნდა. ამავე დროს კოპტური და ბერძნული ენებიც შესანიშნავად შეისწავლა. ერთ-ერთი თავისი დაბადების დღე იოსებმა დიდი პურმარილით აღნიშნა. მასზე უამრავი ბერძენი, ეთიოპიელი, ებრაელი და ჰიქსოსი სტუმრებიც მოვიდნენ. ჰიკსოსებმა ადრე ეგვიპტე დაიპყრეს და მათი ყველა შთამომავალი ეგვიპტის ყველაზე მდიდარი ადამიანები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ხომალდების მშენებლობის ბიზნესი მთლიანად მათს ხელში იყო.

პატარა იესოს ყოველთვის კარგად ეცვა და ძალიან დასუფთავებული იყო. მას ძაღლებთან და კატებთან, რომლებიც მეგვიპტის წმინდა ცხოველები იყვნენ თამაში არ უყვარდა. მას ერჩივნა თიკნებთან და ხბოებთან თამაში. „მე პატარა თიკანი ვარ“, ხშირად იმეორებდა იგი. და მართლაც მოგვიანებით იგი როგორც თიკანი და ხბო ზვარაკად იქნა შეწირული კაცობრიობის ცოდვების გამოსასყიდლად. იესოს

უკვე ჰყავდა რამდენიმე და და-ძმა, მაგრამ მამას და დედას იგი განსაკუთრებით უყვარდათ, ამის გამო მოგვიანებით როგორც ჩვეულებრივ ხდება და-ძმებმა იესო შეიძულეს და აღარ თამაშობდნენ მასთან.

იოსებმა იესო რამდენჯერმე ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში წაიყვანა. იესო ჯერ არ კითხულობდა, მაგრამ მამის მონათხრობს ყურადღებით უსმენდა. იოსები თითქოს გრძნობდა, რომ მას უფლის ბრძანება ჰქონდა მიღებული, რომ იესოსთვის ბევრი ეკითხა და მოეყოლა. იოსებიც საათობით უყვებოდა იესოს მის მიერ წაკითხული წიგნების შინაარსსა და თავის ახალგაზრდობის დროინდელ მოგზაურობებისა და თავგადასავლების შესახებ. თავის მხრივ მარიამიც კი ხშირად უყვებოდა ანგელზურ ცხოვრებას მრავალფეროვნებაზე. მის შეხვედრებზე ანგელოზებთან და თუ როგორ ასაუზმებდნენ მას იერუსალიმის ტაძარში ცხოვრების დროს. ასე მიდიოდა დრო.

ერთ ღამით იოსებს არქანგელოზი გაბრიელი ეზმანა, რომელმაც უთხრა:

„იოსებ! მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გაუწყო. შენზე ზეცაში ბევრს ფიქრობენ. მოვიდა ეგვიპტის საფარაონო სამეფოს დატოვების დრო. შენი და შენი ბავშვების დაუძინებელი მტერი ჰეროდ დიდი გარდაიცვალა. მისი სამეფო სამ ნაწილად გაიყო. გალილეიას და პერეიას მისი პირველი შვილი ჰეროდ ანტიპა უხელმძღვანელებს. მისი მეორე შვილი ჰეროდ ფილიპე სათავეში ჩაუდგება გალილეის პროვინციის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებს, ხოლო მისი მესამე შვილი ჰეროდ არჰელაუსი იუდეას, სამარიასა და იდუმეას სამართავად არის გამზადებული, მაგრამ იგი პოლიტიკური მოსაზრების გამო გადაყენებულ იქნა და ეს პროვინციები პირდაპირ რომის იმპერიული ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში გადავიდა. ასეთი პოლიტიკური სახეცვლილება ნიშნავს მხოლოდ ერთს. შენს ოჯახს არავითარი ხიფათი არ ელოდება, სადაც შენ უნდა დაბრუნდე იქ ებრაული ადმინისტრაცია არ იქნება. ასე, რომ

საქმე მხოლოდ რომაელებთან გექნება. ამიტომ დაბრუნდი სამშობლოში და ნაზარეთში დასახლდი“.

შემდეგი დღიდან იოსები დიდ საფიქრებელში ჩავარდა. მას ეგვიპტის საფარაონო სამეფოს დატოვება და ნაზარეთში დაბრუნება არაფრით არ უნდოდა. იგი უკვე ცხოვრობდა, მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო კეთილ-მოწყობილი და მდიდარ ქალაქში, სადაც ძალიან შეძლებული ხალხი მოღვაწეობდა. მასთან ერთად იყო მისი ოჯახის ყველა წევრი. იოსებს მხოლოდ მის უფროს ბიჭებზე, ჯოშუაზე და აბიგაილზე ეთანაღრებოდა გული, რომლებიც ბეთლეჰემში, მის საგვარეულო სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ იუდეადან ჩამოსულმა კაცმა იოსებს უთხრა, რომ შვილები ოჯახთან ერთად ერთი წლის შემდეგ აპირებდნენ ალექსანდრიაში გადმოსახლებას და ცხოვრებას. ახლა კი არქანგელოზ გაბრიელის ბრძანება ნაზარეთში დაბრუნების შესახებ ტალახში დაბრუნებას ნიშნავდა, რადგან გალილეა და მისი ქალაქი ნაზარეთი, ფაქტიურად, ჩამორჩენილი სოფელი, ერთ-ერთი ყველაზე გაუნათლებელი დასახლება იყო რომის იმპერიაში. ეს ქალაქი გაგრიებით იყო სავსე, რომლებისთვისაც განათლება და კომფორტულად ცხოვრება ძალიან შორეული მცნებები იყო.

მაგრამ არქანგელოზ გაბრიელის ბრძანება ფაქტიურად უფლის ბრძანება იყო და იოსები დამძიმებული გულით სამშობლოში დაბრუნებისათვის მზადებას შეუდგა. დაემშვიდობა თავის ნაცნობ-მეგობრებს, გაყიდა დიდებული სახლი, ავეჯი, საამქრო, კარგად გაუსწორდა თავის მუშებს, დატვირთა ჯორები, ოჯახის ოქრო-ვერცხლეულით და ფულით სავსე ქისებით სამშობლოსაკენ გამოემართა. ამავე დროს იოსები შიშობდა, რომ მართალია მისი დაუძინებელი მტერი ჰეროდ დიდი გარდაიცვალა, მაგრამ მისი შემცველებიც ფრიად საშიშნი იყვნენ. ასეთ ვითარებაში იოსები ღვინოს ეძალებოდა, მადლობა ღმერთს, ფული საკმაოდ ჰქონდა ღვინის საყიდლად.

იოსები ბოლოს და ბოლოს დაადგა სამშობლოსაკენ

მიმავალ გზას. იგი ფაქტიურად ემშვიდობებოდა ეგვიპტეს, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში უანგაროდ დააპურა და შეიკედლა ებრაელთა მრავალი თაობა. იოსების ოჯახობა, ფაქტიურად პატარა ქარავანი იყო, ოჯახის წევრებითა და რამდენიმე მსახურით. ისინი ნელა, ტაატით მიეშურებოდნენ სიმდიდრიდან სიღარიბისაკენ, ხანგრძლივად ჩერდებოდნენ მზად შეხვედრილ ეგვიპტურ ქალაქებში. მერე გადავიდნენ ნილოსის დელტის მრავალრიცხოვან შენაკადებზე. შევიდნენ იუდეაში, გვერდი აუარეს მასადას, და ჰებრიონისა და ჰეროდიუმის გავლით ბეთლეჰემში ჩავიდნენ, სადაც მისი შვილები ცხოვრობდნენ პირველი ცოლისგან. იოსებმა ნახა, რომ ისინი კარგად იყვნენ, გადასცა მათ საკმაო ფული და დააკვალიანა თუ როგორ წასულიყვნენ ალექსანდრიაში ყველაზე უხიფათო გზით.

იუდეაში ყოფნის დროს იოსებს კვლავ გამოეცხადა არქანგელოზი გაბრიელი, რომელმაც თქვა:

„იოსებ, ძალიან ნელა მოძრაობ. ფეხს აუჩქარე. შენი საბოლოო ადგილი ნაზარეთია, მაგრამ თუ იესომ საზოგადოებრივი აქტიურობა დაიწყო, ხელი შეუწყე და ნუღარ იჩქარებ“.

ბეთლეჰემში არეულობა იყო. სხვადასხვა ავადმყოფობით უამრავი ბავშვი იღუპებოდა. იოსებს გაახსენდა დრო, როდესაც იესოს ძებნაში მეფე ჰეროდმა უამრავი პატარა ბავშვი მოკლა. როგორც ჩანს იესოს ბეთლეჰემში გამოჩენა ქალაქის ბავშვებისთვის ძალიან დიდი რისკი იყო, მაგრამ ასეთი იყო უფლის ნება.

იოსები ბეთლეჰემის ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროში დაბინავდა და შემდეგ მარიამთან და იესოსთან ერთად იმ გამოქვაბულისაკენ გაემართა, სადაც იესო დაიბადა და ასეთი შესანიშნავი ამბები მოხდა. პატივი სცეს გამოქვაბულს და უკან სასტუმროში დაბრუნდნენ. იესომ ბეთლეჰემში გააგრძელა თავისი სასწაულმოქმედი საქმიანობა.

ბეთლეჰემში ცხოვრობდა ქალი, რომლის შვილი მეტად ავად იყო. იგი თითქმის სიკვდილის პირას იყო. ქალი მარი-

ამთან იმ დროს მივიდა, როდესაც იგი იესოს ბანდა. საერთოდ იესოს ბავშვობიდან ხშირად აბანავებდნენ. დღეში სულ ცოტა ორჯერ მაინც. იმის გამო, რომ წყალი შორიდან იყო მოსატანი, ჩვეულებრივად ჭიდან იღებდნენ, რომელიც სოფლის ან ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარეობდა, მარიამი ამ საქმეში დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავდა. ებრაული წესის მიხედვით კაცს წყლის მოტანის უფლება არ ჰქონდა. ეს ქალის, მსახურისა ან მონის მოვალეობა იყო, მაგრამ იოსები ამ წესს ხშირად არღვევდა, განსაკუთრებით ღამით და ეხმარებოდა მარიამს ბავშვის ბანაობაში, რადგან იცოდა, რომ მათი იესო ანგელოზების კონტროლის ქვეშ იყო და რომელიმე ანგელოზს რომ ეთქვა, იესო, უფლის საყვარელი შვილი კარგად განბანილი არ არისო, უფლის უცილობელ რისხვას გამოიწვევდა და მას ცხელ გულზე შეეძლო მთელი ისრაელი დაელუპა ან სასტიკად დაესაჯა იმის გამო, რაც ისტორიაში მრავალჯერ მოხდა.

მარიამმა იესოს ბანაობა დაასრულა, თეთრი ზეწრით გაამშრალა და მოსულ ქალს მიუბრუნდა, რომელმაც მდაბალი თაყვანი სცა მარიამს და უთხრა:

„ო, ჩემო დაიკო წმინდა მარიამ, მომხედე, ხომ ხედავ ჩემი შვილი როგორ იტანჯება ტკივილებისაგან“.

ქალს ხელში ორი წლის ბავშვი ეჭირა, რომელიც რაღაც უცნობი ავადმყოფობის გამო თითქმის სიკვდილის პირას იყო.

„აიღე იესოს განბანილი წყალი. იგი უებარი საშუალებაა, რათა შენი შვილი სამუდამოდ განიკურნოს, აპკურე შენი შვილი უხვად ამ წყლით და იმედი ვიქონიოთ, რომ ბავშვი უმალ განიკურნება“, თქვა მარიამმა, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ავადმყოფი ბავშვის ბედი.

ბავშვის დედაც ისე მოიქცა, როგორც მას წმინდა მარიამმა ურჩია და პატარა ღრმა ძილს მიეცა. როდესაც ბავშვმა გამოიღვიძა, მისი ავადმყოფობა გამქრალი იყო.

უზომოდ ბედნიერმა დედამ მარიამისა და უფლის ქება დაიწყო.

ასეთივე ქმედებით მარიამმა კიდევ ერთ ბავშვი განკურნა,

რომლის დედამაც ასევე უფლის, იესოსა და წმინდა მარიამის ქება დაიწყო.

მარიამმა ამ ქალს სთხოვა, ზომაზე მეტად არ გაეხმაურებინა ბავშვის მკურნალობის საკითხი და არ მიეთითებინა ადგილი, სადაც განკურნება მოხდა.

„ჩვენ სხვა პროვინციაში მივდივართ საცხოვრებლად და თუ ცნობილი გახდება ჩემი ექიმბაშური მუშაობის შედეგები, ეს რომის ადმინისტრაციის ყურამდე მიაღწევს და გადასახადებს დაგვიწესებს. ამას გარდა, ჩვენს სასტუმროს უამრავი ხალხი მოაწყდება, რის გამოც ჩვენი მოგზაურობა გადაიდება, ჩვენ კი უფლის ბრძანება გვაქვს მიღებული, რომ სხვა ქალაქში წავიდეთ საცხოვრებლად და არ გვინდა უფლის სიტყვას გადავუხვიოთ“, თქვა მარიამმა ბოლოს.

ბეთლეჰემში კიდევ ერთი ამბავი მოხდა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ ქალაქში ცხოვრობდა ერთი პატიოსანი კაცი, რომელსაც საპატიო მიზეზის გამო ორი ცოლი ჰყავდა. ყოველი ცოლიდან მას თითო ბავშვი ჰყავდა. ერთ-ერთ ცოლს მარიამი ერქვა, ხოლო მის შვილს კი ჯელები. ორივე ბავშვი ავადმყოფები იყვნენ.

ერთ მშვენიერ საღამოს მარიამი ეწვია ქალბატონ წმინდა მარიამს, იოსების მეუღლესა და იესოს დედას. ქალმა თან ლამაზი ხალიჩა მოიტანა და თქვა:

„ო, ღირსეული ქალბატონო, წმინდა მარიამ, უფლისწულის დედავ, მიიღეთ ჩემგან ეს ძღვენი ნიშნად ჩემი დიდი პატივისცემისა თქვენდამი და სანაცვლოდ მომეცით თქვენი შვილის ნახმარი საცვალი, რათა ჩემს შვილს ჩავაცვა და განვკურნო ჩემი ავადმყოფი შვილიკო“.

მარიამი დათანხმდა და სტუმარ ქალს იესოს საცვლების გარდა მისი პატარა ნახმარი ქურთუკიც გადასცა. როდესაც ავადმყოფ ბიჭს იესოს ნახმარი საცვლები და ქურთუკი ჩააცვეს, იგი მაშინვე განიკურნა, ხოლო კაცის მეორე ცოლის ბავშვი კი რომელიც ასევე ავად იყო გარდაიცვალა. ამის გამო კაცის ოჯახში დიდი უთანხმოება ჩამოვარდა.

ერთხელ ჯელების დედა ქურაზე წყალს აცხელებდა

და ღუმელში კი პურს აცხობდა. ერთ მომენტში იგი რაღაც საქმეზე ეზოს გადაღმა საკუჭნაოში შევიდა. ამ დროს სამზარეულოში ოჯახის მეპატრონის მეორე მეუღლე შემოვიდა, მან შეამჩნია, რომ ჯელების დედა მარიამი სამზარეულოში არ იმყოფება, წყალი ქურაზე დუღს, ხოლო ღუმელში კი პური ცხვება. იქვე იატაკზე ჯელები ზის და კენჭებით თამაშობს. შურისძიებით აღსავსე მეორე ცოლმა ჯელებს ხელი სტაცა, ღუმელში შეაგდო და თითქოს არაფერი არ მოხდაო, სამზარეულოდან გავიდა. მალე ჯელების დედა სამზარეულოში დაბრუნდა და მაგიდაზე ხახვის შეკვრა დადო. ჯელები რომ ვერ დაინახა, სამზარეულოს ყველა კუთხე-კუნჭული მოჩხრიკა და ბოლოს თავისი შვილი ღუმელის შუაგულში მომცინარი დაინახა. თავად ღუმელი კი ისეთი ცივი იყო, რომ თითქოს არც კი გაეცხელებინათ და მასზე პური თითქოს არ ცხვებოდა. მარიამი მაშინვე მიხვდა თუ ვისი ჩადენილი იქნებოდა ეს უღირსი საქმე. ეჭვი არ იყო, რომ ჯელები ღუმელში შეაგდო მეორე ცოლმა, რომელსაც შვილი გარდაეცვალა და დამწუხრებული ასეთი ბოროტებით იფხანდა გულს.

მარიამმა სასწრაფოდ გამოიყვანა ღუმელიდან ჯელები და წავიდა იესოს დედასთან წმინდა მარიამთან და მოუყვა თუ რა შეემთხვა. ორი მარიამი დიდხანს საუბრობდნენ და ბოლოს იესოს დედამ თქვა:

„მარიამ, ჩემო კარგო, მშვიდად იყავი. მე ვიცი, რომ შენს შვილს არაფერი არ შეემთხვევა. იგი ყოველთვის ზეციური ძალების დაცვის ქვეშ იქნება“.

გავიდა რამდენიმე საათი და ჯელების დედის მოწინააღმდეგე ქალმა დაინახა, რომ მარიამი ჭიდან წყალს იღებს, ხოლო პატარა ჯელები იქვე ჭის მახლობლად ქვიშაში თამაშობს. შემდეგ მარიამი სახლში შევიდა, წყალი სამზარეულოში შეიტანა, ჯელები კი ჭის ეზოში ცოტა ხნით მარტო დარჩა. ამ დროს ბოროტ ქალს სულმა წასძლია, დრო იხელთა, ჯელებს ხელი სტაცა, ჭაში გადაუძახა და კმაყოფილი სახლში შევიდა, და ვითომც არაფერიაო, ჯელების დედას საუბარი გაუბა, შემდეგ კი ქმარს სუფთა საცვლები წაუღო.

მცირე ხნის შემდეგ ჭას იქვე ახლოს მცხოვრები ქალი და კაცი მიუახლოვდნენ. ქალი წყლის ამოსაღებად მივიდა, კაცი კი წყლის დასალევად. ქალმა ჭაში ჩაიხედა და დაინახა წყლის ზედაპირზე უვნებლად მჯდომარე ჯელები, რომელიც ყვიროდა და საშველად ხელებს იქნევდა, ჭიდან ამოყვანას ითხოვდა. ქალის თანამგზავრმა კაცმა იმარჯვა და თოკის საშუალებით ჯელები ჭიდან ამოიყვანა. იგი ძალიან გახარებული იყო, რომ ბიჭის გადარჩენა შესძლო და უფალს მადლობა შესწირა.

მალე ჯელების დედა მარიამი ჭასთან დაბრუნდა, ნახა თავისი სველი შვილი და გაიგო თუ რა შეემთხვა მას მის არყოფნაში. მარიამს გულზე შემოეყარა, ჯელებს ხელი სტაცა და იესოს დედასთან, მარიამთან წავიდა ამბის მოსაყოლად, თან რამდენიმე ქათამი წაიყოლია სამადლობელოდ.

„ჩემო ძვირფასო წმინდაო მარიამ“, დაიწყო მოთქმა უბედურმა დედამ. „რა მეშველება. ხომ ხედავ, რას მიშვება ჩემი ქმრის მეორე ცოლი. ოჯახის საქმეს ველარ ვაკეთებ, რაც სახლს უკვე დაეტყო. ერთხელაც იქნება და ყურადღება მომიდუნდება, რამე გამომეპარება ან სადმე დავიგვიანებ და ის ბოროტი ჩემს საყვარელ ჯელებს მომიკლავს“.

წმინდა მარიამი ღრმად ჩაფიქრდა, უბედურ დედას მხარზე ხელი გადახვია და უთხრა:

„ნუ დარდობ ჩემო დაო. უფალი ყოველთვის ხედავს და ამჩნევს. ერთხელაც იქნება და შურს იძიებს. შენს ჯავრს არავის შეარჩენს“.

მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ როდესაც იმ კაცის მეორე ცოლი ჭიდან წყალს იღებდა თოკმიბმული ვედროთი, თითებიდან თოკი გაუსხლტა, დაიხარა და ვედრის დაჭერა სცადა, მაგრამ მიწაზე მარჯვენა ფეხი აუცდა, წონასწორობა დაკარგა და ჭაში ვარდნა დაიწყო. იქვე მდგომმა კაცმა თავგანწირულად სცადა ქალის დაჭერა, მაგრამ ამაოდ, ქალი ჭაში ჩავარდა და კედლებზე რამდენჯერმე თავი დაჰკრა. როდესაც იგი წყლიდან ამოიყვანეს, ქალი მართლა ცოცხალი გადარჩა, მაგრამ თავი გამოულაყდა, ტვინი გაეყინა და

ველარ აზროვნებდა. ფიქრის უნარი დაკარგა. გამართლდა, ებრაელი ხალხის ბრძნული მოსაზრება, რომ თუ გინდა მტერი თავიდან ჩამოიცილო, მისი მოკვლა საჭირო არ არის. მთვარია მას ფიქრის უნარი დაუკარგო. მართლაც ფიქრის უნარდაკარგულმა ქალმა ყველაფერი დაივიწყა, ქმარსაც ველარ სცნობდა, ამიტომ იმ კაცმა იგი ცოლის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა და საქონლის მომვლელად გაამწესა. ასე დამთავრდა ეს ამბავი.

ბეთლეჰემში ყოფნის დოს იოსების ოჯხს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი შეემთხვა. ქალაქში ცხოვრობდა ქალი, რომელსაც ორი ავადმყოფი ბავშვი ჰყავდა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად ერთი ბიჭი გარდაიცვალა, მეორე კი კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი დედამ წმინდა მარიამთან მიიყვანა. ცრემლად დაღვრილმა დედამ მარიამს უთხრა:

„ო, ჩემო ქალბატონო! თუ ღმერთი გწამს დამეხმარე და გადამირჩინე ბავშვი. ორი შვილი მყავდა. ერთი ახლახან დავასაფლავე, მეორე კი სიკვდილის პირზეა. ვლოცულობ ჩვენს ღმერთს თქვენი სახელით“.

მარიამს გული შეეკუმშა ქალის დარდზე და თქვა:

„მოდი აქ და დააწვინე შენი მომაკვდავი ბავშვი ჩემი შვილის იესოს საწოლში და, დააფარე მას იესოს საბანი“. ქალი ისე მოიქცა, როგორც წმინდა მარიამმა თქვა. დააწვინა თავისი ბავშვი იესოს ლოგინში და ზედ მისი საბანი დააფარა. მალე ავადმყოფმა ბავშვმა, როგორც კი იესოს ტანის სუნი შეიგრძნო თვალი გაახილა და გამოჯანმრთელდა და პური მოითხოვა. ამ ამბის შემყურე დედამ შეჰღაღადა:

„წმინდა ქალბატონო მარიამ! ახლა დარწმუნებული ვარ, რომ შენში უფლის ძალაა ჩაბუდებული და შენს შვილ იესოს შეუძლია ყველა განკურნოს, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც გონებრივად მისი მიმბაძველები იქნებიან“.

მოგვიანებით ის ბავშვი, რომელიც ასე სასწაულად განიკურნა იესოს ლოგინში, იესოს ერთ-ერთი უახლოესი მოწაფე გახდა, სახარებაც დაწერა და ქრისტიანულ ლიტერატურაში ცნობილია ბართლომეოს სახელით.

ამ ამბების შემდეგ და იმის გამო, რომ ბეთლეჰემში იესოს სახელი ფრიად პოპულარილი გახდა, მარიამმა და იოსებმა გადაწყვიტეს ბეთლეჰემის სასტუმროდან, სადაც ცხოვრობდნენ გადასულიყვნენ ბეთლეჰემის გამოქვაბულში, სადაც იესო დაიბადა. აქ ისინი ნაკლებად შესამჩნევები იქნებოდნენ და ასევე ნაკლებად იქნებოდნენ ყაჩაღებისა და ქურდ-ბაცაცების ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, იოსების ოჯახში მაინც მოდიოდა გაჭირვებული ხალხი.

ბეთლეჰემის მეზობლად მდებარე პატარა ქალაქის მერი ცოლად ირთავდა მეზობელი ქალაქის მერის ქალიშვილს. საქორწინო გარიგება-ქეთუბალი უკვე გაფორმებული იყო. საჭირო იყო კიდევ რამდენიმე თვე და გარიგებულები დაქორწინდებოდნენ. მაგრამ საქმე გაათულა ერთმა გარემოებამ. საცოლემ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მის საქმროს კეთრი ჰქონდა. ეს დიდი უბედურება იყო. კეთრი მოურჩენელ ავადმყოფობად ითვლებოდა. საცოლე ცხარე ცრემლებით ატირდა, რადგან დიდ გასაჭირში ჩავარდა. მან რამდენიმე ახლობელს რჩევით მიმართა და ბოლოს იესოს დედას წმინდა მარიამს ესტუმრა გამოქვაბულში.

„რა გატირებს?“ ჰკითხა ქალბატონმა მარიამმა მტირალ საცოლეს.

„არ მაქვს უფლება, რომ ვთქვა რატომ ვტირი?“ თქვა საცოლემ.

„თუ არ მეტყვი ტირილის მიზეზს როგორღა დაგეხმარო?“ თბილად ჰკითხა მარიამმა.

საცოლე დიდხანს უარობდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა მარიამის წინადადებას, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა მისი დარდის გაქარვებას.

„ჩემს საქმროს თვალებს შორის კეთრის პროცესი აქვს დაწყებული და არ ვიცი როგორ მოვიქცე, დავცილდე თუ მასთან დავრჩე“, თქვა საცოლემ.

მარიამმა გაიღიმა, აღელვებული საცოლე დააწყნარა, იესოს ის განბანილი წყალი მოუტანა, რომელსაც ცალკე

გუდაში ინახავდა და რომელმაც იოსების ოჯახს დიდძალი ქონება მოუტანა.

„წაიღე ჩემო ძვირფასო ეს წყალი. მას სასწაულმოქმედი ძალა აქვს. შენს საქმროს ძილის წინ დასაძინებელი ფხვნილი ჩაუყარე, როდესაც ღრმა ძილით დაიძინებს კეთრისაგან დაზიანებულს ადგილებში ეს წყალი აპკურე, რაც შენს საქმროს უეჭველად განკურნავს. ამ წყალმა უკვე ბევრი ბავშვი და ადამიანი განკურნა“. ურჩია მარიამმა.

გახარებული საცოლე სახლში წავიდა და წაიღო იესოს განბანილი წყალი და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მარიამმა ურჩია და მისი საქმრო უმალ განიკურნა.

ამ ამბის შემდეგ მალევე მოხდა შემთხვევა გოგონასთან, რომელშიც დრაკონის სახით სატანა იყო ჩაბუდებული. დრაკონი ბავშვს სისხლს წოვდა, რომელიც თანდათან ხმებოდა. ყველანი დამწუხრებულები იყვნენ. ბავშვის მშობლები გამუდმებით კითხულობდნენ, ნუთუ არავინ არ არის ისეთი, რომელიც ამ უბედურებისაგან გვიხსნისო და მას მოახსენეს, რომ ასეთი ქალია მარიამი, იესოს დედა, რომლის სახელი, როგორც სასწაულმოქმედი მკურნალის ფართოდ იყო გავრცელებული იმ მიდამოებში. გოგონას მშობლებს იმედი მიეცათ და ყველანი ბეთლეჰემის გამოქვაბულისაკენ გაეშურნენ, სადაც ადრე იესო დაიბადა. ახლა აქ იოსების ოჯახი ცხოვრობდა, თუმცა ბეთლეჰემის სასტუმროები თავისუფალი იყო. მარიამი გულთბილად შეხვდა ეშმაკჩაბუდებული გოგონას მშობლებს, იესოს ნახმარი საცვლები გადასცა მათ და უთხრა:

„წაიღეთ ეს საცვლები და როგორც კი ავი სული ან ეშმაკი გოგონაში ამოქმედდება თავზე დააფარეთ და ბოროტება დატოვებს მას“.

გახარებული დელეგაცია უკან დაბრუნდა და მოთმინებით ელოდა თუ როდის აბორგდებოდა ეშმაკის სული გოგონაში, მაგრამ გოგონა მშვენივრად გრძნობდა თავს, როგორც ჩანს ეშმაკმა უკვე იცოდა, იესოს საცვლების მაგიური ძალა და ნებაყოფლობით დატოვა გოგონას სხეული. მართლაც, რომ

იტყვიან სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. განკურნებული გოგონას მშობლებმა კი უფლის ქება დაიწყეს.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა იუდეას ერთ-ერთ ქალაქში, სადაც პატარა ბიჭის სხეულში სატანა ჩაბუდდა. ავსულ-ჩაბუდებული ბიჭს თვისება ჰქონდა ეკბინა ყველასთვის, ვინც გვერდით იყო, ხოლო თუ არავინ იყო თავისთავს კბენდა.

ამ უბედური ოჯახის წევრებმა ნათესავებისგან და ნაცნობებისგან მარიამისა და იესოს არსებობის შესახებ გაიგეს და მისკენ გაემართნენ. ავსულჩაბუდებული ბავშვის სახელი იყო იუდა.

ამასობაში ბეთლეჰემის გამოქვაბულში იესოს ოჯახთან დაახლოებული პირები ჯეიმსი და ჯესი მივიდნენ. მათ იესო ხელში აიყვანეს და სხვა ბავშვებთან სათამაშოდ წაიყვანეს. მოხდა ისე, რომ პატარა იესო, ეშმაკჩაბუდებული ბავშვის გვერდით ჩამოჯდა, რომელიც ყველას კბენდა. უეცრად იესოს მარჯვნივ მჯდომარე ბიჭმა იესოს უკბინა, მაგრამ იმის გამო, რომ „კარგად ვერ უკბინა“, ხელი ისე ძლიერად დაარტყა იესოს, რომ მან ტკივილისაგან შეჰყვირა კიდევაც, ამავდროულად ეშმაკმა დატოვა ბიჭი და როგორც ავი ძაღლი გაშორდა ბავშვებს.

ბიჭმა, რომელმაც იესოს ხელი დაარტყა და რომლის-განაც ეშმაკი ძაღლის სახით გაიქცა იყო იუდა ისარიოტელი. იგი მოგვიანებით იესოს მოწაფე და მისი საძმოს ხაზინადარი გახდება და ბოლოს ბოროტად უღალატა მას. იმ მხარეს, რომელსაც იუდამ იესოს ხელი დაჰკრა, მოგვიანებით ჯვარცმის დროს რომელმა ლეგიონერმა იესო შუბით განგმირა.

ასე ნელ-ნელა იოსების ოჯახი ბეთლეჰემიდან გალილეის პროვინციაში გადავიდა და ნაზარეთში დასახლდა, როგორც არქანგელოზმა გაბრიელმა უბრძანა.

იოსები ძალიან დარდობდა რომ ნაზარეთში დასახლდა. მას ძალიან უჭირდა ალექსანდრიის შემდეგ ნაზარეთში ცხოვრება. ეს იგივე იყო, როგორც მზიანი დღიდან ბნელ ღამეში გადასულიყავი, მაგრამ იოსებს სხვა გზა არ ჰქონდა. მან ძველებურად თავისი სადურგლო საქმიანობა წამოიწყო,

მაგრამ დარდის გამო თითქმის ყოველ საღამოს სვამდა ღვინოს.

იესო კი იზრდებოდა და პერიოდულად აკვირვებდა ყველას თავისი გამჭრიახობითა და სასწაულმოქმედი ძალით.

ერთხელ როდესაც იესო შვიდი წლის გახდა, თავის ტოლა ბიჭებთან თამაშობდა. ბავშვები თიხიდან ძერწავდნენ ჯორებს, ვირებს, ძროხებს, ჩიტებს და სხვა სოფლად მცხოვრები ბიჭებისათვის ნაცნობი ცხოველების ფიგურებს. ყველა ბიჭი ტრაბახობდა თავისი შემოქმედებით. ისინი ამბობდნენ:

„ჩემს მიერ გაკეთებული ვირი ყველაზე კარგი ვირია მსოფლიოში“.

„არა, ჩემი ვირი ისეთი კარგია, რომ მართალ ვირს ჰგავს“, თქვა მეორემ.

„მე კი“, თქვა პატარა იესომ, „ბრძანებას მივცემ და ჩემს მიერ თიხიდან გაკეთებული ფიგურები სიარულს დაიწყებენ, წყალს დალევენ, მერე კი მოშარდავენ“.

ყველამ პირი დააღო. მართლაც იესომ თავის მიერ თიხისაგან გაკეთებულ პატარა ფიგურებს სიარული უბრძანა და ისინი მწყობრად დადგნენ და სიარული დაიწყეს. იესომ შეჩერება უბრძანა და ისინიც შეჩერდნენ. უკან დაბრუნება უბრძანა და ისინიც უკან დაბრუნდნენ, მაგრამ ბიჭების განსაკუთრებული გაკვირვება გამოიწვია იმ გარემოებამ, როდესაც თიხის ცხოველებმა ერთად მოშარდეს და ისე ძლიერად გააკუეს, რომ პატარებმა კინაღამ გონება დაკარგეს.

იესომ ასევე მის მიერ გაკეთებულ ჩიტებს, მერცხლებს და ბეღურებს ფრენა უბრძანა და ისინი გაფრინდნენ, შეჩერება უბრძანა და ისინი გაშეშდნენ ცაში. ასევე როდესაც უბრძანებდა ჭამას და სმას, ფიგურები სვამდნენ და ზოგჯერ სკინტლავდნენ კიდევაც.

ბოლოს ძალიან გაკვირვებულმა თამაშს თავი ანებეს და სახლში დაბრუნდნენ. მშობლებს კი მოუყვნენ თუ როგორ ნაყოფიერად გაატარეს დღე, რა საინტერესოდ ითამაშეს, რამდენი რამე ისწავლეს. ბავშვების მშობლებს კი სხვა აზრი გაუჩნდათ და ბავშვებს უბრძანეს:

„მომავალში მაგ ბავშვთან, რომელსაც იესო ჰქვია აღარ ითამაშოთ, რადგან უეჭველია რომ იგი ჯადოქარია“.

იესომ იოლად ნახა ამხანაგების ახალი ჯგუფი. ყველა ცდილობდა მასთან ემეგობრათ და ყველა ცდილობდა მის სიამოვნებას. ერთ დღეს იესო ისევ თამაშობდა ბავშვებთან და გაურბინა საშრობ საამქროს, სადაც ნაზარეთის მცხოვრებლები თავიანთ ტანსაცმელს სხვადასხვა ფერში ღებავდნენ. ეს საშრობი ეკუთვნოდა ვინმე სალემს.

იმ დღეს საამქროში განსაკუთრებით ბევრი ტანსაცმელი იყო შესაღები, რადგან ცხელი სეზონის გამო შეკვეთებმა მოიმატეს. საშრობისა და სამღებროს თანამშრომლებს, მათ შორის სალემსაც შუადღის ტრადიციული ძალით ეძინათ. იესო საამქროში შევიდა და რომ ნახა ყველა თანამშრომელს ძინავსო, ისარგებლა მომენტით და ყველა ტანსაცმელი ღუმელში შეყარა, რომელიც ჯერთ გახურებული არ იყო და ჭვარტლით იყო სავსე.

როდესაც მოგვიანებით სალემმა და თანამშრომლებმა გაიღვიძეს ნახეს, რომ კლიენტთა ყველა ტანსაცმელი ჭვარტლით იყო გაფუჭებული და ამის გამო დიდი ხმაური ატეხეს. სალემმა გაიგო, რომ ეს საქმე ნაზარეთის ერთ-ერთმა თავისებურმა და ცელქმა ბიჭმა იესომ გააკეთა, იესოს ეს ამბავი არ დაუმალავს, რადგან ბავშვებში ტრაბახობდა, ერთი ნახეთ მალე სამღებროში რა ამბავი ატყდებაო.

„მარიამის შვილო! რატომ გააკეთე ეს, რატომ გააფუჭე ჩემი და ჩვენი მეზობლების ტანსაცმელი? რა ვუთხრა მათ ტანსაცმლის წასაღებად რომ მოვლენ?“ უთხრა სალემმა იესოს, როდესაც იგი სოფლის ორღობეში სხვა ბავშვებთან ერთად მოთამაშე ნახა.

„მე ყველა ტანსაცმელი შევღებე ყველასთვის სასურველ ფერში“, მიუგო იესომ ეშმაკური ღიმილით.

სალემი სასწრაფოდ უკან თავის საამქროში დაბრუნდა და ნახა, რომ ღუმელიდან გამოღებული ყველა ტანსაცმელი შესანიშნავ ფერებში იყო შეღებილი.

და როდესაც ასეთი სასწაული ნახეს, ებრაელებმა ერთ-

ბაშად აღავლინეს ლოცვა უფლისადმი, რომელსაც იაჰვეს ეძახდნენ, ხოლო იესო უფლისწულად ჩათვალეს.

* * *

იოსები, მიუხედავად იმისა, რომ მეფე დავითის ჩამომავალი იყო დურგლად მუშაობდა. თუმცა ბოლო ხანებში სმას მოუმატა, მაგრამ მაინც ბევრი შეკვეთები ჰქონდა და მისი ოჯახი კარგად ცხოვრობდა. იოსები ხელმარჯვე და განათლებული კაცი იყო. ისედაც შეძლებულ იოსების ოჯახს შემოსავალი მას მერე კიდევ უფრო გაეზარდა, რაც იესომ მამის დახმარება დაიწყო. მუშაობის დროს იოსები იმ წაკითხული წიგნების შინაარსს ყვებოდა, რომელიც მან ახალგაზრდობაში წაიკითხა.

იესოს აბსოლუტური მეხსიერება ჰქონდა, რასაც მამა უყვებოდა ყველაფერს იმახსოვრებდა. ამავე დროს იესოს მხედველობაც აბსოლუტური ჰქოდა. ერთბაშად ყველა მხარის მიმართულებით შეეძლო ყურება. მოგვიანებით იესო ხალხს გააოცებს. მას არ სჭირდებოდა წიგნების კითხვა. მთელ ფურცელს ერთბაშად კითხულობდა. მას დრო მხოლოდ წიგნის გადაფურცვლაში ეხარჯებოდა.

მამა-შვილი ძალიან შეხმატკბილებულად მუშაობდნენ. როდესაც რომელიმე ავეჯის გვერდის გაზომვა იყო საჭირო, იგი ფართე უნდა ყოფილიყო თუ ვიწრო, გრძელი თუ მოკლე იოსები საზომს აღარ ხმარობდა. იესო ეტყოდა მამას:

„აქ მოჭერი მამა, აქ გააფართოვე, აქ ხვრელი გააკეთე ან სკამს ამდენი და ამდენი სიმაღლე მიეცი“.

იესოს მითითება ყოველთვის სწორი იყო, ასე იზოგებოდა დრო და ჩქარდებოდა პროდუქციის დამზადების ვადა. რაც იესომ მამის გვერდით დაიწყო მუშაობა იოსების შრომის ნაყოფიერება 25% მოიმატა. შესაბამისად 25% გაიზარდა შემოსავალიც.

იოსებმა უკვე დაიწყო ფიქრი იერუსალიმში გადასახლების შესახებ. იქ მეტი შესაძლებლობები იყო. ბავშვებიც უკეთესს განათლებას მიიღებდნენ. არქანგელოზ გაბრიელის

მითითება შესრულებული იყო. ახლა შეიძლებოდა იერუსალიმში ან ანტიოქიაში გადასახლება, რომლებიც ცხოვრების პირობებით ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ ალექსანდრიას.

იოსების სიდედრი ანნა, სადღაც გაქრა. რაც იოსების ოჯახი ნაზარეთში დასახლდა, სახლიდან არ გამოდიოდა, თუმცა იოსები მარიამთან ერთად ქალაქის მეორე ბოლოში დასახლდნენ. ქალბატონი ანნა ძალიან გაურბოდა იოსების ნახვას. არც მარიამსა და იესოს ნახულობდა. იოსები მაინც და მაინც არ დარდობდა სიდედრის გაქრობას. მასთან საერთო ენას ისედაც ვერ პოულობდა. ამბობენ, რომ ქალბატონი ანნა თავის ბიძაშვილს ვაჭარ იოსებს ამირატის შორეულ მოგზაურობაში გაყვაო. შესაძლოა ქალბატონი ანნა, როგორც ვაჭარ ამირატის მეუღლე ალბინოსის კუნძულებზე დასახლდა. ებრაელებში განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა ბიძაშვილზე ქორწინება. სიმამრი იოაჰიმი კი, როგორც უკვე ავღნიშნეთ ჰეროდ დიდის ხალხმა მოკლა, როდესაც პატარა ბავშვებს ხოცავდნენ.

ერთხელ იერუსალიმის მეფემ იოსებს სერიოზული დაკვეთა მისცა. მას უნდა დაემზადებინა ტახტი, რომელიც ისეთივე ზომის იქნებოდა, როგორც ძველი ტახტი. ეს ძალიან კარგი შეკვეთა იყო და იოსები ხალისიანად შეუდგა საქმეს. იოსები ორი წელი მუშაობდა მეფის ტახტზე და როდესაც დაასრულა, დაიწყო ახალი ტახტის ძველი ტახტის ადგილზე დამონტაჟება. სამწუხაროდ, ახალ ტახტს ძველის ზომამდე ყოველი მხრიდან ორ-ორი დუიმი დააკლდა. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტი იყო, რადგან როდესაც მეფემ ეს უმსგავსოება და დურგლის არასერიოზულობა დაინახა, ძალიან განრისხდა. იოსებს სერიოზული ფინანსური ჯარიმის გადახდა, შესაძლოა ციხეც დამუქრებოდა. იოსები ძალიან შეშინდა, და როდესაც სახლში დაბრუნდა ვახშმის გარეშე დაწვა დასაძინებლად. იესომ დაინახა იოსების უგუნებობა და ჰკითხა:

„მამა, რატომ ხარ უგუნებოდ, რაიმესი ხომ არ გეშინია?“

„სამუშაო დავკარგე, რომელზეც ორი წელი ვმუშაობდი“,

თქვა იოსებმა და დაწვრილებით მოუყვა შვილს თუ რა პრობლემა შეექმნა.

„ნუ შიშობ მამა! შიში შორს იყოს შენგან, ყველაფერი კარგად იქნება. ხვალ მიდი სამუშაოზე და ტახტის ერთი მხარე ერთი ზომით გაასწორე და ამის მერე მეორე მხარე თავისით ჩაჯდება ზომაში“, დააწყნარა მამა იესომ.

მეორე დღეს იოსები ისე მოიქცა, როგორც იესომ ურჩია. ახალი სამეფო ტახტი ძველ ზომებში ისე ჩაჯდა, რომ ხერხი საჭირო აღარ გახდა. ეს საოცრება იყო. ტახტი ისეთივე ხისგან იყო დამზადებული, რომლისგანაც სოლომონ დიდმა დაამზადა თავისი ტახტისთვის. ახალ ტახტს ისეთივე მიმზიდველი ფიგურები ჰქონდა, როგორც ძველს. ამრიგად, დევნას რომელსაც იერუსალიმის სამეფო სახლი ახორციელებდა იოსების ოჯახის წინააღმდეგ იოსებმა სიკეთით უპასუხა. და ეს იესოს ხელშეწყობითაც მოხდა.

ერთხელ იესო თავის ტოლ ბიჭებთან ქუჩაში კუკუ-დამალობანას თამაშობდა. მათ კიდევ სხვა ქუჩის ბიჭებიც შემოუერთდნენ. ამ თამაშის დროს ბავშვების ერთი ჯგუფი ეძებს მეორეს და პირიქით. ზოგჯერ ერთი ბავშვი ეძებს ყველას. ერთ მომენტში იესო გახდა ყველას მაძებარი. ბევრი მონახა, ბოლოს ერთ სახლს მიადგა, სადაც იესოს აზრით ბავშვების ბოლო ჯგუფი დაიმალა. სახლის წინ ერთი ქალი იდგა, რომელსაც იესომ ჰკითხა:

„სად არიან ბიჭები, რომლებიც აქ დაიმალნენ?“

„აქ არავინ არ არის“, უპასუხა ქალმა.

„ვინ არიან ის ციკნები, რომლებიც ღუმელში დაიმალნენ? არ მოეშვა იესო“.

„ეგენი სამი წლის ბავშვები არიან“, უპასუხა ქალმა.

„ახლავე გამოდით ციკნებიო ღუმელიდან და მოდით თქვენს მწყემსთან“, ხმამაღლა დაიძახა იესომ.

მართლაც ბავშვები, რომლებიც ციკნებად იქცნენ ღუმელიდან გამოვიდნენ, იესოსთან მივიდნენ როგორც თავიანთ მწყემსთან.

ქალმა ეს რომ დაინახა, ძალიან შეშინდა, აკანკალდა და

იესოს თაყვანი სცა. იგი მოწმე იყო თუ როგორ დაიმალნენ ბავშვები ღუმელში და იესოს განცხადებით ციკნებად გამოვიდნენ.

„ო, გულმოწყალე იესო! მარიამის შვილო, შენ ისრაელის ნამდვილი მწყემსი ხარ. იყავი მიმტევებელი შენი მსახურის მიმართ, რომელიც შენს წინაშე დგას. გადაგვრჩინე და ნუკი დაგვანგრევ“, თქვა ქალმა აკანკალებული ხმით.

ამაზე პატარა იესომ უპასუხა:

„ერებს შორის ისრაელის შვილები ისეთივენი არიან, როგორც ეთიოპიელები“.

„უფალმა ყველაფერი იცის. იგი ყველაფრის შემძლეა. მოდი ახლა ვთხოვოთ, რომ ამ ციკნებს ისევ ბავშვების სახე მივცეთ, რომ ციკნები ყოველთვის ციკნებად დარჩნენ და ბავშვები კი ბავშვებად. ბავშვებმა თავიანთ მშობლებთან იცხოვრონ, ხოლო ცინკებმა კი მეცხვარესთან, მერე კი მათ დაკლავენ“, თქვა ქალმა.

იესომ მოიწონა ეს აზრი და ციკნებს მიმართა:

„კარგით, გვეყოფა ხუმრობა. მოდით ბიჭებო ახლა წავიდეთ და ჩვენი საყვარელი კუკუ-დამალობანა ვითამაშოთ“.

მაშინვე ციკნებს ბავშვების ფორმა დაუბრუნდათ და ყველამ უფლის ლოცვა დაიწყო, ხოლო პატარა იესოს კი სახელი კიდევ უფრო გაითქვა.

სხვა დროს იესომ თავის ნაზარეთელ მეგობრებთან ერთად მეფობანას თამაში დაიწყო.

იესო დაახლოებით 3-4 წლის ბიჭუნა იყო, როდესაც მეფობანას თამაში შეუყვარდა. ადარის თვე დადგა, როდესაც იესომ თანატოლები ერთად შეყარა და თავი მეფედ გამოაცხადა. იესომ მიწაზე თავისი ტანსაცმელი გაფინა თავზე გვირილებისაგან მოწნული გვირგვინი დაიდო, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ გვარდიელები დაიყენა.

თუ ვინმე შემთხვევით მეფის წინ ან მახლობლად ჩაივლიდა, გვარდია მას ხელს სტაცებდა და მეფის წინაშე მოიყვანდნენ, რათა მას მეფისათვის თაყვანი ეცა, თუ მოგზაურობის მშვიდობიანი გაგრძელება უნდოდა. მეფის

სასიამოვნოდ შემუშავებულ იქნა ბევრი სხვა საინტერესო რიტუალები, სადაც იესო როგორც მეფე აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

სანამ ეს ამბები ხდებოდა, იესოს მახლობლად კაცებმა ჩაიარეს, რომლებსაც საკაცით შეუძლოდ მყოფი ბავშვი მიჰყავდათ. ეს ბიჭი მეგობრებთან ერთად ტყეში წავიდა შეშის მოსატანად. ერთ ადგილას ბიჭებმა ჩხიკვის ბუდე ნახეს. ბიჭმა ჩხიკვის კვერცხების ასაღებად ბუდეში ხელი ჩაჰყო, მაგრამ ბუდის უკან ჩასაფრებული იყო შხამიანი გველი, რომელმაც მარჯვე ნაბულა გააკეთა და ბიჭის ხელი ოსტატურად დაგესლა. ბიჭი მკვდარივით მიწაზე დაეცა. ახლა სასწრაფოდ გამოძახებულ მეზობლებს სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი ყმაწვილი საკაცეზე დაწოლილი ქალაქში მიყავდათ სააქიმოდ.

როდესაც ამ პროცესიამ იმ ადგილას ჩაიარა, სადაც იესო იჯდა თავის ტანსაცმელზე, როგორც მეფე, ხოლო მისი კომპანიონი ბავშვები იქვე იდგნენ, როგორც მინისტრები და მცველები, ასეთი ამბავი მოხდა:

როდესაც პროცესია მეფეს გაუსწორდა დაგესლილი ბიჭი გონზე მოვიდა, საკაცეზე მწოლიარე ნიდაყვებზე წამოიმართა და მოითხოვა მეფესთან მიმიყვანეთ, რათა თაყვანი ვცეო. მაგრამ მეზობლებმა, რომლებსაც ბავშვი საკაცით მიყავდათ, უარი თქვეს „სათამაშო მეფესთან შეხვედრაზე“, რადგან უნდოდათ დაგესლილი ბავშვი ქალაქში მყოფ მშობლებთან რაც შეიძლება მალე მიეყვანათ.

იესომ პროცესია შენიშნა და ასევე მიხვდა, რომ მათ შორის რაღაც წინააღმდეგობა წარმოიშვა და იკითხა:

„რა მოხდა თქვენს შორის? რატომ ხართ ასე შეწუხებულები?!“

„ეს ბიჭი ტყეში გველმა დაგესლა“, თქვეს მეზობლებმა.

„წადით ტყეში და მოკალით გველი, ამის შემდეგ თქვენი ბიჭი განიკურნება“, თქვა იესომ.

მაგრამ ბავშვის მშობლებმა, რომლებიც ამ დროს ქალაქიდან მოვარდნენ გულგახეთქილები შვილის სანახავად, თქვეს:

„ჩვენი ბავშვი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, ბოდიში, მაგრამ უკან ტყეში ვეღარ დავბრუნდებით, მით უმეტეს გველის მოსაკლავად, რადგან შეიძლება ის ძვირფასი დრო დავკარგოთ, რაც ბავშვის გადასარჩენათ არის საჭირო“.

როდესაც დაგესლილმა ბავშვმა ეს მოისმინა, თქვა:

„ხომ მოისმინეთ მეფემ რა თქვა. წადით და ის გველი მოკალით, რომელმაც მე მიკბინა. ამის შემდეგ ყველანი: იესო, მისი მინისტრი ბავშვები, დაგესლილი ბავშვი, საკაცითა და მშობლებით, მეზობლები და ნაცნობები ტყეში გაემართნენ, რათა მავნე გველი მოეკლათ.

როდესაც ჩხიკვის ბუდეს მიუახლოვდნენ, იესომ დაგესლილ ბავშვს ჰკითხა:

„ეს ის ბუდეა, სადაც გველმა დაგგესლა?“

„დიახ, ზუსტად ეს ბუდეა თქვენო უდიდებულესობავ“, დაეთანმა დაგესლილი ბიჭი.

იესომ გველი გამოიძახა და უბრძანა:

„წადი უკან გველო და ამოწოვე ის შხამი, რომლითაც ეს ბიჭი დაგესლე“.

მართლაც გველი დაგესლილ ბავშვთან მივიდა, მოდიში მოუხადა და გესლი საგულდაგულოდ უკან ამოწოვა.

ამის შემდეგ იესომ იქ დამსწრე საზოგადოებისთვის უცხო ენაზე, გველი დაწყევლა, რომელიც რამდენიმე ადგილას გასკდა და დაიჩუტა. ამის მერე დაგესლილ ბავშვს ჭრილობები უცებ მოურჩა, ბიჭი მომჯობინდა და გამოკეთდა.

გამოჯანმრთელებულმა ბიჭმა სიხარულისაგან ყვირილი დაუწყო და მოყვა მეფის ქებას, მაგრამ იესომ შეაჩერა და უთხრა:

„შეწყვიტე ყვირილი და ღირსეულად მოიქეცი, რადგან ამიერიდან შენ ჩემი მოწაფე იქნები“.

ეს ბიჭი იყო სიმონ ქანაანელი, რომელიც სახარებაში არის მოხსენიებული.

ამ ამბავმა დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ამიერიდან პატარა იესოს „მეფე იესოს“ სახელით

მოიხსენიებდნენ. ზოგი ამბობდა ვინ იცის მომავალში ეს პატარა ბიჭი შესაძლებელია მთელი იუდეას მეფეც კი გახდესო.

ერთხელ იესო, თავის დედასთან მარიამთან ერთად ეზოს ალაგებდნენ, რომელიც დაშლილი და გამოუყენებელი ავეჯით იყო სავსე. იოსები ბოლო ხანებში ისე მარჯვედ ველარ მუშაობდა, როგორც ადრე, რადგან ღამღამობით ანგელოზები და სხვადასხვა კოშმარები ესიზმრებოდა. ამის გამო ზოგჯერ მთელი კვირა ისე გადიოდა, რომ ხელეჩოსა და წალდუნას ხელში ველარ იღებდა და არეულ ეზოს იესო და მარიამი ალაგებდნენ ხოლმე.

შუა მუშაობის დროს მათთან შუა ხნის ქალი გამოცხადდა, იესოს ხნის ბიჭთან ერთად, რომელიც ხელჯოხით მოძრაობდა. ქალმა თქვა:

„ეს არის ჩემი ერთადერთი შვილი გედეონი, რომელსაც უბედურება შეემთხვა. ჩემს სიყვარულსა და სიამაყეს გედეონს ძალიან უყვარდა ბოსლის თავზე დგომა და ჩიტებთან საუბარი, მაგრამ ერთ წვიმიან დღეს ფეხი დაუცდა, სახურავიდან ჩამოვარდა და ძალიან დასახიჩრდა თეძოებთან, ძვლის თავებმა დაჩირქება დაიწყეს, ამის გამო ბავშვი ველარ დადის. მიშველეთ ჩემო დაო მარიამ, იქნებ გედეონმა როგორმე გაიაროს“.

ეს რომ იესომ მოისმინა გედეონთან მივიდა და უთხრა:

„გადადე გვერდზე ჯოხები, მომკიდე ხელი და გაიარე და მამაჩემს ვთხოვოთ რომ გამოგაჯანმრთელოს“.

მარიამს ეგონა, რომ მამაში იესო იოსებს გულისხმობსო და თქვა: „მამაშენს ორი დღეა სძინავს და ძილში აბდა-უბდა რამეებს ლაპარაკობს. რომ გამოფხიზლდება ტყეში უნდა წავიდეს შეშისათვის, ზამთარი უკვე კარს მოგვადგა“.

იესომ დედას შეხედა და განმარტა:

„არა დედა, მე ჩემს ნამდვილ მამას ვგულისხმობ, რომელიც ზეცაში ცხოვრობს“.

ამის შემდეგ იესომ და გედეონმა ხელიხელჩაკიდებულებმა უფლის სადიდებელი ჰიმნი შემოსძახეს. მაშინვე გედეონმა თავისუფლად დაიწყო სიარული“.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც იესომ „ზეციური მამა“ ახსენა.

ამის მერე გამოფხიზლებული იოსები ტყეში წავიდა და როდესაც შემდეგ უკან დაბრუნდა, მარიამი მოუყვა თუ როგორ განკურნა იესომ გედეონი, როდესაც საშველად „ზეციურ მამას“ მოუხმო. იოსები ღრმად ჩაფიქრდა. იგი გრძნობდა, რომ ეს როდისმე უნდა მომხდარიყო. ამ დროს იესო შვიდი წლის იყო. იოსებმა თქვა:

„შვილო, ჩემი მამაც ზეციურია. ე. ი. მე ორი მამა მყავს, ერთი ზეციურია და მეორე მიწის. ჩვენ ორივეს ერთი მამა გვყავს. – „ზეციური“ დედები კი სხვადასხვაა. ასე, რომ იცოდე, მე შენი მიწიერი მამა ვარ და ჩვენ დიდი მეფის ჩამომავლები ვართ „მიწიერი მამების“ სახით. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს არ ყავდეს „ზეციური მამა“, კაენის შთამომავლების გარდა. და შენც გყავს „ზეციური მამა“, მაგრამ შენს მიწიერ მამასაც ნუ დაივიწყებ.

ჯერ არ გამოჩენილა კაცი, რომელსაც ერთი და იგივე ზეციური და მიწიერი მამა ყავდეს. იქნებ შენ იყო ასეთი. იქნებ შენ იყო პირველი, რომელსაც მარტო „ზეციური მამა“ ეყოლება და შემდეგ შენი შვილი შეიძლება მამაშენის მამაც გახდეს“, გაანალიზა ვითარება იოსებმა.

მალე მოხდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც იოსებს დაანახა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე იესოს სახით.

ერთ დღეს იოსებმა თავისი შვილი ჯეიმსი იესოსთან ერთად ტყეში გაგზავნა შეშაზე. ჯეიმსი იესოს შემდეგ დაიბადა და იყო მარიამისა და იოსების კანონიერი, მიწიერი შვილი, მაშინ როდესაც იესო იყო დედით მიწიერი, ხოლო მამით კი „წმინდა სული“. ძმებმა კარგა ხანს იხეტიალეს ტყეში და შეშის შეგროვება დაიწყეს. ამ დროს ჯეიმს შხამიანმა გველმა უკბინა, როდესაც იესომ დაინახა, თუ რა მძიმე დღეში იყო მისი ძმა, მივიდა მასთან იმ ადგილას სული შეუბერა, სადაც გველმა უკბინა. ჯეიმსი მაშინვე განიკურნა. ეს რომ იოსებმა გაიგო, ძალიან ეამა და იესოს დიდი მადლობა გადაუხადა.

მოგვიანებით, ჯეიმსი იესოს მოწაფე შეიქმნა და მისი

ჯვარცმის შემდეგ იერუსალიმის ქრისტეს მიმდევარი მოსახლეობის ეპისკოპოსი გახდება. სამწუხაროდ, ჯეიმსმაც თავისი სიცოცხლე ჯვარზე დაასრულა. ასე, რომ იოსებისა და მარიამის ოჯახში ორი ადამიანი აცვეს ჯვარს. საბედნიეროდ, იოსები შვილების სიკვდილით დასჯას ვერ მოესწრო. ამ ამბავს დაესწრო მარიამი, რომელმაც დიდი ტანჯვა გადაიტანა ამ ორი დიდი ცხოვრებისეული ტრაგედიის გამო.

ახლა მოვყვეთ სხვა შემთხვევის შესახებ. იესო ისევ შვიდი წლის არის და ნაზარეთში ცხოვრობს. იგი ამჟღავნებს არაჩვეულებრივ გამჭრიახობას, მაგრამ თავის ტოლებში თამაშიც ძალიან მოსწონს.

ერთ მშვენიერ დღეს იესო თავის ნაცნობ ბიჭებთან ერთად სახლის სახურავზე დაჭერობანას თამაშობდა. საუბედუროდ, ერთ-ერთ ბავშვს სახურავის კიდეზე ფეხი დაუცდა, თავი ველარ შეიკავა და კარების პარმაღზე დაეცა, ქვის საფეხურებს თავი დაარტყა და გარდაიცვალა. ბავშვები ძალიან შეშფოთდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სახურავზე მხოლოდ იესო დარჩა. იგი არასოდეს გარბოდა შემთხვევის ადგილიდან, როგორც სხვა ბავშვები, იმიტომ, რომ იესოს ძალიან განვითარებული ჰქონდა საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების გრძნობა და ის, რომ იგი ყოველთვის მართალი იყო.

მალე გულგახეთქილი ბავშვის მშობლები მოვარდნენ, კიბეებზე ტვინგახეთქილი ბავშვის სხეული რომ დაინახეს, მოთქმა დაიწყეს. უეცრად სახლის სახურავიდან ძირს მაყურებელი იესო დაინახეს და იფიქრეს, რომ ეს უღირსი საქმე მან გააკეთა და შეჰღაღადეს:

„მარიამისა და იოსების უღირსო შვილო. რატომ გადმოაგდე სახურავიდან ჩვენი შვილი? რატომ მოიქეცი ასე?“

იესომ ყოველგვარი ბრალდება უარყო და თქვა:

„მე თქვენი შვილი სახურავიდან არ გადმომიგდია. იგი გადააგდეს და თუ ვინ გააკეთა ეს თავად იტყვის“.

„იესო! რას ამბობ! რა ეშმაკი შეგიჯდა თავში? თვითონ როგორ იტყვის იგი ხომ ტვინდანთხეული მკვდარი წევს სახლის პარმაღზე. ახლავე ჩამოდი სახლის სახურავიდან,

წავიდეთ მამაშენთან და ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას“, თქვეს ტვინდანთხეული ბავშვის მშობლებმა.

„კიდევ ერთხელ გეუბნები, რომ მე არ მომიკლავს თქვენი ბავშვი და მან ძალიან კარგად იცის თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი“, აცხადებდა სახურავის კიდეზე მდგარი იესო.

„შენ მოჰკალი ჩვენი შვილი, დიახ, შენ და ახლა უტიფრად ცრუობ“, ყვიროდნენ გულდათუთქული მშობლები.

მაგრამ იესო სახურავიდან პასუხობდა:

„ნუ დამადანაშაულებთ იმაში, რომლის დამტკიცებაც არ შეგიძლიათ. მაგას სჯობს თავად ბიჭს ჰკითხოთ და ნათელი მოჰფინოთ ამ საქმეს“.

ამის მერე იესო სახურავიდან ეზოში მარჯვედ ჩამოცოცდა, მივიდა მკვდარ ბავშვთან და უთხრა:

„ზეინუნუს! ზეინუნუს! ხომ გესმის ჩემი? გვითხარი ვინ გადმოგაგდო სახლის სახურავიდან?“

„შენ არ გადმოგიგდივარ. ესა და ეს ბიჭი გამომეკიდა, შემეშინდა, ფეხი დამიცდა სახურავის კიდეზე და ჩამოვვარდი“, თქვა მკვდარმა ბიჭმა.

ეს რომ მშობლებმა მოისმინეს გაოცდნენ. ეს რა ხდებაო და იესოს ჰკითხეს:

„ჩვენი მკვდარი ბიჭი კი ლაპარაკობს, მაგრამ სიარული თუ შეუძლია?“

იესომ მკვდარ ბიჭს შესძახა:

„ზეინუნუს! ზეინუნუს! ადექი და გაიარ-გამოიარე, საერთოდ გაცოცხლდი და დაამშვიდე შენი მშობლები“.

ზეინუნუსიც ასე მოიქცა და გახარებულმა მშობლებმა უფლისა და იესოს მაქებარი ლოცვა წამოიწყეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც იესომ მკვდარი გააცოცხლა.

სხვა დროს მარიამმა იესო წყლის მოსატანად ჭაზე გაგზავნა. საერთოდ, კაცებს წყალი არ მოჰქონდათ, მაგრამ ბავშვს შეიძლება მცირე რაოდენობის წყალი მოეტანა. იესო სიხარულით გაემართა დედის დავალების შესასრულებლად. იესომ ჩამჩა წყლით აავსო და როდესაც ზევით ამოსწია თოკით, ჩამჩა გასკდა. იესომ შესძლო გამსკდარ ჩამჩაში

წყლის რაოდენობის შენარჩუნება და ასე მიუტანა წყლით სავსე ჩამჩა დედას. მარიამმა როგორც კი ჩამჩა მაგიდაზე შემოსდო წყალი დაიღვარა.

მარიამმა უსაყვედურა იესოს:

„რატომ გატეხე ჩამჩა?“

„ჩამჩა რომ გატეხილი ყოფილიყო წყალს როგორ მოვიტანდი? იგი გატეხილი არ არის“, განმარტა იესომ.

იმის დასამტკიცებლად, რომ ჩამჩა არ იყო გატეხილი იესო კიდევ ერთხელ წავიდა ჭაზე და გამსკდარი ჩამჩით კვლავ მოიტანა წყალი და მაგიდაზე შემოსდო. ეს საოცრება იყო. ცოტა ხნის შემდეგ მარიამს წყალი დასჭირდა და ჩამჩას ხელი შეახო. გამსკდარი ჩამჩიდან წყალი კვლავ დაიღვარა სამზარეულოში. ჩამჩიდან გადმოღვრილი წყლის რაოდენობა უკვე ბევრად აღემატებოდა ჩამჩის მოცულობას. სამზარეულო დაიტბორა და შეშინებული მარიამი ეზოში გამოვარდა და დაიწყო იესოს განკიცხვა, რომელიც ამ დროს მზეს ეფიცხებოდა.

„რატომ მტუქსავ დედა? შენ წყლის მოტანა მთხოვე და მე მოგიტანე წყალი, თქვი, რომ ჩამჩა გატეხილია, მაგრამ გატეხილი ჩამჩით კვლავ მოგიტანე წყალი. მე ჩემს მოვალეობას პირნათლად ვასრულებ და ჩემი არასამართლიანი დატუქსვა მამაჩემს არ ესიამოვნება“, თქვა იესომ.

ეს იყო და ეს. მარიამს იესოსთვის აღარასოდეს უთხოვია წყლის მოტანა. იგი დარწმუნდა, რომ წყლის მოტანა მართლაც არ იყო კაცის საქმე.

სხვა დროს იესო თავის თანატოლ მეგობარ ბიჭებთან ერთად არხობანას თამაშობდა. მათ მდინარიდან პატარა არხი გათხარეს და თევზებისათვის პატარა აუზი გააკეთეს. თევზებს ძალიან მოეწონათ აუზი და მდინარიდან აუზში დაიწყეს შემოცურვა. ამას გარდა, იესომ თიხის თორმეტი მერცხალი გააკეთა და ისინი სამ-სამად დაალაგა აუზის ყველა გვერდზე.

ეს ამბავი შაბათ დღეს მოხდა. ამ დღეს ებრაელების მუშაობა აკრძალულია. ისინი მხოლოდ უფალზე ფიქრობენ.

ავტორიტეტული პირის ანანიას შვილი ისეოსთან ერთად თამაშობდა. მალე თავად ანანიამ გამოიარა და დაინახა, რომ ბავშვებმა შაბათ დღეს თევზის აუზი და თიხის მერცხლები გააკეთეს, გადაწყვიტეს მისი დანგრევა და მოსპობა, რადგან ბავშვების საქმიანობა შაბათი დღის წესის დარღვევა იყო. მან ბავშვები დატუქსა და თქვა:

„არ იცით, რომ შაბათს არაფრის გაკეთება არ შეიძლება?“ და თავის შვილს უბრძანა აუზი დაანგრიეო და სახლში წავიდა.

ამის შემდეგ ანანიას შვილმა აუზის დანგრევა და თიხის მერცხლების განადგურება დაიწყო. იესომ თიხის მერცხლებს ხელი მოუსვა და ისინიც ჟივილ-ხივილით გაფრინდნენ.

ანანიას შვილმა მამასთან იჩივლა, ახლა ანანია მეორედ მოვიდა და თევზის რესტავრირებული აუზის თავიდან დანგრევა დაიწყო. ამის გამო იესომ თქვა:

„ისევე როგორც ამ აუზიდან წყალი ქრება, შენი შვილის სიცოცხლეც ასევე გაქრება“.

მართლაც ანანიას შვილი მაშინვე მოკვდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა როდესაც იესომ მკვდარი არ გააცოცხლა.

სხვა დროს იესო მამასთან ერთად ნაზარეთის შემოგარენ ბაღებში სეირნობის შემდეგ სახლში ბრუნდებოდნენ. იოსები შვილს იმ დღეს სამყაროს აგებულებისა და დედამიწაზე არსებული მიზიდულობა-განზიდულობის კანონების შესახებ საუბრობდნენ. ის-ის იყო მამა-შვილი ეზოში შესვლას აპირებდნენ, როდესაც ქუჩაში მორბენალი ბიჭი იესოს დაეჯახა და მიწაზე დასცა. ამ მომენტში პატარა იესო ფიქრობდა ტიბერიადის (თუ გალილეის) ტბაზე დედამიწის მიზიდულობა-განზიდულობის კანონი რა ძალით მოქმედებს და თუ შეიძლება განზიდულობის ძალის აკუმულაციით ტბის ზედაპირზე ისე გაიარო, რომ ფეხი არ დაისველოო. სწორედ ამ ფიქრებში იყო პატარა იესო, როდესაც ქუჩაში მორვენალი ბავშვი დაეჯახა, და ეს მოხდა იმ მომენტში, როდესაც პატარა იესომ თითქმის მიაგნო მიზიდულობა-განზიდულობის საიდუმლოებას და უკვე ფიქრობდა გალილეის ტბაზე ფეხის

დაუსველებლად გავლას. მიწაზე დაცემულ იესოს თავიდან ყველაფერი გამოუფრინდა, გაბრაზდა და თქვა:

„როგორც ამ ბიჭმა მიწაზე დამცა და თავიდან ყველაფერი გამომიხვეტა, ისე ის ბიჭი უნდა დავარდეს ისე, რომ ველარ ადგეს და აზროვნება არასოდეს დაუბრუნდეს“.

მაშინვე ის ბიჭი მიწაზე დავარდა და მოკვდა. ეს საოცრება იყო. ეს იყო მეორე შემთხვევა როდესაც იესომ მიწაზე დაცემული ბავშვი არ გააცოცხლა.

ეს სამწუხარო ამბავი რამდენიმე ადამიანმა დაინახა. ისინი ძალიან შეწუხდნენ. ბავშვი შეამოწმეს და როდესაც დარწმუნდნენ, რომ მას ტკივილის გრძნობა უკვე აღარ ჰქონდა, თვალები გაუშეშდა და მოკვდა, წავიდნენ იქ სადაც გარდაცვლილი ბიჭი დაიბადა, მონახეს მისი მშობლები და უთხრეს თუ რა ვითარებაში დაიღუპა მათი შვილი. ძალიან დანაღვლიანებული მშობლები იესოს მამასთან იოსებთან მივიდნენ და უთხრეს:

„შენ არ უნდა ცხოვრობდე ჩვენს შორის, რადგან შენი შვილი არ უნდა აკეთებდეს ასეთ საშინელ საქმეებს. ასწავლე მას რომ მეგობრები კი არ დახოცოს, არამედ დალოცოს, თუ არადა წადი ჩვენგან, რომ ჩვენი შვილები არ დახოცოთ“.

იოსები ძალიან შეწუხდა, მაგრამ ძალიან არ გაკვირვებია, რადგან უკვე იცოდა იესოს სპირიტუალი შესაძლებლობები. მან შვილი თავისთან დაიბარა და უთხრა:

„რატომ აკეთებ შვილო ამ საზიზღრობებს? რატომ ასახიჩრებ და კლავ ხალხს ისე, რომ მერე მათ ვეზიზღებით და დევნას გვიწყებენ?“

მაგრამ იესომ მამას მეტად უცნაურად უპასუხა:

„მე ვიცი, რომ ეს ხალხი რასაც ჩემზე ამბობენ, მათგან არ გამომდინარეობს, ამიტომ მათსავე საკეთილდღეოდ მათზე არაფერს არ ვიტყვი“.

იოსებს ასეთი პასუხი გაუკვირდა და თქვა:

„შვილო შენი პასუხისაგან ვერაფერი ვერ გავიგე, უბრალოდ გეუბნები, რომ ხალხს ნუ ხოცავ, რადგან ასეთი საქციელი ყველასთვის მიუღებელია“.

„ის ხალხი, რომლებმაც ამ ადამიანებს ასეთი რამე ათქმევინეს ჩემზე, სამუდამოდ დაიტანჯებიან მუდმივი ტანჯვით“, განმარტა იესომ.

მაშინვე ის ხალხი ვინც იესოს უჩიოდა დაბრმავდა და ამ ამბის მომსწრე ყველა ადამიანი ფრიად შეშინდა, ჩაფიქრდნენ და იესოს შესახებ თქვეს:

„ვინც ამ ბიჭზე რამეს იტყვის, კარგს ან ცუდს, მაშინვე შედეგი მოყვება და ეს ამბავი ძალიან გასაოცარია“.

იოსები აწრიალდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ბოლოს რომ ნახა, თუ როგორ იქცეოდა და ლაპარაკობდა იესო სკამიდან წამოიწია და იესოს ყური აუწია სიტყვებით: „შვილო ჭკუაზე მოდი ნუღარ ღუპავ ხალხს და ჩვენს ოჯახს“.

ყურის აწევაზე იესო ძალიან გაბრაზდა. მამას ხელი აუკრა და თქვა: „ფრთხილად იყავი მამა! ხელები შეანელე, ისინი ვინც მე მადანაშაულებენ და მაქებენ ვერ გვნახავენ, რადგან ჭკუა არ აქვთ. შენ კი განა არ იცი, რომ მე ღვთაება ვარ? აღარ შემაწუხო მეტი“.

* * *

ნაზარეთის შემოგარენი ძალიან შთამბეჭდავი იყო. იგი სავსე იყო ლირიზმითა და ზეიმურობით. რომელი მხარესაც არ გაიხედავდით ნამდვილი ბუნების სურათი იყო. პატარა იესოს ძალიან უყვარდა ნაზარეთის შემოგარენში სეირნობა, იგი აკვირდებოდა ბუნებას. ეს გრძნობა შემდეგ მრავალჯერ აისახა იესოს მხატვრულ გამონათქვამებში. იგი დიდ ოჯახში ცხოვრობდა, სადაც ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა. სამწუხაროდ იესომ თავისი საყვარელი საქმიანობა სახლში ვერ აირჩია. უფრო გარე-გარე სიარული ერჩივნა, ამიტომ იგი თავის მრავალრიცხოვან და-ძმებში დიდი სიყვარულით არ სარგებლობდა. გამონაკლისი იყო ჯეიმსი, რომელიც იესოს მგზნებარე მიმდევარი გახდა და თვრამეტი წელი ხელმძღვანელობდა იერუსალიმის ქრისტიანებს. დანარჩენი ძმებისთვის და დებისთვის იესო განდეგილი იყო. მასზე იცინოდნენ და შესაძლებელია ჩაგრავდნენ. ლევ ტოლსტოიმ

თავის ევანგელისტურ გამოკვლევებში იესოს „მიტოვებული ბავშვიც“ კი უწოდა. ყოველივე ამის გამო მოგვიანებით იესო არ იყო კარგ განწყობილებაში თავსი ოჯახის წევრებთან, რაც არაერთხელ არის აღნიშნული სახარებების ავტორებთან. მამა ბუნებრივია, ფიქრობდა, რომ მისი შვილი დურგალი უნდა ყოფილიყო და დახმარებოდა მას მუშაობაში. ეს ასეც ხდებოდა, მაგრამ იოსები მეტს მოითხოვდა, რაც იესოს წინააღმდეგობას იწვევდა. იგი თავისუფლების მოყვარული ბიჭი იყო და ცხვრიზე ბუზს არ იჯენდა, რაც სისტემატური კონფლიქტის საბაბი იყო, როგორც სახლში, ისე კარში. ამავე დროს იოსები მოწმე იყო იესოს არაჩვეულებრივი გონებრივი შესაძლებლობების და მის ამ მიმართულება-განვითარებას ხელს არ უშლიდა. იესო დადიოდა ნაზარეთის სკოლაში, სწავლობდა „ძველ აღქმას“, ზოგიერთი მონაკვეთები ზეპირადაც იცოდა, მაგრამ ცოდნის შეძეინა ნაზარეთში ლიმიტირებული იყო. აქ არ იყო იერუსალიმის გაქანება.

სამსახურებრივი საქმიანობის გამო იოსები ზოგჯერ იერუსალიმში მიდიოდა, მერე ბეთლეჰემში შეივლიდა ხოლმე, სადაც მისი უფროსი შვილები ცხოვრობდნენ პირველი ცოლისგან.

იერუსალიმში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ზაქჰეუსი ერქვა, შემოკლებით მას ზაქს ეძახდნენ. ადრე ზაქი იოსებთან ერთად აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა და ქარავნების მცველებად მუშაობდა. ახლა ზაქი სკოლის მასწავლებელი იყო. იგი ცხადია იოსებს კარგად იცნობდა და გაგებული ჰქონდა, რომ მას ძალიან ჭკვიანი, მაგრამ ამავე დროს ძალიან თავნებას შვილი ჰყავდა. ერთხელ იგი იოსებს იერუსალიმის გზა-ჯვარედინზე შეხვდა და იქვე სასადილო – ლოქანთაში დაპატიჟა სადილად. სადილის შემდეგ ზაქმა იესოს ჰკითხა:

„რატომ არ მოგყავს ჩემთან შენი შვილი იესო, გავიგე, რომ ძალიან ნიჭიერი ბიჭია. მოიყვანე ჩემთან და წერა-კითხვას შევასწავლი. თუ არ იცის ვასწავლი და თუ იცის უკეთ ვასწავლი“.

„ნაზარეთის სკოლაში დადის და ცოტას სწავლობს“, თქვა იოსებმა.

„ნაზარეთის სკოლაში რა უნდა ისწავლოს. შენი ბიჭი ხომ ძალიან ნიჭიერია. ხომ გაგიგია მიეცი ნიჭსა გზა-ფართე, რადგან უგუნურები თავად გაიკვლევენ გზას. მოიყვანე ჩემთან და კარგ ცოდნას მივცემ“.

იოსები დაეთანხმა და ნაზარეთში რომ დაბრუნდა ცოლს გამოელაპარაკა ამის შესახებ, მერე იესოს დაუძახა და უთხრა:

„შვილო, ჩემს მეგობარ-მასწავლებელთან წაგიყვან სასწავლებლად, იმასთან დაგტოვებ ერთ თვეს და აბა შენ იცი, არ შემარცხვინო, კარგად ისწავლე“.

იმ დროს იესო 7 წლის იყო და მამას პირობა მისცა რომ კარგად ისწავლიდა და სანიმუშოდ მოიქცეოდა. იოსებმა შვილი ჯორზე შესვა და იერუსალიმიდან გაემართნენ. ეს ქალაქი ახლოს არ იყო დაახლოებით 80 მილზე მდებარეობდა და მამა-შვილი სამი დღე-ღამე მოგზაურობდნენ. ზოგჯერ გზა მთებზეც გადადიოდა. ბოლოს მიაღწიეს ქალაქს და მასწავლებელთან მივიდნენ, რომელსაც იოსებისა და იესოს ნახვა ძალიან გაუხარდა. ზაქმა როდესაც პატარა ბიჭი და მამამისი კარგად დაანაყრა, იოსები დასასვენებლად მოათავსა და პატარა ბიჭს კი მაშინვე ანბანის სწავლა დაუწყო.

„აბა, ჩემო კარგო. თქვი ებრაული ანბანის პირველი ასოს სახელი“.

„ალეფ“, თქვა იესომ.

„ახლა მითხარი თუ რა ჰქვია მეორე ასოს?“ თქვა მასწავლებელმა.

პასუხის მაგივრად იესომ მასწავლებელს საპასუხო კითხვა დაუსვა:

„ახლა თქვენ მითხარით თუ რას ნიშნავს „ალეფ“ და მე გეტყვით თუ რას ნიშნავს „ბეთ“, „გიმელ“ და ასე რიგ-რიგობით ჩამოვთვლი ებრაული 22 ასოს სახელწოდება.

მასწავლებელი ძალიან გაბრაზდა და იესოს მათრახით დაემუქრა. ამის შემდეგ იესომ კეთილი ინება და ახსნა „ბეთისა“ და „გიმელის“ მნიშვნელობა. მერე გააგრძელა და თქვა

შემდეგი ასოების მნიშვნელობა. სულ 22 ასო ჩამოთვალა. იესომ დამაჯერებლად ახსნა თუ რატომ ჰქონდა ზოგიერთ ებრაულ ასოს ორმაგი მნიშვნელობა, როდის იყო საჭირო შეჩერების გაკეთება, როდის ხაზგასმის, რატომ და რა წესით მიუყვებოდნენ ასოები ერთმანეთს და როგორ იცვლებოდნენ ისინი საუკუნეების განმავლობაში ებრაული ასოების კალიგრაფიის განვითარებისდა მიხედვით. ამის მერე პატარა იესომ ბევრი ისეთი რამ თქვა, რაც ზაქჰეუსს არც წაეკითხა და არც გაეგონა.

ბოლოს ეშხში შესულმა იესომ დასძინა:

„ასე რომ ზაქჰეუსს მასწავლებელო თუ გინდა, რომ ისეთ მოწაფეებს როგორც მე ვარ კარგად ასწავლო, უნდა იცოდე თუ როგორ უნდა წარმოთქვა სუფთად, განასხვავო და გაანალიზო ჩვენი საამაყო ასოები ალეფ, ბეთა, გიმელ, დელათ და ასე შემდეგ ბოლომდე“.

მასწავლებელი ისეთი გაკვირვებული იყო, რომ ესღა დასძინა:

„ეს ბიჭი ნამდვილად ნოეზე ადრე დაიბადა“.

„ამით რისი თქმა გინდათ?“ თქვა საკლასო ოთახში ახლად შემოსულმა იოსებმა, რომელსაც ძილში მოეჩვენა, რომ ზაქმა და იესომ კამათი დაიწყეს და სასწრაფოდ წამოხტა ლოგინიდან. ე, მანდ რაიმე უბედურება არ მოხდესო.

მასწავლებელმა იოსებს მიუგო, რომ ამ შვიდი წლის ბიჭმა იმდენი რამე იცის, რომ ნოეზე ადრე უნდა დაბადებულიყო, რომ ეს ყველაფერი მოესწრო, წაეკითხა და შეესწავლა. მერე იოსებს უთხრა:

„შენ სასწავლებლად ისეთი ბიჭი მომიყვანე, რომელმაც უფრო მეტი იცის, ვიდრე ნებისმიერმა მასწავლებელმა“.

ბოლოს მასწავლებელმა დაასკვნა:

„ამ პატარა ბიჭს არაფრის სწავლა არ სჭირდება. იგი ცოდნის მადანია“.

იესო და იოსები ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ იერუსალიმიდან. გზაში იოსები შვილს ათას საკითხებს ესაუბრებოდა და იესო მას ძალიან ყურადღებით უსმენდა.

„მამა, შენ ყველაზე კარგი მასწავლებელი ხარ. ბევრი რამ გაქვს ნახული ქვეყნიერებაზე“, უთხრა იესომ მამამისს.

„კი, შვილო, მართალია შენ ჩემგან ბევრი რამე გაიგე, მაგრამ მშობელი, შვილის მასწავლებლად ვერ გამოდგება. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ კარგი მრჩეველი. მე სწავლის დროს შენ მათრახს ვერ დაგკრავ, რაც ასე მიღებულია ებრაულ საზოგადოებაში, მაგრამ მიუხედავად ამ სირთულისა შენ კარგი მასწავლებელი მაინც გჭირდება“.

„არა, მამა, არ მინდა მასწავლებელი, არც ერთი მათგანი არ მომწონს“, თქვა იესომ, მაგრამ მარიამი და იესო ასე არ ფიქრობდნენ. მათი აზრით, მართალია იესო, თავნება, ჯიუტი და ამპარტავანი ბავშვი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ნაზარეთში მას ყველა ეჭვით უყურებდა და „ეშმაკის ფეხად“ მიაჩნდათ, მაინც საფუძვლიანი ებრაული განათლება უნდა მიეღო, რათა განათლებული კაცის სახელი ჰქონოდა და საბოლოოდ რაბინი გამხდარიყო. ამიტომ დასახმარებლად სხვა მასწავლებელს მოუხმეს.

როდესაც ახალმა მასწავლებელმა იესო გაიცნო, ჰკითხა:

„აბა, მითხარი რას ნიშნავს ებრაული ალფავიტის პირველი ასო „ალეფ?“

როდესაც იესომ უპასუხა, მასწავლებელმა კვლავ ჰკითხა:

„ახლა მითხარი, თუ როგორ წარმოითქმის ებრაული ალფავიტის მეორე ასო „ბეთ?“

ამაზე იესომ თქვა:

„ჯერ თავად მითხარი თუ როგორ წარმოითქმის „ალეფ“ და შემდეგ მე გეტყვი თუ როგორ წარმოითქმის „ბეთ“.

მასწავლებელმა იესოს პასუხი შეურაცხყობად მიიღო და იესოს დასარტყმელად ხელი აღმართა, მაგრამ მისი ხელი ჰაერში გაშეშდა, მერე იატაკზე დაეცა და გარდაიცვალა.

ეს ამბავი მასწავლებლის სახლში მოხდა, სასწავლო ოთახში და არავინ არ იყო ამ ამბის მოწმე. იესომ ოთახი დატოვა, ეზოში გამოვიდა და მასწავლებლის ოჯახის წევრებს უთხრა:

„შუა მეცადინეობაში ვიყავით და ასო „ბეთ“-ს ვსწავლობდით, როდესაც რაბაის უეცრად გული გაუჩერდა და

იატაკზე დაეცა. მოდით და ნახეთ თუ რა დამმართა, მე კი ჩემს სახლში უნდა წავიდე“.

მასწავლებლის ოჯახის წევრები როდესაც საკლასო ოთახში შევიდნენ გარდაცვლილი მასწავლებელი დახვდათ და ძალიან დამწუხრდნენ.

მარიამი და იოსებიც ძალიან დანაღვლიანდნენ. ეს უკვე პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც იესო შემთხვევით მასთან კონტაქტში მყოფი ადამიანის გარდაცვალებას ახდენდა. დამწუხრებულმა იოსებმა თქვა:

„მარიამ, ძვირფასო, შენი იმედი მაქვს. ამიერიდან ჩვენს საყვარელ იესოს, რომელმაც ამდენი პრობლემები და თავის ტკივილი გაგვიჩინა არ უნდა მივცეთ უფლება, რომ სახლიდან გავიდეს, რადგან თუ ვინმე მას არ მოეწონება იგი მაშინვე კვდება, რაც ძალიან დამაფიქრებელია. სჯობს სალოცავად იერუსალიმში წავიდეთ და ჩვენს უფალს რჩევა ვკითხოთ. მან გამოგვიგზავნა იესო და ალბათ, გვირჩევს თუ როგორ მოვიქცეთ ამ სიტუაციაში“.

იოსების დამწუხრებული ოჯახი მარიამის, იოსებისა და იესოს შემადგენლობით კვლავ იერუსალიმში გაემგზავრა. მათ კიდევ რამდენიმე ბავშვი ჰყავდათ და ისინი ნაზარეთში დატოვეს ნათესავის მეთვალყურეობით და უთხრეს, რომ ერთ კვირაში დაბრუნდებოდნენ.

სამივე მდუმარედ მიუყვებოდა ამტვერიანებულ შარას, ბოლოს გზამ მთებისაკენ აუხვია და ბუნება თითქოს გალამაზდა. პატარა იესოც ჩაფიქრებული მისდევდა უკან ჯორს, რომელზეც დედამისი მარიამი იყო შემომჯდარი. ჯორს წინ იოსები მიუყვებოდა. იგი ჯერთ კიდევ მხნე და ღონიერი კაცი იყო, თუმცა გამუდმებული მოგზაურობებითა და პრობლემებით უკვე საკმაოდ დაიღალა.

„გახსოვს, როდესაც ჩვენი ოჯახი ეგვიპტეში ცხოვრობდა, სახლის ბანზე ამყავდა და სხვადასხვა ისტორიებს მიყვებოდი. მაშინ შენ ძალიან პატარა იყავი“, უთხრა იოსებმა იესოს.

„როგორ არა მამი, ძალიან კარგად მახსოვს“ ხალისიანად მიუგო იესომ.

„გახსოვს, როგორ დამყავდი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში და გიკითხავდი ჩვენი წინასწარმეტყველებებისა და ისტორიკოსების თხზულებებს?“

„ძალიან კარგად მახსოვს. რაც წამიკითხე ყველაფერი გავაანალიზე და როდესაც გავიზრდები, ამ ცოდნას აუცილებლად გამოვიყენებ“.

„ახლა შვილო ძალიან რთული მდგომარეობა შეიქმნა. რჩევის მისაღებად კვლავ იერუსალიმში მივდივართ. მიზეზი ის არის, რომ როდესაც შენ გაბრაზებული ხარ შენს ძალას არასწორად იყენებ და ადამიანები უდანაშაულოდ კვდებიან. შესაძლებელია ეს ამბავი რომის ადმინისტრაციის ყურამდე მივიდეს და ძალიან დიდი პრობლემები შეგვიქმნას. შენ ძალიან ამაყი ხარ. თავზე ბუზს არ იჯენ. დაკითხვა რომ მომიწყონ შეიძლება გაბრაზებულმა ისეთი რამე თქვა, რომ შენი თავიც დაღუპო და ჩვენც. მინდა მითხრა, რომ ის გარემოება რომ ნაზარეთში დავსახლდით, ჩემი არჩევანი არ არის. ეს უფლის არჩევანია. მან ჩვენს საყვარელ არქანგელოზ გაბრიელის პირით შემოგვითვალა, რომ ალექსანდრიიდან ნაზარეთში დავსახლებულიყავი. ეს არის უფლის ბრძანება. ამიტომ მე მომწონს თუ არ მომწონს, უფლის ბრძანებას ვემორჩილები. ასე რომ ჩემო ჭკვიანო ბიჭუნა, იერუსალიმიდან უკან სახლში რომ დავბრუნდებით, არამარტო ნაზარეთიდან, არამედ სახლიდანაც ფეხი არ გადგა. დამეხმარე მუშაობაში, ფული ბევრი გვაქვს, დაცოლშვილების დრო რომ მოგივა, მაშინვე სახლს აგიშენებ, ავეჯს მოგიწყობ, ნახევარ საამქროს გადმოგცემ, როგორც უფროს შვილს. დანარჩენ ხუთ ბავშვს კი მეორე ნახევარს მივცემ. ასე რომ იცხოვრებ შენს გემოზე. ახლა კი სანამ მე შენი მიწიერი მამის მოვალეობას ვასრულებ, ფრთხილად ვიყოთ და ეს ცუდი დრო მეცადინეობაში და ურთიერთპატივისცემაში გავატაროთ, რას იტყვი ამაზე ჩემო კოხტა ბიჭო?“ თქვა იოსებმა.

„კი, მამა! როგორც ყოველთვის მართალი ხარ. საჭიროა ჩემი სიფიცხე მოვთოკო, თორემ შეიძლება დროზე ადრე გავხდე ცნობილი“, დაეთანხმა იესო მამას.

„კი, შვილო, შეიძლება გაიშიფრო და ეს ცუდი იქნება არამარტო შენთვის, არამედ ყველასთვის“, თქვა იოსებმა და მარიამს მიუბრუნდა.

„მარიამ! ძვირფასო ჩვენმა საყვარელმა შვილმა იესომ უკვე გვითხრა პასუხი. იგი უფლის მფარველობის ქვეშ არის და დაუფიქრებელ საქციელს აღარ ჩაიდენს. იქნებ დავბრუნდეთ უკან, რადგან ჩვენი მოგზაურობის მიზანი მიღწეულია. იესო დაგვეთანხმა რომ ჭკუით იქნება“.

„ეს ძალიან სასიხარულო ამბავია, ჩემო საყვარელო ქმარო. თითქოს ლოდი მომეხსნა გულიდან. თუ იესო ჭკუით იქნება ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს და ნაზარეთის ყველაზე გამორჩეული ოჯახი ვიქნებით“, თქვა მარიამმა.

ამის თქმა იყო და იოსებმა ჯორი შეაჩერა, შეატრიალა, სახრე შემოჰკრა და ალბათ იუდეას სამი ყველაზე გამორჩეული პიროვნება, მარიამი, იოსები და იესო უკან ნაზარეთის გზას დაადგნენ.

მართლაც შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში იესო დღე და ღამე თავაუღებლად მეცადინეობდა და თავისუფალ დროს მამას ეხმარებოდა დურგლობაში. იოსებმა უამრავი ფული დააგროვა, და იესოსთვის შესანიშნავი ბიბლიოთეკა შეიძინა, რომელიც მოგვიანებით იესოს და-ძმებმა გაანიავეს. ასე გავიდა წლები.

* * *

დღევანდელი ოთხი კანონიკური სახარება თითქმის არაფერს ამბობს იესოს ბავშვობაზე, რომელიც მან გაატარა მრავალშვილიან ოჯახში. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამას რაიმე მიზეზი ექნებოდა. ყველაზე რეალურია ის გარემოება, რომ იესო როგორც ძალიან ნიჭიერი და მცოდნე ბიჭი, გამორჩეული იყო ნაზარეთის სოფლელ გაგრიებში და ამიტომ როგორც ყოველთვის ხდება გაუნათლებლებმა, განათლებული ბიჭის დაცინვა დაიწყეს. დაცინვამ შესაძლებელია ისეთი ფორმები მიიღო, რომ ამის გამო რამდენიმე სერიოზული კონფლიქტი მოხდა, როგორც

იესოს ოჯახში, ისე სოფელ ნაზარეთში. თუ ეს ასე არ იყო მაშინ რატომ მოხდა, რომ უკვე როდესახც იესო მოზრდილი, ჩამოყალიბებული მოყმე იყო, მივიდა ნაზარეთში და ქადაგება დაიწყო მოსახლეობა მას დაცინვით შეხვდა? მათ იცნეს იესო და ამბობდნენ ეს ხურო იოსების შვილი არ არის? მამის ძმები არ არიან ჯეიმსი და იოსია, სვიმონი და იუდა? მისი დებიც აქ არიან. ყველანი ჩვეულებრივი ხალხია, ეს კი საიდან გამოჩნდა ასეთი ჭკუის კოლოფი? ამიტომ თქვა იესომ ამ ამბავზე რომ შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო (მათე 13:54-57).

ამ შემთხვევის შესახებ ლუკაც მოგვითხრობს. იგი იმასაც ამბობს, რომ იესო ნაზარეთიდან გააგდეს კიდევაც, როგორც სჩანს იესოს ნაზარეთელებმა არამარტო აგინეს, არამედ ქვებიც კი დაუშინეს, მოკვლა დაუპირეს. იესო, რომელიც უკვე ძალიან გამოცდილი და მარჯვე კაცი იყო, სასიკვდილო საფრთხეს თავი დააღწია, მაგრამ ეს შემთხვევა ნათლად გვიჩვენებს, რომ იესოს ნაზარეთში აუტანელი ბავშვობა ჰქონდა. მას მხოლოდ მისი ძმა ჯეიმსი გულშემატკივრობდა, რომელმაც ასევე არაფერი დაწერა თავისი ბავშვობის შესახებ.

კიდევ ერთი ფრიად დამაფიქრებელი ფაქტია შემდეგი გარემოება, რომელიც ნათლად გვაჩვენებს, რომ იესო საკუთარ ოჯახს არათუ პატივს არ სცემდა, არამედ თაკილობდა და შესაძლოა ეზიზღებოდა კიდევაც.

ერთხელ, როგორც მახარობელი მარკოზი მოგვითხრობს, იესო ერთი სახლის წინ იჯდა და მსმენელებს ლექციას უკითხავდა. უეცრად მას მოახსენეს:

„აქვე შენი ძმები, დები და დედა იმყოფება, მათ შენი ნახვა უნდათ, ნებას მისცემ?“

„ვინ არის ჩემი ძმები, დები და დედა?“ იკითხა იესომ, მსმენელები ნახევარ რკალად შემოიკრიბა და უთხრა:

„თქვენ ხართ ჩემი ძმები და დები, ჩემი მშობლები, ვინც უფლის ნებას ასრულებს ის არის ჩემი და, ძმა და დედა“ (მათე 3:30-34).

რა თქმა უნდა, ამ პატარა ფსიქოლოგიურად ძალიან კოლორიტულ სცენაში ჩვენ ვხედავთ არა მარტო „ქრისტიანული ძმობის“ და „დობის“ კონცეფციას, არამედ იესო ქრისტეს დიდი ოჯახური ტრაგედიის ეხოსაც.

იესოს მძიმე, მონოტონურ ბავშვობაში ნათელი პერიოდი იყო ყოველწლიური ვიზიტები იერუსალიმში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა იესოს შესაძლოა ბოლო მოგზაურობა იერუსალიმში. იესო უკვე 12 წლის იყო. ამ დროს იესო მიცვას ღონისძიებებს დაესწრო და უკვე კაცად ჩაითვალა. ამის გამო მშობლებმა, უფლის ქალიშვილმა და ცოლმა მარიამმა და ჩვეულებრივმა ხურომ იოსებმა, რომელიც მე-40 მუხლით მეფე დავითის ჩამომავლად ითვლებოდა და ამავე დროს იესოს მამინაცვალიც ან მიწიერი მამა იყო, იესო იერუსალიმში ებრაელთა ყოველწლიურ ზეიმზე წაიყვანეს. ეს იყო ზეიმი რომელსაც ებრაელი ხალხი ეგვიპტიდან თავის დაღწევას ზეიმობდა.

იერუსალიმში 80 მილიანი მოგზაურობა ძნელიც იყო და საინტერესოც. იგი დაახლოებით სამ დღეს გრძელდებოდა. ეს იყო მშვენიერი ბუნება, მთის გრეხილები და ნახევრად უდაბური ადგილები. შეკრებები ხანგრძლივი და საზეიმო იყო.

იერუსალიმი უზარმაზარი, მილიონიანი ხალხით სავსე ქალაქი იყო. ეს იყო დიდი სავაჭრო ქალაქი შესანიშნავი სახლებითა და სასახლეებით. ყოველივე ეს ბავშვებს ძალიან მოსწონდათ.

როგორც ავღნიშნეთ ნაზარეთელები შურიანი და უხეში ხალხი იყო. ისინი ცდილობდნენ რომ ერთად ყოფილიყვნენ, როდესაც ერთად იყვნენ თავს ძლიერად გრძნობდნენ, ცალ-ცალკე კი მშიშრები იყვნენ. იესო კი პირიქით როდესაც მარტო იყო თავს უფრო მხნედ გრძნობდა, მშობლებთან და ნაზარეთელებთან ერთად კი ყოველთვის შენიშვნია საგანი იყო. იესო, თანასოფლელებს დასცილდა და იერუსალიმის სავაჭრო ქუჩებში ხეტიალი დაიწყო, რომელიც სავსე იყო სასტუმროებით, რესტორნებით, საროსკიპოებით. იესოს გაქრობა მაშინვე არ გაუგიათ. უკვე ზეიმის მესამე დღე მიდ-

იოდა. მლოცველთა დიდი ქარავნებიც სახლებისაკენ გაემართნენ. ტრადიციისამებრ სწორედ მესამე დღეს, როდესაც უკვე დასრულებული იყო ყველა საზეიმო ღონისძიებები, ტაძრების ღია ეზოებში ხდებოდა მლოცველებისა და რაბინების გაბაასება. აქ ისმებოდა კითხვები და იცემოდა პასუხები ჩვეულებისამებრ ყველას უფლება ჰქონდა დამჯდარიყო იატაკზე და მოთავსებულიყო ნახევარწრედ რაბინის გარშემო.

იესო ჩამორჩა რა მშობლებს და გაგრია ნაზარეთელებს აღსავსე ცოდნისა და თავგადასავლების სურვილით ერთ-ერთ ტაძარში შევიდა და რათა უკეთ მოესმინა რაბინისთვის და მის მახლობლად დაჯდა. ეს იყო თავისუფალი სასულიერო სემინარია, კითხვა-პასუხის გაკვეთილები, სუფთა ჰაერზე. ხშირად ძალიან მოკლე დროში მსმენელს საშუალება ჰქონდა ყველა საჭირბოროტო კითხვაზე სწრაფი და ამომწურავი პასუხი მიეღო. მსმენელები, რომლებმაც ეს-ეს იყო იერუსალიმის საზეიმო რელიგიურ ცერემონიალებში მიიღეს მონაწილეობა, აღტაცებულები იყვნენ და სვამდნენ მნიშვნელოვან კითხვებს, პასუხს ყურადღებით და მოწიწებით ისმენდნენ, ცდილობდნენ ყველაფერი დაემახსოვრათ, რათა სახლში რომ დაბრუნდებოდნენ ახლობლებისათვის გაეზიარებინათ სიბრძნე. ბევრი ექსპერტის აზრით, სწორედ რაბინებთან ურთიერთობამ გახადა ებრაელი ერი ასეთი ბრძენი.

იესო ყურადღებით ისმენდა რაბინის პასუხებს და მალე თავად დაიწყო კითხვებისა და პასუხების გაცემა. თორმეტი წლის იესო სწავლულების, ექიმებისა და უფროსი ხალხის გვერდით იყო ჩამომჯდარი, ისრაელის სხვა ბრძენ ხალხთან ერთად. მსმენელებმა სხვადასხვა საკითხების ანალიზი დაიწყო.

„ვინ არის მესიის მამა ანუ ვისი შვილია იგი?“ იკითხა იესომ.

„იგი დავითის შვილია“, უპასუხეს ბრძენებმა.

„შეიძლება რომ იგი უფლის შვილი იყოს?“ იკითხა ისევ იესომ.

„ჩვენ ყველანი უფლის შვილები ვართ, მათ შორის მეფე დავითიც. ასე რომ მესიის მამა, პირველ რიგში მეფე დავითია და შემდეგ უფალი“, იყო პასუხი.

„შეიძლება რომ მესია მარტო უფლის შვილი იყოს?“ ჩაეძია იესო.

„არა, არ შეიძლება. იგი აუცილებლად ადამიანური წარმოშობის უნდა იყოს.“

შემდეგ რაბინმა იესოს ჰკითხა:

„წიგნებს კითხულობ?“

იესომ აღნიშნა, რომ წიგნებს კითხულობს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება. იგი უკვე გაეცნო სჯულის კანონებს, ჩამოთვალა სხვა წიგნებიც, საიდუმლოებებზე, წინასწარმეტყველებებზე, სამყაროს შექმნაზე, ისტორიაზე, კოსმოგონიაზე.

ამის შემდეგ რაბინმა თქვა:

„მე ჯერთ არ მინახავს ამ ასაკის ბიჭი, რომელსაც ასეთი ცოდნა ექნებოდა, ნეტავ ვინ გამოვა ეს ბიჭი?“

როგორც ადრე ავღნიშნეთ იესოს ჰქონდა თვისება, რომ სწრაფად ეკითხა. მას ფოტოგრაფიული მხედველობა ჰქონდა. ე. ი. იგი სტროფების მიხედვით კი არ მიუყვებოდა ტექსტებს, არამედ გვერდების მიხედვით. იგი მთელ გვერდს ხედავდა, შემდეგ გადაფურცლავდა გვერდს, ტექსტს თვალს გადაავლებდა და კვლავ ფურცელს გადაფურცლავდა. ე. ი. იესოს წიგნის წასაკითხად იმდენი დრო სჭირდებოდა, რამდენ ხანშიც გადაფურცლავდა. ამიტომ იესოს შეეძლო დღეში რამდენიმე სქელტანიანი წიგნი წაეკითხა და ფოტოგრაფიული მეხსიერების გამო გონებაში შეენახა. ამავე დროს იესოს აბსოლუტური მეხსიერება ჰქონდა. მას ყველა წაკითხული წიგნი ზეპირად ახსოვდა. ამიტომ იყო, რომ 12 წლის ასაკში მას ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა, რაც მის ნაზარეთელ თანატოლელ მამრებთან გამორჩეულს და ამიტომ მტრულად განწყობილს ხდიდა. მხოლოდ იერუსალიმის ტაძარში იგრძნო იესომ, თავი როგორც თევზმა წყალში. სწორედ იერუსალიმის ტაძარში აქებდნენ მას და არ აგინებდნენ. იესო ბედნიერი იყო.

იესოს ტაძარში საუბარს ერთი ასტრონომი სწავლული ესწრებოდა, რომელმაც იესოს ჰკითხა:

„სად იწავლე ასტრონომია? როგორი სიღრმით იცი იგი?“

იესო გალაღდა და ჩამოთვალა ციური სხეულებისა და სფეროების რიცხვი, მათი განლაგება. ასევე თქვა მათი სამკუთხა, ოთხკუთხა და ექვსკუთხა ასპექტები, მათი პროგრესული და რეგრესული მოძრაობა, მათი ზომები და ახნა რამდენიმე პროგნოზი. ამას გარდა, იესომ რამდენიმე ბაბილონელი ქალდეველი სწავლულის სახელი ახსენა, ჩამოთვალა მათი შრომები და აბრაჰამის მეცადინეობა ციური სხეულების მოძრაობის შესახებ, ასევე თქვა ისეთი რამეები, რაც დამსწრე საზოგადოებამ არ იცოდა.

ყველა გაოცებული იყო ასტრონომიაში და ასტროლოგიაში, ასევე გეომეტრიაში იესოს მრავალმხრივი ცოდნით და აღნიშნეს, რომ ეს ბიჭი შესაძლოა დიდი ასტრონომი გამოვიდესო.

სემინარზე დამსწრე სწავლულებს შორის ერთი ფილოსოფოსიც იყო, რომელიც იესოს შეეკითხა:

„მითხარი ბიჭუნავ, რა იცი ფიზიკის და ბუნებრივი ფილოსოფიის შესახებ?“

იესო უკვე გრძნობდა, რომ იგი ყურადღების ცენტრში მოექცა და რაბინს შეხედა, თითქოს ნებართვას სთხოვსო ფილოსოფოსის კითხვაზე ვუპასუხო თუ არაო. რაბინმა გამამხნევებლად იესოს მხარზე ხელი გადახვია და ანიშნა, კითხვას უპასუხეო და იესომაც უპასუხა და აუხსნა დამსწრე საზოგადოებას თუ რა განსხვავება იყო ფიზიკასა და მეტაფიზიკას შორის, ასევე ახსნა ბუნებრივი და არაბუნებრივი ძალების სტრუქტურებზე და მათ შორის განსხვავებაზე. იესომ ასევე ილაპარაკა სხეულზე მოქმედი ძალების შესახებ, ქმედებისა და უკუქმედების შესახებ, აჩქარებაზე, ლევიტაციაზე და იუმორზე და მათ ეფექტურობაზე. იესომ დაწვრილებით ისაუბრა ადამიანის სხეულის შესახებ, მის ნაწილებზე, ძვლებზე, კონსტიტუციაზე, არტერიებზე და ნერვებზე. ილაპარაკა სხეულის სხვადასხვა კონდიციაზე, მის მართვაზე, სიცხეზე და, სიცივეზე, აეხსნა თოვლი და ყინული, ილაპარაკა ნესტისა და სიმშრალის წარმოშობის მიზეზებზე, სხვადასხვა ტენდენციებზე. იესომ საფუძვლიანად ისაუბრა ზომიერი და

იმ დროს დომინირებული ავადმყოფობის მკურნალობის შესახებ, მათ შორის კეთრზე და პროსტატის კიბოზე, სხეულის გაახალგაზრდავებაზე, სულის მუდმივობაზე, ახსნა თუ როგორ ხელმძღვანელობს სული სხეულს, რა არის სულის ამოცანა სხეულთან მიმართებაში. თუ როგორ ხდება სხეულის ამოძრავება, ლაპარაკი, სიცილი და ტირილი, გაბრაზება და ნეტარება, სექსი, შთამომავლობა, მშობიარობა, სამედიცინო და სულიერი მკურნალობა, საფუძვლიანად ისაუბრა სულისა და სხეულის ურთიერთკავშირის გაძლიერება-შესუსტების შესაძლებლობების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება იესომ ებრაული ხალხის ცხოვრების წესს დაუთმო, მის რელიგიურ დღესასწაულებს და ძალიან მოიწონა წინდაცვეთისა და კაცად ქცევის წესი, რომელიც მიცვას სახელწოდებით არის ცნობილი.

დრო სწრაფად გაფრინდა, შესაღამოვდა, დამსწრეები უკვე ერთმანეთს ვეღარ არჩევდნენ. მსახურებმა ჩირაღდნები მოიტანეს ეზოში, სადაც უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ისინი ყველანი იესოს გასაოცარ საუბარს უსმენდნენ და ბოლოს ყველა ფეხზე ადგა და იესოს თაყვანი სცა, ხოლო ფილოსოფოსმა კი დასძინა, რომ ამიერიდან იესოს მიმდევარი და მოწაფე გახდებოდა.

ამასობაში, იესოს მშობლები სხვა ნაზარეთელ მლოცველებთან ერთად უკან სახლში გაემგზავრნენ. თავდაპირველად ისინი არ დარდობდნენ გამქრალ იესოზე, ფიქრობდნენ იგი სადმე ქარავნის ბოლოში რომელიმე ნაზარეთელ მეზობელთან ან ნათესავთან იქნებაო. ასე ადრეც ბევრჯერ მომხდარა.

მაგრამ საღამოს პირველივე დღეს, როდესაც მოგზაურები ღამის გასათევად შეჩერდნენ აღმოჩნდა, რომ იესო მათ შორის არ იყო. მარიამი და იოსები ძალიან შეშფოთდნენ და მეორე დღეს დილით, უკან იერუსალიმში გაემართნენ. მათმა შვილებმა კი თანასოფლელებთან ერთად ნაზარეთისკენ გასწიეს.

მარიამი და იოსები სამი დღე-ღამის განმავლობაში ზარდაცემულები დაეძებდნენ შვილს, რომელიც თორმეტი წლის იყო. მათ იერუსალიმის ყოველი კუთხე-კუნჭული

მოიარეს, დაათვალიერეს ყველა ბაზარი, აბანო, სასტუმრო, ღარიბთა თავშესაფარი, საროსკიპოები, სავაჭრო რიგები, სახელოსნო უბნები, საავადმყოფოები, იყვნენ იუდეას სამეფო რეზიდენციაში და რომის საოკუპაციო ადმინისტრაციაში, კითხულობდნენ, ხომ არ გინახავთ ან გაგიგიათ ამა და ამ ბიჭის შესახებო. ესაუბრნენ სამი ქარავნის უფროსს, რომელიც იერუსალიმში ჩამოვიდა და დაათვალიერეს ორი ქარავანი, რომელიც იერუსალიმიდან წასვლას აპირებდა. ესაუბრნენ იერუსალიმის ოთხი სასაფლაოს მესაფლავეებს, ნახეს ქალაგარეთ მდებარე უსახლკარო გარდაცვლილთა ორმო, მაგრამ იესოს კვალს ვერ მიაგნეს. ორივე ცხარე ცრემლებით ტიროდნენ. იესოს საიდუმლოებით მოცული დაბადების და მისი უჩვეულო თვისებების გამო მშობლებს იგი როგორც გამორჩეულად უყვარდათ, ისე გამორჩეულად ტუქსავდნენ.

დედამ, მარიამმა ფაქტიურად სიცოცხლე შესწირა შვილს. იგი კინაღამ ქვებით ჩაქოლეს მისი საეჭვო დაბადების გამო. მამამ, იოსებმა იესოს გამო დიდი და სარისკო ტვირთი აიღო, ბევრ ცილისწამებას გაუძლო. ბავშვის გამო ემიგრაციაშიც კი იყო გადასახლებული და ბოლოს გაგრიებით სავსე ნაზარეთში დასახლდა.

ძებნის დროს მარიამს გული უკვე რამდენჯერმე შეუწუხდა, იოსებმაც თითქოს იმედი დაკარგა და უკვე ღვთის მოსალოდნელ რისხვაზე ფიქრობდა. უკვე მე-3 დღე მიიწურა, რაც მშივრები დაეხეტებოდნენ ქალაქში. მარიამი და იოსები იერუსალიმის ერთერთ სასადილოში პურს ჭამდნენ. უეცრად ჩაბნელებულ დარბაზში არქანგელოზი გაბრიელი გამოცხადდა, მან სკამები მიწი-მოწია, ცოლ-ქმარს წინაშე მაგიდაზე ჩამოჯდა და თქვა:

„ნუ გეშინია, იოსებ. შენც მარიამ წყნარად იყავი. უფალი არ დაგსჯით. უფლისა და თქვენი შვილი იესო მოინახება. ამჟამად იგი იერუსალიმის ამა და ამ ტაძარშია. იქ არის ცოდნის სასემინარო ეზო, სადაც სწავლულები იკრიბებიან და საუბრობენ. იესო ახლა მათთან საუბრობს. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი უფლის ტესტს აბ-

არებს. იგი უნდა შეეჩვიოს საჯარო ლაპარაკს, სანამ უფრო სერიოზულ საქმეს დაიწყებს. დაამთავრეთ სადილ-ვახშამი, წადით ნახეთ შვილი და გულთბილად მოექეცით. იგი უფლის ნებას ასრულებდა“.

გახარებული იოსები გულშეწუხებულ ცოლს მიუბრუნდა, წყალი აპკურა, მოასულიერა და ჩქარა გაბრიელის მიერ მითითებულ ტაძარში გაემართნენ. შესაძლებელია ცხოვრების ორომტრიალში ჩაფლულ ცოლ-ქმარს დაავიწყდათ, თუ როგორ საოცრად დაიბადა იესო, რა ხიფათებს გადაურჩა ეს ბიჭი და რომ იგი უდავოდ ღვთის დაცვაში იმყოფებოდა და მის ნებას ასრულებდა უეჭველად.

ტაძარში შესვლისთანავე იოსებმა საკურთხეველზე იქვე ნაყიდ ორ მტრედს თავი წააცალა და უფალს შესწირა, გვერდით საკმაო თანხაც დადო და ვიწრო გასასვლელით ცოდნის ეზოში გავიდა, სადაც იესო ჩირაღდნებით გაჩახჩახებულ წრეში დოქტორებს შორის საპატიო ადგილას იჯდა და კითხვა-პასუხებში იყო გართული.

ებრაული გაგებით 12 წლის ბიჭი ჩამოყალიბებული კაცია, მაგრამ მშობლებისათვის ბავშვი ყოველ ასაკში ბავშვია, როდესაც მიაგნეს დედა სიხარულით ატირდა და იესოს მოალერსება გადაწყვიტა და თქვა:

„ჩემო შვილო! სამი დღე-ღამე არ გვიძინია, გულგახეთქილები დაგეძებთ. მეც და მამაშენიც მშივრები ვართ, ვდარდობთ (ლუკა 2:48) ავად გავხდით, ახლა გავიხარეთ, რომ საღ-სალამათი გნახეთ, მეცადინეობაში და მეცნიერებაში ჩაფლული“.

მარიამი იესოს მიუახლოვდა, სახეზე ხელი გადაუსვა, მაგრამ იესო განზე გადგა, დედის ალერსი არ მიიღო, თან ამაყად განაცხადა:

„რატომ მოდიხარ ქალო ჩემთან? რატომ მეძებთ? განა არ იცოდით, რომ მე მამაჩემის სახლში მოვედი, სადაც ვმუშაობ და ვმეცადინეობ?“

თავდაპირველად მარიამმა და იოსებმა ვერ გაიგეს თუ ვის გულისხმობდა მათი ბავშვი „მამაჩემის სახლი“, მათ გაკ-

ვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს, მარიამმა ჩაილაპარაკა კიდევაც „ვაიმე ჩემო შვილო, ეს რას მოვესწარი“, იოსებმა მარიამის ჩალაპარაკება მოისმინა, შეწუხდა მამა-შვილურად დატუქსა იესო, ყური აუწია და უთხრა:

„შვილო, თუ „მამაშენის“ ანუ უფლის სახლში მოდიოდი გეთქვა ჩვენთვის და გულს აღარ დავიხეთქავდით“.

„რომ მეთქვა არ გამომიშვებდით, თქვენი ამბავი ხომ ვიცი. ამავე დროს, არასოდეს ამიწიო ყური, იცოდეთ, რომ მე თქვენ კი არა უფალს ვეკუთვნი, მისი შვილი ვარ და მხოლოდ მას, ჩემს დიად მამას ვემორჩილები“ (ლუკა 2:50) ღირსეულად გააცხადა იესომ.

სწავლულებმა ეს საუბარი რომ მოისმინეს ძალიან გაოცდნენ და მარიამს ჰკითხეს:

„ეს შენი შვილია?“

„დიახ, ჩემი შვილია“, მიუგო მარიამმა და იესოს ლოყაზე ხელი მოუთათუნა, ბავშვი ამჯერად გვერდზე არ გადგა.

„ო, რა ბედნიერია თქვენი ოჯახი, რომ ასეთი შესანიშნავი შვილი გყავთ. ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდაა“, თქვეს ერთხმად სწავლულებმა.

„ნება მიბოძეთ ხელი ჩამოგართვათ და მთელი ებრაელი ერის სახელით უღრმესი მადლობა მოგახსენოთ ასეთი ბრწყინვალე ადამიანის აღზრდისათვის“, თქვა იმ ტაძრის მთავარმა მღვდელმა, იოსებმს ხელი მაგრად ჩამოართვა და მოწიწებით მხარზე ეამბორა.

„ახლა როგორი გეგმები გაქვთ?“ იკითხა ფილოსოფოსმა. ჩემი სკოლის პარმაღი ყოველთვის ღია არის თქვენი ბიჭისთვის“, დაამატა მერე.

„არა, მადლობთ. ჩვენ სხვა გეგმები გვაქვს, ახლა ნაზარეთში წავალთ და იერუსალიმში მიღებულ შთაბეჭდილებებს ნათესავებს და მეგობრებს გავუზიარებთ“, თქვა იოსებმა.

ამის შემდეგ მარიამი, იოსები და იესო ნაზარეთის გზას დაადგნენ. იესო ფეხით მიდიოდა, მარიამი და იოსები ჯორებზე ისხდნენ. ნაკლებს ლაპარაკობდნენ, თითქოს მათ შორის რაღაც ჩრდილმა გაიარა.

როდესაც პატარა ქარავანი ღამის გასათევად ჩერდებოდა იესოს მშობლებთან ერთად არ ეძინა. იგი სადმე მოშორებით კლდის შვერილის ქვეშ მოიკალათებდა და გამოიძინებდა, უფრო სწორედ ღამეს თეთრად ათევდა. იესო ღრმა ფიქრებში იყო წასული. მან მშობლების მიერ შემოთავაზებულ საჭმელზეც უარი განაცხადა, ნაზარეთამდე იესოს ლუკმა არ გადასვლია ყელში.

ერთ ღამეს, როდესაც კლდის შვერილზე იდგა და სამხრეთის ზეცას აჰყურებდა სატანა გამოეცხადა. ეს შეხვედრა ნაკლებად არის ცნობილი მკვლევარებისათვის, რადგან მას მოწმე არ ჰყავდა.

„რატომ უთხარი მშობლებს ასეთი რა? რა უნდა ეფიქრათ შენს ასეთ განცხადებაზე? ჩაგთვლიდნენ შენ ნორმალურად? როდესაც შენს მშობლებს უთხარი მე მხოლოდ ღმერთს ვემორჩილები, რადგან ღმერთის შვილი ვარო?“ იკითხა სატანამ.

„ახლა გიპასუხებ და მრავალი წლის მერეც გიპასუხებ, რომ მე მართლა ვიყავი. საერთოდ ყველა ბავშვს არ უნდა აუწიო ყური. ბავშვიც არის და ბავშვიც. მე ტოლი-ტოლზე ლაპარაკი მქონდა ტაძრის განათლებულ პირებთან, რომელთა შორის სედუსელები, ფარისევლები და ორი ესენსის სექტის წევრებიც ერია. როდესაც იოსებმა, რომელსაც აი აგერ კოცონთან მშვიდათ სძინავს, ყური ამიწია ამით მან ჩემს მიერ საზოგადოებაში შექმნილი რეპუტაცია შელახა. ეს რეპუტაცია მხოლოდ მე შევქმენი. იმ დროის განმავლობაში სანამ მათთან ვსაუბრობდი, მე უკვე ვუნდერკიდად მთვლიდნენ აზროვნებით. ჩემს ფანტაზიის გაქანებას საზღვარი არ ჰქონდა. ერთ მომენტში ვთქვი, რომ „უფლის შვილი“ ვარ-მეთქი. უკვე იმ აზრზე იყვნენ, რომ ჩემთვის დაეჯერათ. ფიქრობდნენ ეს ბიჭი „მესიის კანდიდატი“ ხომ არ არისო. ერთმა ფარისეველმა იერუსალიმის სოლომონის ტაძარში საცხოვრებლად და სამეცადინოდ მიმიწვია, როგორც ობოლი და „უფლის შვილი“. ეს ამბავი თითქმის ჩემი ოცნების ასრულებას უდრიდა. ნაზარეთში ლოთი მამისა და

დებოშიორი და-ძმების ყურებას, რა თქმა უნდა, იერუსალიმის ტაძარში ცხოვრება მერჩივნა. მაგრამ ჩემი მშობლები უდროო დროს გამოჩნდნენ. დამტუქსეს, ყური ამიწიეს, ჩემი ღირსება და თავისუფლება შელახეს. მე უკვე აღარ შემეძლო მეთქვა, რომ უფლის შვილი ვარ-მეთქი, რადგან ნამდვილი მშობლები თავს დამადგნენ და როგორც ხედავ სახლში წამათრიეს. იერუსალიმის ცოდნის ტაძარი ჩემთვის სამუდამოდ დაიხურა, რადგან სტატუსი რომლისგანაც ვისწრაფოდი სიზმარივით გაქრა. ამიტომ ჩემს მშობლებს პატივს არ ვცემ, მათ პერსპექტივა მომისპეს“, მგზნებარედ განმარტა იესომ.

„ყველაფერი შეგიძლია შეცვალო ამ ქვეყანაზე, სამშობლო, მფარველი ანგელოზი, მრწამსი, ბატონი, მაგრამ მშობელს ვერ შეცვლი, მას ურყევი სტატუსი აქვს“, განმარტა სატანამ.

„შევცვლი! მე მხოლოდ ჩვენი დიდი ღმერთის იეჰოვა საბათაის შვილი და მისი მიმდევარი ვარ, მე ვიქნები მისი გეგმების შემსრულებელი“, ხაზი გაუსვა იესომ.

„კარგი ახსნაა, ნამდვილად ზეციური საქციელია შენის მხრიდან. მსხვერპლის გარეშე წარმატებას ვერ მოიპოვებ. თუ თავი არ გასწირე, რაღაც განსაკუთრებული ზეადამიანური შენთან არ მოვა. შენ უკვე აირჩიე ეკალ-ბარდებით დაფარული გზა. შენს განწირულ სულისკვეთებას განსაკუთრებული შედეგები მოჰყვება. ამიტომ გთავაზობ: მე უფლის წინააღმდეგ აჯანყება ჯერთ არ დამიწყია, ალბათ არც დავიწყებ. ჯერ-ჯერობით მისი მარჯვენა ხელი ვარ და ყველაზე დელიკატურ დავალებებს ვასრულებ. ჩემი შენთან შეხვედრაც მისი დავალებაა. გთავაზობ ჩემს მხარეზე გადმოსვლას. მე, როგორც დედამიწის გუბერნატორს დიდი შესაძლებლობები მაქვს. ამ სამეფოს შენ ჩაგაბარებ მომავალში და ვერავინ ვერ გაბედავს შენს წინააღმდეგ მოქმედების დაწყებას. შენ აბსოლუტური თავისუფლება გექნება, ოღონდ ჩემი უზენაესობა აღიარე“, თქვა სატანამ.

„არა, განვედ ჩემგან, სატანა, შენ თუმცა ყოყმანობ, მაგრამ

მაინც დაიწყებ აჯანყებას უფლის წინააღმდეგ, მე კი უფლის შვილი ვარ და მისი მარჯვენა ხელი გავხდები“, თქვა იესომ.

„ნება შენია“, შენიშნა სატანამ და იერუსალიმისაკენ მიმავალ გზას გაუყვა.

იესო აღმოსავლეთის ქვეყნებში

ნაზარეთში იესო კვლავ მშობლების მორჩილი შვილი გახდა. იგი და-ძმებთანაც კარგ ურთიერთობაში იყო, მაგრამ ის რაც იერუსალიმის ტაძარში მოხდა მშობლებსაც და იესოსაც კარგად ახსოვდათ.

იესო იზრდებოდა, სიბრძნეს იძენდა, დარჩენილი იყო 18 წელი, სანამ მდინარე იორდანეს ტალღებში იესოს ბიძაშვილი იოანე ნათლისმცემელი იესოს მონათლავს და მის დიდ მისიას იწინასწარმეტყველებს, ხოლო უფალი კი იტყვის:

„ეს ჩემი საყვარელი შვილია, რომელითაც მე ძალიან კმაყოფილი ვარ“. მალე წმინდა სულიც გამოჩნდება, რომელსაც მტრედის ფორმა ექნება.

ეს 18 წელი იყო იესოს საბოლოო ფორმირების წლები, რომლებმაც აბსოლუტურად შეცვალეს კაცობრიობის ისტორია.

მაგრამ მარტო ნაზარეთში გაატარა იესომ ეს 18 წელი?

როდესაც იესოს ბიძაშვილმა და მეკვლემ იოანე ნათლისმცემელმა იესო მონათლა იგი უკვე იყო ბრილიანტურად განათლებული, მრავალმხრივი ტალანტით შემკული, ცხოვრებაში დაბრძენებული ნახევრად ღმერთი და ნახევრად ადამიანი. ამ დროს იესო უკვე ფლობდა ორატორულ ხელოვნებას, ახლო და შორ მანძილზე პიროვნების დაჰიპნოზება-მონუსხვის უნარს, ჰქონდა უდიდესი ლევიტაციის უნარი, აზრების შორ მანძილზე გადაცემის ნიჭი, რენტგენის სხივების პოტენციის მქონე გამჭოლი მხედველობა. იესო იყო შესანიშნავი ექიმი, ქირურგი, ექიმბაში, ვეტერინარი, ჰქონდა ფოტოგრაფიული მხედველობა და აბსოლუტური მეხსიერება, ფლობდა მრავალ ენას, მათ შორის კოფტურს, ბერძნულს, ლათინურს, არამეულს, ებრაულს, ქალდეურს. ყველგან სადაც კი იესო გამოჩნდებოდა მას ქალების უდიდესი ჯგუფი დასდევდა, რადგან იგი როგორც ებრაელი ხალხის მესია, სექსუალური გიგანტიც იყო.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა იესო ასეთ სრულყოფილ განათლებას ნაზარეთში ვერ მიიღებდა. ცხადია, რომ მისი

უნარი ყოფილიყო დურგალი, მექოთნე ან მეთევზე შეიძლებოდა ნაზარეთში მომხდარიყო. მაგრამ დანარჩენ ცოდნა-უნარს იესო ნაზარეთში ვერ მიიღებდა.

არსებობს ძალიან ბევრი ფაქტი, რომ 12-13 წლის იესო, მას შემდეგ, რაც მიცვას დღესასწაულის შემდეგ კაცობის ტიტული მიენიჭა და ბავშვობის პერიოდი დაასრულა, მშობლებისა და ნათესავების თანხმობის გარეშე ნებაყოფლობით შეუერთდა იერუსალიმში დაბანაკებული ვაჭრების ქარავანს. შეიძლება იგი მოიტაცეს. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ იესოს ვერ მოიტაცებდნენ, რადგან იესოს თავის დაცვა კარგად შეეძლო და არც ძალიან მშიშარა იყო. იგი შეუერთდა აღმოსავლეთში მიმავალ ქარავანს და უცხო ქვეყნებისაკენ, კერძოდ, ჩინეთისაგან გაემართა.

ჩინეთის დიდი აბრეშუმის გზა იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე პოპულარული და გამძლე გზა. იგი დაარსდა ძველი წელთაღრიცხვის 139 წელს და არსებობდა შემდგომი 1700 წელიწადს. ეს იყო დედამიწის ერთ-ერთი მთავარი ძარღვი. მიჩნეული იყო, რომ ვინც ამ გზას არ გაივლიდა, უმაღლეს ჭეშმარიტებას ვერ შეიცნობდა. ყველა ის პიროვნება, ვინც ამ გზაზე მიდი-მოდიოდა გამოჩენილი პიროვნება გახდა. ისინი დიდ საქმეს აკეთებდნენ. ადამიანებს და კულტურებს აახლოვებდნენ. ჩინეთის აბრეშუმის გზამ ერთმანეთს დაუკავშირა ორი უზარმაზარი ცივილიზაციები: რომის იმპერიის ცივილიზაცია და ჩინურ-ინდური ცივილიზაცია.

სწორედ ამ გზით წავიდა პატარა ბიჭი აღმოსავლეთში. მან მიატოვა ყველაფერი: ოჯახური სიმყუდროვე, სითბო, ტოლ-ამხანაგები, სამშობლო და წავიდა უცნობ და საშიშ გარემოში, ცოდნისა და ჭეშმარიტების შესაცნობად, ახალი სიმაღლეების ასაღებად, რათა უკან დაბრუნებულს უფლის დავალება შეესრულებინა და სამშობლოსა და კაცობრიობისათვის სარგებელი მოეტანა.

იესო ემორჩილებოდა უფლის ბრძენებს. თავდაპირველად ამას იგი ინსტინქტურად, შემდეგ კი სრულიად შეგ-

ნებულად აკეთებდა. იგი უკვე გრძნობდა, რომ სულ ცოტა 50 პროცენტი უფლის ძე იყო და 50 პროცენტი მოკვდავი დედის შვილი. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდება იესო, რომ მისი დედა უფლის ქალიშვილი იყო და იგი შესაძლებელია 100 პროცენტიანი ღმერთის შვილი ანუ ღმერთი იყო.

იმჟამად კი, მოგზაურობის დასაწყისში იესოს ადამიანური ცხოვრების ყველა ნიშანი ჰქონდა. კერძოდ, შეეძლო სიცოცხლის მინიჭება და წართმევა, სადილის მიღება და მეორადი პროდუქტებისაგან განთავისუფლება, შეეძლო მთელი წელი არ ებანავა და სუფთა დარჩენილიყო, რადგან სუფთა ის კი არ არის, ვინც ყოველდღე ბანაობს, არამედ ის ვინც უფლის წინაშე სისუფთავეს ინარჩუნებს. მან უკვე აღიარა გზა, რათა შეეგნო მტკივნეული ჭეშმარიტება, გაერკვია თუ რას ნიშნავდა იყო ერთადერთი და ღირსეული შვილი. ეს იყო 17-18 წლისანი შეუწყვეტელი მოგზაურობა ერთი ადგილიდან მეორეში. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მოგზაურობების დროს იესომ დაოჯახება ვერ მოახერხა. ეს მოხდა გვიან, როდესაც სამშობლოში დაბრუნდა და ოქროსფერითმიანი მარიამი გაიცნო, რომელიც შემდეგ მარიამ მაგდალინელის სახელით არის ცნობილი.

არის მრავალი ვერსია იესოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დიდ ბრიტანეთში, სკანდინავიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, კავკასიაში, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავია იესოს ახლო და შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობა.

მრავალი დოკუმენტი და ტრადიციული ლეგენდა არსებობს თუ როგორ მიმდინარეობდა იესოს მოგზაურობა აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში. დედამიწის ამ რაიონში იესო ცნობილი გახდა ისსას სახელწოდებით. ლეგენდებისა და მითების მიღმა ხშირად დაფარული ჭეშმარიტება იმალება ჩვენი უფლებაა დავიჯერებთ მათ თუ არა. ამავე დროს მოგვიანებით იესოს მიმდევრები ძერწავდნენ იესოს მიმზიდველ სახეს, ჰქმნიდნენ მათთვის მისაღებ ბიოგრაფიას და მას მხოლოდ უფალთან აკავშირებდნენ. ეს რა თქმა

უნდა, სწორი იყო, მაგრამ ხშირად ისინი იესოს დედამიწის კავშირებს წყვეტდნენ. იესოს მიმდევრები მალავდნენ და ძალიან ხშირად სპობდნენ მათთვის მიუღებელ დოკუმენტებს, ან თვალებს ხუჭავდნენ მათზე.

ერთ-ერთი ძლიერი დოკუმენტი, რომელიც იესოს მიმდევრების „გრძელ ხელს“ გადაურჩა არის ბუდისტური ხასიათის ხელნაწერი „წმინდა ისსაც ცხოვრება“, რომელიც 2000 წლის წინათ არის შექმნილი და მხოლოდ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში იქნა ნახული.

1894 წელს მდიდარმა ებრაელმა ჟურნალისტმა ნიკოლაე ნოტოვიჩმა, რომელიც რუსეთის იმპერიის კარზე დიპლომატად მუშაობდა, გამოსცა წიგნი „წმინდა ისსას ცხოვრება“, რომელიც მან ნახა ტიბეტსა და ინდოეთს შორის მდებარე დასახლება ლუჩის მახლობლად მდებარე ლამაის მონასტერში. საბედნიეროდ ეს მონასტერი დღესაც არსებობს და ხელნაწერი დაცულია.

ხელნაწერში აღწერილია თუ როგორ იმოგზაურა წმინდა ისსამ ბაქტრიაში, არიელთა მიწაზე, პენჯაბში, კაპალავასთუში, ლჰასაში და სხვა ადგილებში. წმინდა ისსა სწორედ ის შემთხვევა იყო, რომელზეც ოსკარ უაილდი იტყოდა: „ყველა წმინდანს აქვს წარსული, და ყველა ცოდვილს კი მომავალი“.

ცხადია, რომ როგორც წმინდანს, იესოს წარსული აქვს და იგი წმინდა ისსასთან მიდის, ეჭვსგარეშეა, რომ ისსა და იესო ერთი და იგივე პიროვნებაა.

არის სერიოზული ვარაუდები, რომ იესომ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ინდოეთში ჩააღწია და ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა ინდოეთის უძველესი და ძირითადი მოსახლეობის არიელების ენას, რომელიც სანკრისტის სახელწოდებით არის ცნობილი. იგი გაეცნო არიელების წმინდა წიგნს „ვედებს“ და ეზიარა არიელების ენციკლოპედიურ ცოდნას, სწორედ „ვედების“ წიგნიდან აიღო იესომ ის დიდი სიბრძნე, რომელიც ასე დიდებულად გამოჩნდა მის ბრძნულ სიტყვა-პასუხებში, როდესაც უკვე უკან, სამშობლოში დაბრუნებული საუბრობდა რომის ადმინისტრაციასთან და ებრაულ სამღვდელოებასთან.

ინდოეთში ცხოვრების დროს იესომ დიდი ინტერესი გამოიჩინა აქ არსებული ცხოვრების კასტური სისტემისადმი, რომელიც დღესაც არსებობს ინდოეთში და იესოს დროს უკვე ფრიად დახვეწილი იყო.

ინდოეთის უმაღლესი კასტა იყო ბრაჰმანები, რომლებიც თეთრი ფერის კანით გამოირჩეოდნენ. ისინი იყვნენ სულიერი ლიდერები, ფილოსოფოსები, ვარსკვლავთმრიცხველები, კოსმოლოგები, მასწავლებლები, რელიგიური ლიდერები.

შემდეგი კასტა იყო ქშარტიები. ესენი იყვნენ მებრძოლები, მთავარსარდლები, რაჯები, პოლიტიკოსები, ადვოკატები, სპეციალური დანიშნულების პოლიციელები.

მათ მიყვებოდა ვიშნუს მრავალრიცხოვაბნი კასტა, რომლებიც უმეტესწილად ქალაქის მაცხოვრებლები იყვნენ. მათ შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ყველა სახის ხელოსნები, ოქრომჭედლები, მესაათეები, მხატვრები, მსახიობები და მოქანდაკეები, ვაჭრები, მევახშეები და ფერმერები.

საბოლოო კასტა იყო შუდრა. ესენი იყვნენ გლეხები, კურტნის მუშები, რომლებიც ლუკმა-პურს მძიმე შრომით შოულობდნენ.

როდესაც ჩვენმა ზეციურმა მამამ ადამი და ევა ედემის ბაღიდან განდევნა, მათ მიენიჭათ შუდრას პოზიცია, რაც მძიმე შრომით ლუკმა-პურის მოპოვებას გულისხმობდა. გაუქმდა მათი უკვდავების სტატუსიც.

იესო თუმცა შავტუხა იყო, იერითა და განათლებით ბრაჰმანთა კასტას მიეკუთვნებოდა. მისი მსოფლმხედველობა კი მეტწილად შუდრას კასტისთვის იყო მისაღები. დანარჩენი კასტები, თუმცა მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ იესოს ხელი არ მიუწვდებოდა.

ჩვენ მხოლოდ შეგახსენებთ, რომ როდესაც არიელები მოვიდნენ ინდოეთში, მათ შექმნეს პირველი სამი კასტა: ბრაჰმანები, ქშარტიები და ვიშნუ. ისინი ორჯერ და მეტჯერ იბადებოდნენ და ამიტომ მათ ფაქტიურად „უკვდავის“ პოზიცია ჰქონდათ და მათზე ვრცელდებოდა ე. წ. „გარდახორციელების“ წესი მეოთხე კასტა, „შუდრა“ მსახურებას

ნიშნავდა. ისინი არიელები არ იყვნენ და მუქი ფერი კანი ჰქონდათ. მათზე „მეორედ დაბადებისა“ და „გარდახორციელების“ წესი არ ვრცელდებოდა. შუდრა „მოკვდავი“ იყო.

იესო ამ დროს გამოცდილი მქადაგებელი იყო, მაგრამ ბრაჰმანებთან, ქშატრიებთან და ვიშნუსთან ახლოს ვერ მიდიოდა. მისი აუდიტორია შუდრა იყო. მსოფლმხედველობა, რომელიც იესომ შეიმუშავა. უმაღლეს სამ კასტაზე არ მუშაობდა. მოვლენებს რომ წინ გავუსწროთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არც დღეს მუშაობს. იგი მუშაობს მხოლოდ გლეხებისა და გლახაკების კასტაში და ასეა მთელს მსოფლიოში. ამის მიზეზი იყო იესოს ქადაგებების მთავარი თეზისი:

„შემოქმედი არ ანაწილებს თავის ძალაუფლებას სხვადასხვა კასტებზე, მისი ძალაუფლება ყველაზე ვრცელდება“.

ეს აზრი შუდრას, გლეხებსა და ღატაკებს მოსწონდათ, ხოლო ვიშნუ-ფერმერებს და ვაჭრებს, რომლებიც აკონტროლებდნენ შუდრას არ მოსწონდათ. მათ არ უნდოდათ რომ ისინი შუდრასთან თანაბარ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. ხოლო ბრაჰმანები და ქშატრიები კი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ. ისინი დაბალ კასტებთან ვერაფერს გაყოფდნენ, ვერც ბედსა და ვერც ღმერთს. ინდოეთი ხომ მრავალი ღმერთის სამშობლო იყო.

ინდოეთში იყო კიდევ ერთი კასტა, რიგით მეხუთე, რომელსაც „მიუკარებელთა“ კასტა ეწოდებოდა. ეს ისეთი კასტაა, რომელთანაც ნებისმერ სხვა კასტას, მათ შორის შუდრას, ხელის ჩამორთმევა კი არა, რომც მარტო დაენახათ, მაშინვე „განმწმენდი“ საშუალებები უნდა მიეღოთ ან ჩაეტარებინათ. მათში იგულისხმებოდა რაც საგულდაგულოდ ბანაობა, ოყნა და 24 საათიანი მარხვა, განცალკევებულ ადგილას.

იესო მიუკარებლებს არ შეხვდა. მათთან რომ მისულიყო თავის სოციალურ ბაზას შუდრებს დაჰკარგავდა. ხოლო მარტო „მიუკარებლებით“ რომ შემოზღუდულიყო მისი ქადაგებები გინდ ყოფილიყო და გინდ არა. ასე, რომ იესოს მთავარმა თეზისმა, რომელიც ზემოთ ავღნიშნეთ ბზარი განიცადა, მართალია იესო ინდოეთში აპირებდა ქადაგებებ-

ის განხორციელებას, მაგრამ ინდოეთი მაინც რეპეტიცია იყო. იგი ემზადებოდა უფლის რჩეულ ხალხში, ებრაელებში მუშაობას და ამ გზაზე ინდოეთში დიდი პრაქტიკა გაიარა.

იესო ფიქრობდა, რომ მსოფლიო იყოფოდა ორ დიდ კასტად, ერთი იყო ებრაელთა კასტა, ხოლო მეორე იყო ჯენთაიელები, ანუ ჯენთრი, იგივე „გოიმების“ ანუ არაებრაელების კასტა.

იესო იხრებოდა იმ აზრისაკენ, რომ ებრაელები როგორც ღვთის რჩეული ერი უმაღლესი კასტაა. თავად იესო ებრაელების კასტის წარმომადგენელია, ხოლო მეორე კასტა „გოიმები“ კი თავდაპირველად იესოს ინტერესს არ იწვევდა. იგი ემზადებოდა, რათა ებრაელთა კასტის „მესია“ ანუ მხსნელი გამხდარიყო და გადაერჩინა ისინი გოიმებისაგან.

მაშასადამე მსოფლიო დაყოფილი იყო ორ დიდ კასტად ებრაელებად და „გოიმებად“. ინდოელები თავიანთ ყველა კასტასთან ერთად „გოიმების“ კასტაში შედიოდა.

ამავე დროს იესო გაერთიანებული მსოფლიოს ერთიანი გაგების ძიებაში იყო, რაც ყველაზე უკეთესად გამოხატული იყო მცნებაში:

„შემოქმედი თანაბრად ანაწილებს და სიყვარულს უზიარებს დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ერს“. მათ შორის ინდურ კასტებს, „მიუკარებლების“ ჩათვლით, მაგრამ ასევე დედამიწა იყოფა ღვთის რჩეულ ხალხად ებრაელებად და არაებრაელებად ანუ „გოიმებად“. „გოიმები“ ღვთის არარჩეული ხალხები იყვნენ, მათში რა თქმა უნდა, ინდოეთის ყველა კასტა შედიოდა.

ეს აზრები იესომ ინდოეთში მცხოვრებ რამდენიმე ებრაელ ვაჭარს გაუზიარა, რომლებიც პერიოდულად იესოს ეხმარებოდნენ მატერიალური სახსრებით. ვაჭრებს იესოს განცხადებები ებრაელი ხალხის უმაღლესობის შესახებ ძალიან მოეწონათ და იესოს სთხოვეს უფრო მეტად დაეხვეწა ეს მსოფლმხედველობა.

ინდოეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს ებრაელი ვაჭრები იესოს ძირითადი დასაყრდენი იყო. ქადაგებების

დროს ზოგჯერ იგი მცირე სავაჭრო ოპერაციებსაც აკეთებდა. ამ დროს იესო უფრო მეტს გასცემდა, ვიდრე იღებდა. ზოგჯერ სავაჭრო ხარჯები მოგებას აჭარბებდა, სამაგიეროდ, იესო პოპულარულ მქადაგებლად იქცა. იგი სულ უფრო და უფრო იჭრებოდა ვიშნურ ქალაქურ მოსახლეობაში. იესომ ებრაელ ვაჭრებთან და სწავლულებთან ერთად ენერგიულად დაიწყო ებრაელთა ღმერთის იეჰოვა-ტეტრაგრამატონის ქება-დიდება, როგორც ერთადერთი და უკონკურენტო ღმერთისა, რომ იგი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ინდუსი ღვთაებები ბუდა, ვიშნუ, რამა და მრავალი სხვა.

იესოს ეს აზრები და მრავალი სხვა ცნობილი გახდა ინდოეთის უმაღლესი კასტური ელიტისათვის და მათ გადაწყვიტეს მისი თავიდან მოცილება. იესო მათთვის ვერაგი მქადაგებელი შეიქმნა, რომელმაც ისარგებლა რა ინდური სტუმართმოყვარეობით, შეიძინა ინდური ცოდნა და სიბრძნე, გახდა ცნობილი მჭევრმეტყველი და ამბების მთხრობელი, მერე კი ამ ცოდნის ინდური ელიტის წინააღმდეგ დაიწყო გამოყენება.

იესომ მკვლელობის გეგმა ერთ-ერთი მაღალი გილდიის ებრაელი ვაჭრისათვის გახდა ცნობილი. მან დროულად გააფრთხილა ახალგაზრდა და ფიცხელი, მაგრამ ძალიან სწრაფად მზარდი მქადაგებელნი იესო და მან შესძლო ხიფათისათვის თავის არიდება. იესო ტიბეტის ლეგენდარულ მთიანეთში გაემართა. იესოს ტიბეტში ყოფნის საკითხი ბურუსით არის მოცული, თუმცა ზოგიერთი ამბები ცნობილი ხდება.

იყო ერთი განთქმული რუსი დიპლომატი, მხატვარი და მეცნიერი. მას რერიხი ერქვა. იგი დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში, ტიბეტში და მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ნათელს ჰფენს იესოს ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ნოტოვიჩი და რერიხი ის ხალხი გახდა, რომლებსაც იესოს ბიოგრაფია შეავსეს, რაც მილიონობით ადამიანისთვის უცნობი იყო. აღმოსავლეთის ქვეყნებში იესო სიბრძნის

დიდი ოსტატი და იოგა გახდა. იესომ შესანიშნავად შეისწავლა გარდაცვლილი ადამიანების ფეხზე დაყენება და სიარული, ლაპარაკიც კი. ეს დიდი მიღწევა იყო. იესომ შესძლო უიმედოდ დაავადებული ადამიანების განკურნება, მათ შორის, კეთრის, სიფილისის, კიბოსა და სოკოვანი დაავადებებისაგან. იესოს შეეძლო ხელის ერთი მოსმით პროსტატიტისა და იმპოტენციის მკურნალობა, სექსენერგოს აღდგენა და გაძლიერება, რაც დიდად ფასობდა ყველა კასტის მოსახლეობაში. იესო ასევე დიდი ხელოვნებით ახერხებდა სხეულიდან მავნე სულების განდევნას და მათი ხალხისაგან იზოლირებას. ამ საქმეში იესო მეტად დიდი სპეციალისტი გახდა. იესომ დიდ წარმატებებს მიაღწია ილუზიურ ხელოვნებაში, ე. წ. ფიკუზებში, ჰიპნოზში, სიზმრად ნახული მოვლენების სწორედ ინტერპრეტაციაში, მასიური ჰიპნოზის ხელოვნებაში. მაგრამ განსაკუთრებულ დიდებას იესომ ლევიტაციაში, ანუ დედამიწის მიზიდულობის დაძლევის ოსტატობაში მიაღწია. იესოს დედამიწიდან ამაღლების ოსტატობა ფანტასტიკური იყო. იგი ადიოდა 200 ფუტის სიმაღლეზე, რაც დღემდე განუმეორებელი შედეგია. შეუპოვარი ვარჯიშისა და მედიტაციის შედეგად იესომ შესძლო ელექტრონული განმუხტვა. შემდეგ მან ეს შედეგი 100 ვოლტამდე აიყვანა, რის გამოც მას შეეძლო მოწინააღმდგესთვის ძლიერი ელექტროშოკი მიეყენებინა, დაახლოებით ისეთი, როგორც თევზი სკატი და გობის უდაბნოს გიგანტური ჭია ოლხოი-ხორხოი ახორციელებენ.

მკითხველმა შესაძლოა გაიხსენოს მე-20 საუკუნის დასაწყისის ისტორიები კანადიდან, როდესაც ერთ კანადელ ქალს შეეძლო ჩვეულებრივი ნათურა ხელში დაეჭირა და გაენათებინა. იესოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს ნათურა არ იყო, მაგრამ იყო ლუმინისცირებული ნივთიერები, რომელიც ეგვიპტელი ქურუმების განკარგულებაში იყო. იესოს შეეძლო ამ ნივთიერებით სხეული დაეზილა შემდეგ კი სრული განათებით და ზეცაში აჭრილიყო. ეს მნახველზე დიდ გავლენას ახდენდა, განსაკუთრებით ღამით, როდე-

საც იესო ზეცაში გასხივოსნებული აიჭრებოდა ხოლმე. ამის მნახველი ჩვეულებრივი ადამიანი მაშინვე მორწმუნე ხდებოდა. რელიგია ხომ სასწაულებზეა დაფუძნებული. თუ არ მოხდა სასწაული რელიგია ჭკვიანურ ლაპარაკად დარჩება და ადამიანს რადიკალური ქმედებებისაკენ ვერ უბიძგებს.

აბა გავიხსენოთ რა მდგომარეობაში ჩავარდა პავლე, როდესაც დამასკოს მზეზე მიმავალს განათებული იესო გამოეცხადა. პავლემ მძიმე სულიერი და ფიზიკური ტრავმა მიიღო. იგი სამი დღის განმავლობაში თვალს ვერ ახელდა, რადგან გაკაშკაშებული იესოს დანახვის შემდეგ დაბრმავდა.

ეჭვი არ არის, რომ იესოს სავლე, როგორც მას ეძახდნენ, სანამ ქრისტიანების მხარეს გადმოვიდოდა, როგორც პიროვნება ძალიან მოსწონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლი ყველაზე ძლიერი პიროვნება იყო. მან წმინდა სტეფანეს ჩაქოლვაშიც კი მიიღო მონაწილეობა. იესომ გადაწყვიტა სავლეს გადმობირება და მტრის მოკეთედ ქცევა. იესო დამასკოს გზაზე ჩაუსაფრდა სავლეს, რომელიც ქრისტიანობის გასანადგურებლად მიდიოდა, იგი ფიზიკურად ძლიერი, უშიშარი და ამავე დროს რომის მოქალაქე იყო, რაც იმ დროს დღევანდელ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობას უდრიდა.

ახლოს მოახლოებულ სავლეს, შემდეგში კი პავლეს იესომ წარმტაცი სანახაობა უჩვენა. გაკაშკაშებულ და გასხივოსნებულ ზეცაში ამაღლდა, დაახლოებით 60-70 ფუტზე და პავლეს ჩამოსძახა:

„სავლე, სავლე რატომ მდევნი?“

„ვინ ხარ უფალო?“ ჰკითხა სავლემ.

„მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი, უპასუხა იესომ (საქმეები 9:4,5).

პავლემ დიდი შოკი მიიღო და ამის შემდეგ მგზნებარე ქრისტიანად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული რელიგია პავლემ გადაარჩინა, შექმნა და ჩამოაყალიბა.

იესოს უკვე ინდოეთში და ტიბეტში ყოფნის დროს დიდი მიღწევები ჰქონდა, სხეულის მოქმედების, მისი ენერგეტი-

კული ჩართვის და გამორთვის საქმეში. იესოს ხელის უბრალო შეხებით შეეძლო ადამიანის დადამბლება, გაშეშება, გულის მოქმედების შეჩერება ან ამოქმედება, წნევის აწევა ან დაწევა და ა. შ. და ა. შ.

მონღოლეთის უდაბნო გობში ცხოვრობს ძალიან ძნელად სანახავი ლეგენდარული, მსოფლიოში ყველაზე დიდი სამი ფუტის სიგრძის ჭია, რომელსაც სამი-ხუთი ფუტის მანძილიდან უძლიერესი ელექტრომუხტის გაგზავნა შეუძლია. მისი მუხტი აქლემს კლავს და ეს ჭია, რომელსაც ოლჰოი-ჰორჰოი ეწოდება ქარავნების რისხვაა. იესომ მონღოლეთში მოგზაურობის დროს გაარკვია და შეისწავლა ილჰოი-ჰორჰოის ფიზიკური შესაძლებლობები, დააგემოვნა და შემდეგ გაიმეორა მისი ტექნიკური პარამეტრები.

იესომ შეისწავლა მრავალი ადგილობრივი ენა. მისი ქადაგებები ძალიან პოპულარული გახდა და იგი ასეთად ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის ქვეყნებში ყოფნის დროს. იესო აღნიშნავდა:

„მე მოვედი, რომ წარმოვაჩინო ადამიანების შესაძლებლობები, რასაც მე ვაკეთებ ყველას შეუძლია გააკეთოს. როგორიც მე ვარ, ყველა ასეთი უნდა იყოს“ (მარკოზი 16:17-18).

ინდოეთში, ჩინეთში, ტიბეტში და მონღოლეთში, სადაც იესო-ისსას მოგზაურობა მოუწია, მისი დონის კიდევ რამდენიმე პიროვნება იყო. მათ ანალოგიური წარმოდგენებისა და ლექციების წაკითხვა შეეძლოთ, მაგრამ ისსას უპირატესობა ის იყო, რომ იგი გლობალური მასშტაბის პიროვნება იყო. იგი უკვე ზიარებული იყო რომის იმპერიისა და მისი ერთი პროვინციის იუდეას კულტურულ მემკვიდრეობას. იგი ასევე ბავშვობაში ელინიზმთან იყო გაცნობილი და ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს. ამიტომ ისსა-იესო მაშინდელი მსოფლიოს ცივილიზაციასთან იყო ნაზიარები.

იესო იყო შავგვრემანი, მუქი კანის საშუალო სიმაღლის კაცი, მაგრამ უფრო თეთრი და მაღალი, ვიდრე „მიუკარებლები“ და შუდრები. იესო უფრო ინდოეთის პირველი სამი კასტის წარმომადგენლებს ჰგავდა და აზროვნებისა და

განათლების მიხედვით ხდებოდა მასწავლებელი, მქადაგებელი, ილუზიონისტი და ექიმი. იესოს ბრაჰმანების კასტის ნიშნებიც ჰქონდა, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა, რომ უმაღლესი კასტის რიგებში შეჭრილიყო.

ამავე დროს, იესო გრძნობდა იმ გარემოებას, რომ იგი უფლის ჩამომავალი იყო, მაგრამ ამ ვითარებას საჯაროდ ვერ განაცხადებდა, ინდოელი ხალხი ამას ვერ გაიგებდა. იგი ინდოელებთან შედარებით თეთრკანიანი უცხოელი იყო, რომელიც უცხოეთიდან მოვიდა და ისევ უცხოეთში უნდა წასულიყო. იესო არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებით, იგი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის შვილი და ეს იყო მისი უპირატესობა. ინდოეთში ყოფნის დროს იესო-ისსა იმ ტრამპლინზე შესდგა, საიდანაც კოსმოსში და საუკუნეებში აიჭრა და კაცობრიობის დაახლოებით მეოთხედს, ზოგჯერ კი ნახევარს აზროვნების მწყობრად ჩამოყალიბებული სისტემა მისცა, რომელიც ჭეშმარიტებაა თუ სხვა რამეა, ცალკე ანალიზის თემაა.

ტიბეტში მოგზაურობის დროს იესო-ისსამ ბევრი რამ შეისწავლა და ნახა, მათ შორის გაეცნო ტიბეტური „სიკვდილის წიგნის“ საფუძვლებს.

ასევე ინახულა რამდენიმე გამოქვაბული, რომელიც რჩეული ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი. საქმე იმაშია, რომ ვინც ამ გამოქვაბულში სულს დალევს, სხვა განზომილებაში გადავა. მას აღარ მოუწევს უფლის სამსჯავროზე წარდგენა და აღდგომის იმედზე ყოფნა. სულის ამ მოგზაურობის დაწყების დროს საჭირო იყო ხმიადა პურისა და წითელი ღვინის ან სხვა წითელი ფერის ალკოჰოლური სასმელის მიღება. მოგვიანებით იესომ ეს წესი თავის „საიდუმლო სერობის“ დროს გაიმეორა.

არანაკლებ საინტერესო იყო იესოს უკან დაბრუნება. იმ წყვეტილი ცნობებით, რომელიც კაცობრიობის არქივებში მოიძიება, ირკვევა, რომ უკან იესო-ისსა სულ ქადაგებ-ქადაგებით მოდიოდა. გადადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ხან ვირით მიდიოდა, ხან ფეხით.

უკან მრევლიც მოყვებოდა. ისინი ზოგჯერ იესოს მიყვებოდნენ, ზოგჯერ კი იესო მიყვებოდა მათ. ყველგან კარგი შეხვედრები იყო. ძალიან ხშირად იესო და მისი მხლებლები ვაჭრობდნენ. უფრო მეტად აქლემებითა და ვირებით, თუმცა სხვა საოჯახო საქონელიც უხვად ჰქონდათ. ეს უფრო ბარტერული ტიპის ვაჭრობა იყო. ინდოეთში შეძენილი ნედლეული, სანელებლები და საოჯახო ნივთები, სპარსეთში წარმატებით იცვლებოდა ხალიჩებზე და ფარჩეულობაზე. იესო-ისსა უფრო შუდრაში მოღვაწეობდა, თუმცა სპარსეთში ეს ფენა ანუ გლეხები შედარებით მცირე იყო ხრიოკი ტერიტორიის გამო. სპარსეთის ეკონომიკის მთავარი წარმმართველი ძალა იყო ვაჭრობა და ხელოსნობა, რომლებზეც მოდიოდა ქვეყნის შემოსავლის მეოთხედი. დანარჩენი მეფის ადმინისტრაციაზე, მმართველ კლასზე, სამღვდელოებაზე, სამხედროებზე და უღარიბეს ფენებზე მოდიოდა.

გზაში იესო-ისსა ჩამოყალიბდა როგორც მრავლის მნახველი ბრძენი ორატორი, დიდებული მოგვი-ილუზიონისტი, ფანტასტიკური წარმოდგენების შემქმნელი, მონოლოგების განუმეორებელი შემსრულებელი. გადმოცემით, უკან გზაზე უკვე სპარსეთის ტერიტორიაზე იესო-ისსამ რამდენიმე წუთით გაუჩინარებაც შესძლო. მოგვიანებით მან ეს შედეგი ერთ საათამდე აიყვანა. ამის შემდეგ იესომ საკუთარი სხეულის ტელედეპორტაცია შესძლო, რასაც სრულყოფილად აკეთებდა.

იესო საგულდაგულოდ ემზადებოდა თავის სამშობლოში, იუდეაში დასაბრუნებულად, რათა ზეციური მამის იაჰვას გეგმა შეესრულებინა კაცობრიობის მიმართ.

სპარსეთში იესოს პატარა წარუმატებლობაც შეხვდა, იგი ერთმა აღმოსავლეთელმა ვაჭარმა აღწერა პატარა წიგნში სათაურით „შეხლა-შემოხლა ჰაიდარაბადში“, სადაც თავის მრავალ თავსგადახდილ ამბავთან ერთად იესო-ისსაც ამბავსაც თბილად იგონებს. სამწუხაროდ, ვაჭრის სახელი დაიკარგა, და არს მხოლოდ ვარაუდი, რომ იგი წარჩინებული სომეხი სოვდაგარი უნდა ყოფილიყო. იმ დროს სპარსეთი ანუ პართია, რომელიც იმ დროს იწოდებოდა გადამწყვეტ

ბრძოლებს აწარმოებდა რომის იმპერიის წინააღმდეგ და მათ შორის სომხეთის იმპერია იყო გაჩხერილი. ზემოთ აღნიშნული სომეხი სოვდაგარი სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა სპარსეთ-პართიაში და ამავე დროს გულუხვად ეხმარებოდა მრავალი თვისებით შემკულ იესოს, რომელიც ასევე ზომიერი სიძლიერის ვაჭარიც იყო. სომეხი სოვდაგარი თავის წიგნში აღნიშნავდა, რომ იესო წარმატებით ქადაგებდა თავისი დიდი მამის იეჰოვა საბათაის სასარგებლოდ, ამბობდა, რომ სწორედ იგი იყო მთავარი ღმერთი, მამა და მთელი სამყაროს შემქმნელი.

„არ სცეთ თაყვანი მზეს და მთვარეს, რადგან ისინი სამყაროს ნაწილები არიან. თაყვანი ეცით მთელ სამყაროს და მის შემქმნელს, იეჰოვა საბათაის, ჩვენს მამასა და მარჩენალს“, მგზნებარედ აცხადებდა იესო და ზედ რაიმე ილუზიურ ქმედებასაც დაამატებდა ხოლმე.

ეს დაახლოებით იგივე ამოცანა იყო, რასაც ახალგაზრდა აბრამი, მრავალი საუკუნის წინ ბაბილონის იმპერიაში, მეფე ნიმროდის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ეწეოდა. ეს იყო იდეოლოგიური ბრძოლა ერთი, უნივერსალური ღმერთისა მრავალღმერთიანობის წინააღმდეგ.

მაგრამ სპარსეთში საქმე ცოტა სხვანაირად იყო. ამ ქვეყანაში ერთი ღმერთის აჰურამაზდას თაყვანისცემა იყო გამოცხადებული. იგი აბრამივით ჭკვიანმა კაცმა ზოროასტერმა აღმოაჩინა. მის ღმერთს აჰურა მაზდას სამყაროს სტრუქტურაში, ისეთივე ადგილი ეჭირა, როგორიც აბრამისა და იესოს „მამა ღმერთს“, რომელსაც იეჰოვა ეწოდებოდა.

ასე რომ ზოროასტერისა და მისი ღვთაების აჰურა მაზდას თაყვანისმცემლებს და პროპაგანდისტ მღვდლებს, ახალი კონკურენტის გამოჩენა, იესოს სახით არ მოეწონათ. მათ იესო-ისსას თითქმის ყველა ქალაქიდან და სოფლიდან დაუწყეს განდევნა. იესომ რამდენჯერმე ღამე ტყეშიც კი გაათია. თაყვანისმცემლების და გულშემატკივრების გუნდი სწრაფად შემოეფანტა. ისინი საშიშროებას გაექცნენ, რადგან მათი იესოსთან ყოფნა სწორედ საშიშროებას წარმოადგენ-

და. ეს იესოსთვის კარგი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იყო. ამის მერე მან თაყვანისმცემლების საგულდაგულოდ შერჩევა დაუწყო, რაც მას ძალიან გამოადგა მომავალში, როდესაც თავისი 12 მოწაფე შეარჩია.

სპარსეთის ტყეებში ღამის გათევა ფრიად საშიში იყო, რადგან იგი ნადირით იყო სავსე. იესო აქ მცხოვრებ მრავალ ვეფხვს, ლომს, აფთარს, მგელს, ჰიენასა და მცურავს ვერ გადაურჩებოდა, ერთი გარემოება რომ არა. იესომ უკვე იცოდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ფლობდა „ჯადოსნური რკალის“ ხელოვნებას. მის მიერ შემოხაზული და მოჯადოებული რკალის მიღმა ცხოველები ვერ შეაბიჯებდნენ. რკალის მიღმა კი იესოს უხიფათოდ შეეძლო გამოძინება. ეს ილეთი იესომ შემდეგ წარმატებით გამოიყენა უკვე ცნობილი 40 დღიანი მარხვის დროს იორადანიის უდაბნოებში.

ასე, რომ იესომ სპარსეთს თავი დააღწია, მაგრამ მთავარ საქარავნო გზას გადაუხვია და გეზი ჩრდილოეთისაკენ, თებრიზის მიმართულებით აიღო, სადაც ნაკლები ყაჩაღები და შედარებით უხიფათო გარემო იყო.

სპარსეთიდან ჩინეთის ცნობილი აბრეშუმის გზა, რომელსაც იესო მიუყვებოდა, სამ შედარებით მომცრო საქარავნო გზად იყოფოდა. ისინი ყველა ხმელთაშუა ზღვისაკენ და სამხრეთ ევროპისაკენ მიემართებოდნენ.

მთავარი გზა სპარსეთიდან ყოფილ სომხეთის იმპერიის გადავლით პირდაპირ ხმელთაშუა ზღვაზე მიდიოდა, იესოს მოგზაურობამდე დაახლოებით 30 წლით ადრე სომხეთის იმპერია სასტიკი შეტაკების არენა გახდა. მის ტერიტორიებზე ერთმანეთს შეეტაკნენ რომისა და პართიის იმპერიები. პართიის იმპერიამ როგორც ცნობილი სპარსეთის იმპერია შესცვალა. ამ შეკატებების შედეგად სომხეთის დიდებული იმპერია დაინგრა, მაგრამ სომხები აგრძელებდნენ სერიოზულ პარტიზანულ ბრძოლებს. ამის გამო ვაჭრები ანატოლიის ნახევარკუნძულზე გავლას ერიდებოდნენ ყაჩაღებისა და არაკონტროლირებადი შეიარაღებული რაზმების დიდი რაოდენობის გამო, და ირჩე-

ვდნენ ამიერკავკასიაზე გამავალ ძალიან კარგად განვითარებულ კომერციულ გზას.

მაშასადამე, აბრეშუმის გზის მეორე მარშრუტი ამიერკავკასიისაკენ მიემართებოდა. კავკასიის მისადგომებთან აბრეშუმის გზა იქსაქსებოდა. ერთი გზა უშუალოდ კავკასიაში შედიოდა, რომელიც შემდეგ ორად იყოფოდა. ერთი ალბანელების ქვეყანაში მიემართებოდა და დერბენტის ციხე-სიმაგრის გავლით კავკასიის მთის გრეხილებს ჩრდილოეთიდან უვლიდა და ხმელეთით ბალკანეთში და საბერძნეთში მიემართებოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე შევლით. მეორე გზა იბერიის სამეფოს გავლით, კოლხეთის სამეფოში გადადიოდა, საიდანაც ფაზის-პორტის საშუალებით საბერძნეთს უკავშირდებოდა.

არის დამაჯერებელი ცნობები, რომ იესომ სამშობლოში დასაბრუნებლად იბერიის სამეფოს სავაჭრო გზა გამოიყენა, რომელიც შედარებით მოკლე და რაც მთავარია უხიფათო იყო დერბენტის გზასთან შედარებით. იბერიის სამეფო ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას, ევროპისა და აზიის მთავარ გზაგამყოფზე მდებარეობდა.

იბერიის სამეფოს მემკვიდრე საქართველოში დღემდე შემორჩენილია ლეგენდა და ტრადიციული გადმოცემები, რომ იესო-ისსა-იეშუა იბერიის დედაქალაქ მცხეთასთან ახლოს მდებარე სოფელ ძეგვთან, მაღალ კლდეში, გამოქვაბულში ცხოვრობდა. ამ კლდეში მრავალი გამოქვაბული იყო, სადაც მოგზაურები და მწყემსები ღამეს ათევდნენ. იყო რამდენიმე სასტუმრო-გამოქვაბულიც, რომელიც დღემდე შემორჩენილია და მას დღესაც „ისსას გამოქვაბულს“ უწოდებენ. გამოქვაბულთან მისასვლელი კლდეში ნაკვეთი კიბეები მეტწილად ჩამოშლილია, მაგრამ მარჯვე კაცს შეუძლია იქ შეღწევა და ვისაც ეს შეუძლია გააკეთოს მას, რა თქმა უნდა, ისსას მადლი უდავოდ შეეწევა. თუმცა არის ცნობები, რომ ზოგიერთი მოგზაური „ისსას გამოქვაბულში“ შევიდა, მაგრამ ქვემოთ ვეღარ მოახერხა ჩამოსვლა და იქ დარჩა სამუდამოდ. ამას ადასტურებს გამოქვაბულებში ნანახი რამდენიმე ადამიანის ჩონჩხი.

იესო-ისსა ამ გამოქვაბულებში საკმაო ხანს ცხოვრობდა, ხვდებოდა აქ მოსულ ხალხს, საუბრობდა მათთან, ვაჭრობდა, ეცნობოდა იბერიელთა ქვეყანას.

იესოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მცხეთისა და ურბნისის ებრაულ მოსახლეობასთან შეხვედრა, რომლებიც ამ ქვეყანაში უკვე 5-6 საუკუნე ცხოვრობდნენ. იესომ იბერიელ ებრაელებში მოსინჯა თავისი ძალა, შეეცადა მათში მომავალი მოწაფეები და მომხრეები შეერჩია. ეს ცდა არ გამოვიდა. თუმცა იმ დროს ებრაული მოსახლეობა საკმაო რაოდენობით კომპაქტურად ცხოვრობდა, მაგრამ მათ იესოს მოწაფეობისაგან თავი შეიკავეს, რადგან ამ საქმეს ვითარება არ უწყობდა ხელს. საქმე იმაშია, რომ იბერიის სამეფოში რამდენიმე რელიგია უკვე წარმატებით ფუნქციონირებდა. ეს იყო ადგილობრივი კერპთაყვანისცემლობა, არმაზი, ვაცი, ლომისი, ცხვრის გამჩენის მადლი, ათენგენის წვერის ანგელოზი, ბეთლემის ყოვლადწმინდა, კვირეის ყოჩი, ხეთური და მცირე აზიის რელიგიები, ამირანის კულტი, ხატობა, განსაკუთრებული პოპულარობით მზის კულტი და მაზდეანობა იყო წარმოდგენილი. ქვეყანში უკვე იყო გრანდიოზული საყდრები გრაკალში, ნეკრესში, მცხეთაში.

იესოს შეხედულებები ერთი, უნივერსალური ღმერთის შესახებ, რა თქმა უნდა, აბრამის ჩამომავლებისთვის ფრიად გასაგები იყო, მით უმეტეს იუდაიზმი უკვე იყო იბერიის სამეფოს მეორე რელიგია, მაგრამ იესოს მოძღვრებას ერთი, უნივერსალური ღმერთის შესახებ შეიძლება პრობლემები შეექმნა ადგილობრივ, იბერიულ მოსახლეობაში, რომლებიც საკმაოდ კერპები და ჯიუტები იყვნენ. ამავე დროს იბერიის სამეფოს სავაჭრო ბიზნესი მთლიანად იბერიელი ებრაელების ხელში იყო. ისინი მშვენიერ სახლებში და საუცხოო გარემოში ცხოვრობდნენ. ჰქონდათ საკუთარი სასაფლაოები და მრავალი პრივილეგია. ებრაული ენა სახელმწიფოს მეორე ენად ითვლებოდა, მათ პატივს სცემდნენ და რატომ უნდა აეტკივებინათ თავი თუნდაც ებრაული წარმოშობის ნახევრად ვაჭრისა და ნახევრად მქადაგებლის სასარგებლოდ?

იესო-ისსა კარგად მიხვდა ამ გარემოებას და სცადა ამჯერად პირდაპირ იბერიულ მოსახლეობაში შეერჩია ერთ-ერთი ახალგაზრდა, რომელიც მისი მოწაფე გახდებოდა სტრატეგიული თვალსაზრისით ამ მნიშვნელოვან რეგიონში და უფლის სიტყვას განავცრობდა. იესომ ნახა კიდევაც ერთი იბერიელი ყმაწვილი სახელად არქიფო, რომელიც ებრაელი სწავლულების დახმარებით იუდაიზმთან ზიარებასა და წინდაცვეთას აპირებდა.

არქიფო იბერიელი ძალიან კარგი მასალა იყო. ჭკვიანი, ვაჭრობაში ძალიან დახელოვნებული, წინდახედული. ამავე დროს იგი ლეგენდარული აზოს პირდაპირი ჩამომავალიც იყო და ძალიან ამაყობდა ამით. ჩვენ შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ყოფილმა სარდალმა აზომ, რომელიც როგორც დედის, ისე მამის მხრიდან იბერიულ-კოლხური წარმოშობის იყო რამდენიმე საუკუნით ადრე იბერიაში დიდი რეფორმატორული საქმიანობა ჩაატარა.

როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა გაიგო, რომ იბერიაში კანიბალიზმი ძალიან გავრცელებული იყო, საკმაოდ შეწუხდა და თავის ერთ-ერთ იბერიული წარმოშობის ლეგენდარულ სარდალს აზოს სთხოვა, შენი თანამემამულეები ამ მავნე ჩვევიდან გადააჩვიეო. აზო ალექსანდრეს შეპირდა ამ საქმეს მალე მოვათავებ და სპარსეთში წამოგეწევიო და პატარა რაზმით იბერიაში გაემგზავრა.

აზოს იმედი არ გამართლდა. იგი იბერიაში კარგა ხნით შემორჩა, მაგრამ ალექსანდრეს შეუთვალა, სანამ ინდოეთიდან დაბრუნდები, პირობას გაძლევ იბერიაში კანიბალიზმის ნასახიც არ იქნებაო.

აზომ ჯერთ ტკბილი სიტყვით სცადა იბერიელებისათვის აეხსნა, რომ ღვინის სმა კარგია, მაგრამ ღვინოსთან ერთად კაცის ნეკნების ხაშლამაზე უფრო გემრიელი ძროხის ნეკნების ხაშლამა არისო. აზო სახლიდან სახლში, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა და მოსახლეობას უხსნიდა ძროხის ხორცის უპირატესობას კაცის ხორცთან შედარებით. მაგრამ იბერიელები კანიბალიზმს თავს არ ანებებდნენ. თავ-

იანთ ოჯახის წერებსაც კი ჭამდნენ, მათი ძალა და სული ჩვენთან გადმოვაო, ხოლო გაპრიალებულ ძვლებს გუდაში ინახავდნენ და თავქვეშ იდებდნენ, ასე სჯობიაო.

აზომ უზარმაზარი ქვაბებით დაიწყო სოფელ-სოფელ სიარული, ამზადებდა ძროხის ხაშლამას და უმასპინძლ-დებოდა მოსახლეობას, მაგრამ ხალხს ადამიანის ხორცი უფრო მოსწონდათ. როდესაც მოშივდებოდათ ერთმანეთს უთვალთვალებდნენ, შეარჩევდნენ ვინმე მსუქანს, დროს იხელთებდნენ, თავს წააცლიდნენ და შესანსლავდნენ, რომ იტყვიან ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

მოთმინებადაკარგული აზო რადიკალურ ზომებზე გადა-ვიდა და მოკლე დროში ცეცხლითა და მახვილით ამოშანთა კანიბალიზმი, თუმცა იბერიელთა ერთი მესამედის გაწყვე-ტა კი მოუწია. აზომ ბრძანა რომ მიცვალებულის გარ-დაცვალების შემდეგ 40 დღის განმავლობაში არათუ კაცის, საქონლის ხორცსაც კი არ გაეკაროთო. ეს წესი დღემდე დაცულია იბერიის მემკვიდრე საქართველოს დასავლეთში, მაგრამ აღმოსავლეთში ამ წესს უკვე აღარავინ იცავს.

აზომ, რომელსაც მამასახლისის ტიტული ჰქონდა ქვეყა-ნაში აღებ-მიცემობის გასავითარებლად პართიის იმპერიიდან ებრაელი ვაჭრები გადმოასახლა დახოცილი იბერიელი კა-ნიბალების მაგივრად. გაიყვანა გზები, საწრყავი არხები, დიდად განავრცო ვაზისა და ხილბოსტნეულის კულტურა. მესოპოტამიიდან და საბერძნეთიდან ჩამოიყვანა აგრონომე-ბი, განავითარა მესაქონლეობა, ააშენა მშვენიერი ქალაქები, განავითარა და განავრცო უკვე მრავალი საუკუნის წინ შე-ქმნილი იბერიული დამწერლობა, დააარსა ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, აბანოები და სასტუმროები, რესტორნები და თავყრილობის სახლები, სადაც შესაძლებელი იყო ია-ფად და კარგად დანაყრება. აზომ შექმნა მცხეთის, ბოლ-ნისისა და ურბნისის საქალაქო კანალიზაციის სისტემები, დაარსა ბორდელების ფართო ქსელი. აზო განსაკუთრებულ ყურადღებას სასაუზმეების განვითარებას უწყობდა ხელს, რადგან იბერიელებს კანიბალიზმისაკენ დიდი მიდრეკილება

ჰქონდათ. აზომ მართალია ამოაშთო კანიბალიზმი, მაგრამ ადამიანს ხორცის მოყვარული იბერიელები ჯანყდებოდნენ ხოლმე. კანიბალიზმის მოყვარულთა ერთ-ერთ აჯანყებას ძლიერი კაცი ფარნავაზი ჩაუდგა სათავეში. მან საკუთარი ხელით მოკლა აზო, მაგრამ კანიბალიზმის აკრძალვა ძალაში დატოვა. საქმე იმაშია, რომ ფარნავაზმა აზოს სახელმწიფო ჯოგები ხელში ჩაიგდო და საჭირო იყო მათი გაყიდვა, ამიტომ ფარნავაზს ერჩივნა ხალხს ძროხის ხორცი ეჭამა. მან ასევე გააგრძელა აზოს დაწყებული საქმე და დიდად განავრცო მწიგნობრობა იბერიული.

აზოს ჩამომავალი არქიფო იბერიელი ყურადღებით უსმენდა იესოს საუბრებს ერთი ღმერთისა და უფლის გეგმების შესახებ. კაცობრიობის შესახებ და იესოს უთხრა სიამოვნებით გავხდები შენი მიმდევარი და როგორც პროფესიით ექიმი, დაგეხმარები მოღვაწეობაში, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ებრაელად მოვინათლები და წინდაცვეთას ჩავატარებო.

მაგრამ იესო-ისსა, რომელსაც ძალიან დაძაბული სამოგზაურო გრაფიკა ჰქონდა, იბერიაში დიდხანს ვერ გაჩერდა და სავაჭრო ინტერესების გამო მტკვარ-რიონის სანაოსნო ხაზით კოლხეთის სამეფოს მთავარ პორტში ფოთი-ფაზისში ჩავიდა.

არქიფო კი დარჩა მცხეთაში და ვინ იცის მისი სახით იესომ მშვენიერი მოწაფე და მიმდევარი დაკარგა. არქიფო იბერიელი ხომ არც გვარიშვილობით და არც ღირსებით და არც ერთგულებით იესოს არცერთ მომავალ მოწმეს არ ჩამოუვარდებოდა.

მოვლენებს რომ წინ გავუსწროთ და საუკუნეებს რომ თავზე გადავახტეთ, ავღნიშნავთ, რომ არქიფოს შთამომავლები დიდ როლს ითამაშებენ იბერიის სამეფოს ცხოვრებაში. ერთ-ერთი არქიფო მეფე ვახტანგ გორგასლის მსახური იქნება, რომელიც მეფეს ნადირობის დროს ეხმარებოდა ნანადირევის დაბინავებაში. სწორედ ამ ნადირთუხუცესმა გამოიტანა კაუჭით ცხელ წყალში ჩავარდნილი ხოხობი. იმ

ადგილებს შემდეგ თბილიწყალი ან თბილისი ეწოდა. ხოლო არქიფოს ბოლო ჩამომავალი იქვე ახლოს სოლოლაკში, მთაზე დასახლდება, გახდები არქიფო სოლოლაკელი და დიდ როლს ითამაშებს იბერიის სამეფოს ბოლო დღეებში, რომელსაც იმ დროს საქართველოს რესპუბლიკა დაერქმევა.

მაგრამ კვლავ დავუბრუნდეთ იესოს ამბებს. ფაზისში იესომ კოლხ მეზღვაურებში გაარკვია თუ როგორ შეიძლებოდა საბერძნეთში გადასვლა, საიდანაც შემდეგ იგი იტალიას, ანუ რომის იმპერიის ცენტრში გადასვლას გეგმავდა.

ამ დროს იესო-ისსა არა მარტო კარგი მქადაგებელი, მაგი და წინასწარმეტყველია, არამედ კარგი მოგზაური და ვაჭარიც იყო. სხვანაირად ამდენი წლის განმავლობაში ვერ იარსებებდა. ვაჭრები საპატიო ხალხი იყო, ბრძენი ვაჭრები მითუმეტეს. იესო ბრძენი ვაჭარი იყო. იგი არ იყო ფულზე დახამებული, ფული თავისით მოდიოდა მასთან. იესო მხოლოდ ითვლიდა მათ და ჯორზე გადაკიდებულ ხურჯინში ინახავდა.

იესომ სპარსეთიდან წამოღებული საქონელი მცხეთის ებრაელებში მშვენივრად გაყიდა, რომლებმაც შემდეგ ეს საქონელი ადგილობრივ მოსახლეობაში სარფიანად გადაყიდეს. იესომ მცხეთაში აღებული ფულით ახალი საქონელი შეიძინა, ნაწილი ახალი საქონელში გადაცვალა და ყველაფერი ეს ფულთან და ჯორებთან ერთად ნავით ფაზისში გადაიტანა.

ასევე მოიქცა იესო ფაზისში, სადაც ახალი საქონელი შეიძინა. იესომ საბერძნეთში მიმავალი ხომალდი მოძებნა და იქ გადატვირთა კოლხური საქონელი: მედიკამენტები, ღვინო, მშრალი ხილი, ხე-ტყე, ოქრო, რამდენიმე ათეული კოლხი ქალ-ვაჟი, რომლებიც მონებად იყვნენ გასაყიდები.

აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. კოლხეთის მოსახლეობა კარგი საექსპორტო მასალა იყო. იესომ ადგილობრივ ებრაელებში გაარკვია და შეიტყო, რომ მაშინდელი მსოფლიოს დასახლებულ რეგიონებში: ხმელთაშუა ზღვის აუზში, მესოპოტამიაში, სპარსეთში და ინდოეთში, აფრიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, უმთავრესად ყავისფერი და მუქი

კანისფერი ხალხი ცხოვრობდა. კოლხეთში კი როგორც ედემის ბაღისა და თეთრი რასის აკვანში, მოსახლეობა თეთრი ფერის იყო. თეთრ მოსახლეობაზე დიდი მოთხოვნილება იყო მთელ მსოფლიოში. მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზში ქვეყნებისა და ჩინეთის აბრეშუმის გზაზე მდებარე საროსკიპოები სავსე იყო კოლხური წარმოშობის ქალ-ვაჟებით. ჩვენი საყვარელი მამის, ჩვენი უძლეველი უფლის ერთ-ერთი გეგმით, უფლის რჩეული ხალხი თეთრი კანის ხალხი უნდა ყოფილიყო. ამიტომ როგორც ცნობილია კოლხეთიდან საუკუნეების განმავლობაში ათეული მილიონობით თეთრი ფერის მოსახლეობა მონებად გაზიდა. ახლო აღმოსავლეთში და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში რათა თეთრი რასის ჯიში გაეუმჯობესებინათ. შავგვრემანი იესო ძალიან გაკვირვებული დარჩა, რომ კოლხი მოსახლეობა სიამოვნებით ყიდდა თავიანთ ბავშვებს უცხოეთში, თითქოს უფლის ნებას ასრულებენო და ეს პროცესი შემდეგი საუკუნეების განმავლობაშიც წარმატებით გრძელდებოდა. კოლხების, რომლებსაც შემდეგ საუკუნეებში ქართველებს ეძახდნენ, თანამემამულეების გაყიდვა ყოველთვის სარფიანი ბიზნესად მიაჩნდათ. ისინი კარგი მეომრები და გენეტიკური მასალა იყო. მათ საკმაოდ გაათეთრეს მაშინდელი ცივილიზაციის სამყარო და ამის გამოა, რომ დღესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში თეთრი რასის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „კავკასიელი-ქოქეიუნ“.

გაგება იყო კავკასიელი გახდა ბრენდი. ბევრი ცდილობდა, რომ კავკასიელი გამხდარიყო. ასე მაგალითად, ოსებსაც მოუნდათ კავკასიელად გახდომა, მაგრამ ისინი წითელი ფერის ხალხი იყო. მოუნდათ სომხებსაც, რომლებიც ინდოევროპელები იყვნენ და ბალკანეთიდან მოვიდნენ. ასევე აზერბაიჯანელებსაც მოუნდათ, რომ კავკასიელის ანუ თეთრი ადამიანის ტიტული მიეღოთ, მაგრამ ისინი ქვიშისფერი ხალხი იყო. ასე, რომ კავკასიელის ტიტული პირველ რიგში მეგრულ-ლაზურ-ჭანურ მოსახლერობას ეკუთვნის,

რომლებიც ძველად კოლხების სახელით იყვნენ ცნობილები.

იესო ფაზისში საკმაო ხანი დაყოვნდა. ადგილობრივების ყოფა-ცხოვრებას აკვირდებოდა. მხარე საკმაოდ ელინიზირებული იყო. ნავსადგურის საქმიანობას ფაქტიურად ელინიზირებული კოლხები განაგებდნენ. ქვეყნის შემოსავლის ნახევარი მეფის ადმინისტრაციისა და ხელმძღვანელი კლასის ფენაზე მოდიოდა. მოსახლეობის 5 პროცენტს ბიუროკრატია და დოკუმენტების გადამწერები შეადგენდნენ. მთავარი სამუშაო ენა ბერძნული და განსაკუთრებით არამეული ენა იყო, რომელზედაც იესო მშვენივრად საუბრობდა. თუმცა იყო კოლხური დამწერლობა, რომელიც როგორც კოლხურ-დიაოხური კულტურა, ჩაძირული კონტინენტის ატლანტიკის, ხმელთაშუა ზღვის, ჩრდილოეთ აფრიკის სუბკონტინენტის, ბრიტანეთის კუნძულების უძველესი მკვიდრი მოსახლეობისა და ზოროასტრული კულტურის გავლენას განიცდიდა.

კოლხეთის მოსახლეობის უმეტესობა კოლხი გლეხები იყვნენ. ნოქართა და ვაჭართა კლასი მოსახლეობის ასევე ხუთ პროცენტს შეადგენდა. ასევე ხუთი პროცენტი იყო კრიმინალური და დეკლასირებული ელემენტების ფენა. ისინი მთლიანად კოლხებისაგან შედგებოდნენ. ვაჭრები კი შერეული ეროვნების ხალხი იყო. ძალიან განვითარებული იყო კრიმინალი და მათხოვრობა, რომელიც ფაქტიურად ყველაზე სარფიანი ბიზნესი იყო, საროსკოპოების ფართო ქსელთან და ფარმაცევტულ-ჯადოქრულ საქმიანობასთან ერთად. კოლხეთში ძალიან განვითარებული იყო სასაზღვრო და გამოქვაბულის ბანდიდების საქმიანობა. ისინი ყოფილი გლეხები იყვნენ და ასეულობით მიმდევარი ჰყავდათ. მათ ქალაქების დაცვა ებრძოდა. ფაქტიურად ეს იყო სოფლისა და ქალაქის ბრძოლა, რომელიც ყოველთვის მიმდინარეობდა დედამიწაზე. იესომ კოლხ ბანდიტებთან კავშირი ვერ დაამყარა ენობრივი ბარიერისა და საშიშროების გამო.

ფაზისი-ფოთი ძალიან კომფორტაბელურ ყურეში მდებარეობდა, რიონის დელტაში. იგი კოლხეთის ყოფილ

დედაქალაქს ქუთაისს უკავშირდებოდა და კავკასიონის კარიბჭე იყო. ქვეყანაში კიდევ რამდენიმე პორტი იყო. დიოსკურია, რომელიც ძველი კოლხური მოსახლეობის დიაოხების ქალაქი იყო, ანაკლია, გონიო. ასევე მნიშვნელოვანი ქალაქები იყო არქეოპოლისი (ნოქალაქევი) რომელიც კოლხეთის დედაქალაქი იყო, ასევე სურიუმი (სურამი) და სარაპანე (შორაპანი).

ფაზისში რამდენიმე გემთსაშენი იყო, სადაც ძალიან გამძლე კოლხურ ხომალდებს აგებდნენ, კოლხურ ფიჭვისგან. ისინი ორჯერ უფრო გამძლე გემები იყო, ვიდრე რომის გალერები, რომლებიც მხოლოდ 20-25 წელი ცურავდნენ, თუმცა კოლხური გენმები პატარები იყვნენ. მათ 30-50 ფუტის სიგრძე ჰქონდათ და შეეძლოთ მხოლოდ 40-60 ტონა ტვირთის გადაზიდვა. წინააღმდეგ რომაული ლაინერებისა, რომლებსაც 180 ფუტი სიგრძე და 1300 ტონის წაღება შეეძლოთ, ასევე 200-მდე მგზავრის წაყვანაც შეეძლოთ.

იესო უკვე გამოცდილი ვაჭარი იყო და ამიტომ მოგზაურობასთან და ქადაგებასთან ერთად თუ საშუალება მიეცემოდა მუშაობდა კიდეაც, რათა უკეთ გაეცნო ადამიანთა ბუნება. ამიტომ როდესაც ფაზისიდან საბერძნეთში მიმავალ ხომალდზე საქონელი გადაზიდა, იქვე გემზე, გზის ხარჯების შესამცირებლად და მეზღვაურის პროფესიის შესაძენად, გემის მეზღვაურად მოეწყო. მთელი გზა ნიჩბებს უსვამდა, თევზაობდა, მზარეულობდა, აბანავებდა ეკიპაჟის წევრებს და ასე ჩავიდა საბერძნეთის ქალაქ პირეიში.

იესო რომის იმპერიაში

როდესაც იესო საბერძნეთში ჩავიდა იგი მოხვდა ბერძნულ-რომაულ იმპერიაში და დააკვირდა ცხოვრებას. იესო გაკვირვებული დარჩა რომის იმპერიაში არსებული საზოგადოებრივი წესრიგით. ასეთ ქვეყანაში ცხოვრება ყოველნაირი მიზნების განხორციელების შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო რომის იმპერიის ფასეულობების გაზიარება.

რა სულიერი ფასეულობები ჰქონდა რომს?

რომაელებს სწამდათ, რომ მათი წინაპრები იცავდნენ და წარმართავდნენ მათს ფასეულობებს და შემუშავებული ჰქონდათ „წინაპრების გზის“ კოდექსი. იგი ძველმოდური იყო და საუკუნეების განმავლობაში არ იცვლებოდა, რადგან რომაელებს სწამდათ, რომ ღმერთები მათი სულიერი ფასეულობების სიმტკიცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამოწმებდნენ.

რომაელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანებს შორის ურთიერთობის ეთიკას, აანალიზებდნენ რა არის კარგი და რა არის ცუდი, სამარცხვინო, არასაპატიო. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ღირსებას. იყო გაგება, მტერი, მოყვარე, ღირსეული მტერი, უღირსი მტერი, მლიქვნელი, სულით ბოზი.

რომაელისათვის პირველი იყო სამშობლოს ინტერესები, შემდეგ ოჯახის ინტერესები და შემდეგ კი პირადი ინტერესები.

რომში დიდად იყო ფეხმოდგმული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, ერთგულება საკუთარი თემისადმი, ღმერთისადმი. ღირსების მქონე კაცი თავის სიტყვას ასრულებდა. არ იღებდა უაზრო ვალს, მაგრამ თუ საჭირო იყო ისესხებდა და სესხს დროულად იხდიდა. რომაელებს შორის სიტყვას ფასი ჰქონდა, არ წაეღლაბუცებოდა ქმრიან ქალს და საერთოდ ყველაფერს სწორედ უყურებდა, ერთგულებდა უფროსებს, ოჯახს, ღმერთს ლოცულობდა, მსხვერპლს სწირავდა, პატივს სცემდა ღვთისმსახურებს, მაღალ იერარ-

ქიაზე მყოფ ადამიანს, იმპერატორს, სენატორს, აფასებდა სამხედრო ხელოვნებას და ყოველ დღე ფიზიკურად ვარშიჯობდა. რაც უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა საზოგადოებაში, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა გააჩნდა.

იესო მოხიბლული დარჩა რომის ცივილიზაციის ფასეულობებით, მაგრამ ამავე დროს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ იმპერიის მოსახლეობის სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობა საგრძნობლად ნაკლები იყო, ვიდრე ინდოეთში, სპარსეთში და კოლხეთში. რომის იმპერიის ახალდაბადებულთა მესამედი კვდებოდა ისე, რომ ვერ აღწევდა ექვსი წლის ასაკს. თექვსმეტი წლის ასაკს ვერაღწევდა მოსახლეობის 60 პროცენტი. ახალდაბადებულთა 75 პროცენტი ვერ აღწევდა 26 წლის ასაკს, ხოლო 90 პროცენტი ვერ აღწევდა 46 წლის ასაკს. ასეთი ვითარების მიუხედავად იმპერიის სამედიცინო სამსახური მეტად მაღალ დონეზე იყო და არსებობდა ჩქარი გამოძახების სამედიცინო სამსახურიც. რომაელ ექიმებს შეეძლოთ ურთულესი ოპერაციების გაკეთება, მათ შორის თავის ტრეპანაციისა.

იულიუს კეისარმა რომი უძლიერეს იმპერიად აქცია, სადაც იგი მივიდა გაიმარჯვა. „ვენი, ვიდი, ვიცი“, მისმა შვილობილმა გაიუს ოქტავიუსმა რომელიც აუგუსტის სახელით არის ცნობილი 41-წლიანი მშვიდობის პერიოდი დაამყარა. რომი უკვე აღარ იპყრობდა ახალ ქვეყნებს. რაც მისმა მამობილმა იულიუს კეისარმა შემოიმტკიცა, ბერძნული ქალაქი-სახელმწიფოები, პონტო, სირია, ჩრდილოეთ აფრიკა, ეგვიპტე, გალეთი, ამით კმაყოფილდებოდა. მან დიდად აღაშენა იმპერია. აუგუსტუსმა აგურით ნაშენი რომი ჩაიბარა და მარმარილოთი მოპირკეთებული რომი დატოვა.

როდესაც იესო რომის იმპერიაში ჩავიდა იქ ე. წ. აუგუსტის ეპოქა, ანუ საყოველთაო მშვიდობის ხანა იყო. რომმა უკვე შემოხაზა იმპერიის საზღვრები და ახლა უძლიერეს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობა მიდიოდა.

მალე იესომ იტალიაში გადაინაცვლა. იგი იყო იმპერიის გული და იესო უფრო ღრმად გაეცნო რომის საზოგადოებას.

იესო ხშირად სეირნობდა რომის ქუჩებში რომლის დიდება ყველაზე ნათლად კაპიტულიუმის ბორცვზე სჩანდა. აქ ისე იყო თითქოს მსოფლიოს ყველა გზა აქ მოდიოდა „all roads led to Rome“. იქვე იყო რომაელთა მთავარი ღმერთის სატურნის ტაძარი და ფორუმი, რომელსაც მშვენიერი წარწერა ამშვენებდა: „First among cities – the home of god it golden Rome“.

რომში ალბათ ყველა დროის საუკეთესო დემოკრატიულ ტრადიციებს ჩაეყარა საფუძვლები, რომლებიც დღემდე მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის მიუღწეველი ოცნებაა. იესომ რომის წეს-წყობილებაში სისუსტეების ძიება დაიწყო, რაც ძალიან ძნელი აღმოჩნდა.

რომში საყოველთაო არჩევნების სისტემა იყო. მოქალაქეთა უმაღლესი კლასიდან ირჩევდნენ სენატს, რომელშიც 300 სენატორი შედიოდა. ისინი გამოსცემდნენ კანონებს, იმუშავებდნენ საგარეო პოლიტიკურ კურსს, აკონტროლებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებს.

ამას გარდა იყო სახალხო ასამბლეა, რომელსაც მოქალაქეები ირჩევდნენ. ეს იყო ტრიბუნები. მათ შეეძლოთ დაებლოკათ სენატის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი თუ იგი სახალხო ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

ორი არჩეული კონსული წარმართავდა მთავრობის მუშაობას. ყოველ კონსულს ჰქონდა ვეტოს უფლება, რაც ნიშნავდა „მე ვკრძალავ“.

პრეტორები იყვნენ ოფიციალურად არჩეული პირები, რომლებიც იხილავდნენ საკანობმდებლო სისტემას, ინტერპრეტაციას უკეთებდნენ კითხვებს კანონის შესახებ.

ცენზორები სახელმწიფოს მიერ არჩეული ოფიციალური პირები იყვნენ, რომლებიც რეგისტრაციას ახორციელებდნენ იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც გარკვეული სიმდიდრე ჰქონდათ და არჩევდნენ მათ შორის კანდიდატებს სენატისათვის. ამავე დროს მონიტორინგს უკეთებდნენ რომაელი მოქალაქეების მორალურ დონეს.

მართლაც კეისარ აუგუსტმა რომი ერთ-ერთ წარჩინებულ ქვეყნად აქცია.

რომის იმპერიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი იყო პატრონ-კლიენტის ურთიერთობა. პატრონი იყო მაღალი წოდების კაცი, რომელიც მფარველობდა უფრო დაბალი სტატუსის მქონე რომის მოქალაქეს. იგი იყო პატრონის კლიენტი. პატრონს მისი მისამართით ჰქონდა პასუხისმგებლობსა და მოვალეობის გრძნობა. იგი იყენებდა თავის მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას, გზას უხსნიდა კლიენტის ოჯახის წევრებს კარიერულ ზრდაში. პატრონი კლიენტს უწოდებდა „ჩემი მეგობარო“. პატრონ-კლიენტის ურთიერთობა ფინანსურ-პოლიტიკური იყო. იგი მრავალმხრივია და ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. კლიენტი პატრონს ეხმარება საქმით, ინფორმაციითმ ფულით. იღებს მონაწილეობას პატრონის ყველა ღონისძიებებში, მათ შორის დაკრძალვაში, ქორწილში. რაც უფრო მეტი კლიენტი ყავს პატრონს, მით უფრო მეტად პატივსაცემი კაცია იგი. პატრონ-კლიენტის ურთიერთობა თაობიდან თაობაში გრძელდება და ზოგიერთი ნიშნით დღეს არსებულ „სიცილიისა და ქართული მაფიის“ სტრუქტურულ საქმიანობას ჩამოჰგავს.

რომის ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა. აქ თავს იყრიდა იმპერიის ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებიც აქ ბედის კამათელს თამაშობდნენ, მაგრამ მათ შორის ყველას მონები სჭარბობდნენ. რომი იყო იმ დროის მსოფლიოს ყველაზე მოწინავე სახელმწიფო, რომლის საფუძველს მონათმფლობელური წყობილება წარმოადგენდა. რომის მაღაზიების, პორტების, ქარხნების, დიდი სახლებისა და პლანტაციების საქმიანობა მონათა შრომაზე იყო დამოკიდებული. ომებმა უამრავი მონა შემოყარა ქვეყანაში.

რომში ორი ტიპის მონები არსებობდნენ. ერთი იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მომუშავე მონები, რომლებიც ძალიან მძიმე ცხოვრებისეულ პირობებში ცხოვრობდნენ და სახლებში მომუშავე მონები, რომლებიც უკეთესად ცხოვრობდნენ.

საერთოდ მონები ინსტრუმენტების კლასში გადიოდნენ. იყო მოლაპარაკე ინსტრუმენტი, არამოლაპარაკე ინსტრუ-

მენტი, მუნჯი ინსტრუმენტი. პირველი იყო ადამიანი-მონა, მეორე საქონელი, მესამე კი სასოფლო-სამეურნეო ნივთები.

ახალგაზრდა იესო რომის იმპერიის მონების ცხოვრებას დიდი გულისყურით აკვირდებოდა, რადგან ისინი იქნებიან მისი მომავალი იდეოლოგიის მთავარი მატარებლები და გამავრცელებლები. სააგიტაციოდ რომის საზოგადოების სხვა ფენები, ძალიან მაღალი განვითარების დონის გამო იესოსთვის ფაქტიურად დახურული იყო.

მონებს ჰქონდათ უფლება რომის მოქალაქეები გამხდარიყვნენ. ყოფილი მონა შეიძლება კლიენტი გამხდარიყო, ეწარმოებინა ბიზნესი, შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება. ბევრ შემთხვევაში რომში და იტალიაში მაცხოვრებელი მონის შვილი თავისუფალი იყო. ეს იყო რომის იმპერიის დემოგრაფიული სიმტკიცის გარანტია. ძალიან ხშირად მონები ქმნიდნენ ღირსეულ ოჯახებს, ზრდიდნენ წარჩინებულ შვილებს, მოყვრდებოდნენ ძირძველ რომაელებთან და ზოგჯერ სენატორებიც კი ხდებოდნენ.

იტალიის გარეთ მაცხოვრებლებს რომი მოქალაქეობას არავის აძლევდა. დაპყრობილი პროვინციები იხდიდნენ გადასახადებს, რათა შეენახათ მათ ტერიტორიაზე მყოფი რომაული გარნიზონი და რომიდან დანიშნული მამასახლისი. სამაგიეროდ, რომს გაყავდა გზები და რკინის ხელით ამყარებდა მშვიდობას, ხოლო ზოგ პროვინციაში, მაგალითად, კართაგენში მოსახლეობას მონებად ჰყიდდა.

იესომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რომის იმპერიაში ბიუროკრატია ძალიან დახელოვნებული იყო და საკმაოდ დამოუიდებლებიც იყვნენ. ისინი წარმართავდნენ ქალაქებისა და პროვინციების საქმიანობას, ეკონომიკურ და სამხედრო ცხოვრებას. ეს ხალხი ინდოეთის მსგავსად ცალკე კასტად იყო ჩამოყალიბებული. კერძოდ, ბიუროკრატიის ეფექტურობა მაქსიმალურად იყო დაგეგმილი და მეტ-ნაკლებად ნეიტრალური იყო. ხელფასს ისინი ქვეყნის ბიუჯეტიდან იღებდნენ და ნაკლებად იყვნენ სიუზერენზე დამოკიდებულები. ეს გარემოება რომის იმპერიას დიდად

განასხვავებდა აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან და კავკასიისაგან, სადაც ბიუროკრატია მთლიანად მეფის ადმინისტრაციის განკარგულებაში იყო.

იგივე ითქმის რომის იმპერიის ჯარზე, რომელიც როგორც კლასი ფუნქციონირებდა სახელმწიფო კანონებითა და სენატის საშუალებით პირადად რომის იმპერიას ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, იმპერატორს ან რესპუბლიკის უფროსს ყოველთვის ყავდა თავისი პირადი დაცვა და გვარდია, მაგრამ ჯარი შეურყევლად მეფის ადმინისტრაციის გარეთ იდგა.

აუგუსტის მშვიდობის ხანაში ეკონომიკური საქმიანობა, ვაჭრობა, მევახშეობა უაღრესად საპატივსაცემო საქმიანობა იყო. ამავე დროს ვაჭარი ძალიან ენერგიული, ჯანმრთელი, მრავალ განსაცდელს გამოვლილი შეძლებული კაცი იყო. ისინი უფრო მეტად იყვნენ პატივცემულები, ვიდრე მიწათმფლობელები და ფერმერები. მაგრამ იესო მარტო ვაჭარი არ იყო. ეს მოგზაურობის დროს შეძენილი პროფესია იყო. იგი მრავალფეროვანი უფლის ქმნილება იყო. იესო დარწმუნდა, რომ თუ იგი რომის საზოგადოებას იდეოლოგიურად აიღებდა, ეს მსოფლიოს აღებას ნიშნავდა და ყველაფერი ეს მონებიდან დაიწყებოდა. იგი უკვე იქით იხრებოდა, რომ მისი ყველაზე კარგი საქმიანობა მასწავლებლობა და აგიტაცია-პროპაგანდა იყო. ხალხი მას უსმენდა და ეს მას სიამოვნებას გვრიდა. იგი უკვე რაბაი იყო. იესომ მოუხშირა ორატორთა პარკში სიარულს, უსმენდა რომაელ სახალხო მთქმელებს, თავისი თავიც მოსინჯა ორატორულ ხელოვნებაში, თან რომაელთა ოჯახებში სტუმრიანობას მოუხშირა, რადგან როგორც მჭერმეტყველი და მრავალი ენის მცოდნე და მრავლის მნახველი კაცი, მეტად სასიამოვნო მოსასმენი იყო. იესო ამით ძალიან სარგებლობდა.

რომის იმპერიაში ოჯახი სახელმწიფოს ბურჯი იყო, სადაც ოჯახის მამის უფროსობა იყო დაკანონებული. ამ კანონს „პატრია პოტესტა“ ეწოდებოდა. ოჯახი აძლევდა შვილებს რომის ფასეულობების ცოდნას. მამა იყო ამ ფასეულობებ-

ის ერთ-ერთი გამცემი. მამის განკარგულებაში იყო ოჯახის ფინანსები და მონების დასაქმება. მისი ავტორიტეტი განუზომელია. მის ხელში იყო ოჯახის წევრთა სიცოცხლე, ცოლის გარდა. მამა მძიმე გადაწყვეტილებებს კოლექტიურად იღებდა. იგი თათბირობდა პატრონთან ან კოლეგა კლიენტებთან და მეგობარ ნათესავებთან. იყო შემთხვევა, როდესაც მამამ შვილი სამშობლოს ღალატისათვის სიკვდილით დასაჯა.

რომაელებს სჯეროდათ, რომ ოჯახი დიდი ზურგია და განსაზღვრავს საზოგადოებრივ ფასეულობებს. მაგალითად, ქალი გათხოვებამდე კოკორი უნდა ყოფილიყო, ხოლო ქორწინების შემდეგ გარყვნილი ქმედებებისგან თავი უნდა შეეკავებინა.

ოჯახის მეუღლე თავისუფალი ქალი იყო. იგი გათხოვების შემდეგაც თავისი მამის განკარგულებაში იყო. ქმარს მისი სიკვდილით დასჯა არ შეეძლო. მხოლოდ საკუთარი მამის გარდაცვალების შემდეგ იყო ქალი აბსოლუტურად თავისუფალი.

რომის იმპერიაში ქალს დიდი უფლებები ჰქონდა. მას საჯარო ლექციების წაკითხვაც შეეძლო. მას შეეძლო ქმრისგან დამოუკიდებელი ბიზნესი ეწარმოებინა, შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება, აეშენებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები რომაელი მოქალაქეებისათვის, შეეძინა მაღაზია, სასტუმრო, სავარჯიშო დარბაზებიო, ბიბლიოთეკა. იგი ფინანსურად აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო. ცოლი ზოგჯერ ქმარზე მდიდარი იყო, რაც ოჯახის სიამტკბილობაზე არ მოქმედებდა.

იესო თავად ვაჭრების წრეში ტრიალებდა და ქალ-ბიზნესმენებსაც ხშირად ხვდებოდა. მოვლენებს რომ წინ გავასწროთ, ავღნიშნავ, რომ მისი მომავალი განთქმული მოწაფე მარიამ მაგდალინელი ძალიან შეძლებული ბიზნეს-ლედი იყო. იესოს ნაცნობ ვაჭრებს შორის მონებიც ბევრი იყო და გლადიატორებიც.

ვაჭრების ეთიკა უაღრესად სუფთა იყო და თითქმის პატიოსნების ქარტიად იყო ქცეული. ასევე უაღრესად პატი-

ოსან ხალხად ითვლებოდნენ ბაჟის ამკრეფლები და მევახშეები. მათი საარსებო პირობები ხელფასითა და მოგების პროცენტით იყო განპირობებული. რაც სრულიად საკმარისი იყო უზრუნველი ცხოვრებისათვის. საერთოდ რომის ბიუროკრატი ქრთამს არ იღებდა, რადგან საკმარისი ხელფასი ჰქონდა.

იესომ რომის საზოგადოების ყველა ფენას შეხვდა, პირველ რიგში, დაინტერესდა დიდი პარტიებით მოვაჭრე მეთევზეებისა, მეყასბეების, მზარეულების, მეფრინველეების და მენავე-მეთევზეების საქმიანობით; ისინი დილით თევზაობდნენ და საქმიანობდნენ, საღამოს კი დაჭერილ თევზს ჰყიდდნენ და მოგებას ითვლიდნენ. ისინი ხალისიანი ხალხი იყო, ხშირად ქეიფობდნენ და იესოს ეს ძალიან მოსწონდა.

იესომ გამოკვეთა ვაჭარი საზოგადოების აქტიური ფენის ორი ჯგუფი: ერთი იყო მევახშეები, ბაჟის ამკრეფები, ცალკეული პროფესიის ადამიანები, საცალო მოვაჭრეები, დალალები, მექანიკოსები, საკვების დამტარებლები და დამამზადებლები. მეორე ჯგუფი იყო საქმოსნების. ისინი ნაკლებად პატივსაცემი ხალხი იყო, თუმცა, საქმოსნები ანუ დალალები რომის იმპერიის ეკონომიკის მთავარი ჭანჭიკები იყვნენ.

საზოგადოებრივ იერარქიაში უფრო პატივცემული პოზიცია ეკავათ ექიმებს, არქიტექტორებს, მასწავლებლებს, დიდი პარტიებით მოვაჭრეებს, რომლებიც ნაკლებად ბარტერობდნენ. ე. ი. მოქმედებდნენ პრინციპით საქონელი, ფული, საქონელი, რის გამოც ქვეყნის ბიუჯეტში ფული სწრაფად შედიოდა.

იესომ დიდი ყურადღება დაუთმო განათლების საქმის შესწავლას რომის იმპერიაში. იგი წარმოშობით იუდეადან იყო, რომელიც რომის იმპერიაში შედიოდა. იუდეაში მოსახლეობის თითქმის 100 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნე იყო. თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო ქალაქ რომში და იტალიის სხვა მთავარ ქალაქებში.

განათლება რომში ემსახურებოდა ტრადიციული რომაული ფასეულობების განმტკიცებას. ბავშვების უმეტესობა

განათლებას სახლში იღებდნენ, მშობლებისაგან ან განათლებული მონებისაგან. მდიდარი მოქალაქეები მასწავლებლებს ქირაობდნენ. ზოგჯერ ბავშვებს 7 წლის ასაკიდან პანსიონატში აგზავნიდნენ. პანსიონატი ფასიანი იყო. რომში არ იყო უფასო სწავლება. ღარიბებს არ შეეძლოთ საბაზისო განათლების მიღება, ეს ამბავი სახლში ხდებოდა. თუმცა მრავლად იყვნენ უანგარო მასწავლებლები, რომლებიც უფასოდ ასწავლიდნენ ან თუნდაც გზაჯვარედინზე იდგნენ და გამვლელ-გამომვლელს თუ სურვილი ჰქონდა ამეცადინებდნენ, იქვე სასადილო მაგიდაზე.

პანსიონატში 4 წლიანი სწავლის შემდეგ, ნიჭიერი ბავშვებისათვის იყო მრავალი უმაღლესი 3 წლიანი სკოლა, სადაც მრავალ პროფესიას შეიძლებოდა დაუფლება.

ბავშვები სწავლობდნენ კითხვას, ბერძნულ კლასიკურ ენას. გოგონები მუსიკას, სიმღერას, ქარგვას, სადილის დროს კულტურულ საუბარს. ქალებს განსაკუთრებული მონდომებით ამეცადინებდნენ, რადგან მათ შემდეგი თაობისათვის რომის სულიერი ფასეულობები უნდა გადაეცათ. საერთოდ განათლებული ადამიანი რომში დიდად ფასობდა, თუნდაც იგი მონა ყოფილიყო. მისთვის ყველა სახლის კარი ღია იყო. საერთოდ განათლებული კაცი ღარიბი არ იყო. ითვლებოდა, რომ თუ კაცი განათლებულია, იგი ღარიბი ვერ იქნება. ღარიბი და განათლებული ვერ ამხანაგობენ ერთმანეთში.

მამა ბავშვს სამხედრო საქმეში ავარჯიშებდა. ყოველ ოჯახში იყო სავარჯიშო ოთახი. ითვლებოდა, რომ ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია და ავადმყოფობა ღმერთების სასჯელია უზნეობისა და სხვა მიზეზის გამო.

მწიგნობრობა ორატორულ ხელოვნებასაც გულისხმობდა. ეს მდიდარი ხალხის პრივილეგია იყო. ღარიბები მეტწილად წერილების წაკითხვით და მონეტების გარჩევით იყვნენ დაინტერესებულები. ასევე მათ აინტერესებდათ სახლის კედლებზე დაწერილი რეკლამები და პოლიტიკური მოწოდებები.

მამას ბავშვი საჯარო გამოსვლებზე დაყავდა, რათა

მას მჭერმეტყველების პრაქტიკა მიეღო. რიტორიკამ იესო ძალიან დააინტერესა. მიხვდა, რომ როგორც ციცერონი აღნიშნავდა, მოწინააღმდეგეს უნდა ეშინოდეს შენი ლაპარაკის და ეს იესომ კარგად დაიმახსოვრა.

რიტორიკა, ფიზიკურ ძალასთან ერთად რომში კარიერული გამარჯვების გარანტიას იძლეოდა. ამავე დროს, წერა-კითხვისა და ადამიანურ საუბარს უნარის გარეშე რომის მოქალაქე ვერ გახდებოდი. ესეც იესომ კარგად დაიმახსოვრა და მომავალში თითქმის ყველა მისი მოწაფე ფიზიკურად ძლიერი და შესანიშნავი მჭერმეტყველი იყო.

იესო აგრძელებდა რომის შეცნობას. აუგუსტის მშვიდობის ხანის რომის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა იყო ჩვეულებრივი რომაელების ცხოვრება. როდესაც იესო რომში ჩავიდა შესაძლოა რომის მოსახლეობა ნახევარ მილიონზე მეტი, შეიძლება ერთი მილიონი მოსახლე იყო. ასეთი დიდი ქალაქი დედამიწის ამ რაიონში მხოლოდ 1700 წელს გახდა ლონდონი.

რომის ქუჩები გადატვირთული იყო. ყველა ცდილობდა, რომში ჩასვლას, რადგან ყველა გზა რომში მიდიოდა. იმ დროის რომის ჩვეულებრივი სურათი იყო ქუჩის საცობები, კარეტების ბორბლების ღრჭიალი, ჯიკაობა, რიგში დგომა, მოკირწლულ ქუჩებზე გამავალი ურიკების რაკა-რუკი, ყვირილი, მაგრამ არა ლანძღვა. რომში ერთმანეთს ლანძღვისას შესაძლებელია ადგილზევე მოეკლათ. ამას ჩვეულებრივი გამვლელი გააკეთებდა და გზას გააგრძელებდა.

რომაელების უმეტესობა მრავალსართულიანი სახლების მომცრო ბინებში ცხოვრობდნენ. ეს კომერციული ბინები იყო. მათ 3-5 თვეში აშენებდნენ პირველ სართულზე ჩვეულებრივ მაღაზიები, ბარები და რესტორნები იყო განლაგებული. კედლებზე ეწერა რეკლამები, მესიჯები, პოლიტიკური მოწოდებები, პერსონალური შეურაცხყოფები.

რაც უფრო მაღალ სართულზე იყო აპარტამენტი, მით უფრო იაფი იყო. გადასახადი ყოველდღიური იყო. მაღლა ღარიბები ცხოვრობდნენ. ბევრ სახლს მაღლა ტუალეტი

არ ჰქონდა და კარში ვედროებში ან ტაშტებში გადიოდნენ. ზოგ სახლს ჰქონდა ე. წ. სესფით ანუ ხვრელი რომლის საშუალებითაც განავალი მეხუთე სართულიდან განსაკუთრებულ რეზერვუარში ხვდებოდა. ვედროები სპეციალურად დაქირავებულ ხალხს ჩამოჰქონდათ. მეგანავლეს პროფესია მნიშვნელოვნად ითვლებოდა და კარგადაც უხდიდნენ. ზოგჯერ ზარმაცი მაცხოვრებლები განავლით და შარდით სავსე ვედროს ფანჯარაში ცლიდნენ და გამვლელებს თავზე ასხამდნენ. შესაძლოა სწორედ ასეთ ინციდენტში მოხვდა იესო, როდესაც ქუჩაში სეირნობდა ფანჯრიდან გადმოსხმული სიბინძურე ისე ძლიერად შეეხო, რომ მარტო თვალებიღა დარჩა სუფთა. შესაძლოა ამის მერე თქვა მან, რომ „სხეულის ლამპარი თვალია, თუ სუფთა თვალი გაქვს, მთელი შენი სხეული სუფთაა“ (ლუკა 11:34).

დღე-ღამის განმავლობაში რომში 60 ტონამდე განავალი გროვდებოდა, რაც დიდ სირთულეებს ქმნიდა. ძველი წელთაღრიცხვის 33 წელს ანუ დაახლოებით იმ დროს, როდესაც იესო მოევლინა ქვეყნიერებას, აუგუსტის გენერალმა მარკუს აგრიპამ საგრძნობლად გააუმჯობესა რომის საკანალიზაციო სისტემა და ახლა განავალი პირდაპირ მდინარე ტიბრში მიდიოდა.

რომში ყველა კვარტალში იყო მოედნები, რომლის შუაგულში აკვედუკების საშუალებით შადრევნები იყო მოწყობილი. რომაელები აქ ვედროებით წყალს იღებდნენ და შემდეგ მაღალ სართულებზე ეზიდებოდნენ მათ. ამზადებდნენ სადილს, ასე მიდიოდა რომის ცხოვრება კომერციულ სახლებში.

სანიტარული კულტურა ვერ ეწეოდა ცხოვრებას. ხალხი ზოგჯერ მკვდარ ადამიანებს და ცხოველებს ქუჩაში ტოვებდნენ. მათ ქალაქის მუნიციპალური სერვისი უვლიდა. უამრავი ბუზი ხელს უწყობდა ავადმყოფობის გავრცელებასდ. მაცივრების არ არსებობას გრილი სარდაფები ცვლიდა, მაგრამ მაინც ტონობით პროდუქტი ფუჭდებოდა, რომელთა უტილიზაცია ზოგჯერ დროულად არ ხდებოდა.

მრავალბინიანი სახლები იმითაც იყო საშიში, რომ მოსახლეობა დამტვრეულ ჭურჭელსდა და ავეჯს ფანჯრიდან ქუჩაში ისროდა, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა გამვლელებისათვის. ყველაფრის ფანჯარაში სროლის ტრადიცია დღემდე ფრიად პოპულარულია რომში განსაკუთრებით ახალი წლის ღამეს. ხანდახან სახლები ინგრეოდნენ. რომის ინჟინრები ზოგჯერ ცდებოდნენ.

მდიდარი რომაელები თავს მშვენივრად გრძნობდნენ. მათ ბინებში ტუალეტიც იყო, წყალიც და აბანოც. ამავე დროს რომში ფართოდ იყო გავრცელებული სახალხო აბანოების ქსელი. აბანოებში ხალხი ყოველდიურად დადიოდა, ეს იყო სავარჯიშო ადგილი, სასაუბრო და ფაქტიურად სახალხო კლუბები. ქალებიც დადიოდნენ აბანოებში, მაგრამ მათ ცალკე განყოფილება ჰქონდათ.

აუგუსტის მშვიდობის ხანაში რომში უძლიერესი საპოლიციო განაყოფები და მეხანძრეთა რაზმები შეიქმნა. მათ ძალიან გააიოლეს რომაელთა ცხოვრება.

ბევრი ღარიბი რომაელი მოქალაქე სახელმწიფო დახმარებას იღებდა. გამოთვლილია, რომ აუგუსტის ხანაში რომის 250.000 მოქალაქე ეკონომიკურ დახმარებას იღებდა. სტატისტიკა აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის წევრებთან ერთად სოციალურად დაუცველთა დახმარება 600-700 ათას ადამიანს მოიცავდა. ისინი იღებდნენ ხორბალს, ღვინოს, ლობიოს, ყველასა და ხახვს. მდიდარი რომაელები მიირთმევდნენ შემწვარ ღორს, წიწაკას, რომელიც თავისი წონა ოქრო ღირდა, თაფლს, ძმარს, ზღვის პროდუქტებს.

აუგუსტის ადმინისტრაცია ქვეყნის მოსახლეობის გამრავლებაზეც ფიქრობდა. მათ გამოსცეს კანონი ქორწინების განმტკიცებისა და გამრავლების შესახებ. სამი და მეტი შვილის პატრონ ოჯახს პრივილეგიები მიენიჭათ. გარყვნილება დანაშაულად გამოცხადდა, ხოლო პროსტიტუცია სამუშაოდ აუგუსტუსი საქმეს ისე სერიოზულად უდგებოდა, რომ თავისი ერთადერთი ქალიშვილი სექსსკანდალის გამო ოჯახიდან გააძევა.

დიდ ყურადღებას უთმობდა კეისარ აუგუსტუსი ხუროთ-მოძღვრებას და სანახაობებს. ე. წ. „პური და სანახაობე-ბი“ იყო მთავარი გართობა რომში. ამ მხრივ გამორჩეულ როლს თამაშობდა უდიდესი ქმნილება კოლიზეუმი. ამბობდ-ნენ, „While Stands the Colosseum, Rome shall Stand“. ამ გი-განტურ შენობაში 50 ათასი კაცი იკრიბებოდა და წელი-წადში 150 სანახაობა იმართებოდა, ზოგჯერ წარმოდგენების დროს ერთბაშად ხუთი ათასი ცხოველი იღუპებოდა. იესო კოლიზეუმში ერთ-ერთ უდიდეს გლადიატორულ ბრძოლას დაესწრო, რომელშიც 700-მდე ადამიანი მონაწილეობდა. საერთოდ გლადიატორთა ბრძოლას დიდძალი ხალხი ეს-წრებოდა. იგი იმდენად პოპულარული იყო, რომ ხშირად უმაღლესი ფენის რომაელებიც იღებდნენ მონაწილეობას. გლადიატორთა სიკვდილიანობა ფრიად გაზვიადებულია. არენაზე მეტწილად მონაწილეობას იღებდნენ მონები, ომის ტყვეები, სიკვდილმისჯილი კრიმინალები. ხანდახან მათ მფლანგველთა შვილებიც უერთდებოდნენ. ისინი დილიდან საღამომდე ვარჯიშობდნენ და დიდების მოხვეჭას ლოცუ-ლობდნენ. სიკვდილით მხოლოდ კრიმიმალები ისჯებოდნენ. კარგი გლადიატორი ძვირად ფასობდა, ასე იოლად მას არ კლავდნენ. საბოლოოდ ისინი თავისუფლებას მოიპოვებდნენ და ღირსეულად აგრძელებდნენ ცხოვრებას.

იესომ კარგა ხანი დაყო რომში, გაეცნო რომის ძალიან უბრალო და მოხერხებულ რელიგიასაც. რომაელები გაყვ-ნენ რელიგიის ბერძნულ მოდელს და ლოცულობდნენ იგივე ღმერთების ბერძნულ ღვთაება ზევსი, ლათინურად იუპი-ტერი იყო. იგი არის მეტად მკაცი მამა. მისი მეუღლე არის ჰერა, ლათინურად იუნუსი. იგი დედოფალი ღმერთია. მე-სამე ღმერთი იყო მინერვა, რომელიც ბერძნული ათენას პროტოტიპია. ეს სამი ღვთაება იყო რომაული ტაძრების მთავარი გმირები. მათ გარდა იყვნენ სხვა ღმერთებიც. მაგალითად, ომის ღმერთი მარსი, ოჯახის მცველი ღმერთი ვესტა, რომელიც „ოჯახის სულთან“ ერთად იცავდა „წინა-პრების სულს“. იყო სოფლის მეურნეობის ღვთაება, ავად-

მყოფობის თავიდან ასაცილებელი ღვთაება, ცხოველების გასამრავლებელი ღვთაება და ა. შ.

რომაული ტრადიციული ყველა ღმერთი მიმართული იყო ეროვნული უშიშროების და ადამიანური მორალის განსამტკიცებლად.

იესოს საკმარისზე მეტი ფული ჰქონდა. იგი შეძლებული კაცი იყო. ამიტომ მან რომის პორტ ოსტიის მახლობლად სახლი იყიდა, რომელსაც მშვენიერი ბაღი ჰქონდა. იესომ კვლავ ვაჭრობა დაიწყო ოსტიაში. იგი მრავალ დალალს ესაუბრა, რომლებისგანაც ბევრი სავაჭრო ინფორმაცია გაიგო. მართალია იესო რომის მოქალაქე არ იყო, მაგრამ საკურთრების ქონების უფლება მას ჰქონდა.

იესომ ხუთი ხომალდი ააგო და ღვინით დატვირთა. რომის იმპერიაში ღვინით ვაჭრობა ძალიან ხელსაყრელი ბიზნესი იყო. იმპერიაში ძალიან ბევრ ღვინოს სვამდნენ. ფაქტიურად ღვინო თავისი წონა ოქრო ღირდა. ადრე იესომ კოლხეთიდან ჩამოტანილი 150 ამფორა ღვინო საბერძნეთში მშვენივრად გაყიდა. კოლხური ღვინო თხელი ღვინო იყო. იესოს კიდევ ჰქონდა 20 ამფორა იბერიული მძიმე ღვინო, რომელიც ხარს წააქცევდა. და ძალიან კარგი გემო ჰქონდა. ახლა ეს ღვინო და კიდევ ბევრი სხვა ღვინო იესომ ბითინიაში იყიდა და რომში გაგზავნა. სამწუხაროდ, ხუთივე ხომალდი ქარიშხალში მოყვა და მასზე მყოფი კაპიტნებითა და ეკიპაჟებით ღვინო დაიღუპა. ნეპტუნმა 30 მილიონი სესტერცი ჩაყლაპა ერთ დღეში.

თქვენ ფიქრობთ, რომ იესო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო? სრულიადაც არა. ყველაფერი უფლის ხელში იყო. ამავე დროს იესომ იცოდა სად რა ეყიდა და სად რა გაეყიდა და როგორ.

იესომ ახალი ფლოტი ააშენა, უფრო დიდი, უკეთესი, საიმედო, კარგი წყალწყვის და კოლხი მეზღვაურებით დაკომპლექტებული. დიდი გემი დიდი ძალა იყო. ახალი გემები იესომ დატვირთა ღვინის ახალი პარტიით, ზედ ბეკონი, ლობიო, პარფიუმერია და მონები დაამატა. ამჯერად უფალი

და ვაჭრების ანგელოზი მის მხარეს იყო. საერთოდ უფალი შეუპოვარი და მტკიცე ხასიათის ადამიანების მხარეს არის. სუსტსა და მშიშარას მხარს არ დაუჭერს. იესო თავად გაყვა ამ სავაჭრო მოგზაურობას და ჩავიდა რომში. შედეგი მშვენიერი იყო. რეისმა წინა ხარჯები მთლიანად ამოქაჩა და კიდევ დამატებით 10 მილიონი სესტერსი მოგება დატოვა.

იესომ როგორც ვაჭარმა და მასწავლებელმა საპატიო ადგილი დაიკავა იმ დროის ლევიტანელ, არამეულ, სირიულ და ბერძენ ვაჭრებს შორის.

როგორც ავღნიშნეთ, იესოს დროს რომი მილიონიანი ქალაქი იყო. ქუჩები სავსე იყო მოქალაქეებით და ასევე ნაგვით, რომლებიც შემდეგ წვიმას ელოდნენ რომ გადარეცხილიყვნენ. ყველა ადრე წვებოდა, მაგრამ ღამე ხმაურიანი იყო. იესოს დროს რომი 24-საათიანი ქალაქი იყო. ბევრს დღე ეძინა და ღამე მუშაობდა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. რომის ადმინისტრაციამ აკრძალა ღამით პროდუქტების გადაზიდვა, მაგრამ ამაოდ ბიზნესი თავისას მოითხოვდა. დიდ მაღაზიებს პროდუქტი უნდა ჰქონოდათ, რადგან ოჯახის ქალები დილით დადიოდნენ საყიდლებზე. ფორუმის ახლოს გადიოდა გზა, რომლითაც სოფლებიდან რომში ვირებითა და ჯორებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სავსე ურიკებს ეზიდებოდნენ. იესომ ამ ამბავს ყურადღება მიაქცია და ღამის ბიზნესი დაიწყო, რომელიც ფრიად მომგებიანი იყო.

ფორუმის აღმოსავლეთით მდებარე ქუჩები პედლერებით იყო სავსე. შემდეგ წვრილმანი მოვაჭრეების და მეყასბეების რიგები მოდიოდა. ქუჩები სავსე იყო ჩინური და სირიული საქონლით. შემდეგ იწყებოდა მედალაქეებისა და სილამაზის სალონები. მარსის ველზე მეისონები მოედანს აპირკეთებდნენ, აქ ხელოსნები იკრიბებოდნენ. იყო ბაბილონელი წინასწარმეტყველების უბანი. ისინი ქალდეველები და ასტოლოგები იყვნენ. იესო მათი ხშირი სტუმარი იყო. აქ ყველა ერის ხალხი ერია, მაგრამ ყველას მონები აჭარბებდნენ.

იესოს ყველაზე მეტად აბანოები და წიგნის მოყვარულ-

თა შესაკრები ადგილები მოსწონდა. აბანო იყო გიმნაზია, მაღაზია, ბაღი, ბიბლიოთეკა, სკულპტურული გალერეა, აქ იყვნენ მექსიკები, მირონის მაცხებლები, კოსმეტოლოგები. იესოს დროს რომში 170-250 თერმული აბანო იყო. შემდეგ მათი რიცხვი 1000-მდე ავიდა. სექსისათვის განსაკუთრებული საათი იყო გამოყოფილი. იესო ასევე მოხიბლული იყო და დიდხანს იდგა ხოლმე არმილეტუმის გასწვრივ, სადაც კვალიფიცირებული რომაელები ან განათლები მონები საჯაროდ კითხულობდნენ ცნობილ ნაწარმოებებს. ხალხი ეცნობოდა აგრეთვე ახალ ხელნაწერებს, რომლებიც კვალიფიცირებული მონების მიერ იყო გადაწერილი.

როგორც ავღნიშნეთ მიუხედავად იმისა, რომ იესო რომის მოქლაქე არ იყო, მან მშვენიერი მამული შეიძინა, გახდა ბატონი, ააშენა რამდენიმე სახლი, იყიდა მონები და საქონელი, ხელსაყრელი ბიზნესი დაიწყო. რასაც არ შეეხო ყველაფერი თაფლი გახდა.

შემდეგმა სავაჭრო რეისებმა იესოს სიმდიდრე კიდევ უფრო გაზარდა და იგი ფინანსურად სრულიად დამოუკიდებელი გახდა. დაისვა საკითხი, რომ მისთვის როგორც დამოუკიდებელი თავისუფალი კაპიტალისტისათვის რომის მოქალაქის სტატუსის მინიჭების შესახებ. რომის მოქალაქე რომ გამხდარიყავი, საჭირო იყო ორი ღირსეული რომის მოქალაქის რეკომენდაცია. ერთ-ერთი მათგანი სასურველია სენატორის კლიენტი უნდა ყოფილიყო.

რაღაც მიზეზების გამო იესომ რომის მოქალაქის სტატუსის მიღებისაგან თავი შეიკავა. იმ დღეებში იგი სატირული თეატრის წარმოდგენებს ესწრებოდა. მას ძალიან მოსწონდა წარმოდგენები „მშიერი ბერძენის თაღლითობები“ და „ორონტეს ტყუილები“, სადაც ძალიან გაშარჟებული ყიო რომის მოქალაქედ გახდომის მსურველი პერსონაჟები. ასევე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში რომის მოქალაქეს პრივილეგია ჰქონდა. მას ჯვარზე გაკვრის მაგივრად თავს მოკვეთავდნენ, რაც იესოს გეგმებში არ შედიოდა. იესოს რატომღაც კრიმინალების დასჯიდან ყველაზე მეტად ჯვარზე

დასჯა მოსწონდა და რამდენჯერმე დაესწრო აპუას გზაზე ყაჩაღების ჯვარზე გაკვრას.

იესო აგრძელებდა მეცადინეობას, ეცნობოდა მსოფლიოს დედაქალაქს, ვაჭრობდა. ხომალდებით ეზიდებოდა საქონელს. საერთოდ ცნობილი იყო რომ საქონლის ზღვით ტრანსპორტირება უფრო იაფი იყო, ვიდრე შესანიშნავი რომის იმპერიის გზები, რომელთა სიგრძე 200.000 მილს აჭარბებდა. მაგალითად, 1200 ფუთიანი ხორბლით დატვირთული ორთვალას ვირებითა და ჯორებით 300 მილზე გადაზიდვა ორჯერ უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ხომალდით იგივე რაოდენობით ტვირთის გადაზიდვა, თუმცა არსებობდა საზღვაო კატასტროფების რისკი.

იესო თითქმის ერთი წელი დარჩა რომში და დაიკავა შუა პოზიცია როგორც აღმავალი კაპიტალისტური კლასის წარმომადგენელმა მიწათმფლობელი არისტოკრატების შემდეგ, მაგრამ ღარიბების წინ. იგი უკვე იმ კლასში შევიდა, რომელიც ძალაუფლებისათვის იბრძოდა. იესომ გენიალურად განსჭვრიტა რომ იგი როგორც კაპიტალისტური კლასის წარმომადგენელი იმპერიაში სრულ ძალაუფლებას აიღებდა თუ მისი ახალშექმნილი იდეოლოგი დაამარცხებდა მიწათმფლობელი და მონათმფლობელი არისტოკრატიის იდეოლოგიას.

იესო საშუალო კლასის წარმომადგენელი გახდა და არც გახდა. იგი გარდამავალი კლასის წარმომადგენელი შეიქმნა. მან გაათვითცნობიერა რომ იგი შესძლებდა ძალაუფლების აღებას რომში თუ მხედრებისა და არისტოკრატიის მრავალღმერთიან იერარქიას აჯობებდა და როდესაც ეს გაარკვია ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. მას უკვე რომში აღარაფერი ესაქმებოდა. რომის აღება პერიფერიიდან უნდა მომხდარიყო და მან ასეთი პერიფერიის ძებნა დაიწყო.

იესოს მოგზაურობა სკანდინავიაში და დიდ ბრიტანეთში

ოდნავი ფიქრის შემდეგ იესომ ყველა თავისი მამული, სახლი და ხომალდი გაყიდა, ფულად აქცია და რომის პორტ ოსტიადან კორსიკის გავლით მარსელში მიმავალ ხომალდზე აიღო ბილეთი. ხომალდზე დაახლოებით ასამდე მგზავრი იყო. იმ დროის ტრადიციით მგზავრების უმეტესობა ღამეს გემბანზე ათევდა, მაგრამ თუ წვიმა წამოუშენდა მაშინ ისინი მრავალრიცხოვან კაიუტებს მიაშურებდნენ, რომლებიც მეტწილად სავაჭრო საქონლით იყო სავსე. ერთ-ერთ კაიუტაში ასევე იესოს საქონელი ელაგა. იგი მარსელის ერთ-ერთი სავაჭრო სახლის თხოვნით იყო შეძენილი.

ერთ მშვენიერ საღამოს უკვე როდესაც მარსელს უახლოვდებოდნენ, იესომ ჩრდილოეთის ვარსკვლავი დაინახა, რომელიც მას მიანიშნებდა რომ იგი დიდ ბრიტანეთში და სკანდინავიაში უნდა გამგზვარებულიყო. ეს აზრი იოსეს მას შემდეგ განუმტკიცდა, როდესაც უკვე მარსელში სანაპიროზე სეირნობის დროს შეხვდა ერთ ახალგაზრდა მოგზაურს, რომელიც ოჯახური ტრადიციით მეწაღე იყო. მალე იესო და ახალგაზრდა მოგზაური მარსელის მეზღვაურთა ტავერნაში შევიდნენ, სადაც მნიშვნელოვანი საუბარი შედგა. ახალგაზრდა მოგზაურს აჰასფერი ერქვა და იგი დიდი ბრიტანეთიდან მოდიოდა.

„რა ნახე ბრიტანეთში?“ შეეკითხა იესო, როდესაც ტავერნის კუთხეში ბნელ მაგიდას შემოუსხდნენ.

„კარგი მხარეა, ნაყოფიერი, ნაწილობრივ უკვე ლათინიზირებულია“, მიუგო აჰასფერმა და ნუმიბიელ მიმტანს მოუხმო.

„ხალხი როგორია?“ თქვა იესომ და ტავერნის შუაგულში მჯდარ პირენეის იბერიელებს შეხედა, რომლებიც უკვე მთვრალები იყვნენ და იატაკზე ფეხებს აბაკუნებდნენ.

„მე მხოლოდ დრუიდები მაინტერესებდნენ“, თქვა აჰასფერმა.

„ფრენა იციან?“ ჩაეძია იესო და მარჯვედ აიცილა

იბერიელთა მაგიდიდან გამოსროლილი ღვინით სავსე ჯიხვის ყანწი.

„ფრენის შესახებ არ ვიცი, მაგრამ დიდი ასტრონომიული ცოდნა კი აქვთ“, მიუგო აჰასფერმა.

„კერძოდ?“

„წამოსვლის წინ სულ ორიონის თანავარსკვლავედს სჭვრეტდნენ და მის შემოგარენს ზომავდნენ“.

„რატომ?“

„მათი აზრით იქ შესაძლებელია, რომელიღაც დიდი ღმერთის სახლია“.

„შენ როგორ ფიქრობ?“ დაინტერესდა იესო და მოახლოებულ ნუმიბიელ მიმტანს ანიშნა შეიცადეო.

„ვფიქრობ, რომ დრუიდები ორიონს ტყუილად არ უყურებდნენ. იქ რაღაც ხდება, რაც ჩვენს პლანეტაზე ახდენს გავლენას“.

„ახლა სად მიდიხარ?“

„იერუსალიმში“.

„იქ ცხოვრობ?“

„კი. ქალაქის გასასვლელთან. გოლგოთისაკენ მიმავალ გზაზე“, თქვა აჰასფერმა და უხერხულად შეიშმუშნა.

„როგორ ჩახვალ?“

„აქედან პირდაპირი გემია“.

„ვისი გემია?“

„ვაჭარ იოსების, ამბობენ არიმატეადან არისო“.

„ვიცნობ მაგ კაცს. ჩემი ნათესავია“, თქვა იესომ.

„მდიდარი კაცია, ბრიტანეთში დიდი სიმდიდრეები აქვს“, დაამატა აჰასფერმა.

„ღვინოზე დაგპატიჟებ, თან დრუიდებზე მომიყევი მეტი“ შესთავაზა იესომ და ნუმიბიელს ანიშნა ერთი დოქი ღვინო მოგვიტანეო.

„კეთილი უარს არ ვიტყვი“, დაეთანხმა აჰასფერი და ნუმიბიელიც დავალების შესასრულებლად დახლისაკენ გაემართა.

გავა წლები და ეს ორი კაცი კვლავ შეხვდება ერთმანეთს.

ამ შეხვედრის შემდეგ ერთი გოლგოთაზე წავა, ხოლო მეორე კი ათასწლოვან მოგზაურობაში. და მას ხალხი „მოხეტილე ურიას“ შეარქმევს. მას მისჯილი აქვს მუდმივი ხეტიალი და ეს გაგრძელდება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე.

რამდენიმე დღის შემდეგ იესო თავის ნათესავ იოსებ ამირატელს შეხვდება. იოსები იყო ბიანკასა და ანნას ძმა. შეგახსენებთ, რომ ანნა იყო მარიამის დედა ანუ იესოს ბებია, რომელიც მამამისს იოსებს ცხოვრების ერთ მომენტში არცთუ ისე ღირსეულად მოექცა. ასე რომ, იოსებ ამირატელი იესოს ბებიის ძმაა. რადგან იოსებ ამირატელი ანნაზე 11 წლით უმცროსი იყო, იესო მას ბიძას ეძახდა. მოგვიანებით სწორედ მან იყიდა იესოს ჯვარცმული სხეული, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდება.

ახლა კი იესო გაყვა რა ჩრდილოეთის ვარსკვლავს გალეთის, კალეგატისა და სკაგერატის სრუტეების გავლით სკანდინავიაში ჩავიდა, სადაც რამდენიმე ადგილას იმოგზაურა. იესომ ნახა ადამიანთა ძლიერი და მკაცრი რასა, ვიკინგები, რომლებიც მოგვიანებით ნახევარ მსოფლიოს დაიპყრობენ, მათ შორის რუსეთისაც, მაგრამ იმ დროს ისინი ნაკლებად ებრძოდნენ მეზობელ ხალხებს და ჩრდილოეთის მძვინვარე ღმერთის ტორსა და ოდინს მსახურობდნენ. მალე იესო ვიკინგ ვაჭრებს დიდ ბრიტანეთში გაყვა და ლონდონიუმში ჩავიდა. ეს მხარე სკანდინავიასთან შედარებით მეტად დაწინაურებული იყო.

ინგლისში ებრაელების დიდი კოლონა იყო. ისინი უძველესი დროიდან ფინიკიელებთან ერთად ცხოვრობდნენ დიდ ბრიტანეთში და ტყვიითა და თუნუქით ვაჭრობდნენ.

ებრაელი ვაჭრები იოლად ცურავდნენ პალესტინიდან გლადსტონბერიში, სადაც ებრაული თემის სამლოცველი იყო. იგი თანდათან სინაგოგად, შემდეგ კი ეკლესიად გადაკეთდა, რომელიც იესოს სახელს უკავშირდება. არ არის გამორიცხული, რომ ეკლესიის ფუნდამენტის სიმბოლურ ჩაყრაში იესომაც მიიღო მონაწილეობა, ან თუნდაც ააშენა.

იესომ დიდ ბრიტანეთში სხვადასხვა ადგილები მოინ-

ახულა. რას ეძებდა იგი? რატომ მოგზაურობდა ამდენს? შესაძლოა იგი მუდამჟამ ახლის ძიებაში იყო, რადგან ვინც მოძრაობს და ადგილიდან ადგილზე გადადის, ის იღებს მეტ ინფორმაციას. იესომ ინახულა პენზანსი, ფალმაუთი, როზლენდი და ლუე. ეს დასახლებები გლადსტონბერისა და კორნვილისთან ერთად სომერსეტის მიწებზე მდებარეობდა.

სწორედ ამ რაიონებში ჰქონდა იესოს ბიძას იოსებ არიმატელს 2000 აკრი მიწა, რომელიც მას ინგლისის მაშინდელმა მმართველმა გადასცა. (ზოგიერთი ცნობით მას ბელი ერქვა). იოსები იმდენად პატივსაცემი კაცი იყო, რომ მამულებზე სახელმწიფო გადასახადს არ იხდიდა.

იესოს ბიძამისის სიგელი ჰქონდა, რომელიც მან მარსელში მიიღო და ამ სიგელის ძალით იგი ებრაელ ვაჭრებში მიღებული კაცი გახდა. ებრაელი ვაჭრები ბერძნულად და არამეულად სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ. ეს ენები იოსებმაც იცოდა და ეს აადვილებდა მის საქმეს.

იოანე მახარობელი თავის წიგნს ასე ამთავრებს: „და იყო კიდევ ბევრი ამბავი, რომელიც იესომ გააკეთა“ (იოანე 21:25). ეს ამბები სახარებებში არ წერია, რადგან ძველმა მამებმა ისინი კანონიკურად არ მიიჩნიეს, მაგრამ სინამდვილე სულ სხვაა. მოგვიანებით წმინდა გრაალის ძებნის დროს იესოს დიდ ბრიტანეთში ყოფნის მრავალ კვალს წააწყდნენ.

საქმე იქამდე მვიიდა, რომ ზოგიერთი კომენტატორი სვამდა კითხვას, იცოდა თუ არა იესომ წერა-კითხვა. ისინი სვამდნენ კითხვას თუ რატომ იესომ თავად არ დაწერა წიგნი, რომელიც ნათელს მოჰფენდა ყველაფერს, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მახარებელ ლუკას მე-4 თავის მე-16-21 აბზაცებში სწერია, რომ იესომ წერაც იცოდა და კითხვაც. ეს უნარი მან ნაზარეთის სინაგოგაში აჩვენა, როდესაც წინასწარმეტყველ ესაიას შესახებ ნაწყვეტები წაიკითხა. ასევე ცნობილია რომ მან წერილი მისწერა მეფე აქმარს, რომლის სამეფო სადღაც დღევანდელი თურქეთის ადგილას მდებარეობდა, მაგრამ იყო თუ არა იესო წიგნების ავტორი?

როდესაც იესო პალესტინაში ჩავიდა, მას წიგნების

დაწერის დრო არ ჰქონდა. მისი ცხოვრებისეული გრაფიკი იუდეაში ძალიან დაძაბული იყო. იგი მამის გეგმის რეალიზაციაზე მუშაობდა. „წიგნები თუ დაწერა ეს ინგლისში მოხდებოდა, რადგან იქ რამდენიმე მშვიდი წელიწადი გაატარა“, ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის შოტლანდიელი მკვლევარი დოქტორი სთრაჩანი. იგი ასევე ფიქრობს, რომ იესო ინგლისში ჩავიდა განათლებისა და უძველესი სიბრძნის შესაძენად. ეს სიბრძნე კი დრუიდებს ჰქონდათ. არის დამაჯერებელი საბუთები, რომ მათ ერთბაშად ორ სხვადასხვა ადგილას ყოფნა შეეძლოთ. ეს კი ორმაგი დეპორტაცია იყო.

საერთოდ დიდ ბრიტანეთში იმდენი ამბავი მოხდა, რომ რამდენიმე წიგნიც კი ვერ აღწერს მათ. მათ შორის რა თქმა უნდა, მთავარია იესოს დაინტერესება დიდ ბრიტანეთში მაცხოვრებელი ხალხებით, რომლებიც ისრაელის დაკარგული 12 ტომის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. კერძოდ, ეფრემი და მანასე ფუძემდებლები უნდა ყოფილიყვნენ ბრიტანელი და შემდეგ კი შეერთებული შტატების მოსახლეობისა.

თავდაპირ იესო ფიქრობდა რომ უფლის გეგმის განხორციელება სკანდინავიიდან, დანიიდან ან დიდი ბრიტანეთიდან დაიწყო. იესოს აზრით ამ ქვეყნებში ებრაელთა ერთ-ერთი დაკარგული ტომი დანი სახლობდა. ასევე იესომ კარგად იცოდა იერემიას, იოანე ნათლისმცემლისა და თავისი როლი ისტორიაში. პირველი ორი მისი მეკვლეები იყვნენ. მაგრამ იერემია პირველი იყო. სწორედ იერემიას, 17 წლის ყმაწვილს უთხრა უფალმა მეტად ამაღელვებელი სიტყვები:

„მანამდე გიცნობდი ვიდრე მუცელში შეგქმნიდი და განგწმინდე ვიდრე საშვილოსნოდან გამოხვიდოდი, ხალხის წინასწარმეტყველად გაქციე“ (იერემია 1:5), მერე უფალმა იერემიას ბაგეზე ხელი დაადო და უთხრა:

„...დღეს დაგაყენებ ხალხებზე და სამეფოებზე, რათა ამოძირკვო, დაანგრიო, მოსპო და დაამხო, ააშენა და დარგო“ (იერემია 1:9,10)

ამრიგად ეს ყმაწვილი ბიჭი ერების უფროსად დაინიშნა და საფუძვლები შექმნა, როგორც იოანე ნათლისმცემელმა,

იესოს მოსვლისა და მოღვაწეობისა. იესო ამას გრძნობდა, მაგრამ მოვლენების თანმიმდევრობას ჯერ-ჯერობით კარგად ვერ არკვევდა. იგი ძიების პროცესში იყო.

იესომ იცოდა, რომ იერემია თავის მდივან ბარუხთან და ისრაელის მეფე ზედეკის ქალიშვილთან თი-თეფთან ერთად ეგვიპტეში ჩავიდა, საიდანაც შემდეგ მოვლენების განვითარების გამო დანიაში, და მერე კი ირლანდიაში გადავიდა დანის ტომის კოლონისტებთან ერთად. ამ დროს იერემია უკვე თეთრწვერა მოხუცი იყო.

ძველი ანალებისა და ტრადიციების მიხედვით ირლანდიაში რამდენჯერმე ჩავიდნენ ებრაელი კოლონისტები, ჯერთ 700 წელს ძველი წელთაღრიცხვით, შემდეგ 569 წელს და სამეფო დინასტია დააარსეს. პოლიტიკური სირთულეების გამო სამეფო სახლი და ებრაელი კოლონისტები შოტლანდიაში გადავიდნენ და ბოლოს ინგლისში გამაგრდნენ. ასე, რომ დიდი ბრიტანეთი ძირძველი ებრაული გავლენის სფეროდ ითვლებოდა, მაგრამ აღთქმულ მიწაზე მიმდინარე პროცესები მაინც მთავარი იყო. იესომ ებრაელთა ყველა კერა მოინახულა დიდ ბრიტანეთში ყოფნის დროს, მაგრამ მაინც ყურადღება თავის სამშობლოზე გადაიტანა.

იესო იუდეაში იმიტომ გამოჩნდა, რომ პირველ რიგში ებრაელი ხალხის უფალთან ურთიერთობის საკითხი უნდა გადაეჭრა და ყველა მისი მოგზაურობა ამ მიზანს ემსახურებოდა. „როდესაც ცოდნა მატულობს სიბრძნე გასაგები ხდება, ანუ „ბევრი დაიწყებს ძიებას და გამრავლდება ჭეშმარიტი ცოდნა“ (დანიელი 12:4).

კორნვილში ებრაელთა დიდი კოლონა იყო. ისინი ვაჭრობასთან ერთად თავიანთ მთავარ საქმიანობას, ადგილობრივი მოსახლეობის მონიტორინგს ახორციელებდნენ. სწორედ მათი საშუალებით დაუკავშირდა იესო დრუიდებს. კორნვილის ებრაელებს ადგილობრივები „სარაცინებს“ ეძახდნენ. ისინი მეტალით ვაჭრობდნენ. როდესაც იესო დრუიდებზე გავიდა, გადაწყდა, რომ ცოდნის შეძენა ორმხრივი იქნებოდა. იესო დრუიდებს ასწავლიდა ორ რამეს და

თავის მხრივ დრუიდები თავის ცოდნას გაუზიარებდნენ იესოს ლევიტაციის, ტრანსმუტაციისა და ტელედეპორტაციის შესახებ.

იესომ დრუიდებს შესთავაზა: „ჭეშმარიტებას მეუბნებით, რომ აქ მდგომთაგანი ზოგიერთები არ იგემებენ სიკვდილს, სანამ არ იხილავენ კაცის ძეს თავის სამეფოში მომავალს“ (მათე 16:28).

მეორე საკითხი რომელსაც მე შეგასწავლით არის მონღოლეთის გობის უდაბნოში მცხოვრები ჭიის „ოლჰოი ჰორჰოის“ ამბავი. „მე ვიყავი გობის უდაბნოში და ეს საკითხი ადგილზე შევისწავლე“, დასძინა იესომ.

„ეს არის მსოფლიოში უდიდესი ჭია 2-5 ფუთის სიგრძისა და კარგი ძეხვის სისქისაა. „ოლჰოი ჰორჰოის“ აქვს ელექტრონული მუხტები და შეუძლია მათი დისტანციაზე ტყორცნა. მათი ელექტროშოკი იმდენად ძლიერია, რომ ათი-თხუთმეტი ფუთის მოცილებით შეუძლია აქლემისა და მასზე მჯდომი კაცის მოკვლა, მე თქვენ ამ ორ ამბავს მოგიყვებით, მათ საიდუმლოებას გაგაცნობთ, თქვენ კი თქვენი საიდუმლოებების ზოგიერთი რამე გამიზიარეთ“, შესთავაზა იესომ დრუიდებს.

„კიდევ რაიმე დაამატე“, მოითხოვეს დრუიდებმა.

„კარგით. კიდევ კოლხური „ოქროს საწმისის“ შესახებ მოგიყვებით. დიდი ხანი არ არის, რაც იქიდან ჩამოვედი“, თქვა იესომ.

დრუიდები დათანხმდნენ და მხარეებმა ხელი ხელს დაჰკრეს.

ეს იყო ცოდნის შეძენისა და მხარეების გამოცდილების გაზიარებოს შესანიშნავი შეხვედრები. იგი რამდენიმე დღეს გაგრძელდა, რომლის დროსაც ბევრი საინტერესო მოვლენა მოხდა.

რაც შეეხება „ოქროს საწმისის ამბავს“ იგი მომავალი საუკუნეების განმავლობაში სადავო საკითხი იქნება. ხოლო დრუიდებს კი იესომ უთხრა შემდეგი:

„ებრაელი ხალხის უფალთან შეთანხმების ხელშეკრულება მოთავსებულია ოქროს კიდობანში, სადაც მოსეს მიერ

მოპოვებული ათი მცნების ფირფიტებთან ერთად ინახება ოქროს წარმოშობის, მისი ფენომენის, ბევრი სხვა საიდუმლოებები და უფლის გეგმა ებრაული ხალხის მიმართ მეორედ მოსვლის დროს. ამჟამად ებრაელი ხალხის ოქროს კიდობანი ინახება საიდუმლო ადგილას.

„ოქროს საწმისი“ ისეთივე დანიშნულების ნივთია, რაც „ოქროს კიდობანი“. იგი არის ვერძის ტყავზე დაწერილი ან პაპირუსზე დაწერილი და ვერძის ტყავში შენახული ოქროს ფხვნილის საიდუმლოება, ასევე ეგვიპტელი, არაბი, ქალდეველი, ასურელი და კოლხი ჯადოქრების საიდუმლო ნაშრომები ბუნების საიდუმლოებების შესახებ. იქვე არის „ფილოსოფიური ქვისა“ და „ზურმუხტის ფირფიტების“ სიბრძნეები, უფლის გეგმა კაცობრიობის მისამართით. „ოქროს საწმისი“ შენახულია კავკასიონის მიუვალ ადგილას მდებარე „პანდემონეუმის“ ცისფერი ყინულის სასახლეში, რომელიც როგორც ჩანს ლუციფერს ეკუთვნის, თუმცა დაზუსტებით ამის თქმა ძნელია“, დაასრულა თავისი საუბრები იესომ.

იულიუს კეისარი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც თეთრ სამოსელში გამოწყობილი დრუიდების საქმიანობა აღწერა. ისინი უძველესი კელტების მღვდლები იყვნენ.

დრუიდები კელტებს შორის ცხოვრობდნენ და განათლებულთა კასტა იყო. ჰგავდნენ მესოპოტამიელ ქალდეველებსა და ინდოელ ბრაჰმანებს. განათლების მოყვარულთა ძალაუფლების წარმოშობის მიზეზები იესოსათვის ფრიად გასაგები იყო. ასე გახდნენ მესოპოტამიაში და ინდოეთში ქვეყნის უფროსები ქალდეველები და ბრაჰმანები.

დრუიდებისათვის, ისევე როგორც ქალდეველებისათვის საყვარელი საქმიანობა იყო ბრძოლა და მეცადინეობა. ბრძოლებში დრუიდები სწორუპოვრები იყვნენ. ისინი საბრძოლო კარეტებით იბრძოდნენ. ყვიროდნენ, ლურჯად იღებებოდნენ და საბრძოლო ხელოვნების საიდუმლოებებს ერთმანეთს გადასცემდნენ.

კელტები ბუნების შვილები იყვნენ. ისინი თაყვანს სცემდნენ ცას, მზეს, მთვარეს, ზღვას. კელტები თვლიდნენ,

რომ არსებები რომლებიც მათ მართავდნენ ისეთივე იყვ-ნენ, როგორც ისინი, მაგრამ უფრო ძლიერები. ისინი მრავ-ალი ღმერთის მიმდევრები იყვნენ, ისევე როგორც პატივს სცემდნენ უამრავ სულს, რომლებიც მდინარეებში, ტბებში და უდაბურ ტყეებში ცხოვრობდნენ. მათ ზოგჯერ ცხოვე-ლებსა და ადამიანებსაც კი სწირავდნენ. მსხვერპლშესაწ-ირებს მოწნულ კალათაში სვამდნენ და წვავდნენ, ზოგჯერ კი დანებით კლავდნენ.

კელტების აზრით ადამიანის სული თავშია მოთავსე-ბული და დარწმუნებულები იყვნენ, რომ სხეულმოკვეთილი თავი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს. იგი სხეულის გარე-შეც კარგი მრჩეველი იყო და თან დაატარებდნენ. რომაელი მწერალი დიოდორუსი აღნიშნავდა, რომ კელტები ძალიან უფრთხილდებოდნენ ტროფეულ თავებს და მათ იგივე წონა ოქროშიც კი არ ცვლიდნენ. ბრძოლების შემდეგ კი მათ სარზე ჩამოაცმევდნენ და ბანაკის შესასვლელში დაასობდ-ნენ ხოლმე.

კელტები, დრუიდების აზრების ცხოვრებაში გამტარე-ბლები იყვნენ. ისინი ნაბიჯს არ დგამდნენ დრუიდების რჩე-ვის გარეშე. კელტებს ისევე როგორც დრუიდებს სწამდათ სიკვდილის შემდეგი ცხოვრება, რომ სული სიკვდილის შემ-დეგ ერთი სხეულიდან მეორეში გადადიოდა. ეს ინდურ გარ-დახორციელების თეორიას ჰგავდა, რაც ბუდიზმის საფუძ-ველი გახდება.

დრუიდები დიდ გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, რომ-ლის წინ მუხა უნდა მდგარიყო. მათი საცხოვრებელი ადგილი და მუხა წმინდა ადგილებად ითვლებოდა. დრუიდებს ღრმად სჯეროდათ რეინკარნაციის. ისინი იყვნენ ფილოსოფოსები, მოსამართლეები, მასწავლებლები. შუამავლები ღმერთსა და ადამიანებს შორის. ცოდნას სიტყვიერად გადასცემდნენ, ნა-კლებად წერილობით. იულიუს კეისარის აზრით, დრუიდები უფრო სწავლულები იყვნენ, ვიდრე მღვდლები და ძალიან სამართლიან ხალხად ითვლებოდნენ.

მოგვიანებით მათ საქმიანობას სთოუნჰეჯს უკავშირე-

ბენ, მაგრამ ეს მართალი არ არის, დრუიდები 2400 წლის წინათ ცხოვრობდნენ. სთოუნჯეკი კი 5-4 ათასი წლის არის. ასე, რომ მათ შროის დროის დიდი ნაპრალია და უფალმა ვინ დაასაქმა სთოუნჰეჯში ჯერჯერობით არავინ უწყის.

დრუიდებთან და კორნველის ებრაელთა თემთან ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ იესო საპორტო ქალაქ ლონდონში დაბრუნდა, რომელიც მდინარე თემზაზე მდებარეობდა. ახლა მთავარი იყო თავისი ის მიზანი განეხორციელებინათ, რომელიც უკვე თანდათანობით იკვეთებოდა ჰორიზონტზე. იესო უკვრ 26-28 წლის ლამაზი აგებულების ვაშკაცი, გამოცდილი მოგზაური და ვაჭარი, მეზღვაური და მქადაგებელი იყო. ლონდონიდან იგი ებრაელი ვაჭრების ხომალდით ალექსანდრიისაკენ გაემართა. მზად ბისკაის ყურეში მათი ხომალდი სასტიკ ქარიშხალში მოყვა. გემს ანძები დაემტვრა. იგი უმართავი გახდა და ჩაძირვა დაიწყო. ამ საბედისწერო მომენტში იესომ შესძლო ჰაერში ასვლა, მაგრამ არნახული სიძლიერის ქარის გამო ფრენა შეუძლებელი იყო და იესო დიდის გაჭირვებით კვლავ ხომალდზე დაეშვა, რომელიც მალევე ჩაიძირა. მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფა ნაპირიდან ძალიან შორს მოხდა, იესომ მოახერხა ნაპირზე გასვლა, მაგრამ მთელი მისი აურაცხელი სიმდიდრე ზღვამ შთანთქა. გადარჩა მხოლოდ მომცრო ქისა, რომელიც წელზე ჰქონდა შემორტყმული. სამწუხაროდ, ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა და ამბის მიმტანი მხოლოდ იესო იყო, მაგრამ ვისთვის მიეტანა ამბავი, ცნობილი არ იყო. იგი ხომ მარტო იყო ამ ქვეყნად თავის ციურ მამასთან ერთად.

იესომ გადასერა მთელი იბერიის ნახევარკუნძული და ჩავიდა კართაგენელების მიერ დაარსებულ პორტ ნოვო კართაჯეროში, საიდანაც ალექსანდრიაში გაემგზავრა. ეს მისი ბავშვობის ქალაქი იყო, სადაც მამამისი იოსები სახლის ბანზე, ეგვიპტის ცის ქვეშ თავისი დაბადების საიდუმლო ამბებს უყვებოდა.

იესომ მონახა თავისი ბავშვობის სახლი. გაესაუბრა სახლის ახალ მფლობელებს, რომლებიც ასევე დურგლები იყვნენ, შემ-

დეგ ავიდა ბანზე და საათობით გაჰყურებდა ორიონის თანავარსკვლავედს, საიდანაც ეჭვი ჰქონდა, რომ იყო მოსული.

შემდეგი რამდენიმე თვე იესომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში წაიმუშავა, რომელიც მოგვიანებით მისმა მიმდევრებმა გადაწვეს. იესო დიდხანს დადიოდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის პარკში და წარსულ წლებზე ფიქრობდა. ფიქრობდა მამაზე, დედაზე, და-ძმებზე და იმ ანგელოზთან შეხვედრაზე, რომელიც ძალიან მალე უნდა მომხდარიყო. ეს აუცილებელი შეხვედრა იყო, რომლის გარეშეც მისი მისია ვერ გამოიკვეთებოდა.

უკვე ცხადი ხდებოდა, რომ მის საქმეებში სატანა იყო ჩარეული. იგი ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა. ეჭვი არ იყო, რომ როდესაც იგი 13 წლის ასაკში აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ გაემგზავრა იგი სატანას მიმდევრებმა წაიყვანეს.

„ეს ამბავი მოგვიანებით ქრისტიანმა მამებმა საგულდაგულოდ დამალეს. ყველა დოკუმენტი მოსპეს. მათი გეგმა იყო არქანგელოზ სატანასგან ქრისტიანების დიდი მტრის ხატის შექმნა და ეს მათ წარმატებით შესძლეს.

აღმოსავლეთის ქვეყნებში იესო დიდ სიბრძნეს ეზიარა, მათ შორის დაეუფლა ლევიტაციას, ანუ ზეცაში ასვლისა და ფრენის ხელოვნებას. ამ საგანში იესომ დიდ წარმატებას მიაღწია და კონკურენციას უწევდა სატანას სხვა ცნობილ მფრინავ მოწაფეს სვიმონ მაგნუსს.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ფონდები, სადაც ახლა იესო მუშაობდა და ადრე მამამისი იოსები იყო ხშირი სტუმარი, სატანამ შეავსო. სატანა თავად მუშაობდა ამ ბიბლიოთეკაში, სადაც პერგამონიდან სხვადასხვა ღონისძიებებით 200 ათასი ხელნაწერი გადმოიტანა. ბიბლიოთეკის ფონდების შესავსებად სატანამ ასეთ ხერხს მიმართა. ის ხომალდი, რომელიც ალექსანდრიის ნავთსადგურში ღუზას ჩაუშვებდა, განბაჟების საფასურად ერთი ხელნაწერი ტექსტი უნდა გადაეცა მესაზღვრისათვის. და ასე შეიქმნა ეს დიდებული ბიბლიოთეკა, ცოდნის ტაძარი სადაც ჯერთ კიდევ ჩვილი ბავშვი მამამისმა იოსებმა რამდენჯერმე მიიყვანა. ასე იხსენებდა

იესო ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წიგნის საცავებს და სამკითხველო დარბაზებს, დაჰყურებდა იმ მაგიდას, სადაც მამა იჯდა და იგი ხელში ეჭირა, კითხულობდნენ ტექსტებს და მერე ბაღში სეირნობდნენ, ხოლო იმ მაგიდაზე, სადაც ისინი იჯდნენ ადრე ან მათ შემდეგ სატანა იჯდა, რაც იესოსთვის ძალიან მიუღებელი იყო.

იესომ ეს ამბები მშვენივრად გაიხსენა, ამავე დროს ისიც იცოდა, რომ მისმა ერთგულმა მიმდევრებმა დიდი მკრეხელობა ჩაიდენეს, მათ გადაწვეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. პირველი საუკუნის ბარბაროსი ქრისტიანების აზრით, რაც უფრო გაუნათლებელი იქნებოდა ადამიანი, მით უფრო უკეთესად შეისწავლიდა ქრისტეს მიმდევრების მწყობრ ცოდნას. ამიტომ როდესაც მათ დრო იხელთეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკა როგორც „სატანის ბუნაგი“ გადაწვეს, რითაც აურაცხელი ზარალი მიაყენეს კაცობრიობას. ასეთივე ნგრევა-წმენდა ჩაატარეს ქრისტიანებმა სხვა ქვეყნებში, კერძოდ ევროპაში და კავკასიაში.

ალექსანდრიიდან იესო ეგვიპტის სამეცნიერო აკადემიურ ქალაქ ჰელიოპოლისში (მზის ქალაქი) გაემართა. ეგვიპტელი აკადემიკოსების ამ ქალაქში საუკუნეებით ადრე თავად აბრაჰამი შუა მდინარეთის და ასტროლოგიის შესახებ კითხულობდა ლექციებს. ასევე მოიქცა იესო. ყველა ფრიად კმაყოფილი დარჩა მისი ცოდნითა და ანალიზის უნარით, რომელიც მან აღმოსავლეთის ქვეყნებში და დიდ ბრიტანეთში შეიძინა.

ჰელიოპოლისის შემოგარენში მდებარე სარიტუალო ცენტრში იესო ეგვიპტისა და ხემელთაშუა ზღვის შვიდ ბრძენ ადამიანს შეხვდა, შევიდა ჰეოფსის დიდ პირამიდაში და უძველესი თეთრი საძმოს წინაშე ფიცი დადო. ამ დროისათვის იესოსათვის ცნობილი გახდება თუ ვინ იყო იგი, საიდან მოვიდა და რა ამოცანა ეკისრებოდა მას.

სწორედ ამ ამბების შემდეგ იყო, რომ იესოს ყოველთვის უმაღლესი ხარისხის თეთრი ფერის სამოსი ეცვა, ვირიც თეთრი ფერის ყავდა და აქლემიც. იესო ყველას მოუწოდებდა რომ თეთრი სამოსი ჩაეცვათ. იესოს მომხრეები დარწმუნებულე-

ბი არიან, რომ როდესაც იესო მეორედ მოევლინება დედამიწას, იგი და მისი ყველა თანმხლები ანგელოზი თეთრ სამოსში იქნებიან გამოწყობილები, თავად იესო თეთრ რაშზე იქნება ამხედრებული, ხოლო თვალების გასწვრივ თეთრი მახვილი იქნება გაწონასწორებული წვერით პირდაპირ, ყველა შავ სამოსელში გამოწყობილი კულტის მსახურნი კი გეენას ცეცხლში დაიწვებიან, როგორც შავი სამღვდელოება.

გავა წლები და იესო, იოანე მახარობლის ხელით დაწერილ წერილში, რომელიც მცირე აზიის ქალაქ სარდის ქრისტიანულ თემს გაუგზავნის აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ფერის სამოსში ხარ გამოწყობილი.

წერილში იესო არ მოუწონებს სარდის მოსახლეობას რომ ისინი ძვირფასი შავი ქსოვილით ვაჭრობენ. ეტყვის მათ, რომ ნუ წაიწყემედენ თავს და თუ იესოსთან ყოფნა უნდათ, იარონ თეთრ სამოსში, რადგან ასე უფრო ღვთისნიერია. იესომ წერილში აღნიშნა: „მაგრამ გყავს სარდისში რამდენიმე კაცი, რომლებსაც კარგი სახელი აქვთ და არ წაუბილწავთ თავიანთი ტანსაცმელი. ისინი ჩემთან ერთად ივლიან თეთრებში, რადგან ღირსნი არიან... მძლეველი თეთრი ტანსაცმლით შეიმოსება. მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან... და ვაღიარებ მის სახელს მამაჩემის წინაშე... ვისაც ყური აქვს მოისმინოს...“ (გამოცხადება 34:5,6).

იესო, როგორც ქრისტიანული ეკლესიის საქმრო, ქორწილის დროს რომელიც მერედ მისვლის შემდეგ ზეცაში გაიმართება თეთრ სამოსში იქნება გამოწყობილი და არც ერთი შაოსანი, არც კაცი არც ქალი იქ არ დაიშვება. ამავე დროს კიდევ ავღნიშნავთ, რომ ლევიტები როდესაც ისინი ტაძარში იმყოფებიან, ასევე თეთრი ფერის სამოსში არიან გამოწყობილები, რადგან თეთრი ფერი წმინდა ფერად ითვლება. თეთრი ფერი სიცოცხლის ფერია, შავი ფერი კი სიკვდილის. იგი კოსმოსის ფერია, სადაც სიცოცხლე არ არის.

ჰელიოპოლისში იესომ კვლავ გააგრძელა მონდომებული მეცადინეობა, შეისწავლა და უმაღლესი ხარისხი მიიღო შემდეგ საგნებში: ერთგულებაში, სამართლიანობაში, რწმენაში,

ფილანტროპიაში, გმირობაში, ზეციურ კანონმდებლობაში, ეგვიპტის საიდუმლოებების საფუძვლებში, სიკვდილ-სიცოცხლის შეხედულებების კლასიფიკაციაში და მზის მიღმა სამყაროს ისტორიაში.

ამის შემდეგ იესო მზად იყო და სრულყოფილად იყო მომზადებული ზეციური მამის დავალების შესასრულებლად და დედამიწის გასაბედნიერებლად.

ასე გახდა იესო, იეშუა ბენ ჯოზეფიდან (იოსების შვილიდან) იეშუა ჰამაშიაშად ანუ იესო ქრისტედ (მესია-მხსნელად).

იუდეას რამდენიმე პოლიტიკური სურათი იესოს მოსვლამდე და მის შემდეგ

რომის იმპერიის შემადგენლობა იუდეა ცუდათ არ ცხოვრობდა. ხალხი არ შიმშილობდა. ვაჭრობა მუშაობდა. კრიმინალი შეზრუდული იყო. სოლომონის დიდებული ტაძარი აღდგენილი იყო. მიუხედავად ამისა, იუდეველები ძალიან განიცდიდნენ დამოუკიდებლობის დაკარგვას. რომის იმპერიის ყოველგვარი სიკეთე დედინაცვლის ალერსს ჰგავდა. მხოლოდ რელიგიური საქმიანობა იყო შეუზღუდავი. რომი დაპყრობილი ხალხების იდეოლოგიურ მუშაობაში არ ერეოდა თუკი იგი ადამიანის მსხვერპლშეწირვას არ ითვალისწინებდა.

იუდეაში ძალიან მღელვარე პოლიტიკურ-რელიგიური ცხოვრება იყო. ებრაელები დიდის გულისყურით ელოდნენ მესიის გამოჩენას, რომელიც ღვთიური ძალის, მაგრამ ადამიანური წარმოშობის უნდა ყოფილიყო. ამის თაობაზე მთელი იუდეას საზოგადოება ფიქრობდა. ზოგჯერ გამობრძმედილი და ცოდნით სავსე ებრაელებსაც კი მერყეობისა და გაურკვევლობის გრძნობა ეუფლებოდა. ისინი ფიქრობდნენ:

1. უფალმა ხომ არ მიგვატოვა?

2. უფალმა ნამდვილად შეასრულა თავისი პირობა აბრაჰამისა და მოსეს წინაშე სამუდამოდ გადმოეცა ჩვენთვის აღთქმული ქვეყანა?

3. სამარადჟამო სამეფო, რომელიც მეფე დავითს შეჰპირდნენ როდესმე შესრულდება?

4. ბოლოს და ბოლოს, როდის მოვა ჩვენი მხსნელი მესია, რათა დედამიწას უხელმძღვანელოს?

ეს საკითხები ძალიან აღელვებდა ებრაელების მეტად რელიგიურ საზოგადოებას. ყველაზე მთავარი მათ შორის კი „მესიის“ საკითხი იყო. წინასწარმეტყველი იერემია გვეხმარება უკეთესად წარმოვიგინოთ „მესიის“ ფენომენი:

„აი, დადგება დრო“, ამბობს იეჰოვა, „როცა დავითს აღვუდგენ მართალ ყლორტს. იმეფებს მეფე, გონივრულად

მოიქცევა და სამართალსა და სიმართლეს აღასრულებს ქვეყანაში... მის დროს გადარჩება იუდა და უსაფრთხოდ იცხოვრებს ისრაელი. აი სახელი, რომელსაც უწოდებენ მას. იეჰოვა ჩვენი სიმართლე“ (იერემია 23:5,6).

ამრიგად, იერემიას მიხედვით მესია „...იმეფებს გონივრულად... და სამართალსა და სიმართლეს აღასრულებს ქვეყანაში...“ აგრეთვე, „...გადარჩება იუდა და უსაფრთხოდ იცხოვრებს ისრაელი“.

ტერმინი „მესია“, ანუ როგორც ებრაელები ამბობენ „ჰამაშიაშ“, ნიშნავს მირონცხებულსა და ეფუძნება ებრაულ ტრადიციებს მეფისათვის ტახტზე საზეიმოდ ასვლის წინ ზეთის ცხებას! ეს მეფე უძლეველი სარდალი უნდა იყოს, რომელიც ებრაელების მხსნელი და თავისუფლების მიმნიჭებელი იქნება.

ებრაული ტრადიციით „ჰამაშიაშს“ აქვს მკაცრი კრიტერიუმები. თუ „ჰამაშიაში“ არ ჯდება ამ კრიტერიუმებში, იგი „ჰამაშიაში“ ანუ მესია არ არის. კრიტერიუმები ანუ მოთხოვნები ბევრია და ისინი საუკუნეების წინ ჩამოყალიბდა.

ებრაელი ხალხი ყოველთვის ელოდა მესიას ანუ ხსნას, რადგან საშიშროება ყოველი მხრიდან არნახული ძალით ემუქრებოდა და ეს გაგება იუდაიზმის მთავარი საყრდენია.

ებრაელთა აზრით, მესია უნდა იყოს დიდი პოლიტიკური ლიდერი და მამის ხაზით მეფე დავითის ჩამომავალი. ხშირად კომენტატორები მესიას, დავითის შვილს ანუ „ჰამაშიაშ ბენ დავითს“ უწოდებენ. იგი უნდა იყოს მოსეს კანონმდებლობის კარგი მცოდნე და როგორც ესაია აღნიშნავს (ესაია 11:1-4) უნდა ემორჩილებოდეს ათ მცნებას.

იგი უნდა იყოს მგზნებარე ლიდერი და თავისი მაგალითით აღაფრთოვანოს თავისი მიმდევრები. ებრაელთა მესია უნდა იყოს უდიდესი სამხედრო სარდალი, რომელიც ისრაელის სასარგებლოდ მოიგებს ყველა საპრობლემო ბრძოლას, უცხოელთა ბატონობისაგან განათავისუფლებს ებრაელებს, დაამარცხებს ისრაელის ყველა მტერს და შექმნის თორას მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ ისრაელის სამეფოს. იმავ-

დროულად როგორც ამას იერემია აღნიშნავს იგი უნდა იყოს შესანიშნავი მოსამართლე, რომელიც ყოველთვის უჩვეულო, მაგრამ სამართლიან გადაწყვეტილებებს მიიღებს. უჩვეულო იმიტომ, რომ მესია ღვთიურ გადაწყვეტილებებს მიიღებს და როგორც ბიბლია აღნიშნავს ის, რაც ხალხისათვის თითქოსდა სამართლიანია, იგი ღვთისათვის მიუღებელია და პირიქით.

ამავე დროს, მესია უნდა იყოს ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, არა ღმერთი ან ნახევრად ღმერთი ან ზებუნებრივი არსება. ეს არსება ჯერთ წყნარად არის, ჩვეულებრივად ცხოვრობს და ეს აუცილებლად უნდა ხდებოდეს ებრაულ საზოგადოებაში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებას იწყებს და ყველა დაინახავს მის მესიანურ, ზებუნებრივ შესაძლელობებს, რომელიც არა ღვთიურ, არამედ, ადამიანურ შესაძლებლობებზე იქნება დაფუძნებული.

ყოველ თაობაში იბადება მესიის პოტენციის მქონე რამდენიმე პირი, მაგრამ მათი შესაძლებლობების გახსნა მოხდება მხოლოდ შესაბამის დროს და ის იქნება ერთი. როგორც მრავალი წლის შემდეგ მოშე მაიმონიდი აღნიშნავს, „მე მოველი მის მოსვლას ყოველ დღე“. ეს იქნება დღე, როდესაც ყველა ებრაელი ერთი და იგივე დღეს მოინანიებს, ან როდესაც მთელი ებრაელობა ერთი და იმავე დღეს შაბათს მგზნებარედ ილოცებს, ან როდესაც მთელი ებრაელობა ზედიზედ ორჯერ წარმატებით ჩაატარებს შაბათ დღეს, ან როდესაც მთელი თაობა მთლიანად იქნება უდანაშაულო, ან მთლიანად ცოდვილი, ან როდესაც მთელი თაობა დაკარგავს იმედს, ან როდესაც ბავშვები მასიურად მიაყენებენ შეურაცხყოფას მშობლებს და პირიქით, როდესაც ყველა ებრაელი მშობელი მასიურად დაიწყებს თავისი შვილების ხასიათის დათრგუნვას, კიდევ სხვა მრავალი შემთხვევა უნდა მოხდეს, რომ მესიის მოსვლის კრიტერიუმები ერთმანეთს დაემთხვეს.

ახლა ვნახოთ თუ რა მოვალეობები და ამოცანები აქვს მესიას თუკი იგი არის მესია.

მესიის მოსვლის წინ, როგორც წინასწარმეტყველი ეზეკიელი აღნიშნავს, იქნება დიდი ომი და ტანჯვა.

მესია მოახდენს ებრაელი ხალხის სულიერ და ფიზიკურ გამოსყიდვას, ყველა ებრაელს სამშობლოში ჩაიყვანს და აღადგენს იერუსალიმს (ესაია 12; იერემია 23:8; ნოსეა 3:4,5).

მესია დააარსებს თორაზე დაფუძნებულ მთავრობას, რომელიც იქნება მსოფლიო მთავრობის ცენტრი, როგორც ებრაელებისათვის ისე არაებერაელებისათვის (ესაია 11:10; 42:1).

იგი აღადგენს იერუსალიმის სოლომონ დიდის ტაძარს და აღასრულებს მღვდელთმსახურებას იქ (იერემია 33:18).

იგი აღადგენს ისრაელის რელიგიური სასამართლო სისტემას და დააფუძნებს თორას კანონებს.

ჩვენ ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი. მესია უცბათ არ შეიცნობა, არამედ მხოლოდ მის მიერ გაკეთებული საქმეების ბოლოს. როდესაც ნათელი გახდება, რომ ყველა კრიტერიუმი ერთმანეთს დაემთხვა და ყველა საქმე შესრულდა. მესიას ბევრი ამოცანა თავმოყრილია „მძიმე“ წინასწარმეტყველ ესაიას დიდებულ წიგნში. ქვევით არის რამდენიმე მათგანი.

ესაია მიანიშნებს, რომ მესია აღადგენს სანჰედრინს (ესაია 1:26). „ის სამართლიან განაჩენს გამოიტანს. ერებს შორის და საქმეებს მოაგვარებს მრავალი ხალხისათვის. ისინი თავიანთი მახვილებისგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისაგან – სასხლავებს. ერი ერზე აღარ აღმართვს მახვილს და აღარ ისწავლიან ომს“ (ესაია 2:4).

მთელი მსოფლიო თაყვანს სცემს ისრაელის ღმერთს (ესაია 2:11-17).

მესია იქნება მეფე დავითის ჩამომავალი სოლომონის ხაზით (ქრონიკა 22:8-10).

იგი იქნება სრულყოფილი ადამიანი, რასაც ესაია ასე აღწერს:

„მასზე დაივანებს იეჰოვას სული, სიბრძნისა და გაგების სული, რჩევისა და ძლევამოსილების სული, ცოდნისა და იეჰოვას შიშის სული“ (ესაია 11:2).

ბოროტება და ტირანია მას წინ ვერ აღუდგება:

„სამართლიანად გაასამართლებს საწყლებს და სიმართლით ამხილებს ხალხს დედამიწის თვინიერთა გულისთვის. დაჰკრავს დედამიწას თავისი პირის კვერთხს; თავისი ბაგეების სულით დახოცავს ბოროტებას“ (ესაია 11:4).

უფლის ცოდნით აივსება ქვეყნიერება.

„მგელი ბატკნის გვერდით დაისვენებს ხოლმე... ძროხა და დათვი ერთად მოძოვენ... ძუძუთა ბავშვი კობრას ხვრელთან ითამაშებს... ზიანს აღარ მოიტანენ და აღარაფერს მოსპობენ მთელ ჩემს წმინდა მთაზე, რადგან დედამიწა იეჰოვას ცოდნით აივსება, როგორც ზღვა წყლითაა სავსე“ (ესაია 11:6-9).

მესია ერთმანეთისაკენ მიიზიდავს ყველა ერებსა და მათ კულტურებს.

„იმ დღეს იესეს ფესვი ნიშნად იდება ხალხებისათვის. ყველა ხალხი მას მიმართავს ხელმძღვანელობისათვის და დიდებული იქნება მისი მოსასვენებელი ადგილი“ (ესაია 11:10) მაშასადამე ესაია თავის წიგნში თითქმის ზუსტად მიუთითებს იესოს სახელს მრავალი საუკუნით ადრე მის გამოჩენამდე და ამბობს: „იმ დღეს იესეს ფესვი ნიშნად იდება ხალხისთვისო“.

ყველა ებრაელი თავის სამშობლოში დაბრუნდება.

„ის ნიშანს აღმართავს ერებისათვის და შეკრებს გაფანტულ ისრაელებს. შეკრებს გაფანტულ იუდეველებს დედამიწის ოთხივე ხიდიდან“ (ესაია 11:12).

როგორც ადრე შევნიშნეთ მესია არ უნდა იყოს ზებუნებრივი არსება, მაგრამ უნდა ფლობდეს ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმუმს. მისი ხელმძღვანელობის დროს შესაძლებელი გახდება სიკვდილის მაქსიმალური შეზღუდვა და თვით დამარცხებაც.

„სამუდამოდ შთანთქავს სიკვდილს და ყველა სახიდან მოსწმენდს ცრემლს...“ (ესაია 25:8).

ყველა მკვდარი აღსდგება კვლავ:

„გაცოცხლდებიან შენი მკვდრები, წამოდგებიან ჩვენი გვამები. გაიღვიძეთ და სიხარულით შესძახეთ მტვერში დამკვიდრეულებო...“ (ესაია 26:19).

ყველა ებრაელი სამუდამოდ გახარებული და ბედნიერი იქნება.

„დაბრუნდებიან იეჰოვას მიერ გამოსყიდულები და მხიარული შეძახილებით მივლენ სიონში... გაქრება მწუხარება და ოხვრა“ (51:11).

იგი იქნება მშვიდობის მახარებელი (ესაია 52:7).

ყველა ერები აღიარებენ და დამწუხრდებიან თუ რაიმე ცუდი გაუკეთეს ებრაელებს.

„თვითონ ატარა ჩვენი სნეულებები, იტვირთა ჩვენი ტკივილები. ჩვენ კი გაუბედურებულად, ღვთისაგან ჭრილობამიყენებულად და დაჩაგრულად ვთვლიდით მას“ (ესაია 53:4).

მსოფლიოს ერები ებრაელებისაკენ შემობრუნდებიან როგორც სპირიტუალური ანუ სულიერი ხელმძღვანელობის მისაღებად.

„აი რას ამბობს ლაშქართა ღმერთი იეჰოვა; იმ დროს ყველა ენის ხალხიდან ათი კაცი მოეჭიდება იუდეველთა კალთას და ეტყვის: თქვენთან ერთად წამოვალთ, რადგან გვსმენია რომ თქვენთან არისო ღმერთი“ (ზაქარია 8:23).

ისრაელი მესიის ხელმძღვანელობით ძალიან მდიდარი ქვეყანა გახდება. ამის მიზეზი იქნება ის, რომ მწირი და უნაყოფო მიწა უხვი მოსავლის მიწად იქცევა (ესაია 53:2).

ასეთი თვისებებით უნდა იყოს შემკული მესია და ასეთი საქმეები უნდა გააკეთოს მან რომ მირონცხებული მესია გახდეს.

ისრაელის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დაახლოებით ოცდაათზე მეტი მესიის კანდიდატი გამოჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა კრიტერიუმების, ამოცანებისა და დროის გამოცდას ვერ გაუძლო.

გამოჩენილი ებრაელი მეომარი და სწავლული ფლავიუს ჯოზეფუსი მესიასთან დაკავშირებულ რამდენიმე შემთხვევას თავის წიგნში „ებრაელთა ანტიკურობის“ შესახებ ასე აღწერს:

„ერთმა მატყუარა კაცმა, რომელიც წარმოშობით სამარიტელი მჭერმეტყველი იყო, თავისი გამჭრიახი მოსაზრე-

ბებით შეცდომაში შეიყვანა ხალხი, მეტწილად სამარიტელე-ბი. მან დაარწმუნა ისინი, რომ მასთან ერთად წასულიყვნენ გერიზიმის მთაზე, რომელიც სამარიტელი მჭერმეტყველის აზრით ყველაზე წმინდა მთა იყო მსოფლიოში. მან დაარწმუ-ნა ხალხი, რომ მთაზე ასვლისთანავე აჩვენებდა მათ წმინდა ქოთანს, რომელიც მოსეს მიერ იყო იქ ჩაფლული. ამ კაცმა დაარწმუნა მსმენელები თავისი მოთხრობის სინამდვილეში და ხალხის დიდი ჯგუფი გაემართა სოფელ ტირათანასკენ საიდანაც ისინი მთაზე აცოცებას გეგმავდნენ. მაგრამ სანამ ისინი ამ მსვლელობას დაიწყებდნენ იუდეას პროკურატორ-მა პილატემ დაბლოკა მათი პროექტი. პილატემ ცხენოსან-თა რაზმით გადაკეთა მთაზე ასასვლელი. მას ასევე ჰყავდა მძიმედ შეიარაღებული მეომრებიც, რომლებმაც რამდენიმე პირველად მოსულები მოჰკლეს, ტყვედაც ბევრი აიყვანეს, ხოლო ყველაზე გავლენიანი მათ შორის სამარიტელი მჭ-ერმეტყველი სიკვდილით დასაჯეს. ეს ამბავი მოხდა იესოს ჯვარცმის შემდეგ, ჩვენი წელთაღრიცხვის 30 და 75 წლებს შორის“. წერს ფლავიუს ჯოზეფუსი.

ამ ამბავის შემდეგ კიდევ მრავალი ასეთი შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც ხალხი მონდომებული იყო ენახ-ათ სასწაული, ასევე ძალიან უნდოდათ მისალმებოდნენ მე-სიას. ასეთი არეულობის დროს რომაელები მოწადინებულე-ბი იყვნენ მორიდებოდნენ ზედმეტ მღელვარებას და მის მოთავეებს სიკვდილით სჯიდნენ. არის უტუარი ცნობა, რომ სამარიტელ მჭერმეტყველს სამარიტელმა უფროსებმა უჩივ-ლეს რომის ადმინისტრაციაში რომ მჭევრმეტყველი სამარ-იტელი ძალიან სასტიკი არისო და ამის გამო დასაჯეს იგი სიკვდილით.

სამარიტელი წინასწარმეტყველის გარდა მოხდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელსაც კვლავ ფლავიუს ჯოზეფუსი აღწერს:

„ერთმა გაიძვერა თვითმარქვიამ რომელსაც თეუდა-სი ერქვა დაარწმუნა ხალხის დიდი მასა გაეყიდათ თავიან-თი მამულები და მდინარე იორდანზე გაყოლოდნენ მას. იმ დღეებში თეუდასის მომხრეთა რიცხვმა 400 კაცს გადააჭარ-

ბა. ამ დროს, ახალი წელთაღრიცხვის 44-46 წლებში იუდეას პროკარატორი იყო ფადუსი, რომელიც მეტად ფრთხილი კაცი იყო. იგი ტყუილ უბრალოდ არავის დასჯიდა და კარგა ხანს უსმენდა იგი თეუდასის ტყუილებს. მაგრამ როდესაც თეუდასმა თქვა, რომ იგი იყო უფლის მირონცხებული წინასწარმეტყველი და შეეძლო ებრძანა მდინარე იორდანისათვის განცალკევებულიყო ისე, რომ ხალხს შეძლებოდა მდინარის ფსკერის გავლით ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადასულიყო, პროკურატორმა გადაწყვიტა მოქმედება დაეწყო, მან თეუდასისა და მის მიერ მოტყუილებული ხალხის წინააღმდეგ ცხენოსანთა ესკადრონი გაგზავნა და ბევრი დააპატიმრა, ხოლო თეუდასი პირადად იერუსალიმში წაიყვანეს, სადაც თავი მოჰკვეთეს“.

რევოლუციური იდეები და შფოთი იუდეაში მეტწილად ვრცელდებოდა ბანდიტებსა და ბანდიტურ დაჯგუფებებს შორის. ასევე მოსახლეობის კრიმინალურ და ტერორისტულ ფენებში. მათ წრეში გადიოდა წინასწარმეტყველები და თვითმარქვიები. რომის ადმინისტრაციისათვის ეს ხალხი და მათი მიმდევრები პოტენციური შფოთის წყარო იყო და რომი მათ წინააღმდეგ მკაცრ ზომებს იღებდა.

სოციალური ბანდიტიზმი და მილენიუმის წინასწარმეტყველება ხელიხელჩაკიდებულები მიდიოდნენ.

უდაბნოს თემა ებრაულ საზოგადოებაში ძალიან პოპულარული იყო, რადგან მოსემ ეგვიპტის ტყვეობას თავდაღწეული ებრაელობა 40 წელი უდაბნოში ატარა. ბანდიტები და თვითმარქვია წინასწარმეტყველები და მესიას კანდიდატები თავიანთ მიმდევრებს უდაბნოში გავსლისკენ მოუწოდებდნენ, როგორც ფორმის, რათა უფლის სამსახურში შესულიყვნენ. ისინი აყოლილ ბრბოს რომის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდნენ, რაც რომის ადმინისტრაციის რეაქციას იწვევდა.

პროკურატორ ფელიქსის დროს თვითმარქვიები როგორც წინასწარმტყველები, ისე მესიის კანდიდატები ძალიან გააქტიურდნენ. ერთმა ეგვიპტური წარმოშობის თაღლითმა

რეპუტაცია მოიპოვა და 30 ათასი მიამიტი მიმდევარი აიყოლია. მეგვიპტელი თაღლითი თავის მიმდევრებს უდაბნოში წრიული გზებით ატარებდა, თითქოს დიდი მოსეს გზებს იმეორებსო. საბოლოოდ მან ზეთისხილის გორაკისაკენ აიღო გეზი. შემდეგ კი იერუსალიმში შესვლა განიზრახა. მან ერთ მომენტში რომაული გარნიზონის დათრგუნვაც კი მოახერხა და თავი ტირანად გამოაცხადა და მცველთა რაზმიც დაიყენა. პროკურატორი ფელიქსი მძიმედ შეიარაღებული რომაელი ფეხოსნების დახმარებით შეუტევს მეგვიპტელი თაღლითი წინასწარმტყველის ხალხს. ამავე დროს ფელიქსის მხარეს დადგება იერუსალიმის მთელი მოსახლეობა. შეტაკების შედეგად მეგვიპტელის მომხრეები გაიფანტებიან, ბევრი მოკვდება ან ტყვედ ჩაბარდება.

სხვა ცნობით წინასწარმტყველად გამოცხადებულმა მეგვიპტელმა კაცმა მრავალ თავის მიმდევარ ხალხთან ზეთის ხილის მთას მიაშურა, რომელიც იერუსალიმიდან ხუთ ფარლონგზე მდებარეობდა. მეეგვიპტელმა თქვა, რომ შემოვუვლით ქალაქს და მისი კედლები ისევე დაინგრევა, როგორც ჯოშუას დროს იეროქონის კედლები დაინგრაო, და ამის შემდეგ იერუსალიმში შესასვლელი გაიხსნებაო. როდესაც პროკურატორმა ფელიქსმა ასეთი გეგმის შესახებ გაიგო ცხენოსნები და ფეხოსნები გაგზავნა მეგვიპტელის წინააღმდეგ. 400 მისი ყველაზე აქტიური მომხრე მოკლა ორი ათასამდე ტყვედ აიყვანა. თავად მეგვიპტელი ყალბი წინასწარმტყველი, რომელმაც ასეთი აურზაური გამოიწვია, ბრძოლის ველიდან უგზო-უკვლოდ გაქრა.

ამ ამბების შესახებ წერს ჯოზეფური თავის ცნობილ წიგნებში, „ებრაელთა ომში“ და „ებრაელთა ანტიკურობის“ შესახებ. ასევე მოხსენიებულია ახალ აღქმაში (აქტები 21:38).

ზემოთ მოყვანილი ფაქტები რომ შევაჯამოთ გამოვა, რომ მეგვიპტელი ყალბი მჭერმეტყველი წინასწარმტყველი იარაღით ხელში მიუახლოვდა იერუსალიმს და თავი „ტირანად“ გამოაცხადა, მცველთა რაზმი დაიყენა და სასწაულების გაკეთბა დააპირა, კერძოდ, იერუსალიმის კედლების

დანგრევა, რაც მესიანური წინასწარმტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

პროკურატორ ფელიქსის დროს გამოჩნდნენ ე. წ. ქალაქელი ტერორისტები, რომლებიც სიკარიელების სახელით არიან ცნობილნი (ლათინურად სიკაკი ნიშნავს ხანჯალს). სიკარიელებს ანუ მეხანჯლეებს თავიანთი იდეოლოგია ჰქონდათ. როდესაც ბანდიტთა ეს სოციალური ფენა იერუსალიმში გამოჩნდა ქალაქში დაიწყო ვერაგული მკვლელობები. ეს ხდებოდა დღისით, მზისით შუაგულ ქალაქში, ხალხმრავალ ადგილებში. სიკარიელებისათვის კარგი დრო იყო ფესტივალები და საზეიმო თავყრილობები. მოკლე ხანჯლით შეიარაღებულები, რომლებიც ტანსაცმელში ჰქონდათ დამალული, ისინი ხანჯლავდნენ მოწინააღმდეგეებს. როდესაც მსხვერპლი ეცემოდა, მეხანჯლეები ბრბოში ირეოდნენ და მათ ვერასოდეს ნახულობდნენ.

მეხანჯლეებმა პირველად მაღალი სამღვდელოების წარმომადგენელი ჯონათანი მოჰკლეს. იმ საბაბით, რომ რომის საოკუპაციო ხელისუფლებას ემსახურებოდა. შემდეგ მათ უამრავი ყოველდღიური მკვლელობა ჩაიდინეს. პანიკა უფრო მეტი იყო, ვიდრე უბედურება. ხალხი ერთმანეთს აღარ ენდობოდა და მეგობრებშიც კი მტერს ხედავდნენ. ბევრი ისე ეცემოდა, რომ ოსტატ მეხანჯლეს თვალსაც კი ვერ ავლებდა და ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მათ არ იცოდნენ თუ რატომ კვდებოდნენ.

ბანდიტიზმის ეს ახალი ტიპი აღზევდა ახალი წელთაღრიცხვის 50-იან წლებში, დაახლოებით 15-20 წლის შემდეგ, რაც იესო ჯვარს აცვეს. ისინი არ იყვნენ სოფლელი ბანდიტები, არამედ იყვნენ ქალაქელი ტერორისტები. მათი მეთოდი არ იყო ძარცვა, როგორც ეს სოფლად ხდებოდა, არამედ საიდუმლო მკვლელობა, ზოგჯერ პოლიტიკური მოტივით. ქალაქის რელიგიური ფესტივალები და ზეიმები არა მარტო ეხმარებოდა მათ ყოფილიყვნენ მაქსიმალურად ანონიმურები, არამედ მაქსიმალურად ცნობილები თავიანთი მკვლელობებით.

„ტერორიზმი სუსტების იარაღია“ ამბობდა ბრაიან ქროზიერი და ეს ასეც იყო. ტერორისტების პატარა, კონსპირაციულ ჯგუფს შეეძლო ხალხში დაფუძნებულიყო და დაეტერორებინათ ისინი, ვინც ოკუპანტებს ემსახურებოდნენ. მეხანჯლეებმა რამდენიმე გახმაურებული მკველობა ჩაიდინეს ქალაქში და იერუსალიმის სოლომონის ტაძარშიც კი.

არის ვერსია, რომ პროკურატორმა ფელიქსმა სოფლელი ბანდიტები ქალაქელ ტერორისტებად აქცია და ეს პოლიტიკური მოსაზრებით გააკეთა. ასე უფრო იოლი იყო იუდეას მართვა და მის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა. მოგვიანებით სიკარიელებმა დიდი ბრძოლები გაუმართეს რომაელებს. დაიკავეს მეფე ჰეროდის მიერ აშენებული მასადას ციხე. იუდა ისკარიოტელი რომელმაც თითქოსდა იესო გაყიდა და მერე დარდით თავი ჩამოიხრჩო სინამდვილეში მასადას ეპოპეაში მონაწილეობდა. იუდას ისტორია არის კარგად მოგონილი ქრისტიანული საჭირო ბლეფი. როგორც ცნობილია „გამყიდველი იუდა“, რომელიც რომის იმპერიის დაუძინებელი მოწინააღმდეგე იყო, იესოსგან მოითხოვდა არა მარტო სიტყვიერ ბრძოლას, არამედ სამხედრო ბრძოლასაც, რაც მესიის მთავარი მოვალეობაა. იუდამ თავად როგორც მაგალითი სამი ლეგიონერი მოკლა. მოგვიანებით მეხანჯლე-სიკარიელების დიდი ნაწილი იესოს მიმდევრები გახდნენ.

მილენიუმის მიჯნაზე ძალიან ბევრი მესიის კანდიდატი და წინასწარმეტყველი გამოჩნდა. ისინი აძაგებდნენ ხელისუფლებას და შეცდომაში შეჰყავდათ მოსახლეობა. თვითმარქვიები მოუწოდებდნენ მოსახლეობას დალოდებოდნენ უფლის წყალობას, რათა მათი არასახარბიელო მდგომარეობა გამოსწორებულიყო.

ქვემოთ არის რამდენიმე ფაქტი ასეთი წინასწარმტყველების საქმიანობისა:

ახალი წელთაღრიცხვის 70 წლის ივლისში თუ აგვისტოში უსახელო წინასწარმეტყველი გამოჩნდა. მან ხალხს მოუწოდა წასულიყვნენ სოლომონის ტაძრის ეზოში იმ მოწყალების მისაღებად, რომელიც მათ უფალმა გამოუგზავნა.

ამ იდეას რამოდენიმე ათასი ადამიანი აყვა და ექვსი ათასი მათგანი შეეფარა ტაძრის ერთ-ერთ მინაშენს. მოტყუებულთა შორის მეტწილად ქალები, ბავშვები და არეული მოსახლეობა იყო.

აღელვებულმა რომაელმა ჯარისკაცებმა მინაშენს ქვემოდან ცეცხლი შეუნთეს. ეს იყო პორტიკოს ტიპის შენობა. ბევრი მოტყუილებული დაიღუპა. ბევრი მათგანი გადარჩენის დროს მოკვდა. საერთოდ, თვითმარქვიის მოწოდების შედეგად და რომაელთა კონტრმოქმედებით უამრავი სული გაწყდა.

ახალი წელთაღრიცხვის 60-სა და 66 წლებს შორის, მაშინ როდესაც რომის პროვინცია იუდეას პროკუტატორი იყო ფესტუსი, ერთმა თვითმარქვია წინასწარმტყველმა უამრავი მიამიტი ადამიანი აიყოლია, რათა ისინი წასულიყვნენ უდაბნოში, სადაც ისინი ცხოვრებისეული პრობლემებისაგან განთავისუფლდებოდნენ. მათ წინააღმდეგ ფესტუსმა კავალერია და ფეხოსნები გააგზავნა რის შედეგადაც როგორც გზააბნეული ხალხი, ისე მათი წინამძღოლი წინასწარმეტყველი გაანადგურა.

ახალი წელთაღრიცხვით 73 წლისათვის მეხანჯლეების მოძრაობა ძალიან გავრცელდა და ალექსანდრიასაც კი მიაღწია. მრავალი გიჟი მეხანჯლე კირენეას მიმდებარე ქალაქებს მოედო. ერთ-ერთი მათგანი ჯონათანი ძალიან ფლიდი მეხანჯლე იყო. იგი თითქოს ვაჭარი არისო, სურერაიკას პროვინციაში თავშესაფარი მიიღო. ჯონათანმა გაიძვერული მეთოდებით მრავალი კრიმინალი აიყოლია მოსახლეობის დაბალი ფენებიდან და უდაბნოში წაიყვანა. დაპირდა მათ, რომ აჩვენებდა მოჩვენებებს, ღვთიურ ნიშნებს და გადასცემდა საჩუქრებს. სარდალმა პატუსუსმა ცხენოსნები გაგზავნა და უიარაღო თაღლითები იოლად დაამარცხა. მრავალი დაიღუპა, ზოგი დააპატიმრეს.

ამ შემთხვევაში ჯონათანი უფრო წინასწარმეტყველი სჩანს, ვიდრე მეხანჯლე. იგი ჯაჭვებდადებული რომში ჩაიყვანეს, აწამეს და ცოცხლად დაწვეს.

ღირს ოდნავ უფრო ღრმად განვიხილოთ ბანდიტებისა და მესიის ურთიერთკავშირი.

სამუელის პირველ წიგნში ვკითხულობთ მომავალი დიდი მეფის კავშირს ბანდიტებთან:

„წავიდა იქიდან დავითი და ადულამის გამოქვაბულს შეაფარა თავი. გაიგეს ეს მისმა ძმებმა და მამამისის მთელმა სახლმა და მასთან ჩავიდნენ... შეიკრიბა მასთან ყველა გაჭირვებული, ყველა ვისაც ვალი ჰქონდა და ყველა სულგამწარებული, სულ ოთხასამდე კაცი და ის მათი უფროსი გახდა (I სამუელი 22:1,2).

ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავს, რომ სოციალური ბანდიტიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური ფენომენი, რაც ისტორიამ იცის. მისი საფუძველია საზოგადოების სოფლური გარემო, სოფლური ეკონომიკა, გლეხობის ფართე სამუშაო, გლეხის მოწინააღმდეგე გარემო და მიწათმფლობელობა, ქალაქების მთავრობა, კანონმდებლობა, ბანკები და ეკლესია. ისინი ბატონობენ გლეხებზე. გლეხები ეწინააღმდეგებიან მას და ეს წინააღმდეგობა წარმოშობს სამი სახის მოძრაობას:

1. კეთილშობილური მძარცველი.
2. პარტიზანული ჯგუფის მსუბუქი წინააღმდეგობა.
3. ტერორისტი შურისმაძიებლები ქალაქში.

კეთილშობილი ბანდიტები არიან კანონგარეშე გლეხები, რომლებსაც მთავრობა კრიმინალს უწოდებს. ეს ხალხი თავისი აქტიურობის დროს სოფლურ გარემოცვაში რჩება და ხალხი მათ ჩემპიონებს, სიმართლისათვის მებრძოლებს, გმირებს უწოდებს. ხშირად ისინი განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ხდებიან. ასეთი იყო მოგვიანებით რობინ ჰუდი და ჰაიდამკების მოძრაობა, არსენა. ისინი სოციალური, კეთილშობილი ბანდიტები იყვნენ.

რობინ ჰუდი, ლიონკა პანტელეევი, არსენა ოძელაშვილი მართლა ის ბანდიტები იყვნენ, რომლებიც მდიდარს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა? შემდეგში ამ ტიპის ბანდიტების გაერთიანება იყო „სიცილიური მაფია“, „კოზანოსტრა“ და „კალიფორნიის სომხური მაფია“ ამერიკაში და „ქართული

მაფია“ ევროპაში და რუსეთში. ამავე დროს სანამ ბანდიტი „კეთილშობილი“ პოლიტიკურ მხარდაჭერას არ ნახავს მისი მოღვაწეობა ხანმოკლე იქნება. როდესაც ეს ჯგუფები ხელისუფლებისა და საზოგადოების მხარდაჭერას ნახულობენ ისინი მინიატურულ სამეფოებად იქცევიან თავისი წესებითა და სტრუქტურული იერარქიით.

ახლა ჩავუფიქრდეთ ერთ გარემოებას: იესო ჯვარს აცვეს ქურდსა და ბანდიტს შორის. ქურდი მარტო მოქმედებს, ბანდიტი ძალმომრეობის ჯგუფთან ერთად.

იყო იესო „ბანდიტური მინიატურული სამეფოს“ მეფე?

რომაელები აღიარებდნენ რომ სამხედრო, ორგანიზებული წინააღმდეგობა არის ომი. იგი იყოფა „სამართლიან და არასამართლიან ომებად“. ომი სამართლიანია თუ იგი ხორციელდება სუვერენულ სახელმწიფოებს შორის და პირიქით, არასამართლიანია თუ იგი ხდება მონების აჯანყების წინააღმდეგ. ყველა სხვა სახის ომი არის „ბანდიტური“.

„ბანდიტური“ ომი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთელ რომის იმპერიაში. ბანდიტებს ძალიან მკაცრად სჯიდნენ. მხეცებს აგლეჯინებდნენ, ცოცხლად წვავდნენ, ჯვარზე აკრავდნენ. რატომ სჯიდნენ მათ ასე მკაცრად? ისინი ხომ რეალურად რომის იმპერიას არ ემუქრებოდნენ.

საქმე იმაშია, რომ რომის იმპერიაში რომს ჰქონდა მონოპოლია ძალმომრეობაზე. არავის სხვას არ ჰქონდა ადამიანის მოკვლის უფლება. ცენტურიონს ჰქონდა. ყველა სხვა რომელიც ამას ჩაიდენდა სიკვდილით სჯიდნენ. იმპერიაში იდეალური წესრიგი დამყარდა. ქურდ-ბაცაცებს, პარტიზანულ ბანდიტურ დაჯგუფებებს და ტერორისტებს ხალხი ვერ ამჩნევდა. ზოგი რომის მოქალაქე ისე კვდებოდა, რომ ძალმომრეობის ფაქტს ვერ ხვდებოდა. ძალმომრეობა მხოლოდ რომის პრეროგატივა იყო იმპერიული წესრიგის დასაცავად.

მოგითხრობთ კიდევ რამდენიმე შემთხვევის შესახებ, რომელსაც ბანდიტურ-მესიანური ხელწერა ჰქონდა.

ძველი წელთაღრიცხვის 48 წელს სირია-იუდეას საზღვარზე ბანდიტური დაჯგუფება გამოჩნდა, რომელსაც

ჰეზეკიელი ხელმძღვანელობდა. იგი დიდი დაჯგუფების ხელმძღვანელი გახდა და მოუხშირა მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილ თარეშს. იგი სარდალ ჰერკანუსის მიერ იქნა განადგურებული. მოკლეს მრავალი ბანდიტი, მათ შორის ჰეზეკიელიც. ამ ამბის გამო იუდეას ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან ბევრი ბანდიტი სასამართლოს გარეშე მოკვდა, რაც ებრაულ წესების დარღვევა იყო. ამას მოგვითხროსბ ფლავიუს ჯოზეფუსი თავის წიგნში „იუდეველთა ანტიკურობის“ შესახებ.

სოციალური ბანდიტიზმის მეორე დიდი მაგალითია ჰეროდ დიდის დროს გალილეიას გამოქვაბულებში მცხოვრები ბანდიტები. ეს ამბები იესოს ჯვარცმამდე მოხდა. ბანდა ძარცვავდა მიმდებარე რაიონებს და მათ წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ფეხოსნების სამი ბატალიონი. აგრეთვე ცხენოსნების ერთი შენაერთი. რომის ეს სამხედრო ნაწილები ტიბერიადის ტბის სანაპიროზე მდებარე სოფელ არბელასთან გაერთიანდნენ და დაიწყეს ბანდების განადგურება, დევნიდნენ მათ გალილეაში და სხვა რაიონების გამოქვაბულებში.

ბანდები გამოქვაბულებიდან გამოვიდნენ და შეეტაკნენ რომის ცხენოსანთა ესკადრონის მარცხენა ფლანგს, მაგრამ დამარცხდნენ. ბანდიტების მეთაური იყო ძალიან კარგი მეომარი ანტოგონუსი. მის რაზმებში იბრძოდა კაცი, რომელსაც შვიდი შვილი მოუკლეს, მერე ცოლი და ბოლოს თვითონაც დაიღუპა.

მკითხველო! ხომ არ არის ეს შემთხვევა მასადის ციხე-სიმაგრის ლეგენდის გამეორება, მხოლოდ გალილეიას გამოქვაბულებში?

კიდევ ერთი მაგალითი სოციალური ბანდიტიზმისა!

იდუმაე იყო ბანდის ძალიან მოხერხებული ბელადი. მის გამო მთელი იუდეა ბანდებით აივსო. ისინი ხალხს სიკეთეს სთავაზობდნენ და ზეციურ მადლზე საუბრობდნენ. რომაელმა ოფიციოზმა თოლომაიესმა იდუმაე შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა, მაგრამ იდუმაეს მიერ ასქესებული ხალხი დიდხანს არ წყნარდებოდა.

ბანდები შფოთის საბაბი იყო, რის გამოც რომის ჯარისკაცები ძალიან აქტიურობდნენ, რაც ებრაულ სამღვდელოებას არ მოსწონდა. მათ სიმშვიდე უნდოდათ ქვეყანაში, რათა რომისთვის საბაბი არ მიეცათ ებრაელთა საქმეებში ჩარეულიყვნენ. შფოთი ებრაული ქალაქების მატერიალურ კეთილდღეობაზე ძალიან უარყოფად მოქმედებდა, ხელს უშლიდა ვაჭრობას.

სახალხო გზაზე რომელიც იერუსალიმიდან ბეთორონში მიდიოდა, რამდენიმე ბანდიტმა სტეფანეს შეუტია, რომელიც კეისრის მონა იყო და მას სამგზავრო ნივთები წაართვეს. რომის ოფიციოზმა ქუმანუსმა სწრაფი რეაგირების რომაული ქვეგანაყოფები მიმდებარე სოფლებში გაგზავნა და მისი მოსახლეობა მძევლებად აიყვანა. ჯაჭვები ჩააბა და ასეთ მდგომარეობაში ამყოფა ისინი, სანამ ბანდიტები არ დააპატიმრა, რომლებმაც სტეფანე გაძარცვეს. ამ ამბავს ჯოზეფუსი აღწერს თავის „ებრაელთა ომში“.

როგორც სჩანს ბანდიტების სოციალური ბაზა ჰქონდათ სოფლებში, რომაელებმა ეს იცოდნენ და ამიტომაც სოფლელები დასაჯეს რომაული გაგებითა და წესით. ბანდიტები ვერ იაქტიურებენ თუ მათ სოციალური ბაზა არ აქვთ და ამის შესახებ პროვინციის გამგებელმა უნდა იფიქროს. თუ არ იფიქრა და ბანდიტების ბაზა არ შეამცირა, ეს მის სისუსტეზე მეტყველებს.

ახლა კიდევ ერთი შემთხვევა გავააანალიზოთ, სადაც ბანდიტიზმი და პოლიტიკურ-რელიგიური მომენტები ერთმანეთშია გადახლართული.

იერუსალიმში ყოველწლიური ფესტივალი მიმდინარეობდა, როდესაც ხალხის მასის ნაწილი საგრძნობლად აღელდა. მათ მიატოვეს ფესტივალი და გასწიეს სამარიაში. რაღაც მიზეზით მათ ყური არ უგდეს არც საკუთარი უფროსების, არც მაგისტრატურის წარმომადგენლებს ბოლომდე დარჩენილიყვნენ ფესტივალზე. სახეზე იყო სახალხო დაუმორჩილებლობის ნიშნები.

სამარიის ბანდიტების, მეამბოხეებისა და წინასწარმტყვე-

ლების უფროსი იყო ელიაზარი, ცნობილი განგსტერის დეინ-აეიუსის შვილი და, აგრეთვე, ახალგაზრდა მოყმე ალექსანდრე. ისინი მოსახლეობას ხოცავდნენ, განურჩევლად ასაკისა და წვავდნენ მათ სოფლებს. იქვე მეზობელ გალილეიაში მოსახლეობას აწვებოდნენ ხელში აეღოთ იარაღი და ებრძოლათ თავისუფლებისათვის, რადგან მონობა აუტანელი იყო. ავტორიტეტები ცდილობდნენ ხალხის მასების დაშოშმინებას, მაგრამ ამაოდ, ხალხი აღგზნებული იყო და მათ ყურადღებას არ აქცევდა. ხალხი იარაღს ისხამდნენ და ელიაზარ დეინაეიუსის ძის მხარეს გადადიოდნენ. ელიაზარი იყო ჩამოყალიბებული ბანდიტური ოჯახის წევრი, რომელიც მრავალი წელია მთაში ცხოვრობდა და სამარიელთა სოფლებს ძარცვავდა.

მაშასადამე გამოდის, რომ იერუსალიმში მყოფი სამარიელი მლოცველები სასწრაფოდ სამარიში დაბრუნდნენ, რადგან გაიგეს, რომ ელიაზარის ბანდები ბევრ გალიეელ მოსახლესთან ერთად სამარიელთა სახლებს ძარცვავდნენ.

ყურადღება მიაქციეთ გალილეველთა მოწოდებებს თავისუფლების შესახებ და შემდეგ მათ ერთობლივ ქმედებებს სამარიელ ბანდიტებთან ერთად, რაც წინასწარმეტყველებებისა და ბანდიტების კავშირზე მიუთითებს. ეს არის ნათელი მაგალითი ბანდიტებისა და სოფლელების ერთიანობისა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

როგორც სჩანს, ხალხს ძალიან გაუტკბათ ძარცვა-გლეჯა და თავისუფლება ბანდიტების ხელმძღვანელობით. როდესაც მოვლენები ყველა საზღვარს გასცდა კუმანუსი აჯანყებულების წინააღმდეგ გამოვიდა და ელიაზარის მრავალი მომხრე მოკლა. უფრო მეტი დაატყვევა, სხვებს კი მოსთხოვა იარაღი დაეყარათ და სახლებში წასულიყვნენ. არ არის ცნობილი კუმანუსმა გაანადგურა თუ არა ელიაზარი და ალექსანდრე. როგორც ისტორიკოსი ფლავიუს ჯოზეფუსი აღნიშნავს ელიაზარი, რომელიც 20 წლის განმავლობაში აწიოკებდა სამარიას თავისუფლების მოთხოვნით დაატუსაღა პროკურატორმა ფელიქსმა. იგი და კიდევ ბევრი მისი მომხრე ფელიქსმა რომში გაგზავნა, სადაც იგი სიკვდილით დასაჯეს.

სხვა ცნობით, ფელიქსმა სამარიას გარდა იუდეაში მოქმედი ბევრი ბანდიტი და მათი გულშემატკივრები სიკვდილით დასაჯა, განსაკუთრებით ისინი, ვინც თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა ხალხს.

პალესტინის ბოლო პროკურატორი იყო ფლორუსი. ეს იყო ახალი წელთაღრიცხვით 64-66 წლები. მისი ხელმძღვანელობის დროს პოლიტიკური ვითარება რომის ამ პროვინციაში ფრიად გადაიხლართა ერთმანეთში.

გალილეის სოფლის მეომრები ნაციონალისტები იყვნენ, მაგრამ არა ძირის გამომხთხრელები და რევოლუციონერები.

იუდეას მოსახლეობა კი პირიქით. მისი მოსახლეობის მთელი სოციალური წყობა, მებრძოლი რევოლუციონერები იყვნენ.

გალილეიას რომთან ომი არ სურდა. იუდეას სურდა.

გალილეიას ბანდიტები ისევე განსხვავდებოდნენ იუდეას ბანდიტებისაგან, როგორც ქალაქელი მეხანჯლეები სოფლელი ბანდიტებისაგან. გამოდიოდა, რომ პატრიოტი სოფელი ებრძოდა გამყიდველ ქალაქელებს. მაგრამ ხშირად გლეხი ბანდიტები ქრთამს აძლევდნენ მაღალი კლასის წარმომადგენლებს დაცვისათვსის და ფარად.

ქალაქელებს ბევრი არჩევანი ჰქონდათ. სოფლელების არჩევანი იყო სიკვდილი, მონობა, ბრძოლა ან ბანდიტიზმი. ასე გლეხები გადაიქცნენ მგზნებარე ბანდიტებად, ზილოტებად და შემდგომ როგორც სპეციალურად ორგანიზებული ჯგუფი იერუსალიმში გადაბარგდნენ და უკვე პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდნენ.

არაძალმომრეობითი მეთოდებით ბრძოლის მომხრე გლეხურ-ბანდიტური წარმოშობის წინასწარმეტყველები ეყრდნობოდნენ მოსესა და ჯოშუას მოთხრობებს.

ძალმომრეობისა და სამხედრო მოქმედებების მომხრეები რომლითაც გლეხურ-მესიანური ძალები ხელმძღვანელობდნენ, ეყრდნობოდნენ საულსა და დავითს.

მოსესა და სამუელის შემდეგ გადის ორასი წელი და ებრაულ ტომებში წარმატებას აღწევს პირადი თვისებებით შემკული ხარიზმატი ლიდერი დაახლოებით ისეთი როგორც

ებრაელი ხალხის მხსნელი უნდა ყოფილიყო. ასეთი აღმოჩნდა დავითი.

მისი წინამორბედი საული უნდა გადამდგარიყო დავითის სასარგებლოდ. საულმა უარი თქვა გადადგომაზე და დავითი ბანდიტებში გამაგრდა. იგი ადულამის გამოქვაბულში ცხოვრობდა. ამის შესახებ გაიგო მისმა ოჯახის წევრებმა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ყველანი ისინი დავითთან გამოცხადდნენ. ასე შემოიკრიბა დავითმა ოთხასი კაცი და დავითი მათი კაპიტანი გახდა.

ამრიგად, დავითი, იდეალური მეფე, არა დინასტიური, დაეყრდნო ბანდიტებს და მეფობას მიაღწია. ასე რომ მეფობა და ბანდიტიზმი ერთად არიან.

მესიანურმა ბანდიტებმა ეს კარგად იციან. ამიტომ ბანდიტების სოციალური ფენა იესოსთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

ახლა კიდევ რამდენიმე პოლიტიკური სურათი გავიხსენოთ, რომელიც უკეთ დაგვანახებს თუ რა ვითარება იყო იუდეაში და საერთოდ პალესტინაში იესოს ეპოქაში.

ჰეროდ დიდის სიკვდილის შემდეგ პალესტინაში აჯანყება-რევოლუციამ იფეთქა. სირიის ლეგატს ვარიუსს სამი ლეგიონი და უამრავი დამხმარე ძალები დასჭირდა მის ჩასახშობად. ორი ათასი მეამბოხე ჯვარს აცვეს. ეს იყო მესიანური ტიპის აჯანყებები რომლებშიც მეტწილად წარჩინებული ებრაელები მონაწილეობდნენ. ამ დროს, ე. ი. იესო ქრისტეს უშუალო გამოჩენის წინ სამი ძლიერი მესიანური კანდიდატი გამოჩნდა. ესენი იყვნენ იუდა გალილეიდან, სვიმონი პერეიადან და ატრონჰესი იუდეადან.

ქვეყანა ბანდიტებით აივსო. ასევე გამოჩნდნენ უამრავი თვითმარქვიები, ჯადოქრები, მატყუარები. ისინი ყველანი მესიანური მეფეების კანდიდატები იყვნენ.

პირველი და ძალიან სერიოზული მესიანური მეფის კანდიდატი იყო ბანდიუტების ბელადი იუდა, რომელიც იყო ცნობილი ყაჩაღის ჰეზეკიელის შვილი, რომელიც ჰეროდ დიდმა სიკვდილით დასაჯა. არ უნდა აგვერიოს ეს იუდა გალი-

ლეელი სხვა იუდა გალილეელში. იგი არს იუდა ჰეზეკიელის ძე.

იუდა ჰეზეკიელის ძე ანუ იუდა გალილეელი უამრავ თავგანწირულ კაცთან ერთად გალილეის ადგილ სეფიროსისთან თავს დაესხა სამეფო სასახლეს, ხელში ჩაიგდო იარაღი, რომელიც იქ ინახებოდა და თავისი ხალხი კარგად შეაიარაღა. ამის შემდეგ იუდა გალილეველმა დაიწყო ხალხის დატერორება, ძარცვავდა მათ თან თავს მესიად აცხადებდა. იუდა როგორც სჩანს ქალაქელი სიკარიელი-მეხანჯლე იყო, თუმცა შეიძლება სოფლელი ბანდიტიც იყო.

მეორე მესიის კანდიდატი იყო სვიმონი, ჰეროდ დიდის მონა პერეიდან, რომელიც იორდანიის აღმოსავლეთით მდებარეობდა. სვიმონი ამაყი და მეტად ლამაზი ტანის კაცი იყო. მან თავი დიადემით შეიმკო და თავი მეფედ გამოაცხადა. იგი პარამბეთეითინგ-კარეტით დასეირნობდა ქვეყანაში. თავის ბანდიტებთან ერთად მან მეფის სასახლე გადაწვა იეროქონში და აგრეთვე ბევრი სხვა სახელმწიფო შენობა დააზიანა. ეს ძლიერი კაცი მოსალოდნელ იყო, რომ წინ წავიდოდა თავისი მესიანური მეფობის გზაზე. მან ბევრი სახელმწიფო შენობის განადგურება იწინასწარმეტყველა.

საინტერესოა საულისა და სვიმონის შედარება. ორივე ერთი თავით მაღლები იყვნენ ყველაზე.

„ჰყავდა (კიშს, საულის მამა იყო) ვაჟი, რომელსაც საული ერქვა. მაღალი და ლამაზი. ისრაელის ძეებს შორის არავინ იყო მასზე ლამაზი. ერთი თავით მაღალი იყო ყველაზე“ (I სამუელი 9:2). „გაიქცნენ და გამოიყვანეს. ხალხში რომ ჩადგა ერთი თავით მაღალი იყო ყველაზე“ (I სამუელი 10:23).

როგორც სჩანს სვიმონს საულის დიდების გამეორება სურდა. იგი მართლაც მესიანური მეფის დიდებული კანდიდატი იყო.

მესამე კანდიდატი იყო ატრონჰესი იუდაველი. იგი მეცხვარე იყო და პრეტენზია ჰქონდა მესიანურ სამეფო ტახტზე. იგი სულიერად და ფიზიკურად უშიშარი და უმამაცესი პიროვნება იყო. მისი ოთხი ძმაც ასეთები იყვნენ. ოთხივენი შეიარაღებული ბანდების ლიდერები იყვნენ. ატრონ-

ჰეს იუდეველმა თავზე შესანიშნავი დიადემა დაიდგა. იგი ფიქრობდა, რომ იგი როგორც მეფე ხალხს შვებას მოუტანდა და ებრაელებს საუცხოო ღვთის სამეფოში აცხოვრებდა. ათრონჰეს იუდეველი დიდხანს ატარებდა მეფის ტიტულს. მოყვანილი მაგალითებიდან სჩანს, რომ მესიანური მეფის კანდიდატები ბევრი იყო.

ზემოთ აღწერილი მესიის სამი კანდიდატის გარდა იყო კიდევ ორი სერიოზული კანდიდატი, რომლებმაც ებრაული საზოგადოების ცხოვრება შეარყიეს. პირველი იყო იუდა გალილეელის შვილი მენაჰემი. იუდა წარმოშობით მსახურთა კლასიდან იყო. იგი ებრაელმა არისტოკრატმა ამბოხებულებმა მოკლეს ომის დასაწყისში.

მეორე იყო სვიმონ ბარ გიორა ანუ სვიმონ გიორას შვილი. იგი რიტუალური სიკვდილით დასაჯეს, როგორც ებრაელთა ოფიციალური ლიდერი ომის ბოლოს.

ამ ორი კანდიდატი მესიის აქტიურობა მოხდა ახალი წელთაღრიცხვის 66 და 73 წლებს შორის.

მენაჰემმა თავის ერთგულ მეგობრებთან ერთად მასადას ციხე-სიმაგრის არსენალი გატეხა. შეიერთა სოფლელი ბანდიტები და ქალაქელი მეხანჯლეები და თავი მეფედ გამოაცხადა. იგი სამეფო სამოსში გამოეწყო და მასადადან იერუსალიმში გამოჩნდა. ხალხი მას ფეხქვეშ ტანსაცმელს და ზეთისხილის ტოტებს უფენდნენ და „ოსსანას“ უმღეროდნენ. მენაჰემი რევოლუციის ლიდერი გახდა და როგორც მესიის კანდიდატი იერუსალიმის სოლომონის ტაძარი დაიკავა. ტაძრის მღვდელმსახურების ნაწილი ტაძრიდან გავიდა დროებით და რომის ადმინისტრაციას სთხოვეს დახმარება. მენაჰემის სამოქმედო გეგმები და მესიანური პროგრამა სუსტი იყო, თუმცა იერუსალიმის მოსახლეობის ნაწილი მას უსმენდა.

უფრო სერიოზული მესიის კანდიდატი იყო სვიმონ ბარ გიორა, ანუ სვიმონ გიორას ძე. იგი საბოლოოდ გახდა მთავარი პოლიტიკური და სამხედრო მეთაური ალყაშემორტყმული წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და როგორც

რიჩარდ ჰოსლი აღნიშნავს რომაელებმა მასში აღიარეს მოწინააღმდეგე გენერალი, რომელიც მტრულ სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენდა. მაშასადამე რომის იმპერიულმა ადმინისტრაციამ იუდეას აჯანყება აღიარა სამართლიან სამხედრო-ორგანიზებულ წინააღმდეგობად და არა სამართლიან და ბანდიტურ ომად, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე. საბოლოოდ, რომი ძალიან სერიოზულად მიუდგა იუდეას აჯანყებას, რასაც იერუსალიმის, სოლომონ დიდის ტაძრისა და ებრაელების განადგურება მოჰყვა.

სვიმონ ბარ გიორა წარმოშობით ტრანსიორდანიაში მდებარე დეკაპოლისის პროვინციის დასახლება გერასიდან იყო. მისი ზედმეტსახელი იყო „მონათლული შვილი“ რაც მის მოკრძალებულ წარმოშობაზე მიუთითებს. მან საფრონტო შეტევა განახორციელა იერუსალიმზე და მრავალი რომაელი ჯარისკაცი იმსხვერპლა. სვიმონ ბარ გიორა არიერმარდული ბრძოლების შესანიშნავი ოსტატი აღმოჩნდა და ომის სარეზერვო და საკვებით მომარაგების საქმიანობასაც კარგად ართმევდა თავს. მალე სვიმონმა სამარის საზღვრებისაკენ გადაინაცვლა. მას რევოლუციონერების დიდი ბანდები ჰყავდა. ამავე დროს მძარცველობასაც არ თაკილობდა. იგი ერთი ხელით პოლიტიკურ რევოლუციას ახორციელებდა რომის იმპერიის წინააღმდეგ და შიგადაშიგ ამატებდა სოციალური რევოლუციის ელემენტებს, რაც გამოიხატებოდა შეძლებული ებრაელი ოჯახების ძარცვაში.

სვიმონ ბარ გიორას ფიზიკური სრულყოფილება მთლიანად ესადაგებოდა მესიის კრიტერიუმებს და მისი შეუპოვრობა და სამხედრო წარმატებებიც მესიანური მეფის ნიშნებს შეიცავდა. იგი ვარსკვლავივით კაშკაშებდა ებრაელი და რომაელი ოფიციოზის რუხ მასასთან შედარებით.

ებრაელთა აჯანყებიდან გავიდა ერთი წელი და სოფლიდან ქალაქში გადაბარგებულმა ზილოტებმა, რომლებიც იერუსალიმში სერიოზულ პოლიტიკურ ძალად გადაიქცნენ, თავიანთ იდუმეელ მეკავშირეებთან ერთად მოაწყეს რევოლუცია იერუსალიმში, რომელსაც ებრაული არისტოკრატია

ხელმძღვანელობდა. ამან ებრაელთა ომი რომის წინააღმდეგ შეასუსტა. თავად ებრაელებში მიმდინარეობდა სოციალური რევოლუცია მდიდრებსა და ღარიბებს შორის, სოფელსა და ქალაქს შორის. ეს გარემოება რომს უადვილებდა ბრძოლას ებრაელების წინააღმდეგ.

სვიმონ ბარ გიორა თავის მეხანჯლეებთან და სხვა დაჯგუფებებთან ერთად ციხე-სიმაგრე მასადაში გამაგრდა. ამ მოძრაობას მეფე დავითის მოძრაობას ადარებენ. სვიმონმა მონებს თავისუფლება მიანიჭა და მათგან მეომრები შეკრიბა. ამის შემდეგ ყველამ ერთად ქალაქების დატერორება დაიწყო, განსაკუთრებით მათი ვინც რომის მხარეს გამოდიოდა ან თუნდაც ცდილობდა ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას.

ბევრი ხალხი მოხიბლული იყო სვიმონის სიყოჩაღით, შეუპოვრობითა და სამართლიანობით. მალე მის არმიას მრავალი მოყმე, მონა და ქალაქელი ბანდიტი შეუერთდა. ისინი სვიმონ ბარ გიორას როგორც მეფეს ისე ემორჩილებოდნენ.

ხალხმა და ისტორიკოსებმა სვიმონის მეფე დავითთან შედარება დაიწყეს. სვიმონმა იდომეაში გაილაშქრა და ქალაქი ჰებრონი აიღო. იქ ებრაელთა სუვერენიტეტი აღადგინა. ჰებრონი აბრაჰამის ძველი ქალაქი იყო.

ჰებრონი ასევე დავითის ქალაქად ითვლება. შეგახსენებთ, რომ საულისა და ჯონათანის გარდაცვალების შემდეგ დავითი უფალს შეეკითხა: „რომელი ქალაქისაკენ წავიდეო და უფალმა უპასუხა:

„ჰებრონისაკენ“.

დავითიც ასე მოიქცა და თავის ორ ცოლთან ერთად ჰებრონში წავიდა, სადაც უფალთან ცნობილი შეთანხმებაქავენანთი დადო. სწორედ ამიტომ ადარებდნენ სვიმონს მეფე დავითს.

ასე, რომ სვიმონ ბარ გიორა სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და მესიანური რევოლუციის სათავეში იდგა. ეს იყო სვიმონის მესიანური მესიანიზმი.

ჰებრონის შემდეგ სვიმონმა იერუსალიმზე გაილაშქრა. სვიმონმა თავისი მოხერხებით ზედა იერუსალიმი დაიკავა და როდესაც რომაელები იერუსალიმში შეიჭრნენ თეთრ სამოსში გაეხვია და საიდუმლო გასასვლელებით მიმალვა სცადა. საბოლოოდ სვიმონი დაიღუპა. ამის გამო იგი აღარ იყო მესია, რადგან მესია არ უნდა დაიღუპოს, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს, არ გაანთავისუფლებს ებრაელ ხალხს და თორაზე დაფუძნებულ ებრაულ სახელმწიფოს არ ჩაუდგება სათავეში.

საერთოდ მესიის ყველა კანდიდატი იუდეას მეფობას იბრალებს, მათ შორის იესოც, მაგრამ სვიმონ ბარ გიორა უფრო ძლიერი კანდიდატი სჩანს, ვიდრე იესო, ხოლო სვიმონ ბარ კოხბაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის 132-135 წლებში მესამე რომაულ-ებრაულ ომში დაწინაურდა.

სვიმონ ბარ კოხბა ერთი თავით მაღლა იდგა მესიანურ კანდიდატ იესოზე. და ოდნავ სჯობდა სვიმონ ბარ გიორას,

იგი დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ დაიბადა და ძალიან ახლოს მივიდა მესიანური მეფის კრიტერიუმებთან სვიმონ ბარ კოხბა (ვარსკვლავის ძე) იყო ქარიზმატული, ძლიერი და ბრილიანტი სამხედრო მოღვაწე. მან რომის ათი ლეგიონი დაამარცხა და უსწრაფესად აიღო იერუსალიმი. მან თავი ისრაელის მეფედ გამოაცხადა, და ჰქონდა გეგმა იერუსალიმის ტაძრის აღდგენისა, რომელიც ადრე რომაელებმა დაანგრიეს. მან შექმნა ისრაელის მთავრობა და თავისი სახელობის მონეტა.

ბარ კოხბა იყო ისეთი როგორსაც ებრაელი ხალხი ელოდა მესიას სახით.

რომის იმპერიამ ბოლოსდაბოლოს, დაამარცხა რევოლუცია და მოკლა სვიმონ ბარ კოხბა. მხოლოდ, მისი სიკვდილის შემდეგ დარწმუნდნენ ებრაელები, რომ იგი არ იყო მესია.

რაბაი აკიბა დიდი ებრაელი მეცნიერი და მეფე ბარ კოხბას ასისტენტი-მებრძოლი იყო. რაბაი და ბევრი მისი მიმდევარი დარწმუნებული იყვნენ, რომ ბარ კოხბა მირონ-

ცხებული მესია არის, მაგრამ როდესაც იგი მოკლეს მწუხარებით დარწმუნდნენ, რომ სვიმონ ბარ კოხბა არ იყო მესია, რადგან მესია საქმის ბოლომდე მიყვანამდე არ კვდება. ასეთი იყო მეფე სვიმონ (შიმეონ) ბარ კოხბას ბედი. იგი არ იყო მესია.

რაც შეეხება იესო ნაზარეველს, მოსე მაიმონიდი ამბობს, რომ იეშუა ნაზარეველი უბრალოდ ვერ აკმაყოფილებს მესიის აუცილებელ მოთხოვნილებებს. იესომ „მესიის“ ვერც ერთი ამოცანა ვერ შეასრულა და არც სურვილი ჰქონდა მისი შესრულებისა. იესოს ისრაელი რომის ბატონობისაგან არ გაუნთავისუფლებია, პირიქით ხელი შეუწყო მის განადგურებას. საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანები ანუ იესოს მიმდევრები დაუღალავად ხოცავდნენ ებრაელებს. არავის ებრაელი ხალხის ისტორიაში ებრაელებისათვის ისეთი ზიანი არავის მიუყენებია, როგორც ქრისტეს და ქრისტიანებს. გაიხსენეთ ესპანური ინკივიზიცია, მარტინ ლუთერი, ჰიტლერი და სტალინი. ასე რომ მესია, რომელიც საკუთარ ხალხს ანადგურებს მისი მესია კი არა ანტიმესია იქნება.

იესოს საოცრებები

იოსებ კრაუზნერი თავის წიგნში „იესო ნაზარეთელი“ იესოს ასე ახასიათებს:

„იესო არის ებრაელი ერის დიადი მასწავლებელი და არაკების ოსტატი. იგი განასახიერებს ებრაელი ხალხის ეთიკურ კოდს. დღეს უკვე აღარ არსებობს ეთიკური კოდი და სოციალური წესრიგი ერებისათვის. მესია ჯერთ კიდევ ცდილობს მონახოს გზა თავისი ხალხისათვის „უფლის სამეფოში“. ამისთვის იგი იყენებს თალმუდს, რომელიც თაობიდან თაობამდე ჩამოყალიბდა. მან მისცა ფორმა თანამედროვე მსოფლიოს. ებრაული ეთიკური კოდი არის ყველაზე ამაღლებული, მიზანმიმართული და უმაგალითო სხვა ერების კოდებს შორის. ეს არის იესოს დამსახურება. მისი ეთიკური კოდი განუმეორებელია. მისი შემყვანურობა და არაკების გამჭრიახობა არაჩვეულებრივია. იესოს ეროვნულ ეთიკურ კოდში მაღალ დონეზე აჰყავს ებრაელი ხალხის პოპულარული გამონათქვამები. როდესაც ებრაელთა ეთიკური კოდი თანამედროვე საოცრებებში და მისტიციზმში გაშიშვლდა და გაანალიზდა აღმოჩნდა, რომ იესოს ეთიკის წიგნი არის ერთ-ერთი რჩეული განძი ისრაელის ყველა დროის ლიტერატურაში“.

ალბერტ შვეიცარი თავის ისტორიულ ესსეში „იესოს ძებნაში“ წერს: „კარგი ამბავია, რომ ისტორიულად ნამდვილი იესო აყირავებს თანამედროვე იესოს, აღსდგება მისი თანამედროვე სულისა და გაგების წინააღმდეგ. იგი გამოემგზავრება დედამიწაზე არა მშვიდობისათვის, არამედ მახვილით. იგი არ არის მასწავლებელი და კაზუისტი. იგი იმპერიული მმართველია. იგი ასეთიც უნდა იყოს, რადგან აცხადებდა, რომ არის ადამიანის შვილი, ძე კაცისა. ეხლა რაც ვთქვით არის პირობითი გამოხატვა იმ ფაქტისა, რომ იგი როგორც ძე კაცისა უნდა იყოს ავტორიტეტული ხელმძღვანელი.

სახელი, რომელსაც ვასახიერებთ მასში, როგორც მესიაში, როგორც ძე კაცისაში, როგორც ძე უფლისაში აკეთებს ჩვენთვის ისტორიულ პარალელებს. იგი მოვიდა ჩვენთან უცნობი,

ტიბერიადის ტბის სანაპიროდან და გვითხრა „უკან გამომყევით!“ მან ეს გვიბრძანა და ის ვინც მას დაემორჩილა ჭკვიანი აღმოჩნდა. მათ იესომ აჩვენა ტანჯვის გზით, კონფლიქტებითა და პირადი კონტაქტებით შეუცნობადი მანამდე საოცრებები“.

საოცრებების ტრადიციები ახალ აღქმაში, ბიბლიაში მრავლად არის მათ შორის ერთ-ერთი. საოცრებაა დანიელის გადარჩენა ლომების გალიაში. ისმის კითხვა: ვინ უფრო საშიშ მდგომარეობაში იყო, წინასწარმეტყველი დანიელი ლომის გალიაში თუ იესო ქრისტე ჯვარზე გაკრული. თუ დანიელი გადარჩა, რატომ ვერ შესძლო ეს იესომ?

ბევრი ფიქრობს ერთ გარემოებაზე. ისეთი ზებუნებრივი არსება როგორც იესო იყო, რომელიც ფლობდა ტელედეპორტაციის უნარს და შეეძლო ორ გეოგრაფიულ ადგილას ერთდროულად ყოფილიყო, რატომ არ აერიდა ჯვარცმას? ან უფალმა რატომ არ დაიცვა იგი? ობივატელი იტყვის, იესოს ტანჯული სიკვდილი ჯვარზე უფლის ნება და მისი გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს ძალიან უბრალო ახსნაა.

ასეა თუ ისეა, დევია აუნე თავის წიგნში „ჯადოქრობა და მაგია ადრინდელ ქრისტიანებში“ აღნიშნავს, რომ სახარებაში აღწერილია ექვსი მავნე სულებისაგან განთავისუფლების საოცრება, 17 მკურნალობის საოცრება და რვა ე. წ. ბუნებრივი საოცრება სულ 6+17+8=31 საოცრებას.

ჩვენის აზრით, იესოს პირადად ეკუთვნის 32 საოცრების მოხდენა, რომელთაგან 9-ს მრავლობითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ აქ განვიხილავთ იესოს მიერ მოხდენილ მხოლოდ რამდენიმე საოცრებას, რომლებიც რა თქმა უნდა, მესიანური მეფის ერთ-ერთი თვისებაა.

კეთროვანის განკურნება

იესოს კეთროვანი მიუახლოვდა და უთხრა: „უფროსო კეთრმა შემჭამა და იქნებ მიშველო!“

„მიშველი“ იყო იესოს პასუხი და ავადმყოფს ხელით შეეხო.

და მაშინვე ავადმყოფს ეშველა. იესომ უთხრა: „წადი და მღვდლებს ეჩვენა თუ როგორ განიკურნე“.

ეს ამბავი საზოგადოებაში ფართედ გავრცელდა და აღწერილი აქვს მათეს, მარკოზსა და ლუკას.

რატომ უთხრა იესომ ავადმყოფს „წადი და მღვდლებს ეჩვენე“?

ავადმყოფობა და ცოდვა

ბიბლიაში და პირველი საუკუნის ქრისტიანებში ავადმყოფი ადამიანი ცოდვილად ითვლებოდა. ქრონიკული უჭმელობის გამო ღარიბი ხალხი უძლური და ავადმყოფი იყო. მათი დიდი ნაწილი მხოლოდ ტაძარში მკურნალობდა და პარალელურად ცოდვებისაგან თავისუფლდებოდა.

როდესაც იოანე ნათლისმცემელი ან იესო რიტუალური წესით განკურნავდა ავადმყოფს, რაც უმთავრესად ხელის შეხებაში გამოიხატებოდა, ავტომატურად მათ ცოდვებისაგანაც ანთავისუფლებდა. იოანე და იესო ასეთი საქციელით არა მარტო ექიმების მონოპოლიას ზღუდავდა, არამედ მღვდლების რელიგიურ მონოპოლიაშიც იჭრებოდა. ეს იყო ბრძოლა ბიზნესისათვის. იოანე და იესო ეკლესიის კეთილდღეობას ძირს უთხრიდა.

ერთხელ რწმენით აღსავსე მონდომებულ ავადმყოფს იესომ უთხრა:

„შვილო! შენი ცოდვები შენდობელია“.

იქვე მყოფმა მწერლებმა გულში თქვეს:

„ეს კაცი რატომ ლაპარაკობს ასე? ეს ხომ ღვთის ძაგებაა. ცოდვების შენდობა მხოლოდ უფალს შეუძლია“.

იესომ, რომელმაც მათი აზრები გონებაში წაიკითხა: თქვა:

„რატომ არ ეკითხებით თქვენს გულებს? რა უფრო იოლია, რომ პარალიზებულს უთხრა: „შენი ცოდვები შენდობილია“ თუ: „ადექი, ჯოხი აიღე და გაიარე!“

ამ ისტორიას მარკოზი, მათე და ლუკა მცირედი განსხვავებით გადმოგვცემენ.

იესოს საქციელის გამო თეოლოგია და ეკლესია გამოწვევის წინაშე იყვნენ. თუ ავადმყოფობა ზეციური სასჯელია, ის ვინც ავადმყოფებს განკურნავს და ცოდვებსაც შეუნდობს ღვთიურ ძალაუფლებაზე აცხადებს პრეტენზიას.

ბრმას თვალები აეხილა

იესო თავისი მოწაფეებითურთ ბეთლეჰემში მივიდა. ეს ქალაქი იესოსათვის ძვირფასი იყო, რადგან ამ ქალაქის ახლოს გამოქვაბულში დაიბადა, სადაც სამი აღმოსავლელი მოგვი ესტუმრა, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს, რომ იგი ისრაელის (იუდეას) მეფე იქნებოდა.

ბეთლეჰემში ხალხმა იესოს ბრმა კაცი მიუყვანა და სთხოვეს ხელი შეახეო. იესომ ხელი შეახო ხელზე და სოფლის გარეთ გაიყვანა. სოფლის გარეთ იესომ თვალში ჩააფურთხა და ჰკითხა: „რამეს ჰხედავ?“ და მან უთხრა „მე ვხედავ კაცს, რომელიც ხეს ჰგავს და დადის“. იესომ კვლავ დაადო ხელი თვალზე და ბრმას მხედველობა დაუბრუნდა“ და უთხრა: „წადი და სოფელში აღარ დაბრუნდე“. ამას მოგვითხრობს მარკოზი თავისი სახარების მე-8 თავის 22-26 პარაგრაფებში.

რატომ უთხრა ავადმყოფს „ახლა წადი სოფელში და აღარ დაბრუნდე“?

სხვა შემთხვევაში იესო მოწაფეებთან ერთად გზაზე მიდიოდნენ და მათ ჩაუარეს გვერდზე დაბადებით ბრმა ადამიანს.

„რაბაი! ვინ ჩაიდინა ეს ცოდვა? იქნებ მისმა მშობლებმა, რომ ეს ადამიანი ბრმად დაიბადა?“

„ეს მისი მშობლების ცოდვა კი არ არის, არამედ ღმერთის ნების გამომზეურებაა“, თქვა იესომ და დასძინა:

„ჩვენ უნდა ვიმუშაოთ მასზე ვინც იგი გამოგვიგზავნა ამ დღეში. მალე ღამე მოდის, რომლის დროსაც არავინ მუშაობთ. სანამ მე ვარ ამ ქვეყანაზე მე ვიქნები სამყაროს შუქი და უფლის ნება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შესრულდება“.

ამის თქმა იყო და იოსემ გზაზე დააფურთხა. ფურთხისაგან თიხა მოზილა, ბრმას თვალებზე აუსვ-დაუსვა და უთხრა:

„ახლა წადი და დაიბანე თვალი“.

ბავშვის შორიდან განკურნება

ქოფერნაუმთან ცხოვრობდა ოფიციალური პირი, რომლის შვილი ძლიერ ავად შეიქნა. მან გაიგო, რომ იესო თავისი მოწაფეებითურთ იუდეიდან და გალილეიდან ქოფერნაუმში ჩავიდა, ეახლა და თაყვანი სცა. ოფიციალურმა პირმა იესოს სთხოვა შვილის განკურნება, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში, ფაქტიურად სიკვდილის პირზე იყო.

„სანამ საოცრების ნიშანს არ დაინახავ, საოცრების არ გჯერა?“ ჰკითხა იესომ.

„ბატონო მოდი ჩემს შვილთან და იხსენი იგი“, კვლავ სთხოვა ოფიციოზმა.

„წადი, შენი შვილი უკვე განკურნებულია, შენი შვილი იცოცხლებს“.

კაცმა უმალ დაიჯერა იესოს ნათქვამი და სახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა, რომელსაც შემდეგ დღეს მიაღწია. გზაში მსახური შემოხვდა, რომელმაც მოახსენა, რომ მისი შვილი ცოცხალია. კაცმა ჰკითხა:

„რომელი საათიდან დაიწყო ჩემმა შვილმა გამოჯანმრთელება?“

„გუშინ, საღამოს შვიდი საათიდან ციებ-ცხელებამ მიატოვა ბავშვი“, თქვა მსახურმა.

მამამ იცოდა, რომ ეს იყო დრო, როდესაც იესომ თქვა, „შენი შვილი იცოცხლებს“.

მსგავსი ისტორიის კიდევ ერთი ვარიანტი ასეთია:

როდესაც იესო თავისი მოწაფეების თანხლებით კოფერ-ნაუმში შევიდა, მას ცენტურიონი ეახლა, თაყვანი სცა და უთხრა:

„ლორდ! ჩემი ერთგული მსახური პარალიზებულია, იგი საშინელ მდგომარეობაშია“.

„მოვალ და მოვარჩენ“, მიუგო იესომ.

„ლორდ მე არ ვარ ღირსი, რომ ჩემი სახლის ჭერ-ქვეშ შემოხვიდეთ. მხოლოდ სთქვით სიტყვა და ჩემი მსახური განიკურნება“.

„შენ გჯერა, რომ მე სიტყვით განვკურნავ შენს მსახ-ურს?“ ჩაეძია იესო.

„მჯერა, რადგან მე ვარ პასუხისმგებელი პირი და ჩემს სიტყვას ძალა აქვს. ჩემს განკარგულებაშია ჯარისკაცები; და მე ვეტყვი ერთ-ერთ მათგანს „წადი“ და იგი წავა, „მოდი“ და იგი მოვა; და ვეტყვი ჩემს მონას „გააკეთე ეს“ და იგი გააკეთებს“, თქვა რომაელმა ცენტურიონმა.

როდესაც იესომ ეს მოისმინა, გაოცდა და უთხრა თავის მიმდევრებს:

„ჭეშმარიტებას გეტყვით თქვენ. მთელს ისრაელში ვერ ნახავთ ასეთი რწმენის კაცს, ხოლო ცენტურიონს უთხრა:

„წადი და შესრულდება ის, რისაც შენ გჯერა“.

და იმავ მომენტში რომაელი ცენტურიონის მსახური განიკურნა.

აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ებრაელებს უფრო ნაკლებად სჯეროდათ სასწაულების, ვიდრე არაე-ბრაელებს. შესაძლებელია, ეს იყო მომენტი, როდესაც იესომ მზერა არაებრაელებზე გადაიტანა. ისინი უფრო საიმედო მასალა იყო სამუშაოდ, როგორც ნაკლებად განათლებულე-ბი და სასწაულებისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანები.

ეს ორი შემთხვევა იესოს არაებრაელებთან მოუხდა.

მკვდარი კაცი აღსდგა

ერთხელ იესო თავისი მოწაფეების თანხლებით ბითინიაში მივიდა. მას დადარდიანებული ქალი მიუახლოდა, რომლის ძმაც გარდაიცვალა. ქალი დარდით თითქმის ჭკუადაკარგული იყო და იესოს შეჰკადრა:

„დავითის შვილო, მოწყალე იყავი ჩემს მიმართ“.

იესოს მოწაფეებმა ქალი გაკიცხეს და უთხრეს, რომ ნუ აწუხებდა მოძღვარს, მაგრამ იესო გაბრაზდა მოწაფეებზე და ქალს შეჰყვა იმ ბაღში, სადაც სამარე იყო. იმ ადგილიდან დიდი ხმაური მოისმოდა. იესო მიუახლოვდა აკლდამას და მისი შესასვლელიდან მრგვალი ქვა გადააგორა. ცხელი დღე იყო და აკლდამიდან სასიამოვნო სიგრილე გამოდიოდა. იესო აკლდამაში შევიდა, სადაც ქვის ლოგინზე ახალგაზრდა კაცი იწვა. იესომ ახალგაზრდას ხელი მაღლა აღმართა და ადგომა უბრძანა. ახალგაზრდა აღსდგა, მას იესოს ხელი ეჭირა და უყურებდა, შეუყვარდა და თხოვნა დაუწყო, რომ მასთან ყოფილიყო. ორივე აკლდამიდან გამოვიდნენ და მისი დის თანხლებით ახალგაზრდა კაცის სახლში შევიდნენ, რომელიც ძალიან მდიდარი იყო. იესო იქ ექვსი დღე დარჩა. მეშვიდე დღეს იესომ უთხრა ახალგაზრდას თუ რა უნდა გაეკეთებინა და საღამოს ახალგაზრდა მივიდა მასთან. მას შიშველ სხეულზე თხელი სარაფანა ეცვა. იგი იესოსთან დარჩა მთელი ღამე და იესომ მოუთხრო მას ღმერთის სამეფოს საიდუმლოების შესახებ. შემდეგ იესო თავისი მოწაფეების ესკორტით მდინარე იორდანის მეორე მხარეს დაბრუნდა“.

ამ ამბავს იუწყება მარკოზის საიდუმლო სახარება (1ვ2 – 2ვ11ა). ეს სახარება ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი და აღმოაჩინა მორტონ სმიტმა, კოლუმბის უნივერსიტეტის მკვლევარმა 1958 წელს. მისი თხზულებები გამოცემულია ნიუ-იორკში 1973 წელს 445-453 გვერდები.

ეს საინტერესო ამბავი ხაზგასასმელია. ჰომოსექსუალური კავშირი დამყარდა ექვსი დღის შემდეგ, ე. ი. მე-7 დღეს. შეგახსენებთ, რომ უფალმა სამყარო ექვს დღეში

შექმნა უსულო ანუ მკვდარი სხეულებიდან. მე-7 დღეს კი ყველაფერი დაასრულა და სიტუაცია გააანალიზა. სწორედ მე-7 დღეს ესაუბრა იესო გამოცოცხლებულ ახალგაზრდას და ასევე არა მარტო გააცოცხლა იგი მკვდრეთიდან, არამედ სექსიც კი დაამყარა მასთან. ეს გამოძახილია იმისა, რომ ადამი სანამ უფალი მას ცოლს, ევას მოუყვანდა ვეფხვებთან, ლომებთან და ანტილოპებთან და სხვა ცხოველებთან იცხრობდა ჟინს.

ახლა ვთქვათ ორიოდე სიტყვა იესოს მუშაობის სტილის შესახებ, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს თუ როგორი საზოგადოება არის იუდეაში.

როდესაც შენ წახვალ სადმე და ვინმე მიგიღებს, ჭამე რასაც მოგცემენ და განკურნე თუ ვინმე ავადმყოფია (თომას სახარება 14:2).

მათესთან (10:7) და სხვა ადგილებში იესო, როდესაც თავის 72 მოწაფეს სხვადასხვა ადგილებში გაგზავნის სამუშაოდ, ამბობს, რომ ორ-ორი შედით ყოველ ქალაქში და თქვით: „მოსავალი უხვია, მაგრამ მომუშავე ცოტაა“. „განკურნეთ ავადმყოფები, აღადგინეთ მკვდრები, გაწმინდეთ კეთროვნები, განდევნეთ დემონები... ნუ შეიძენთ სპილენძის სარტყლებს ქისებისათვის... ნურც საგზლის აბგას გზისთვის. ნურც ორ ხელ ტანსაცმელს, ნურც სანდლებს და ხელჯოხს... სადაც არ მიმიღებენ ან არ მოისმენენ თქვენს სიტყვებს, იმ სახლიდან ან ქალაქიდან გამოსვლისას ფეხებიდან მტვერი დაიბერტყეთ... სოდომი და გომორი... უფრო ადვილი ასატანი იქნება (მათთვის). გგზავნით როგორც ცხვრებს მგლებში. ამიტომ იყავით ფრთხილად გველივით და მტრედივით უწყინარნი... ადამიანებს უფრთხილდით. რადგან ისინი სასამართლოებს გადამცემენ და სინაგოგებში გაგშოლტავენ. (მათე 10:8-17).

სხვა ადგილებში აღნიშნულია, რომ იესომ 12 მოწაფე ორ-ორად დაყო და ბოროტი სულის წინააღმდეგ ავტორიტეტული იარაღი მისცა. იესომ დაავალა მათ, რომ თავიანთი მოგზაურობის დროს არ აეღოთ ფული, მხოლოდ საკვები. თან არ

ეტარებინათ პური, ფული და ევლოთ ფეხშიშველა. თუ რომელიმე ქალაქი არ მიიღებდა მათ გასულიყვნენ ქუჩაში და ეთქვათ: „თუმცა თქვენი ქალაქის მტვერი ეხვევა ჩვენს ფეხებს, ჩვენ გავხვეტავთ მათ და ღვთის სამეფოს დავამყარებთ აქ“.

ასეთი და ამდაგვარი იყო იესოს და მისი მოწაფეების მუშაობის სტილი ებრაულ საზოგადოებაში.

მოწაფეები შეეკითხნენ იესოს: „თუ როგორ დავიცვათ მარხვა? როგორ ვილოცოთ? მოწყალება როგორ გავიღოთ? როგორ დიეტას გავყვეთ?“ როგორც ყოველთვის იესოს პასუხი ბრძნული და გასაგებია.

„თუ მარხულობ, ცოდვებისაგან თავისუფლდები, თუ ლოცულობ ცოდვები მოგეშვება“, „თუ უაზრო მოწყალებას გაიღებ დააზიანებ შენს სულს“. თუ რომელიმე მიწაზე წახვალ და სადმე მიგიღეს, ჭამე რასაც მოგცემენ, რადგან რაც შევა შენს პირში არ წაგბილწავს, მაგრამ რაც გამოვა შენგან ის წაგბილწავს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ არანაირი საჭმელი მავნე არ არის, მაგრამ ორგანიზმიდან გამომავალი გადამუშავებული პროდუქტი ყოველთვის ძღნერია.

ადრე ავღნიშნეთ, რომ იესომ მოწაფეები სამოგზაუროდ ორ-ორი გაუშვა. ორ-ორი კაცი და ასევე ცოლი და ქმარი. ცოლს ისინი დას ეძახდნენ ე. წ. „და-ქალი“. დაქალები ძალიან ხშირად იცვლებოდნენ, იმისდა მიხედვით თუ რა დავალებებს ასრულებდნენ და საბოლოოდ ჩვეულებრივი ბოზის მოვალეობას ასრულებდნენ, მხოლოდ უფლის საადიდებელ რელიგიურ სარჩულში.

* * *

ჩვენთვის კვლავ დიდი საიდუმლოა თუ რატომ არ გადაირჩინა იესომ თავი. იმ დროს როდესაც წინასწარმტყველი დანიელი ლომებს გადაურჩა (დანიელი 6) რატომ იესო არ გადარჩა? იგი მხოლოდ მესამე დღეს აღსდგა. იესო არ გადარჩა ჯვარცმის სიკვდილისაგან. იგი მოკვდა და მხოლოდ მესამე დღეს გაცოცხლდა.

ერთი ბიბლიური მკვლევარის ჯონ დანილოუს თანახ-

მად სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში ჩასვლა არის პირველი საუკუნეების ებრაელი ქრისტიანების მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი.

ბიბლიის სხვა მცოდნე ჰენრი ჩადვიკი თავის „ოდა სოლომონში“ აღნიშნავს, რომ „ჰადესი გადამწყვეტი მომენტია აღდგომისა და ცოდვების გამოსყიდვის პროცესში“. წმინდანი და ღვთისნიერი, დევნილი და წამებული ბოლოს აღთქმულ ქვეყანაში გადავა, მხოლოდ თავდაპირველად ჯოჯოხეთს მოინახულებს. ზეციური სამეფოს გზა საფლავზე ანუ ჯოჯოხეთზე გადის.

იესო ქრისტეც ჩავიდა საფლავში ანუ ჯოჯოხეთში, საიდანაც ტრიუმფალურად აღსდგა, მაგრამ ახალ აღქმაში ეს არ ჩანს, როგორც ამას სწავლული დალტონი აღნიშნავდა 1965 წელს.

აქ არის ოთხი მიზეზია თუ რატომ არის ასეთი მარგინალიზაცია.

1. იესო ებრაელი ქრისტიანია და იგი ებრაულ ტრადიციებს დამორჩილდა.

2. მითოლოგიური ამბავი. შეიძლება იგი დემონებმა მოტყუილებით ჩაიტყუეს ჯოჯოხეთში, სადაც მან დაამტვრია ჯოჯოხეთის კარიბჭენი, გაანთავისუფლა ბევრი წესიერი ადამიანი და თავადაც აღსდგა.

3. აქ წარმოიშვება ბევრი საკითხი: წესიერმა ხალხმა სიკვდილის წინ მოასწრს მონანიება? სად მოინათლნენ? სად დადეს ხელშეკრულება უფალთან? რამდენად ეფექტურად მოინანიეს ჩვეულებრივ ქრისტიანებთან შედარებით?

4. როგორ მისცა იესომ ევანგელისტური მოღვაწეობის მანდატი თავის მოწაფეებს თუ ჯოჯოხეთში წავიდა?

ამ და სხვა საკითხების შესახე შემდეგ თავებში ვისაუბრებთ.

არქანგელოზ სატანას ფენომენი

დღევანდელი მსოფლიოს ერთერთი ყველაზე ცნობილი ზეციური არსება არქანგელოზი სატანაა, რომელიც ამ სიტყვის პირადაპირი მნიშვნელობით ჩვენი ოჯახის წევრი გახდა. ამიტომ მოდით ახლა მოკლედ ვთქვათ სატანას წარმოშობის, მისი მშობლებისა და ოჯახის შესახებ. ამის შესახებ ბევრი მოსაზრება არსებობს. არავინ იცის თუ ვინ არის რეალურად იგი. სატანას, ანგელოზების, კაცობრიობის და ყველაფრის მამა არის ჩვენი უფალი.

„მე ვქმნი სინათლესა და სიბნელეს. მომაქვს მშვიდობა და უბედურება. მე იეჰოვა ვაკეთებ ყოველიე ამას“ (ესაია 45-7).

მაშასადამე ეჭვსგარეშეა რომ არქანგელოზი სატანა არის უფლის ქმნილება.

სატანას დედა არის უფლის პირველი ცოლი მისი უდიდებულესობა დიდი ქალღმერთი ჰაშერაჰი (შეკინაჰი). იგი არის უფლის პირველი მეუღლე.

ჰაშერაჰი ჩაწერილია ბიბლიაში ბევრჯერ (მსაჯულება 2:13; 10:6. I სამუელი 7:3-4; I მეფეები 11:3 და სხვ.). ტრადიცია ამბობს, რომ იეჰოვას არა მარტო ყავდა მეუღლე, არამედ იგი ყველა ქალაქში ყავდა.

მოგვიანებით ჰაშერაჰი (შეკინაჰი), ამოიძირკვა ქრისტიანული რელიგიის მიერ. ეს იყო პოლიგამიური ოჯახი, ამიტომ სატანას როგორც მამის, ისე დედის მხრიდან უამრავი და-ძმა ჰყავდა.

ტრადიციით სატანას მრავალი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ერთ-ერთი პირველი რანგით იყო ლოლიტა, რომელიც ადრე ადამის პირველი ცოლი იყო. ლოლიტა თავდაპირველად მოკვდავი შეიქმნა, მაგრამ მოგვიანებით უკვდავი გახდა და მოკვდავების ადგილსამყოფელი დასტოვა. ლოლიტა შეიქმნა იმ დროს, რომელიც ბიბლიაში ასეა აღწერილი:

„...ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ანარეკლად. ღვთისანარეკლად შექმნა იგი. კაცად და ქალად შექმნა ისინი“ (დაბადება 1:27).

ამ ციტატიდან ძნელია განსაზღვრო ვინ უფრო ადრე შეიქმნა, კაცი თუ ქალი. ადამი და ლოლიტა ორივე ერთბაშად შეიქმნენ და მათ თანაბარი უფლებები ჰქონდათ. მალე ლოლიტა გაექცა ადამს და ეს იყო პირველი განქორწინება კაცობრიობის ისტორიაში. ლოლიტამ ვერ გამონახა საერთო ენა ადამთან სექსუალური პოზის გამო. ლოლიტას უნდოდა ზემოთ ყოფილიყო, ასევე უნდოდა ადამს. სექსის დროს ზემოთ ყოფნა გაბატონებულ პოზიციას გულისხმობდა. მცირე დავის შემდეგ ლოლიტამ, რომელმაც მოასწრო ორი ნაყოფის გასინჯვა, ცოდნის ხიდან და სიცოცხლის ხიდან და განათლებული და უკვდავი გახდა და აღარ მოისურვა გაგრია ადამთან ყოფნა. გადააფრინდა ედემის ბაღის ღობეს და გაუჩინარდა. ეს იყო არა მარტო პირველი განქორწინება, არამედ უფლისადმი პირველი დაუმორჩილებლობაც. უფალმა ლოლიტას უბრძანა ადამთან დაბრუნება, მაგრამ ლოლიტა ამ ბრძანებას არ დაემორჩილა და გახდა სატანას ერთ-ერთი მეუღლე.

სატანას ბევრი შვილები ჰყავდა და მათ შორის ყველაზე განთქმული და ძალოვანი იქნება ანტიქრისტე, რომლის სახელი მალე ყველასათვის ცნობილი გახდება. ანტიქრისტეს დედა იქნება სატანას ერთ-ერთი ქალწული ცოლი, რომლის სახელიც ასევე მალე გახდება ცნობილი.

ადრე სატანა არ იყო მოხსენიებული როგორც კაცობრიობის მტერი. იგი როგორც მტერი ჩამოყალიბდა ქრისტიანი პროფესიონალი თეოლოგების მიერ. ისინი თავის მხრივ, ეყრდნობოდნენ პირველი საუკუნის ებრაულ ორთოდოქსალურ ესენელების სექტას. ეს იყო რადიკალური სექტა, რომლებიც კოსმოსს და დედამიწას ხედავდნენ, როგორც ბრძოლის არენას დემონებსა და ანგელოზებს შორის, ღმერთსა და სატანას შორის.

ამჟამად ქრისტიანები დგანან ერთი სერიოზული დილემის წინაშე. მათ შექმნეს სატანური მტრული ანარეკლი, მაგრამ ამ შექმნას ბევრი სუსტი ადგილი აქვს და საჭიროა მათი ამოლესვა.

როდესაც ზეცისა და დედამიწის ისტორიაში იესო ქრისტე შემოიჭრა ანგელოზური იერარქია, რომელიც მის მოსვლამდე არსებობდა, რადიკალურად შეიცვალა. ადრე უფალსა და ანგელოზებს შორის როგორც ფარი იდგა სატანა, რომელიც ანგელოზებს იცავდა უფლისაგან გამომავალი ცხელი რადიაციული გამოსხივებისაგან, ახლა ქრისტიანებმა აიღეს სატანა, გადააყენეს იგი თავისი პოსტიდან და ჩააგდეს უძირო ორმოში, მაგრამ აღიარებენ რომ ეს ისტორიული მომენტი უნდა მოხდეს სატანას აჯაყნების შემდეგ, რაც ჯერთ არ მომხდარა. აჯანყება უნდა მოხდეს იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის და არმაგედონის ომის წინ. ეს ნიშნავს იმას, რომ სატანა ჯერთჯერობით თავისუფალია, რადგან არმაგედონის ომი ჯერთ არ მომხდარა.

მაგრამ ზოგმა „ჯიუტმა“ ქრისტიანმა სწავლულმა მაინც მოათავსა სატანა ქვესკნელში, მაგრამ ერთი პირობით. როდესაც იესო მეორედ მოვა, რათა დედამიწაზე სამართალი დაამყაროს, სატანა გამოვა ორმოდან და განთავისუფლდება მცირე ხნით. მალე მას არქანგელოზი მიჰეილი პირადად დააპატიმრებს და ცეცხლოვან ტბაში გადაისვრის სადაც იგი სამუდამოდ დარჩება.

სატანას განთავისუფლება სავალდებულოა, რადგან თუ იგი არ განთავისუფლდა იესოს მეორედ მოსვლა აზრს კარგავს. თუ სატანა უკვე ზის უფლის ციხეში, რაღა საჭიროა დედამიწის განთავისუფლება, ან ვისგან უნდა განთავისუფლდეს დედამიწა? აქ უკვე უნდა იყოს იდეალური წესრიგი და ჰარმონია. და აღარავითარი „დიდი უბედურებები“ და „განსჯის დღე“ საჭირო არ არის.

მაშასადამე, ქრისტიანები არიან დილემის წინაშე. სატანას გარეშე მათი რელიგია აზრს კარგავს. ამავე დროს ორივე სატანა თავისუფალიც და დაბორკილიც მათთვის პრობლემაა.

მოკლედ ასეა თუ ისეა, ზეციურ იერარქიაში სატანა გაქრა და წინა პლანზე გამოვიდნენ არქანგელოზები მიჰეილი, გაბრიელი, რაფაელი და სხვები.

ზეციურ იერარქიაში შესაძლოა ყველაზე დიდი პოსტი დღემდე უკავია არქანგელოზ სატან-მეგატრონს. იგი არის როგორც სერაფიმი ისევე არქანგელოზი. იგი ყველაზე ძლიერ და გავლენიან ზეციურ არსებად ითვლება ზეციურ იერარქიაში და სპეციფიკურად კურირებს ომებს და კაცობრიობას.

არქანგელოზი სატანა თალმუდისა და თარგუმის (თალმუდის კომენტარები) განსაზღვრებით პირდაპირი კავშირშია ღმერთისა და კაცობრიობას შორის. ამის გამო სატანას ზოგჯერ „უფლის ღვთიურ სახეს“ უწოდებენ.

არის რამდენიმე კანდიდატი „ღვთიური ტახტისა“ და სატანა-მეგატრონი-ლუციფერი არის ერთ-ერთი პატივცემული კანდიდატი, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ შეთანხმების ანგელოზსა და ანგელოზების მეფეს.

ერთი გნოსტიკური ვერსიით სატანას უკვე ეძახიან იაჰვეს ან თეთრაგრამატონს. ჩვენ ვიცით, რომ იეჰოვა ან იაჰვე არის ჩვენი დიდი ლორდის ერთ-ერთი ტიტული. ამის გამო გნოსტიკური ინფორმაცია ძალიან გვაბნევს. შესაძლებელია იგი მიუთითებს, რომ სატანა-მეგატრონმა უკვე მოახდინა აჯანყება უფლის წინაშე, რაც ადრეულ საუკუნეებში მოხდა. თუ ეს ასე მოხდა, არის ორი ვერსია:

პირველი: არქანგელოზმა სატანამ უფლის წინააღმდეგ ომი მოიგო. და ამჟამად უფლის სახელით მართავს სამყაროს.

მეორე: არქანგელოზმა სატანამ წააგო ომი და უკვე იმყოფება უძირო ორმოში. მეტი ვარიანტი არ არსებობს.

სატანას აქტიური მოღვაწეობა დედამიწაზე ნათლად მიუთითებს, რომ იგი არ ზის უძირო ორმოში და კვლავ მართავს დედამიწას. ამის გამო შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მან უკვე მოიგო ომი უფლის წინააღმდეგ? და არა მარტო მოიგო, არამედ მიიღო იაჰვესა და თეტრაგრამატონის ტიტული, რომელიც არის უფლის სახელი და გახდა უმაღლესი? ეს დიდი საიდუმლოებაა და ჩვენ ჯერჯერობით არ ვართ მზად ამაზე პასუხის გასაცემად. ეს საკითხი ბურუსით არის მოცული. ამ მიმართულებით კვლევა არის საჭირო, რადგან ჩვენ არ ვიცით ბევრი ფაქტი.

ერთი ქრისტიანული ვერსიით სატანას წყვდიადის პრინ-ცის ტიტული აქვს და სამყაროს შექმნის ერთ-ერთი ორგან-იზატორია. იგი ხელმძღვანელობს სამყაროს ბნელ ნაწილს. სატანამ თავისი ბოროტი ანგელოზებით დიდი ტერიტორიებ-ის აბსორბცია მოახდინა და არქანგელოზ მიჰეილის ბევრი ფუნქცია შეითავსა. „ეს არის მთელი დედამიწის წინააღმ-დეგ მიღებული გადაწვეტილება და ყველა ერის წინააღმდეგ გაწვდილი ხელი“ (ესაია 14:26).

ეს ვერსია კრიტიკას ვერ უძლებს. სატანა-ლუციფერი ნათელის მატარებელი ანგელოზია, სადაც არის შუქი იქ არის სიცოცხლე საწინააღმდეგოდ წყვდიადისა, რომელიც სიკვდილის სიმბოლოა.

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად სატანა-მეგატრონი ლუ-ციფერი არის სერაფიმი და ციური საბჭოს მთავარი წიგნის „ციური ქრონიკების“ მწერალი. „ციურ ქრონიკებში“ ჩაწერ-ილია ყველა კოსმიური მასშტაბის ინფორმაცია. იქ არის არა მხოლოდ დედამიწის ცივილიზაციის ისტორია, არამედ სამ-ყაროში შექმნილი ყველა ცივილიზაციისა. სატანა როგორც სამყაროს ისტორიოგრაფი და მწერალი და ასევე სამყაროს მთავარი კომპიუტერის დისპეტჩერი, თავის „ციურ ქრონი-კებში“ მიუთითებს უფლის როლზე სამყაროს ყველა ცივ-ილიზაციის შექმნაში, ააანალიზებს კავშირებს მათ შორის.

პიროვნებას რომელსაც შესაძლებლობა ექნება წაი-კითხოს ქრონიკები გაიგებს დედამიწაზე სიცოცხლის წარ-მოშობის საიდუმლოებას, რომელიც ღრმა კავშირშია უცხო პლანეტელების მოწინავე ჯგუფთან, რომლებიც ერთ დროს სახლობდნენ დედამიწაზე და გიგანტების სახელით არიან ცნობილნი. სატანას წიგნი არის უეჭველი დოკუმენტურად დამოწმებული ფაქტები საიდუმლო პლანეტა ნიბირუს შეს-ახებ და მოთხრობა თუ რატომ შექმნეს ამ პლანეტის ას-ტრონავტები რამდენიმე მილიონი წლის წინათ სატანას ხელმძღვანელობით კაცობრიობა თავის მსგავსად.

სატანას „ციური ქრონიკები“ დაწვრილებით მოგვითხ-რობს გასაოცარ ისტორიას მზის სისტემის მე-12, ამჟამად

ჩვენგან ძალიან შორს წასული პლანეტა ნიბირუს და მისი მაცხოვრებლების შესახებ. ეს მაცხოვრებლები ბიბლიაში ნიფილიმელების სახელით არიან ცნობილნი. სატანა აღწერს, რომ ნიფილიმელები არიან „გიგანტური მეთვალყურეები, რომლებიც დედამიწაზე დაეშვნენ. მხოლოდ „სატანას ციურ ქრონიკებშია“ ჩაწერილი მართალი ისტორია ბიბლიურ ნიფილიმელებს, ედემის ბაღს, ბაბილონის კოშკის, წარღვნის, შუმერების, ბაბილონელების, უძველესი ინდუს ველის ცივილიზაციის, უფლის გეგმის, იესოს მისიის დედამიწაზე და უკანასკნელ დღეებს შორის კავშირის შესახებ.

სატანას მწერლების პროფესიულ შემოქმედებით ნაშრომებში აღწერილია თუ რატომ დევნიდნენ პირველი ქრისტიანები სექტარიანებს, განსაკუთრებით ებრაელთა ყველაზე განათლებულ კასტას, მწერლებს, რომლებიც ცდილობდნენ ენახათ მუდმივი პასუხი არა მარტო დედამიწაზე და ზეცაში, არამედ პირველ რიგში უსაზღვრო კოსმოსურ სივრცეში. ისინი წერდნენ წიგნებს, რომლებიც ქრისტიანებისათვის არასასიამოვნო იყო, რადგან მათ არ სჭირდებოდათ განათლებული ხალხი. ქრისტიანი ორთოდოქსები კავშირს ნახულობდნენ სატანასთან როგორც ზეციური მწერალთან და ებრაელთა მწერლების სექტასთან.

ცნობილია, რომ განათლებულ ხალხზე ზეგავლენის მოხდენა მრავალჯერ ძნელია, ვიდრე გაუნათლებლებზე. ქრისტიანებისათვის და სხვა რელიგიებისთვის აუცილებელი იყო „სუფთა ტვინი“. სწორედ ასეთი ტვინი იყო მშვენიერი მასალა გავლენის მოსახდენად. ეს არის მიზეზი თუ რატომ არის რომ დღემდე არავის წაუკითხია სამყაროსა და კაცობრიობის ისტორიის სატანისეული ვერსია. სწორედ ამიტომ არის, რომ ხალხმა არაფერი არ იცის „სატანას ზეციური ქრონიკების“ შესახებ.

არქანგელოზ სატანა-თეთრაგრამატონ-ლუციფერ-მეგატრონ-მეტატრონის სიმაღლე როგორც ანგელოზის არის 8-13 ფუტის. როდესაც რაღაც საქმისთვის იგი ჰუმანოიდებს ეცხადება მისი სიმაღლე 7-8 ფუტს არ აღემატება. იგი არის

ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ანგელოზი ანგელოზების იერარქიაში. მას საჭიროების შემთხვევაში აქვს არა 6 ფრთა, როგორც ანგელოზ მიჰეილს, არამედ ექვსჯერ მეტი, 36 ფრთა. იგი არის უსწრაფესი ქმნილება ზეციურ სივრცეში და ექვსჯერ უფრო სწრაფია არქანგელოზ მიხეილზე. ყველამ იცის, რომ სისწრაფე შეიქმნს ძალას. ყველაზე სწრაფი ლუციფერი, ყველაზე ძლიერიც არის. ქრისტიანი მკვლევარების შეხედულებით იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ არქანგელოზი მიჰეილი პირადად დააპატიმრებს არქანგელოზ სატანას და მის შვილს ანტიქრისტეს, ბორკილებს დაადებს მათ და უძირო ქვესკნელში კლდეზე დააბამს. ეს მოთხრობა არასწორია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჯერთ არ მომხდარა და ამას გარდა, უფრო სავარაუდოა, რომ გამოცდილი, ბრძენი და ძლიერი ლუციფერ-თეთრაგრამატონი მოუგებს პირად შეტაკებას არქანგელოზ მიჰეილს, რომლის ტექნიკური და ზეციურ-ანგელოზური მაჩვენებები ვერ ესადაგება სატანას მონაცემებს.

პირველი ფრაგმენტი „სატანას ციური ქრონიკებიდან“

(ჩაწერილია ალფრედ ნავიგატორის მიერ)

„ტრადიციულად როგორც გჩვევია, ქურდივით მოხვედი“, მომესმა უეცრად ლუციფერის მელოდიური ხმა. არამეულად ლაპარაკობდა. ამ ენას არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად მშობლიური ენასავით გასაგები იყო.

„მე ყოველთვის ჩუმად მოვდივარ, როგორც ქურდი“ იგივე ენაზე გაისმა პასუხი. ხომ არის ნათქვამი: „მე ყოველთვის მოვალ როგორც ქურდი და არავის ეცოდინება ადგილი და საათი როდესაც მოვალ“. (გამოცხადება 3:3; ასევე 16:10) კაჭკაჭის ხმაზე ლაპარაკობდა.

ინსტინქტურად ბუხრისაკენ გავიხედე. იესო უკვე ჯირკზე დამჯდარ ლუციფერს მხრებამდეც კი ვერ წვდებოდა. შავკანიანი იყო. ებონისზმის ფერის, დაწნული თმებითა და ხუჭუჭა წვერით. თავზე ზურმუხტის ქვებით მოვარაყებული გვირგვინი ედგა. ზოგი თვალი ციმციმებდა. თუმცა ციოდა, მაგრამ ტუნიკის მსგავსი სამოსი და თასმებშეკრული სანდლები ეცვა. თითქოს სურათიდან იყო გადმოსული. ამ მხარის ზამთარს არ ესადაგებოდა. ხელში ძვირფასი ქვებით მოვარაყებული უზარმაზარი მათრახი ეჭირა, რომელსაც თხლად დაკუნთული ხელით ხანდახან წვივზე შემოიკრავდა ხოლმე.

„კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემო ნახევარო ძმაო“, თქვა ლუციფერმა, ჯირკიდან წამოიმართა და წელში მოხრილმა იესოს შუბლს თავისი შუბლი მიადო. ლუციფერიდან გამომდინარე ცისფერი ციალი მაშინვე შესუსტდა. იგი იესომ გადაჩრდილა.

„ეს კაცი“, ლუციფერმა იესოს ჩემზე ანიშნა, „მოტყუილებულები არ არის. მის სახლში ვართ, ესენი კი, „ლუციფერმა თორმეტ მდუმარე მოწმეზე ანიშნა“, ჩემი ერთგული მიმდევრები არიან“.

„ეს ადგილი კავკასიისა და ევრაზიის ცენტრია და ნაკლებათ არის დაზიანებული. ვარსკვლავეთი ჰქვია“, დააზუსტა ლუციფერმა.

„რატომ ამართლებ ამ კაცს?“ იკითხა იესომ.

ცუდათ გავხდი. კისრიდან ხერხემლის გაყოლებით სიცივე ჩამეღვარა, რომელიც კუდუსუნის ძვლის გადაღმა გადაიღვარა. მე, ალფრედ ნავიგატორი, ათას ხიფათს გამოვლილი კაცი, ასეთი საშიშროების წინაშე პირველად მოვხვდი. ჩემს სახლში მყოფი ორი ზებუნებრივი არსების საუბრის თემა გავხდი.

„იმიტომ, რომ არაორჭოფულად ამბობ, რომ ის ვინც ჩემთან არ არის ჩემს წინააღმდეგ არის და ის ვინც ჩემთან არ შეიკრიბება გაიფანტება სხვაგან“ (მათე 12:30), მაგრამ ამავე დროს მინდა გითხრა, რომ „მთელი მსოფლიო მეთანხმება, რომ არის დიდი განსხვავებულობა მათ შორის, ვინც არის სატანის მსახური გაუთვითცნობიერების ან მოტყუების გამო და იმ არსებებს შორის, ვინც გულახდილად განაცხადა თავისი ერთგულება სატანისადმი“, პირველი ჯგუფის ხალხი მე არ მაინტერესებს, შეგიძლია წაიყვანო და დასაჯო, ან შენს მხარეზე გადაიყვანო, მაგრამ მეორე ჯგუფის ხალხს თითი არ დააკარო! ლუციფერის ხმაში მუქარის ფარული ნოტი გაისმა.

„რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება. შენს ერთგულ ხალხს თითს არც კი დავაკარებ. მე არავის არ ვაკარებ თითს. მითუმეტეს, შენს ერთგულ მიმდევრებს. ისინი თვითონ დაიკარგებიან როგორც ცოცხლებს ისე მკვდრებს. ისინი თვითონ დაიკარებენ თითს“, თქვა იესომ და ხელი ბუხრის თავზე ჩამოკიდა, მათრახი კი მარჯვენა ხელით წვივზე შემოიკრა.

მჭახე ხმა ჰქონდა. დარბაზს შეჰყურებდა. იდგა და დგომას აგრძელებდა თუმც მის უკან სავარძელი და დეკორატიული ჯირკი იდო.

„აბა დავიწყოთ“, თქვა მერე და ხელი ბუხრის თავიდან ჩამოაცურა და ტუნიკის ნაკეცში ცერა თითით ჩამოჰკიდა, თქვი რისი გაგება გსურს ჩემგან“, მოსჭრა იესომ.

ლუციფერი ჯირკიდან წამოიმართა ბუხრის მოპირდა-

პირე კედელს მიუახლოვდა, რომლის გასწვრივ მდებარე ტახტზე მოწმეები ისხდნენ.

„სანამ დავიწყებთ, მოდი, დავაზუსტოთ თუ სად იყავი ჯვარცმასა და აღდგომას შორის სამი დღე-ღამის განმავლობაში“, თქვა ლუციფერმა.

„ეს საკითხი ძალიან ბევრს აინტერესებს და სპეკულაციის თემად იქცა“, დასძინა მერე.

„იგი ქრისტიანობის საფუძველია“, გააგრძელა ლუციფერმა, „ის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შენი ჯვარცმა და მერე სასწაულებრივი აღდგომა. ხომ ცხადია, რომ არ იყოს აღდგომა ქრისტიანობა არ იქნება რელიგია. ბიბლია იქნება მხოლოდ კარგი ჭკუის სასწავლებელი წიგნი, ებრაელი ხალხის იგავებისა და არაკების კრებული. ეს იგივეა რომ მე არ ვიყო. მაშინ ყველაფერი აზრს კარგავს, ბუნდოვანდება. მე ხომ მსოფლიოს ყველა ერების ოჯახის წევრი ვარ. შენ კი მხოლოდ შენი მიმდევრების, ამიტომ ჩვენ ყველას გვაინტერესებს და პირველ რიგში, ჩვენს ღირსეულ მოწმეებს, შენი აზრი თუ საიდან მოვიდა ხალხი, რომლებიც საფლავებიდან გამოვიდნენ. ეს მოხდა მაშინვე როგორც კი ჯვარზე სული დალიე. ხომ წერს მათე:

„იესომ როდესაც შეჰყვირა კვლავ ხმამაღლა, სული ამოუშვა. და ტაძარი ორჯერ შეირყა თავიდან ბოლომდე; და მიწაც იძრა კლდეებიც და სამარეები გაიხსნა და ბევრი წმინდანის სხეული, რომლებსაც ეძინათ აღსდგნენ; გამოვიდნენ საფლავებიდან აღდგომის შემდეგ და გაემართნენ წმინდა ქალაქ იერუსალიმისაკენ და ისინი მრავლად იყვნენ“ (მათე 27:50-53). შემდეგ მათე აღნიშნავს, რომ ამ ამბის მომსწრე ადამიანები, მათ შორის ცენტურიონებიც „...ფრიად შეშინდნენ, თქვეს, ჭეშმარიტად ეს ჯვარცმული კაცი უფლის ძე არის“ (მათე 27:54). ამავე დროს აღსანიშნავია ერთი გარემოება: „მეექვსე საათიდან (საღამოს) მთელ იმ მიწაზე სიბნელე ჩამოწვა და მეცხრე საათამდე გაგრძელდა (მათე 27:45). ე. ი. დაახლოებით სამი საათი მიწაზე სიბნელე იყო.

მათეს ამ განცხადების თანახმად მიცვალებულების აღდგომასა და მათ იერუსალიმში შესვლას მრავალი მოწმე ჰყავდა, რადგან ისინი „მრავლად იყვნენ“, თუმცა დედამიწაზე სიბნელე იყო. დააზუსტა ლუციფერმა.

„ეს დახურული საკითხია. ამაზე მარტო მათემ განაცხადა, სხვებმა თავი შეიკავეს. მას ყველა გვერდს უვლის შენი და შენი მიმდევრების გარდა“, თქვა იესომ და ტახტზე მჯდომარე თორმეტ მოწმეს გადმოგვხედა. შევიშმუშნე იესოს ყურადღება კარგს არას გვიქადდა, რადგან მისი კრედო სიყვარულთან და ცოდვების შენდობა-მონანიებასთან ერთად დამნაშავის სამაგალითო დასჯასაც ითვალისწინებდა.

„თავად მშვენივრად იცი სადაც ვიყავი“, გააგრძელა იესომ, „მე ჩავედი ძალიან დაბლა, ქვესკნელში. ვნახე სიკვდილის ციხეები, ცხელი ზეთის ქვევრები, გახურებული ტაფები, სადაც მუდმივად დამონებულები და სიკვდილმისჯილები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი საპატიმროებიდან გავანთავისუფლე, მათ შორის წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი წმინდანები. სწორედ ისინი გამოვიდნენ საფლავებიდან და შევიდნენ „წმინდა ქალაქ“ იერუსალიმში. მათი მისია იყო დაეწყოთ მასიური ქადაგებები, რათა მოსახლეობა მომავალი სავარაუდო კატასტროფებისათვის და უფლის სამსჯავროსთვის შეემზადებინათ. ყველა წმინდანი ებრაელი იყო, ამიტომ ისინი იერუსალიმში შევიდნენ, რადგან იერუსალიმის გარშემო მდებარე სასაფლაოებიდან გამოვიდნენ“.

იესო ახლა ლუციფერისკენ შებრუნდა და მომეჩვენა, რომ თითქოს ნიშნის მოგების ტონით დასძინა:

„ქვესკნელში ვინახულე ის ადგილებიც, სადაც შენ და შენი მიმდევრები განთავსდებიან. ეს მოხდება უკანასკნელი დროების აჯანყების ან მის შემდეგ“.

„გასაგებია, ასეც ვიცოდი ან ვხვდებოდი რომ ასე მოხდებოდა“, თქვა ლუციფერმა. იგი იესოს თვალებში შეჰყურებდა.

„ახლა რომ შევაჯამოთ შენი და რაც მათემ თქვა, გამოდის, რომ ხალხი რომლებიც საფლავებიდან გამოვიდნენ

და მასიურად შევიდნენ იერუსალიმის ქუჩებში და მოედნებზე, შენი განთავისუფლებულები იყვნენ“, თქვა ლუციფერმა.

„დიახ, ეს ასეა“, დაუდასტურა იესომ.

„შენმა საფლავებიდან გამოსულმა ხალხმა დაიწყეს მომავალი კატასტროფების შესახებ ქადაგებები. ყვებოდნენ მესიის მოსვლისა და ახალი იერუსალიმის აშენების შესახებ. ეს წმინდანები და მათ შორის ალბათ იქნებოდნენ მოსე, ილია, ესაია, ეზეკიელი, ნოე, შესაძლებელია აბრაჰამი და ჯოშუა და მრავალი სხვა, მაგრამ არ გაანთავისუფლე წინასწარმეტყველები: დანიელი, ზაჰარია, იერემია. განსაკუთრებით გასაკვირია გრანდიოზული კაცის, უფლის საყვარელი წინასწარმეტყველის დანიელის არ განთავისუფლება“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„რატომ არ გაანთავისუფლე დანიელი?“ ამ კაცმა ხომ თითქმის ყველაფერი თქვა“, წამოჭრა საკითხი ლუციფერმა.

„დანიელის განთავისუფლება ძალიან ადრე იყო. მან ძალიან გრძელი, თითქმის 26 საუკუნის სიგრძის წინასწარმეტყველება გააკეთა, რომლის კვანძის გახსნა ახლა ხდება, ამიტომ დანიელს ჩვენი შეხვედრის შემდეგ გავანთავისუფლებ“, თქვა იესომ.

„ვნახოთ. ამის შესახებ ეჭვი მაქვს, რომ შენ დანიელს, როგორც კონკურენტს ისე უყურებ. მისი გმირული ბიოგრაფია შენთვის მიუღწეველია. ამავე დროს მე მხედველობაში მაქვს შენი კარნახით დაწერილი „გამოცხადება“, რომელიც იოანემ დაწერა და ფაქტიურად არის შენს თარგზე მორგებული დანიელის უმდიდრესი წინასწარმეტყველების გადაკეთებულ-გადამღერებული ვერსია სამყაროს დასასრულის შესახებ“.

ლუციფერმა მცირედი შესვენება გააკეთა, ჩვენ მოწმეებს გადმოგვხედა, თითქის გვამხნევებსო და მიგვახვედრა, რომ თუ იესოსგან საფრთხეს გრძნობთო, ჩემგან მხოლოდ თანაგრძნობას იგრძნობთო და კვლავ იესოს მიუბრუნდა:

„საფლავებიდან ამოსული წმინდანები მრავალი საუკუნის განმავლობაში ჯოჯოხეთის სხვადასხვა განყოფილებებ-

ში იყვნენ მოთავსებულნი და იტანჯებოდნენ ან მარადიულ საკნებში იყვნენ დატუსაღებულები და გონებადახშულები. უაზრო მდგომარეობაში არსებობდნენ ან უბრალოდ მიწაში იწვნენ დაუბანელები რაც არანაკლები ტანჯვა იყო.

საფლავებიდან ამოსულები მაშინვე ქადაგებებს ვერ დაიწყებდნენ. ბუნებრივია, რომ პირველ რიგში ისინი უნდა მოწესრიგებულიყვნენ, სხეულის დეზინფექცია ჩაეტარებინათ, რათა საუკუნოვანი სხეულზე აკრული ჭირი მოეცილებინათ. მათ უნდა ეშოვათ სასტუმროები, განბანილიყვნენ, ახალი ტანსაცმელი შეეძინათ, წამოზრდილი თმები და ფრჩხილები დაეჭრათ, დაეძინათ, დაპურებულიყვნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ ქადაგებების დაწყება.

ისინი უნდა ყოფილიყვნენ ას პროცენტიანი ადამიანების მსგავსი არსებები და უნდა ყოფილიყვნენ ებრაულ ტრადიციებზე აღზრდილები, ყოველგვარი ზებუნებრივი ხრიკების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში წმინდანებს ძალიან გაუძნელდებოდათ, ფრიად ერუდირებული ებრაულ საზოგადოებაში აუდიტორია-ლექტორატი ეშოვათ“ ხაზი გაუსვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„ამავე დროს არ არის არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ შენი განთქმული ჯვარცმის შემდეგ იერუსალიმის შემოგარენში მდებარე ძველი საფლავებიდან ამოსული ხალხი ვინმეს წერილობით მოეხსენიოს მახარობელ მათეს გარდა. მაგრამ მათე შენი ერთგული მიმდევარია და ვერ ჩაითვლება მიუკრძოებელ მხარედ. ჭეშმარიტების დასადგენად სხვა წყაროებიც არის საჭირო“, გამოთქვა ვარაუდი ლუციფერმა და გააგრძელა თხრობა:

„იმ დღეებში იერუსალიმში დიდი სტუმრიანობა იყო. მრავალი უცხოელი სწავლული იყო იქ მივლინებითჩასული და არც ერთი მათგანი არ იგონებს, რომ შენი ჯვარცხმის შემდეგ საფლავებიდან ამოსულ ხალხს მსოფლიოს დასასრულის შესახებ ფართო აგიტაციურ-პროპაგანდისტური ქადაგებები დაეწყოთ. ამაზე არც მამაცი გენერალი და მეცნიერ-ისტორიკოსი ფლავიუს ჯოზეფუსი წერს, რომელ-

საც არაფერი გამოეპარებოდა და არც ბერძენი, ებრაელი და, რომაელი ისტორიკოსები ამბობენ რამეს. ამ ფაქტზე არაფერს ამბობენ ცნობილი ებრაული რელიგიური სექტების: ფარისევლების, გადამწერების, სედუსიელების წარმომადგენლებიც.

შესაძლებელია წმინდანების საფლავებიდან ამოსვლა არ იყო ისეთი მასშტაბური, როგორც ამას მათე წერს. შესაძლებელია მიცვალებული მქადაგებლები რაღაც მიზეზის გამო საფლავებში უკან დაბრუნდნენ, რადგან ებრაული აუდიტორიის მაღალი დონის გამო მათი მისიია შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა“. ლუციფერი მცირედი ხნით შეყოვნდა.

„იესო“, თქვა ლუციფერმა, „სახეზე უკმაყოფილებას გატყობ, მაგრამ, სანამ რაიმეს იტყოდე ნება მიბოძე „ჩვენი“ ვარაუდი გამოვთქვა. „ჩვენი“ რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ, „ჩემი დეპარტამენტის“ თანამშრომლებს. იქ უამრავი ანგელოზი და ადამიანი არის გაერთიანებულები. ჩვენ ყველას ერთი დევიზი გვაერთიანებს, „ვემსახუროთ დედამიწას“, დასძინა მხნედ ლუციფერმა.

„ჩვენი ვარაუდით, მამის ნებართვის გარეშე ჯვარცმის შემდეგ პირდაპირ ქვესკნელში ვერ წახვიდოდი, რადგან ამის უფლება არ გქონდა“, თქვა ვარაუდი კერკეტა ლუციფერმა.

„ზუსტად ფიქრობ“, ჩაუმატა იესომ.

„მაშასადამე გამოდის, რომ ჯვარცმის ზარდამცემი აქტის შემდეგ ზეცაში, მამასთან ახვედი, მისგან ნებართვა და უფლება აიღე ქვესკნელში გასამგზავრებლად. მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრე ჰადესისა და დავიწყების მდინარე ლეთეს გადასაკვეთად და ესტუმრე ჯოჯოხეთის ციხეების სატანჯველ კამერებს. მამის სახელითა და მანდატით გაანთავისუფლე უძველესი წმინდანები და აღუდგინე მათ დროებით შეჩერებული საზოგადოებრივი ფუნქციები. წმინდანები მაშინვე საფლავებიდან ამოვიდნენ და იერუსალიმში ქადაგებისთვის წავიდნენ, შენ კი კვლავ ზეცაში ახვედი, მოახსენე ჩვენს მამას შესრულებული დავალების შესახებ და ჯვარცმიდან მე-3 დღეს შენს მოწაფეებსა და ერთგულ

მიმდევრებს მოევლინე როგორც მკვდრეთით აღმდგარი, მაგრამ არაფერი უთხარი მათ შენს ჯოჯოხეთში ვიზიტის შესახებ. შენ კმაყოფილმა ისადილე შენს მოწაფეებთან, მიეცი მათ ბრძნული რჩევები და ზეცაში ამაღლდი, რისი მოწმეც 10-15 ადამიანია“.

„ესე იგი“, დააზუსტა ლუციფერმა, „გამოდის, რომ ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომას შორის სამი დღის განმავლობაში შენ ერთხელ ჯოჯოხეთში ჩახვედი და სამჯერ კი ზეცაში ახვედი. გრაფიკულად შენი ჯვარცმის შემდგომი ექვსეტაპიანი მოგზაურობა ასე გამოიყურება და ლუციფერმა კედელზე ცეცხლოვანი საჩვენებელი თითით ასეთი გრაფიკა გამოსახა:



ამ დროს მოხდა ექვსი მოქმედება:

1. ჯვარცმა.
2. ზეცაში ამაღლება და უფლისაგან ჯოჯოხეთში გამგზავრების ნებართვის მიღება.
3. ჯოჯოხეთში ჩაშვება და წმინდანების განთავისუფლება.
4. ზეცაში მე-2 ამაღლება და უფლისათვის შესრულებული დავალების შესახებ მოხსენება-რაპორტი.
5. მიწაზე დაშვება და მოწაფეებთან სადილი.
6. ზეცაში მე-3 ამაღლება.

„არის კიდევ ერთი ვარიანტი“, თქვა ლუციფერმა, რომელსაც იესო დიდი გულისყურით უსმენდა. „ჯვარცმის შემდეგ ზეცაში აუსვლელად და მამის ნებართვის გარეშე პირდაპირ ჩახვედი ჯოჯოხეთში. მამის სახელით სამუდამო

ძილისაგან გაანთავისუფლე ყველა ძველი აღქმის დროინ-
დელი წმინდანები, გამოიყვანე ისინი საფლავებიდან და ისინი
აგიტაციისათვის იერუსალიმში გააგზავნე. ამის შემდეგ ჯო-
ჯოხეთიდან პირდაპირ ზეცაში ახვედი და მამა-ღმერთის
ჩატარებული ოპერაციის შესახებ მოახსენე. უფალმა მოიწონა
შენი მოქმედება და შენ ჩამოხვედი დედამიწაზე, მოინახულე
მოწაფეები, გააცანი მათ უფლის გეგმა სამყაროს დასასრუ-
ლის შესახებ. შემდეგ ისადილე მათთან, სულიერად გაამაგრე
ისინი და კვლავ ზეცაში ახვედი“. დააზუსტა ლუციფერმა.

„მაშასადამე, სამი დღის განმავლობაში ჯვარცმასა და
ამაღლებას შორის ორჯერ ზეცაში ახვედი და ერთხელ ჯო-
ჯოხეთში ჩახვედი. ჩაატარე ხუთი ოპერაცია, რაც გრაფიკუ-
ლად შემდეგნაირად გამოიყურება“ და ლუციფერი კედლისაკ-
ენ შებრუნდა, რომლის ლურჯ ფონზე ცეცხლოვანი თითით
ასეთი გრაფიკული სურათი გამოხატა:



ამ დროს მოხდა ხუთი მოქმედება.

1. ჯვარცმა.
2. ჯოჯოხეთში ჩაშვება და წმინდანების განთავისუფლება.
3. უფალთან შეხვედრა, დავალების შესრულების რაპორ-
ტის უფლისეული მოწონება.
4. მიწაზე დაშვება და მოწაფეებთან სადილი.
5. ზეცაში ამაღლება.

„ასეთია ჩვენი ზოგიერთი ვარაუდი ამ ამბებთან დაკავ-
შირებით“, დააზუსტა ლუციფერმა.

იესოს არაფერი უთქვამს, თუმცა იგრძნობოდა, რომ რამდენ-
ჯერმე თითქოს უნდოდა ლუციფერის საუბარში ჩართულიყო.

„ახლა განვიხილოთ კიდევ ერთი ვარიანტი“, თქვა ლუციფერმა.

„ჯვარცმის შემდეგ შენ მამის ნებართვის გარეშე რაღაც მიზეზების გამო პირდაპირ ჯოჯოხეთში წახვედი, სადაც სამუდამო ძილისაგან გაანთავისუფლე ძველი წმინდანები. ამის შემდეგ ჯოჯოხეთიდან პირდაპირ დედამიწის გვერდის ავლით ზეცაში ახვედი და მამა-ღმერთს მოახსენე ჩატარებული აქციის შესახებ. მამამ არ მოიწონა შენი საქციელი და გითხრა, საიდანაც მოხვედი იქ წადიო, ე. ი. ჯოჯოხეთში წადიო. შენ ჩამოხვედი დედამიწაზე, მოინახულე ძველი მოწაფეები, მიეცი მათ ინსტრუქციები და საზეიმო სადილის შემდეგ გაურკვეველი მიმართულებით წახვედი. მაგრამ, სად?“ ე. ი. დააზუსტა ლუციფერმა.

„ჯვარცმის შემდეგ ერთხელ ჩახვედი ჯოჯოხეთში, მაშასადამე ზეცაში ახვედი, ერთხელაც დედამიწაზე ჩამოხვედი, მოწაფეები მოინახულე და შემდეგ გაურვეველი მიმართულებით გაუჩინარდი. გრაფიკულად ეს მოგზაურობა ასე გამოიყურება და ლუციფერმა კედელზე ცეცხლოვანი თითით შემდეგი ნახაზი მოხაზა, რომლის დროსაც მოხდა ხუთი მოქმედება.



მაშასადამე სულ ჩატარდა ხუთი ოპერაცია:

1. ჯვარცმა.

2. ჯოჯოხეთში ჩაშვება და ძველი წმინდანების განთავისუფლება.

3. უფალთან შეხვედრა და წარუმატებელი რაპორტი.

4. დედამიწაზე დაშვება და მოწაფეებთან საზეიმო სადილი.

5. გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარება.

„ან წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა ასეთი მოვლენების თანამიმდევრობა, კვლავ გააგრძელა ლუციფერმა:

„ჯვარცმის შემდეგ მხოლოდ შენთვის ცნობილი მიზეზით პირდაპირ ჯოჯოხეთში ჩაეშვი. არავინ უწყის საიდან მოგენიჭა ძალაუფლება, მაგრამ ძველი წმინდანებისა და მრავალი სხვა ღირსეული და ოდიოზური ხალხის სამუდამო ძილისაგან განთავისუფლება კი შესძელი. ისინი საფლავებიდან ამოვიდნენ და იერუსალიმის ქუჩებსა და მოედანებზე მოედვნენ. სანდო არსებების პირით შენ გაგაგებინეს, რომ მამამ არ მოიწონა შენი საქციელი, რომელიც მის გეგმას არ ემთხვეოდა“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა, „ამიტომ შენ ზეცაში არ ამაღლდი სავალდებულო რაპორტის გასაკეთებლად უფლის წინაშე და ჯოჯოხეთიდან უკან დედამიწაზე დაბრუნდი, რადგან გაიგე, რომ შენს მიერ საფლავებიდან განთავისუფლებული ხალხი მალევე უკან საფლავებში დაბრუნდნენ და სამუდამო ძილი ან ჯოჯოხეთის ტანჯვა-წვალება გააგრძელეს. დედამიწაზე შენ შეხვდი შენს დაბნეულ მოწაფეებს, გაამხნევე ისინი, შემდეგ ისადილე მათთან ერთად და უცნობი ადგილისაკენ გაემართე. ე. ი.“ შეაჯამა ვარაუდი ლუციფერმა.

„ჯვარცმის შემდეგ ერთხელ ჯოჯოხეთში ჩახვედი, შემდეგ დედამიწაზე ამოხვედი და მოწაფეებთან საზეიმო სადილის შემდეგ გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდი. გრაფიკულად შენი ეს მოგზაურობის ვარიანტი ასე გამოიყურება და ლუციფერმა საჩვენებელი თითით, როგორც ინდიკატორი კედელზე ასეთი ნახაზი მოხაზა:

ჯვარცმა



სადაც A არის დედამიწის დონე;

B არის ჯოჯოხეთი, ხოლო X არის გაურკვეველი მიმართულება.

ამრიგად, ამ ვარიანტის მიხედვით შესრულდა 4 ოპერაცია:

1. ჯვარცმა.
2. ჯოჯოხეთში ჩაშვება და წმინდანების განთავისუფლება.
3. დედამიწაზე ამოსვლა და მოწაფეებთან შეხვედრა.
4. გაურკვეველი მიმართულებით გაქრობა.

„მახარობელი პავლე, ძალიან საინტერესო კაცია“, თქვა ლუციფერმა, „შეიძლება ითქვას, რომ მისი ამბავი შენი პოპულარიზაციის საქმეში გრანდიოზულია“, და ლუციფერი ბუხართან მდგარ იესოს მოკრძალებულად მიუახლოვდა.

დედამიწისა და სამყაროს ეს უდიდესი ქმნილება ბუხრის მარჯვენა კიდესთან მორიდებით იდგა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მის სულში დიდი ჭიდილი იყო. ლუციფერის მიახლოებისას იესო ბუხრის კიდეს მოსცილდა და ჩვენსკენ, მოწამეებისაკენ გადმოინაცვლა. მისი ებონისზებური შავი სხეულისაგან დიდი სიმხურვალე მოდიოდა. როდესაც მოგვიახლოვდა, თითქოს ღუმელი მოგვიახლოვდაო. მოწმეები, როგორც ცოცხლების, ისე მკვდრების სულები ძალიან შეშფოთდნენ. ჰორიზონტი შემოეზღუდათ, არჩევანის მრავალფეროვნება შეეკვეცათ, ერთი აზრის გავლენაში ეფლობოდნენ, რაც მათი სულების ბუნებას ეწინააღმდეგებოდა. საბედნიეროდ, იესო მალევე ჩამოგვცილდა და აივანზე გასასვლელი დახურული კარებისაკენ გადაინაცვლა, ხოლო ოქროსფერთმიანმა ლუციფერმა კი გააგრძელა:

„შენი ჯვარცმის შემდგომი საიქიო მოგზაურობა მოციქულ პავლეს ასე წარმოუდგენია: „თავადვე უფალი დაეშვა ზეციდან ყვირილით, არქანგელოზების ხმებითა და უფლის საყვირით: და მკვდარი ქრისტე აღსდგა პირველი; შემდეგ კი ჩვენ, ვინც ვართ დარჩენილები ხელატაცებული ვიქენით ერთად და ავმაღლდით ღრუბლებში, რათა ჰაერში შევხვდეთ უფალს: და ამის შემდეგ ჩვენ მუდამჟამ უფალთან ვიქნებით“ (I თესალონიკელებს 4:16-17).

ე. ი. განმარტა ხაზგასმით ლუციფერმა, პავლეს აზრით, ჯვარცმის შემდეგ შენ ჯერთ ზეცაში ახვედი და უფლის

დასტურით ზარ-ზეიმით ქვევით დაეშვი უკვე მკვდარი, რადგან მაცხოვარი პავლე აცხადებს, რომ „და მკვდარი ქრისტე აღსდგება პირველი!“

იესო აუცილებლად აღსდგა და ამას წყალი არ გაუვა, რაზედაც თავად შენ ამოწმებ, ლუციფერმა იესოს შეხედა და მათე დაიმოწმა: „ისევე როგორც იონა სამი დღე-ღამის განმავლობაში იმყოფებოდა ლევიათანის მუცელში, ისე ძე კაცისა სამი დღე-ღამის განმავლობაში მიწის წიაღში იყო“ (მათე 12:40).

მაშასადამე, ჯვარცმისა და აღდგომის შუალედ სამი დღის განმავლობაში შენ როგორც სჩანს, მიწაში ჩახვედი რაღაც მისიის შესასრულებლად, რაც შესაძლებელია თავად უფალთანაც კი არ იყო შეთანხმებული და ზოგიერთი მოვლენა ადასტურებს, რომ ეს ასე იყო. ამ ამბავს ვაანალიზებ შენთან ერთად იმიტომ რომ მე, როგორც „დილის ვარსკვლავი“ და „ჰაერის პრინცი“ ვცდილობ შენთან საერთო ენის გამოძებნას.

სატანას რამდენიმე თვალსაზრისი

ზოგიერთი ბიბლიური მკვლევარი და თეოლოგი ხაზს უსვამს სატანას თვალსაზრისის ზოგიერთ მომენტებს.

1. როგორც ჩვენი დიადი უფალი იეჰოვა საბათაი და მისი მგზნებარე მიმდევრები, სატანაც ასევე პატივს სცემს შურისძიების გრძნობას. სილის გაწვნის შემთხვევაში სატანას მიმდევარი მეორე ლოყას კი არ მიუშვერს, არამედ მკაცრად დასჯის შეურაცხმყოფელს, თუ შენ არ გაქვს შურისძიების ჯანმრთელი გრძნობა, შენ ხარ საწყალი ხასიათის და უფალს ასეთი ხალხი არ მოსწონს. თუ შენ არ შეგიძლია „ამოძირკვო ბოროტი“ კაცი შენ ვერ შექმნი და ვერ იქნები ღირსეული საზოგადოების წევრი.

2. საზოგადოება ჰგავს ბაღს, რომელსაც დრო და დრო მორწყვა სჭირდება. ბაღი ასევე საჭიროებს მოთოხვნას და დამყნობას. ეს მებაღის მოვალეობაა. კარგი მებაღის ხელში ბაღი ხარობს და აყვავებულია. სატანა მხარს უჭერს ასეთ მებაღეს. იგი რჩევას აძლევს მას და თუ საჭიროა ასწავლის კიდევაც. იგივე სიტუაციაა ადამიანების საზოგადოებაში. ზრუნვით აღსავსე ბაღი და ადამიანის საზოგადოება დემოკრატიულია. ყველა ვაშლს, მსხალს და ნარგავებს თავიანთი ადგილი აქვს. თუ ბაღში სარეველა გაჩნდა მებაღემ იგი უსწრაფესად უნდა ამოძირკვოს. იგივე წესი მოქმედებს ადამიანთა საზოგადოებაში. თუ შენ არ აქცევ ყურადღებას სარეველა ინდივიდუალს იგი სწრაფად გამრავლდება და ბევრს დააზიანებს. სარეველას არ სჭირდება წყალი და მყნობა. ასევეა ადამიანთა საზოგადოებაში მარტო ლოცვა და მჭერმეტყველება და ტირილი არ არის საკმარისი. შენ უნდა იმოქმედო და ლუციფერი შენს მხარეს იქნება. იგი გასწავლის თუ როგორ მოუარო ბაღს და ხალხის საზოგადოებას. ვისაც დაპატიმრება სჭირდება უნდა დაპატიმრდეს და თუ საჭიროა უნდა უყოყმანოდ დაიხვრიტოს. თუ გინდა პროგრესი და წინსვლა უნდა მიაღწიო მდგომარეობას, როდესაც არავინ იქნება დასახვრეტი ან დასაპატიმრებელი. არავინ არ

იქნება შურისმაძიებელი ობიექტი. ასეთია ლუციფერის პოზიცია.

ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შურისძიება ძვირფასი და საპატივსაცემო გრძნობაა, იგია ადამიანების საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ჩვენი დიდი უფალი იეჰოვა აცხადებს თავისთავს რომ „მე ვარ შურისძიება. მე ვარ შურისძიების ღმერთი“ (რომაელებს 12:19).

შურისძიების აქტმა ბედნიერი უნდა გაგხადოს. თუ იგი ბედნიერად არ გხდის ეს შურისძიება არ არის კარგი. სიკეთით გადახდილი შურისძიება ყველაზე დიდი და დასაფასებელი შურისძიებაა, მაგრამ სიკეთით გადახდილი შურისძიებაც თუ ბედნიერად არ გხდის, მაშინ შეჩერდი და არაფერი არ გააკეთო. ეს ნიშნავს, რომ ეს შემთხვევა შურისძიების საგანი არ არის.

3. შურისძიება წმინდა აქტია. ღმერთს უყვარს იგი. თუ საჭიროა გააკეთე იგი სიამოვნებით. დაამთავრე შენი საქმე, მაგრამ მსხვერპლმა უნდა იცოდეს თუ რატომ დაისაჯა. თუ შურისძიების აქტის შემდეგ შენ დაისაჯე მაშინ შენ დატოვებ „ლუციფერის ოჯახს“. შურისძიების აქტი წარმატებულად ჩაითვლება თუ შენ აქტის შემდეგ უვნებელი დარჩები. ყველა სხვა შურისძიება მარცხია, მათ შორის შურისძიება თვითშეწირვის სახით. შურისძიებას ერთი განსაზღვრება აქვს, მოწინააღმდეგე უნდა დაისაჯოს. ამავე დროს როგორც ავღნიშნეთ სიკეთით გადახდილი შურისძიება ყველაზე მეტად ფასობს, როდესაც შენ ბოროტებას სიკეთით დაამარცხებ ეს არის „გამაგადგურებელი შურისძიება“ და ლუციფერს უყვარს იგი. დააფიქსირე შენს გონებაში რომ შურისძიება ტკბილია, მაგრამ თუ შესაძლებელია მისი თავიდან არიდება აერიდე მას. გახსოვდეს, რომ:

„..თუ შენი მტერი მშიერია დააპურე, თუ სწყურია დაალევინე, რადგან ამით ნაკვერჩხლებს დააგროვებ მის თავზე. არ დაგძლიოს ბოროტებამ, არამედ შენ სძლიერ ბოროტებას სიკეთით“ (რომაელები 12:20,21).

შურისძიების აქტი უნდა ესთეტიკურად ლამაზი იყოს და შენ მუდმივად უნდა ფიქრობდე ამაზე.

4. ლუციფერისა და მისი მიმდევრებისათვის ძალიან სახიფათოა პერსპექტივის არქონა. ყველა ღირსეულმა ჯენტლმენმა უნდა იცოდეს თუ როგორი იქნება მისი ბოლო და როგორი პერსპექტივა აქვს მას, როგორ წარმართოს თავისი ცხოვრება. თუ ცხოვრების მოვლენების თანამიმდევრობა ჩიხში მოექეცი, წყნარად სცადე გამოსავლის მოძებნა. მოძებნე პერსპექტივა თუნდაც ამისთვის დიდი ფასის გადახდა დაგჭირდეს. თუ პერსპექტივას ვერ ნახავ შენ ხარ ბრმა. ბევრ ფიზიკურად ბრმა ადამიანს აქვს შინაგანი შუქი და შენ რომელიც ფიზიკურად არ ხარ ბრმა და პერსპექტივას ვერ ხედავ, ხარ ორმაგად ბრმა. შენ ვერ ხედავ შუქს. შუქი სიცოცხლეა. ლუციფერი გაჩახჩახებული შუქია. ლუციფერი სიცოცხლეა. ლუციფერს მკვდრებთან საქმე არა აქვს. ამის გამო თუ შენ ბრმა ხარ, ვერ იქნები ლუციფერთან. შენ ხარ ცოცხალი მკვდარი. ხოლო თუ რა არის სიკვდილი, ეს არის სხვა საუბრის თემა. ჩვენ მხოლოდ მოკლედ შეგახსენებთ რომ სიკვდილი არის აზრის უქონლობის, დავიწყებისა და შეუგრძნობლობის სტატუსი.

5. ლუციფერი იბრძვის ყოველი ფორმის ესთეტიკურობის ნაკლებობის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ შენ ყოველთვის უნდა იყო არტისტული, კულტურული და გონებრივად მაღალი. ჭუჭყიანი, დაუბანელი და მყრალი ინდივიდუალი ვერ იქნება ლუციფერის მიმდევარი. მხოლოდ კარგად თმადავარცხნილი, გაკრიალებული და ზრდილობიანი ხალხი არის ლუციფერის ოჯახში. ესთეტიკურად ორივე მხარე, სპირიტუალური ლიდერი და მისი მიმდევარი ერთმანეთს უნდა აკმაყოფილებდეს. თუ ერთი მხარე დებოშიორია, უშნო და გაუნათლებელი, იგი ვერ იქნება ლუციფერის მიმყოლი.

6. ლუციფერის მიმდევარს ვალი არ აქვს. ისინი კარგი ფინანსისტები არიან. მათი უმეტესობა პლანეტის უმდიდრესი ხალხია, მაგრამ თუ ძალიან მდიდრები არ არიან აქვთ საკმარისი თანხა, რომ დამოუკიდებლები იყვნენ. ლუციფერის

მიმდევრები სუპერ ძლიერი მომუშავეები არიან. მუშაობის ნებისმიერ სფეროში იგი ფრიად მუყაითია. იგი ხარბი არ არის, მაგრამ შეუძლია თქვას მტკიცე „არა!“ ისინი ფიქრობენ, რომ ფულმა შესაძლოა გააუმჯობესოს დედამიწის საკითხი.

ლუციფერის მიმდევრებმა შესანიშნავად იციან ფულის შენახვა და ფულისგან ფულის გაკეთება. ისინი კარგი ფინანსური მრჩევლები არიან და დაინტერესებულ ხალხს ეხმარებიან, რათა სიმდიდრის გზაზე წავიდნენ. ღარიბი ადამიანი ვერ იქნება ლუციფერის მიმდევარი. მაგრამ ფულისათვის ბრძოლაში ბევრი სატანისტი დამარცხდა და ბანკროტი გახდა. გაბანკროტება არის ჩვეულებრივი მოვლენა გამდიდრების გზაზე მიმავალი ადამიანისათვის. არ არსებობს მდიდარი ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც არ გაკოტრებულიყო. ასეთ ხალხს ლუციფერი ეხმარება ფეხზე დადგნენ და წინ წავიდნენ.

7. თავის თავის მოტყუილება, თვითილუზიებში ჩავარდნა ლუციფერის მიმდევრებისთვის დამახასიათებელი არ არის. ისინი თავიანთ თავს არ ატყუებენ. ისინი რეალურ ცხოვრებას უყურებდნენ. მათ კარგი ანალიზის უნარი აქვთ. ისინი მომავალს უკეთ განსჭვრეტენ, ვიდრე სხვები. თუ ექიმი ეტყვის „ხვალ მოკვდება“, ლუციფერის მიმდევარი სიკვდილს გაღებული თვალებით შეხვდება. მას არ სჯერა აღდგომის, სულების მოგზაურობის და სხვა ზღაპრების, მაგრამ ცდილობს შეამციროს შიში სიკვდილის წინაშე.

8. სოლიფსიზმი ანუ უკიდურესი ეგოცენტრიზმი ძალიან საშიშია ლუციფერის მიმდევრებისთვის. ლუციფერისტი არ უნდა ითხოვეს სხვა ადამიანისაგან იყოს მისი მსგავსი. სატანისტს აქვს უკეთესი ჰორიზონტი და ხედვა ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს. ამის გამო მან არ უნდა უთხრას სხვას, რომ მას არ ესმის საკითხი და გაუნათლებელია. თუ უფალი ცდილობს თავის გარშემო შემოიკრიბოს ყველა, ლუციფერის მიმდევარი ასე არ ფიქრობს. ისინი არიან „ლუციფერის ოჯახის წევრები“. ისინი სხვანაირად არიან აღზრდილნი, როგორც ამერიკელი საშუალო კლასის წარმომადგენელი უძლურია, რომ ტულის გუბერნიის გლეხს მოსთხოვოს ისე

იფიქროს როგორც თავად იგი ფიქრობს და დაიწყოს უძ-
რავ-მოძრავი ქონებით ვაჭრობა, ასევე სატანას მიმდევარი
უძლურია მოსთხოვოს სხვას იყოს ისეთივე როგორც ის
არის: „ლუციფერის ოჯახის წევრების“ რკინის წესია, არ
ჩაერიოს სხვების პერსონალურ და გონებრივ ცხოვრებაში.

9. იყო ლუციფერის მიმდევარი არის დიდი, მაგრამ სა-
სიამოვნო ტვირთი. ნებისმიერ სიტუაციაში თუ ვითარება
მოითხოვს ლუციფერის მიმდევარი უნდა გახდეს ლიდერი.
არის იგი უმაღლერსი პოლიტიკურ-ფინანსურ ეშელონებში
და თუ კანონმდებლობებში, ცხოვრობს იგი დიდ ინდუს-
ტრიულ ქალაქებში თუ კუნძულებზე, ხალხი მას უნდა უს-
მენდეს. ისინი მას პატივს უნდა სცემდეს, რადგან ლუციფ-
ერის მიმდევრები პიროვნებები, პერსონალები არიან. მათ
ბევრი მტერი ჰყავთ, განსაკუთრებით გაუნათლებელ ხალხ-
ში. ამის გამო ისინი ამისათვის მზად უნდა იყვნენ.

10. ლუციფერის მიმდევარი თავისუფალი საგანმანათ-
ლებლო სისტემისა აქტიური წევრია თუ საჭიროება მოითხ-
ოვს ხალხს ფულის გარეშე ემსახურება. სატანისტი ეხმარება
დაინტერესებულ პირს მიიღოს განათლება ფულის დახარ-
ჯვის გარეშე. ეს მისი მოვალეობაა. სატანისტი კითხვა-პასუხ-
ის დიდი ოსტატია. თუ შენ ნახავ წიგნს ან საგანმანათლე-
ბლო მასალას წარწერით: „ეს ნივთი არ არის გასაყიდად.
იგი მოსახლეობის თავისუფალ განათლებას ემსახურება“.
იცოდე, რომ იგი ლუციფერის ზედამხედველობით ან მეთ-
ვალყურეობით ხდება. ყველა არასამთავრობო თავისუფალი
სკოლა, უნივერსიტეტი ან სათვისტომოს საგანმანათლებლო
ცენტრი ეკუთვნით ლუციფერის მიმდევრებს. ისინი ხალხს
აბსოლუტურად უფულოდ ემსახურებიან, და იგივეს აკეთე-
ბენ ლუციფერის ოჯახის წევრები“.

11. ლუციფერი და მისი მიმდევრები ებრძვიან სისულე-
ლის ყოველგვარ გამოვლინებას, მაგრამ ამ გზაზე მათ იციან
ზომა. ლუციფერ-მეგატრონმა კარგად იცის, რომ სულელის
სწავლება გახეულ ტიკში ღვინის ჩასხმას ან კედელზე ლო-
ბიოს დათესვას ჰგავს. ამის გამო იგი ფრთხილი უნდა იყოს

და ასწავლოს მხოლოდ ისეთ ინდივიდუალს, რომელიც შესძლებს ცოდნის ათვისებას და დროულად აერიდება გაუნათლებელ ხალხს, რადგან სისულელე და გონებრივი ჰორიზონტის შეზღუდულობა გადამდებია.

12. ლუციფერი არის ჯანმრთელი, მდიდარი და ზრუნავს თავის თავზე. იგი მრავალჯერ უფრო შრომისუნარიანია, ვიდრე სხვები. იგი მოგზაურია, აქვს ფართო ჰორიზონტი. იგი ყოველთვის მონახავს დროს ცურვისთვის, სირბილისთვის, სროლისთვის, ველოსიპედისთვის, ცხენზე ჯდომისთვის, გოლფისთვის, იახტისთვის. ლუციფერის მიმდევრებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ალპინიზმი. მათ უყვართ სიმაღლეზე აჭრა. ლუციფერის მიმდევარი ყოველთვის ისწრაფვის მაღლა და მისი ერთ-ერთი თვისებაა სიმაღლის შიშის არქონა. მას ტანში აჟრიალებს შიშისგან, მაგრამ მაინც დგას უფსკრულის პირას და დაჰყურებს ქვეყნიერებას. ეს სასიამოვნო გრძნობაა მისთვის. ის გრძნობს შიშს, მაგრამ ეს მისი სტიქიაა. ლუციფერ-თეთრა-გრამატონი არის ცისფერ საყელოიანი მაცხოვრებელი ჰიმალაის, ჰინდი კუშისა და კავკასიისა.

13. ლუციფერი რეკომენდაციას აძლევს თავის მიმდევრებს შეკითხვის გარეშე არ მისცენ თავისი შეხედულებების ანალიზი სხვებს. ყოველთვის ეცადე შეზღუდო შენი ინტელექტუალური პოტენციალი. პირველი შეხედვით იყავი როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. ეს ძნელია, მაგრამ შენ ეს უნდა გააკეთო. თუ ძალიან დიდი საჭიროება არ მოითხოვს ლუციფერის მიმდევარმა არ უნდა წარმოაჩინოს თავისი ცოდნა, გონებრივი და ფიზიკური უპირატესობა. შენი განათლება არ არის მარტო იმისთვის, რომ შეაგროვო ფული და იყო გავლენიანი, არამედ იმიტომ, რომ იყო „ლუციფერის ოჯახის წევრი“. შენ ცოდნა და უნარი გაქვს არა ტრაბახისათვის, არამედ ემსახურო პირადად ლუციფერს. როდესაც იგი გიბრძანებს, მისი ბრძანება შენ უნდა შესანიშნავად შეასრულო. ამავე დროს ღრმად იფიქრე ლუციფერის ბრძანებაზე. ჩვეულებრივ ისინი არ არიან იოლი. პირველი

შეხედვით ლუციფერის ბრძანება შეიძლება უარყოფითადაც მოგეჩვენოს, მაგრამ მალე მისი პოზიტიური შინაარსი გასაგები გახდება შენთვის.

14. ყოველთვის გათვალე შენი მომავალი ნაბიჯები. შეიძლება შენმა პირველმა ნაბიჯმა კმაყოფილება არ მოგანიჭოს, მაგრამ საბოლოო შედეგი კარგი იქნება. თუკი პირველმა ნაბიჯმა ბოროტება მოიტანა, მეოთხე ნაბიჯი მოგცემს საბოლოო და განსაზღვრულ შედეგს, რომელიც მრავალჯერ გადაწონის სიკეთით, პირველი ნაბიჯის ბოროტებას და ხელს შეუწყობს სიკეთის განმტკიცებას მსოფლიოში.

15. არ მოუყვე შენი პრობლემების შესახებ სხვებს, სანამ მათი სურვილი არ იქნება მოგისმინონ. ამავე დროს, შენ უნდა იცოდე, რომ შენი დარდი არის გაცილებით ღრმა და მრავლისმომცველი, ვიდრე ჩვეულებრივი ხალხის დარდი. შენ შეიძლება „მსოფლიო მასშტაბის დარდში“ ჩავარდე. ამის გამო შენი დარდი და წუხილი მოუთხრე მხოლოდ ლუციფერის მიმდევრებს და არავის სხვას.

16. თუ შენ იმყოფები შენს სახლში, აპარტამენტში ან ბუნებაში და შემთხვევით, მაგრამ შეიძლება შენი შეცდომის გამო გამოჩნდა პირი, ვინც შეგაწუხა, გააფრთხილე ის პირი. თუ მან მაინც გააგრძელა თავისი ქმედებები დაუნდობლად გაანადგურე იგი, მაგრამ ყოველთვის ადექვატური იყავი შენს ქმედებებში.

17. თუ შენ სეირნობ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ნუ შეაწუხებ სხვებს. მაგრამ თუ სხვა ვინმე გაწუხებს შენიშვნა მიეცი. თუ გაფრთხილება არ ეყო უმოწყალოდ გაანადგურე, მაგრამ ყოველთვსი ადექვატური იყავი შენს საქმიანობაში.

18. ნუ იქნები გულსუსტი, დამპალი და საზიზღარი კაცის მიმართ. გახსოვდეს, რომ შენ მას ვერ გადააკეთებ. იგი საზოგადოების მუხრუჭია და ანაგვიანებს გარემოს. ამიტომ უმოწყალოდ გაანადგურე იგი, მაგრამ ადეკვატური იყავი შენს საქმიანობაში.

19. არ იქონიო სექსი ქალთან თუ მან პატარა ნიშანი მოგცა, სანამ იგი დიდ ნიშანს არ მოგცემს არ იხმარო იგი.

თუ ქალს ქმარი ჰყავს არ იხმარო იგი. იქონიე სექსი პროფესიულ მეძავთან, რომელსაც ქმარი არ ჰყავს. გახსოვდეს, რომ იწვე ქმრიან ქალთან გარყვნილ;ებაა. იდეალური მდგომარეობაა ერთი წყვილი, რომლის დროსაც ადამიანებს ღრმად უყვართ ერთმანეთი და სექსუალურად ჰარმონიულები არიან. ლუციფერის ოჯახის წევრები ასეთი ურთიერთობისაკენ ისწრაფვიან.

20. სამწუხაროდ, სიმართლეა რომ მშობლების სექსუალური დანაშაული უცვლელად გადადის მათს ბავშვებზე. სატანას მორალია რომ ჩვენი ბავშვები უნდა აღიზარდონ გამანადგურებელი სექსუალური ტვირთის გარეშე გამომდინარე მშობლებისა და საზოგადოების გავლენისაგან. ლუციფერი მიესალმება სექსუალურ თავისუფლებას, მხოლოდ ამ სიტყვის სწორი გაგებისათვის. თითოეულმა პირმა თავად უნდა განსაზღვროს თუ სექსუალური თავისუფლების როგორი ფორმა ესადაგება მის ხასიათს. სატანისტმა შეგნებით არ უნდა დააზიანოს სხვა პიროვნების სექსუალური უფლებები. ამის გამო ლუციფერის მიმდევრები არ იწონებენ გაუპატიურებას, ბავშვების გარყვნას, ცხოველების სექსუალურ შეუარცხყოფას, ან ნებისმიერ სექსუალურ აქტს, რაც მიუღებელია. ლუციფერის მორალი უფლებას იძლევა ნებისმიერი სექსუალური მოქმედებისა, რაც შენს სურვილს აკმაყოფილებს. იქნება იგი ერთსქესიანთა, ორსქესიანთა ან უსქესოთა ურთიერთობა. ეს კაცის ან ქალის ნება სურვილზეა დამოკიდებული. ლუციფერი ასევე ნებას იძლევა ფეტიშური ან წარმოსახვითი სექსისა, რომელცი შენ მოგწონს. მაგალითად, ლუციფერმა იცის, რომ ქრისტიანობა და ზოგიერთი სხვა რელიგია კრძალავს მასტურბაციას და მას ცოდვად თვლის. ლუციფერი თვლის, რომ ნებისმიერი გაკიცხვის მიუხედავად მასტურბაცია არის ნორმალური ჯანმრთელი აქტი და საჭირო პრაქტიკა, რომელიც ძალიან საჭიროა კაცობრიობისათვის.

21. არ აიღო სხვისი პიროვნების რაიმე ნივთი, სანამ იგი არ გადააგდებს მას. უპატრონოდ ნახული ნივთი შენია, მა-

გრამ თუ ნივთს მისამართი აწერია დაურეკე ან შეატყობინე პატრონს ნახულის შესახებ, თუნდაც ამ ამბავში ფული დაგეხარჯოს. ასევე თუ ნახული ნივთის პატრონმა მადლობის ნიშნად რაიმეთი დაგასაჩუქრა მიიღე იგი, ეს აქტი გაავრცელებს სიკეთეს.

22. წუწუნი შენი საქმე არ არის, მაგრამ თუ უბედურება დაგატყდება თავს შეეცადე გაიხსენო იობი და შეეცადე გაუძლო გასაჭირს. ამ შემთხვევაში ლუციფერი შენს მხარეს იქნება.

23. ლუციფერი რეკომენდაციას იძლევა მონახულ იქნას განსხვავება სიყვარულსა და სიძულვილს შორის. ქრისტიანული გაგებით გიყვარდეს ყველა, თვით შენი მტერიც კი არ არის რეალური. აიძულო შენი თავი რომ გიყვარდეს ყველა განურჩევლად, არანორმალურია და ტანჯავს ადამიანს. მას ორმაგი გრძნობა ებადება და თუ გონებრივად სუსტია, ჭკუაზე გადადის. როგორ შეიყვარებ შენი მშობლების მკვლევარს ან შენი მამულის მიმტაცებლებს აუხსნელი დილემაა. თუ შენ ცდილობ რომ გიყვარდეს ყველა განურჩევლად მტერია იგი თუ მოკეთეა მხოლოდ ამცირებ სიყვარულის გრძნობას მათ მიმართ, ვისაც ნამდვილად სჭირდება შენი სიყვარული. ვინც შენს სიძულვილს იმსახურებს, მას ვერაფრით ვერ გადაფარავ და თუ მათ ილუზიურად გააქრობ, ამით შენს ბუნებრიობას დაკარგავ და არასაიმედო პიროვნება გახდები. შენ ვერ დაგენდობა კაცი, რადგან არ გაქვს ზუსტი განსაზღვრება სიყვარულსა და სიძულვილს შორის. ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია სიყვარულის გრძნობა და პირიქით, არ გააჩნია სიძულვილის გრძნობა არასრულყოფილი პიროვნებაა და იგი არარაობაა. ასეთი ადამიანი ვერ იქნება ლუციფერის მიმდევარი.

24. რომ გახდე ლუციფერის მიმდევარი არ არის საჭირო რომ ლუციფერ-სატანას, ეშმაკს როგორც მას უწოდებენ სული მიჰყიდო და მასთან წერილობითი ხელშეკრულება დასდო. ეს ლეგენდა მოდის მეთექვსმეტე საუკუნიდან, ანუ რეფორმაციის ხანიდან, როდესაც დაიწყო დიდი კრიტიკა

კათოლიციზმისა და რელიგია მრავალ ახალ მიმდინარეობად დაიყო. ლეგენდით ალქიმიკოსმა დოქტორ იოჰან ფაუსტუსმა შეიმუშავა მეთოდი, რომლის ძალითაც შესძლო ჯოჯოხეთიდან დემონ მეფისტოფელის გამოძახება და კონტაქტი დასდო მასთან. სისხლით ხელმოწერილ ამ შეთანხმებაში დოქტორ ფაუსტუსი მეფიტოფელს გადასცემს მისი სულის ფლობისა და გამოყენების უფლება, ახალგაზრდობისა და ცოდნის სანაცვლოდ. როდესაც დრო მოვიდოდა ფაუსტუსის სული ჯოჯოხეთში წავიდოდა. ამ მითით ქრისტიანები ატერორებდნენ ხალხს, რათა ისინი სატანა-ეშმაკის მახეში არ გაბმულიყვნენ.

ლუციფერი საზეიმოდ აცხადებს, რომ მისი მიმდევრად გახდომა არ საჭიროებს ეშმაკთან ხელშეკრულების დადებას. ამისთვის საკმარისია მხოლოდ მგზნებარე გული და ახლის ძიების უნარი.

25. როდესაც სატანისტი ცუდ საქმეს ჩაიდენს, ეს არ არის რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენა. შეცდომისა და ცუდის გაკეთება ძალიან ბუნებრივია და არაფერია მასში განსაკუთრებული. მხოლოდ სატანის მიმდევარმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მომავალში მან ასეთი შეცდომა არ ჩაიდინოს.

26. სატანა ცხოვრობს ქალაქში. იგი არ არის სოფლის მაცხოვრებელი. მისი აქტიურობის სფერო დიდი ქალაქებია. ალბათ იგი ყოველთვის დიდ ქალაქებში ცხოვრობდა, სადაც კონცენტრირებულია კულტურული და ფინანსური ფასეულობები. ეჭვი არ არის, რომ სატანა ამჟამად უოლ სთრითზე ცხოვრობს და ფინანსურ საქმეებში არის ჩართული. იგი ცდილობს, რომ მსოფლიოს ფინანსური ცხოვრება გააუმჯობესოს და ახალგაზრდებმა ფინანსური განათლება სკოლაშივე, პირველი კლასიდან მიიღონ, რომ შემდეგ არ იყვნენ ღარიბები. სატანას აზრით, რასაც მდიდარი მამა ასწავლის თავის შვილს ფულის შესახებ, ღარიბი ან საშუალო კლასის მამა ამას ვერ შესძლებს. მამა ბავშვის ყველაზე მნიშვნელოვანი მასწავლებელია და სწორედ მან უნდა უზ-

რუნველყოს თავისი შვილის კეთილდღეობა და გადასცეს არა მარტო დაგროვილი ქონება, არამედ უნარი თუ როგორ გააკეთოს ფული. ბოლოს და ბოლოს ფული არის საზომი თუ რას მიაღწია კაცმა ამ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ სატანამ უბრძანა თავის მიმდევრებს რობერტ კუოსაკისა და ნაპოლეონ ჰილს დაეწერათ წიგნები, რომლის ძალითაც ახალგაზრდები უკვე ორმოცი წლის ასაკში ისეთი მდიდრები იქნებოდნენ, რომ აღარ დასჭირდებოდათ სახელმწიფო ან კერძო სექტორში მუშაობა და მთელს თავის ენერგიას სახელმწიფოს ფინანსურ კეთილდღეობას მოახმარდნენ. სწორედ სატანა დაეხმარა დონალდ ტრამპს გამხდარიყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი და ეხელმძღვანელა უძლიერესი სახელმწიფო გაერთიანებისთვის, რომელსაც „მეორე ბაბილონს“ უწოდებენ.

27. არავითარ შემთხვევაში ლუციფერის მიმდევარმა არ უნდა შესწიროს ხორცის მოყვარულ უფალს ცხოველი, ადამიანი ან ბავშვი! საუკუნეების განმავლობაში მემარჯვენე პროპაგანდისტები ქადაგებდნენ საშინელ ისტორიებს ბავშვებისა და ქალწული გოგოების მსხვერპლად შეწირვისა, რომელსაც საშინელი სატანისტები აკეთებდნენ. საფიქრებელია, რომ ვინმე რომელმაც წაიკითხა ან გაიგო საშინელი ისტორიის მსხვერპლთად შეწირვის თაობაზე შეეკითხონ მის გამავრცელებლებს ამ ისტორიების ნამდვილობის შესახებ.

არის ლოგიკური მიზეზი თუ რატომ არ ახორციელებენ სატანისტები ასეთ მსხვერპლშეწირვას. საქმე იმაშია, რომ როგორც კაცი, ისე ცხოველი ღმერთის შექმნილია და უკან მისი ღმერთისთვის შეწირვა სწორი არ არის. ცხოველებს ან ბავშვებს სატანისტების მხრიდან ტაბუ აქვთ დადებული. ლუციფერის მიმდევრები არიან ცხოველებისა და ბავშვების ერთგული მეგობრები. ისინი მათ ასწავლიან ფრთხილად, თანდათან მათი ასაკის გათვალისწინებით, რათა მათ საკითხი უკეთ შეისწავლონ. ისინი ბავშვებთან თანასწორნი არიან.

მაგრამ არის ერთი გარემოება. როგორც ბოროტი ძაღლი არის მოსასპობი, ასევე ბოროტი ადამიანია მოსასპო-

ბი, რადგან მოცემულ მომენტში შეიძლება მათ გაგანადგურონ შენ. ამიტომ სატანას მიმდევარს აქვს სრული უფლება გაანადგუროს ასეთი ცხოველი და ადამიანი, რომლებმიც საზოგადოებისათვის საშიშნი არიან და ეს აქტი სიმბოლურად იქნება მსხვერპლშეწირვა, რათა ადამიანთა ცხოვრება გააუმჯობესოს. ლუციფერის მიმდევრისთვის სიკვდილის დასჯის წესი არ უნდა იქნეს გაუქმებული, ბოროტი უნდა მოისპოს და ეს აქტი წმენდს საზოგადოებას და დასჯილის სული გაემართება წყვდიადის სამეფოში.

ეს არის საკმაოდ განსხვავებული პოზიცია უფლის სურვილისა, რომ პერიოდულად მოხდეს ცხოველებისა და ადამიანების მსხვერპლთშეწირვა.

28. თუ არ გშია ნუ მოკლავ ცხოველს ან ფრინველს. მიეცი ცხოველს ან ფრინველს შანსი. თუ საკვების მოპოვება გინდა და ნადირობ, პირველი გასროლა ჰაერში გააკეთე. მხოლოდ ამის შემდეგ ესროლე ცხოველს. თუ საჭიროა რამდენჯერმე, მაგრამ პირველ გასროლას ნუ გააკეთებ სტატიკურ პოზიციაში მყოფ ცხოველზე. ესროლე მხოლოდ მოძრავ ცხოველს.

29. არავითარ შემთხვევაში არ მოკლა კაცი. მკვლელობა ყველაზე ამაზრზენი ცოდვაა და მისი პასუხი შენი სიკვდილით დასჯა და „ლუციფერის ოჯახიდან“ შენი ამოძირკვა მოყვება. მაგრამ თუ ვითარება მოითხოვს და აუცილებელია თავდაცვა, პირადი, ოჯახის წევრების, საკუთარი მამულის ან სამშობლოს დაცვა, უყოყმანოდ გაანადგურე აგრესორი, მაგრამ იყავი ადექვატური შენს საქციელში.

პირველი გასროლა მოახდინე ჰაერში და თუ აგრესორი კვლავ გააგრძელებს მავნებლობას მოჰკალ იგი. თუ მან თავიდან აიცილა შენი შეტევა, ნუ გამოეკიდები მას. აგრესორმა თავისი გადარჩენის შანსი გამოიყენა.

თუ შენ დანით ხარ შეიარაღებული, პირველად სიტყვიერად გააფრთხილე მტერი და მხოლოდ ამის მერე შეუტიე. თუ მან მოახერხა თავდასხმის აცილება და გაიქცა, ნუ გამოეკიდები მას. და პირიქით, თუ მან მოგკლა, ეს შენი შეცდომა იქნება. შენ ყოველთვის უნდა დაიცვა ზემოთ აღნიშნუ-

ლი წესი, წინააღმდეგ შემთხვევაში დასტოვებ „ლუციფერის ოჯახს“.

30. ლუციფერი და მისი მიმდევრები ცოდნისა და მუსიკის დიდი მოყვარულები არიან. ამის შესახებ მრავლად არის მინიშნებები ბიბლიაში. ზეცაში მუსიკა ძალიან პოპულარულია. ზეცაში ყველა სულგდმული მუსიკის ენაზე საუბრობს. (ეზეკიელი 28:12; გამოცხადება 5:8,9; 15:2) „იობის წიგნი“ პირდაპირ მიუთითებს:

„როცა ერთად ჟრიამულობდნენ დილის ვარსკვლავები,
და ღვთის ძეები ყიჟინებდნენ“. (იობი 38:7).

ესაია 6:3 და გამოცხადება 4:8 შესაძლოა თვლის, რომ ანგელოზების ჯგუფს, რომლებიც ღვთის სადიდებელ სიმღერებს მღერიან თავად სატანა დირიჟორობდა. სატანას მუსიკალური ინსტრუმენტია თაბრეთი (პატარა დოლი), სალამური, თამბორაინი, სტვირი და ქნარი. დღეს სატანას მუსიკა დომინირებს არა მარტო ზეცაში, არამედ მთელს დედამიწაზეც. მან შექმნა როკ-ენ-როლი და „ჰევი მეტალი“, „როლინგ სტოუნზი“, სანტანა, ბაბ მარლი, მოთაუნი და ყველა ის მუსიკა, რომელიც შენ მოგწონს. ლუციფერის ყველაზე დიდი მიმდევრები არის უკვდავი მიკ ჯაგერი და ერიკ კლეპტონი, კეით რიჩარდსი და ელვის პრესლი.

31. ლუციფერის მიმდევრების აზრით კაცი ერთ დღეს მოკვდება, არ არსებობს აღდგომა და სხვა ლამაზი ლეგენდები. სიკვდილი არის არარსებობის სტატუსი. ბევრი ცხოველი შიშის გარეშე იღებს სიკვდილის, წინააღმდეგობისა და პროსტრაციის გარეშე. ლუციფერის ყველა მიმდევარი კვდება წყნარად და ღირსეულად, თავისი მეგობრებისა და ოჯახის წევრების წრეში, მაგრამ თუ გარემოებამ სტიქიაში ისროლა, მთებში, ყინულებში ან ოკეანის ცივ ტალღებში, ისინი ასევე ღირსეულად ესალმებიან წუთისოფელს.

ლუციფერის მიმდევარის სხეული ქრება, მიწად იქცევა ან სტიქიაში გაუჩინარდება, მაგრამ ზოგიერთი სატანისტის სული მოგზაურობას ახალ განზომილებაში გააგრძელებს. ეს არის რჩეული სულები. თუ კაცი წარმატებით გაივლის ყოფ-

იერების ერთ წრეს, მაშინ იგი გადავა უფრო მაღალ წრეში, შემდეგ კიდევ უფრო მაღალში. ასეთია რჩეული სულების ბედი, სულ განვითარება, მოძრაობა წინ და მაღლა.

მეორე ფრაგმენტი
„სატანას ციური ქრონიკებიდან“

(ჩაწერილია ალფრედ ნავიგატორის მიერ)

„...ამდენი სალაპარაკო დაგვიგროვდა, უამრავი კითხვებია, პასუხები კი არ არის. რამდენი ილაპარაკეთ შენს სასარგებლოდ? ხალხმა მხოლოდ ცხოვრების შენი ვერსია იცის. ჩემი ვერსია კი არავის მოუსმენია. ეს კი სამართლიანი არ არის. თქვენ ერთხმად გვადანაშაულებთ, მაგრამ თავის მართლების საშუალება კი არა, ახსნა განმარტების უფლებაც კი დაკარგული მაქვს. ვფიქრობ, რომ მოსახლეობამ სწორი გაგება თავად უნდა განსაზღვროს. ისე კი თავით ფეხებამდე ყველაფერი გადაყირავებულია და სიმართლის ქოთანს ყურს რომელი მხარესაც გინდა იქით შეაბამ“.

ლუციფერი ისევ ჯირკვზე ჩამოჯდა და მის ფონზე იესო შავ ჩრდილათ იქცა.

„მამის თათბირებზე მრავლად იყო საუბრები ჭეშმარიტების შესახებ, მაგრამ იქაც კი უფლის მთავარი მიზნები დაფარულია“, წამოიწყო ლუციფერმა ისევ და გააგრძელა“, არასწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ შემოქმედი არ გვენდობა, პირიქით ძალიანაც გვენდობა, მაგრამ იმდენად რამდენადაც უნარი გვაქვს გავიგოთ. რაც უფლის ზურგს უკან არის იმას ვერ ვეხებით. მე ძალიან მინდა დაფარული საიდუმლოებების გაგება, მაგრამ მამა ამის უფლებას არ მაძლევს. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ვგრძნობ, რომ ჩემი ინტერესები შენს სასარგებლოდ ილახება და ამის აზრს ვერ ვხედავ. რაც ჩემია მინდა, რომ ჩემი იყოს, რაც არ მეკუთვნის, ვისაც ის ეკუთვნის მან წაიღოს“.

„მე შენი არაფერი წამიღია“, თქვა იესომ.

„ამაზე ასე გიპასუხებ, სად იყავი შენ როდესაც მე დედამიწას საფუძველი ჩავუყარე?“ თქვა ლუციფერმა და დასძინა:

„მითხარი თუ გაქვს ამის შესახებ გაგება... როდესაც დილის ვარსკვლავები მღეროდნენ ერთხმად და უფლის ყვე-

ლა შვილები სიხარულით მხიარულებდნენ?“ (იობი 38:4,7).

დასაბამიდან „დილის ვარსკვლავი“ და „შუქის მატარებელი მხოლოდ მე ვარ“, თქვა ლუციფერმა. ამას ადასტურებს ბიბლია: „შენი ცხოვრება იქნებოდა უფრო ნათელი, ვიდრე შუადღის სინათლე; ხოლო შენი სიბნელე კი დილაზე უფრო ნათელი იქნებოდა“ (იობი 11:17). „როგორ ჩამოწყდი ზეცას, შენ დილის ვარსკვლავო, და განთიადის შვილო დედამიწაზე“ (ესაია 14:12).

შენ და შენმა მომხრეებმა კი ჩემი ლამაზი ტიტული ჩამომართვეს და შენ მოგაკერეს.

„ჩვენ გვაქვს წინასწარმეტყველური სიტყვა, რომელიც საკითხს უფრო ნათელს ჰფენს. რომელს უკეთ აღიქვამთ და ყურადღებას აქცევთ როდესაც ბატკანი სიბნელეში ანათებს სანამ დაბნელდება და დილის ვარსკვლავი ამოვა თქვენს გულში“ (2 პეტრე 19). ამბობდნენ ისინი და დაიწყეს ვარაუდიდების გამოთქმა, რომ სადაც არის უფალი, იქნება ეშმაკიც, ყველაფერი თანასწორია და პირიქით.

„გამოცხადება“ შენი სახელით პირდაპირ აცხადებს: „მე იესომ გამოვაგზავნე ჩემი ანგელოზი, რათა დამემოწმებინა თქვენთვის (აღმოსავლეთის 7 ეკლესიისათვის) რომ მე ვარ ფესვი და ჩამომავალი დავითისა, კაშკაშა დილის ვარსკვლავი“ (გამოცხადება 22:16).

„დილის ვარსკვლავის“ ტიტული, რომელიც დასაბამიდან ჩემი იყო შენ მიითვისე, ამას ხომ თვითმარქვიობა ჰქვია“, დაასკვნა ლუციფერმა.

„ყველაფერი გაცილებით რთულია, ვიდრე შენ ამბობ“, შენიშნა იესომ.

„მე დასაბამიდან მამის თათბირების უცვლელი მონაწილე ვარ“, განაცხადა ლუციფერმა და კვლავ ფეხზე წამოიმართა.

მისმა ბუმბერაზმა სხეულმა მთელი დარბაზი გააჩახჩახა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და აღმოსავლეთის კედლის თავზე მიმაგრებული ჯიხვის უზარმაზარი რქების ქვეშ შესდგა. აქედან შუქი მთელს დარბაზში თანაბრად იფანტებოდა. მხოლოდ ძალიან ცივი სინათლე იყო.

„იქ შენ იესო ქრისტედ (მესიად) წოდებული, არასოდეს მინახივხარ“, გააგრძელა ლუციფერმა და დასძინა: „და ეს ბუნებრივიც არის, რადგან უფლის თათბირებს მხოლოდ ანგელოზები ესწრებიან“.

დაძაბულმა სიჩუმემ დარბაზი აავსო. იესო შეიშმუშნა, მაგრამ ბუხრის წინ ჯირკზე ჯდომას აგრძელებდა. ღირსეული და მშვიდი გამომეტყველების მიუხედავად ეტყობოდა, რომ რამდენჯერმე დააპირა სიტყვის თქმა და შემდეგ კი გადაიფიქრა.

ისევ ლუციფერმა დაარღვია სიჩუმე:

„მინდა ყველაფერი დღეს გაირკვეს. ახლოვდება განსჯის დღე და შესაძლებელია მალე ყველაფერი დასრულდეს. პლანეტა დედამიწა მოკვდეს ან გადაიწვას, რაც ერთი და იგივეა. ჩვენ ამ დრამის მთავარი მონაწილეები ვართ. მოდი ყველა დაფარული ბანქო გავხსნათ და ყველაზე მთავარი მაინც ვთქვათ. დღეს გინდა თუ არ გინდა, უნდა ილაპარაკო. მე მხოლოდ ავღნიშნავ, რომ შენ სტატუსით ადამიანი ხარ, ე. ი. ანგელოზებზე დაბლა მდგომი, თუმცა შესაძლებელია შენ უკვე მოიპოვე უფლება, რომ უფლის თათბირებს დასწრო. ალბათ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი შენ მამის დავალებას მართებულად შეასრულებ, შესაძლებელია ახლაც მამის დავალებებს ასრულებ და ამიტომაც არ მიდიხარ თათბირებზე. მაგრამ...“

ამ სიტყვაზე ლუციფერმა შეიცადა და ჩვენ მოწმეებს გადმოგვხედა. ეს იყო თბილი, გამამხნევებელი, მაგრამ ამავე დროს ღრმად ჩაფიქრებული მზერა. როდესაც ასეთი მრავალი თვისებებით შემკული, ერუდირებული და შორსმჭვრეტელი არსება ჩაფიქრებულია, ეს გარემოება ნიშნავს რომ ვითარება მეტად საორჭოფოა.

„...შენს შესახებ ზეციურ მამას, ჩვენს შემქმნელსა და მოწყალეს არაფერი უთქვამს“, ლუციფერმა კვლავ იესოს მიმართა, „შენი სახელი მამისაგან არასოდეს მომისმენია. არ ვიცი თუ რა გეგმები მაქვს, მაგრამ ვხედავ, რომ მრავლის შემძლე ხარ. ასე, რომ არ ვიცი, სანამდე გაგრძელდება შენი ძალაუფლება, სად არის შენი ლიმიტი.

იესო! იცოდე, რომ ჩვენ შენს შესახებ გამუდმებულად ვფიქრობთ. ჩვენ არ ვართ შენი მტრები. გვინდა, რომ არც შენ იყო ჩვენი მოწინააღმდეგე. იქნებ მოხერხდეს, რომ ერთ მხარეს ვიმოქმედოთ. მინდა არა მარტო შენ, არამედ ყველამ იცოდეს, რომ ის რაც „გამოცხადებაში“ წერია არ არის მამისა და მის თათბირებზე დამსწრე ანგელოზების მიერ დადასტურებული. არ არის დადასტურებული, რომ ისტორიის ამ მონაკვეთზე დედამიწის დაღუპვა აუცილებელია, რომ არმაგედონის ომი გარდაუვალია. ამიტომ მაქვს მეტად სერიოზული ეჭვი, რომ ეს მხოლოდ შენი ინიციატივაა“.

„რატომ?“ დასვა კითხვა ლუციფერმა და თავადვე უპასუხა:

„იმიტომ, რომ პირველად ისტორიაში დაახლოებით 2000 წლის წინათ გამოჩნდი. მეტეორივით შემოიჭერი მაშინდელი მსოფლიოს ცივილიზაციის ცენტრში, რომის იმპერიის ცხოვრებაში და ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწიე. პარალელურად რაღაც მექანიზმებით რამდენიმე მაღალი რანგის ანგელოზის დახმარებით დიდი გავლენა მოიპოვე უფალზე. ამ ანგელოზებს შემდეგ „ოქროს თევზები“ ეწოდა. შენ ჯერთ პირად რეფერენტად ანუ დამმოწმებულად იმყოფებოდი უფლის ადმინისტრაციაში, შემდეგ კი დაბლ-რეფერენტი ანუ ორმაგი დამამოწმებელი გახდი და დაიწყე მცირედი ცვლილებების შეტანა უფლის გეგმებში სამყაროს მისამართით. ჩვენ არ ვიცით, თუ რა გააკეთე სხვა პლანეტების მისამართით, მაგრამ დედამიწის მიმართ შენი გავლენა ძალიან დიდი გახდა. შენ თითქმის გაბატონდი თუმცა ანგელოზის სტატუსი არ გქონია. იჯექი უფლის მოსასვენებელში, გაშლილი გქონდა დავთრები და გამუდმებით ანგარიშობდი სამყაროს ორგანიზაციის საკითებზე. უფალს მოსწონდა შენი მუყაითობა და ყოველთვის გახალისებდა და შენც გახარებული აგრძელებდი შენი „ოქროს თევზი“ ანგელოზების საშუალებით ქსელების ხლართვას სამყაროში. სწორედ ამიტომ გახდა მოგვიანებით თევზი, შენი სიმბოლო. მალე უფალი შენს გარეშე გადაწყვეტილებებს ვერ იღებდა,

არც არავის იღებდა სასაუბროდ. უკმაყოფილება იზრდებოდა, ბევრი ხვდებოდა უფლის სისუსტეს და ამბოხებისთვის ემზადებოდა. უფალი ბოლოს არც მე მიღებდა, მისი თათბირების უცვლელ თავმჯდომარეს. ერთ-ერთი უფლის სხდომის დროს გავიფიქრე უფროსმა რეფერენტმა უფლის ტახტისათვის ბრძოლა ხომ არ დაიწყო-მეთქი, მაგრამ ერთმა გარემოებამ შემიშალა ხელი. შენი თანამემამულეების, ებრაელების საკითხი, ვერ გადაწყვიტე. ყველამ გაღიარა, როგორც მესია, მათ კი უარი მითხრეს. რატომ? რაშია საქმე?“ კვლავ დასვა კითხვა ლუციფერმა და იესოს თბილად დააშტერდა.

„ამაზე გაუგებარი ხალხი არსად არ მეგულება, ვცდილობ მათ გულში შეღწევას, მაგრამ არაფერი გამომდის, თუმცა მომავალში, ძალისხმევას არ დავაკლებ“, თქვა იესომ, ჯირკიდან წამოდგა, მომცრო მაგიდას მიუახლოვდა, თასი წითელი ღვინით შეივსო და სულმოუთქმელად დასცალა. „ეს ჩემი სისხლია“, დაამატა იესომ.

„ვიცით შენი აქტიურობა მევენახეობის დარგში, გასინჯული გვაქვს, ძალიან გემრიელია, მაგრამ ჩვენი საუბარი რომ გავაგრძელოთ ავღნიშნავ, რომ ხომ იცი ებრაელების გარეშე არაფერი მოხდება, შენც ვერ დაანგრევ პლანეტას თუკი ებრაელებს არ გადაიბირებ შენს მხარეზე. ყველაფერს ახერხებ, ამას კი ვერა, რადგან ებრაელებს პირდაპირი შეთანხმება აქვთ დადებული უფალთან, ამ ხელშეკრულების ძალით ებრაელებისა და უფლის ურთიერთობაში ვერავითარი „უფლის რეფერანტი“, თუნდაც „ორმაგი რეფერენტი“ ვერ ჩაერევა. ამიტომ შენ თავის გასამართლებლად შენს სასარგებლოდ ბიბლიის შინაარსის შეცვლა დაიწყე, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ხოლო რაც შემეხება მე, არქანგელოზი ლუციფერი, უფლის მარჯვენა ხელი, მამის სხდომების უძველესი და აქტიური მონაწილე და მამის ყველაზე ძნელი და დელიკატური დავალებების შემსრულებელი და დედამიწის ოფიციალური გამგებელი, როგორც „დილის ვარსკვლავი“ და „ჰაერის პრინცი“, ვცდილობ შენთან საერთო ენის გამონახვას.

„ჩემგან საერთო ენის გამონახვა ძალიან იოლია“, თქვა იესომ, „ამისთვის მხოლოდ საჭიროა გახდე ჩემი მიმდევარი და ჩემი ნების უსიტყვო შემსრულებელი“.

„სანამ შენი მიმდევარი და შენი ნების უსიტყვო შემსრულებელი გავხდები, უნდა ვიცოდე თუ რა გსურს, როგორია შენი გეგმები და ამის გაგებას დიდი ხანია ვცდილობ. მაგალითად, ჩვენი პირველი შეხვედრიდან ორი ათასზე მეტი წელი გავიდა, მაშინ შენ ნათლობის შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში მარხულობდი. არავინ იცოდა, თუ ვინ იყავი. ამიტომ მამამ გამომაგზავნა რომ შემხვედროდი და ხალხისთვის გაგეგებინებინა თუ ვინ იყავი. იოანე ნათელისმცემლის რეკომენდაციები საკმარისი არ იყო. შენი ბიძაშვილი იოანე, შემდეგ ნათლისმცემლად ცნობილი უფრო ბუნების შვილი იყო, ვიდრე ებრაული საზოგადოებისა. შენ კარგად იცოდი, ჩემი დავალების შესახებ. შენ უნდა უფრო ზუსტად გაგეგო შენი როლი, როგორც მესიისა, რომლისკენაც შენ ისწრაფვოდი. და მთავარი იყო, რომ ებრაელ ხალხს მიეღო შენი როლი. გამოცდა მოგიწყე და გითხარი:

„თუ შენ უფლის შვილი ხარ, უბრძანე ამ ქვებს რომ პურად იქცნენ და დანაყრდი“ (მათე 4:3), მაგრამ შენ გამოცდა თავიდან აიცილე და თქვი: „კაცმა არ უნდა იცხოვროს მხოლოდ პურისთვის, არამედ სიტყვისთვის, რომელსაც უფლის ბაგიდან მიიღებს“ (მათე 4:4).

სამწუხაროდ, შემდეგმა მოვლენებმა აჩვენა, რომ შენამდეც და შენს შემდეგაც „დაპურება“ არის პირველი და ყველაფერი დანარჩენი არის მეორადი. ძალიან ბუნებრივია, რომ ადამიანის სხეული „დაპურების“ გარეშე ვერ იარსებებს. ბევრ შემთხვევაში ისინი თუ კარგად „დაპურდებიან“ მონობაზეც თანახმა არიან და აღარ ითხოვენ თავისუფლებას. მართლაც, რათ უნდათ თავისუფლება თუ მშივრები იქნებიან. დააპურე ხალხი, თუნდაც სიტყვიერად და ისინი შენი მიმდევრები გახდებიან“ (იოანე 6:5-14).

მე შევეცადე, რომ შემდეგი ტესტი მაშინვე მომეწყო. წესით მარხვის შემდეგ რომელიც 40 დღე გაგრძელდა

დასუსტებული და დამყოლი უნდა ყოფილიყო“, თქვა ლუციფერმა და თხრობა და ახსნა-განმარტება გააგრძელა.

თვალი მისკენ გავაპარე. იესო ჩუმად იდგა. მწვანედ კაშკაშებდა, ლუციფერის ყვითელი სიკაშკაშის საპირისპიროდ. ერთმანეთს ენაცვლებოდა მწვანე და ყვითელი კაშკაში, რაც ორი საპირისპირო ძალის ურთიერთგადახლართვის შედეგი იყო.

„მე აგიყვანე იერუსალიმის ტაძრის წვერზე, რომელიც დედამიწიდან 180 ფუტს სიმაღლეზე იყო და გითხარი, გადახტი-მეთქი. თუ მართლა უფლის შვილი ხარ და უფლის ადმინისტრაციაში დიდი გავლენა გაქვს და მე ვფიქრობდი, რომ შესაძლოა ეს ასე ყოფილიყო, მაშინ დედამიწაზე დაშვება შენთვის უხიფათო უნდა ყოფილიყო. თუ ანგელოზი იყავი არაფერი მოგივიდოდა, რადგან ანგელოზებმა ფრენა იციან. ხოლო თუ ადამიანი იყავი, მაშინ მიწაზე დაშვებაში ანგელოზები დამეხმარებოდნენ. ამავე დროს იერუსალიმის ტაძრის წვერიდან გადმოხტომა და მიწაზე უხიფათოდ დაშვებას ძალიან დიდი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. მას შეეძლო ძირეულად შეცვლა ისტორიის მსვლელობა.

იერუსალიმის ტაძარი უფლის, იეჰოვას სახლია. ებრაელი ხალხის უფალთან შეთანხმებას კიდობანი მოთავსებულია ტაძრის ყველაზე წმინდა ადგილას. ლევიტები, მღვდლები, სედიუსელები, მწერლები და სანჰედრინის უმაღლესი მღვდელმთავრები ტაძარში მსახურობენ. იერუსალიმის სოლომონის ტაძარი იყო მათი ცხოვრების არსი. და არა მარტო მათთვის. ხალხი მოდიოდა ტაძარში და თაყვანს სცემდა შემოქმედს. იეჰოვა ღმერთი იყო. მათი ძალა და იმედი. ისინი ყოველდღიურად ელოდნენ უფლის მოწყალებას და მათი მხსნელი მესიის გამოჩენას. ასე იყო თაობიდან თაობამდე. მე ხაზს ვუსვამ რომ მესიის მოლოდინი იყო ებრაელი ხალხის უდიდესი და უტკბილესი მოლოდინი“, თქვა ლუციფერმა.

„იმ დღეს იერუსალიმში ხალხმრავლობა იყო. ხალხში გავრცელდა ხმა, რომ ღმერთმსმახურების დროს უნდა მომხდარიყო უფლის ერთ-ერთი სასწაული“, გააგრძელა ლუციფერმა.

„ტაძრის წინ მდებარე ტერიტორია იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის ნახევარმა მილიონმა კაცმა მოიყარა თავი ტაძარში და ტაძრის გარშემო ერთი და იგივე დროს.

ხალხი ჯოგად იდგა, მაგრამ როდესაც ისინი თავს მოწყალედ დახრიდნენ ან მუხლებზე დაეშვებოდნენ, იქ საკმარისი სივრცე იყო, რომ ეს მათ სინქრონულად გაეკთებინათ. ეს იყო საოცრება. მორწმუნეები თავს დახრიდნენ და სასწაულის მოლოდინში. ეს იყო სასწაულის წინა მოლოდინი.

სწორედ ამ მომენტში უნდა ჩამომხტარიყავი შენ ტაძრის წვეროდან და ეს მოხდებოდა მორწმუნე ხალხის ცხვირწინ. ეს იქნებოდა სასწაულის დიადი მომენტი. შენი ჩამოხტომა უნდა დამთხვეოდა მომენტს, როდესაც მორწმუნე ხალხი ქედის მოიხრის შემდეგ წელში გაიმართებოდნენ და როდესაც ამის შემდეგ ნახევარი მილიონი კაცი წინ და ზევით გაიხედავდა, მათ უნდა დაენახათ ცით მოვლენილი მესია, ანგელოზების გარშემორტყმული, რომლებიც შენი მიწაზე ჩამოხტომის აბსორბაციას მოახდენდნენ.

ჩემთვის ეს იქნებოდა დამოწმება, რომ შენ ინდოეთში, ტიბეტში, სპარსეთში, სკანდინავიაში და დიდ ბრიტანეთში მოგზაურობის დროს ლევიტაცია და მაღალი დონის დამიწება კარგად შეისწავლე. ასეთი იყო ჩვენი მამის გეგმა, მაგრამ შენ მითხარი:

„დაწერილია, რომ შენ არ უნდა მოუწყო გამოცდა შენს უფალს, შენს ღმერთს“ (მათე 4:7).

თეორიულად სწორი იყავი და აღარ დაგაძალე. ხალხი კი გაწბილებული დარჩა. უფლის დავალება კი ვერ შესრულდა. სოლომონის ტაძრის უფროსი მღვდელმთავარი უკვე მზად იყო შენს მისაღებად და „ებრაელი ხალხის უფალთან პერსონალური შეთანხმების კიდობანის“ საჩვენებლად, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა არ მოხდა.

რაც შემეხება მე, გააგრძელა საუბარი ლუციფერმა, „ვერ გავიგე იყავი მზად მესიის როლის შესასრულებლად თუ არა. ამას გარდა, მესიის როლისათვის კიდევ რამდენიმე კანდიდატი ემზადებოდა სხვა ადგილებში.

როგორც ცნობილია, ებრაელები მესიას ანუ მხსნელს უძველესი დროიდან დღემდე ელიან და ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე კანდიდატების გამოცდას ვატარებ ხოლმე. ეს უფლის დავალებაა. როგორც შენ მათაც ვერ გაიარეს ტესტი. რომელიმე მათგანს სამიდან ერთი ტესტი რომ გაევლო, მაშინვე უფალს წარვუდგენდი როგორც მესიის ტესტგავლილ კანდიდატს დასამტკიცებლად. ამის შემდეგ კანდიდატი მიიღებდა ზეციურ სტატუსს, ანგელოზის რანგის გახდებოდა და უფლის თათბირებზე დასწრების უფლებას მოიპოვებდა. ეს უფლება იქნებოდა დროებითი. დროებით იმიტომ, რომ როდესაც მესია თავის მოვალეობას შეასრულებდა, იგი იმ სტატუსს მიიღებდა, რასაც უფალი გადაწყვეტდა და რის შესახებაც მე არაფერი ვიცი.

ჯერჯერობით კი მესიის ტესტი არავის ჩაუბარებია. ვგრძნობდი, რომ შენ ძალიან ახლოს შეგეძლო მასთან მისვლა. ამიტომ მომკიდე ხელი და მესამე გამოცდაზე წამიყვანე. გადმომაფრინე და აქ სადაც ახლა ვიმყოფებით, ვარსკვლავეთი-სითის პირდაპირ აღმართულ ევროპისა და აზიის კონტინენტების შესაყარზე მდებარე ყველაზე მნიშვნელოვან მთაზე მყინვარწვერზე ამომიყვანე, დაგანახე მთელი სამეფო, რომელიც უფლის ბრძანებით მე მაქვს ჩაბარებული და როგორც ადრე როდესაც ბავშვი იყავი იერუსალიმ-ნაზარეთის გზაზე გითხარი:

„ყველაფერს ამას შენ გადმოგცემ თუკი შენ ჩემს უზენაესობას დაემორჩილები და ჩემი საქმის ერთგული გამგრძელებელი იქნები“ (მათე 4:9). სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პირდაპირ მითხარი, რომ ნებაყოფლობით გადმომცემ ძალაუფლებას დედამიწაზე, ყოველგვარი ინტრიგების, ომებისა და რევოლუციების გარეშე, ოღონდ გააგრძელე მსოფლიოს მშენელობა, აღზარდე და გაანათლე ხალხი, აარიდე ტვინის გამორეცხვასა და ზომბირებას, რათა მათ დამოუკიდებლად შესძლონ ქვეყნიერების მართვა. ნუ დააკნინებ ხალხს, ნუ დაანგრევ ქვეყნებს. დაემორჩილე ჩემს მიერ დაწესებულ წყობილებას, განავითარე იგი და არ გააუქმო. ნუ იფიქრებ,

ახალი იერუსალიმის შესახებ ძველი იერუსალიმისა და ძველი სამყაროს დანგრევის სანაცვლოდ. ევოლუცია და არა რევოლუცია იყო ჩემი წინადადება, მაგრამ შენ თქვი:

„განვედ ჩემგან სატანა! უკვე დაწერილია, რომ შენს უფალს, შენს ღმერთს უნდა ემსახურო, მხოლოდ მას დიდი სიყვარულით და სხვას არავის“ (მათე 4:10). ე. ი. მარტო მას, უფალს ვემორჩილები და სხვა არავის იყო შენი პასუხი. ამ დროს დაიწყეთ შენ და შენმა მიმდევრებმა ზღაპრების გავრცელება, რომ თითქოს უფალმა მყინვარწვერს მიმაჯაჭვა, რომ თითქოს მე მას ავუჯანყდი და დღემდე მიჯაჭვული ვარ ბეთლემის გამოქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში. იქ თითქოს დღემდე შენახულია ე. წ. „ამირანის ქოხი“, რომელსაც ჩვენ საუბრის შემდეგ მოვინახულებთ და ადრინდელ დროს გავიხსენებთ. მაშინ შენ არ მოისურვე გაჩერება და ვითარებაში ღრმად გათვითცნობიერება. მე, როგორც დედამიწის გუბერნატორი კვლავ ვიმეორებ, რაც ადრე ვიცოდი და ვამბობდი, არაფერი არ შეცვლილა. ახლაც იგივე მექანიზმი მოქმედებს რაც ადრე იყო, მხოლოდ 2000 წელზე მეტია შემოჭრილი ხარ ჩემს საქმიანობაში და უკვე საბოლოოდ მოსპე უძველესი ცივილიზაციები. მარტო რომის იმპერიის დანგრევა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკების გადაწვა საკმარისია სათქმელად. თუნდაც აქ ამ ქვეყანაში სადაც ახლა ვართ აბა გაიხსენე რამდენი შენამდელი ხელნაწერი და არქიტექტურული ძეგლი გაანადგურე, ამიტომ კვლავ გთავაზობ იმას, რაც მაშინ შეგთავაზე: შეაჩერე დედამიწის მეტეორიტებით დაბომბვამ და ჩემი მოქალაქეების დახოცვა, რაც ეჭვს გარეშეა უფლის სანქციების გარეშე ხდება.

კიდევ გახსენებ, რომ დედამიწის უფროსი ჯერჯერობით მე ვარ. მისმა უმაღლესობამ, აქ გუბერნატორად დამნიშნა და ნუ მირევ აქ საქმეებს, მაგრამ თუ უნარი გაქვს მაშინ გვერდიდან კი არა, არამედ პირდაპირ ჩაერიე საქმეებში, მიიღე ძალაუფლება დედამიწაზე, გახდი მისი გუბერნატორი და ამ ძალაუფლებას გადმოგცემ შენ, მე კიდევ წავალ ორიონის თანავარსკვლავედში, სადაც უკვე ოთხ პლანეტას ვკურირებ

და მინდა, რომ მისი მაცხოვრებლები ჩემი და უფლის მგზნებარე მიმდევრები იყვნენ, ააშენონ ცხოვრება, სადაც ყველანაირი ჯანსაღი ოცნება რეალობად იქცევა. იყავი დედამიწაზე შენ, და გააკეთე აქ სიკეთე. დაამყარე სანიმუშო წესრიგი და არა ილუზიური, როგორიც თითქოს „ახალ იერუსალიმში უნდა იყოს“, თქვა ლუციფერმა.

„არა, ასე არ გამოვა. ეს მხოლოდ ლაპარაკია. მე ვარ ის, რასაც მამაჩემი ამბობს, არც მეტი და არც ნაკლები, მაშ ისმინე“, თქვა იესომ და ბიბლია გადაშალა, რომელიც ტუნიკის კუთხიდან ამოაცოცა.

„უფალი ეჭვიანი და მრისხანეა, იგი შურისმაძიებელია... და იგი შურს იძიებს თავის მოწინააღმდეგეებზე... უფალი გზას იკვლევს ქარტეხილებში და შტორმში, ღრუბლებში და მტვერში. იგი ნელია მრისხანებაში. მაგრამ სწრაფია ძალმომრეობაში; იგი უკუაგდებს ზღვას და მშრალს გახდის მას; იგი გააშრობს ყველა მდინარეს; მთები შეირყევა და ბორცვები დადნება მის წინაშე, ნამდვილად დედამიწა გადაყირავდება და დაწვება მის წინაშე. დიახ! დედამიწა თავის ყველა მაცხოვრებელთან ერთად“. (ნაჰუმ 1:2-5). იესომ ბიბლია კვლავ ტუნიკის კუთხეში ჩააცურა.

„ბევრ ჩვენიანს, დედამიწის მაცხოვრებელთა უმეტესობას, მათ შორის ჩვენი საუბრის მოწმეებს“, ლუციფერმა კედლის გასწვრივ ტახტზე ჩამომსხდარ გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე მოწმეებს გადმოგვხედა, „არ მოსწონს ფრაზა შენი ნათქვამიდან: „...დედამიწა გადაყირავდება და დაიწვება მის (უფლის წინაშე)... თავის ყველა მაცხოვრებელთან ერთად“. ნუთუ ასე ცუდად არის საქმე?“

„ეს შენ თქვი“, მიუგო იესომ.

„არ მინდა გეკამათო, თუ ვინ რა თქვა, მაგრამ ეს ძალიან ართულებს საქმეს. გამოდის, რომ გამოსავალი არ არის და უნდა შევეგუოთ დედამიწისა და მისი მაცხოვრებლების ტოტალურ დაღუპვას „მისი უმაღლესობის წინაშე“ და, რა თქმა უნდა, შენს წინაშე“.

„ეს კვლავ შენ თქვი“, მიუგო იესომ.

„ასეთი დაუნდობლობა შენი და უფლის მხრიდან აძლიერებს ეჭვს იმის შესახებ, რასაც საიდუმლო სერობაზე ამბობდი... ეს არის ფიქრები კანიბალიზმის შესახებ.

„ასეთ მოსაზრებას, რომ ამბობ, განა გაქვს დამამტკიცებელი საბუთები?“ იკითხა იესომ.

„როგორ არა. აი ინებე. ოთხმა ადამიანმა, რომლებმაც შენი მოღვაწეობა აღწერეს ჯვარცმამდე შენი ცხოვრების ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ამბობენ შენს ერთ ოფიციალურად ნათქვამს. მათი დამოწმება ოფიციალურია, ამ ნათქვამზე კიდევ ბევრი ილაპარაკებს, მაგრამ ამ ოთხი მახარობლის ნათქვამი კანონიკურია.

მათე აღნიშნავს: „ისინი ჯერთ კიდევ ჭამდნენ, როცა იესომ აიღო პური, ილოცა, დაამტვრია, მოწაფეებს მისცა და თქვა, „აიღეთ, ჭამეთ. ეს ჩემს სხეულს ნიშნავს...“ აიღო სასმისი და უთხრა: „ყველამ შესვით... რადგან ეს ჩემს სისხლს ნიშნავს, შეთანხმების სისხლს“ (მათე 26:26-28).

მეორე მახარობელი მარკოზი ასე აღწერს ამ ამბავს: „...იესომ აიღო პური და დალოცა, გატეხა და მოწაფეებს დაურიგა, უთხრა: „ჭამეთ, ეს ჩემი სხეული არის, და აიღო თასი, მადლობა გადაიხადა, გადასცა მოწაფეებს და უთხრა: შესვით; და თქვა, ეს ჩემი სისხლია... და ბევრს შეიფარებს“ (მარკოზი 14:22-24).

კიდევ ერთი მახარობელი, პროფესიით ექიმი და წარმოშობით იესოს მოწაფეებსა და მახარობლებში, ერთადერთი არაებრაელი წინდაუცვეთავი ლუკა თავის მოგონება-სახარებაში ამ ამბებს ასე აღწერს:

„და მან აიღო პური, თქვა მადლობა და დატეხა იგი, გადასცა მოწაფეებს და აღნიშნა, რომ ეს არის ჩემი სხეული, რომელსაც თქვენ გიბოძებთ, ეს გააკეთეთ, რაც ჩემი გახსენება იქნება. ვახშმის შემდეგ ისევე მოიქცა როცა სასმისი აიღო და თქვა, ეს სასმისი ნიშნავს ახალ შეთანხმებას, ჩემი სისხლის საფუძველზე, რომელიც თქვენთვის უნდა დაიღვაროს“ (ლუკა 22:19,20).

ლუკას ამ ციტატაში ფრიად დამაფიქრებელია ერთი

ფრაზა: „ეს არის ჩემი სხეული, რომელსაც თქვენ გიბოძებთ; ეს გააკეთეთ, რაც ჩემი გახსენება იქნება. რა იგულისხმება – ეს გააკეთეთ?“ თქვა ლუციფერმა.

მახარობელი იოანე კი ამ ამბავს ასე აღწერს:

„შემდეგ იესომ უთხრა მათ, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ. თუ კაცის ძის ხორცს არ ჭამთ და მის სისხლს არ სვამთ, არ გექნებათ სიცოცხლე... ვინც ჩემს ხორცს ჭამს და ჩემს სისხლს სვამს, მარადიული სიცოცხლე აქვს და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს... რადგან ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი – ჭეშმარიტი სასმელი... ვინც ჩემს ხორცს ჭამს და ჩემს სისხლს სვამს ერთობაში რჩება ჩემთან, მე კი მასთან... როგორც მე, გამომაგზავნა ცოცხალმა მამამ და მისით ვცოცხლობ, ასევე იცოცხლებს ჩემთვის ის, ვინც ჩემით საზრდოობს... ეს ზეციდან ჩამოსული პურია. ისეთი კი არა, თქვენმა მამა-პაპამ რომ ჭამა და მაინც დაიხოცა. ვინც ამ პურს ჭამს, მარადიულად იცოცხლებს“ (იოანე 6:53-58).

„რას ნიშნავს იოანეს პირით ქრისტეს ნათქვამი: „ჩემი სხეული არის ხორცი, ჭეშმარიტად საჭმელი და ჩემი სისხლი – ჭეშმარიტად სასმელი“, კითხვა დასვა ლუციფერმა და თავადვე უპასუხა:

„ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, ზემოთ აღწერილი ციტატები და ფრაზები არიან სიმბოლური კანიბალიზმის გამომხატველები და ეს ტრადიცია ბევრ ხალხში იყო ფართოდ გავრცელებული. საერთოდ რა არის კანიბალიზმი?“ იკითხა ახოვანმა ლუციფერმა და დარბაზს თვალი მოავლო, „ეს მოვლენა ყველამ ვიცით. ეს არის პროცესი, როდესაც ადამიანთა ერთი ჯგუფი ჭამს ადამიანთა მეორე ჯგუფს შიმშილის გრძნობის დასაკმაყოფილებლად ან რიტუალური წესრიგის გამო. შენ თავად ამბობდი:

„...ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი – ჭეშმარიტი სასმელი... ვინც ჩემს ხორცს ჭამს და ჩემს სისხლს სვამს ერთობაში რჩება ჩემთან, მე კი მასთან“ (იოანე 6:55).

გაგება „ღმერთის ჭამის“ შესახებ და იდეა „აიღო

ღმერთი“ ნიშნავს უფრო ახლოს იყო მასთან. ცოცხალი უფლის ხორცის სიმბოლური ჭამა და მისი სისხლის შესმა ნიშნავს ნაწილობრივ აიღო უფლის პოტენციალი. მორწმუნე უფლის მიმდევრებმა დაარწმუნეს ერთმანეთი, რომ სიმბოლური ან პირდაპირი „უფლის ჭამისაგან“ ისინი ხდებიან ძლიერებვი და გონება უნათდებათ.

ახლა ისმის კითვა: „ვინ არიან ის უღირსი ხალხი, რომლებიც თვისტომებს ჭამენ, სიმბოლურად ან პირდაპირ? რატომ არ იწვიან ისინი გეენას ცეცხლში?“ იკითხა ლუციფერმა და შემდეგ დააზუსტა:

„პასუხი ერთია; თითქმის დედამიწის ყველა ერი კანიბალიზმიდან და „უფლის ჭამისაგან“ მოვიდნენ. და ამაში არაფერი გასაკვირი არ არის. ერთმანეთს ჭამდნენ დედამიწის ყველა წერტილში. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იაპონელი მეომრები დამარცხებული მტრის ღვიძლს ჭამდნენ, თითქოსდა ეს მათ აძლიერებდა.

სიმბოლურ და ნამდვილ კანიბალიზმს შორის განსხვავება ერთია. ჯერთ ნამდვილად ჭამენ ადამიანებს, შემდეგ კი ადამიანების ადგილს შესაწირი ცხოველები იკავებენ, მერე სიმბოლოები, ბოლოს სიტყვები. ხშირად სიტყვიერი კანიბალიზმის შემდეგ ხდება ხოლმე რეალური კანიბალიზმი.

იესო! შენ ძალიან ღრმა მოსაზრების გამო და პირდაპირი მნიშვნელობით გინდოდა, რომ შენს მოწაფეებს შეეჭამე“, თქვა ლუციფერმა. „ამას კარგი მიზანი ჰქონდა. თუ შენი მოწაფეები შესანსლავდნენ შენს სხეულს, იგი გაქრებოდა, მოწაფეები კი გაძლიერდებოდნენ. თავად შენ, იესო ზეცაში წასულად გამოგაცხადებენ, რაც მოხდა კიდევაც“.

აბა ახლა გავიხსენოთ მდიდარი ვამპირული მითოლოგია, რომელსაც ღმერთო ნუ მიწყენ და ქრისტიანები მთლიანად ეთანხმებიან, თუ შესვამ ადამიანის სისხლს, სამარადჟამოდ იცოცხლებ.

თუ ეს ასე არ არის, აბა რატომ ამბობს ტრენტის კონსილიუმის გადაწყვეტილებით კათოლიკური ეკლესია, რომ ზიარება (Eucharist) ნიშნავს „სხეულისა და სისხლის, რომელ-

იც ეკუთვნის უფალ-კაცს არის ნამდვილი, რეალური და არსებითად“.

რა ნიშნავს ეს თეზისი? ისევ იკითხა ლუციფერმა, იესოს შეხედა, შემდეგ თვალები იატაკზე გაფენილ უზარმაზარ სპარსულ ხალიჩას გაუსწორა და თავმდაბლად შენიშნა:

„ეს არის „საკურთხეველზე იესოსთან ერთიანობა!“ რამდენი ქრისტიანი ათვითცნობიერებს, რომ როდესაც ისინი მიირთმევენ მრგვალ გამხმარ პურის ნაჭერს და პაწაწინა სათითედან სვამენ წითელ ღვინოს თავიანთი სათვისტომოს საეკლესიო სამსახურის დროს, სიმბოლურად ისინი მონაწილეობენ ადამიანის ხორცის ჭამაში და სისხლის სმაში?

რაღაც მიზეზის გამო ეკლესია ამ საკითხს ბურავს და მორწმუნეებს უბიძგებს სიმბოლური კანიბალიზმისაკენ. ხალხი სვამს ღვინოს, რომელსაც სისხლის მნიშვნელობა აქვს და მიირთმევს გამხმარი პურის ნაჭერს, რომელსაც ადამიანის ხორცის მნიშვნელობა აქვს და ამას აკეთებს ლურსმნებზე მიკრული იესოს გამოსახულების წინაშე. მოგვიანებით ვითარებისდა მიხედვით ეს აქტი გადაკეთდა როგორც დაკლული ბატკნისა (იესო ქრისტე) და მორწმუნის როგორც ბატკნის დამკლავის (მკვლელის) ურთიერთობა. ეს იგივეა, რომ მიირთვა ჰამბურგერი ან ხორციანი „პერაშკი“ ახლა დაკლული ძროხის წინ ან მიირთვა შემწვარი ბატკანი ჯვარცმის გამოსახულების წინ. სტატუსი აქტისა იგივეა – კანიბალიზმი.

ეს გარემოება მშვენივრად ხსნის ფაქტს იესოს ცარიელი აკლდამის შესახებ. „და ისინი შევიდნენ შიგნით (აკლდამაში) და ვერ ნახეს იქ სხეული მეუფე იესო ქრისტესი“ (ლუკა 24:3).

შენმა მოწაფეებმა ნამდვილად შეგჭამეს? ლუციფერმა პირდაპირ დაუსვა კითხვა იესოს, რომელიც ამ დროს ბუხარს საკმაოდ იყო მოცილებული, სადაც ასე დიდხანს იმყოფებოდა და ოთახის შუაში მრგვალი მაგიდიდან ლანგარზე ეჩმიაძინის დოლმა გადაჰქონდა. „როგორც შენ მოითხოვდი მოწაფეებისაგან, მე გეტყვით, თქვენ, სანამ თქვენ არ შეჭამთ ძე კაცის სხეულს, და არ შესვამთ მის სისხლს, არ იქნება სიცოცხლე თქვენში“ (იოანე 6:53).

ბუნებრივია მათ ეს გააკეთეს. საფლავიდან ამოგიღეს, შეგჭამეს და ახლა ეს აქტი არსებობს სიმბოლური კანიბალიზმის სახით, რაც გამოიხატება ეკლესიაში გამხმარი პურის „კუბიკის შეჭმაში“ და სათითედან წითელი ღვინის დალევაში.

შეგახსენებთ, რომ პირველი საუკუნეების ქრისტიანებში ერთმანეთის ჭამა ისე გავრცელდა, რომ რომაელებიც კი დაფრთხნენ. მათ არ ესმოდათ ქრისტიანებში გავრცელებული რიტუალური კანიბალიზმი, ისევე როგორც არ ესმოდათ თუ რა სიკეთე მოჰქონდა მთელი დღის განმავლობაში მაღალ სარზე ჯდომას.

რომის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და საერთოდ რომის საზოგადოება წინააღმდეგი იყო, რომ პირველი საუკუნეების ქრისტიანები და ძალიან ბევრ შემთხვევაში დღესაც, მათ შორის თითქმის ყველა შენი მოწაფე იუდას გარდა, ყოველთვის დაუბანელნი დადიოდნენ, საჭმელს ჭუჭყიანი ხელებით ჭამდნენ და მერე ამტკიცებდნენ, რომ ეს არ არის ცუდი. მათი აზრით ჭუჭყიანი ხელებით საჭმელი არ ჭუჭყიანდება და თუკი ჭუჭყიანდება საჭმელი მას როდესაც პატიოსანი ადამიანის სულში და გულში გაივლის, მაშინვე განიწმინდება სუფთა გამოვა გარეთ. ზოგიერთი შენი მიმდევარი, იყენებდნენ რა შენს ავტორიტეტს სერიოზულად ამტკიცებდნენ, რომ პატიოსანი ქრისტიანის სხეულში გავლილი საკვები სუფთაა და გარეთ გამოსული ამ საკვების განავალი ასევე სუფთა იმდენად, რამდენადაც სუფთაა ამ საკვების მიმღები კაცი. ხოლო უღირსი ადამიანის განავალი ორმაგად შხამიანია.

რომის საზოგადოებას არ მოსწონდა რომ ქრისტიანები ძონძებში და ტომარაჩამოცმულები დადიოდნენ, გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ საშინლად არაჰიგიენური სექსუალური ცხოვრება, იყვნენ ყოველგვარი ჭირის გადამტანნი. ქრისტიანები ცდილობდნენ და ზოგჯერ კარგი ენის გამო პატიოსან რომაელებს ცოლებს ართმევდნენ და, მათ ქრისტიანებად აქცევდნენ, როგორც ეს პავლემ მოიმოქმედა.

რომაელებს აწუხებდათ თქვენი ყოველდღიური განცხ-

ადებები ამ ცხოვრების ამაოების შესახებ, რომ არაფერს აშენებდით, აცხადებდით, რომ იესო დღე-ხვალ მოვაო, მსოფლიო განადგურდება და მსი მაგივრად ახალი, სამართლიანი სამყარო შეიქმნებაო.

ბოლოს აი ასეთმა ხალხმა ძალაუფლება ხელში აიღო. ისინი ფაქტიურად მსოფლიოში გაბატონდნენ. რომის დიდებული იმპერია დაემხო და მრავალი საუკუნის განმავლობაში ხმელთაშუა ზღვის აუზი, მეკობრეებისა და ყაჩაღების სათარეშო ადგილად იქცა. ადრე თუ ერთი კვირის განმავლობაში კაცი იოლად ნახავდა ალექსანდრიიდან რომში მიმავალ სამგზავრო ხომალდს, შემდეგში მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს აღარ ხდებოდა. დაიკარგა კავშირი ხალხებს შორის. დამყარდა ქრისტიანული ქაოსი, რომლის დროსაც უამრავი მატერიალური ფასეულობა დაიკარგა. სახსენებლად მარტო პერგამონისა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკების განადგურებაც კმარა. მოგვიანებით, რენესანსის დროს და შემდგომ პერიოდში ვითარება ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ ახლა ძალიან შემოგვიტია. დაუფარავად გვანგრევ. ყველანი შენს კიდევ ერთხელ მოსვლას ელოდებიან და ამის მრავალ ნიშანს შორის გამოყოფენ ორს – ეკლესიის გაუცხოვებას და სატანას, ანუ ჩემს გამოჩენას.

ეკლესია თითქოს ელოდება შენს მეორედ მოსვლას და გამუდმებით, 2000 წელზე მეტია გიმოწმებს, რომ შენ ჩქარა მოხვალ. ხალხის დიდი ნაწილიც გელოდება, მაგრამ რას მოუტანს შენი მოსვლა ამაზე წარმოდგენაც კი არა აქვთ. იდეოლოგიურად ეკლესია გახდა ფუჭი და უშინაარსო, ასევე მისი მსახურებიც. აღარ სჩანს ავტორიტეტული და მისაბაძი ეკლესიია მსახურები. აბა გახედე და კომენტარი გაუკეთე თუ რას დაემსგავსა რუსული, მაკედონიური და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები. ეკლესიებში მსახურების დროს დღემდე ფეხზე დგანან. მღვდლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა ჭეშმარიტი უფლის გასაცნობათ. როგორც აწყობთი ისეთ ღმერთს ჰქმნიან. მათ არ ესმით მთელი ბიბლია და იყენებენ მხოლოდ ამორჩეულ მონაკვეთებს. ძალიან სუსტად

ესმით ბიბლიის ბრილიანტი ნაწილი – წინასწარმეტყველებების ნაშრომები. ამის გამო ქრისტიანობა გახდა ცარიელი, ისინი ვერ ხედავენ სიმართლესა და პერსპექტივას. შედეგად ამისა ეკლესიის დაცემა სახეზეა.

მეორე დიდი მოვლენა არის სატანას ანუ ჩემი გამოჩენა. მე ყოველთვის აქ ვიყავი, მაგრამ შენი მეორედ მოსვლის წინ იძულებული გავხდი წინა პლანზე გამოვსულიყავი. მე რომ არ გამოვჩენილიყავი, შენ უკვე მოსპობდი ყველაფერს. ჩვენ წინააღმდეგობას გიწევთ. ვცდილობთ გადავარჩინოთ პლანეტა, რომელსაც ესხალხი „სატანას პლანეტას“ უწოდებს. ამ ხალხზე თითქოს უფალი არ მოქმედებს. ეს ხალხი აზრს არ იცვლის. მათ აღარ შეუძლიათ აზრის შეცვლა, ისინი დაკნინდნენ და დაზომბირდნენ. მათ ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ყოველი სახლის კუთხეშ ვხვდებით. დადიან უაზრო, ფუჭი ღიმილით ან ამღვრეული თვალებით და ვერ არჩევენ ავსა და კარგს. ისინი პირდაპირ ხედავენ, რომ იღუპებიან, მაგრამ ხედავენ და ისმენენ იმას, რისი დანახვაც და მოსმენაც სურთ.

მათი ჩვეულებრივი ტენდენციაა რწმენა ტყუილისა“, თქვა ლუციფერმა. „მათ აღარ აქვთ, „ჭეშმარიტების სულის“ გაგების უნარი. და ამიტომ სანამ ისინი ვერ გაიგებენ თუ რა არის სიმართლე, როგორ მოემსახურებიან სიმართლეს? იოანე ხომ ამბობს: „თუ ვინმე უფალს ემსახურება ჭეშმარიტების სულისკვეთების გარეშე, ეს არ იქნება ნამდვილი ღმერთმსახურება“ (იოანე 4:23).

სიმართლე რომ გაიგო თავიდან უნდა დაიბადონ, ეს კი მათ აღარ შეუძლიათ. ასე, რომ ძვირფასო იესო შენი მიმდევრები ვეღარ შეიცვლებიან. ისინი შეგიძლია წაიყვანო სადაც გინდა, გინდა ნელა, გინდა თვალის დახამხამებაში, მაგრამ ჩემს ხალხს კი თავი დაანებე, ჩვენ ეს პლანეტა უნდა გადავარჩინოთ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და ძალიან მაგარსაც“.

„ეს აჯანყება იქნება“, თქვა იესომ, „ეს თქვენი განადგურება იქნება“, – დაამატა მერე.

„ნუ იქნები რადიკალი“, თქვა ლუციფერმა. „მე მაქვს უკეთესი გეგმა სამყაროს სახელმძღვანელოდ. უფალმა მომცა

დრო დავნერგო და წარმოვაჩინო იგი. უფალი მას გააუქმებს მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც დედამიწაზე მაცხოვრებელი ყველა სული დარწმუნდება, რომ სატანას ხელმძღვანელობის სტილი არასამართლიან ძალმომრეობაშია და დამანგრეველია. როგორც პავლე მოციქული აღნიშნავს ამ პლანეტაზე ცხოვრება თეატალურ სანახაობად გადაიქცა...“ (I კორინთელები 4:9). ამ სპექტაკლში მთელი სამყარო უყურებს დიდ წინააღმდეგობას ქრისტესა და სატანას შორის.

როდესაც ეს უდიდესი წინააღმდეგობა დასრულდება ყველას უნდა ჰქონდეს უფლება ძალმომრეობის გარეშე მოისურვოს იცხოვროს იქ, სადაც უნდა, იესო ქრისტეს ახალ იერუსალიმში თუ სატანას დედამიწაზე“.

ლუციფერი ბუხრის მოპირდაპირე კედლისაკენ გაემართა, რომელიც ზოგჯერ ელექტრულ-ტელედეპორტაციული რუკის მოვალეობას ასრულებდა. ახლაც ოქროსფერთმიანი ბრგე ლუციფერი კედელთან დადგა და სამყაროს მთელი რიგი ადგილები ცეცხლოვანი თითით გამოსახა, მოძებნა დედამიწა, რომელიც სამყაროს ყველაზე განაპირა ადგილას მდებარეობდა და ძალიან მეჩხერად იყო პლანეტებით წარმოდგენილი, საპირისპიროდ სამყაროს ცენტრისა, რომელიც ნიუ იორკის თაიმ სკვერივით იყო პლანეტების შუქით გაჩახჩახებული.

„შენი შეხედულებით“, თქვა ლუციერმა და დედამიწას დაუწყო ტრიალი, „ვინც ჩემი მხარე აირჩია გასანადგურებლად, არიან შერაცხულნი, ხოლო შენი მომხრეები სამუდამოდ ბედნიერი ცხოვრებისათვის ემზადებიან და ეს ზეციურ სამეფოში ცხოვრებაა. შენ უკვე უამრავი ადამიანი წაიყვანე ზეცაში ე. წ. „აღტაცების“ ოპერაციის დროს, რომელიც წინ უსწრებს შენს მეორედ მოსვლას. ხალხი რომლებიც არ გამომყვა ზეცაში და არც ამის სურვილი აქვთ ჩემი ხალხია. ისინი დედამიწაზე დარჩებიან. წადი ჩვენგან შენს ხალხთან ერთად და იცხოვრეთ ე. წ. „ახალ იერუსალიმში“. რაც შეგვეხება ჩვენ, დარჩენილებს, მოგვეცი შანსი გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა და კომფორტული ცხოვრება მოვაწყოთ აქ. ვიცით, რომ შენ რომ თავს დაგვანებებ პირველი წელი

ძნელი, მეორე იოლი, მესამე კიდევ უფრო იოლი და ბოლოს მეოთხე წელი კი შესანიშნავი იქნება“. დაასრულა იმ დღის საუბარი სატანამ.

13 თეზისი

ალფრედ ნავიგატორი ყურადღებით ისმენდა ლუციფერის მსჯელობას ლუციფერ-იესოს ურთიერთობაზე და ჩაიწერა ეს მოსაზრებები, რომლებიც მოგვიანებით ცნობილი გახდა როგორც ალფრედ ნავიგატორის „13 თეზისი“.

ალფრედმა ეს თეზისები ფურცელზე ჩამოწერა, ჩავიდა ვარსკვლათი-სითის დაუნთაუნში, მონახა არმაგედონ ჩერჩი და თეზისები მის კარებს მიალურსმნა.

აი, ეს თეზისები.

1. იესო და ლუციფერ-მეგატრონ-სატანა ძმები არიან? დიახ, ისინი ძმები არიან.

2. იესო არ არის ჩვენი დიდი მამა ღმერთი იეჰოვა საბათაი, მაგრამ იგი არის სერიოზული პრეტენდენტი ამ ტიტულისა და მხოლოდ მისი მეორედ მოსვლის შემდეგ გაირკვევა იქნება იგი დედამიწის მესია-ქრისტე გადამრჩენი და შემდეგ მამა-ღმერთი თუ არა.

3. იესოს აქვს „პირველად დაბადებულის“ სტატუსი, როგორც შედეგი უფალ-ადამიანების კავშირისა. სიმართლეა, რომ ადრე გიგანტ ანგელოზ-გრეგორებს სექს-კავშირი ჰქონდათ ადამიანების ქალებთან და იბადებოდნენ შთამომავლები წარღვნამდელი გიგანტ-ადამიანები. უფლის პირველი სექს-კავშირი ადამიან-ქალთან, ამ შემთხვევაში მის ქალიშვილ მარიამთან, გახდა შედეგი იესოს დაბადებისა, რომელსაც მიეცა სტატუსი „პირველად დაბადებული“ და „უფლის შვილი“.

4. თუ გრეგორებ-ადამიანების სექს-კავშირის დროს მეტწილად დემონები იბადებოდნენ, უმეტესად ბოროტი დემონები, უფალი ადამიანების ურთიერთობით შესაძლოა დაიბადა კაცობრიობის გადამრჩენი მესია.

5. ასე რომ, იესო არის ნაყოფი სექს-კავშირისა უფალსა და მის ერთ-ერთ ცოლთან ან ქალიშვილთან მარიამთან.

6. როდესაც საჭიროა ანგელოზების შექმნა უფალი ამას აკეთებს თავის ერთ-ერთ ცოლთან. თუ საჭიროა შექმნას

ადამიანების ღმერთი უფალი ამას აკეთებს თავის ერთ-ერთ ქალიშვილთან. უფლის სურვილითა და მისი გეგმით უფლის ქალიშვილი ადამიანი მარიამი, იესოს დედა გახდა როგორც უბიწო ქალიშვილი.

7. ჩვენ ყველანი დედამიწაზე და ზეცაში ვართ უფლის შვილები ეშმაკისა და მისი მიმდევარი დემონების ჩათვლით.

8. უფალმა შექმნა ყველა ქმნილება სატანას ჩათვლით.

9. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სატანა რეალურად არის მარადიული ქმნილება.

10. ახლა მკითხველო იფიქრე ასეთ რამეზე! პირველი საუკუნეების ქრისტიანი მამები ფიქრობდნენ, რომ უფალს ჰყავს მოწინააღმდეგე ძმა და მისი სახელია სატანა (მოწინააღმდეგე). შეირყი? ნუ ინერვიულებ. დალიე წყალი და იარე წინ სიმართლის შესაცნობად.

11. ანგელოზები წარმართავენ ადამიანთა რასის ცხოვრებას და უფლის დავალებით ისწრაფვიან სრულყოფილი გახადონ ისინი.

12. ორივე იესოც და ლუციფერ მეგატრონი, როგორც უფლის შვილები ძლიერი ლიდერები და ყველაზე გავლენიანი არსებები არიან დედამიწის ზურგზე.

13. იესომ იცის, რომ სატან-ლუციფერი დედამიწის გუბერნატორია. სამჯერ მოიხსენია მან სატანა-ეშმაკი როგორც „მსოფლიოს მმართველი“ (ლუკა 4:5-7; I იოანე 3:8; მათე 25:4; გამოცხადება 12:7).

ეს თეზისები გახდება მომავალში საფუძველი ამ ორი გავლენიანი არსების მომავალი თანამშრომლობისა.

თანამშრომლობა ან განადგურება მესამე გზა კაცობრიობას არ აქვს.

მოთხრობები „სატანას ციური ქრონიკებიდან“

წარსული

ერთ გრილ საღამოს მოგზაურობიდან ახლადდაბრუნებულ ალფრედ ნავიგატორს თავად მისი უძლეველობა, დედამიწის უცვლელი გუბერნატორი, არქანგელოზი სატანა ესტუმრა. საღამო უკვე ღამით ივსებოდა. ღუმელში მცირე ცეცხლი ღნაოდა. ლუციფერი ბუხრის წინ შეჩვეულ ჯირკზე ჩამოჯდა და გრძელი ფეხები გისოსებზე ჩამოაწყო, მერე ალფრედს ანიშნა გვერდით მომიჯექიო. ალფრედი მაშინვე მასთან გაჩნდა და გრძელი ბალაკლავიანი მოსასხამი ჩამოართვა, მსახურს გადასცა. უკან მრგვალი მაგიდის გარშემო მოციქული-მოწაფეები იჯდნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ.

„ამ ღამით მინდა წარსულზე გელაპარაკოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუ შენი წარმოშობა არ იცი, წინ ვერ წახვალ. ამიტომ მე ადამიანების წარმოშობაზე სრულ ჭეშმარიტებას მოგიყვებით. იგი განსხვავდება ბიბლიური ვერსიისაგან, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ემთხვევა მას“, თქვა ლუციფერმა და დარბაზს თვალი მოავლო.

ამის თქმა იყო, ალფრედი ბუხარს მოსცილდა და მოციქულ მოწმეებს მიუბრუნდა:

„ჩვენ ვიცით მხოლოდ ადამიანების წარმოშობის უფლის ვერსია. არავის უთქვამს თუ რას ფიქრობს ამის შესახებ სატანა, ჩვენი მთავარი მატიანის „ციური ქრონიკების“ ავტორი“, უთხრა ალფრედ ნავიგატორმა თავის მეგობრებს, ლუციფერის საძმოს წევრებს.

მოციქულები კავკასიონის ამ ალპურ ზონაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. აქ მდებარე მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთ-სითიში იყო ალფრედ ნავიგატორის საგვარეულო სახლი, რომელიც რატომღაც არჩეული იყო ამ შეხვედრების ადგილად. აქვე მოდიოდა ხოლმე მათი ბოსი ლუციფერი.

„ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა თავად მისი უმაღლესი უძლეველობისაგან პირადად მოვისმინოთ ახსნა-განმარტება და რაც მთავარია გავიგოთ სრული ჭეშმარიტება ამ საკითხთან დაკავშირებით“, დაამატა ალფრედმა და სატანას გვერდით ჯირზე ჩამოჯდა.

ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი საღამო, რადგან ამ შეხვედრის თითქმის სიტყვა-სიტყვითი სტენოგრამა, რომელიც იამაიკელმა

მოციქულმა ბარინგტონ რიჩარდსმა ჩაიწერა, ძალიან სწრაფად გავრცელდა მსოფლიოში. პირველ რიგში ეს მოხდა BBC-ის რადიოსადგურის მეშვეობით და დიდი აურზაური გამოიწვია საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

შეხვედრები ვარსკვლავეთ-სითიში მას შემდეგ გახშირდა, რაც კაცობრიობა თავისი განვითარების ბოლო „შვიდწლიანი უბედურებების“ პერიოდში შევიდა. ახლოვდებოდა განკითხვის ჟამი, რაც წინასწარმეტყველმა დანიელმა 26 საუკუნის წინათ განჭვრიტა. ეს იყო ყველაზე გრძელი წინასწარმეტყველება კაცობრიობის ისტორიაში. თქმასა და შესრულებას შორის სხვაობა 26 საუკუნეს უდრიდა.

ხალხს უკვე დაატყდა თავს „გამოცხადებაში“ წინასწარმეტყველი უბედურებების უმეტესი ნაწილი. ეს არის განადგურებები რომლებიც სიმბოლურად შვიდი ბეჭდის დამსხვრევაში, შვიდი საბედისწერო საყვირის დაყვირებაში და შვიდ კოკაში დაგროვილი საზიზღრობების წარმოდინებაში იყო გამოხატული.

ამ კატაკლიზმების დროს დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილები გაპარტახდა, ვარსკვლავეთ-სითი კი ყველაზე უხიფათო ადგილად ითვლებოდა პლანეტის ზურგზე.

ალფრედმა სატანას მსახურის მიერ მიწოდებული წითელი ღვინით სავსე ყანწი გადასცა. სატანამ ყელის გასასველებლად სასმისი სულმოუთქმელად დასცადა და დაიწყო:

„ჩვენი პლანეტა ერთი არ არის, რომელიც ჩვენი დიდი უფლის ფრთების ქვეშ არის შეფარებული. სამყაროში ბევრი ადგილია, სადაც ჩვენი უმაღლესობა, მისი თავმდაბალი თანაშემწეები და თავად მე მუხლმოუდრეკლად ვშრომობდით, რათა მხარი დაგვეჭირა ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმების არსებობისათვის“, თქვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„რთულ დროში, ჩვენი ამოცანაა ადამიანებს სწორად და დროულად ავუხსნათ თუ ვინ არიან და რა ადგილი უჭირავთ მათ სამყაროში. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს წიგნი „სამყაროს ქრონიკები“, რომლის ავტორი მე ვარ. წიგნს ხანდახან „სატანას ციურ ქრონიკებსაც“ უწოდებენ. ხალხმა ამ წიგნის შესახებ არაფერი არ იცის და მხოლოდ დარვინითა და ბიბლიით არიან შემოსაზღვრულები. ეს შეხედულებები მცდარი არ არის, მაგრამ მაინც შემადგენელი ნაწილები არიან მთავარისა, რომლის შესახებაც დღეს ვისაუბრებ.

თქვენ იცით, რომ მე ვარ არქანგელოზი სატან-მეგატრონ-

ლუციფერი, სერაფიმი, საღვთო სათათბიროს მუდმივი და უცვლელი წევრი, უფლის მარჯვენა ხელი, მისი თავმჯდომარე და სფიქერი. მე ბევრი პროფესია მაქვს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მემატიანის პროფესია. ჩემს მიერ შედგენილ „სამყაროს ანუ ზეციურ ქრონიკებში“ ჩაწერილია ყველა კოსმოსური მასშტაბის ინფორმაცია. „ქრონიკებში“ მარტო დედამიწაზე არ არის საუბარი, არამედ ლაპარაკია სამყაროში არსებულ ყველა ცივილიზაციაზე. მე ვარ სამყაროოს ისტორიოგრაფი და მის მოსე მწერალი, მისი კომპიუტერული ცენტრი და დისპეტჩერი.

„ზეციურ ქრონიკებში“ მითითებულია უფლის როლის შესახებ ყველა ცივილიზაციის შექმნის საქმეში და გაანალიზებულია კავშირი მათ შორის.

ის ინდივიდი, რომელსაც საშუალება ექნება გაეცნოს ქრონიკებს, გაიგებს რომ დედამიწის ცივილიზაციები ღრმა კავშირში არიან უცხოპლანეტელებთან, რომლებიც ერთხელ უკვე ცხოვრობდნენ დედამიწაზე. ჩემს წიგნში დოკუმენტურად არის წარმოდგენილი მასალები საიდუმლო პლანეტის ნიბირუს შესახებ, და იმ ასტრონავტების შესახებ, რომლებიც მილიონობით წლის წინათ ესტუმრნენ დედამიწას და ჩემს მეთვალყურეობის ქვეშ შექმნეს კაცობრიობა.

ჩემი „ციური ქრონიკები“ უდიდესი ყურადღებითა და სიზუსტით მოგვითხრობს თავმრუდამხვევ ისტორიას ჩვენს მე-12 პლანეტაზე, რომელიც ახლა გამქრალია.

ბიბლიაში მოხსენიებულია ნეფილიმები, რომლებიც პლანეტა ნიბირუს მაცხოვრებლები იყვნენ. მხოლოდ „სატანას ზეციურ ქრონიკებში“ არის შესაძლებელი გაეცნოთ მართალ ისტორიას ბიბლიურ ნიფილიმების, ედემის ბაღის, ბაბილონის კოშკის, წარღვნის, შუმერების, ქალდეველების, ბაბილონელების, ეგვიპტელების, უძველესი ინდუსების, უფლის გეგმის, იესო ქრისტეს დედამიწაზე მისიისა და უკანასკნელი დღეების ურთიერთკავშირის შესახებ“.

ლუციფერი ღუმელის გვერდით ჩვეულებრივ მუხის ჯირკზე იჯდა. კედელზე ფართე ეკრანი ეკიდა, რომელზედაც გუბერნატორი ცეცხლოვანი თითით მიუთითებდა და ხსნიდა კოსმოსისა და დედამიწის ზოგიერთ სტრუქტურას, ადგილს.

ლუციფერის მიმდევრები ეკრანის მოპირდაპირედ კედლის გასწვრივ მდებარე გრძელ ტახტზე გადაჯდნენ. ისინი ნელა მოძ-

რაობდნენ. ზოგიერთი მათგანი მკვდარი იყო. მათ სახეზე ოქროს ძაფებით მოქარგული პირბადე ჰქონდათ ჩამოფარებული.

„რამდენიმე მესოპოტამიური ტექსტი დედამიწიდან სამყაროს ზოგიერთ ადგილში ორმხრივი მოგზაურობების შესახებ მოგვითხრობს. შუმერული ტრადიციით ღმერთი არ იმყოფება შორეულ გალაქტიკაში. მისი ადგილსამყოფელი და მემკვიდრეობა მზის სისტემაშია. ერთი შუმერული ტექსტი მოგვითხრობს:

„როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის
თქვენ ზეცაში ამაღლდებით,
იქ ნახავთ ღამის გასათეველ და მოსასვენებელ ადგილებს,
რომელიც თქვენ ყველას მიგიღებთ.
ზეციური შეხვედრის შემდეგ
თქვენ ყველანი უკან დაეშვებით და ნახავთ
ღამის გასათევ მოსასვენებელ ადგილებს უკვე აქ,
რომელიც თქვენ ყველას მიგიღებთ“.

ეს ტექსტი და ბევრი სხვა პირდაპირ მიუთითებენ, რომ ზოგიერთი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფები, ადამიანები ან ანგელოზები რაღაც მიზნისათვის ზეცაში მიემართებოდნენ, იქ ნახულობდნენ ღამის გასათევ ადგილებს (სასტუმროს ან დასასვენებელ სახლს), შემდეგ უკან დედამიწაზე ეშვებოდნენ და ასეთივე მოსასვენებელ ადგილებს ნახულობდნენ უკვე დედამიწაზე. როგორც სჩანს ასეთი ორმხრივი მოგზაურობები რეგულარულ ხასიათს ატარებდნენ.

ვინ შეიძლება ყოფილიყო ის ზეციური მოგზაური, რომელიც რეგულარულად ახორციელებდა ამ ორმხრივ მოგზაურობებს?

ერთ ადგილას ბიბლია მიუთითებს:

„ნუ დაივიწყებ სტუმართმოყვარეობას უცხოელისადმი, რადგან შესაძლოა ანგელოზებს უმასპინძლდები და არ იცი ამის შესახებ“ (ებრაელები 13:2).

სხვა ადგილას ბიბლია აღნიშნავს:

„...უცხოელები ზოგჯერ არ ინარჩუნებენ თავიანთ თავდაპირველ მდგომარეობას და ტოვებენ მათთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ადგილებს...“ (იუდა 1:6).

ცხადია რომ „უცხოელები“ დედამიწისეული წარმოშობისანი არ იყვნენ.

როგორც სჩანს დედამიწა – უცხო პლანეტების კომუნიკაციები ადრე უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე დღეს არის.

უძველეს დროში, მესოპოტამიაში ციურ ცოდნას იცავდნენ, სწავლობდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ ასტრონომი მღვდლები. მღვდლების ასეთი ჯგუფი თაობიდან თაობაში ერთმანეთს გადასცემდნენ ცოდნას და ისინი ჩამოყალიბდნენ როგორც განათლებულთა კასტა. არც ისე დიდი ხნის წინათ აღმოჩენილ იქნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1800 წლით დათარიღებული 33 ციური სხეულის სია“.

„რამდენი პლანეტა აქვს მზის სისტემას?“ დასვა კითხვა სატანამ და ამ საკითხის ახსნა-განმარტება დაიწყო:

„ეს არის მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეფტუნი. ერთი ციური სხეული პლუტონიუმი აღმოჩენილ იქნა 1930 წელს და ითვლებოდა პლანეტად, მაგრამ 2006 წელს საერთაშორისო ასტრონომიულმა გაერთიანებამ პლუტონიუმს კლასიფიკაცია შეუცვალა და ჯუჯა პლანეტების ჯგუფში გადაიყვანა. ასე რომ მზის სისტემაში რვა პლანეტა დარჩა, მაგრამ შუმერები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი სისტემა შექმნილია მზისა და 11 პლანეტისაგან, მთვარის ჩათვლით. ეს არის ერთად 11 პლანეტა და მათ რიცხვში უნდა იყოს მე-12 პლანეტა ნიბირუ ანუნაკი-ნეფილიმების სამშობლო.

ნეფილიმები არის რასა ცოცხალი არსებებისა, რომლებიც ნაწილობრივ გადმოსახლდნენ პლანეტა ნიბირუდან დედამიწაზე“, დასძინა სატანამ.

„მესოპოტამიის განათლებულ წრეებში ნიბირუელებს იცნობდნენ როგორც „სამეფო ჩამომავლებს“ ან „რომლებიც ზეციდან მიწაზე დაეშვნენ“. მოსახლეობის ეს ჯგუფი ასევე ცნობილია „ნეფილიმების“ სახელწოდებით, რაც გიგანტებს ნიშნავს.

ბიბლიაში წერია:

„ვნახეთ ნეფილიმები, ანაკი ვაჟები. ნეფილიმთა შთამომავლები.

კალიები გვეგონა ჩვენი თავი. მათ თვალშიც ასე ვჩანდით“ (რიცხვები 13:33).

შუმერი ასტრონომები, შემდეგ კი ქალდეველები, რომელთა მიმდევრები ებრაელები და ნაწილობრივ სომხები არიან, ამტკიცებდნენ, რომ პლანეტა ნიბირუ არის მზის სისტემის წევრი, მაგრამ მას აქვს მკაცრად ელიფსური ორბიტა. იგი გაივლის ტრაექტორიას იუპიტერსა და მარსს შორის და დიდი გავლენა აქვს მზის სისტემაზე. ამჯერად ნიბირუ შესაძლოა ძალიან ღრმად არის კოსმოსში შეჭრილი და შეუძლებელია მისი აღმოჩენა, მა-

გრამ ზოგიერთი პარამეტრები და ტრადიციები გვახსენებენ მის არსებობას.

პლანეტა ნიბირუ უფლისა და ჩემი მეცადინეობის შედეგად შეიქმნა. იქ ცხოვრობს ანაკის ანუ ანუნაკის ვაჟების რასა, ძალიან მაღალი დონის ცივილიზაციით. ანუნაკელები ძალიან დიდხანს ცხოვრობენ, დაახლოებით 50 000 წელს, მაგრამ ისინი უკვდავები არ არიან.

პლანეტა ნიბირუმ თითქმის დაასრულა თავისი გაერთიანება, რაც აუცილებელი ატრიბუტია ყოველი პლენატარული ცივილიზაციისა, მაგრამ გაერთიანების ბოლო სტადიაზე ნეფილიმ-ანუნაკელებს შორის წარმოიშვა ნეგატიური ემოციების სიმპტომები, რაც ასეთი დამახასიათებელია დედამიწაზე მაცხოვრებელი ჰუმანოიდებისათვის.

დაახლოებით 450.000 წლის წინათ ალალუ, ანუნაკელების დამხობილი ხელმძღვანელი კოსმოსური ხომალდით ნიბირუდან გაიქცა. მან პლანეტა დედამიწაზე ჰპოვა ნავთსაყუდარი. იგი დაეშვა თანამედროვე ეგვიპტის ტერიტორიაზე, სადაც ოქროს დიდი მარაგი აღმოაჩინა. ოქრო ნიბირუელებს ძალიან სჭირდებოდათ რათა შეემცირებინათ ატმოსფეროს კლების პროცესი თავიანთ პლანეტაზე.

ალალუს შემდეგ დედამიწაზე მისი ოპონენტი ენკი დაეშვა. მან და მისმა ინჟინერმა ასტრონომებმა სამხრეთ მესოპოტამიაში განთქმული კოსმოსური სადგური ერიდუ დააარსეს, სადაც ასევე იშვიათი სასარგებლო წიაღისეული მოიძიებოდა. შუმერული სამეფო ქრონიკების მიხედვით ერიდუ იყო პირველი ქალაქი რომელმაც ჩვენს პლანეტას ახალი სახელი Earth – დედამიწა მისცა. იგი იყო მზის სისტემის მესამე პლანეტა.

თავდაპირველად ალალუსა და ენკის შორის ძალაუფლებისათვის მძაფრი შეტაკებები ხდებოდა. ბოლოს კი სიტუაცია დაწყნარდა და ანუნაკელებმა დაიწყეს დედამიწის ოქროს მარაგის ათვისება.

დაახლოებით 415.000 წლის წინათ ენკი ხმელეთის სიღრმეში წავიდა და დააარსა დასახლება ლარსა. უფრო მოშორებით კი კოსმოსური კონტროლის ცენტრი ლარაკი.

ლარსა არის თანამედროვე ლარსი. იგი დანმობერთების ქვეყნის საზღვრის მისადგომებთან მდებარეობს და ჩვენგან არც თუ ისე შორს არის. ვარსკვლავეთ-სითი და ლარსი ოქროს

საბადოების მსოფლიოს უძველესი დასახლებებია. მაღაროებში შესასვლელი მყინვარებით არის დაფარული და ეს ადგილები ციური დაცვის ქვეშ არიან. ამით აიხსნება ის გარემოება რომ დღეს „უბედურებების შვიდწლიანი პერიოდის“ ბოლოს ვარსკვლავეთ-სითიში და მის ხეობაში კოსმოსური დაბომბვები არ ხდება, ხაზი გაუსვა ლუციფერმა:

„400.000 წლის წინათ დედამიწის პლანეტას ნიბირუს სხვა გამოჩენილი ლიდერი ენლილი ესტუმრა და დააარსა არანაკ-ლებ განთქმული კოსმოსური ბაზა ნიპური, როგორც პლანეტა დედამიწის მისიის საკონტროლო ცენტრი.

ამავე დროს ენკიმ გაკვალა საზღვაო გზა სამხრეთ აფრიკაში და დაარსა ოქროს მომპოვებელი საბადოები, რომლებიც დღე-საც ფუნქციონირებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. სახ-ელგანთქმული „დე ბირსის“ ალმასისა და ოქროს მომპოვებელი კომპანიის სადირექტორო საბჭოს ნახევარი ჰიბრიდებით არის დაკომპლექტებული.

360.000 წლის წინათ ანუნაკელებმა-ნეფილიმებმა დაარსეს კიდევ ერთი დასახლება შად-თიბირა, როგორც თავიანთი მეტა-ლურგიული ფილტრაციის ცენტრი და რაკეტების გასაშვები პლატფორმა საპპარი, რომელიც როგორც ჩიტების ქალაქი ისე ითარგმნება. საპპარის შემცვლელი ცენტრი იყო ლიბანში არსე-ბული ბაალბეკის კოსმოსური სადგური რომელიც მართკუთხედა ლოდებისგან აშენდა მისი რამდენიმე ქვა ორ ტონას იწონის.

ნებირუელებმა ასევე ააშენეს შურუპაკი, როგორც მთავარი სამედიცინო ცენტრი და წმინდა ქალაქი ურუკი.

300.000 წლის ან დაახლოებით ასე, კოლონისტებს შორის კიდევ ერთი ამბოხება მოხდა. ამან მინიმუმამდე შეამცირა მინერალური რესურსების ათვისების მარაგი ქმედების კოეფიციენტი. წარ-მოიშვა მუშახელის დეფიციტი. ანუნაკელების ლიდერებმა ენკიმ და ნიმბარსაგმა გადაწყვიტეს შეექმნათ მუშების რასა, რომლებიც გენეტიკურად მანიპულირებულ იქნენ დედამიწაზე არსებულ ცხოველებთან. შედეგად შეიქმნა „პრიმიტიული მუშათა“ კლასი – „ჰომო საფიენსი“.

250.000 წლის წინათ „ჰომო საფიენსი“ გამრავლდა. ისინი ნიბურუელ-ნეფილიმებს „ღმერთის შვილებს“ უწოდებდნენ. საბო-ლოოდ დედამიწის ხელმძღვანელობა გადაეცა ჰუმანოიდებს, ხოლო ანუნაკელები კი დროებით გვერდზე გადგნენ.

200.000 წლის წინათ ახალი გამყინვარების დროს ცხოვრების პირობები ფრიად გაუარესდა.

100.000 წლის წინ კი ბუნება კვლავ დათმა. „ღმერთის შვილებმა“ „ჰომო საფიენსის“ ქალიშვილები, ცოლებად წაიყვანეს და ასე წარმოიშვა ჰიბრიდული ადამიანების ჯიში დედამიწაზე.

ამრიგად, ნეფილიმები ისტორიაში ცნობილნი არიან სხვადასხვა სახელებით: ანუნაკელები ან ანუკაკი, ნიბირუელები, გიგანტები, მეთვალყურეები, ასტრონომები, გრეგორები და მრავალი სხვა. წარმოშობით ისინი პლანეტა ნიბირუდან არიან, ხოლო დედამიწაზე ზოგჯერ მათ ღმერთის სტატუსი ჰქონდათ.

38.000 წლის წინათ უმკაცრესმა კლიმატმა კაცობრიობა გაანადგურა. ნეანდერტალელი, ერთ-ერთი ჰიბრიდული რასა გაქრა. მხოლოდ კრომაგნონელები გადარჩნენ.

13.000 წელი ქრისტეს დაბადებამდე არის ქვაკუთხედი კაცობრიობის ისტორიისა. წარღვნამ გადარეცხა დედამიწა.

ზოგიერთი მკვლევარი, განსაკუთრებით ორთოდოქსალური ეკლესიის მყუდრო საყდრებიდან ფიქრობენ, რომ წარღვნა დედამიწაზე არ იყო დიდი, რომ ე. წ. ნოეს კიდობანი იყო მხოლოდ მდინარე ევფრატზე მოცურავე დიდი კომერციული ბარჟა, რომ ნოე იყო შუმერული ქალაქის შურუპაკის მეფე და წარღვნა მხოლოდ ექვს დღეს გაგრძელდა. ეს ასე არ არის“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა, „წყალდიდობამ ფაქტიურად, გაანადგურა მაშინდელი დედამიწა“, დაასკვნა მან.

„წყალდიდობის“ სიმპტომები ე. წ. „სამხრეთის შტორმიდან“ დაიწყო. შტორმი და წყლის ზვავი ანტარქტიკის კონტინენტზე წამოიშვა, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს მომავალში, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისა და „უკანასკნელი დროების“ დროს. ანტარქტიკიდან წამოსდული ტალღები, ინდოეთის ოკეანის გავლით მიაღწევს მესოპოტამიას. „გილგამეშის ეპოსი“ შთამბეჭდავად აღწერს დედამიწის განადგურების სურათს:

...მთვარე გაქრა.
წვიმა მძვინვარებს ღრუბლებში.
ქარი სასტიკი ხდება.
...იწყება წარღვნა.
ერთი პიროვნება ვერ ხედავს მეორეს.
ქარი ყროყინებს როგორც ველური ვირი.
სიბნელე კიდევ უფრო მუქდება;

მზე არსად სჩანს.
...შავი ღრუბლები აღიმართება ჰორიზონტზე;
როდესაც ღრუბლები ერთად შეიყრებიან,
ისინი უსწრაფესად მოძრაობენ
და მათში მთებიც კი იძირება.
ექვსი დღე და ექვსი ღამე უბერავს მძვინვარე ქარი
როდესაც „სამხრეთის შტორმი“ გადარეცხავს დედამიწას.

„გილგამეშის ეპოსი“ ასევევ გვაძლევს ინფორმაციას, რომ ვიდრე ხალხი და მიწა წყალში ჩაიძირება, მანამდე „მშრალი მიწების დამბები“ და მათი ბარიერები დაირღვევა და სანაპირო ზოლები განადგურდება. ამის შემდეგ უზარმაზარი წყლის ზვირთი შეიჭრება მესოპოტამიაში.

ბარიერებისა და დამბების არსებობა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანები და მათი ღმერთები უშვებდნენ ვარაუდს, რომ როდისმე შესაძლოა სამხრეთიდან ზვირთცემა მომხდარიყო. ისინი არ შემცდარან, მხოლოდ მათი უბედურების მასშტაბი ვერ განსაზღვრეს.

შუმერული მეფეების სიებში მითითებულია, რომ „წარღვნა მოხდა ერთ ღამეში“. სამხრეთ-აფრიკის ოქროს მაღაროები, მესოპოტამიის ქალაქები, ადმინისტრაციული საკონტროლო ცენტრი ნიპპური, კოსმოდრომი სიპპური ერთ ღამეში განადგურდა. ისინი წყალში და ტალახში ჩაიმარხნენ.

წარღვნა დიდი ტრავმა იყო არა მარტყო ადამიანებისათვის, არამედ მათი „ღმერთის შვილებისათვის“ – ნეფილიმებისათვის. დაფრინავდნენ რა თავიანთი მფრინავი „შატლებით“ განადგურებული დედამიწის თავზე, ისინი მოუთმენლად ეძებდნენ დაელოდნენ წყლის გამეჩხერებას, რათა მყარ მიწაზე დაედგათ ფეხი.

ნიფილიმები ერთიანად გადაირეცხნენ. ისინი კრიტიკულ სიტუაციაში იყვნენ. წარღვნის დროს მათი სამშობლო – პლანეტა ნიბირუ მზის სისტემის შიგნით დრეიფობდა და ჰქმნიდა საფრთხეს რომ დაეზიანებინა მზის სისტემის პლანეტების მიზიდულობის სტრუქტურები ამიტომ ნეფილიმებს საშუალება არ ჰქონდათ უკან დაბრუნებულიყვნენ. ამავე დროს მათ დედამიწაზე არსებული წარღვნის გამო არ ჰქონდათ საშუალება აქ დარჩენილიყვნენ. მართლაც რა შანსი ჰქონდა გადარჩენისა, როდესაც დედამიწაზე დაარსებული ყველა მათი ქალაქი და საწარმო და მათი მთავარი სამუშაო ძალა – კაცობრიობა მთლიანად განადგურდა?

როდესაც შეშინებულებმა, გადაქანცულებმა და მშიერმა ნიფილიმთა ჯგუფებმა დაივაკეს „ხსნის მწვერვალზე“ (არარატზე?) მათ აღმოაჩინეს რომ დედამიწაზე არსებული ყველა ადამიანი და ცხოველი არ დაღუპულა.

სასოწარკვეთილი მდებარეობის პირისპირ მდგარმა ნეფილიმებმა დროის დაუკარგავად, დაიკაპიწეს სახელოები და გაუზიარეს თავიანთი ცოდნა ცოცხლად გადარჩენილ ადამიანებს.

„...და როდესაც ხსნის სხვა საშუალება არ იყო, გიგანტებმა კვლავ მიმართეს კაცობრიობას და განავითარეს ისინი“ (ენოქი 7:3).

მათ უძველეს შუმერებს მისცეს არქიტექტურის, სოფლის მეურნეობის, ასტრონომიის ცოდნა და კულტურული მემკვიდრეობა, მაღაროებში მუშაობის, საკვებისა და მატერიალური კეთილდღეობის სანაცვლოდ.

ბიბლია მიუთითებდა, რომ სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობა, „თესლებისა და მოსავლის“ დრო დადგა წარღვნის შემდეგ.

„როდესაც მიწა კვლავ გამოჩნდა
თესვისა და მოსავლის დრო დადგა
და სიცივე და სითბო
ზაფხული და ზამთარი
დღე და ღამე
აღარ წყდებოდა“ (დაბადება 8:22)

„თესვისა და მოსავლის“ დრო ბიბლიაში აღწერილია როგორც ღმერთების საჩუქარი ნოესადმი და მისი შთამომავლობისადმი როგორც წარღვნის შემდგომი შეთანხმების ნაწილი.

მალე სიტუაცია ფრიად გაუმჯობესდა და ნეფილიმებმა შექმნეს წარღვნის შემდგომი პროცესების თანმიმდევრობა:

სოფლის მეურნეობა შეიქმნა, დაახლოებით 11.000 წელს ძველი წელთაღრიცხვით.

ნეოლითური კულტურა, შეიქმნა დაახლოებით 7500 წელს ძველი წელთაღრიცხვით.

და მოულოდნელად აღმოცენდა პირველი ცივილიზაცია ეს მოხდა 3800 წელს ძველი წელთაღრიცხვით.

ამრიგად, ფანტასტიკურად მოკლე დროში ადამიანები გახდნენ დღევანდელი ადამიანების მსგავსები. ეს მოხდა 3600 წლის ინტერვალში. ნეფილიმებმა კაცობრიობას ცოდნა გადასცეს მოზომილ დოზებში, შესაძლებელია პირადი შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდეგ.

დრო ჩქარა გაფრინდა. ადამიანები სწრაფად გამრავლდნენ და შესაძლოა ნეფილიმებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი საჭიროებენ შუამავალ ხალხს მათ და ადამიანის მასებს შორის ურთიერთობისათვის. შუამავალში იქნებოდნენ ინდივიდუალები ან ერები, რომლებიც დაისახავდნენ და გაატარებდნენ პლანეტაზე ნეფილიმების ცოდნას. ისინი იქნებოდნენ ნიფილიმების რჩეული, ღვთივდასმული, ანუ მათ მიერ დანიშნული ხალხი.

„ნეფილიმებს ძალიან მოსწონდათ ადამიანთა ქალები, რომ ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ. ისინი ცოლად წაიყვანეს... და დაიბადა ბავშვები, რომლებიც უფლის გადაწყვეტილებით, 120 წელს ცოცხლობდნენ. „ახალი თაობა ძლიერი ხალხი იყო ასაკიანებიც კი და ძალიან დაფასებულები“ (დაბადება 6:2-4).

სამხრეთ მესოპოტამიის ქალაქი ური იყო სამშობლო პირველი რჩეული ხალხის ქალდეელებისა, რომლებიც ნეფილიმებმა შექმნეს. ისინი იყვნენ პირველი ერი რომლებმაც მიიტანეს ადამიანებამდე ნეფილიმების ანუ გიგანტების ცოდნა.

შემდგომში ეს მისია დაეკისრათ ქალდეელების მოწაფე ერს ებრაელებს და ნაწილობრივ სომხებს.

ნეფილიმები ჯერ კიდევ ცხოვრობენ ჩვენს შორის. ისინი მაღლები და ჭკვიანები არიან. მათ განმანათლებლებს უწოდებენ და რაოდენობრივად მეტად ცოტანი არიან. სხვების რაოდენობა კი მეტად იზრდებოდა. ისინი გონებრივად ბნელები არიან. მათ არ შეუძლიათ მიაღწიონ გონებრივი აქტივობის მაღალ ფორმებს, რადგან შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ბნელებს ნათელი ხალხი არ უყვარს. ასე გაიყო კაცობრიობა ორ ნაწილად ნათლებად და ბნელებად.

წარღვნის შემდეგ დაარსებული პირველი ქალაქი იყო ქიში, შემდეგ მას მოყვა ური, აქადი, ბაბილონი და სხვა. ხალხმა დედამიწის სამ რეგიონში დაიწყო ცხოვრება.

ქვემო მესოპოტამიის ცივილიზაცია გახდა სამშობლო სემიტური ხალხისა.

მეორე აყვავებული ცივილიზაცია შეიქმნა ნილოსის ველზე.

მესამე გრანდიოზული ცივილიზაცია დაარსდა ინდუს ველზე, რომელიც ინდო-ევროპული ხალხის სამშობლოდ იქცა.

ნილოსისა და ინდუს ველის ცივილიზაციები არა მარტო ურთიერთკავშირში არიან, არამედ შთამომავლები არიან უფრო ძველი მესოპოტამიური ცივილიზაციისა.

უამრავი გადამკვეთი ნიშნები ამტკიცებს არა მარტო მათს ნათესაობას და ურთიერთკავშირს, არამედ მათს საერთო წარმომავლობას მე-12 პლანეტიდან.

ზოგიერთი შუმერული ტექსტები მოგვითხრობენ ნებირუელ-ნეფილიმების გრძელ საუბრებზე და თათბირზევე თავიანთ ღმერთებთან კაცობრიობის მომავლის შესახებ. ამ გრძელი თათ-ბირების შედეგად შეიქნა ოთხი რეგიონი: მესოპოტამია, ნილოსის ველი, ინდუს ველი და „წმინდა მიწა“. პირველ; სამ ტერიტორიაზე მათ „ჰომო საფიენსები“ ანუ „ადამიანები“ დაასახლეს. მეოთხე ტერიტორიაზე, ანუ „წმინდა მიწაზე“ კი მხოლოდ მათ შეეძლოთ მისვლა.

შუმერულ ტექსტებში ამ მეოთხე ტერიტორიას „ტერ-მუნ“-ი ჰქვია, რაც „რაკეტების განლაგების ადგილს“ ნიშნავს. ეს არის აკრძალული ტერიტორია, სადაც ნეფილიმებმა აღადგინეს თავიანთი კოსმოსური ბაზა. როგორც ცნობილია წინა კოსმოსური ბაზა სიპპარი რომელიც სამხრეთ მესოპოტამიაში მდებარეობდა წარღვნის შედეგად განადგურდა“.

მაგრამ სად არის ეს მიუწვდომელი მიწა, რომელსაც ციური კავშირი აქვს?“ მოულოდნელად იკითხა ლუციფერმა თავისი გრძელი მონოლოგის დასასრულს. და კვლავ გააგრძელა თხრობა:

„მესოპოტამიისა და ნილოსის ველების ცივილიზაციის ხელმძ-ღვანელი კლასი უმთავრესად ნეფილიმები იყვნენ, მაგრამ მოსახ-ლეობა „ჰომო საფიენსი“ იყო.

ამ აზრის ილუსტრაციისათვის ავღნიშნავ რომ უძველეს ეგვიპტეში ნეფილიმების სიმაღლე 5-7 მეტრი იყო. ქალებისა 3-3,7 მეტრი. ფარაონ ეჰნატონის სიმაღლე 4,5 მეტრი იყო. ფარაონ რამიზეზ (რამზეზ) III-ის 3 მეტრი, დედოფალ ნეფერტიტისა კი 3,5 მეტრი და ა. შ. მათ წაგრძელებული თავის ქალები ჰქონდათ. უამრავი უძველესი ფრესკა, და კულტურის სხვა მემკვიდრეობა ამტკიცებს ამას.

ინდუს ველის ცივილიზაციაში ხელმძღვანელი კლასისა და მოსახლეობის უმეტესობა „ჰომო საფიენსი“ იყო. ამავე დროს აქ ბევრი ჰიბრიდი ცხოვრობდა.

მეოთხე აკრძალულ რაიონში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ნეფილიმელი გიგანტები, მაგ-რამ ბოლო პერიოდში მათ საქმიანობაში გერმანელები ჩაერივნენ, რომლებმაც დაახლოებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს

მტკიცება და საქმის ჩვენება რომ ისინი არიან სპეციალური ერი და მედიატორები ნეფილიმებსა და „ჰომო საფიენსებს“ შორის, რომ ისინი იმსახურებენ განსაკუთრებული ერის სტატუსს.

მე-2 მსოფლიო ომის დროს გერმანელები შეეცადნენ ამოეხოცათ კონკურენტი ებრაელი ერი. თურქებმა, რომლებიც ასევე რჩეული ერის ტიტულის კონკურენტი ერია სომხების გენოციდი მოაწყეს. როგორც ცნობილია სომხები ქალდეველებთან და ებრაელებთან ერთად ღვთის რჩეული ერის კანდიდატია. მაგრამ ამ თავგანწირულმა აქციებმა შედეგები ვერ მოიტანა. სომხებიც, თურქებიც, ებრაელებიც და გერმანელებიც რჩეული ერების კანდიდატებად რჩებიან. ვერავინ ვერ შესძლო კონკურენტის თავიდან ჩამოცილება. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა და მას მხოლოდ უფლის ძალისხმევა გადაწყვეტს“, განაცხადა ლუციფერმა და ახლად შევსებული ღვინის თასიდან მოზრდილი ყლუპი შესვა. მას განსაკუთრებით მოსწონდა „სარკინოზული“ და „წარაფის“ ტიპის ღვინოები და ვარსკვლავეთ-სითიში ვიზიტის დროს მათი სმით გულს იჯერებდა ხოლმე.

„აქ კიდევ ერთი კანდიდატია, ქართველი ერი“, თქვა სატანამ და დაცლილი ყანწი ალფრედს გადასცა.

„გეტინბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა იოაჰიმ ფრიდრიჰ ბლუმენბახმა ქართველებს „თეთრი რასის“ შემქმნელები უწოდა, ხოლო კავკასიას კი „თეთრი რასის“ აკვანი. ქართველებს ასევე პრეტენზია აქვთ, რომ ისინი იმსახურებენ შუამავალი ერის სტატუსს ნეფილიმებსა და „ჰომო საფიენსებს“ შორის, მით უმეტეს ცნობილია, რომ ნიფილიმებმა უამრავი იბერიულ-კოლხური ბიოლოგიური მასალა გამოიყენეს „ჰომო-საფიენსის“ შესაქმნელად. დასავლეთ საქართველოში ახლაც კი ამ უბედურებების ჟამს სუფრაზე ხშირად გაისმის შეძახილები რომ ისინი უმაღლესი ერია.

ქართველების მოხრჩობა სურთ რუსებსა და სომხებს, რათა კონკურენტი ერი თავიდან მოიცილონ. ახლა ჩვენ სწორედ იმ რაიონში ვიმყოფებით, სადაც ეს დაპირისპირება მიმდინარეობს“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„მე არ მაქვს უფლება ყველა მოვლენაზე პირდაპირ ვილაპარაკო. ამის შესახებ ჩემს „ზეციურ ქრონიკებში“ ძალიან დაწვრილებით არის საუბარი, მაგრამ მოდით ფაქტებს მიუკერძოებლად შევხედოთ და მერე დასკვნები თავად გააკეთეთ.

ჩვენ გვაქვს დამტკიცებული ინფორმაცია, რომელიც დამოუკიდებელი წყაროებიდან იქნა მიღებული, რომ გერმანელებმა ანტარქტიკაში დააარსეს მრავალფუნქციური ბაზა №211 და სანაპირ ზოლს უწოდეს „Neuschvabenlend“ („ახალი შვაბიის მიწა“), მეორე მსოფლიო ომის დროს სწორედ ამ ბაზიდან მარაგდებოდა ატლანტიკასა და წყნარ ოკეანეში მოქმედი გერმანელი წყალქვეშა ნავები. ამას გარდა გერმანულმა ექსპედიციებმა გამოიკვლიეს ანტარქტიკის შიდა ნაწილები, აღმოაჩინეს მყინვარები და ყინულისაგან თავისუფალი მიწის დიდი ნაკვეთები. აქ მათ ააშენეს ბაზა თავიანთი საიდუმლო პროექტებისათვის.

ამ ამბებთან დაკავშირებით წარმოიშვება სხვა კითხვებიც:

1. სად გაქრნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ათასობით გერმანელი მეცნიერი და სამხედრო პირი?

2. სად გაქრა სწორედ მეორე მსოფლიო ომის შეწყვეტის წინ ასობით გერმანული წყალქვეშა ნავი და იმ დროის დიდი ტექნიკური მიღწევა „მესერშმიტდი-200“ თვითმფრინავი?

3. სად გაქრა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გიგანტური გერმანული წყალქვეშა ნავი, რომელმაც არგენტინის უკიდურესი სამხრეთი პორტიდან კურსი ანტარქტიკისაკენ აიღო?

4. რა არის ამოუცნობი მფრინავი ობიექტის წარმოშობის მიზეზი?

5. რა არის ანტარქტიკის კონტინენტის ყინულის სქელი ფენის ქვეშ?

6. ვინ უბრძანა გერმანელ მეცნიერ ფიქროსნებს ჩაეტარებინათ საიდუმლო ლაბორატორიული გამოკვლევები და რატომ გაჟონა ამ ცნობებმა?

7. შეხვდნენ კი გერმანელები ნეფილიმებს, რომელთა მეოთხე საიდუმლო ზონა ანტარქტიკაში იყო?

8. თუ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ რა მოხდებოდა ნეფილიმებისა და გერმანელების შეხვედრის შემთხვევაში? მოახერხებდნენ ისინი ახალი გარიგების დადებას?

9. თუ ნეფილიმებმა შექმნეს „ჰომო საფიენსი“, თავად ნეფილიმები და მათი მე-12 პლანეტა ნებირუ ვინ შექმნა? ჩვენ კი ვიცით, მაგრამ განა საჭიროა ეს ხალხმა იცოდეს?

ეს არის მცირედი კითხვები, რომელიც გვიჩნდება ჩვენ მეოთხე საიდუმლო ზონასთან დაკავშირებით?“ აღნიშნა ლუციფერმა.

„მაშასადამე, წარღვნის შემდეგ დედამიწამ არ შეწყვიტა არსებობა და დღემდე არსებობს. აქ სახლობენ ჰუმანოიდები.

მათი ნაწილი ცხოვრობს ღიად, ნაწილი კი განსაკუთრებით ნეფილიმელ-ჰუმანოიდების ნაჯვარი, დაფარულ ფორმებში. უფრო ფხიზელი ანალიზი აჩვენებს, რომ „დიდი წარღვნა“ იყო გალაქტიკური მასშტაბის სისულელე და არაპრაქტიკული მოქმედება. მან არავითარი პროგრესი არ მოიტანა. მე წარღვნის კატეგორიული მოწინააღმდეგე ვიყავი“, თქვა ლუციფერმა.

„მომდევნო მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ეს ასე იყო და თავად უფალმა აღიარა, რომ მან შეცდომა დაუშვა“, დაამატა შემდეგ.

„ხალხში მეტად პოპულარული ებრაელი ხალხის ზღაპრებისა და არაკების კრებული, რომელიც ბიბლიისა და სახარების სახელწოდებით არის ცნობილი იძლევა ინფორმაციას, რომ ნოემ როდესაც მყარ მიწას მიაღწია, პირველ რიგში საკურთხეველი ააგო და უფალს შესწირა ყველა სუფთა ცხოველი და ფრინველი. როგორც ცნობილია ნოემ წარღვნის დასაწყისში თადარიგი დაიჭირა და რამდენიმე ათასი წყვილი ფრინველი და ცხოველი კიდობანში მოათავსა და წარღვნას გადაარჩინა. ახლა გადარჩენილი ცხოველებისა და ფრინველების ნაწილი საკურთხეველზე დახოცილ იქნენ. ამაზე იტყვის მოაზროვნე ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. თუ დაღუპვას გადაარჩინე, შემდეგ რატომ დახოცე? არ შეგენანა? იმიტომ, რომ უფალს შემწვარი ხორცის სუნი მოსწონდა? დიახ, ეს ასეა და ეს ნოემ კარგად იცოდა. (დაბადება 8:20-21)

მართლაც საკურთხეველზე დახოცილი „სუფთა“ ცხოველების დახოცვითა და დამწვარი სუნით უფალი მეტად კმაყოფილი დარჩა და თქვა:

„მეტად აღარ დავწყევლი დედამიწას ადამიანის გამო, რადგან სიყრმიდანვე ბოროტებისაკენ ისწრაფვის ადამიანის გული. ასე არასოდეს გავანადგურებ ცოცხალ არსებებს“ (დაბადება 8:21).

ძალიან კარგი იქნება თუ ჩვენი ძლიერი და სათნო უფალი შეასრულებს თავის სიტყვას. მაგრამ ფაქტები გვაჩვენებს, რომ წარღვნა არ არის ერთადერთი ბოროტება, რომელიც დედამიწის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი“, თქვა ლუციფერმა.

„საქმეში ჩახედული ექსპერტებისთვის ცნობილია, რომ უფლის ჩარევამ პლანეტა ნიბირუს გეომეტრიული ტრაექტორიების ცვლილებები გამოიწვია. ამავე დროს მტკიცე ზეგავლენა მოახდინა მზის სისტემაზე და მათ შორის პლანეტა დედამიწაზე. საქმე იმაშია, რომ როგორც ადრე ავღნიშნეთ ნიბირუ გიგანტურ ელიფსურ წრეზე

მოძრაობს და პერიოდულად შედის და გადის მზის სისტემაში, ტოვებს იქ მნიშვნელოვანი განადგურების კვალს.

პირველად მოხეტიალე და უჩინარი პლანეტა ნიბირუ დედამიწას 4.7 მილიონი ან დაახლოებით ამდენი წლის წინათ შეეჯახა. ამის გამო დიდი კონტინენტი „პანგეა“ რამდენიმე ცალკე კონტინენტად: ევრაზიად, აფრიკად, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკად და შესაძლოა ავსტრალიად დაიშალა.

ზოგიერთი შუმერული ტექსტი მოგვითხრობს, რომ ნიბირუსთან ახალი შეტაკების შემდეგ დედამიწის გარშემო შეიქმნა ასტეროიდების სარტყელი, ხოლო მანამდე მშრალი დედამიწის უზარმაზარი ხეობები და ვარდნილები წყლით შეივსო.

მკვლევარები ეჭვობენ, რომ მზის სისტემაში ნიბირუს შემდგომი გამოჩენის შედეგად დედამიწაზე წარმოიშვა წარღვნის მიზეზები. ცხადია, რომ ჩვენი დიდი უფალი მანიპულირებს კოსმოსურ სივრცეში ყველა ციური სხეულის მოძრაობას. უფალს იოლად შეეძლო თავიდან აეცილებინა ნიბირუ-დედამიწის სახიფათო დაახლოება, რომელმაც დაახლოებით 13.000 წლის წინათ პლანეტების ურთიერთშორისი მიზიდულობების სიძლიერის გადახვევები გამოიწვია. მაგრამ უფალმა ეს დაახლოება თავიდან არ აიცილა, რადგან იგი თავის გეგმას მიყვებოდა, და წარღვნაც მოხდა.

მე როგორც ზეციური თათბირების მუდმივმა მონაწილემ და მისმა თავმჯდომარემ, ვიცი, რომ 2006 წლიდან 2066 წლამდე, ე. ი. 60 წლის შუალედში მზის სისტემის მე-12 პლანეტა ნიბირუ, რომელსაც ასტრონომი მეცნიერები ხშირად პლანეტა „იქს – ნიბირუს“ უწოდებენ, ერთხელ კიდევ შემოიჭრება მზის სისტემაში“, თქვა ლუციფერმა და თხრობა გააგრძელა:

„როგორც კი ნიბირუ დედამიწის სიახლოვეს გამოჩნდება ჩვენს პლანეტაზე დიდი გრავიტაციული გადახრები მოხდება, რაც კატასტროფულად სწრაფად შეცვლის ბევრ პლანეტარულ პარამეტრებს, მათ შორის წყალდიდობების, მიწისძვრების, ვულკანების ამოფრქვევების, პოლუსების ღერძის შეცვლისა და ბევრი სხვა უბედურებების ჩათვლით“.

ამ დროს მამალმა უკვე მეორედ იყივლა და ზოგიერთი მოციქული შეიშმუშნა. ეს სატანამ შენიშნა და თქვა:

„ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა ასეთი მაგალითი მოგიყვანოთ. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც მზე ზენიტშია.

ფარენგეიტით კი 92^0 სიცხეა. და უეცრად რამდენიმე გრადუსზე ჰორიზონტის ხაზის მიმართულებით მზე სწრაფად ეშვება. ისეთ სიცივეებს დაიჭერს, რომ პალტოს ჩაცმას ვერ მოასწრებ. პლანეტა ნიბირუდან წამოსული გრავიტაციული წნევა, შესაძლოა სამი დღით შეაჩერებს დედამიწის საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვას. პლანეტის ერთ ნახევარზე სამი დღე-ღამით დაბნელდება, მეორე ნახევარში კი ნათელი იქნება. მე მხოლოდ შეგახსენებთ, რომ „დაბნელების სამი დღე“ ნაწინასწარმეტყველია „გამოცხადების“ წიგნში. გეოლოგიური ან ღერძის ცვლილებების ეფექტი გამანადგურებლად იმოქმედებს ჩვენს ცივილიზაციაზე.

ასეთია რამდენიმე ფაქტი ჩემს მიერ დაწერილი „ზეციური ქრონიკებიდან“ ჩვენი წარსულისა და სავარაუდო მომავლის შესახებ“, დაასრულა იმ ღამის საუბარი ლუციფერმა თავის მიმდევარ მოწაფე-მოციქულებთან, რომელიც ვარსკვლავეთ-სითიში გაიმართა.

ამ შეხვედრბის ორგანიზებას ცნობილი მოხეტიალე და ლუციფერის საქმეების გამგებელი კავკასიაში, ალფრედ ნავიგა-ტორი აწყობდა და მის საგვარეულო სახლში იმართებოდა.

ამასობაში მამალმა მესამედ იყივლა და ეს შეხვედრაც ასე დასრულდა.

კაენის ნიშანი

ბიბლია ებრაელი ხალხის ლიტერატურული კულტურის ძეგლია. მასში აკუმულირებულია ძველი მსოფლიოს კულტურული საგანძური, მაგრამ ბიბლიის ერთ-ერთი ისტორია „ამბავი კაენსა და აბელს შორის“ არის სუფთა ებრაული ამბავი და მის შესახებ საუბრობდნენ ჩარლესტონის ყოფილი უსახლკარო, ახლა კი ლუციფერ-მეგატრონის მგზნებარე მიმდევარი ბარინგტონ რიჩარდსი და იესო ქრისტე.

ეს ამბავი მოხდა კავკასიონის მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთ სითიში ივლისის 12-ის გრილ საღამოს ალფრედ ნავიგატორის სახლში. საუბარს ესწრებოდნენ კავკასიონის დიდ ობსერვატორია „ირაყლიონის“ დირექტორი ირაყლიონ ირაყლიძე, გაეროს სპეციალური ემისარი კავკასიაში ამირანი მელია, თავადი გვარამ ჩოფიკა, ალფრედ ნავიგატორი და ლუციფერის რამდენიმე მოწმე. თავად ლუციფერი, რომელიც ამ სახლის ხშირი სტუმარი იყო ახლა „დიდი ვირთხის“ თანავარსკვლავედში იყო საქმეზე წასული. ასეთი შეხვედრები სისტემატიურად იმართებოდა ვარსკვლავეთ სითიში.

თუმც ივლისი იყო, მაგრამ ღამით საკმაოდ გრილოდა ბუხარში ტრადიციული ნელი ცეცხლი გიზგიზებდა. დარბაზის ცენტრში მდებარე მრგვალი მაგიდა, სანოვაგით იყო სავსე. მოწმეებს გვიანი ვახშამი უკვე მოესრულებინათ და საზიარო თასებიდან კი წითელ ღვინოს მიირთმევდნენ.

„ზიარება დიდი საიდუმლოებაა. ბევრმა კარგად არ იცის და ამიტომ გახსენებთ, რომ არ დაგავიწყდეთ, ჩემს სისხლს სვამთ და ჩემიანები ხდებით“, თქვა ბუხართან მდგარმა ტანმორჩილმა კოხტა იესომ, რომელსაც ასევე წითელი ღვინით სავსე თასი ეჭირა“.

იესო ამ თავყრილობაზე მეორედ მოდიოდა. იგი პირადად სატანამ მოიწვია, თუმცა ახლა იესოსთან შეხვედრა ვერ მოახერხა.

„ამავე დროს მინდა შეგახსენოთ, რომ როდესაც წითელ ღვინოს სვამთ, იგი თუმცა ჩემი სისხლია, მაგრამ ეს სიმბო-

ლური კანიბალიზმი სრულიადაც არ არის“, ხაზი გაუსვა იესომ.

„დიახ, ბატონო! როგორც თქვენ იტყვით ისე იქნება“, კვერი დაუკრეს სატანას მოციქულებმა.

„აბა თქვით, ამ ღამით რაზე გინდათ რომ ვისაუბროთ“, თქვა იესომ და ბუხრის წინ მდებარე დიდ ჯირკზე მოკალათდა.

„კაენის ამბავი გვაინტერესებს თქვენი მიმდევარი. შაკო ვასა გთხოვთ გაარკვიოთ თუ როგორ მოხდა რომ კაენმა, რომელცი ევას პირველი შვილი იყო თავისი ალალი ძმის, აბელის მკვლელობა ჩაიდინა, უფლის მიერ განიდევნა და მერე სადღაც სხვაგან ქალი ნახა, დაოჯახდა, ბავშვებიც შეეძინა და ამბობენ, ქალაქიც ააშენაო, როგორ მოხდა ეს ამბავი?“ თქვა ბარინმტონ რიჩარდსმა, რომელიც მრგვალი მაგიდიდან წამოიმართა, ამირან მელიას გვერდი აუარა და იესოს თავდახრილი მიუახლოვდა.

„ვიცნობ შაკო ვასას, ჩემი კაცია, ჭკუამახვილია“, თქვა იესომ.

„როგორც ყველა ადგილობრივი“, დაემოწმა ბარინგტონ რიჩარდსი.

„თუ საკითხს ძალიან ჩავეძიებით შეიძლება კმაყოფილი არ დარჩეთ“, თქვა იესომ.

„იმ დროს მარტო ერთი ქალი ევა იყო. კაენი იყო მისი შვილი. როგორ მოიყვანა ცოლი?“ ისევ იკითხა ბარინგტონმა. „ეს ხომ შეუძლებელია“, დააზუსტა შემდეგ.

„ის რაც ადამიანისათვის შეუძლებელია, ღმერთისათვის შესაძლებელია“, აღნიშნა იესომ და გააგრძელა:

„აბა გავიხსენოთ თუ რა ვიცით კაენის შესახებ. ადამსა და ევას ორი ძე ჰყავდათ: უფროსს კაენი ერქვა, უმცროს კი აბელი. აბელი ცხვარს მწყემსავდა, კაენი კი მიწას ამუშავებდა. შეგახსენებთ, რომ ებრაელებიც მესაქონლეები იყვნენ და ამიტომ მისი სიმპატიები აბელის მხარეს იყო.

ერთხელ კაენმა ღმერთს ტრადიციულად მსხვერპლი მიართვა – დედამიწის მცენარეთა მრავალი ნაყოფი: მსხალი,

ატამი, გარგარი, ყურძენი, ასევე ბოსტნეული, სტაფილო, ხახვი, ნიორი და მრავალი სხვა.

აბელმაც პირველშობილი ბატკნები შესწირა უფალს თავისი ფარიდან. იცით რომ მე როდესაც ჯვარს მაცვეს, ასევე შეწირული ბატკანი მიწოდეს.

ღმერთმა იაჰვემ აბელის ძღვენი მიიღო, კაენისა კი უარყო.

„რაშია საქმე? რატომ მოხდა ასე?“ დასვა კითხვა იესომ და გააგრძელა:

„ფაქტია, რომ იეჰოვას ანუ უფალს შემწვარი ხორცი და ქონი უფრო მოსწონდა, ვიდრე ბაღჩეულობა.“ კაენს გულზე ცეცხლი შემოენთო და სახეც მოეღუშა. დადიოდა კაენი ჩაფიქრებული და გაბრაზებული.

„ჩემი მშვენიერი ბოსტნეული და ხილი უფალმა არ მოიწონა. რამდენი შრომა მაქვს ჩაყრილი. მესაქონლეს შრომა კი მოიწონა. სადმე შეცდომა ხომ არ მაქვს დაშვებული? იქნებ მესაქონლეობა სჯობს მებოსტნეობას? იქნებ სჯობს პროფესია გამოვცვალო და მეჯოგე გავხდე? აბელს კონკურენციას გავუწევ და მუშაობაშიც ვაჯობებ. აბელი ხომ ზარმაცია. არაფერს აკეთებს, გარეკავს საქონელს ველზე, წამოწვება ჩეროში და ან ძინავს ან ცაში იყურება. თუ მინდორი არ მოეწონება გადარეკავს საქონელს სხვა ადგილას და ისევ ჩეროში წამოწვება. ხშირად ნათესებს მიზიანებს. რამდენს ვწვალობ, გამთენიიდან დაბნელებამდე ვმუშაობ, აბელი კი ბოსტნებს მიჩანაგებს და ვერაფერს ვეუბნები, ძმა არის, უფალი კი მის საჩუქარს იღებს, ჩემსას კი არა. რაღაც გამოსავალი უნდა მოვნახო. ასეთი უსამართლობა უნდა აღიკვეთოს“, ფიქრობდა კაენი.

უფალმა შეატყო, რომ კაენი ჩაფიქრებული დადიოდა. უფალს ეს მოეწონა. უფლის ერთ-ერთი მიზანი იყო, რომ მისი ქმნილება ადამიანი მოაზროვნე ყოფილიყო. კაენიც გამოსავლის ძიებაში იყო. აბელი კი ჩეროში იყო წამოწოლილი. მას თავი ქუდში ჰქონდა. უფალი მას მფარველობდა, ფიქრი არ სჭირდებოდა.

„რატომ აენთე რისხვით და რატომ მოგეღუშა სახე?“ ჰკითხა უფალმა კაენს.

კაენი აბელის ძროხების მიერ გადანგრეულ ღობეს აკეთებდა და გავერანებულ ბოსტანს შეჰყურებდა.

„უფალო! არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ ძალიან შეწუხებული ვარ აბელის საქციელით. მისი საქონელი მოსავლის 65 პროცენტს მინადგურებს. მე 30 პროცენტს ვყაბულდები, თქვენ კი 5 პროცენტს მწირავთ. ჩემს ძმას აბელს დანაკარგი არ აქვს. იგი თავისი საქონლის 95 პროცენტს თავისთვის იყენებს, თქვენ ასევე 5 პროცენტს გწირავთ. გამოდის, რომ აბელს სამჯერ უფრო ეფექტური შედეგი აქვს. იგი 90 პროცენტს იყენებს ჩემს 30 პროცენტის საწინააღმდეგოდ. თქვენ კი მის საქციელს იწონებთ და აქებებთ მას. ჩემს შეწირულობას კი არ იღებთ. აი ნახეთ, უფალო, როგორი ბროწეული მოვიყვანე, თქვენ იგი არ მიიღეთ, არ გასინჯეთ გემოთი და მოიწონეთ აბელის ძროხის შემწვარი ბარკალი, ამიტომ ვარ ძალიან აღელვებული და შეურაცხყოფილი“, თქვა კაენის სიტყვები იესომ.

„თუ კარგს გააკეთებ განა არ მიგიღებ? მაგრამ თუ არ გააკეთებ კარგს, ცოდვაა. იგი ჩასაფრებულია კართან და შენსკენ ისწრაფვის, იბატონებ მასზე?!“ (დაბადება 4:7).

„თუ აბელი თავს დამანებებს და საქონლით ვენახს არ გამიფუჭებს შემდეგ წელიწადს ღვინოს მოგართმევთ და იქნებ ჩემი შემოწირულობა ერთი წლის შემდეგ მაინც მიიღოთ და გული გამიხაროთ“, თქვა კაენმა.

„ვინ იცის, ვინ იცის“, თქვა უფალმა და ზეცაში, თავის სასახლეში გაეშურა.

„ასეთი იყო ვითარება სანამ მკვლელობა მოხდებოდა“, თქვა იესომ და მრგვალი მაგიდიდან წითელი ღვინო თასში ჩამოასხა, თან ეჩმიაძინის დოლმა და მცხეთის ღვეზელები ლანგარზე გადაიღო. მსახური იქვე იდგა, მაგრამ იესოს ხელის შეშლას ვერ ბედავდა.

„მიყვარს ჩემს თავს თავად მოვემსახურო, ასე უფრო გემრიელია“, უთხრა იესომ უხერხულად იქვე მდგარ ახალგაზრდა მსახურს. „აი სჯობს იმ კაცს მოემსახურო“, დასძინა იესომ და კუთხეში წყნარად მოსაუბრე ამირან მელიაზე მიუთითა,

რომელიც ალფრედ ნავიგატორს ესაუბრებოდა. მსახურიც ამირანისაკენ გაეშურა და შემწვარი ზუთხი ლანგრით მიართვა.

„ახლა ვნახოთ რას აკეთებს აბელი“, თქვა იესომ, როდესაც ჩანგლით და ლანგრით ხელში ბუხართან დაბრუნდა“. მის თავზე ღრუბლები იქუფრება, მაგრამ იგი ამას ვერ გრძნობს. მე მესაქონლე ვარ! ფიქრობს აბელი, უფალს ვუყვარვარ, ჩემს ძმას კი ახლოს არ იკარებს. ე. ი. სწორ გზაზე ვდგევარ. მამაჩემი ადამიც ამ აზრზეა. იგი ხორცს მეტს სჭამს, ვიდრე ბოსტნეულს. ამბობენ, როდესაც იგი დედაჩემთან ერთად ედემის ბაღში ცხოვრობდა, მხოლოდ ხილს და ბოსტნეულს ჭამდა, მაგრამ როდესაც სამოთხიდან განდევნეს მხოლოდ ხორცს სჭამს. კაენის ხილს არც კი ეკარება. საერთოდ რა საჭიროა ხილი და ბოსტნეული. ხორცში და ქონში მეტი ძალაა, ბოსტნეული და ხილი მხოლოდ საქონლის საკვებად არის გამოსაყენებელი“, თქვა აბელმა და უზარმაზარი კოლტების ჯოგი კაენის სახნავ-სათეს მიწებისაკენ დასძრა. აბელი დარწმუნებული იყო, რომ უფალი მის მხარეზე იყო და კაენის ნათესები სრულად გაანადგურა.

მომდევნო დილას ადრიანად კაენმა უთხრა აბელს:

„წამო მინდორში წავიდეთ... (დაბადება 4:8). მინდა რაღაც მნიშვნელოვანი გაჩვენო. ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება“.

ძმები მინდორში გავიდნენ და აოხრებულ ყანებს გადახედეს.

„ხედავ რამხელა ზარალი მომაყენე?“ თქვა კაენმა და აბელს მიუახლოვდა.

„ყველაფერი უფლის ნებაა“, თქვა აბელმა და ჩაიცინა, „ჩემი საქონელი გუშინ ღამით კარგად დანაყრდა“, დასძინა აბელმა, კაენს თვალი ჩაუკრა და წასასვლელად შეტრიალდა.

„დე იყოს უფლის ნება“, თქვა კაენმა, დაჰკრა აბელს თოხი თავში და სული გააფრთხობინა. მერე მოჰკიდა ხელი ფეხებში და მისი საქონლის ბაგებში აიტანა და იქ დატოვა. გვერდებზე საქონლის განავალი მიულაგა და ზემოდან ფოთლები და საქონლის საკვები ისე დაალაგა, რომ ღორები ჭამას რომ დაიწყებდნენ მის პატრონსაც ზედ მიაყოლებდნენ.

კაენმა ძმა მოკლა იმ დროს, როდესაც დედამიწაზე მხოლოდ ოთხი ადამიანი ცხოვრობდა. ორი ადამიანი უფლის მიერ იყო გაკეთებული ადამი და ევა. ხოლო კაენი და აბელი მათი შვილები იყვნენ. ახლა აბელი აღარ იყო და კაენი დიდი რისხვის ქვეშ იყო მკვლელობისათვის. მას პასუხი უნდა ეგო. კაენი უკვე გრძნობდა, რომ რაღაც გამოუსწორებელი და საშინელი საქმე ჩაიდინა. უფლის ქმნილება მოჰკლა. ჩაერია და არია უფლის გეგმა, რაზედაც პასუხი მოეთხოვებოდა.

იეჰოვა-უფალმა თავად იხილა კაენის საშინელი დანაშაული. ელოდა უფალი რომ კაენი ასეთ საშინელ საქმეს ჩაიდენდა?“ იკითხა იესომ და ბარინგტონ რიჩარდს შეხედა, რომელიც ფართოდ გახელილი თვალებით იესოს თხრობას უსმენდა. „რა თქმა უნდა, უფალი ელოდა ამას. მან ხომ ადამიანებს „თავისუფალი არჩევანის“ უფლება მისცა. ამავე დროს უფალს იმედი ჰქონდა, რომ კაენი დასძლევდა შინაგან რისხვას, უსამართლობის გრძნობას, რომელიც უფალმა მასში შესაძლოა შეგნებულად გააღვივა, რადგან კაენს შემდეგი გამოცდისათვის ამზადებდა. მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა.

ცოტა ხნის შემდეგ იეჰოვამ ჰკითხა კაენს:

„სად არის შენი ძმა აბელი?“

როგორც სჩანს, უფალს, რომელმაც უკვე ყველაფერი იცოდა, აინტერესებდა თუ რას იტყოდა კაენი. შეიგრძნო მან დანაშაული თუ სიამაყის გრძნობა იმძლავრებდა მასში. თანაც ეს ისეთი კითხვა იყო, რომელსაც შეეძლო შეეცვალა ყველაფერი. „იესომ მცხეთის ღვეზელები მოამთავრა და ცარიელი ლანგარი პატარა მაგიდაზე შემოსდო, რომელიც მიახლოებულმა მსახურმა მაშინვე ხელში აიტაცა და სამზარეულოში გააქანა.

„კაენს რომ ეპასუხა, უფალო შევცოდე, ისეთმა რისხვამ ამიტანა, აბელმა ისე დამამცირა და დამცინავად მომექცა, თანაც თქვენი მაღალი ავტორიტეტი მოიშველია, რომ თავი ველარ შევიკავე და ეგ უსაქმური, ზარმაცი მესაქონლე მოვკალი. ვგრძნობ, რომ თქვენი ნდობა ვერ გავამართლე და ახლა მზად ვარ პასუხი სრულად ვაგო. ან ამისდამგვარი რომ

ეთქვა უფალს შეეძლო შეერბილებინა ან პირიქით გაემკაცრებინა თავისი განაჩენი, ბოლოს და ბოლოს, კაენ-აბელის ბრძოლა მესაქონლეებისა და მევენახეების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის დასაწყისი იყო, მაგრამ კაენმა კიდევ ერთი საშინელი დანაშაული ჩაიდინა. მან დანაშაულს დანაშაული დაუმატა და იცრუა. უფლის კითხვაზე თუ სად იყო აბელი კაენმა მიუგო:

„მე რა ვიცი. ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ?“

ამას ამბობდა კაცი, რომელიც იყო რანგით მესამე ადამიანი, ადამისა და ევას პირველი შვილი, რომელმაც ახლახან რანგით უფლის მეოთხე ქმნილება, აბელი ვერაგულად მოკლა, თან ცრუობდა არაფერი არ ვიციო. ყველაზე დიდი უტიფრობა ის იყო, რომ კაენმა ეს ტყუილი უფალს აკადრა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო უფლის წინააღმდეგ ჩადენილი პირველი დიდი უტიფრობა, უტაქტობა და ფაქტიურად, უფლის წინააღმდეგ გალაშქრება.

ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა იყო ლოლიტას ინციდენტი, მაგრამ იგი ასეთი ვერაგული ხასიათის არ იყო. შემდეგ იქნება მეფე ნიმროდის ჯანყი, ბაბილონის კოშკის მშენებლობის დროს. ანგელოზებიდან სატანა, რომელიც უფლის წინააღმდეგ გამოწვევას გააკეთებს ან მომავალში გააკეთებს, მაგრამ კაენი იყო ადამიანებს შორის უფლის პირველი მოჯანყე.

„ეს რა ჩაიდინე? ყური დაუგდე, შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს“. ღმერთმა შერისხა კაენი და ამცნო:

„დაწყევლილი და განდევნილი ხარ ამ მიწიდან, რომელმაც გახსნა პირი, რომ შენი ხელიდან შენი ძმის სისხლი გიგღო. დაამუშავებ მიწას ის კი ნაყოფს არ მოგცემს. დედამიწაზე იხეტიალებ და უკუნით უკუნისამდე განდევნილი ყარიბი იქნები“.

მაშინ კაენმა კვლავ შეჰბედა იეჰოვას და პრეტენზია გამოთქვა:

„ჩემი დანაშულის სასჯელი მეტისმეტად ძნელი სატარებელია“. როგორც სჩანს კაენს უკეთესის იმედი ჰქონდა. რატომ?“ კაენმა შემდეგ დააზუსტა თავისი პრეტენზია:

„აჰა, მაძევებ დღეს ამ მიწიდან და დამალული ვიქნები შენის სახიდან“. დედამიწაზე ვიხეტიალებ, დევნილი ვიქნები და ნებისმიერი შემხვედრი მომკლავს“.

შეიძლება კაენი უფალს მიანიშნებდა, „რაღაც გაძევებ თუ ყველას შეუძლია მომკლას. ბარემ აქვე მომკალი. ეს რომ მომხდარიყო კაცობრიობა ადამისა და ევას შთამომავლობის გარეშე დარჩენოდა, როგორც სჩანს ეს არ შედიოდა უფლის გეგმაში და მან თქვა:

„ნებისმერის ვინც კაენს მოკლავს შვიდჯერ მიეზღვება“.

ეს დიდი გარანტია იყო კაენისათვის შეიძლება ითქვას, რომ ეს გარანტია კაენმა უფალს თავისი გაბედულების ფასად დასტყუა.

ამგვარად, იეჰოვამ კაენს ნიშანი დაადო. ეს უფლის ბეჭედი იყო. ხელშეუხებლობის გარანტია, რომ არც ერთი შემხვედრი კაენს არ მოჰკლავდა. სავარაუდოა, რომ იეჰოვა-ღმერთს თავისი გეგმები ჰქონდა კაენის მისამართით. შესაძლოა კაენს მომავალში დიდი საქმეები გაეკეთებინა. იგი არ იყო უსაქმური. კაენი დინამიური კაცი იყო. მას ყველაფრის გაკეთება შეეძლო, მათ შორის თავის დაცვაც. მან საკუთარ ძმას არ აპატია ვენახის გაპარტახება. იგი მამაცი კაცი იყო. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი უფალს როგორც ტოლი-ტოლს ისე ელაპარაკა. კაენი ქედმოუხრელი და ამაყი იყო. შეეძლო აბელს უფალი მის მხარეზე რომ არ ყოფილიყო კაენთან გატოლება? კაენი საკუთარი სიმართლის დასაცავად უფლის წინააღმდეგ წავიდა. ცხადია, ასეთი თვისებების მქონე ადამიანის დაკარგვა უფლის გეგმებში არ შედიოდა, რაც შემდგომმა მოვლენებმა ცხადად აჩვენეს. კაენი მოხეტიალე ყარიბი გახდა. მერე დაოჯახდა და მევენახედან მშენებელ-ინჟინრად იქცა. მან დიდი ქალაქების მშენებლობა დაიწყო და ახალ საიდუმლო რასას ჩაუყარა საფუძველი.

მაშასადამე კაენი გაეცალა შეჩვეულ გარემოს, უფალს და დასახლდა „ნაიდის“ ქვეყანაში ედემის ბაღის აღმოსავლეთით. სად იყო ნაიდის ქვეყანა?“ იკითხა იესომ და თავადვე დასძინა, „თუ ვივარაუდებთ, რომ ედემის ბაღი კა-

ვკასიაში, საქართველოში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობდა და ამის სერიოზული საფუძველი გვაქვს ასე ვიფიქროთ, მაშინ „ნაიდის“ ქვეყანა იარსებებდა კოლხეთის აღმოსავლეთით, ცენტრალურ ან აღმოსავლურ კავკასიაში, სადაც მოგვიანებით იბერიისა და ალბანეთის სახელმწიფოები წარმოიშვნენ. ამ რაიონებში კაენმა დაიწყო მიწათმოქმედება, მაგრამ როგორც უფალმა ბრძანა მიწა ნაყოფს არ მოგცემსო. კაენმა საქმიანობა შეცვალა და მშენებელი ინჟინერი გახდა. მან ქალაქების მშენებლობა დაიწყო. რომელი ქალაქებია ეს? ეჭვს გარეშეა, რომ ერთ-ერთი ქალაქი დარუბანდი ანუ დღევანდელი დერბენტი იქნებოდა. დერბენტი შესაძლოა კავკასიის უძველესი ქალაქია.

ნაიდის ქვეყანაში დასახლებული კაენი დაოჯახებას გადაწყვეტს და ცოლად მოჰყავს ევა. კაენის დედასაც ევა ერქვა. რატომ არის ასეთი დამთხვევა? ხომ არ იყო კაენის დედა ევა, რომელსაც კაენმა მესაქონლე შვილი აბელი მოუკლა და კაენის ცოლი ევა, რომელიც ნაიდის ქვეყანაში მოიყვანა ერთი და იგივე პიროვნება? როგორ მოხდა ეს? საიდან ნახა კაენმა ქალი, როდესაც უფალს გაკეთებული ჰქონდა სულ ორადორი ადამიანი?

მოდით უფრო ზუსტები ვიყოთ და ვთქვათ, რომ უფალმა პირველად ადამი და შემდეგ მისი პირველი ცოლი ლოლიტა გააკეთა. შემდეგ სექსუალური პრობლემების გამო ლოლიტა ადამს გაექცა, მანამდე მიირთვა ვაშლი და ბროწეული, აკრძალული ხილი და გახდა ყოვლისმცოდნე და უკვდავი. ლოლიტამ აღარ მოისურვა გაგრია ადამთან დარჩენა, გადააფრინდა ედემის ბაღის გალავანს და წითელი ზღვის რაიონში გაფრინდა, სადაც დემონებს დაუკავშირდა და ბოლოს სატანას ცოლი გახდა. ლოლიტა არ დაემორჩილა უფლის ბრძანებას ადამთან დაბრუნებულიყო, მოთაფლა უფალი ტკბილი სიტყვებით და მისი ფავორიტიც კი გახდა. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი განქორწინება.

უცოლოდ დარჩენილ ადამს უფალმა მეორე ცოლი გაუკეთა, მაგრამ აქ ერთი სერიოზული შეცდომა იქნა დაშვებული.

უფალმა მეორე ცოლი, რომელსაც ევა უწოდეს ადამის თვალწინ გაკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ ევა ულამაზესი ქმნილება იყო, იმის გამო, რომ იგი მის თვალწინ შეიქმნა, ადამი ვერ ასქესდა. უფალი მიხვდა თავის შეცდომას, რომ ევა ადამის თვალწინ არ უნდა გაეკეთებინა და თავის მარჯვენა ხელს სატანას უბრძანა ევა, ანუ ადამის მეორე ცოლი გაენადგურებინა.

სატანამ ევა არ გაანადგურა, რადგან იგი მეტად ლამაზი ქმნილება იყო და ევა თავის ცოლად წაიყვანა. ამრიგად, სატანამ ადამის პირველი ცოლი ლოლიტა და მეორე ცოლიც ევაც თავის ცოლებად აქცია, რაც ფრიად დამაფიქრებელია". თქვა იესომ და გააგრძელა:

„ამის შემდგომ, უფალმა ადამს მესამე ცოლი გაუკეთა, რომელსაც კვლავ ევა ეწოდა. იგი ადამის ნეკნიდან შეიქმნა. ევასგან დაიბადნენ კაენი და აბელი. ახლა კაენი ნაიდის ქვეყანაშია გახიზნული როგორც დევნილი ყარიბი და ცოლად ყავს ევა. მაშ ვინ არის ეს ევა? აქ არის ორი ვერსიაა:

პირველი: ევა, რომელიც კაენის ცოლის მოვალეობას ასრულებს არის დედამისი ევა. მაგრამ ევა ჯერჯერობით ადამის ცოლია და კიდევ ბევრ ასულსა და ძეს დაბადებს. მოკლედ, ევა დაკავებულია. თუმცა ევა კაენის, ანუ თავისი შვილის ცოლიც რომ გამხდარიყო, ამაში არაფერი გასაკვირი არ იყო. ასეთი შემთხვევები ბიბლიაში და ძველ დროში მრავლად გვხვდებოდა. მაგალითად, საქმეს რომ დასჭირდა ბაბილონის კოშკის ცნობილმა მშენებელმა ნიმროდმა დედამისი ცოლად მოიყვანა. სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოსიც" ამასვე მოგვითხრობს. აქედან მოდის ცნობილი „ოიდიპოსის" კომპლექსი.

მეორე: კაენის ცოლი ევა არის ადამის მეორე ცოლი ევა, რომელიც სატანამ უფლის ბრძანების საწინააღმდეგოდ არ გაანადგურა და ეს ულამაზესი ქერა თმიანი არსება სატანას თანხმობით და ინიციატივით კაენის ცოლი გახდა. აღსანიშნავია, რომ კაენამდე მეორე ევას მამაკაცის ხელი არ შეხებია, რადგან ადამს მასზე არ აუდგა, ხოლო სატანამ რაღაც მოსაზრებით თითი არ დააკარა, მან მხოლოდ სიკვდილს გადაარჩინა ევა.

ევამ შვა ენოქი. კაენმა ქალაქის მშენებლობა დაიწყო და მას ენოქი უწოდა, თავისი შვილის სახელი. სად არის ეს ქალაქი? შეიძლება იგი შუამდინარეთის ცნობილი ქალაქი ურუქია, შეიძლება კავკასიის ქალაქები დერბენტი ან ურეკი, ვინ იცის.

მოგვიანებით ენოქს შეეძინა ირადი,

ირადს შეეძინა მეხუალელი,

მეხუალელს შეეძინა მეთუშაელი,

მეთუშაელს შეეძინა ლამექი.

ყველა ამ შემთხვევაში ენოქისა და მისი შთამომავალი ვაჟების ცოლების მოვალეობას ასრულებდნენ ან მათი დედა ევა ან მათი დები. და ეს ბუნებრივია. როდესაც ახალი ერი იქმნება დასაწყისში მშობლები და და-ძმები ერთმანეთში ცხოვრობენ და მრავლდებიან. შემდეგ კი შემოდის კანონი, რომელიც ზღუდავს და-ძმებისა და მშობლების ქორწინებებს, შემდეგ ეს წესი ბიძაშვილებზე გადადის და ასე შემდეგ. ბოლოს სიკვდილის დასჯის წესით იკრძალება დედამამიშვილებს შორის სექსი და მშობლებთან კავშირი. ამის შემდეგ ახლად შემქნილი ერი სწრაფად მრავლდება ახლო სექსკავშირის გარეშე.

ლამექს ორი ცოლი ჰყავდა. ერთ-ერთ მათგანს ადა ერქვა. მისგან დაიბადა ვაჟიშვილი იაბალი. იაბალისგან წამოვიდნენ კარვებში მცხოვრები მესაქონლეები. იაბალის ძმას ერქვა იობალი. იგი გახდა მამამთავარი მუსიკოსებისა, სალამურზე და ბარბითზე რომ უკრავენ და მექნარეებისა. ლამექის მეორე ცოლს ცილა ერქვა, რომელსაც ხშირად ცირას ეძახდნენ.

ცილას შეეძინა თუბალ-კაენი. იგი იყო ხელმარჯვე ოსტატი, რვალისა და რკინის მჭედელი, სპილენძისა და რკინის იარაღის გამკეთებლები. თუბალ-კაენი და მისი მემკვიდრეები თუბალები და მოშხები დღევანდელი ქართველების წინაპრები იყვნენ. მათ რუსთავში დღემდე აქვთ ფოლადის სადნობი მარტენები, მაგრამ ისინი მუშაობენ თუ არა, არ ვიცი, თქვა იესომ და დასძინა: „თუბალ-კაენის დას ერქვა ნაამა. ნამექმა თავის ცოლებს ასეთად შექმნილ-შეთხზული სიტყვებით მიმართა:

„ისმინეთ ჩემი ხმა ლამექის ცოლებო.
ყური უგდეთ ჩემს ნათქვამს:
კაცი მოვკალი რომელმაც დამჭრა
თუ კაენისათვის შვიდჯერ მიეზღვება.
ლამექისათვის შვიდჯერ და
კიდევ სამოცდაათჯერ“.

ე. ი. ლამექის აზრით, იგი კაენთან შედარებით უფრო დაცულია, თითქოს ღმერთს პირად დაცვაში ჰყავს კაენის შთამომავლები და მათ შიში არაფრის არ უნდა ჰქონდეთ.

მართლაც დღეს, კაენის პირდაპირ შთამომავლებს ქართველებს უფლის შიში და რიდი არ აქვთ. ისინი ჩემი, ანუ იესო ქრისტეს სახელით მატყუარობენ და ცრუპენტელობენ. მხოლოდ აქ, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით შემორჩენილი აქვთ ნამუსი. დანარჩენ ქვეყანაში სიტუაცია სავალალოა. ეს კი პირდაპირი გზა არის, რომ საქმე-საქმეზე რომ მივა, სამოცდაათჯერ და შვიდჯერ კი არა, ალბათ უფალი ქართველებს ერთხელაც კი არ დაიცავს“, დაასრულა თავისი ახსნა-განმარტებითი საუბარი იესო ქრისტემ და იქვე მდგომ ბარი რიჩარდს ხელი მაგრად ჩამოართვა, უსურვა მას იამაიკის დედაქალაქ ქინგსტონის უნივერსიტეტში დროულად დაბრუნება, მაწანწალობისთვის თავის დანებება და თავის ადრინდელ პოსტზე მათემატიკის პროფესორის თანამდებობის აღდგენა.

„თუ მისი უმაღლესობა სატანა არ გეხმარება, მე დაგეხმარები“, უთხრა ბარის იესომ, ჩაიღიმა და ალფრედ ნავიგატორს მიუბრუნდა:

„ვიცი მითხარით, რომ „დიდი ვირთხის თანავარსკვლავეთისკენ“ გაემართაო, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც მიზეზის გამო ბეთლემის გამოქვაბულის აღმოსავლეთით მდებარე ე. წ. „ამირანის ქოხში“ წავიდა. შეიძლება თავის დროზე იქ იყო მიჯაჭვული ან მომავალში მიაჯაჭვებენ, ვინ იცის. თუ გინდა ერთად გავისეირნოთ მაღლა. იქ უდაბნოა... ირგვლივ ყინულის ნაპრალებიანი კედლები და კოშკებია. ისმის წყლის ჩუხჩუხი და ყინულვარდნის გუგუნი. იქ ყინულის ტაფობია, იმას რომ გადავივლით ბეთლემის საზღვრები

დაიწყება. იქ არის მყინვარების ღორღიანი მორენა. მცენარეები უკვე აღარ არის, ეს არის ნამდვილი უდაბნო და უფლის განსაკუთრებული ადგილია. წამოიყვანე თუ გინდა შენი მეგობარიც ამირანი მელია, შესაძლოა იგი იმ ამირანის, მიჯაჭვული ამირანის ჩამომავალია, ვინ იცის. მოვინახულოთ ბეთლემის ყოვლად წმინდა და შემდეგ თუ გინდა კვირეის ყოჩი ვნახოთ“.

ალფრედი გაშრა. ასეთ სიტყვას იესოსგან არ ელოდა. თანხმობა განაცხადა.

„წავედით ალფრედ, ნუღარ ვყოვნდებით, ბეთლემის წმინდა გივარგიც ვნახოთ და მერე „პანამირანიუმიც“ მოვინახულოთ“. თქვა იესომ და კარისაკენ გაემართა.

სწორედ ამ დროს იყივლა მამალმა და მესამედ იყივლა თუ არა იესო, ალფრედი და ამირანი გერგეტის სამების აღმართს მიუყვებოდნენ.

ბაბილონის გოდოლა

წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი ხალხის შესახებ ზუსტად მხოლოდ ერთი რამ ვიცით. ისინი ფიზიკურად მეტად მაღლები და უკიდურესი ეგოისტები იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ზეცის ქვეშ ისინი ზეაადამიანები და საუკეთესოები არიან. გოლიათები თავიანთ თავში მეტად თავდაჯერებულები იყვნენ და ოჯახებით ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. იმის გამო, რომ ისინი ფიზიკურად მეტად ძლიერები იყვნენ, მათ არ ეშინოდათ ძლიერი მტაცებელი ცხოველებისაც კი და არ საჭიროებდნენ ურთიერთთანადგომას.

წარღვნამდელი ხალხი ე. წ. მეთვალყურე-ასტრონომი ანგელოზებისა და დედამიწის ქალიშვილების ნაჯვარნი იყვნენ. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გიგანტები და ადამიანები გვერდი-გვერდით ცხოვრობდნენ, მაგრამ გოლიათებს ფიზიკური და გონებრივი უპირატესობა ჰქონდათ.

ორასამდე მეთვალყურე-ასტრონომი ანგელოზი ფაქტიურად ძილის გარეშე ცხოვრობდნენ. ისინი მსუბუქად ეწინააღმდეგებოდნენ უფალს, რადგან რომანტიკული კავშირი ჰქონდათ დედამიწელ ქალებთან. ამ ურთიერთკავშირის შედეგად წარმოიშვა განათლებულ გოლიათთა რასა. მათ ადამიანებს ბევრი სასარგებლო რჩევა მისცეს. კერძოდ, დაეხმარნენ ცეცხლის მოპოვებაში და მეტალურგიის განვითარებაში.

სწორედ ამ დროს ეკუთვნის ქართველთა გოლიათი გმირი ამირანი, რომლის დედა დალი ქალღმერთი იყო, ამირანმა ბევრი კარგი გააკეთა ხალხისთვის, საბოლოოდ კი უფალს შეერკინა და დამარცხდა. იგი დღემდე კავკასიაში, ბეთლემის გამოქვაბულის რაიონში ე. წ. „ამირანის ქოხშია“ დატყვევებული.

ენოქის პირველი წიგნის მიხედვით ასტრონომი-მეთვალყურე ანგელოზთა ლიდერი არქანგელოზები აზაზელი და სემჯაზა იყვნენ პირველი წამქეზებლები, რათა ისინი წასულიყვნენ დედამიწაზე და იქაური ქალები მოეყვანათ ცოლებად. აზაზელმა ხალხს ასწავლა მეტალის ნივთების გაკეთება. ეს იყო მძივები, საყურეები, საცხვირეები, მედალიონები, სხვადასხვა სახის ბეჭდები. აზაზელმა ასევე დედამიწელ ქალებს ასწავლა გამოეყენებინათ კოსმეტიკა, წამწამების დაგრძელება და შეღებვა, სახის ტონის შემცვლელი ფხვნილის გამოყენება. საამო

სურნელების სითხით პკურება, ძვირფასი ქვების ტარება. და ბევრი სხვა.

ამას გარდა, ასტრონომმა-მეთვალყურე ანგელოზებმა ადამიანებს ასწავლეს მეტალურგიის საფუძვლები, მონუსხვის ხელოვნება, ჯადოს გატეხვა, კლიმატოლოგია, ამინდის მართვა, ღრუბლების მეცნიერება, ასტროლოგია, ასტრონომია, გეომეტრია, სოფლის მეურნეობა, ნაოსნობა და ბევრი სხვა რამ. ენოქის თანახმად, ყველა ამ ცოდნის გაზიარების ათვისების გამო ხალხი ხასიათით კიდევ უფრო ცუდი შეიქმნა.

ჰუმანოიდებმა საცხოვრებლად სამი რეგიონი შეარჩიეს: ქვემო მესოპოტამია, ნილოსის ველი და ინდოეთის ნახევარკუნძული. სწორედ ამ ადგილებში შეიქმნა პირველი ცივილიზაციები.

ზოგიერთმა გიგანტმა ფრენა იცოდა, ან იყენებდა ფრთებს ან საფრენ აპარატებს. ფაქტიურად, გოლიათები, ანუ ანგელოზებისა და ადამიანების ნაშიერნი ექსპლოატაციას უწევდნენ ადამიანებს, რათა მოეპოვებინათ და გამოეყენებინათ სასარგებლო წიაღისეული. განსაკუთრებით ეს ოქროზე ითქმის. ჩვენი დიდი უფალი ძალიან უკმაყოფილი იყო გიგანტების და ადამიანების თანამშრომლობით.

მეთვალყურე ანგელოზებიდან ხალხმა დიდი ცოდნა მიიღო, მაგრამ ამით ისინი ბედნიერნი ვერ გახდნენ. რეალურად ისინი უბედურები, შეიძლება ითქვას, საწყლები იყვნენ, ხალხმა ცოდნა შეიძინა, მაგრამ დაჰკარგეს პატიოსნება და ღირსება. ცხოვრების ყველა სიტუაციაში, იყო საჭირო თუ არა საშველად ღმერთს მოუხმობდნენ, რადგან არ იცოდნენ რა არის კარგი და რა არის ცუდი. სამწუხაროდ, ეს იყო შემთხვევა, როდესაც ზედმეტი ცოდნა ხალხისათვის მავნე იყო.

უფლის საპასუხო მოქმედების შედეგად მეთვალყურე-ასტრონომი ანგელოზების ბედი სავალალო შეიქმნა. იგივე ხვედრი ელოდა ხალხსაც. დედამიწაზე არქანგელოზი ურიელი იქნა გაგზავნილი. ურიელმა ინახულა უფლის ადამიანთა ერთადერთი პატიოსანი ოჯახის უფროსი ნოე და უთხრა, რომ მას უმოკლეს ვადაში მცურავი კიდობანი აეშენებინა.

აქ ერთი დაზუსტება უნდა გავაკეთოთ. როდესაც უფალმა კაენი თავისი ძმის მკვლელობის გამო უცხო მხარეში გააძევა, მას კაენის საბოლოო დაღუპვა არ უნდოდა და მისცა შანსი გამოსწორებისა. თუ როგორ გამოიყენა კაენმა ეს შანსი მკითხვ-

ელმა განსაჯოს, მაგრამ ადამი და ევა კი ძალიან დიდ ვაებაში ჩავარდნენ. კაენი შეიქმნა თავისი ძმის მკვლელი და ღვთისაგან დაწყევლილი, მან გაანება თავი დედ-მამას და შორეულ ადგილას დასახლდა, დარჩა უბედური დედ-მამა უნუგეშოდ, მაშინ ღმერთმა შეიცოდა ისინი და ნუგეშად მისცა მესამე შვილი სეითი, რომელიც ღვთისმოყვარე, სათნო და უწყინარი იყო.

კაენისაგან და სეითისაგან ხალხი მეტად ჩქარა გამრავლდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ მაშინ ადამიანები მეტად დღეგრძელნი და პროდუქტიულები იყვნენ. ბევრი ადამიანი 900 წელზე მეტხანს ცხოვრობდა.

სეითის შთამომავალნი იყვნენ სათნო და კეთილნი. მათ უფალი მუდამ ახსოვდათ. ასევე დიდი სიყვარული და ხათრი ჰქონდათ ერთმანეთისა, ერიდებოდნენ ბოროტ საქმეებს.

კაენის შთამომავალნი კი უფრო ბოროტებისაკენ იხრებოდნენ. მათ სრულიად დაივიწყეს ღმერთი, სძულდათ ერთმანეთი და მეტად მიწიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მათ შორის გავრცელდა შური, სიცრუე, ცილისწამება, გარყვნილება, შფოთი და მკვლელობა. ისინი აგრძელებდნენ სექსუალურ კავშირში ყოფილიყვნენ ანგელოზებთან.

თავდაპირველად სეითისა და კაენის შთამომავლები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მათ არ ჰქონდათ ერთ-ურთან მისვლა-მოსვლა, მერე დროთა განმავლობაში დაიწყეს ურთიერთკავშირი და დამოყვრება. გავრცელდა ადამიანთა ახალი ჯიში, რომლებსაც სიკეთე ნაკლები ჰქონდა ბოროტება კი სჭარბობდა. მალე სეითის შთამომავლები კაენის შთამომავლებს დაემსგავსნენ და სიბილწე გაბატონდა დედამიწაზე. სწორედ ამ დროს გამოგზავნა უფალმა დედამიწაზე არქანგელოზი ურიელი.

დედამიწაზე საქმე ისე გართულდა, რომ მაშინდელ კაცობრიობაში მხოლოდ ერთი კაცილა ერია კეთილსინდისიერი და ღვთისმოყვარე, ეს იყო ნოე, სეითის შთამომავალთაგანი, შვილისშვილის შვილი ენოქისა, რომელიც უფალმა თავისთან წაიყვანა.

როდესაც ღმერთი ასი პროცენტით დარწმუნდა, რომ მთელი კაცობრიობა გაირყვნა, გადაწყვიტა წარღვნით მისი დაღუპვა, ნოეს გარდა. ვერ ვიტყვით, რომ უფალმა ეს გადაწყვეტილება იოლად მიიღო. რა თქმა უნდა, მას ეძნელებოდა თავისი ქმნილებების ასე სასტიკად დასჯა. ამიტომ უფალმა გადაწყვიტა, რომ ხალხი ნოეს, როგორც უპატიოსნესი კაცის შუამავლობით, მოექ-

ცია ისინი კეთილ გზაზე ნოეს პირით უფალმა ხალხს გამოუცხადა: ას ოცი წელიწადი კიდევ ვუცდი თქვენს კარგად მოქცევასო, და თუ ამ ვადის გასვლამდის არ შეინანიებთ თქვენს ცოდვებს და არ დაადგებით კეთილ გზას, უთუოდ წარღვნით გავწყვეტ თქვენს სახსენებელს დედამიწის ზურგზეო. მაგრამ ხალხმა ღვთის მუქარას ყური არ ათხოვა. ისინი უფრო უარესს სჩადიოდნენ და ალბათ ნოესაც დასცინოდნენ, მაშინ როგორც ზემოთ ავღნიშნეთ უფალმა არქანგელოზ ურიელის პირით ნოეს უბრძანა: გააკეთე შენთვის დიდი კიდობანი ფისიანი ხისა, სიგრძით 300 წერთა; შედი შიგ მთელი ოჯახით, შეიყვანე შიგ თითო წყვილი უწმინდური ცხოველებისა და შვიდ-შვიდი წყვილი წმინდა, რამეთუ მე მოვახდენ წარღვნას და მოვსპობ ადამიანთა გარყვნილ ტომს.

ნოემ შეასრულა, ღვთის ნება, გააკეთა კიდობანი, შევიდა შიგნით, ერთი ცოლითა და სამი შვილით, ცხოველებით. ამ დროს ნოე იყო 600 წლის.

უფლის ეს გადაწყვეტილება ადამიანთა და გოლიათთა რასისა და ასტრონომი ანგელოზების განადგურების გარდა ნიშნავდა დედამიწაზე დაგროვილი უზარმაზარი ცოდნის განადგურებასაც. პატრიარქმა ენობმა, რომელიც ამ დროისათვის უფლის პირადი მიწვევით უკვე ზეცაში იყო, გაბედა და სთხოვა უფალს დაენდო მეთვალყურე ასტრონომი ანგელოზები, გოლიათები და ასევე პატიოსანი ადამიანები, მაგრამ უფლის პასუხი იყო კატეგორიული არა. უმაღლესმა ღვთაებამ სერიოზულადაც კი გაკიცხა ენოქი, უთხრა, რომ იგი არის ადამიანი, მოკვდავი და არა აქვს უფლება არბიტრირება გაუკეთოს ანგელოზებს, ადამიანებს და მათ ნაშიერებს. ეს ნამდვილად მისი საქმე არ არის, ხაზი გაუსვა ჩვენმა უფალმა.

მოდით გავიხსენოთ რომ ადრე ადამმა და ევამაც დაარღვიეს უფლის ბრძანება არ გაკარებოდნენ ცოდნის ხის ნაყოფს, ოდნავ ადრე ადამის პირველმა ცოლმა ლოლიტამაც სიცოცხლის ხის ბროწეულიც კი მიირთვა და უკვდავი შეიქმნა. ასე, რომ უფალი საკმაოდ უკმაყოფილი იყო ადამიანების საქციელით და კაცობრიობას დასჯა უმიზეზოდ არ ხდებოდა. უფალმა განაცხადა კიდევაც: „აღვგვი მიწის პირიდან ადამიანებს, რომლებიც შევქმენი“. მერე უფალმა კიდევ უფრო დააზუსტა და დაამატა: „ადამიანებსაც და შინაურ ცხოველებსაც, ქვეწარმავლებსაც და ცის ფრინველებსაც; რადგან ვწუხვარ, რომ შევქმენი“ (დაბადება 6:7).

და მოხდა დიდი წარღვნა, რომელიც ხუთი თვე გაგრძელდა. ეს არის უმნიშვნელოვანესი მომენტი კაცობრიობის ისტორიაში. ყველა გათახსირებული ადამიანი, ვისაც გარყვნილი ურთიერთობა ჰქონდა ანგელოზებთან და ოჯახის წევრებთან და ცხოველებთან დაიღუპა. თავად ადამს, სანამ უფალი ცოლს შეუქმნიდა, სექსკავშირი ჰქონდა ცხოველებთან, ლომებისა და სპილოების ჩათვლით ასე რომ ცხოველებიც ცოტათი ცოდავდნენ მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის აზრით ფრინველები მაინც შედარებით უდანაშაულონი იყვნენ.

წარღვნას მხოლოდ ნოეს ოჯახი გადაურჩა, რომლებიც კიდობანში შეეფარნენ. ნოეს კიდობანი თანამედროვე საოკეანო ლაინერის ზომის იყო.

წარღვნა დიდი ტრავმატიკული მოვლენა იყო არა მარტო კაცობრიობისათვის, არამედ გოლიათებისა და ასტრონომ-მეთვალყურე ანგელოზებისათვის. მართალია, ანგელოზებს, არასოდეს ეძინათ და ფრენაც შეეძლოთ, მაგრამ მიწაზე დაშვების საშუალებას მოკლებულები იყვნენ. მათ ასევე დაჰკარგეს შანსი გაეგრძელებინათ გარყვნილი ქმედებები ადამიან ქალებთან და ასევე გაევრცელებინათ ცოდნა.

წარღვნას გადაურჩა მხოლოდ ნოეს ოჯახი, რომელიც დაახლოებით ერთი წელი იმყოფებოდა კიდობანში, სანამ მიწა სრულად გაშრებოდა. ნოეს კიდობანი არარატის (ურარტუ) მწვერვალის ჩრდილოეთ ქედზე შეჯდა. ეს ადგილი ახლა უყურებს თანამედროვე საქართველოს, ხოლო თავად არარატი დღევანდელ თურქეთში მდებარეობს.

ნოეს სამი შვილი ჰყავდა: სემი უფროსი იყო, ქამი შუათანა და უმცროსი იყო იაფეტი. სამწუხაროდ, ქამი უმსგავსო კაცი აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ წარღვნის შემდეგ ნოემ ისწავლა ვაზის დარგვა და დააყენა ღვინო, როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს თავის „ბიბლიურ ისტორიებში“, ნოეს ღვინის ძალა გამოცდილი არ ჰქონდა, არ იცოდა რომ ღვინომ დათრობა იცოდა, ამიტომ ცოტა ჭარბად მოუვიდა დალევა. ნოე სასტიკად დათვრა, შიშველმა სიარული დაიწყო და ტიტველმა დაიძინა. ამ ყოფაში ნახა მამა მისმა შუათანა შვილმა ქამმა. იგი რატომღაც ასქესდა და მამა იხმარა, მერე გაიქცა და თავის ძმებს მოუთხრო ეს ისტორია, თან იცინოდა. სემმა და იაფეტმა ამ დაცინვაში მონაწილეობა არ მიიღეს და მამას სხეულზე ტანსაცმელი დააფარეს. როდესაც ნოემ

გაიღვიძა, შეიგრძნო და შეიტყო ქამმის უმსგავსო საქციელი და დასწყევლა იგი. ხოლო სემსა და იაფეტს კი მოუწონა საქციელი.

ის ადგილი, სადაც ნოე დაბანაკდა, ხალხის თავშეყრის ადგილად იქცა. სწორედ ამ ადგილებიდან გავრცელდა ვაზი დედამიწაზე და ამიტომაც ითვლება ვაზის სამშობლოდ საქართველო. და ეს ფაქტი უკვე ყველა ენციკლოპედიაშია დამოწმებული.

ნოესთან მრავალი ადამიანი მოდიოდა სტუმრად ან რჩევის საკითხავად. ერთ-ერთი ნოეს სტუმარი იყო ებრაელთა მამამთავარი აბრაჰამი. იგი მე-10 თაობა იყო ნოეს შემდეგ. და პირდაპირი შთამომავალი იყო სემისა. სემი გახდა ყველა სემიტი ერის პირველწყარო. როდესაც აბრაჰამი დაიბადა სემი 390 წლის იყო, ნოე კი 892 წლისა. აბრაჰამი 58 წლის იყო. როდესაც ნოე გარდაიცვალა და 110 წლისა როდესაც სემი გარდაიცვალა. აბრაჰამმა მრავალი წელი გაატარა ნოეს სახლში და ბევრი ინსტრუქცია მიიღო მისგან. ასე რომ მან პირველწყაროში შეისწავლა წარღვნის ამბები მოისმინა ისტორიები ნოეს კიდობანის აშენების შესახებ. ამავე დროს იგი პირადად იცნობდა მათუსალას, მოკლედ აბრაჰამი საქმის კურსში იყო სამყაროს შექმნის თაობაზე.

ნოეს სამივე შვილის შთამომავლების თავდაპირველად საქართველოს სამხრეთიდან, ერთი ქვეყანა ეჭირათ. ეს დაახლოებით საქართველოს სამხრეთი ტერიტორიებია, რომლებიც როგორც ავღნიშნეთ, მეღვინეობის სამშობლოდ იქცა. ეს ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა, ერთ ხალხს შეადგენდნენ, მაგრამ რადგან მეტად დღეგრძელნი იყვნენ, ამიტომ ხალხი ძალიან გამრავლდა და ერთ ადგილას ვეღარ ეტეოდნენ. წარღვნიდან დაახლოებით ხუთასი, ექვსასი წლის შემდეგ ნოეს შთამომავლები გაიშალნენ და უფრო ფართო ტერიტორიებზე დაიწყეს დასახლება.

ხალხის ახალი თაობა რომლებიც უფლის ფავორიტი ნოესგან გამოვიდნენ უკეთესები იყვნენ, ვიდრე წარღვნამდელი ხალხი, მაგრამ არა ისეთი კარგები, როგორიც უფალს სურდა. როგორც პროფესორი ლასსუტო თავის წიგნში „ნოედან აბრაჰამამდე“ მიუთითებს, რომ ხალხთა ახალი რასა, რომლებიც წარღვნის შემდეგ წარმოიშვნენ უფრო ერთიანები იყვნენ. მთელი ხალხი ერთმანეთისადმი ძმურ სიყვარულს ამჟღავნებდა. ისინი მიყვებოდნენ გაგებას, რომ „ერმა, არ უნდა აღმართოს მახვილი ვინმეს წინააღმდეგ და ასევე არ არის საჭირო, რომ ხალხმა სამხედრო ხელოვნება ისწავლოს“.

ნოეს შთამომავლების უმეტესობამ ცხოვრება დაიწყო ქვემო მესოპოტამიაში. ზეციური გადაწყვეტილებით ქალაქების მშენებლობები სწორედ ამ რაიონში დაიწყო. თანამედროვე არქეოლოგიური მიღწევები ამტკიცებენ, რომ მესოპოტამია არის სპეციფიკური რაიონი, სადაც უძველესი დროიდან განვითარდა მესაქონლეობა, მეტალურგია, არქიტექტურა, მედიცინა და ვაჭრობა. ეს იყო ადგილი, სადაც ბატონობდა ქალაქური ტიპის ცხოვრება. რაიონის სრული „ქალაქიზაცია“ იყო მიზეზი მთელი ტერიტორიის გამდიდრებისა. ხალხი მიხვდა, რომ მდიდარია ის ქვეყანა, სადაც ბევრი ქალაქია, რომ ქალაქი და ვაჭრობა აკეთებს ფულს, ხოლო სოფელში გაჭირვება და სიღარიბეა. მართლაც, დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნები ნორვეგია, შვედეთი, შეერთებული შტატები, ნიდერლანდები და ისრსელი თითქმის ასი პროცენტი ქალაქის მოსახლეობაა და სოფელი თითქმის არ აქვთ. სწორედ მესოპოტამიაში შეიქმნა „შვიდი ქალაქის მიწა“, რომელიც იყო მეფე ნიმროდის პირველი მსოფლიო იმპერიის ბეიზმენთი. აქ შეიქმნა სემიტური წარმოშობის ნახევრად დამოუკიდებელი ქალაქები: აქადია, ქალდეა, ური, ბაბილონი და სხვა. ყველა მესტოპოტამიის რეგიონში სემის ჩამომავლები იყვნენ. ქამის შთამომავლობა მოგვიანებით დასახლდა აფრიკაში და ნაწილობრივ არაბეთში, ხოლო იაფეტის შთამომავლები ცხოვრობდნენ მცირე აზიაში, ირანში, ინდოეთში და ევროპაში მათ საფუძველი ჩაუყარეს ინდო-ევროპულ რასას.

როგორც ადრე შევნიშნეთ წარღვნის შემდგომი ადამიანების რასას ძლიერი სათვისტომო ჰქონდა. ისინი ისეთები არ იყვნენ როგორც წარღვნამდელი სეპარატისტები. მალე ახალმა რასამ თავი მეტად ძლიერად იგრძნო. ისინი გრძნობდნენ, რომ მათი ძალა მათ ერთობლიობაშია, მათი ლოზუნგი იყო: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“, მაგრამ იმის გამო რომ მეტად გამრავლდნენ დღეს თუ ხვალ უნდა დაყოფილიყვნენ ცალ-ცალკე თემებად. ახალი ხალხი ისე ძლიერად გრძნობდა თავს, რომ თავი უფლის სადარად მიაჩნდათ და ნაბიჯ-ნაბიჯ კოსმოსურ სივრცეებზე დაიწყეს ფიქრი. ამისათვის მათ ყველაფერი ჰქონდათ, ერთი მტკიცე თემი, გატაცება, საერთო ენა და საერთო სულიერი და მატერიალური ფასეულობები.

ხალხის ზოგიერთი წარმომადგენელი ხვდებოდა ერთმანეთს და საუბრობდნენ მომავლის შესახებ ზოგიერთი მათგანი ამბობ-

და: მოდით, სანამ ერთად ვართ და ჯერ კიდევ არ წავსულ-წამოვსულვართ, ისეთი რამ ავაშენოთ, რომ ჩვენი სახელის სახსოვრად და სადიდებლად საუკუნედ დარჩეს და როცა მას შეხედავენ ჩვენი შთამომავალნი, განცვიფრებულებმა თქვან ჩვენზე: რა მრავალი, მძლავრნი და ხელოვანი ყოფილხართო. ხალხის ლიდერების ამ აზრს მოსახლეობის ნაწილიც ემხრობოდა, მაგრამ არა ყველა.

მეფე ნიმროდი იყო ნოეს შვილის სემის შვილიშვილის შვილი. იგი მამაცი კაცი იყო და ძალიან ძლიერი მკლავი ჰქონდა. იგი გახდა მესოპოტამიის ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების უფროსი, ბიბლიაში მეტად მცირე ინფორმაციაა ნიმროდის შესახებ. ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ იგი წარღვნის შემდგომი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალური ფიგურა და ძლიერი მონადირე იყო.

რას ნიშნავს იყო ძლიერი? რა თქმა უნდა, ძლიერია პიროვნება, რომელსაც შეუძლია გააკონტროლოს თავისი სურვილები, სწორედ ასეთი მეფე იყო ნიმროდი. მან იცოდა თუ რა სურდა. იგი მონადირე მეფე იყო, როგორც სატანა და არა მწყემსი მეფე, როგორიც იყო იესო. სხვადასხვა ლეგენდების და ტრადიციების მიხედვით ნიმროდმა, როგორც დიდებულმა მეფე-მონადირემ სახელი შეიძინა იმიტომ, რომ იგი ატარებდა ცხვრისგან დამზადებულ ქურქს, რომელიც უფალმა თავისი ხელით გადასცა ადამს და ევას. ეს ქურდი მემკვიდრეობით ხელიდან ხელში გადავიდა და ბოლოს გადაეცა ნოეს. საბოლოოდ იგი მოიპარა ქუშმა და გადასცა თავის შვილს ნიმროდს და იგი შეიქმნა ყველა ძლიერი ცხოველების სიუზერენი და დიდებული მონადირე.

ნიმროდი ძალიან ლამაზი და წარმოსადეგი კაცი იყო, ქერა თმებითა და ცისფერი თვალებით. მას თმები კეფაზე ჰქონდა დახვეული და სადგისით დამაგრებული. თავისი გატაცებით ნიმროდი იყო არა მარტო ძლეირი მონადირე და მოწინავე მეფე, არამედ იგი იყო ასევე მაგი, ჯადოქარი, სულების გამოძახების ოსტატი, ასტრონომი და ასტროლოგი, ალქიმიკოსი, წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი ისტორიის კარგი მცოდნე. ასევე მას ჰქონდა მიდრეკილება დაემორჩილებინა ხალხი და მიემართა მათი ენერგია ერთი რომელიმე ცალკე აღებული დიადი მიზნისაკენ.

გულახდილად რომ ვთქვათ, ნიმროდს დასაპყრობიც არავინ ჰყავდა. იმ დროს ცოტა ხალხი ცხოვრობდა და ყველანი ნათესავები იყვნენ. მისი მსოფლიო იმპერია, რომელიც მხოლოდ მესოპოტამიაში არსებობდა, თითქმის უბრძოლველად შეიქმნა და უფრო

ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება იყო და თუ სადმე ძალას იყენებდა, მხოლოდ და მხოლოდ პირადი მტრებისა და დინასტიური პრეტენდენტების წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, მალე მეფე ნიმროდმა შეამჩნია, რომ მისი იმპერიის მოსახლეობის ნაწილი სწრაფ დეგრადირებას განიცდიდა. თუ წარღვნამდელი ხალხი სეპარატისტი და გულზვიადები იყვნენ და ბევრ შემთხვევაში უფლის წინააღმდეგ მიდიოდნენ, ნიმროდის ხალხი ძალიან დასაწყლდა, სულ უფლის ხსენებაში იყვნენ და თავად გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ. მართალია, ისინი უკეთესები იყვნენ ადრინდელ ხალხთან შედარებით, მაგრამ ამავე დროს გაუნათლებლებიც იყვნენ, მათ ელემენტარული განათლებაც კი არ ჰქონდათ. ისინი არ მისდევდნენ ფიზიკურ კულტურას, არ იცავდნენ ჰიგიენას და სულიერად პრიმიტიულები იყვნენ. მათ შორის მომრავლდნენ დიდ მუცლიანები და ეგონათ, რომ ღმერთი ყოველთვის დააკვალიანებდა მათ. ეს ხალხი რომელთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა ყოველთვის მერყევნი და არასაიმედონი იყვნენ, იბნეოდნენ და გამჭრიახობის უნარი არ ჰქონდათ. ყველაზე იოლი საკითხიც კი მათთვის გადაუჭრელი პრობლემა იყო და საჭიროებდნენ განათლებულ ხელმძღვანელს, რომლის გარეშეც სწორ გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ. სამაგიეროდ, ეს ხალხი სულ ღვთის ხსენებაში იყო და უფალიც მეტად კმაყოფილი იყო მათი.

მეფე ნიმროდი ფიქრობდა თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე და სიმდიდრეზე. მას მდიდარი ქვეყანა სჭირდებოდა, ხოლო მდიდარი ქვეყანა ღარიბი მოქალაქეებით ვერ იქნებოდა, ამიტომ ნიმროდმა გადაწყვიტა პირდაპირი კონტაქტი დაემყარებინა უფალთან და ეკითხა რჩევა თუ როგორ შეეცვალა თავისი მოქალაქეების ცხოვრება და ექცია ისინი უფრო განათლებულად, მაგრამ უფალმა არ მოისურვა ნიმროდთან შეხვედრა.

უფრო ადრე ნიმროდს გაგებული ჰქონდა, რომ მისი იმპერიის მთავარ ჯადოქარსა და კანცლერს თერაჰს მეტად განათლებული შვილი აბრამი ჰყავდა. ნიმროდმა ისიც იცოდა, რომ აბრამი გატაცებული იყო რომელიღაც საიდუმლო ღმერთით, რომელიც ყველა ღმერთის მეფე იყო. ნიმროდმა გადაწყვიტა გაეგო, რამდენად ძლიერი იყო აბრამის ღმერთი. ამავე დროს წინასწარმეტყველებმა რჩევა მისცეს ნიმროდს მოეკლა აბრამი, როგორც მისი ტახტის სერიოზული კონკურენტი. ნიმროდმა უბრძანა თავის კანცლერს თერაჰს მოეყვანა მასთან აბრამი, რათა მოეკლათ იგი, როგორც

იმპერიისთვის მეტად საშიში პიროვნება. თერაჰი დათანხმდა, იმ დროს ბავშვების ღმერთისათვის შეწირვა ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო. ეს ამბავი რომ ხდებოდა ნიმროდს მოგზაური ყარიბის ფორმაში გამოწყობილი სატანა ეახლა და უთხრა:

„რატომ ხარ შეშფოთებული და შეშინებული პატარა აბრამის ღმერთის გამო? აბრამს თავისი ზეცირული გზა აქვს და შენ კი შენი. ზეცაში ბევრი გზა მიდის და ეს ბიჭი შენთვის პრობლემა არ არის, მაგრამ უფალთან ურთიერთობაში კი ძალიან ფრთხილად იყავი“, თქვა მოგზაური ყარიბის ფორმაში გამოწყობილმა სატანამ და გაუჩინარდა.

ამ შეხვედრამ ნიმროდი ფრიად ჩააფიქრა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მას აბრამის ღმერთის ძალის გამოცდა სჭირდებოდა და ბრძანა, რომ აბრამი ცეცხლოვან ღუმელში შეეგდოთ. როდესაც ნიმროდმა ნახა, რომ სამი დღის განმავლობაში ცეცხლოვან ღუმელში ყოფნამ აბრამს ვერაფერი დააკლო, უთხრა აბრამს:

„შენი ღმერთი მართლაც ძალიან ძლიერია. მან შენ ცეცხლოვან ღუმელში გადაგარჩინა. მე მინდა შენი ღმერთისადმი ჩემი დიდი პატივისცემა გამოვხატო“.

აბრამი რომელიც ცეცხლოვანი ღუმელიდან სრულიად უვნებელი გამოვიდა ღვთისადმი რწმენით იყო აღსავსე. იგი მამაცი გახდა და უფალს რეკომენდაცია მისცა არ მიეღო საჩუქრები წარმართი ნიმროდისაგან. აბრამს მოეჩვენა, რომ უფალი მასთან თანახმა იყო და ნიმროდს უთხრა:

„მე შევეკითხე ჩვენს დიდი ღმერთს იაჰვეს შენს შესახებ და მან მითხრა, რომ წარმართი ნიმროდისაგან საჩუქრების მიღება არ სურს“.

შესაძლებელია აბრამი ამ შემთხვევაში სერიოზული კონკურენტის გამოჩენას მოერიდა. გქონდეს მონოპოლია უფალსა და ადამიანებს შორის ურთიერთობაში ძალიან სახეირო საქმე იყო და აბრამმა ეს ძალიან კარგად იცოდა.

აბრამის პასუხმა მეფე ნიმროდი ძალიან დაამწუხრა, მაგრამ მაინც შესწირა აბრამის ღმერთს ათასამდე ცხოველი. ნიმროდი ფიქრობდა, რომ შემწვარი ხორცისა და ქონის სუნი უფალს ძალიან ეამებოდა, მაგრამ უფალმა ნიმროდის შესაწირი არ მიიღო.

მეფე ნიმროდი ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა და ამავე დროს გააბრაზა. ნიმროდს სურდა კარგი, თანაბარუფლებიანი და დემოკრატიული ურთიერთობა უფალთან და არავითარი მონური

დამცირება და მლიქვნელობა. მას მხოლოდ სურდა იმპერიის მოქალაქეთა ცხოვრების წესის შეცვლა. ნიმროდს სურდა, რომ მის ქვეყანაში ღირსეული და პერსპექტიულ ხალხს ეცხოვრა.

ნიმროდი ცნობისმოყვარე და დინამიური კაცი იყო. მან სცადა მოენახა სხვა საშუალება, რომ დაემყარებინა კონტაქტი უფალთან და მიეღო სწორი ინსტრუქცია, რათა შეეცვალა თავის მოქალაქეთა ცხოვრების წესი, რადგან „დაარიგე ბრძენი და კიდევ უფრო დაბრძენდები. ჩაუნერგე მართალს ცოდნა და მეტს ისწავლის“ (იგავები 9:9).

ნიმროდმა გადაწყვიტა მიეღწია ზეცისთვის და პირადად ენახა უფალი, აეხსნა მისთვის თუ რა უნდოდა და თუ საჭირო იქნებოდა გადაეყენებინა იგი როგორც უვარგისი უფალი. მაშასადამე, ნიმროდი იყო მეორე მოკვდავი (თუ ლოლიტას არ ჩავთვლით, რომელიც უკვდავი გახდა) კაენის შემდეგ, რომელმაც გადაწყვიტა უფლის წინააღმდეგ გალაშქრება.

ნიმროდმა გააკეთა დიდი კიდობანი და მოთავსდა მასში. შემდეგ ოთხმა მოთვინიერებულმა ძერამ ასწიეს კიდობანი და ჰაერში აიჭრნენ, მაგრამ ნიმროდმა ზეცის საჭირო სიმაღლე ვერ მიაღწია. ძერების პოტენცია ლიმიტირებული იყო. ამიტომ ნიმროდმა კიდობანს თავი ახადა აღმართა მაღლა თავისი მშვილდისარი და ზეცაში სტყორცნა ისარი. მალე არქანგელოზმა გაბრიელმა ისარი უკან დააბრუნა, რომელიც გასისხლიანებული იყო. ამით ნიმროდი დარწმუნდა, რომ მან გაწბილებისათვის აბრამის ღმერთზე შური იძია.

თავის გადაწყვეტილებებში მეფე ნიმროდი, ამაყი და დამოუკიდებელი იყო. ღმერთს კი ამაში დამოუკიდებელი ხალხი არ მოსწონს. უფალს მოსწონდა თავმდაბალი და ერთგული მსახურები. რომლებიც ზედმეტი კითხვის გარეშე ემორჩილებიან. ასე რომ, ნიმროდი დარწმუნდა უფალთან თანაბარი ურთიერთობის დამყარება შეუძლებელი იყო.

ყოველ დღე ნიმროდის სასახლეში მიდიოდნენ ბევრი დედა, რომელთა ხელში თავიანთი ჩვილი ბავშვები ეჭირათ. ისინი სთხოვდნენ ნიმროდს, სამეფოს წმინდა საკურთხეველზე შეეწირათ თავიანთი შვილები, რათა შემდეგ უფრო ბედნიერად ეცხოვრათ. ნიმროდი ძალიან დამწუხრებული იყო, რომ მის სამეფოში ფეხს სულ უფრო მეტად იკიდებდა ყველაზე მდაბალი დონის წარმართული რელიგია, რომელიც იპყრობდა და სიცრუისკენ უბიძგებდა

უკვე გამოთაყვანებულ ხალხს. ნიმროდი ასევე წინააღმდეგი იყო სიმბოლური და რეალური კანიბალიზმის სხვადასხვა ფორმებისა, რომლებიც უკვე გავრცელდა მის სამეფოში. უფლისაგან კი რჩევა არ მოდიოდა.

მეფე ნიმროდი ისედაც რთულ ოჯახურ და პოლიტიკურ გარემოში ცხოვრობდა. მისი მეუღლე სემირამი ამავე დროს მისი დედაც იყო. ასე რომ მის მამას ქუშს და ნიმროდს ერთი ცოლი ჰყავდათ. საქმე იმაშია, რომ როდესაც ქუში მეფობიდან გადააყენეს სემირამისს გადადგომა არ უნდოდა. რათა შეენარჩუნებინა თავისი როგორც დედოფლის სტატუსი სემირამისი იშვიათ ნაბიჯზე წავიდა, გათხოვდა მომავალ მეფეზე, თავის შვილ ნიმროდზე.

ნიმროდის დედა და მეუღლე სემირამი წარღვნის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქალი იყო. იგი აკონტროლებდა სახელმწიფოს რელიგიურ ცხოვრებას და დიდი ზეგავლენა ჰქონდა ხალხზე.

ნიმროდი დიდხანს ფიქრობდა თუ როგორი რეფორმები გაეტარებინა სახელმწიფოში და გაეუმჯობესებინა ხალხის მატერიალურ-კულტურული დონე. ბევრ შემთხვევაში მისი თვალსაზრისი ემთხვეოდა მისი ცოლი – დედის შეხედულებებს. კარგი ანალიზის შემდეგ დედა-შვილმა ასეთი მეთოდი მოიფიქრეს ნაბიჯ-ნაბიჯ ნიმროდმა მმართველობის შედარებით დემოკრატიული ფორმა შეცვალა ტირანიით, რადგან ვერ ხედავდა სხვა მეთოდს, რომ ხალხი დაეხსნა უფლის შიშისაგან. ნიმროდმა ხალხს მისცა მუდმივი დამოკიდებულება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველობაზე.

ამრიგად, ხალხში ღვთის ისეთი დიდი შიში იყო, რომ მათ დაკარგეს ყველაზე მთავარი, რაც ღმერთმა მათ მისცა „თავისუფალი ნების“ უფლება. ადამიანები უფლის გარეშე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ. ყოველ წამს ლოცულობდნენ და უფალს სთხოვდნენ დახმარებოდა მათ ამა თუ იმ საქმეში, მათ შორის კუჭის დაცლაში. მაგალითად, როგორც ზაქარია სიტჩინი აღნიშნავს შუამდინარეთში ნაპოვნია თიხის ფირფიტა, სადაც ექიმი ლოლა პაციენტს კუჭის შეკრულობის საშველად უფლისადი გაძლიერებულ ლოცვას მოითხოვს. ეს ტექსტი ნათელი დადასტუტრებაა თუ რაოდენ დამოკიდებულები იყვნენ შუამდინარეთის მოქალაქეები უფლის ნებაზე.

ნიმროდი ნათლად ხედავდა თავისი ხალხის „სპირიტუალ კასტრაცია-ზომბირებას“ და მის წინააღმდეგ ნახა მხოლოდ ერთი

პასუხი – უსასტიკესი დიქტატურის დამყარება, რომელიც გადაწონიდა უფლის წინაშე მუხლების კანკალს. ეს დიქტატურა ძალიან ჰგავდა ლენინურ-სტალინურ დიქტატურას, რომელიც მრავალი საუკუნის შემდეგ დამყარდა მსოფლიოს ერთ ნაწილში.

რატომ ჰქონდათ ნიმროდის ხალხს ასეთი ძლიერი უფლის შიში?

წარღვნის შემდეგომი ხალხი შოკირებულები და დაცენტრილები იყვნენ ღმერთის საქციელით, რომელმაც მაშინდელი სიცილიზებული სამყარო წყლით გაანადგურა. ისინი გენეტიკურად იყვნენ მოწმენი წარღვნამდელი ხალხის დაღუპვისა. ახალი თაობა ნოეს ღვთისმოშიში ოჯახიდან წარმოიშვა, მაგრამ ზოგიერთი წარღვნამდელი ადამიანები და ცხოველები გადარჩნენ. ყველაზე მარჯვეებმა მოახერხეს საშუალების მონახვა, რათა წყალზე თავი შეეკავებინათ ანდა ღრმა მიწისქვეშეთში ჩასულიყვნენ, სადაც წყალი ვერ აღწევდა. ეს ხალხი ძალიან დაშინებულები იყვნენ და ეს შიში მათ გადასცეს ნოეს შთამომავლებს, რომლებსაც თანდათან შეერივნენ. განსაკუთრებით ბევრი ადამიანი გადარჩა კაენის შთამომავლებიდან. ისინი მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ. დღე და ღამე უფალს აგინებდნენ, რომელმაც ამდენი ქალაქი და ცოდნა გაანადგურა. ისინი იმუქრებოდნენ რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინი უფალს ტახტიდან გადააყენებდნენ და ეს გარემოება დიდ თანაგრძობას პოულობდნენ არქანგელოზ სატანაში, რომელმაც ძალიან დიდი ენერგია დახარჯა, რათა წარღვნის დროს რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადაერჩინა. ზოგიერთი მონაცემებით წარღვნამდელი მოსახლეობის ერთი მესამედი სატანამ კავკასიონის, ალპების, სკანდინავიის, ჰინდი კუშისა და ჰიმალაის მთიანეთში გახიზნა. სატანამ ასევე იხსნა უამრავი ცხოველი, რომლებიც შეერივნენ ნოეს მიერ გადარჩენილ პატიოსან ცხოველებს და მალე გააველურეს ისინი. ახალი ცხოველები უდარდელად დააბიჯებდნენ დედამიწაზე და ხალხის შიში აბსოლუტურად არ ჰქონდათ. ისინი არად აგდებდნენ ნოეს შთამომავლებს, რომლებმაც მალე ლოთობა დაიწყეს და ღვთის მოშიშები გახდნენ, არც იარაღის ხმარება იცოდნენ, რადგან ყველანი პაციფისტები გახდნენ, ხოლო კაენის შთამომავლებს კი ერიდებოდნენ, რადგან მათ იარაღის ტარება და ხმარება კარგად იცოდნენ. თავად მეფე ნიმროდს უფრო მეომარი ხალხი მოსწონდა, რადგან თავადაც დიდი მეომარი და მონადირე იყო.

დედამიწის ზედაპირზე დომინირებდა ერთის მხრივ ჯუნგლის კანონი, ძლიერი ჩაგრავს სუსტს დ ამეორე მხრივ ღმერთის ტოტალური შიში. მშიშრები და ღვთის მოშიშები ყოველ ჭექა-ქუხილზე ან ჟუჟუნა წვიმის დანახვაზეც კი უკაცრავი ამბავია შარვალში ისვრიდნენ. განავალი ხალხის ტვინს ურტყამდა და მათ სრულ პარალიზებას ახდენდა. იმის გამო, რომ ნიმროდის სამეფოში გონებრივად პარალიზებული ხალხის რიცხვი გეომეტრიული პროპორციით იზრდებოდა, სერიოზულად დადგა საკითხი შუამდინარეთის მოსახლეობის ამოწყვეტის პერსპექტივისა.

მეფე ნიმროდმა გადაწყვიტა ხალხის შველა და გამოიყენა ექსტრა-ორდინალური მეთოდი. მან დაამყარა ძლიერი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-იდეოლოგიური დიქტატურა, რომელმაც გადაწონა ღმერთის შიში. ნიმროდის დიქტატურა იყო მშვენიერი მაგალითი იმისა, რომ ცუდის გაკეთება უფრო კარგია, ვიდრე ცუდისადმი მხარდაჭერა. ნაბიჯ-ნაბიჯ ხალხის მშიშრობა უფლის წინაშე გახდა არაფერი ნიმროდის მრისხანე დიქტატურის წინაშე. ხალხი ორ წყალს შუა მოექცა. ისინი შარვალში ისვრიდნენ უფლის წინაშე, ხოლო ნიმროდის წინაშე კი ორჯერ მეტს ისვრიდნენ. ნელ-ნელა ისინი მარტო ნიმროდის წინაშე ისვრიდნენ.

ხალხის გადასარჩენად, და დამცირებული ყოფის მოსაცილებლად მარტო ნიმროდის მათრახი და რკინის მუშტი საკმარისი არ იყო. საჭირო იყო სხვა, ყოვლისმომცველი მოქმედება, რომელიც იდეურად გააერთიანებდა ხალხს. ხალხს უნდა დაენახა მათი მუშაობის რეზულტატი და სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობას უნდა წაელეკა ყველაფერი, მათ შორის უფლის შიში.

იმ დროიდან მეფე ნიმროდმა აბრამის ღმერთის წინააღმდეგ შეტევა ყველა მიმართულებით დაიწყო. განსაკუთრებით ეს ითქმის იდეოლოგიურ და ძალისმიერ ფრონტებზე. მართლაც სახელი ნიმროდი რომელიც მოდის ებრაული ფესვიდან ნიშნავს „მოჯანყეს“.

როგორც უხუცესები აღნიშნავენ, დაახლოებით 1757 წელს ქრისტეს დაბადებამდე ნიმროდი ეთათბირა არქანგელოზ სატანას. ეს შეხვედრა მოხდა კავკასიონის მთიანეთში მდებარე სატანას ერთ-ერთ რეზიდენციაში. სატანამ ურჩია ნიმროიდს დაეწყო კოშკის მშენებლობა, რომელიც ყველას გააკვირვებდა. იმისდა მიხედვით თუ როგორი სისწრაფით წავიდოდა კოშკი ზეცისაკენ, იმდენადვე ნიმროდს უნდა შეემცირებინა ხალხზე დიქტატორული წნეხი. როგორც კი კოშკის წვერი ზეცას მიებ-

ჯინებოდა და ღმერთთან საერთო ენას გამონახავდა, ნიმროდს მაშინვე დემოკრატიული წყობილება უნდა დაემყარებინა.

„მაგრამ ეს უნდა იყოს დემოკრატიის დიქტატურა“, ხაზი გაუსვა არქანგელოზმა სატანამ და მეფე ნიმროდი რა თქმა უნდა, დაეთანხმა სატანას.

ნიმროდის აზრით კოშკის მშენებლობა შესანიშნავი აზრი იყო და ერთადერთ გზად სჩანდა, რომ ინსტრუქცია მიეღოთ უფლისგან.

„ერთ-ერთ მომავალ უფლის თათბირზე ღმერთს მოვახსენებ თუ როგორი საჭიროა მისი ინსტრუქციები მესოპოტამიელებისათვის“, აღუთქვა სატანამ ნიმროდს.

„მაგრამ საუბართან ერთად აუცილებელია ხალხის მომავალის განსაზღვრა თუ რა მისია აკისრია მათ“, თქვა ნიმროდმა და დასძინა:

„თუ ცის ტირანი უარს იტყვის ჩვენს დახმარებაზე და გაა-გრძელებს ჩვენს სულიერ დამონებას და დამცირებას, მაშინ ჩვენ ავჯანყდებით.“

არქანგელოზმა არც მოიწონა და არც უკუაგდო ნიმროდის მოსაზრება უფლის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ.

ნიმროდს სამი ამოცანა ჰქონდა:

1. დაეწყო ახალი ქალაქის მშენებლობა.
2. აეშენებინა კოშკი.
3. სახელი გაეთქვა.

არქანგელოზ სატანას დაწვრილებითი ახსნა-განმარტებების შემდეგ მეფე ნიმროდმა შესანიშნავად დააკავშირა ერთმანეთთან დიდი და ორგანული კავშირები წარსულ, თანამედროვე და მომავალ მოვლენებს შორის. ნიმროდმა დაინახა დიდი პანორამული სცენები სამყაროს დასაწყისიდან მის ბოლო დღემდე. მან არმაგედონის ომის შედეგებიც კი შეიცნო, რომელიც რამდენიმე მილენიუმის შემდეგ მოხდება. ნიმროდმა სცადა განეზოგადებინა თავისი გრანდიოზული ცოდნა და ენახა თავისი ადგილი ისტორიაში. მან შეიცნო ღირებულებების სხვა ფასეულობები სამყაროს უსასრულობაში და უცხო ცივილიზაციების წარმოშობა-გაქრობის მექანიზმები. ნიმდორმა 13 საუკუნით ადრე იწინასწამეტყველა სამყაროს განვითარების გზები და არის სერიოზული ეჭვი, რომ დანიელის დიდებული წინასწარმეტყველება, რომელიც 26 საუკუნის წინ ითქვა და რომელიც მსოფლიოს ყველაზე გრძელ

წინასწარმეტყველებად ითვლება უბრალოდ არის ნიმროიდის წინასწარმეტყველების გადამღერება.

ნიმროდი დარწმუნდა, რომ უფლის ტოტალური დომინირება ადამიანებზე და გარკვეულად ანგელოზებზეც აჩერებს პროგრესს. სატანამ კონფიდენციალურ საუბარში გაანდო ნიმროდს უკვე მომწიფებული აზრი, რომ ზოგიერთი ვერსიით ანგელოზების ერთ მესამედს მძიმე ბრძოლა ექნება უფლის წინააღმდეგ და მოხდება ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა 3823 წლის შემდეგ, რაც არის 2066 წელი ახალი წელთაღრიცხვით. ამასთან დაკავშირებით, ნიმროდი ფიქრობდა, რომ თუკი მომავალში ანგელოზების ნაწილი შეეცდება უფლის ტოტალიტარული მმართველობის უკუგდებას, რატომ არ უნდა გაუწიონ ადამიანებმა ახლა უფალს წინააღმდეგობა, რომ ადამიანური ღირსება შეინარჩუნონ. ასე რომ მეფე ნიმროდმა არქანგელოზ სატანას მეცადინეობით სწორედ დაიწყო მსოფლიოსა და კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტების გაგება. მან ნახა მისი ადგილი და მოწოდება მსოფლიო ისტორიაში, ნიმროდმა გაიგო, რომ მისი მოვალეობაა ნაზად შეასწოროს უფლის ზოგიერთი გადახრა სწორი გზიდან და დაიწყო ასეთი მსჯელობა:

„თუ ანგელოზებმა, რომლებიც არიან უფლის შესანიშნავი ქმნილებები და ყოველდღე ხვდებიან უფალს ზეცაში და მიუხედავად ამისა, ჩადიან ცოდვას და ფიქრობენ მოახდინონ აჯანყება უფლის წინააღმდეგ და არა უბრალო, არამედ პირველი კლასის, რატომ არ უნდა გააკეთონ იგივე ქრისტიანებმა დაახლოებით ორი მილენიუმის შემდეგ იესოს ხელმძღვანელობით? და ასევე თუ ქრისტიანებს მომავალში ექნებათ ძალა გადააყენონ უფალი, ჩვენ დღეს რატომ უნდა დავკარგოთ დრო და არ მოვახდინოთ ახლა დიდი ადამიანური აჯანყება? რაც აუცილებლად მოსახდენია, სჯობს მოხდეს ადრე, ვიდრე გვიან“, ფიქრობდა მეფე ნიმროდი.

რაც დრო მიდიოდა, ნიმროდმა მოიპოვა რეპუტაცია ადამიანისა, რომელსაც ძალუძს აუჯანყდეს უფალს. იგი თანდათან უფლის შვილად და უფლის ტახტის პრეტენდენტად გამოიყურებოდა. მისი დედა და მეუღლე სემირამი გამოიყურებოდა როგორც დედა-ღმერთი და ამ მიმართულებით მუშაობისას ნიმროდის მენტორი იყო დიდი არქანგელოზი სატანა-ლუციფერი-მეგატრონი.

უმოკლეს შესაძლებელ ვადაში მეფე ნიმროდმა შეცვალა იმპერიის მოქალაქეთა ცხოვრების წესი. თავად მკითხველმა განსაჯოს:

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ მოახერხა ეს ნიმროდმა, მაგრამ მან ერთი თაობის მანძილზე პრიმიტიული, მომთაბარე მონადირეები და საკვების ტყეში მომპოვებლები შეცვალა ფერმერებად და მექოთნეებად. შემდეგ კი ისინი აქცია ქალაქების მშენებელ ინჟინრებად, მათემატიკოსებად, ასტრონომებად, მეტალურგებად, ვაჭრებად, მუსიკოსებად, მსაჯულებად, ექიმებად, ბიბლიოთეკებად და მწერლებად.

ნიმროდმა გამოიგონა ყველაზე ადრინდელი ლურსმნული დამწერლობა, დააარსა მსოფლიოში პირველი სამეფო და საჯარო სკოლები, მსოფლიოში პირველი სამეფო და საჯარო სკოლები. მსოფლიოში პირველი საქალაქთაშორისო სანაოსნო, საცხენოსნო და საკარეტო კომუნიკაციები, საფოსტო და სასტუმრო მეურნეობები. პირველი ლიტერატურული და სასოფლო-სამეურნეო ალმანახი. ნიმროდის დროს შეიქმნა მსოფლიოში პირველი ისტორიოგრაფიული, ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეოგრაფიული, მათემატიკური, კოსმოგონიური და თეოლოგიური ნაშრომები. ნიმროდმა გახსნა მსოფლიოში პირველი ობსერვატორია, პირველი ბიბლიოთეკა და კომერციული სკოლა. სახალხო გაზეთი, რეკლამა, რომელიც გზაჯვარედინებზე იდგა, ჰოსპიტალი. ქირურგიული ლაბორატორია და ჩაატარა მსოფლიოში პირველი ქიმიური ცდები. ნიმროდის დროს შეიქმნა პირველი სამოქალაქო კოდექსი და ჩატარდა სოციალური რეფორმები და მრავალი სხვა.

ნიმროდი თავის მეუღლესთან და დედასთან ძალიან დიდ მუშაობას ატარებს აგიტაცია-პროპაგანდისა და იდეოლოგიის დარგში. მან დააარსა სპეციალური სამეფო ინსტრუქტორების სისტემა. სამეფო ინსტრუქტორები და სახალხო პროპაგანდისტები კარდაკარ დადიოდნენ სამეფოს მოქალაქეების ბინებში და საათობით უხსნიდნენ და ესაუბრებოდნენ მოსახლეობას ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. ნიმროდი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ზეცაში ცხოვრობს მრავალი ღმერთი და ერთ-ერთი მათგანია დიდი მამა-ღმერთი, ღმერთების მეფე. ნიმროდი ღრმად ფიქრობდა, აბრამის ღმერთისა და მეფე ღმერთის ერთიდაიგივეობაზე და რათა ეპოვა სწორი პასუხი გადაწყვიტა დაერტყა ვიზიტი ზეცაში.

მეფე ნიმროდი აცხადებდა, რომ ზეცაში ცხოვრობენ არა მარტო ღმერთები და ანგელოზები, არამედ რამდენიმე ღირსეული ადამიანიც. ნიმროდი შეეკითხა სატანას:

„თქვენო უძლიერესობავ! რამდენად მართალია რომ თქვენი ერთ-ერთი მეუღლე, პრინცესა ლოლიტა, თავდაპირველად მოკვდავი იყო?“

არქანგელოზი სატანა ცდილობდა ასეთ საჩოთირო საქმეებში არ გარეულიყო, მაგრამ მაინც აღიარა:

„ჩემო ღირსეულო მეგობარო მეფე ნიმროდ! სრული ჭეშმარიტება გახლავთ, რომ ლოლიტა უფლის ნების წინააღმდეგ წავიდა, ედემის ბაღში სიცოცხლის ხიდან ბროწეული მიირთვა, უკვდავი გახდა, მერე ჩემი მეუღლე შეიქმნა და ზეცაში აღზევდა. ასევე ზეცაში ავიდა და უფალთან ერთად სეირნობდა ენოქი (დაბადება 5:24), რომელიც იყო მეშვიდე პატრიარხი ადამის შემდეგ და ნოეს ბაბუის მამა. ზეცაში აღზევდა ტვიროსის დიდებული მეფე (ეზეკიელი 28”2, 11-19) და დიდებული მოკვდავი ილია. ასევე ზეცაში ავიდა მოკვდავი რაბაი იშმაელი, რომელსაც ებრაელ ფაუსტს უწოდებდნენ და არ არის ცნობილი, რომ იგი ენოქის მსგავსად უკან, დედამიწაზე დაბრუნდა. სავარაუდოა, რომ ენოქიც და რაბაი იშმაელიც მეგატრონები გახდნენ.

მე, ჩემო ძვირფასო მეგობარო ნიმროდ არ მაქვს უფლება ბევრი ვილაპარაკო ჩემს სერიოზულ ზეციურ დაჯგუფება-სატანიებლებზე. მათ კიდევ რამდენიმე მოკვდავი წაიყვანეს ზეცაში, მათ შორის არის ქალდეელებისა გრიგორი – მეთვალყურე ანგელოზების ჩამომავალი აბრამი, რომელმაც არქანგელოზ გაბრიელთან შთამბეჭდავი ტური გააკეთა ზეცაში, ინახულა ყველა ღირსშესანიშნაობები და შემდეგ დედამიწაზე დაბრუნდა და ებრაელ ხალხს ჩაუყარა საფუძველი, და ასევე ზეცაში იმოგზაურა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა თავის ცხენთან „მირაჟთან“ ერთად. მუჰამედი ზეცაში ცხენზე ამხედრებული კიბეებით ავიდა“.

სატანას ასეთი ახსნა-განმარტებების შემდეგ ნიმროდს განუმტკიცდა აზრი, რომ ზოგიერთი მოკვდავი სერიოზულ როლს თამაშობდა და თამაშობს უფლის სასახლეში, სადაც ცოდნისა და უკვდავების ხეები ხარობენ. მისი ღვთიური ნაყოფების ვაშლისა და ბროწეულის ჭამის უფლება მხოლოდ რჩეულ მოკვდავებს აქვთ და ნიმროდს სურვილი ჰქონდა რომ ასეთი რჩეული მოკვდავი ყოფილიყო.

მაგრამ ნიმროდის ყველაზე დიდი მიღწევა იყო თავისი ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება, თავისი მოქალაქეების გამდიდრება. ნიმროდი, მრავალი უძილო ღამის განმავ-

ლობაში ფიქრობდა და აანალიზებდა ფულის ტრიალის წესებზე და მექანიზმებზე. საერთოდ ფინანსებზე, ვალზე, კრედიტზე, ფულის ჩადების პრინციპზე, მოგებაზე და ზემოგებაზე. ფულის ფუნქციაზე როგორც ქვეყნის პროგრესის ფაქტორზე. ნიმროდმა მსოფლიოში პირველმა შექმნა საბანკო სისტემა, ვალუტის გადასახურდავებელი პუნქტები და ამ პროცესს მისცა აბსოლუტური დამოუკიდებლობა. ნიმროდმა საზეიმოდ განაცხადა:

„ჩემი ქალაქი ბაბილონი უნდა მსოფლიოს უმდიდრესი ქალაქი გახდეს. ფული არის შუამავალი, რითაც მიწიერი წარმატებები იზომება. მდიდარმა მოქალაქემ უნდა ასწავლოს ღარიბ მოქალაქეს თუ როგორ უნდა გახდეს ღარიბი მდიდარი. ასწავლოს ფინანსების საიდუმლოებები, თუ როგორ გახედნოს ფული, შეინახოს ფული და შექმნას მოგება, რათა ფულმა გააკეთოს ფული“.

ნიმროდი კიდევ უფრო შორს წავიდა და ბაბილონის ცენტრალურ კვარტალში, სადაც ყველა გზები ერთდებოდა ცოდნის ტაძარი დააარსა. მისი თავისებურება ის იყო, რომ მის აუდიტორიებში იკრიბებოდნენ როგორც სამეფო ოჯახის წევრები და პროფესიონალი სწავლულები, ისე ცოდნას მოწყურებული მონებიც. აქ შეხვდებოდი მაღალ, ქერათმიან ახმახს ჩრდილოეთიდან და მომცინარ შავ კაცს სამხრეთიდან. ტაძარს შესასვლელში წარწერა ჰქონდა „ცოდნისა და სიბრძნის გარეშე მას, ვისაც ოქრო აქვს, „საბოლოოდ დაკარგავს მას“. ასევე ფრიად პოპულარული ტაძრის ლოზუნგი იყო: „ის ვინც მეტს ხარჯავს, ვიდრე გამოიმუშავებს თესავს ქარს და იმკის პრობლემებს“. ტაძარში ყველა თანაბარი იყო. ხშირად მეფის ოჯახის წევრი და მონა როგორც ტოლი-ტოლს ისე ესაუბრებოდა. ყველა მონას, თუ უნარი ჰქონდა შეეძლო თავის გამოსყიდვა და პირიქით, მდიდარი ადამიანი თუ ვალებში ჩავარდებოდა მონად გაიყიდებოდა. ასეთი იყო ნიმროდის პოზიცია, რომელიც ცხადია თავის ცოდნას არქანგელოზ სატანასთან ხანგრძლივი საუბრების შემდეგ იძენდა.

მალე სატანას რეკომენდაციის შემდეგ მეფე ნიმროდი გაიტაცა იდეამ აეშენებინა უდიდესი შენობა, რომელიც ყველაფერს დაჩრდილავდა.

„თუ შენ შესძლებ ასეთი შენობის აშენებას, ეს შენი ხალხის უზარმაზარ კონსოლიდაციას გამოიწვევს და მათ მოეჩვენებათ, რომ შეუძლებელი მათთვის არაფერია“, ხაზი გაუსვა სატანამ.

ამ დიდ შენობას აკუმულირება უნდა მოეხდინა ქვენის ყვე-

ლა ფინანსური რესურსებისათვის. სტიმულირება გაეკეთებინა მეცნიერული აღმოჩენებისათვის და მხარი დაეჭირა იმპერიის ეკონომიკისათვის და როგორც მოსამზადებელი სტადია, ნიმროდმა ქვეყანა შარა-გზებითა და სარწყავი არხებით დაფარა. ამავე დროს შექმნა ე. წ. „ნიმროდის კანონები“. ეს იყო ბაბილონის გოდოლის მშენებლობის დროს მოქალაქეების მოქცევის კოდექსი. სიტყვა „ბაბილონი“ ითარგმნებოდა როგორც „ღმერთის კარები“ „ბაბ-ილუ“ (დაბადება 11:9-11).

ამ სურვილის შესასრულებლად საჭირო იყო სამშენებლო გეგმა, მენეჯმენტი, საქმის შორსმჭვრეტელობა, სამშენებლო მასალა და ერთგული მუშები. ნიმროდის განკარგულებაში შესანიშნავი ინჟინრები, სამშენებლო მასალა და ათასობით მშენებელი მუშა იყო და მუშაობაც დაიწყო.

თიხა იყო ბაბილონის ძირითადი მასალა, რათა დაემზადებინათ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთები. თიხიდანვე მზადდებოდა აგურები, რომლითაც აშენებდნენ საცხოვრებელ სახლებს ხალხისთვის, სასახლეებს მეფეებისათვის და ტაძრებს ღმერთისათვის. გამომწვარი აგური ნიმროდის გამოგონება იყო. აგური განსაკუთრებით მტკიცე გამოდიოდა თუ მასში გაურევდნენ სველ თიხას, დაკეპილ სარეველა ბალახებს და თივას. აგურები განსაკუთრებულ სიმტკიცეს იძენდნენ, როდესაც მათ ღუმელში გამოწვავდნენ, რაც ნიმროდის კიდევ ერთი გამოგონება იყო. ნიმროდის მიერ მოგონილ ღუმელში შესაძლებელი იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთი დონის ტემპერატურის შენარჩუნება, რაც ბაბილონის კოშკის მშენებლობის ეპოქაში დიდ მიღწევა იყო. ნიმროდი ასევე ფართოდ იყენებდა ადგილობრივ ნავთობპროდუქტებს. ეს პროდუქტი უმნიშვნელოვანესი სასარგებლო წიაღისეული იყო უძველესი დროიდან დღემდე და ყველაფერი ნიმროდის ხანიდან დაიწყო. ნიმროდი პეტროლიუმს იყენებდა არა მარტო როგორც კარგი საწვავი მასალას, არამედ როგორც კარგ საშუალებას გზების მშენებლობის დროს. ნიმროდმა შექმნა ბიტუმი და ასფალტი, როგორც წყალგამძლე მასალა, რომელზედაც შეიძლებოდა მოხატვა, დაზელა, ფორმის შეცვლა და როგორც ცემენტის ისე გამოყენება.

მაშასადამე, ბაბილონის გოდოლა აშენდა გამძლე, იმ დროისათვის მეტად მოწინავე ტექნოლოგიით ღუმელში და ჭვარტლში გამომწვარი აგურები და ამის გამო კოშკმა საუკუნეებს გაუძლო.

აგურები ერთმანეთს გრძელი ფისით ეწებებოდნენ. ფისის არსებობა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ კოშკის მშენებლობა დაიწყო ჩინარის ველის რაიონში.

კოშკი მდებარეობდა დღევანდელი ბაღდად-ქალაქის ჩრდილოეთით ან სამხრეთით. კოშკი აშენდა ერთი ზომის ოთხკუთხა აგურებით, ქვების სპეციალური წყობის გამოყენებით. მსგავსი ტიპის ნაგებობები არქეოლოგებმა ნახეს ურისა და აქადის ნანგრევებში. კოშკები აქ 7-9-13 სართულის სიმაღლის იყვნენ და ყოველი სართული სხვადასხვა ფერით იყო შეღებილი.

თუ ჩვენ ცოტათი წინ გადავხტებით დროში, გავიგებთ, რომ ტრადიციული გადმოცემით როდესაც ბაბილონის გრანდიოზული გოდოლა დაინგრა, ბაბილოის ახალმა ხელმძღვანელებმა მამა შვილმა ნაბუპოლასარ-ნაბუქუდონოსორმა ნაწილობრივ აღადგინეს გოდოლა და მის საფუძველზე აღმართეს ცნობილი ეთემენაკი – ზიგურათი. ახალი შენობა მიეძღვნა ღმერთ მარდუკს და იყო ნაბუქოდონოსორის სიამაყის საგანი. ტაძარი-საფეხურებიანი კოშკი 300 ფუტის სიმაღლე იყო და იგი ალექსანდრე მაკედონელმა დაანგრია.

ეთემენაკი-ზიგურათი დიდებული შენობა იყო და მისი სახელი ითარგმნებოდა, როგორც „ზეცისა და დედამიწის საძირკვლის ტაძარი“. ეს შენობა ინახულა გამოჩენილმა ისტორიკოსმა და მოგზაურმა ჰეროდოტემ და საფუძვლიანად აღწერა იგი. ეს საფეხურებიანი პირამიდა-ზიგურათი ნახეს და სავარაუდოდ, იქ პრაქტიკა გაიარეს გამოჩენილმა წინასწარმეტყველებმა: დანიელმა, ჰეზეკიელმა, იერემიამ, მათი ბაბილონში ტყვეობის პერიოდში. ბაბილონის კოშკი მოხსენიებულია ცნობილი ებრაელი ისტორიკოსის და რომის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი გენერლის, შემდეგ კი რომის სამსახურში შესულ ფლავიუს ჯოზეფუსის წიგნში „ებრაელთა ანტიკურობის“ შესახებ. კოშკისა და შემდეგ კი მარდუკის ტაძრის ხშირი სტუმარი იყო არქანგელოზები: სატანა, აზაზელი, შემჯაზა, რაზიელი და რაგუელი.

ასე, რომ ნიმროდის გადაწყვეტილებას აღემართა ზემაღალი კოშკი, ჰქონდა ეპოქალური მნიშვნელობა. ნიმროდმა და მისმა ქმნილებამ გაჭრეს დრო, მოაღწიეს ჩვენამდე, როგორც უძველესი პერიოდის დიდი ლეგენდამ, რომელსაც რეალური საფუძველი ჰქონდა.

მშენებლების სპეციალურ ჯგუფს ანთებული ჰქონდათ პე-

ტროლეუმის ჩირაღდნები, სანთლები და მუშაობა გრძელდებოდა დღე და ღამე, შესვენების გარეშე. მშენებლების მეორე სპეციალურ ჯგუფს დღეში სამჯერ მუშებისათვის მიჰქონდათ საჭმელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, რადგან ნიმროდის აზრით, მხოლოდ კარგად დანაყრებულ კაცს შეეძლო კარგად მუშაობა. ნიმროდი თავად მუშაობდა საველე სამზარეულოში. სინჯავდა კერძებს და იძლეოდა აუცილებელ დავალებებს. ნიმროდის აზრით სამჯერ კვება 24 საათის ინტერვალში, ანუ ყოველ 8 საათში ერთხელ არის აუცილებელი ენერგიის აღსადგენად. მუშაობა ჩვეულებრივ გრძელდებოდა 16 საათი და ძალიან მძიმე იყო. ნიმროდს უფლება არ ჰქონდა უქმად დაეხარჯა დრო და მუშები დასუსტებულიყო. ამიტომ ნიმროდმა თავად გამოიგონა ფაფის მსგავსი კერძი, შეკაზმული ბევრი საჭირო ნივთიერებებით, მათ შორის ხორცით, ხორბლით, ბოსტნეულით, ზეთით და სხვა ინგრედიენტებით. ნიმროდმა ასევე გამოიგონა ენერგიის აღსადგენი აბები, რაც ასევე აძლიერებდა მუშების მუშაობას. მუშები იღებდნენ აბებს და წყალს, როდესაც დაღლას იგრძნობდნენ და ამის მერე თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ახლა მუშები დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სჭამდნენ ნიმროდის საჭმელს, რომელსაც „ნიმროდიული“ ეწოდა და ორჯერ იღებდნენ აბებს, რაც სრულიად საკმარისი იყო. „ნიმროიდული“ ძალიან ნოყიერი საჭმელი იყო და მოგვიანებითჲ იგი მეტად პოპულარული გახდა პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი ცენტრალურ აზიაში, სადაც მას უზბეკური ფლავი უწოდეს.

იმის გამო, რომ მუშები სისტემატიურად იღებდნენ ნიმროდის სტიმულატორ აბებს, მათ ქალიც ხშირად უნდოდათ. მეფე ნიმროდმა ბრძანება გასცა, რომ ბაბილონის ყველა პროსტიტუტი ვალდებული იყო, უფასოდ მომსახურებოდა ბაბილონის გოდოლის მშენებელ მუშას კვირაში ერთხელ. ამის თაობაზე შედგენილი იყო სპეციალური გრაფიკი, რომელიც ნახული იქნა ქალაქ ურის არქეოლოგიური გათხრების დროს.

არავითარი საპატიო მიზეზი არ არსებობდა სამუშაოდან გასანთავისუფლებლად. მშენებლობაზე მუშაობდნენ ორსული და ჩვილი ბავშვის მქონე ქალები. ისინი აგურების გამოწვაზე მუშაობდნენ და უფლება არ ჰქონდათ სამუშაოს მიტოვებისა მშობიარობის დროსაც კი. ისინი ატარებდნენ ახალდაბადებულ ბავშვებს წინსაფარში და აგრძელებდნენ აგურების დამზადებას.

მალე კოშკმა თავისი კონტურები გამოხატა. კედლები აგურებით შენდებოდა, რომლებიც ცემენტით, ფისით და კირის ხსნარით ედუღებოდა ერთმანეთს. შედეგად უმოკლეს ვადაში მეფე ნიმროდმა გამოთაყვანებული მოსახლეობა შემოქმედებით მუშაებად აქცია. მართლაც ნიმროდის მათრახი საოცრებებს აკეთებდა.

უფალმა დაინახა, რომ თითქმის უჩვეულოდ ღვთის მოშიში და მორჩილი მოსახლეობა ნიმროდის მათრახის ქვეშ გადაიქცნენ ისეთი კოშკის მშენებლებად, რომელმაც ზეცას მიაღწია. კოშკის სიმაღლე 463 კუბითი იყო და სატანას აზრით, თითქმის უფლის სასახლის მისადგომებს მიუახლოვდა. ასევე უფალმა დაინახა, რომ ზეცაში გამოჩნდა თიხა, სპილენძი, შემდეგში დურ-ალუმინად და ფოლადად ცნობილი სამშენებლო კონსტრუქციები. ეს გარემოება უფალს რა თქმა უნდა, არ მოეწონა, რადგან მისი მთავარი სამშენებლო მასალა თიხა იყო. მაგრამ მან ხალხი თავის მსგავსად შექმნა. თვითონაც როგორც ადამიანი ისე გამოიყურებოდა, მაგრამ არავინ იცის, იგი თეთრწვერა იყო თუ ახალგაზრდა. ცნობილი ევანგელისტის დევიდ ამსტრონგის აზრით, უფალი მუდამ ახალგაზრდაა. სიბერე სიკვდილთან სიახლოვეს ნიშნავს. ამიტომ მეფე ნიმროდი არა ბებერი, არამედ მეომარი ღმერთის დანახვას ვარაუდობდა. ამავე დროს, დურალუმინი, ფოლადი და ყინვაგამძლე ცემენტი ნიმროდის, როგორც მოაზროვნე ცხოველის გამოგონება იყო, რადგან კოსმოსში ძალიან ციოდა. მაგრამ უფალი განსაკუთრებით დაამწუხრა იმ გარემოებამ, მშენებლობის ადმინისტრაციის იდეოლოგიური მოტივაცია ჰქონდა. ეს კი უფლის აზრით ზეციური ადმინისტრაციის და თავად უფლის პრეროგატივა იყო. ამიტომ უფლის გონებაში მომწიფდა აზრი, რომ მშენებლები ძალიან გაამაყდებოდნენ და ისე გადიდგულდებოდნენ, რომ თავი ზეადამიანებად მოეჩვენებოდათ, რომელთაც უფლის გადაყენებაც კი ძალუძს. შედეგად ცის ტირანმა, ჩვენმა საყვარელმა მამამ მშენებლობის შეწყვეტა გადაწყვიტა და დაიწყო ფორმის ძიება თუ როგორ გაეკეთებინა ეს“.

კოშკის მშენებლები თავიანთ თავს უწოდებდნენ „სეპარატისტების თაობას“. მშენებელთა ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ ისინი არიან თაობა, რომლებიც გამოეყვნენ „გამოთაყვანებულ მონებს“. მშენებლების აქტივისტებმა გამოაცხადეს, რომ მათ სურთ პირდაპირი და არაორაზროვანი დიალოგი უფალთან. მათ განაცხადეს:

„ჩვენ არ ვთვლით, რომ წარმოშობით ვართ მონები, ჩვენ ვართ თავისუფალი ნების ადამიანები. ჩვენ გვინდა ვკითხოთ ჩვენს შემქმნელს თუ როგორ ვართ დაპროგრამებულები. როგორი გენეტიკური კოდი ზის ჩვენში.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ჩვენი შეგნებიდან ამოღებულ იქნას მონობისა და გამოთაყვანებულობის ბაცილა. ასევე თუ აბრამი არის უფლის ავტორიტეტი დედამიწაზე და მისი ღმერთი არის და ჩვენი ღმერთი, თუ ისინი ერთი და იგივე ღმერთები არიან, ჩვენ ვთხოვთ აბრამს რომ ჩვენთან ითანამშრომლოს და თუ იგი უარყოფს ჩვენს წინადადებას, ეს დიდი უსამართლობა იქნება. ჩვენ მოვითხოვთ რომ უფალს არ აქვს უფლება აირჩიოს და იცხოვროს ანგელოზებთან ერთად პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ზეცა ზეცაში, ხოლო ჩვენთვის გამოჰყოს ქვედა ზეცა, როგორც მეორე ხარისხოვანი არსებებისათვის. ამის მოსასპობად და თანასწორობისათვის ჩვენ ვაშენებთ კოშკს, რომელიც სტრატოსფეროს მიაღწევს. კოშკის თავზე ჩვენ მოვათავსებთ თავისუფლების სიმბოლოს, რომელსაც ერთ ხელში ხმალი ეჭირება, ხოლო მეორე ხელში ღვინით სავსე თასი. ეს ქანდაკება-სიმბოლო გამოხატავს აზრს, რომ ვინც ჩვენთან დასამონებლად მოვა, მახვილით დავხვდებით, ხოლო თუ სამოყვაროდ მოვა ღვინის თასით. ჩვენ როგორც მშვიდობიანი, ისე საომარი ურთიერთობებისათვის მზად ვართ“.

ხალხმა „სეპარატისტების თაობიდან“ ფანტასტიკური შენობა ააშენეს. ეს არ იყო არა მხოლოდ არაჩვეულებრივი შენობა, არამედ დიდი ნახტომი წინ სამყაროს შეცნობის გზაზე. კონცეპტიურად „სეპარატისტების თაობის“ წარმომადგენლები არ იყვნენ არც პოლიათეისტები და არც მონოათეისტები. ისინი ცდილობდნენ მოენახათ თავიანთი საკუთარი და მართალი ადგილი სამყაროს კონტეინერებში, სადაც ყველა ანგელოზი და ადამიანი ბედნიერი და პატივისცემული იქნება. მაგრამ ეს პოზიცია აბრამის სამყაროს თვალსაზრისის საწინააღმდეგო იყო.

აბრამი თავისი შინაგანი ბუნებით უფლის ნება-სურვილს კომენტარების გარეშე მიყვებოდა. აბრამი კოშკის მშენებლებს მოუწოდებდა მეტი პატივისცემით მოპყრობოდნენ უფალს და მისი ნებართვის გარეშე ერთი ნაბიჯიც კი არ გადაედგათ. რეალურად აბრამი პირადად არ მიდიოდა მშენებლებთან, მაგრამ თავის პოზიციას ფოსტალიონი ანგელოზების საშუალებით ახორციელებდა.

მშენებლები დღე და ღამე მუშაობდნენ. დაცვის სამსახური კოშკის სხვადასხვა სართულზე უცხო ხალხს მიზეზის გარეშე არ აძლევდა უფლებას სამშენებლო ტერიტორიაზე გამოჩენილიყო. მაყურებელს შეეძლო კოშკის მშენებლობით დამტკბარიყო მოშორებით გაკეთებული ნახევრად რკალისებური ფორმის საყურებელი პლატფორმიდან. ასეთი პლატფორმები ბაბილონის გოდოლის გარშემო იყო შვიდი, და ეს ადგილები მუდამჟამს ხალხით იყო სავსე. კოშკის მშენებლობა ნამდვილად სახალხო მშენებლობა იყო და მეფე ნიმროდი სამშენებლო პოლიგონის ხშირი სტუმარი იყო. იგი ხანგრძლივად ესაუბრებოდა იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მოქალაქეებს და ასევე კაენის შთამომავლებს, რომლებიც საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ და მშენებლობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. კაენის შთამომავლები მეტწილად კავკასიიდან და სპარსეთიდან ჩამოვიდნენ. ადრე ისინი მშვენიერი მევენახეები იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც უფალმა მათი ბოსტნეული და ხილი დაიწუნა, მშენებლები გახდნენ. მაყურებლები თითო შეკელს იხდიდნენ ყურებისათვის და ნიმროდთან საუბრისათვის.

„ჩვენ ვცდილობთ რომ მსოფლიოში უმდიდრესი ქალაქი გავხდეთ. ძალიან ვინდომებთ. ჩვენ არ ვართ საპორტო ქალაქი და ვმდებარეობთ უდაბნოში, მაგრამ ჩვენი შრომით ვცდილობთ იგი საუკეთესო ქალაქად ვაქციოთ. კაცის ან ქალაქის სიმდიდრე ის კი არ არის, რომ ქალაქის ბიუჯეტი ან საფულე ფულით სავსე იყოს. სავსე ქისა სწრაფად დაიცლება თუ იგი ოქროს ნაკადით არ ივსება. შემოსავალი აი რა არის მთავარი. თუ არ მაქვს შემოსავალი ბიუჯეტი და ქისა იცლება. თქვენ ჩემო მეგობრებო აქ მოხვედრისათვის თითო შეკელი გადაიხადეთ, რათა ჩვენი კოშკის მშენებლობისთვის გეყურებინათ. ეს ერთი შეკელი შედის ქალაქის ბიუჯეტში და ავსებს მას. ეს ნაკადი უნდა გავზარდოთ და ჩვენი ქალაქის ბიუჯეტი მსოფლიოს ქალაქებს შორის უდიდეს ბიუჯეტად უნდა ვაქციოთ“, თქვა ნიმროდმა.

„ჩვენს ქალაქს დერბენტში ასევე დიდი მშენებლობები გვაქვს“, თქვა ერთ-ერთმა მაყურებელმა, რომელსაც ბანზირ-ბანზარი ერქვა.

„სად არის თქვენი ქალაქი?“ ჩაეძია ნიმროდი.

„კავკასიაში“, თქვა ბანზირ-ბანზარმა.

„მაყურებლები გყავთ?“

„ფაქტიურად, არა“.

„იფიქრეთ იმაზე, რასაც აქ ხედავთ და დანერგეთ თქვენთან. რაც უფრო მეტი მდიდარი ქალაქი იქნება მსოფლიოში, მით უფრო ნაკლები ომები იქნება. ომებს ღარიბები და მშივრები იწყებენ. მდიდრებს ომები არ უნდათ“, ხაზი გაუსვა ნიმროდმა.

„მიიღეთ ჩვენი შემოწირულობა თქვენი კოშკის მშენებლობის წასახალისებლად“, და ბანზირ-ბანზარმა ნიმროდს ოქროთი სავსე ქისა გადასცა.

„დიდი მადლობა ჩემო მეგობარო და ხვალ საღამოს სადილად მეწვიეთ“, თქვა ნიმროდმა და ბანზირ-ბანზარს ხელი ჩამოართვა.

მალე საყურებელ პლატფორმებთან ვიზიტორების უკეთ მომსახურეობისათვის ტუალეტები და სასადილოები გაიხსნა. იქვე აშენდა მრავალრიცხოვანი სასტუმროები. ზოგიერთი პლატფორმის დღიური შემოსავალი რამდენიმე ასეული შეკელი იყო, რაც წელიწადში საკმაო თანხას აგროვებდა. ეს შემოსული თანხა მშენებლების ხელფასზე, ახალი სამშენებლო ტექნიკის განვითარებაზე და სამშენებლო მასალის ყიდვაზე იხარჯებოდა. მართლაც ეს იყო მსოფლიო ისტორიაში პირველი ტურისტული სამსახური და მეფე ნიმროდი იყო მისი დამაარსებელი.

აბრამი პოპულარული კაცი იყო ბაბილონის იმპერიის ქალაქ ურში, სადაც იგი დაიბადა, მაგრამ ბოლო პერიოდში აბრამმა მოუმატა ქალაქებში ხეტიალს და დაიწყო აგიტაცია-პროპაგანდა კოშკის მშენებლობის წინააღმდეგ. აბრამი ხაზს უსვამდა, რომ კოშკის მშენებლობა უფლის სურვილის საწინააღმდეგოა და ეს მას თავად უფალმა უთხრა. აბრამი ნიმროდის ადმინისტრაციის კანცლერისა და მთავარი ჯადოქრის თერაჰის შვილი იყო. იგი ბაბილონის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი იყო. მას საკუთარი ბიზნესი ჰქონდა. ღმერთების ქანდაკებებს აკეთებდა. აბრამს, როგორც ძალიან გავლენიანი კაცის შვილს შეეძლო სერიოზული მღელვარება მოეწყო ქვეყანაში. ამიტომ მეფე ნიმროდმა თავისთან გამოიძახა აბრამი, ჩაატარა მასთან პერსონალური საუბარი და ბოლოს უთხრა:

„თუ შენ არ შეწყვეტ შენს ძირგამომთხრელ საქმიანობას კოშკის მშენებლების წინააღმდეგ, მე ერთხელ კიდევ შევამოწმებ შენს შესაძლებლობას და მოგათავსებ შიგაწვის კამერაში, რომლებიც აღჭურვილნი იქნება ჟანგბადის მბერავებით. ერთხელ შენ წარმატებით გაიარე შენი ტესტი, მაგრამ შენმა ძმამ მარცხი განიცადა და ცოცხლად დაიწვა. შენ შენი ძმის ცოლი სარაჰ ცოლად მოიყვანე

და ახლა მეტად ბედნიერი ხარ. გინდა, რომ კიდევ ერთხელ გაიარო ტესტი ცხელ ღუმელში შენს საყვარელ ცოლთან სარაჰსთან ერთად და ერთი შევხედოთ შენი ღმერთი დაგეხმარება თუ არა?“

აბრამმა მაშინვე შეიცვალა აზრი, სწრაფად დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქ ურში, მოჰკიდა ხელი სარაჰს და თავის რამდენიმე მონასთან და მსახურთან ერთად უმოკლეს დროში დატოვა ქვეყანა და გაემართა ნოესთან, არარატის ველზე. სხვა ვერსიით, აბრამი აღთქმულ ქვეყანაში ქანაანში გაემართა.

მალე კოშკის მშენებლებმა უფლის წინააღმდეგ მძაფრი სიტყვების გამოყენება დაიწყეს, რომლებიც ბიბლიაში და სხვა წმინდა წიგნებში მოხსენიებული არ არის.

„ერთხელ ყოველ გაურკვეველ 1656 წლის შემდეგ ზეცა იმდენად ძლიერად იხევა, რომ დიდი წყალი ჩამოდის დედამიწაზე. უფულის ადმინისტრაცია ჯეროვან დონეზე არ აკონტროლებს ამ გადინებას, რაც მოკვდავთა ცხოვრებას აუტანელს ხდის. ბოლო წყალდიდობის დროს ჩვენ ფაქტიურად დავკარგეთ ჩვენი მოსახლეობა. ჩვენი პოზიციაა რომ გითხრათ, რომ თქვენმა მუშებმა უნდა შეაკეთონ ზეციური სვეტები და ამოავსონ გახეული ადგილები, რათა კვლავ არ მოხდეს წარღვნა. რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ მშენებლობას, ოფიციალურად გეუბნებით, რომ ეს კოშკი იქნება უშიშროების კუნძული და სიცოცხლის გარანტია თუ მოხდება კიდევ ერთი წარღვნა. მაშასადამე, უფალო ბაბილონის კოშკი პირველ რიგში არის ჩვენი სიცოცხლის სერთიფიკატი, რათა ვიღაც ნოეზე და მის კიდობანზე არ ვიყოთ დამოკიდებული, რომელიც წყალდიდობის დროს მიადგება თუ არა ახალ არარატის მწვერვალს, არავინ იცის“. განაცხადეს „სეპარატისტთა თაობის“ წარმომადგენლებმა.

ნიმროდი კიდევ უფრო შორს წავიდა და უთხრა ღმერთს, რომ უკეთესი იქნება თუ იგი ხანდახან გააკონტროლებს დაზიანებულ ადგილებს ზეცაში და შეაკეთებ და მას საიდანაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ყოველ 1656 წელს უამრავი წყალი იღვრება ზეციდან, რაც მოსახლეობის დაღუპვას იწვევს.

„ყველაფერი თქვენს მიერ არის შექმნილი“, თქვა ნიმროდმა და მოიყვანა ციტატა ბიბლიიდან:

„მე თვითონ შევქმენი დედამიწა და ადამიანი მასზე. მე, ჩემმა ხელებმა გადაჭიმეს ზეცა და მე ვაძლევ ბრძანებას მთელ მის ლაშქარს“ (ესაია 45:12).

„თუ ეს ასეა, ზეცის გარემონტებაც და მისი წესრიგში ყოფნაც თქვენი საქმეა“, დააზუსტა ბოოს მეფე ნიმროდმა.

„სეპარატისტთა თაობის“ ზოგიერთი წარმომადგენელი რადიკალური და ექსტრემისტული მისწრაფებებითაც გამოირჩეოდნენ. მათ განაცხადეს კიდევაც, რომ არ სურთ გამუდმებული ნერვიულობა და უფლის „ხუშტურებზე“ ყოფნა. რადგან, როგორც უფალი ამბობს „უნდა მოგვკლავს, უნდა ცოცხლად დაგვტოვებს“. ზოგიერთი „ცხელი თავი“ მოითხოვდა კიდევაც ზეცაში აჭრას და უფლის წინააღმდეგ ომის გამართვას. მათ განაცხადეს, რომ „უფალმა თავისი მომხრეებისათვის ზეცაში ნირვანა შექმნა, ხოლო ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის ჯოჯოხეთი“. რომ ღმერთმა სპეციალურად მოაწყო წყალდიდობა დედამიწაზე, რომლის დროსაც ამდენი კარგი ადამიანი დაიღუპა. დაიღუპნენ შესანიშნავი ცხოველებიც დედამიწაზე, ჰაერში და წყალშიც და ხელუხლებელი დარჩა, მხოლოდ ნოეს ოჯახი. მათ მსმენელებს შეახსენეს, რომ:

„ნოემ კი კეთილგანწყობა ჰპოვა, იეჰოვას თვალში“ (დაბადება 6:8).

მაგრამ ნოე არ იყო ისეთი კარგი კაცი, როგორც იეჰოვა ფიქრობს და აგვიწერს მას როგორც მიბაძვის მაგალითს. რადიკალი მშენებლების აზრით ნოე იყო დებოშიორი ლოთი. იგი ხშირად სვამდა ღვინოს, ზოგჯერ შეუწყვეტლად მრავალი დღის განმავლობაში და გადაიქცეოდა ხოლმე ადამიანის მსგავს ცხოველად. ხშირად სმის დროს შესვენებისას, ნაბახუსევზე პატრიარქი ნოე ხმარობდა თავისი ოჯახის წევრებს, მნიშვნელობა არ ჰქონდა ქალი იქნებოდა თუ კაცი. როდესაც ერთ-ერთმა შვილმა, ჩვენ ვერ ვბედავთ მისი სახელი ვახსენოთ, რისხვის დროს იგივე გაუკეთა მამამისს, რომელიც მთვრალი და შიშველი სახლის გარშემო დარბოდა დ ამერე კი ოთახში დაწვა, როდესაც გამოღვიძებულმა ნოემ შეატყო რომ ნახმარი იყო, დასწყევლა ის შვილი.

ნოე ასევე სექს-ცხოვრებას ეწეოდა შინაურ ცხოველებთან, ცხენებთან, ვირებთან, ცხვრებთან და ბატკნებთანაც კი. ასე რომ ასკვნიდნენ „ახალი თაობის“ წარმომადგენლები ნოეს ოჯახის გადარჩენა და ყველა დანარჩენის დახოცვა, თოთო ბავშვების ჩათვლით რბილად რომ ვთქვათ, უფლის მხრიდან უმაღლესად უსამართლო აქტი იყო.

მშენებელი აქტივისტები, განსაკუთრებით „ახალი სეპარატისტების თაობის ახალგაზრდული ლიგის“ წარმომადგენლები

ისეთი მამაცები შეიქმნენ და ისეთი ძალის შინაგანი მოზღვავეობა იგრძნეს, რომ დემონსტრაციულად ისარი სტყორცნეს ზეცაში. მალე ისარი უკან ჩამოვარდა, საიდანაც სისხლი წვეთავდა და „ახალგაზრდული ლიგის“ აქტივისტებმა რეალურად დაიწყეს ფიქრი, რომ მათ ომი დაუწყეს ზეცის მოსახლეობას და მათ ლიდერს უფალ იეჰოვას.

უფალი მეტად უკმაყოფილო და დასევდიანებული იყო მოკვდავთა საქციელით. იგი ხალხის განცხადებას:

„მოდი ავაშენოთ ქალაქი და კოშკი, ცას რომ მიწვდეს და სახელი რომ გავითქვათ, რათა არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე“ (დაბადება 11:4).

თვლიდა სიბრიყვედ და დროისა და ენერგიის ფუჭად ხარჯვას. უფალი უფრთხილდებოდა ადამიანთა ჯანმრთელობას და არ სურდა, რომ მათ უმიზეზოდ დაეხარჯათ თუნდაც ჭარბი ენერგია.

ამავე დროს ჩვენ შეგახსენებთ, რომ ადრე უფალმა თავის ხალხს უთხრა: „ინაყოფიერეთ, გამრავლდით და აავსეთ დედამიწა“ (დაბადება 9:1) რაც ნიშნავდა, რომ ჰუმანოიდებს უნდა ეცხოვრათ დედამიწის ზედაპირზე. ღმერთების მეფე, ცის ტირანი და ჩვენი მოსიყვარულე უფალი წინააღმდეგი იყო, რომ ადამიანებს აევსოთ კოსმოსური სივრცეები. მხოლოდ რჩეულ ადამიანებს შეეძლოთ ზეცაში აჭრილიყვნენ. ღმერთს ხალხისათვის სხვა გეგმა ჰქონდა.

მოკვდავთა ეს საქციელი, რომ არაფერი ვთქვათ მათ განცხადებებზე, ორგანიზება გაეკეთებინათ მომავალ სავარაუდო ომზე ზეცაში და თვით უფლის გადაყენების გეგმა რეალურად ნიშნავდა ხალხის კოლექტიურ დაუმორჩილებლობას.

ბოლოს ძალიან შეწუხებული და პროვოცირებული, აღგზნებულიც კი ჩვენი შემოქმედი აივანზე გამოვიდა, ქვემოთ გადმოიხედა და თავის ანგელოზებს უთხრა: ჩავიდეთ ქვევით და ქალაქი და კოშკი დავათვალიეროთ, რომლებსაც ადამიანთა ძეები აშენებენ. მართლაც ანგელოზებს შორის სატანაც ერია და იგი უფალთან ერთად მშენებარე ქალაქისა და კოშკის სანახავად გაეშურა.

„ნახე, ღამეც კი არ ჩერდებიან“, უთხრა უფალმა სატანას.

„თქვენის შიშით ცდილობენ, რაც შეიძლება მალე დაამთავრონ მუშაობა და ზეცას მისწვდნენ“, მიუგო მოწიწებით სატანამ.

„ერთი ხალხია. ყველას ერთი ენა აქვს და აი, რისი გაკეთება წამოიწყეს. რასაც განიზრახავენ ყველაფერს გააკეთებენ“ (დაბადება 11:6) შენიშნა უფალმა.

„ერთი შეხედვით ცუდი მშენებლობა არ არის. კოშკს მრავალი ფუნქცია ექნება, მათ შორის ლაბორატორიის, კოსმოსური პლატფორმის და ობსერვატორიის“, ჩაურთო სატანამ.

„ადრეა ეგ მაგათთვის. გაამაყდებიან, უფროსს არაფრად ჩაგდებენ, ამპარტავნობას დაიწყებენ და ცას ქუდად არ ჩათვლიან, ხოლო დედამიწას ქალამნად“, თქვა უფალმა.

„ყველაფერი თქვენი გეგმით ვითარდება“, შენიშნა სატანამ.

„გეგმა ერთია და შესრულება მეორე“, თქვა უფალმა და ამის შემდეგ ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. იმის მაგივრად, რომ ბედნიერი ყოფილიყო, რომ მისმა პირმშოებმა ასეთი შესანიშნავი ნაგებობა და ნაგებობების კომპლექსი შექმნეს, ასეთი შესანიშნავი საინჟინრო დაგეგმარებით რომლის დროსაც გამოყენებული იქნა მანამდე არნახული გამძლე და მსუბუქი მასალები, უფალმა უბრძანა სატანას შეეწყვიტა კაცობრიობის აქტიური მოძრაობა პროგრესისაკენ.

„მოდი, ჩავიდეთ კიდევ ერთად, სჯობს თავად ჩადი ენები ავურიოთ, რათა მათ ვეღარ შესძლონ ქალაქისა და კოშკის მშენებლობა“, გაფანტე ეგენი მთელს დედამიწის ზურგზე, რათა მიატოვონ მათ ქალაქისა და კოშკის მშენებლობა“ (დაბადება 11:7,8).

გულდამძიმებული სატანა, უფლის მარჯვენა ხელი და უფლის პარლამენტის უცვლელი თავმჯდომარე უხმოდ დაეშვა ბაბილონში და მოყვა მის ქუჩებში სიარულს, დაესწრო მეფე ნიმროდის სასახლეში ინჟინერთა თათბირს და გაემართა კოშკისაკენ. დაათვალიერა დამხმარე სათავსოები, მუშათა საერთო საცხოვრებელი, მეცნიერთა კორპუსი და აუყვა კოშკს აღმა.

რეალურად ხალხმა გამოიგონა მანამდე არნახული მეცნიერული მიღწევები. მაგალითად, მათ შესძლეს ძალიან მაღალ სიმაღლეზე აეწიათ განათების, ვენტილაციის, კანალიზაციის და სეისმოლოგიური საკითხები. ყველა ამ საკითხის გადაჭრა აუცილებელია სახალხო თავშეყრის ადგილებში. ჩვენთვის უცნობი მიზეზით უფალი ძალიან გაწყრა, როდესაც ადამიანებმა შესძლეს გაუხეშებულ გარემოში მუშაობა. მათ შექმნას ხელოვნური ბაღები და აკეთებდნენ დამატებით ჟანგბადს. მშენებლებისა და ბაბილონის მომავალი ადმინისტრაციის ჯგუფი ცხოვრობდა და მუშაობდა კომფორტაბელურ აპარტამენტებში და ოფისებში. ისინი იყენებდნენ ხელოვნურ ჰაერს, რომლებიც სპეციალურ კამერებში იყვნენ ჩატუმბულები. ეს პერმანენტული საკნები ერთმანეთთან თიხის

მილებით იყვნენ შეერთებულები, რომლებშიც კომპრესორები და მბერავი მანქანები განუწყვეტლივ მუშაობდნენ. მეფე ნიმროდმა თავად გამოიგონა და წარმოებაში დანერგვა პერპეტუმობილე მანქანის ოთხი ვარიანტი. კიდევ თერთმეტი ვარიანტი მანქანისა მისმა მეცნიერებმა დანერგეს და გამოიგონეს. მეფე ნიმროდის ხალხი იყენებდა იმ დროის მოწინავე სამედიცინო მიღწევებს. ადამიანები უნდა შეჩვეულიყვნენ რომ შეენახათ ენერგია ღამის პერიოდში, ხელოვნური განათების პირობებში და ეტარებინათ სპეციალური თბილი ტანსაცმელი, რადგან 5 მილის სიმაღლეზე ძალიან ციოდა და ბევრი სხვა პრობლემა ხალხმა წარმატებით დასძლია.

სატანას ხელი არ მოუბრუნდებოდა ადამიანთა საქმიანობის აღსაკვეთად. იგი როგორც იობის შემთხვევაში დილემის წინაშე აღმოჩნდა, რაც არ უნდა გაეკეთებინა, მას ქრისტიანების წინაშე ცუდი გამოდიოდა. დაემორჩილებოდა უფლის ნებას თუ არ დაემორჩილებოდა ერთი შედეგი იყო. სატან უკან დაბრუნდა და უფალს წარუდგა.

„რა ჰქენი, გაფანტე ხალხი?“ ჰკითხა უფალმა.

„თქვენო უდიდებულესობავ, ხალხის გაფანტვა ადვილია. ძნელია მათი თავიდან შეკრება“, განაცხადა სატანამ.

„მე მესმის შენი, მაგრამ საქმე ამას მოითხოვს“, თქვა უფალმა და კვლავ მოუხმო ანგელოზ-მსახურებს.

„ჩადით ქვევით და აურიეთ მათ ენები, რომ ერთმანეთის ვერაფერი გაიგონ, კოშკი ვერ დაამთავრონ, პროგრესი არ გააგრძელონ, თორემ ხვალ აქ მოვლენ, ყველას გადაგვაყენებენ და უსაქმოდ დავრჩებით“, ბრძანა ყოვლის შემძლე უფალმა.

აქ ერთი გარემოებაა. უფალმა ეს მრავალისმომცველი გადაწყვეტილება მარტომ არ მიიღო, არამედ კოლექტიურად. ჯერ სატანა ჩართო საქმეში, რომელიც უფლის ყველაზე დელიკატურ დავალებებს ასრულებდა, როგორც ეს იობის ოჯახის ისტორიის შემთხვევაში მოხდა, მაგრამ მას მერე რაც სატანამ ფაქტიურად დავალების შესრულებაზე უარი განაცხადა, უფალმა სხვა ანგელოზებს მოუხმო. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ვინ იყვნენ ის მსახური ანგელოზები, რომელბმაც ასეთი არსებითი როლი შეასრულეს ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრაში? ვინ იყვნენ ის ერთგული მსახური ანგელოზები, რომლებიც უფლის აივნიდან ქვევით, დედამიწაზე დაეშვნენ და პროგრესი შეაჩერეს? ვინ იყვნენ უფლის ეს ფავოტირები?

ძველი აღქმა და სხვა ლეგალური, კანონიკური ლიტერატურა, ამ საკითხზე ჩუმად არის და ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ანგელოზები იყვნენ გაბრიელი, მიჰეილი, სირიელი, რაფაელი და შესაძლებელია იესო ქრისტე და არა არქანგელოზი სატან-მეგატრონი, რადგან ეს უკანასკნელი ყოველთვის იყო ტექნოლოგიური პროგრესის მხარეს და იყო მეფე ნიმროდის ახლომდგომი ადვოკატი.

შესაძლებელია მშენებელთა დედამიწაზე გაფანტვის საქმეში დიდი წვლილი გადამწყვეტი თუ არა მიუძღვის გაბრიელს და მიხეილს, რომლებიც ყოველთვის ახორციელებენ ყველა სადაო და არაპოპულარულ საქმეს.

როგორც ექსპერტები აღწერენ ხალხი, რომლებიც „ბაბილონის გოდოლას“ აშენებდნენ, ეძებდნენ „სახელსა“ და „რეპუტაციას“ თავიანთი თავისათვის.

„აი, ავაშენებთ გოდოლას და ყველა ჩვენს ქებაში და ხსენებაში იქნება“, აცხადებდნენ მშენებელი ინჟინრები და მათი მეფე ნიმროდი.

ისე, რომ ვთქვათ, „სახელის მოხვეჭა“, სირცხვილი ან კრიმინალი სრულიადაც არ არის. რატომ გაანაწყენა ნიმროდის ამ ნაბიჯმა ჩვენი დიდი უფალი ღმერთების ლორდი? რატომ შეწყვიტა მოკვდავთა გატაცებული საქმიანობა? ხომ ცხადია, რომ კაცობრიობა, ნიმროდის ხელმძღვანელობით ახდენდა იმ პოტენციალისა და განვითარების, იმ ტექნოლოგიური დონის ადრეულ დემონსტრირებას რაც დღევანდელი დღისათვის არის დამახასიათებელი. მოგვიანებით ისტორიულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ კაცობრიობამ ცხენის ძალის გამოყენების დონიდან მთვარეზე დაჯდომა 100 წლის განმავლობაში განახორციელა. ამიტომ ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ თუ არა უფლის ბრძანებით განხორციელებული ენების აღრევა, მთვარეზე დაჯდომა ათასობით წლით ადრე მოხდებოდა.

ამიტომ გასაგებია თუ რატომ თქვა ჩვენმა შემქმნელმა ჩვენს შესახებ:

„ეს ხალხი, რასაც მოინდომებენ და განიზრახავენ, ყველაფერს გააკეთებენ“ (დაბადება 11:6).

რომელი ტექნოლოგიური სტადია იგულისხმა უფალმა, რომელსაც ხალხი გააკეთებს თუ მოინდომებენ განიზრახავენ? სად არის მათი შესაძლებლობების ლიმიტირებული ზღვარი? რა

მიზეზით შეაჩერა უფალმა პროგრესი ათასობით წლით ადრე სანამ „აპოლონი“ მთვარეზე დაჯდებოდა და ნეილ ამსტრონგი მთვარეზე პირველ ნაბიჯებს გადადგამდა?

ამ კითხვების არსებობის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ბაბილონის გოდოლა“ მრავალფუნქციანი სამშენებლო კონსტრუქცია იყო. შესაძლებელია „კარიბჭე უფლისა“ ყოფილიყო. ეს ნიშნავს, რომ კოშკის თავი იყო არა მარტო ობსერვატორია, არამედ პატა-პულა-პლატფორმა კოსმოსური ხომალდებისათვის.

ის გარემოება, რომ იმ დროს დედამიწაზე უამრავი საფრენი აპარატები და აეროდრომები იყო, შედარებით ვრცლად ჩამოთვლილია სატანას „ციური ქრონიკების“ ერთ-ერთ თავში, რომელსაც „წარსული“ ეწოდება.

მართლაც თუ ხალხი უფლის ბრძანებით გაიფანტა დედამიწაზე, კონტაქტები მათ შორის შესუსტდა და ზოგ შემთხვევაში თითქმის გაქრა. ბაბილონის კოშკის მშენებლობა და ნაწილობრივ მისი ფუნქციონირება უეცრად არ შეწყვეტილა. მშენებლებმა მოასწრეს გამშვები პლატფორმის ამუშავება, საიდანაც სტარტს იღებდნენ „ზეცაში დაბადებული და ცეცხლოვანი ხელსაწყოები“ რომლებიც გაფანტულ ხალხებს შორის მიმოფრინავდა. ამის გამო, ფრიად გასაგებია მშენებელთა ნაწილის სურვილი გადაეყენებინათ ტახტიდან შემოქმედი, რომლისაც მათ უკვე არ სჯეროდათ.

მაგრამ ნიმროდის იმპერია თანდათან გახუნდა და გაქრა. უდიდესი მიგრაციული ტალღები წარმოიშვა დედამიწის ყოველ კუთხეში. ნიმროდის ადრინდელი იმპერია უფალმა დაიმორჩილა, მაგრამ ნიმროდის ძალაუფლება კიდევ დიდხანს არსებობდა. ნიმროდის გული გაჭირვებაში კიდევ უფრო გაკაჟდა, მისი ხალხი მეფის გარშემო კიდევ უფრო დაირაზმნენ. დიდების დღეები ჩქარა ჩაესვენა, მაგრამ ნიმროდი კიდევ დიდხანს აკონტროლებდა სიტუაციას.

უფალი აგრძელებდა ზომიერ ძირგამომთხელ პოლიტიკას ბაბილონის კოშკის წინააღმდეგ. თავდაპირველად უფალმა გაამკაცრა კლიმატური პირობები კოშკის სტრატოსფერულ ნაწილში. უჰაერობის გამო ათასობით კოშკის განყოფილებები დაიხურა. უზარმაზარი დაკიდული ბაღების მოსავალი განადგურდა. საკანალიზაციო სისტემა მოიშალა. ბოლოს ზედა პლატფორმაზე „შატლებმა“ ფრენა შეწყვიტეს და სხვა სადგურებში გადავიდნენ, ხოლო ხალხმა კოშკის ქვედა ნაწილებში გადაინაცვლა.

საბოლოოდ კოშკი დაეცა უფლის მიერ მოწყობილ გრანდიო-

ზული მიწისძვრის შედეგად და შინარის მოსახლეობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გაიფანტა. ჩვენი მოსიყვარულე ცის ტირანი ამასაც არ დასჯერდა. ხალხი რომ კვლავ ერთმანეთს არ დაკავშირებოდა უფალმა მანამდე არსებული გიგანტური კონტინენტი ფანგეა გააპო რამდენიმე პატარა ნაწილებად, ისეთებად, როგორც დღეს ვიცნობთ.

ბაბილონის გოდოლა დღემდე რჩება მსოფლიოს ყველაზე გრანდიოზულ ნაგებობად. ბოლო დღეების რეკორდსმენები „ბურჯ ოვ ხალიფა“, „აზერბაიჯანის კოშკი“ და „ბურ ოვ გრეით არმენია“ ახლოსაც ვერ მივლენ ბაბილონის გოდოლასთან.

თავად განსაჯეთ:

პირველი საუკუნის გნოსტიკური ხასიათის „იუბილეების წიგნი“ შენიშნავს, რომ კოშკის სიმაღლე 5.433 ქუბითი (1 კუბით უდრის 45.79 სმ) და ორი მტკაველი იყო. ან 2.484 მეტრი (8.150 ფუტი). მაშასადამე, ბაბილოის კოშკის სიმაღლე „იუბილეების წიგნის“ მიხედვით ყოფილა 1.6 მილის სიმაღლე.

ბარუხის მესამე აპოკალიფსი იუწყება, რომ კოშკის სიმაღლემ 453 ქუბითს მიაღწია, რაც 211.8 მეტრია (695 ფუტი). ეს იყო ყველაზე მაღალი შენობა კაცობრიობის ისტორიაში, სანამ ეიფელის კოშკი არ აშენდა 1889 წელს, რომლსი სიმაღლემ 324 მეტრს (1063 ფუნტს) მიაღწია.

ისტორიკოს ოროსიუსისგან ვიცით, რომ კოშკის კედლები გამომწვარი აგურებით იყო ნაგები და დაცემენტებული იყო კირით და ბიტუმით. კედლებს ჰქონდათ 50 კუბითი სიგანე, 200 კუბითი სიმაღლე და 470 სთეითი დიაგონალში. კედლებს ჰქონდათ 23 კარიბჭე ყოველ მხარეს. სულ ოთხივე მხარეს გამოდიოდა 92 კარიბჭე. კარიბჭეები, სადაც ხალხი გამუდმებით მიდი-მოდიოდა, ბრინჯაოსგან იყო ჩამოსხმული. ამ კაცმა ბევრი საინტერესო თქვა ბაბილონის კოშკზე, მაგრამ საბოლოოდ ეს ნაგებობა დაპყრობილი და განადგურებულ იქნაო.

ჯიოვანი ვალაი დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის 1300 წელს ამბობდა:

„მისი ზომა იყო 80 მილი ირგვლივ და თითქმის 4000 ნაბიჯი სიმაღლეში, რაც შეადგენდა 3.68 მილის სიმაღლეს და 1000 ნაბიჯის სისქეს, და ყოველი ბიჯი (ნაბიჯი) არის სამი ფუტი“.

მე-14 საუკუნის მოგზაური ჯონ მანდოველე ეყრდნობოდა რა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციას, აცხადებდა, ბა-

ბილონის გოდოლას სიმაღლე იყო 64 ფარლონგი (1 ფარლონგი უდრის 201 მეტრს) ან 13 კილომეტრს (8 მილი).

მე-17 საუკუნის სავარაუდოდ უნგრელი წარმოშობის ბიბლიური ექსპერტი ვერსტემანი ვარაუდობს, რომ ბაბილონის კოშკის სიმაღლე იყო 7.6 კილომეტრი ან 4.7 მილი. ამ ავტორს მოჰყავს წყარო უცნობი მკვლევარისა, რომელიც აცხადებს, რომ წრიული, ქვემოდან კოშკის წვეროსკენ მიმავალი გზა ისეთი ფართე იყო, რომ მის ცენტრის მხარეს იყო უთვალავი აპარტამენტები მუშებისათვის, ბოსლები და სხვა დამხმარე სათავსოები შინაური ცხოველებისათვის, ნაკვეთები, ბოსტნეულის მოსაყვანად და ასევე იყო სხვა მეტად სასარგებლო სივრცეები. სხვა ავტორი აღნიშნავს, რომ ბაბილონის გოდოლზე წრიული და ტერასულად განლაგებული მინდვრები იყო, სადაც შინაური ცხოველები სიამოვნებით ძოვდნენ.

პროფესორ გორდონს მითითებული აქვს კოშკის სიმაღლე, რომელიც შემდეგი გარემოების მიხედვით გამოიანგარიშა. ელემენტარული მათემატიკური გაანგარიშება აჩვენებს, რომ კოშკი პარალელური კედლებით აშენებული უნდა ყოფილიყო 2.1 კმ სიმაღლის (1.3 მილი). ამ სიმაღლის შემდეგ კოშკის აგურები, საძირკველთანაც გასკდებიან, სასიკვდილო სიმძიმის გამო. ასევე კედლების აშენება უფრო მაღლა ჟანგბადის სიმცირის გამო შეუძლებელი იქნებოდა და ეს მოხდებოდა მანამდე, სანამ დასკდებოდნენ.

ბიბლიური კომენტატორი ვილანტი მიუთითებს დროზე, რომლის დროსაც დაიწყეს კოშკის მშენებლობა. იგი დაიწყო წყალდიდობიდან 700 წლის შემდეგ და ეს იყო 2354 წელი. მას შემდეგ, რაც სამყარო შეიქმნა ენების აღრევაც ასევე მოხდა წარღვნიდან მე-700 წელს. მაშასადამე, ასკვნის ვილანტი, ენების აღრევა და მსოფლიოს დიდი მიგრაციის დაწყება მოხდა სამყაროს შექმნიდან 2554 წლის შემდეგ.

ჩვენის მხრივ ავღნიშნავთ, რომ იმ დროს ადამიანი უფრო ხანგრძლივად ცხოვრობდა. კოშკის მშენებლობა გაგრძელდა 107 წელს. გამოდის, რომ ენების აღრევა მოხდა 800 წელს წარღვნის შემდეგ.

კაბალას თანახმად, უფალი არ დაკმაყოფილდა ენების აღრევით და ხალხის გაფანტვით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მან კოშკის ერთ-ერთი მთავარი ოსტატი-მშენებელი, ავტორი ბევრი ტექნიკური ინოვაციისა დასაჯა, გადააქცია რა იგი ნახევრად

დემონურ ქმნილებად. ეს მისტიკური, ჭკვიანი მოკვდავი არსება განიდევნა, ე. წ. „სამ პარალელურ“ განზომილებაში, სადაც ახლა მისი შთამომავლობა ცხოვრობს. ამ არსებებს ახლა უკვდავების სტატუსი აქვთ, შეუძლიათ გამრავლდნენ, შეჯვარდნენ ადამიანებთან, მაგრამ არ არიან უფლისაგან დალოცვილები და არ აქვთ ხსნის გზა. როდესაც მეცნიერები რაიმე ახალს ეძებენ, სწორედ ეს ნახევრად დემონი ჭკვიანი არსებები, თუ მეცნიერები მოეწონებათ სიზმარში ძიების საგნის პასუხს აცხადებენ. დაახლოებით 90 პროცენტი დღევანდელი მეცნიერული წარმატებისა ამ ოსტატის შთამომავლების შემოქმედების შედეგია, რომლებიც დღესაც აგრძელებენ კაცობრიობის საკეთილდღეოდ მუშაობას, თუმცა უფალი და მისი ანგელოზები მკაცრად ალიმიტებენ მათ საქმიანობას.

კვლავ ისმის კითხვა:

ბაბილონის კოშკის მშენებლობის შეწყვეტა და ენების აღრევა იყო უფლის მიერ მოვლენილი სასჯელი კაცობრიობისადმი თუ პედაგოგიურ-აღმზრდელობითი აქტი, რათა ხალხი უფრო მიმზიდველი და განათლებული გამხდარიყო.

სასჯელი არის სხვადასხვა სახის. მოდით გავიხსენოთ გამოცდა-სასჯელი იობისა. ჩვენ გაგვიგია, რომ არსებობს ფიზიკური სასჯელი, გენეტიკური სასჯელი. არის დისციპლინარული სასჯელი. შესაძლებელია კაცი დასაჯო, რათა მან დროებით არ ნახოს თავისი ოჯახის წევრები. დროებით არ დალიოს წყალი და ასე შემდეგ, მაგრამ „ბაბილონის გოდოლას“ მაგალითზე ხალხს ერთმანეთის აღარ ესმით სამუდამოდ“. ბიბლიაში და სხვა წმინდა წიგნებში არ არის მითითება, რომ „ბაბილონის კოშკის“ ინციდენტის შემდეგ ხალხმა ერთ დღეს კვლავ გაუგეს ერთმანეთს. ასე, რომ უფლის კომუნიკაბელური და გადამდები სასჯელი არის სამუდამო, უვადო. დღესაც კი ადამიანთა დიდ ნაწილს ერთმანეთის არ ესმით. არსებობს დიდი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ენობრივი ბარიერის მიღმა რჩებიან. მაშასადამე, ენების აღრევა არის ძალიან ძლიერი, უვადო სასჯელი. იგი გაცილებით ძლიერია, ვიდრე სიკვდილით დასჯა. იგი დღემდე არსებულ სასჯელებს შორის ყველაზე ძლიერია. კაცობრიობის უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად დღემდე არ აქვს შემუშავებული გეგმაც კი, თუ როგორ დაიძლიოს უფლის ეს გამანადგურებელი სასჯელი.

ჩვენი დიდი ლორდი ჯეჰოვა საბათაი, ჩვენი უმაღლესი ღვთაება ზეცაში არის ჩვენი დიდად მოსიყვარულე ღმერთების

დიდი ღმერთი. ხალხების უმეტესობა მას უსიტყვოდ ემორჩილება, მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს რამდენიმე უფლისადმი დაუმორჩილებლობის ცნობილი შემთხვევა.

ადამის პირველი ცოლი ლოლიტა არ დაემორჩილა უფალს.

კაენი უფლის ავტორიტეტის წინააღმდეგ წავიდა.

ნიმროდი უფლის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა.

სატანას აჯანყება ლორდის წინააღმდეგ.

თუ სატანას აჯანყება, რომელიც მოხდა უკვე ან მოხდება მომავალში ლორდის დიქტატურის წინააღმდეგ არის მიმართული და გეგმაში მისი გადაყენება იყო, რათა პარლამენტარულ-დემოკრატიული წესრიგი დაემყარებინათ ზეცაში, ნიმროდის მოძრაობა დედამიწაზე იყო ადამიანთა უფლებების დაცვის მოტივით. თუ სატანას აჯანყება ზეცაში მოხდა და მთავარი მამოძრავებელი ძალა ანგელოზები იყვნენ. ნიმროდის მოძრაობა ადამიანთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო.

ეჭვი არ არის, რომ ნიმროდის ხალხს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ლუციფერთან და მისი ჯგუფის, სატანიელთა დაჯგუფების სხვა წევრებთან. მაგალითად, ასტრონომიულ მეთვალყურეებთან, მაგრამ პირველ რიგში, ნიმროდის მოძრაობა მოკვდავთა მოძრაობა იყო, რომლებიც შემოქმედმა სასტიკად დასაჯა. უფლის სასჯელი კაცობრიობის მიმართ იმდენად მკაცრი იყო, რომ ისინი ამ ამბის შემდეგ ათეულობით საუკუნის განმავლობაში ჰაერში ვერ ავიდნენ.

როგორც „დაბადებაში“ არის მითითებული ნიმროდი იყო რკინის მუშტისა და დიდი ნებისყოფის კაცი. ინიციატორი ბაბილონის კოშკის პროექტისა და ბაბილონის შემქმენელი.

„ქუშს შეეძინა ნიმროდი. ის იყო პირველი ძლევამოსილი ადამიანი დედამიწაზე... ძლიერი მონადირე, იეჰოვას მოწინააღმდეგე... ბაბილონით, ერებით, აქადითა და ქალნით ჩაეყარა საფუძველი მის სამეფოს შინარის მიწაზე... საიდანაც შევიდა ასურეთში და ააშენა ნინევე, რეხობონირი, ქალახი და რესენი... ნინევესა და ქალახს შორის... წარმოიქმნა ერთი დიდი ქალაქი“ (დაბადება 10:8-18).

ნიმროდის გამოსვლა მარცხით დასრულდა. ნიმროდი მიწაზე და სატანა ზეცაში არიან ხელმძღვანელები უფლის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებისა.

ვინ იქნება შემდეგი?

ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი გამომწვევი კანდიდატი ამ როლზე. ჩვენ არ გვაქვს უფლება მისი სახელი ვახსენოთ, მაგრამ იგი უფ-

ლის ერთ-ერთი შვილია, შესაძლებელია უფლის ერთადერთი, „ბიოლოგიური ვაჟი“. ამის შესახებ მრავალი ფაქტი არსებობს. აჯანყდება იგი უფლის წინააღმდეგ თუ არა ჯერ არ ვიცით. ეს „უკანასკნელ დღეებში“ გაირკვევა. შესაძლებელია მისი აჯანყება უკვე მოხდა. შესაძლებელია მან გაითვალისწინა რა სატანას შეცდომა და ბათქა-ბუთქით კი არ დაიწყო ომი, უფლის ტახტისათვის არამედ ზეციური გადატრიალება მოაწყო და უკვე აკონტროლებს ჩუმად ზეცას. ვინ იცის.

ბაბილონის გოდოლა მსოფლიოს ერთიანობის სიმბოლოა. ეს იდეა. ნიმროდის მარცხის შემდეგ არ შეწყვეტილა და დღესაც არსებობს. ევროპარლამენტი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში შექმნილია ბაბილონის კოშკის მანერაზე და სიმბოლურად ადამიანთა ერთიანობას გამოხატავს.

ბოლო ათწლეულების მანძილზე მხოლოდ ერთ კაცს სურდა „ბაბილონის გოდოლას“ რეალურად აღდგენა. ეს იყო ერაყის ყოფილი დიქტატორი სადამ ჰუსეინი. ბაბილონის კოშკის ნანგრევები არსებობენ ერაყის დედაქალაქ ბაღდადის მახლობლად და სადამმა იცოდა ეს. მან მილიონობით დოლარი დახარჯა არქეოლოგიურ ექსპედიციებში. დღეს მრავალი გადაკეთებების გამო ძალიან ძნელია ნიმროდის დროის ბაბილონის ნანგრევების პოვნა. ჰუსეინი ამ მიმართულებით შეუპოვრად მუშაობდა. მას უნდოდა კოშკის საფუძვლის გარანტირებული პოვნა და ამ ფაქტის გამოყენება არაბთა გაერთიანებისათვის, მაგრამ ჰუსეინის ცდები უშედეგოდ დასრულდა. იგი დაიღუპა ცნობილ ბრძოლებში ებრაულ-მასონურ-ამერიკული ჯარების წინააღმდეგ და მისი ცდა მარცხით დასრულდა.

ნუთუ ჰუსეინის ცდა დასრულდა და ეს საბოლოოა? არის საშუალება რომ აღდგეს ნიმროდის კოშკი?

ბაბილონის კოშკის აღდგენა ძალუძთ მხოლოდ არაბებს ეს მათ ინტერესებშია, მაგრამ ეს დიდი მოვლენა მოხდება მას შემდეგ, როდესაც ისინი მოიპოვებენ სრულ პოლიტიკლურ ძალაუფლებას ახლო აღმოსავლეთში. რამდენიმე არაბულმა ქვეყანამ უკვე ააშენა უზარმაზარი კოშკები ან აშენებს მას. ამ ცათამბჯენებმა ფაქტიურად სტრატოსფეროს მიაღწიეს და ეს პროცესი გრძელდება. დუბაიში დგას გრანდიოზული „ბურჯ ჰალიფა“. ახლოს არის დასრულებასთან მსოფლიოს უმაღლესი კოშკი „აზარბაიჯანის გოდოლა“. სომხები გეგმავენ „დიდი სომხეთის ბურჯის“ აშენე-

ბას დასავლეთ საქართველოს ქალაქ ლაზიკაში. ეჭვი არ არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს არაბები ააშენებენ ბაბილონის კოშკის ტიპის შენობას და ეს იქნება ნიშანი, რომ ისინი უფრო არსებითი როლის შესრულებას დაიწყებენ მსოფლიოში, ვიდრე დღეს ასრულებენ. ამისათვის იშმაილის შთამომავლები პოლიტიკურად და ეკონომიკურად უნდა გაერთიანდნენ „დიდ არაბისტანში ან არაბთა ხალიფატში". ის არ იქნება დღეს არსებული დაიშის ტიპის ხალიფატი. ის იქნება გაერთიანება, რომელიც პასუხს გასცემს არაბთა ნატურალურ ინტერესებს, რათა იცხოვრონ ერთიან არაბისტანში. ახლა ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ეს პროცესი ლოკომოტივირებულია, მაგრამ საკითხი დგას ასე: მოესწრება თუ არა მისი დასრულება „უკანასკნელ დღემდე"?

კაცობრიობის ისტორიაში კულმინაცია ძალიან სწრაფად ახლოვდება და ეს პროცესი ძალიან ლიმიტირებულია. მოასწრებენ არაბები აღადგინონ ბაბილონის კოშკი თუ არა, ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი დღეს.

„ბაბილონის გოდოლა" არის არაებრაელი ერების გოდოლა. როდესაც ნიმროდმა კოშკის მშენებლობა დაიწყო ებრაელები არ არსებობდნენ. არ იყვნენ ასევე სომხები და სხვა გამოჩენილი ერები.

ებრაელები უფლის რჩეული ხალხია. ისინი ჩამოყალიბდნენ როგორც ერი ეგვიპტის ტყვეობის შემდეგ უდაბნოში 41 წლის ხეტიალის შემდეგ. ეს მოხდა სინას ნახევარკუნძულის რაიონში. ებრაელთა ლიდერი მოსე და ნაწილობრივ ეგვიპტელი სამღვდელოება ქმნის წიგნების მეფეს, ბიბლიას, რომელიც არის ებრაელი ხალხის ინსტრუქცია და ზღაპრებისა და იგავების კრებული დასაბამიდან სამყაროს დასასრულამდე. ეს წიგნი სახელმძღვანელო წიგნია, როგორც ებრაელებისათვის, ისე ჯენთაინებისათვის ანუ არაებრაელი გოიმებისათვის. ორივე გოიმებიც და ებრაელებისაც სურთ მათ ეს თუ არ სურთ ემორჩილებიან ბიბლიის ინსტრუქტაჟს.

ბიბლია გმობს ერების გაერთიანების იდეას. ბიბლია წინააღმდეგია ებრაელი ხალხის აბსორბციისა და შერწყმისა გოიმებში. ბიბლია და ებრაელთა დიდი ღმერთი იეჰოვა საბათაი წინააღმდეგია ერების გაერთიანებისა და ერთი ენისა, რაც ნათლად დამტკიცდა „ბაბილონის კოშკის" ინციდენტში. მაშასადამე, ებრაელები წინააღმდეგნი არიან „ბაბილონის კოშკის", როგორც გოიმების ერთიანობის სიმბოლოს აღდგენისა, რაც მათ ინტერესებში არ შედის.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოისობითაც ებრაელები ერების უნიფიკაციის წინააღმდეგნი არიან.

ებრაელ ხალხს არ სჭირდება უფალთან ურთიერთობაში ანგელოზების სერვისი. ისინი ღმერთს პირდაპირ ემსახურებიან და შეთანხმება აქვთ უფალთან დადებული. იაჰვე ებრაელთა პირადი უფალია და მასთან ურთიერთობა პატრიარქებისა და წინასწარმეტყველებების საშუალებით ხორციელდება. ებრაელები უფლის საქმის გამკეთებლები არიან დედამიწაზე. ისინი უფლის ერთგული ჯაშუშები არიან. ყოველ სხვა ერს ჰყავს შესაბამისი შუამავალია ანგელოზი უფალთან ურთიერთობაში. ებრაელებს ეს არ სჭირდებათ. ყველა შუამავალი ანგელოზი გოიმებსა და უფალს შორის არის ებრაელთა კონტროლში.

ებრაელები ეჭვიანები არიან. ისინი შიშობენ, რომ რომელიმე გოიმი ერი ერთ მშვენიერ დღეს შესძლებს პირდაპირი კავშირის დამყარებას უფალთან, როგორც ეს ნიმროდმა სცადა. თუ ეს მოხდება, ებრაელთა გავლენა უფლის სათათბიროში დაიწევს. ებრაელები ცდილობენ, რომ ასეთი პრეცენდენტი არ გამოჩნდეს, რაც ებრაელთა ფუნქციას შეკვეცავს.

მაშასადამე, „ბაბილონის გოდოლას“ დანგრევა და ერების აღრევა ებრაელთა ინტერესშია. ისინი გაფანტულ ხალხებს უკან გაყვნენ. მათ ახალ საცხოვრებელ ადგილებში და უფლის აგენტების როლის თამაში დაიწყეს. ეს ძალიან მომგებიანი და ხელსაყრელი პოზიციაა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ებრაელ ხალხს პირდაპირი კონტაქტი აქვს უფალთან თავისი წინასწარმეტყველებებისა და პატრიარქების დახმარებით თავის მხრივ უფალსაც კონტაქტები აქვს თავის რჩეულ ხალხთან და ეჭვს გარეშეა, რომ ეს კონტაქტები არქანგელოზ სატანას დახმარებით ხორციელდებოდა. უფალმა ბევრჯერ შეამოწმა თავისი ხალხის სიმტკიცე, შეამცირა და გაფილტრა მავნე ელემენტებისაგან. მოუწყო რამდენიმე გენოციდიც კი. და საბოლოოდ, ჩამოყალიბდა მათგან ძალიან ჯიშიანი, ბრილიანტი ერი. მისცა მათ უამრავი სამუშაო და ამ საქმეში სატანას როლი უდიდესია.

აკონტროლებდე ყველა ერს და მცველი ძაღლის როლი ითამაშო, მოახსენო უფლის სათათბიროს ყველაფერი მნიშვნელოვანი, რაც დედამიწაზე ხდება, არქანგელოზ სატანას ხელშეწყობით და არა შუამავლობით, არის ებრაელი ხალხის ფუნქცია.

მსოფლიო მრავალეროვანია. ერების უმეტესობას ერთმანეთის არ ესმით. ებრაელები ასრულებენ დამაკავშირებლების როლს, მათ შორის ისევე როგორც რკინა-ბეტონი და ცემენტი აკავშირებს სამშენებლო მასალებს.

უფალი მსოფლიო ხალხების შენობას ებრაული ცემენტით ახორციელებს, და არ სჭირდება მსოფლიო ებრაელების გარეშე. ბოლოს და ბოლოს, იგი ებრაელთა ღმერთია, მაგრამ თუ გოიმები შესძლებენ გაერთიანებას და ააშენებენ თავიანთ „ბაბილონის გოდოლას“ ებრაული ცემენტისა და ფისის გარეშე, ისინი ჩამოაგდებენ ებრაელთა ღმერთს, რის შემდეგაც ციურ ტახტზე აღზევდება ახალი მეფე-ღმერთი, რომლის სახელი იქნება...

როგორი იქნება ებრაელთა და არაებრაელთა ახალი საერთო ღმერთის სახელი?

თუ არაებრაელთა აჯანყება წარმატებით დასრულდება, ვინ იქნება გოიმების ახალი მეფეთმეფე?

უკვე ცხადზე უცხადესია, რომ ეს ახალი მეფეთმეფე და ლორდების ლორდი უკვე ზეციური ტახტისაკენ მიმავალ გზას ადგას.

ანანიას ამბავი

დედამიწის გუბერნატორ სატანას მრავალი პროფესია და მოვალეობა ჰქონდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისი მოვალეობა იყო ზეცაში მიმდინარე ყველა მოვალეობის აღწერა და სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზირება. ისინი თავმოყრილი იყვნენ ე. წ. „სატანას ციურ ქრონიკებში“. ამ ქრონიკების შინაარსი მეტწილად უცნობია ფართო მკითხველისთვის. წინამდებარე ისტორია ფრაგმენტია ამ ქრონიკებიდან, რომელიც „ალფრედ ნავიგატორის ჟურნალში“ გამოქვეყნდა.

სატანა წერს:

„იესოს ბევრი საიდუმლოებით მოცული უნარი აქვს, მის დიდებულ თვისებებს შორის ხალხის დაჯერების უნარი ყველას აღემატება. მას ხალხი უჯერებს, მათთან იგი კარგად მუშაობს. ისინი მიყვებიან მას და მისი დიდი ოჯახის წევრები ხდებიან. შესაძლოა მან ჩვენი მამაც დააჯერა და თავის მხარეზე გადაიყვანა, ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ. აი, რა უთხრა ხალხს იესომ:

„ნამდვილად გეტყვით თქვენ, ვისაც ჩემი სჯერა იგი შესძლებს იმის გაკეთებას, რასაც მე ვაკეთებ; შესაძლებელია ჩემმა რომელიმე მიმდევარმა ჩემზე მეტი შესძლოს, რადგან მე მამასთან მივდივარ“. (მარკოზი 16:17-18)

ეს ნათქვამი დაფიქსირებული აქვთ იოანეს, მარკოზს და რამდენიმე სხვას. ძალიან ძლიერი განცხადებაა, ხოლო ფრაზა: „...იგი შესძლებს იმის გაკეთებას, რასაც მე ვაკეთებ...“ მრავლისმთქმელია. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს, რომ ეს არ არის იმედის მიცემა, არამედ არის მტკიცება რომ იესოს ჭეშმარიტი მიმდევარი, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო შესძლებს შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

1. განდევნოს ეშმაკი ან ბოროტი სული, რომელიც ადამიანის სხეულს დაეუფლება.
2. ილაპარაკოს მრავალ ენაზე, მათ შორის უკვე არ არსებულზე.
3. მოათვინიეროს გველი და ეზიაროს მის სიბრძნეს.
4. დაზიანების გარეშე დასცალოს საწამლავით სავსე თასი.
5. შეხებით განკურნოს სასიკვდილოდ დაავადებული ადამიანი.
6. ცოტაოდენი რაოდენობის პურისა და თევზისგან, ბევრი რაოდენობის პური და თევზი გააკეთოს.

7. აღავლინოს თავი მისი დედამიწის ზედაპირიდან ჰაერში.

8. ფეხის დაუსველებლად გაიაროს წყლის ზედაპირზე.

9 გაიაროს ქვის კედელში, მოახდინოს სხეულის ტელე-დეპორტაცია, გააცოცხლოს მიცვალებული, გაატაროს იგი ქუჩა-ში და ხალხთან გონივრულ თემებზე ალაპარაკოს, გადასცეს დის-ტანციაზე აზრები და მრავალი სხვა.

ე. ი. იესოს ზოგიერთმა მიმდევარმა უნდა შეასრულოს ზემოთ აღწერილი ქმედებები თუ ამისათვის სათანადო რწმენა ექნება. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გვინახია მის მიმდევარ ქრისტიანებ-ში თუნდაც ერთი ინდივიდი, ვინც ამას თაღლითობასა და ე. წ. „ილუზიური ეფექტის“ გარეშე გააკეთებს. უკვე ორი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვეულებრივ ქრისტიანს ასეთი ქმედებ-ის გაკეთება არ შეუძლია. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ პიროვნებას შეუძლია ძალიან ბევრ ენაზე ლაპარაკი ან შიშველი ხელებით ურთულესი ოპერაციის გაკეთება და ადამი-ანების განკურნვა, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია და ისინი მეტწილად მგზნებარე ქრისტიანები არ არიან ან საერთოდ წარ-მართებად ითვლებიან.

ამავე დროს, იესოს ზოგიერთმა მოწაფემ, მათ შორის ყველაზე ცნობილმაც აუხსნელი საქციელით გაგვაოგნა.

მაგალითად, სახელმწიფოს ყოფილი ჩინოვნიკი და იესოს მგზნებარე მიმდევარი, ბაჟების ყოფილი ამკრეფი სვიმონი-პეტრე მის უახლოეს წრეს ეკუთვნოდა. იგი მოგვიანებით მისი მახარ-ობელი შეიქმნა და ქრისტიანობის ერთ-ერთ ბურჯად იქცა. მის ერთ-ერთ საიდუმლოებით მოცულ ისტორიას ბიბლია შემდეგნა-ირად აღწერს:

„ცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელსაც ანანია ერქვა. მან თავის ოჯახობასთან, საფირასთან ერთად მამულის ნაწილი გაყიდა. ანანიამ და საფირამ მემკვიდრეობაში მიღებული ფულის ნაწილი მახარობელ პეტრესთან მიიტანა, სიყვარულით შესწირა მის საქმიანობას, თან დასძინეს, რომ ეს იყო სრული თანხა, რაც მათ თავისი მამულის გაყიდვაში მიიღეს. მეუღლე დაეთანხმა და დაემოწმა ანანიას.

ეს არ იყო სიმართლე, რადგან მათ მამული მართლია სრულად გაყიდეს მაგრამ მახარობელ პეტრეს მხოლოდ მიღებული ფულის ნაწილი შესწირეს. მახარობელმა პეტრემ ტყუილი შენიშნა, აღშფოთდა და განაცხადა:

„ანანია! რატომ შევიდა შენს გულში ეშმაკი?“ (ე. ი. მე).

ამ ამბის თაობაზე მოგვიანებით იესომ ასეთი განმარტება გააკეთა:

„მინდა ყველას შევახსენო, რომ ეს ამბავი ქრისტიანობის გარიჟრაჟზე მოხდა და ყველა მოვლენები მაშინ დიდი გამოცდების წინაშე იდგა. მაშინ პეტრე და იოანე პატრიმრობიდან ახალი გამოსულები იყვნენ. მათ წარმატებით ისაუბრეს იერუსალიმის ტაძრის უფროსებთან, მათ შორის იოსებ კაიაფასთან და სულიერად მეტად აღმატებულები იყვნენ. მათ დაინახეს ჩემი გზის სიმართლე. ეს იყო დრო, როდესაც ჩემი ყველა მიმდევარი და პირველ რიგში კი ჩემი უახლოესი წრე, მათ შორის პეტრე, მოკლედ მთელი ჩემი კონგრემაცია დარწმუნებული იყო, რომ მამას, შვილსა და სულიწმინდას ეკუთვნოდნენ ისინი ყველანი.

ქრისტიანული მოძრაობა ღარიბების მოძრაობა იყო. იგი ღარიბებზე იყო დაფუძნებული. ვინც ქრისტიანულ წრეში შევიდოდა მას არ უნდა ჰქონოდა ფული, ეკლესიის სალაროს გარდა. მორწმუნენი მამულს ყიდდნენ და მას ფულად აქცევდნენ. ფული კი ეკლესიის სალაროში შეჰქონდათ. ისინი ემსახურებოდნენ ეკლესიას თავიანთი სრული უნარით და იღებდნენ ეკლესიიდან თავიანთი მოთხოვნილებების მიხედვით. ეს იყო ქრისტიანული კომუნიზმი, რომელიც რელიგიაზე იყო დაფუძნებული.

ეკლესიის კონგრეგაციაში მკაცრი წესრიგი იყო. ვინც გაბედავდა და დამალავდა თავის შემოსავალს რომელიც უკვე ქრისტიანულ საძმოს ეკუთვნოდა, მას სიკვდილით სჯიდნენ. ასეთი იყო პირველი ქრისტიანების წესი.

მაშასადამე არა მარტო იესოს მიმდევრების სხეული და სული, არამედ მატერიალური დოვლათიც ქრისტიანულ საძმოს ეკუთვნოდა, ამიტომ ისინი დარწმუნდნენ, რომ აღარ იყო საჭირო სახლები და კერძო საკუთრება, და პირველყოფილ თემურ კომუნიზმზე გადასვლა დაიწყეს. მათ დაიწყეს სახლ-კარის გაყიდვა და ამოღებული თანხის ერთმანეთში გადანაწილება. მათ შორის სამაგალითო იყო კვიპროსზე დაბადებული ბარნაბა, რომელმაც დემონსტრაციულად გაყიდა თავისი კარ-მიდამო, ფული პეტრეს ფეხბთან დადო და მოხეტიალე-განმანათლებელი მოღვაწეობა დაიწყო“, განაცხადა იესომ.

ასეთი იყო იესოს პოზიცია ამ ამბავზე.

„მაშასადამე ბარნაბა, ლუმპენ-პროლეტართა რიგებში შევიდა.

ამავე დროს დაიწყო კონგრემაციის მიერ ხალხის ფულების მიტაცება, რაც ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა იმ დროს.

„ზემოთ აღწერილ ჩემს მონათხრობს რომ დავუბრუნდეთ შემახსენეთ, რომ პეტრემ გააგრძელა ანანიას გაკიცხვა, და უთხრა:

„რატომ ატყუებ წმინდა სულს? რატომ მიითვისე შენთვის ფულის ნაწილი. მამული შენია, გინდა გაყიდი და გინდა არა. ეს შენს სურვილზეა დამოკიდებული. გაყიდვის შემდეგ კი ფული ისევ შენია, როგორც გინდა ისე გამოიყენებ. გინდა ვინმეს გაუნაწილებ და გინდა არა. მაგრამ, რატომ იტყუები? რატომ გააკეთე ეს? შენ ჩვენ კი არ მოგვატყუე, არამედ ჩვენი მამა და უფალი!“

პეტრე ადრე ხარკის ამკრეფი იყო. მან იცოდა თუ როგორ ეთქვა კლიენტისათვის ფულის გადახდის აუცილებლობის პროცესიალური წესი. ანანიამ როგორც კი მოისმინა პეტრეს უკმაყოფილო სიტყვები ძალიან შეშინდა, დაეცა იატაკზე და გარდაიცვალა. დიახ, გარდაიცვალა.

„იყო კაცი ცოცხალი, იდგა პეტრეს წინაშე, ისმენდა მის მონოლოგს, შეშინდა, დაეცა და მოკვდა“.

ამის შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა ანანია რაღაც ნაჭერში გაახვიეს, გაიტანეს ეკლესიიდან და იქვე ეკლესიის ეზოში დამარხეს. ისმის კითხვა, ვინ იყო ეს ახალგაზრდა ხალხი, რომლებმაც ანანია, ღირსეული ოჯახიშვილი, რომელსაც საკმარისი ფული ჰქონდა ჯიბეში, ყოველგვარი განბანვის და ბალზამირების გარეშე დამარხეს ეკლესიის წმინდა ეზოში? ის ბიჭები პეტრეს მიმდევარი მორწმუნეები იყვნენ და მთელი კონგრემაცია მოწმე იყო ამ მკვლელობისა, რომელმაც პეტრეს რეპუტაცია ძალიან ასწია. პეტრემ გააგრძელა მორწმუნეებთან საუბარი და აღნიშნა, რომ ანანია იმიტომ კი არ დაიღუპა, რომ კონგრემაციას სახლიდან მიღებული ფული სრულიად არ გადასცა, არამედ იმიტომ, რომ თქვა ეს მთელი ფულია, სინამდვილეში კი ეს ფულის ნაწილი იყო. მან ღმერთი მოატყუა და ამიტომაც მოკვდა.

პეტრე ღონიერი, ჩაფსკქნილი, ახოვანი კაცი იყო. ბაჟის ამკრეფები ყოველთვის გამორჩეული ხალხი იყო. მათ შეეძლოთ ხალხთან საუბარი და თუ საჭირო იყო ბაჟის ძალით აღება. ისინი კარგად ატყობდნენ თუ ვინ იძლეოდა სრულად ფულს და ვინ იტყუებოდა, მალავდა გადასახადის რაოდენობას, თავს ისაწყლებდა. პეტრემ შეატყო, რომ ანანია იტყუებოდა. ეკლესიას მთელი ფული კი არა ნაწილი შესწირა. ეს პეტრემ კარგად შეამჩნია.

როდესაც ანანიას შესახებ პეტრე მაღალ სკამზე იჯდა და მორწმუნეებს ესაუბრებოდა, ამ დროს ერთი ახალგაზრდა მიუახლოვდა და უთხრა:

„უფროსო! ანანიას ქამარზე ეს ქისა ვნახეთ და ინებეთ“.

ანანიას ფულის ნაწილი უკვე გადაცემული ჰქონდა პეტრესთვის, ეს ქისა კი სახლის მთლიანი საფასური იყო.

„ქვრივ-ობლებს დაურიგეთ“, თქვა პეტრემ და კონგრემაციასთან საუბარი გააგრძელა.

სამი საათის შემდეგ კონგრემაციაში ანანიას მეუღლე საფირა მივიდა, რომელმაც არაფერი არ იცოდა თუ რა მოხდა მის არყოფნაში. იგი ანანიასთან ერთად ყოველთვის დადიოდა ეკლესიაში, ისმენდა პეტრეს ქადაგებებს. მისი ოჯახი ფულსაც უხვად სწირავდა ეკლესიას. ახლაც როდესაც გაყიდული სახლის ფულის ნაწილი ეკლესიას შესწირა, იგი სახლში გაემართა რათა მეუღლისათვის სადილი გაემზადებინა.

ანანიასა და საფირას ერთადერთი შვილი ვაჭარი იყო. იგი ორიოდ დღის წინ სავაჭრო მოგზაურობიდან იყო დაბრუნებული. მის ქარავანს ყაჩაღები დაესხნენ თავს და მთელი საქონელი გაიტაცეს. ანანიასა და საფირას ვაჟიშვილმა ძლივს დააღწია თავი ხიფაის და ცოცხალ-მკვდარი სახლში დაბრუნდა.

ოჯახმა ეს ტრაგედია დიდად განიცადა. საოჯახო თათბირზე გადაწყვიტეს, რომ სახლი და მინდვრები გაეყიდათ რათა აღებული ფულით მათი ვაჟიშვილი ახალ სავაჭრო ექსპედიციაში წასულიყო. თუ შემდეგი ექსპედიცია წარმატებით დასრულდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძინათ ახალი სახლ-კარი. ასეც მოიქცნენ. სახლი გაყიდეს და შვილმა თავის ნათესავებს შეაფარა თავი, ელოდებოდა როდის მიუტანდა მამა გაყიდული სახლის ფულს.

როდესაც საფირა ეკლესიაში შევიდა და ანანიას ძებნა დაიწყეს, რომ ვერ ნახა იკითხა სად არისო.

„პეტრე გეტყვის“, მიუგეს თანამლოცველებმა.

საფირა პეტრეს მიუახლოვდა, რომელიც კვლავ მაღალ სკამ-ჯირკზე იჯდა.

„რა გინდა?“ იკითხა პეტრემ.

„ანანიას ვეძებ“, მიუგო საფირამ.

„შენმა ქმარმა რომ ფული გადმომცა თქვენს მიერ გაყიდული სახლისა და მინდვრების სრული საფასური იყო?“

„დიახ!“ დაადასტურა საფირამ, „ეს იყო სრული თანხა“.

„რატომ მოილაპარაკერთ რომ იეჰოვას სული გამოგეცადათ? აი, ამ კარს მოადგნენ შენი ქმრის დამმარხველები და შენც გაგიტანენ“, თქვა პეტრემ.

იმ წამსვე საფირა მოწყვეტით დაეცა მიწაზე და უხმოდ მიიცვალა. პეტრემ იქვე მდგომ ერთ-ერთ ქრისტეს მიმდევარს ანიშნა კარს მიღმა მყოფ ახალგაზრდას დაუძახეო. ახალგაზრდა, რომელიც უკვე მესაფლავის მოვალეობას ასრულებდა და ფრიად დახელოვნებული იყო ამ საქმეში მაშინვე ეკლესიაში შემოვიდა და პეტრეს ეახლა.

„მკვდარია?“ იკითხა ახალგაზრდა მესაფლავემ და იატაკზე დაწოლილ ქალს წვეტიანი ჯოხი გულზე დააბჯინა. და როდესაც მიხვდა, რომ ქალი გარდაცვლილი იყო, უხმოდ გაიტანა გვამი ეკლესიის ეზოში და თავისი ქმრის გვერდით დამარხა.

მახარობელმა პეტრემ უფლის სადიდებელი ლოცვა აღავლინა და დიდმა შიშმა დაისადგურა მთელს მრევლში და ყველა იმათგანში, ვინც გაიგო და ნახა ეს საშინელი ამბავი (საქმეები 5:1-11).

„ამრიგად, პირდაპირ უნდა ვთქვათ: როგორ მოგწონთ ბაჟის ყოფილი ამკრეფის პეტრეს საქციელი? ხომ არ გადაამეტა მან თავის უფლებებს? რატომ დაღუპა მან ანანიას მთელი ოჯახი? რა ასწავლა იესომ ისეთი, რომ პეტრემ ასე ბოროტად გამოიყენა მისთვის მინიჭებული ძალაუფლება?

ამას გარდა, იმის კითხვა თუ რატომ დამალა ანანიამ ფულის ნაწილი? ხომ არ ნიშნავს ეს შიშზე აგებულ ფულის გამოძალვას? როგორ გავიგოთ მახარობელ პეტრეს განცხადება: „...სწორედ ამ კარს მიღმა იმყოფება ახალგაზრდა, რომელმაც შენი ქმარი დამარხა და შენც მალე მის გზას გაუყვები!“ არის თუ არა პეტრეს ეს განცხადება წმინდა წყლის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტერორიზმი?

ცოლ-ქმრის დახოცვის შემდეგ რაში გამოიყენა პეტრემ გამოძალული ფული? რატომ აიღო ფულის ის ნაწილიც, რომელიც ანანიას წელზე ჰქონდა შემოკრული და არ ჰქონდა მიზნად ეკლესიისათვის შეეწირა, არამედ მიეცა თავისი ვაჟიშვილისათვის, რომელიც ახალი ქარავნის დაქირავებას აპირებდა. რატომ მიითვისა პეტრემ ეს ფული და არ გადასცა იგი ახალგაზრდა ვაჭარს და გაქურდა იგი?

ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენს პლანეტაზე ადამიანები ერთმანეთს

ფულს ძალავდნენ და ამ საკითხში იესოს სახელს იშველიებდნენ. ქვრივ-ობლების დახმარების მიზნით ხალხი სახლებს არ უნდა ყიდდეს და ქუჩაში უსახლკაროდ არ უნდა რჩებოდეს. ეს არ არის ერთეული შემთხვევა. ჩვენ გვინდა. რომ ქვრივ-ობლები საერთოდ არ იყოს და ყველა შეძლებულად ცხოვრობდეს“, აღნიშნულია „სატანას ციურ ქრონიკებში“, რომლის ერთი ნაწილი ერთხელ წიგნში „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“ გამოქვეყნდა.

ანტონი და სატანა

დედამიწაზე თავისი გამოჩენის დღიდან იესომ შეცვალა მსოფლიო. იგი გახდა ყველა დროის უპირობო ავტორიტეტული არსება, რომელმაც უკვე მიიღო ღმერთის ტიტული. იესოს ახალი მრწამსი ითხოვს ტოტალურ მორჩილებას და ოჯახის პასუხისმგებლობების მიტოვებას. ასევე სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იქნეს მცნებები: საკუთრება და სამშობლო.

ქრისტეს მიმდევრებს სამშობლოს გრძნობა არ აქვთ. მათთვის ყველა ქრისტიანი ძმა და და არის. მათ პატრიოტიზმის შეგრძნება მავნე მოვლენად მიაჩნიათ, რაც დასაგმობი და დასაძლევია. ქრისტიანობამ ერთიანი ტოტალიტარული იმპერია უნდა შექმნას, რომლის გზაზე სამშობლოს, პატრიოტიზმსა და ოჯახს ადგილი არ აქვთ. იესო აიძულებდა თავის მიმდევრებს გაეწყვიტათ ბუნებრივი და ორგანული ურთიერთობები ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, კოლეგებთან, სამშობლოსთან იმ სულიერი ფასეულობების გასაგრძელებლად, რომელსაც იგი ქადაგებდა.

იესო ქრისტეს მოძღვრება დედამიწის გამაერთიანებელი მოძღვრებაა. იგი პროგრესია გარკვეულწილად, წინ გადადგმული ნაბიჯია ერთიანი მსოფლიოს შესაქმნელად. იესოს ეს პოზიცია ეწინააღმდეგება ებრაელთა უფლის იეჰოვას პოზიციას, რომელიც ქადაგებს სეპარატიზმს, ხალხების დაყოფას, ერებისა და ენების აღრევას, ებრაელი ხალხის განსაკუთრებულობას, შერეულ ქორწინებას. იესო ქრისტესა და იეჰოვა საბათაის სამყაროს შემეცნება დიამეტრალურად საპირისპიროა. მათი მამა-შვილური ურთიერთობა დროებითია. იგი მომავალში კონფლიქტის საფუძველია. ამიტომ ეს გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს მომავალში იესო ქრისტე დაუპირისპირდება მამა-ღმერთს და ეს დიდი შფოთის საფუძველი იქნება.

ამჟამად მამა-ღმერთის იეჰოვა საბათაის ერთადერთი საყრდენი დედამიწაზე იესო ქრისტა. მას დიდი სირთულეები ელის ანგელოზებსა და ადამიანებს შორის. სახეზეა დიდი დაპირისპირების ბევრი ელემენტი, რომლებიც დიდი სისწრაფით უკვე იწყებენ მოძრაობას.

დედამიწის გაერთიანების გზაზე იესოს ოჯახის დაყოფა და დანგრევა აუცილებლად მიაჩნია. აი, მისი ერთ-ერთი ძარღვიანი პოზიცია ამ საკითხზე:

„ხომ არ გგონიათ, დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვე-

დი? პირიქით, განხეთქილების მოსატანად მოვედი. დღეიდან ხუთს შორის ჩამოვარდება განხეთქილება ერთ სახლში. სამი ორის წინააღმდეგ იქნება და ორი სამის წინააღმდეგ. განხეთქილება ჩამოვარდება და მამა ვაჟის წინააღმდეგ იქნება. ვაჟი – მამის წინააღმდეგ. დედა ასულსი წინააღმდეგ, ასული – დედის წინაალმდეგ. დედამთილი – რძლის წინააღმდეგ, რძალი – დედამთილის წინააღმდეგ (ლუკა 12:51-53).

გულახდილად რომ ვთქვათ, იესოს ასეთი შეხედულება ადამიანური საზოგადოების ყველაზე ძვირას მონაპოვარზე, მონოგამიურ ოჯახზე, საშინელია. ასევე გამაოგნებელია იესოს მიმდევართა ღრმა სიტუტუცე ამ საკითხში. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი ახალგაზრდა ანტონის საქციელია რომლის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იესო ქრისტეს მიმდევრების რიცხვი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ იზრდებოდა. ერთ-ერთი იესოს მგზნებარე მიმდევარი ანტონი იყო. იგი იყო საკმაოდ გაუნათლებელი, მაგრამ მდიდარი და წმინდა კაცი, რომელიც ლიტერატურულად პირდაპირ გებულობდა იესო ქრისტეს ყველა ნათქვამს.

ანტონი ახალი წელთაღრიცხვის 260 წელს ეგვიპტის ქლაქ ჰერაყლიონში ცხოვრობდა. იგი გავლენიანი და ფულიანი მშობლების შვილი იყო. როდესაც ანტონი თვრამეტი წლის შეიქმნა, მისი მშობლები ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ და ანტონის განკარგულებაში გადმოვიდა დიდი მამული. მას უნდა ეზრუნა თავის ახალგაზრდა დაზე, ზედამხედველობა გაეწია მონათა საქმიანობისათვის, ემართა სამასი აქრი ნაყოფიერი და მშვენიერი ფერმა.

მშობლების გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში ანტონი თავის მოვალეობას კარგად ართმევდა თავს და ოპტიმიზმით შეჰყურებდა მომავალს. მაგრამ თავისდა საუბედუროდ, ერთ მშვენიერ დღეს ქრისტიანული კონგრეგაციის ეკლესიაში შევიდა, სადაც ქადაგების დროს მოისმინა იესო ქრისტეს ცნობილი გამონათქვამი ახალგაზრდა და მდიდარი კაცისადმი:

„...თუ გინდა სრულყოფილი იყო წადი, გაყიდე შენი ქონება, ღარიბებს დაურიგე და გექნება განძი ზეცაში... მერე მოდი და გამომყევი... ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ახალგაზრდა დანაღვლიანებული წავიდა, რადგან დიდძალი ქონება ჰქონდა...

იესომ მოწაფეებს უთხრა: ჭეშმარიტებას გეუბნებით. მდიდარს გაუძნელდება ზეციურ სამეფოში შესვლა... აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სამეფოში“ (მათე 19:21-24).

შთაბეჭდილებით აღსავსე ანტონმა დატოვა ეკლესია. მაშინათვე გაემართა ქალაქ ჰერაყლიონის გარეუბნებში, სადაც მისი მამული იყო. მან დაუფიქრებლად დაურიგა სოფლელებს თავისი საკუთრება რომელიც მემკვიდრეობით მიიღო. „ასე, რომ მას და მის დას აღარ ჰქონდათ ტვირთი სამემკვიდრეო“. წერდა ანტონის ბიოგრაფი ანასთასიუს ალექსანდრიელი თავის წიგნში „ანტონის ცხოვრება“. ანასთასიური 46 წლის განმავლობაში ალექსანდრიის ეპისკოპოსი იყო.

მოყმე ანტონი ბრმად გაყვა იესოს მითითებებს. იურიდიულად გადააფორმა და გაყიდა თავისი მამული, დაურიგა ღარიბებს მიღებული ფული და მხოლოდ ცოტა რამ დაიტოვა თავისი დის მომავლისათვის. მალე მან თავისი და მოათავსა ასკეტი ქრისტიანი ქალების სახლში, მიატოვა თავისი მამული, შესანიშნავი რომაული ვილა და ცხოვრება დაიწყო სოფლის განაპირას ნახევრად დანგრეულ ქოხში.

იმის მაგივრად, რომ დაქორწინებულიყო და დაეწყო მდიდარი მიწათმფლობელის ძნელი, მაგრამ საინტერესო ცხოვრება, გაეთხოვებინა და დაებინავებინა საკუთარი დაიკო, ანტონმა მიიღო გულთან ახლოს იესოს სიტყვები და უკუაგდო თავისი ყველა პასუხისმგებლობა.

ანტონმა უეცრად მიატოვა ტრადიციული და რესპექტული ცხოვრების წესი და დაიწყო თვითშემეცნებისა და უფლის ძიების პროცესი. ანტონი გახდა ე. წ, „მეუდაბნოე მამების“ და „პირველი მეგვიპტელი ბერების“ წარმომადგენელი. მან განდეგილი ცხოვრება დაიწყო, მონახა მიტოვებული აკლდამა, რომელშიც გველები, ობობები და ღამურები ცხოვრობდნენ და საცხოვრებლად იქ მოთავსდა. ანტონი მიირთმევდა მხოლოდ პურს, ოდნავ მარილს, წყალს და ამას აკეთებდა რამდენიმე დღეში ერთხელ. იგი ატარებდა ტომარას და ცხვრის ტყავს. ანტონს როგორც წესი შიშველ, ქვის იატაკზე ეძინა. მისი ბალიში იყო სიპი ქვა.

ანტონმა თავისი თავი მიუძღვნა ასკეტიზმს. რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ვარჯიშს“. იგი ცდილობდა მედიტაციის საშუალებით გამოეკვლია საკუთარი სული და მრავალი საათის

განმავლობაში მუხლებზე იდგა ქვის იატაკზე და ლოცულობდა. მისი ბიოგრაფი ანასთასიუსი აღნიშნავს, რომ ანტონმა უკუაგდო ოჯახური ფასეულობები, ქორწინება, პასუხისმგებლობის გრძნობა წინაპრებისა და სამშობლოს მიმართ, ნათესავების მიმართ. იგი ნებაყოფლობით მიეძღვნა იესო ქრისტეს და ქრისტიანებს.

ანტონი ქრისტიანებს შორის განთქმული კაცი გახდა. იგი სპირიტუალური პიონერი იყო. მათ შორის ვინც ცდილობდა გაეგო თუ რა მოხდებოდა თუ ცივილიზაციას განერიდებოდი და შეეცდებოდი უფალთან, იეჰოვა საბათაისთან პირდაპირ კავშირს. მაგრამ თანდათან ნათელი გახდა, რომ მამა-ღმერთთან კავშირი შესაძლებელი იყო მხოლოდ იესო ქრისტეს გავლით. ასე თანდათან განდეგილი ანტონი გახდა დიდი, გიგანტი და წმინდა კაცი.

ანასთასიუსი წერს, რომ განდეგილობის პირველ პერიოდში ეშმაკი ანტონის მოგონებებით აწვალებდა თავისი მამულის შესახებ, შეშფოთებებით მისი დის მომავლის შესახებ, ენატრებოდა თავისი მრავალრიცხოვანი ნათესაობა, ახსენდებოდა ფული და ძალაუფლება, რომელზეც უარი თქვა და მრავალი ცხოვრებისეული სიხარული, რომლებიც უკან დარჩა“.

განსაკუთრებით რთლი იყო რეალური სექსუალური განცდები. ანტონი იტანჯებოდა უქალობით. ზოგჯერ რამდენიმე დღე მშიერი ლოცულობდა, რათა თავიდან განედევნა მაცდური იდეები. სატანა სარგებლობდა ანტონის სექსუალური ტანჯვით. მან თავისი ერთ-ერთი ცოლი, განთქმული მაცდუნებელი ლოლიტა მიუგზავნა ანტონს. ლოლიტა ძილში ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ანტონს და გამუდმებული ორგაზმებით არაქათს აცლიდა მას. მაგრამ ანტონმა გაუძლო. იგი კლდესავით იდგა და კრიტიკულ მომენტში თავად იესო ქრისტე ეხმარებოდა მას.

ანტონი ცნობილი გახდა დემონებთან ჭიდაობით და სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია არქანგელოზ სატანას.

ანტონი თავის მიმდევრებს უხსნის:

„მას შემდეგ, რაც უფალი ჩვენს შორის დასახლდა, მტერს ფრთები შეეკვეცა და მისი ძალაუფლება საგრძნობლად შესუსტდა“.

ერთხელ ანტონი მძიმე ლოცვის შემდეგ თავის ქვის საწოლზე ისვენებდა. უეცრად მის აკლდამაში შემოვიდა, რომელიღაც ზებუნებრივი არსების, შთამბეჭდავი ფიგურა.

„ვინ ხარ?“ ჰკითხა ანტონმა დაუპატიჟებელ სტუმარს.

„მე სატანა ვარ“.

ანტონმა მამაცურად გაკიცხა შემოჭრილი მტერი და შეახსენა მას:

„ქრისტე მოვიდა და შენ უძლური გაგხადა. მან შენ უძირო ორმოში ჩაგაგდო და გაგპუტა“.

„თუ მე უძლური ვარ და გაპუტული, და ვიმყოფები კირით სავსე უძირო ორმოში, ახლა როგორღა ვდგევარ შენს წინაშე?“ იყო სატანას პასუხი, რომელმაც შემდეგ დასძინა:

„ანტონ! მე მოვედი შენთან რათა დიდი მწუხარებით გაუწყო და შეგახსენო, რომ შენ გაყიდე ჩალის ფასად შენი მამული და ქონება. და უღალატე შენი მშობლების ხსოვნას. მამაშენმა გაცილებით ნაკლები ქონება მიიღო, ვიდრე შენ. შენმა მამამ მრავალჯერ გადაცურა ხმელთაშუა ზღვა სხვადასხვა მიმართულებით. იგი ვაჭრობდა და ცდილობდა გაემრავლებინა ოჯახის დოვლათი. მოგვიანებით იგი შეიქმნა კარგი მიწათმფლობელი და ჰქონდა შვიდი სასტუმროსა და სამიკიტნოების ქსელი იმპერიის სხვადასხვა კუთხეში. მას უნდოდა, რომ შენ კარგი განათლება მიგეღო და კარგი ორატორი ყოფილიყავი. მან რომის ფილოსოფიურ სკოლაში გაგაგზავნა სასწავლებლად, მაგრამ შენ სწავლაზე უარი თქვი. ასევე შენ თქვი, რომ არ იმუშავებდი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში და როგორც შენმა მომავალმა კერპმა ღვინის სმა დაიწყე ნილოსის მეთევზეებთან.

ახლა როდესაც შენი დამსახურებული მშობლები გარდაიცვალნენ შენ დაიწყე მათი დანატოვარი ქონების უცხოელებზე დარიგება. ხალხმა რომლებმაც შენი მიწები მიიღეს აყვავებული წალკოტი უდაბნოდ აქციეს. ღარიბებმა, რომლებმაც შენგან ფული მიიღეს მდიდრები ვერ გახდნენ. მათ არ იციან თუ როგორ გამოიყენონ ფული. მათ არა აქვთ ფინანსური განათლება და შენი ფული საკანალიზაციო ხვრელში ისროლეს. შენ გაამრავლე სიღარიბე, რადგან ერთ დროს მდიდარი კაცი ღარიბად იქეცი. იმის მაგივრად, რომ მდიდართა საზოგადოება გაგემრავლებინა, ღარიბთა საზოგადოება გაამრავლე. სიმდიდრე სიკეთეა და სიღარიბე კი ბოროტება. შენ დაამხე შენი და. იგი ლამაზი, მშვენიერი, მდიდარი საცოლიდან აქციე ასკეტ, სულელ გოგოდ, რომელმაც არ იცის თუ რა არის ოჯახური სითბო და ჭამს მხოლოდ პურს და სვამს მხოლოდ წყალს. იგი აღარ იბანს ტანს მას შემდეგ, რაც ასკეტ ქრისტიან ქალებს მიუგდე საჯიჯგნად. შენ ეძიებ ღმერთს და ამ გზას ყველაფერი შესწირე. შენ დადექი ღარიბი იესოს მხარეს

მაშინ, როდესაც მე მდიდარი ხალხის მხარეს ვარ. რომის იმპერატორი მარკუს აურელიუსი ასევე ეძებდა ღმერთს, მაგრამ ამ გზაზე მან თავისი მამულები კი არ გაანადგურა, მან შეინარჩუნა იმპერია. მან არ მისცა იმპერიის ტერიტორია ბარბაროს ტომებს და ღარიბ მეზობლებს, რომლებმაც არ იციან თუ რა არის სიმდიდრე. ადამიანი, ვინც სიმდიდრეს გაუნათლებელის ხელში გადასცემს ბოროტებას აკეთებს“, თქვა არქანგელოზმა სატანამ და გაიხსენა ციტატა ბიბლიიდან:

„შენ, ანტონ ხარ იმ ხალხთან ერთად... ვინც ჭამს თავის განავალს და სვამს თავის შარდს“ (2 მეფეები 18:27) და დასძინა:

„შესაძლებელია რამდენიმე ხანი ქრისტიანებს შორის პოპულარული იყო, მაგრამ საბოლოოდ დავიწყებულ იქნები, რადგან შენ კაცობრიობისათვის არაფერი არ გაგიკეთებია და შენი ფასი ნოლია. ამიტომ გიბრძანებ, რომ პატრონაჟი გაუწიო მესაფლავეებს, ცოცხებისა და კალათების მკეთებლებს და იცხოვრე და იარსებე ინფექციურ ავადმყოფებთან, რათა რაიმე ფასი გქონდეს“, თქვა სატანა ლუციფერმა. უხამსი სიტყვებით კიდევ ერთხელ დაგმო ანტონის ჭკუა-გონება და აკლდამიდან გავიდა.

ნაწყვეტები წიგნიდან „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“

დევდორაკის სინდრომი

2035 წლის ცხელი ზაფხულის გრილი საღამო იდგა. კავკასიონის მთის დედაქალაქი ვარსკვლავეთი-სითი როგორც ყოველთვის ხალხით იყო სავსე. მიმდინარეობდა მესამე მსოფლიო ომი. ერთმანეთს ორი სამხედრო დაჯგუფება ებრძოდა: დიდი მაგოგლენდი თავისი მეგობარი ქვეყნებით და ისრაელი, თავისი მოკავშირეებით, რომლებიც „ისრაელის სახლის“ სახელწოდებით არიან ცნობილნი.

დედამიწა ირყეოდა. მილიარდობით ადამიანი გაწყდა. ბრძოლა რომელიც ესტონეთის ქალაქ ნარვაში დაიწყო, დედამიწას საბოლოო განადგურებით ემუქრებოდა.

ვარსკვლავეთ-სითიში კი შედარებით სიმშვიდე იყო. მეომარი მხარეები ამ რაიონში რატომღაც იარაღს არ იყენებდნენ. დედამიწაზე თავსდამტყდარი უბედურებები ხეობას გვერდს უვლიდა. მხოლოდ საჰაერო პატრული არეგულირებდა არალეგალი ემიგრანტების მოძრაობას და იცავდა ხალხს. ხეობის გარშემო სიტუაციას გოგი აკონტროლებდა. მაგრამ 15-17 მილზე გაჭიმულ ხეობაში იგი არ შედიოდა. ამ პატარა ტერიტორიაზე უამრავი სასტუმრო და კლდეში ნაკვეთი პანსიონატი იყო. იქ ასი ათასამდე ადამიანს ჰქონდა თავი შეფარებული.

თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს ამ ხეობაში ამდენ ხალხს ერთად არ უცხოვრია. აქ დიდი ფინანსები ტრიალებდა და ყველა კარგად ცხოვრობდა.

მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანმა ბანკმა და კომპანიამ აქ თავიანთი ფილიალები და ფულის საცავებიც კი შექმნეს. იყო სერიოზული ეჭვი რომ მაგოგლენდის ლიდერმა პრინცმა გოგ-პუტინმა და მისმა ერთგულმა მიმდევრებმა თავიანთი სახსრები ხეობაში მდებარე საიდუმლლოებით მოცულ „თრუსო-ბანკში“ მოათავსეს, რომელსაც ცნობილი კავკასიელი მაგნატი გრაფი ბორისი ფლობდა.

ვარსკვლავეთი სითის ცენტრში, მყინვარ „ხევის პატარძლის“ პირდაპირ, ჩქერულას გადასახედზე პოპულარული სასტუმრო

და რესტორანი „ხევის თვალი“ მდებარეობდა. მის განაპირა მაგიდას, რომელიც ვაშლის ხეების ქვეშ იდგა ორი ადამიანი უჯდა. ერთი ტანსრული მელოტი, კოლხური შეხედულების კაცი იყო. მას დიდი ხელები და ფეხები ჰქონდა. მეორე კი მასთან შედარებით გამხდარი, თმაჭაღარა და სხარტი იყო. ერთი შეხედვით ორივე გაურკვეველი ასაკის იყვნენ. მათზე შეიძლებოდა, როგორც ახალგაზრდის, ისე ასაკში შესულის, თუნდაც ხანდაზმულის თქმა.

„კიდევ ორი ბოთლი „სარკინოზული“ მოგვიტანე“, უთხრა მოახლოებულ მიმტანს ამირან მელიამ. იგი მსოფლიო მთავრობის ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი იყო კავკასიის ამ რეგიონში.

„ზედ ორი ცხვრის მწვადი მოაყოლე და ხახვიც ბლომად დაა-ყარე“, დაამატა ალფრედ ნავიგატორმა.

ეს ორი ადამიანი სიყრმის მეგობრები იყვნენ. არაერთი საათი ჰქონდათ გატარებული მაგიდასთან საუბრებში და ღვინის სმაში. მათ საერთო მეტი ჰქონდათ, ვიდრე სხვადასხვაობა.

„ე. ი. „დევდორაკის მყინვარი“ ათი წლის წინათ მოწყდა და დაახლოებით ერთი მილიონი კუბომეტრი ზვავი გაუშვა“, გააგრძელა ადრე დაწყებული საუბარი ამირან მელიამ და ღვინო მოსვა.

„კი, ზუსტად ასეა“, დაეთანხმა ალფრედი.

„თუ იყო ადრე ასეთი დიდი მოტყვეტა?“ იკითხა ამირანმა.

„დიახ იყო, დევდორაკის მყინვარი რამდენჯერმე მოწყდა. იგი ძალიან ძლიერი კლიმატური იარაღია ჭკვიანი ერის ხელში“, თქვა აფრედმა.

„რა გაქვს მხედველობაში?“ ჩაუღრმავდა ამირანი.

„მე მხედველობაში მაქვს 1832 წლის კატასტროფა, რომ-ლის დროსაც დაახლოებით მილიონნახევარმა კუბომეტრმა დევდორაკის ზვავმა მდინარე ჩქერულა 150 ფუტის სიმაღლეზე დააგუბა და შემდეგ კი თითქმის მთელი ჩრდილოეთ კავკასია წალეკა“, განმარტა ალფრედმა.

„მაგ წელიწადს ხომ მაგოგლენდის იმპერიის წინააღმდეგ ცნო-ბილი შეთქმულება მოხდა“, გაიხსენა ამირანმა.

„კი ზუსტად გახსოვს“, დაეთანხმა ალფრედი.

„რამდენადაც მახსოვს მაგოგლენდერებს თითქმის ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონდათ საშუალება ხეობაში შესულიყვნენ და საქართველო გაეკონტროლინებინათ“.

„ნამდვილად ასეა“, კვლავ დაეთანხმა ალფრედი.

„უცნაურია რომ ქართველობამ ასეთი კარგი შანსი ვერ გამოიყენა და თავი ვერ დააღწია მაგოგლენდის იმპერიას“, გაკვირვება გამოხატა ამირანმა.

„საქმე იმაშია რომ თავად ქართველებმა არ მოისურვეს დამოუკიდებლობა და ჩინ-მედლების ხათრით მთლიანად მიეყიდნენ ორთოდოქსალურ მაგოგლენდს“, განმარტა ალფრედმა.

„სამწუხარო ფაქტია“, განაცხადა ამირანმა და ალფრედმა სასმისი ღვინით შეავსო.

„ყველა თავისუფლების მოყვარული ერს გაუმარჯოს, ხოლო ვისაც არ სურს თავისუფლება, დაე მონობაში ამოხდეს სული“, შესვა სადღეგრძელო ალფრედმა.

„ეგ ხომ თავისთავად ეგრე მოხდება“, კვერი დაუკრა ამირანმა.

მცირე ხნით პაუზა ჩამოვარდა, შედეგ კი ამირანმა კვლავ იკითხა:

„ახლა რა მდგომარეობაა მყინვარზე?“

„ჩვენმა მოწმეებმა მყინვარის სათავე შეამოწმეს და უამრავი ბზარი ნახეს, ერთ-ერთი ბზარი ფრიად საგანგაშოა. მისი სიმაღლე თითქმსი ოცსართულიანი სახლის ხელაა და იქიდან გამუდმებული გუგუნი მოისმის. ცხადია, რომ დევდორაკის მყინვარი ტყდება“.

„რამდენად მოსალოდნელია რომ მოწყვეტილმა დევდორაკმა ხეობაში გამავალი კომუნიკაციები და ინფრასტრუქტურა დაფაროს?“ ისევ იკითხა ამირანმა.

„მოსალოდნელზე მეტია“, დააზუსტა ალფრედმა.

„ამ შემთხვევაში ზვავის მასა რამდენად დიდი იქნება?“ ჩაეძია ამირანი და ჭიქა ისევ ღვინით შეივსო.

„ჩვენის ვარაუდით ჩამოწოლილი მასა 17-25 მილიონი ტონის ექვივალენტი იქნება“, მწუხარე ხმით დასძინა ალფრედ ნავიგატორმა და ახალმოტანილი ცხვრის მწვადი გასინჯა და მერე კი ზედ ღვინოც დააყოლა.

„ვარსკვლავეთ სითის მიწვდება?“

„აბსოლუტურად გამორიცხულია. ქვა აღმართში არ მიგორავს. მოწყვეტილი „დევდორაკი“ დაცერებას გაყვება და ჩრდილოეთში დანმობერთების მიწასა და მათ დედაქალაქს დაასკდება თავზე“.

„როდის ელოდებით დევდოაკის მყინვარის მორიგ მოწყვეტას? დაინტერესდა ისევ ამირანი.

„ნებისმიერ წამს“, იყო პასუხი.

„ეს იქნება დიდი კატასტროფა. ბევრი ადამიანი ვერც კი მიხვდება თუ რისთვის კვდება“. თქვა ამირანმა.

„ეს მართალია, დიდი ტრაგედია დატრიალდება. სივრცე მოსიარულე მკვდრებით აივსება“.

„რატომ?“ შეეკითხა ამირანი.

„იმიტომ, რომ სიკვდილის ბოლო მომენტში თუ თვალები ღია არის შენს მფარველ ანგელოზს საშუალება აქვს რომ კონტაქტი დაამყაროს შენთან და მითხრას თუ რომელ განყოფილებაში წახვალ, მაგრამ თუ თვალები დახუჭული გექნება ან შიშით დახუჭავთ მაშინ გარდაცვლილი უცნობ ადგილას წავა. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი რომ სიკვდილის მომენტში თვალები ღია გქონდეს და შიშით არ დახუჭო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხეტიალე მკვდრად გადაიქცევით და შვებას ვერ ნახავ“, თქვა ალფრედმა.

„საშინელი ამბავია! რატომ არ აფრთხილებთ დანმობერთელებს?“ ჩაეძია ამირანი.

„ისინი საქმის კურსში არიან და მეთვალყურეც ჰყავთ დევდორაკზე!“

„თუ ასეა ვილოცოთ, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს და „დევდორაკის მყინვარი“ ადგილს არ მოწყდეს“, თქვა მსოფლიო მთვარობის ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიაში ამირან მელიამ, პირჯვარი გადაიწერა და ზეცას ახედა.

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ ხეობა რიხტეტის შკალით რვაბალიანმა მიწისძვრამ შესძრა. ვარსკვლავეთ-სითიმაც და ხეობის ყველა ძველმა თუ ახალმა შენობამ მიწის რყევას გაუძლო. ხევის სიამაყე ობსერვატორია „ჰერაყლიონიც“, რომელიც ქალაქს დევდორაკის სამხრეთის მისადგომებთან გადმოჰყურებდა, შეუდრეკლად იდგა. მხოლოდ მისი დირექტორი, ყოფილი კრიმინალი და უსაქმური, ახლა კი ასტრონომი ირაყლიონ ირაყლიძე გაუჩინარდა.

ბევრისდასაუბედურად „დევდორაკის მყინვარი“ დაიძრა. დაიძრა კი არა თითქოს ადგილს მოწყდაო, საათში 80 მილის სისწრაფით ვარსკვლავეთ-სითის სასაზღვრო ტერმინალს, ჰიდრო ელექტროსადგურსა და იქვე მდებარე „თავშეკავებულ მამათა მონასტერს“ დაასკდა. ექვსას ფუტამდე სიმაღლის მღვრიე მასით აავსო ვარსკვლავეთის ხეობა და მდინარე ჩქერულა გადაკეტა,

რომელმაც საბედისწერო დაგუბება დაიწყო. რამდენიმე წუთში დევდორაკი ვარსკვლავეთის ხეობას გაცდა და ბალთას ველზე გავარდა. პირველ რიგში იგი კავკასიონის გადაღმა მდებარე დანმობერთლენდის ორი მესამედი დაფარა. დაახლოებით 300 ათასი დანმობერთელი ცოცხლად დამარხა. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი გადარჩა, რომლებსაც კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობის მაღალ ადგილებს შეეხიზნენ.

როკის გვირაბის გავლით „დევდორაკის მყინვარის“ ერთი ძლიერი ნაკადი მაგოგლენდის მიერ კავაკასიონის სამხრეთში მდებარე ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიჭრა, გორი გადაიარა და მცხეთას მიადგა.

ორი თვის შემდეგ ხეობაში დაგუბებულმა ჩქერულამ აიწყვიტა და აურაცხელი ზარალი მიაყენა ჩრდილოეთ კავკასიას.

ამ ამბების შემდეგ მაგოგლენდის ლიდერმა გოგი-პუტინმა შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა კავკასიაში და მოსკოვის თავ-დაცვაზე გადავიდა.

მესამე მსოფლიო ომი თავის დამამთავრებელ ფაზაში შევიდა.

ორი მეგობარი

შეხვედრის შემდეგ ლუციფერი და იესო ბეთლემის გამოქვაბულისაკენ გაემართნენ. მოწმეები კი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ, ზოგი თავიანთ ქვეყნებში და ზოგიც საფლავებში.

ალფრედი და თავადი გვარამ ჩოფიკა ვარსკვლავერთი სითის დაუნთაუნის ორღობეში მიდიოდნენ. ალფრედს სასტუმრო „ხევის თვალისკენ“ ეჭირა გეზი, გვარამი კი საფლავის გზით თავის ახალ ქვეყანაში აპირებდა წასვლას. გამოსამშვიდობებლად გზაჯვარედინზე შეჩერდნენ:

„ნახე შენი ხალხი? რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვს?“ იკითხა ალფრედმა.

„კი ვნახე, მაგრამ საქართველოდან არავინ არ არის“ მიუგო გვარამმა.

„არ არის გასაკვირი, მზამზარეულზე ცხოვრებას მიეჩვივნენ“.

„მეტწილად ებრაელები და სომხები არიან“. შენიშნა გვარამმა.

„მთავარია, რომ ერთმანეთის გესმით. შემდგომი ამოსვლის დროს მომიყევი თუ რომელ ქვეჯგუფში გაერთიანდები და როგორ წავა შენი საქმე“ თქვა ალფრედ ნავიგატორმა.

„აუცილებლად გეტყვი თუ გამჩენი გვაცლის“, თქვა გვარამმა.

„აუცილებლად გვაცლის, გული მიგრძნობს ყველაფერი კარგად დასრულდება. ტყუილად ხომ არ ლაპარაკობენ ამდენ ხანს“, იმედი გამოთქვა ალფრედმა და სასტუმროსაკენ გაემართა, გვარამი კი ვარსკვლავეთ სითის სასაფლაოსკენ მიმავალ ძნელ აღმართს შეუყვა.

მშვენიერი დარი იდგა. ვარსკვლავეთ-სითის პლაცა მზის სხივების შარავანდედში იყო გახვეული. კაფეებიდან მაგიდები გარეთ გამოეტანათ და ადგილობრივები და უცხოელები ლუდს და ყავას მიირთმევდნენ. მაგიდებს შორის ძაღლები და მტრედები მიდიმოდიოდნენ. გაზონებზე და სკვერების შემაღლობებზე კი ძერები და არწივები იჯდნენ. ყველანი ჰარმონიულად ცხოვრობდნენ.

ალფრედი სასტუმროში შევიდა და თავისი ძველი მეგობარი ამირან მელია იკითხა, რომელიც მსოფლიო მთავრობის ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი იყო რეგიონში. ამირანი სასტუმროს რესტორანში საუზმობდა. ალფრედი მიესალმა და მაგიდას მიუჯდა.

„ბეთლემის გზას გაუყვნენ“, თქვა ალფრედ ნავიგატორმა.

„რაც მეტს ილაპარაკებენ, მით უკეთესი, იქნებ საერთო ენა გამონახონ“ ბეთლემის ყოვლადწმინდა მადლით, მიუგო ამირანმა და მიმტანი მოიხმო.

„მეც მაგის იმედი მაქვს“, თქვა ალფრედმა და მიმტანს მოხეური ნაზუქი და „ჯიმლა“ დაუკვეთა.

„გამოჩნდა?“ შეცვალა თემა ამირანმა.

„არ ჩანს და არც არავინ არაფერი არ იცის“, უპასუხა ალფრედმა. „მანქანაც თავის ჩვეულებრივ ადგილას დგას“, დაამატა მერე.

„გასაკვირია სწორედ. კაცი ობსერვატორიის დირექტორი იყოს და უგზო-უკვლოდ დაიკარგოს“, ვარაუდის გამოთქმა დაიწყო ამირანმა.

„როგორც სჩანს დანმობერთების დედაქალაქში წავიდა და ზვავის დროს იქ ჩარჩა“, შენიშნა ალფრედმა.

„ნამდვილად ეგრეა, ისე კი დიდი სიგიჟე იყო იქ წასვლა, მას მერე რაც ცნობილი გახდა, რომ „დევდორაკის მყინვარი“ ბეწვზე ეკიდა“, თქვა ამირანმა.

„მართლაც, მაგრამ მას მერე რაც სახელი შეიცვალა და „ირაყლიონ ირაყლიძე“ გახდა ბევრი მისი მოქმედება გაუგებარი შეიქმნა“, უპასუხა ალფრედმა.

„ჩაის ხომ არ დალევ?“ მიიპატიჟა ამირანმა.

„არა, მადლობთ, ახლა ვეძას დალევას ვაპირებ. ხომ არ შემომიერთდები?“

„რატომაც არა, სწორედ რომ კარგი სასეირნო ამინდია. დანგრეულ საბაჟოს, „თავშეკავებულ მამათა მართლმადიდებლურ მონასტერსა“ და ელექტრო სადგურს უკვე ვერაფრით ვუშველით, თუმცა თანხები და სპეციალისტები უკვე გამოყოფილია“, თქვა ამირანმა.

„შეიძლება აღდგენა უკვე ვეღარც კი მოესწროს“ გამოთქვა ვარაუდი ალფრედმა.

„ეს ცუდი ამბავია“, განაცხადა ამირანმა.

„მსხვერპლი დიდია?“ იკითხა ალფრედმა.

„წარმოიდგინე, რომ მოხდა ფრიად უჩვეულო ამბავი. ასეთი ნგრევის მიუხედავად შენი ძმის გარდა არც ერთი კაცი არ დაკარგულა. მესაზღვრეებმა მოასწრეს კლდეებზე აჭრილ ავარიულ კიბეებზე არბენა და ბერების საცხოვრებელ სენაკებში მიღწევა. „თავშეკავებულ მამათა“ მონასტერი კი „დევდორაკის მყინვარმა დაფარა. დანმობერთების დედაქალაქიდან ყველა ჩვენიანი მშვიდობიანად დაბრუნდნენ. ასე რომ მხოლოდ

„ირაყლიონ ირაყლიძე“ არის დაკარგული, მაგრამ იგი შეიძლება იმალება“, ისევ გამოთქვა ვარაუდი ამირანამ და „ჯიმლა“-პიცას მოზრდილი ნაჭერი გადაიღო.

„რა აქვს დასამალი?“ ეჭვი გამოთქვა ალფრედმა.

„თავად განსაჯე ალფრედ! როგორც მე ვიცი, მას შემდეგ რაც მან დანმობერთების დედაქალაქში შენი ქონება მიითვისა, იგი ძალიან ნერვიულობდა, სახელიც კი შეიცვალა და ობსერვატორია „ირაყლიონში“ ჩაიკეტა. ასტრონომები ამბობდნენ, რომ იგი სულ ორიონის თანავარსკვლავედს უყურებდა და არ აძლევდა სხვებს საშუალებას „გამოცხადებაში“ მოხსენიებული დედამიწაზე გამოგზავნილი 21 უბედურებისათვის მონიტორინგი გაეწიათ. ახლა როდესაც მისი უძლიერესობა და თავად იესო ჩვენთან ჩამოვიდნენ, მას მამისეულ სახლში ვეღარ მიესვლება. შენ რომ ერთი უკმაყოფილება გამოთქვა მემკვიდრეობის თაობაზე, იგი იმ წამსვე სამუდამო „შავი სიკვდილით“ გაქრება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ შენი ძმა იმალება“, დამაჯერებლად განაცხადა ამირანმა.

„ვინ იცის! ირაყლიონ ირაყლისძის ამბავი“, აგრძელებდა ორ-ჭოფობას ალფრედი.

„ამავე დროს დაუფიქრდი ერთ გარემოებას. ვარსკვლავეთ-ის კანიონის არც ერთი მოსახლე და სტუმარი არ დაკარგულა. მიწისძვრას ყველაფერმა გაუძლო, თვით ობსერვატორიამაც კი რომელიც თითქმის „დევდორაკის მყინვარის“ მოწყვეტის მახლობლად, სამხრეთის ფერდობზე მდებარეობს. ახლა კანიონში ასი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და სიკვდილს რეიტინგი თითქმის ნულის ტოლია. ეს არის ხანდაზმულ ადამიანთა იდე-ალური საცხოვრებელი ადგილი. აქ 6666 ას წელზე მეტი ხნის ადამიანი ცხოვრობს. კრიმინალი კი აქ არ არსებობს. როდის მოკ-ლეს აქ ადამიანი უკანასკნელად?“ იკითხა ამირანმა.

„სამი წლის წინ მაგოგლენდის ჯაშუშმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწია, არ დაგვნებდა და დაიღუპა“, გაიხსენა ალფრედმა.

„და ასევე თავადი გვარამ ჩოფიკა, რომელიც დანმობერთების დედაქალაქში ჩაწყობილმა ელექტროშოკმა იმსხვერპლა“, გააგრ-ძელა ამირანმა.

„ასე რომ...“, აღარ დაასრულა ალფრედმა.

„ასე რომ“, აიტაცა მისი სიტყვა ამირან მელიამ და გააგრძელა:

„უფლის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, როგორც სჩანს კანიონის მოსახლეობა ხელშეუხებელია“.

„გამოდის, რომ ჩემი ყოფილი ძმა „ირაყლიონ ირაყლიძე“ ცოცხალია, მართლაც იმალება და გრძნობს, რომ „დევდორაკის მყინვარი“ ტყუილად არ მოწყვეტილა. განკითხვის ჟამი ახლოვდება და ძ----ს ჭამაზე პასუხისგება მოუწევს“, თქვა ალფრედმა.

„დიახ, ზუსტად ასეა“, დაასკვნა ამირანმა და „აბერკომი და ფიტჩის“ სპორტული სვიტერი ტანსრულ სხეულზე მარდად გადაიცვა.

მალე ორმა მეგობარმა ჩქერულის მიტოვებული, ნახევრად დანგრეული ხიდი ფრთხილად გადაიარეს და ალბათ მსოფლიოში ყველაზე უფრო მარგებელ „ვარსკვლავეთ-სითის“ უკვდავების წყლის „ვეძას“ დასალევად გრძელ ხეობას გაუყვნენ.

პირველი პრეტენდენტი

„შორი გზიდან მოიარე და შინ მშვიდობით მიდი“, ამ სიტყვებით მიესალმა არქანგელოზი სატანა დამსწრე საზოგადოებას, როდესაც ცივი ნოემბრის შუა ღამეს ალფრედ ნავიგატორის სახლის სადარბაზო კარი შეაღო ვარსკვლავეთ-სითიში.

მონაცრო, მოწითალო ფერის დარბაზში მოციქულები მიმოდიოდნენ, ორ-ორი, მარტო, ზოგი ბუხრის წინ იჯდა ან კედლის გასწვრივ მდებარე სპარსულ ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე იყვნენ წამოწოლილები. მათ ხელში მომცრო, ჩანაწერებით სავსე ფურცლები ეჭირათ და საგულდაგულოდ ჩაჰკირკიტებდნენ. სულ თორმეტი მოციოქული უნდა ყოფილიყო.

დარბაზში გვიანი ვახშმის სამზადისი იყო. სუფრა ფაქტიურად მზად იყო. მრგვალ მაგიდაზე ტრადიციულად ელაგა წითელი ღვინით სავსე ხელადები, შოთი პურები, საწებლით სავსე მომცრო ქოთნები, მჟავეულობა, კალმახით სავსე ლანგრები, მუხრანის ხოხბის ჩახოხბილი, ცხვრის ოხშივარავარდნილი ნეკნები, და ეჩმიაძინის საშემოდგომო ტოლმით სავსე ქვაბი. მეზობლად მდგარ უფრო პატარა მაგიდაზე კი ხილი ტკბილეულობა და მცხეთის ღვეზელები ელაგა.

ოჯახის უფროსი ოვალური ფანჯრის გვერდით მდებარე შავ საწერ მაგიდას უჯდა და გამალებით სწერდა. როდესაც სატანამ დარბაზში შემოაბიჯა ალფრედ ნავიგატორი, ყოფილი სტუდენტი და ჟურნალისტი, მრავალი პროფესიის მქონე, ახლა კი ყველაზე ცნობილი ფეხით მოსიარულე მოგზაური და სატანას მოციქული ფეხზე წამოხტა და დედამიწის გუბერნატორს მიეგება.

საკმაოდ მაღალი და ხმელი კაცი იყო ალფრედი, მაგრამ ახოვან ლუციფერს მხრებამდეც კი ვერ სწვდებოდა. ახლად შემოსული სულ თეთრად გიზგიზებდა, მასთან ერთად დარბაზში თითქმის მთელი პლანეტის თავისუფლების ქარებიც შემოიჭრნენ. სატანა იყო ამ სახლში პერიოდულად მიმდინარე შეკრებების მუდმივი მონაწილე და ხელმძღვანელი.

მძიმე დრო დაუდგა კაცობრიობას. მართალია ზეძლიერ სახელმწიფოებს შორის ცივი ომი დასრულდა, მაგრამ ევროპაში და აფრიკაში რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტები მიმდინარეობდა. განსაკუთრებით არაბები ბორგავდნენ. დიდი იმპერიის შექმნას ლამობდნენ. საფრანგეთი კეკლუცობდა. ვერც ერთი

მოკონფლიქტე მხარის ინტერესებს ვერ იცავდა. არც ევროპასთან იყო და არც არაბებთან, ამიტომ ყველაზე მეტად ზარალდებოდა. გერმანელი ხალხი ცდილობდა „რომის საღვთო იმპერიის“ აღორძინებას. ვარსკვლავეთ-სითის ჩრდილოეთით მდებარე მაგოგლენდის უფროსი გოგი კი მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას გეგმავდა.

26 საუკუნის წინ, წინასწარმეტყველ დანიელის მიერ განსჭვრეტილი ევროპის დაცუქმაცებულობა სახეზე იყო. ამავე დროს დედამიწაზე დიდი კლიმატური დამახინჯებებიც ხდებოდა. ზამთარი თბებოდა, ზაფხული გრილდებოდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობამ საგრძნობლად დაიწია. იმატა ეკოლოგიური და ტექნოკრატიული კატასტროფების რიცხვმა, ზვავებმა, წყალდიდობებმა, მეწყერებმა, მიწისძვრებმა და ვულკანურმა ამოფრქვევებმა. უკვე ყველა ნიშანი არსებობდა იესო ქრისტეს მე-2 მოსვლისა და სამყაროს დასასრულისა.

ასეთ ვითარებაში არქანგელოზ სატანას ციური დეპარტამენტის მუშაკები ძალიან ენერგიულად მუშაობდნენ. ასევე მუხლმოუდრეკლად შრომობდა სატანას დედამიწის შტაბიც. ამ შტაბში შემავალი მოციქულების ერთი ჯგუფი ალფრედ ნავიგატორთან იკრიბებოდნენ, რომელიც კავკასიის მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთში მდებარეობდა.

„მშვიდობა აქაურობას!“ თქვა ისევ სატანამ და ალფრედს ხელი ენერგიულად ჩამოართვა.

„ყველანი მოხვედით?“ იკითხა მერე და დარბაზს თვალი მოავლო.

„დიახ, თქვენო უძლიერესობავ! ყველანი აქ ვართ მოციქულ გვარამ ჩოფიკას გარდა, რომელიც წუთი წუთზე შემოგვიერთდება. იგი ჩემს ძმას ელაპარაკება ობსერვატორია „ირაყლიონში“, მიუგო ალფრედმა.

„ეხლახან დავინახე შენი ძმა, ირაყლიონ ირაყლიძე, ღობეს ამოფარებული იჭყიტებოდა ეზოში, ჩემი ყველგანმავალი რომ დაინახა ვირთხასავით გაქრა“.

„ასეა თქვენო უდიდებულესობავ. ბევრი ცუდი გამიკეთა და ახლა თავგზა აქვს დაკარგული“.

„ადამიანმა რომ არ იცის ავისა და კარგის გარჩევა, კიდევ უარესად დაიბნევა. საერთოდ არ უნდა ჭამო ძ----ი და ყველაფერი კარგად იქნება“, გამოთქვა ვარაუდი სატანამ.

„რა თქმა უნდა ეს ასეა თქვენო უდიდებულესობავ“, კვერი დაუკრა ალფრედმა.

„როგორ ფიქრობ ალფრედ, დღეს რაზე ვისაუბროთ?“ იკითხა ისევ სატანამ.

„თქვენი ზეძლიერო უძლიერესობავ! რთული დრო დადგა. დედამიწის ყველა წერტილში რყევაა. ამიტომ კარგი იქნება თუ ყველა მოციქული თავისი რეგიონის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს და გამოთქვამს ვარაუდს ვითარების გაუმჯობესების შესახებ“, თქვა ალფრედმა.

„შენ სად იყავი?“ ჩაეძია სატანა.

„სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ტუნისამდე მთელი აფრიკის კონტინენტი ფეხით გადმოვიარე“, უპასუხა ალფრედმა.

„რა დრო დაგჭირდა კონტინენტის გადმოსალახავად?“ დაინტერესდა სატანა.

„დაახლოებით ხუთი თვე დამჭირდა, თუმცა აქეთ-იქითაც საკმაოდ ვუხვევდი“.

„როგორი ვითარებაა კონტინენტზე?“

„დიდი ეთნიკურ-რელიგიური რყევებია“.

„რა პრობლემები სჭარბობს?“

„ასეულ-ათასობით მუსლიმანი და ქრისტიანი არის დახოცილი, განსაკუთრებით რთული ვითარებაა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუანდაში, უგანდაში და ნიგერიაში. იქ ადამიანებს არც კი ასაფლავებენ“.

„სანიტარული ბრიგადები როგორ მუშაობენ?“

„ისინი ორთოდოქსი მუსლიმანებისა და ქრისტიანების მუდმივი დევნის საგანი არიან“.

„ეპიდემია დაიწყო?“

„სადაც არის პანდემიაში გადაიზრდება“, განაცხადა ალფრედმა.

„საჭიროა თვითმფრინავებით განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოები. ზოგიერთი რაიონი დაიწვას კიდეც. განხორციელდეს მოსახლეობის ევაკუაცია, შეიძლება მსხვერპლიც იყოს, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. მთელი ქვეყნიერების სასიკეთოდ მცირედ მსხვერპლს ითხოვს უფალი“, თქვა სატანამ და თავის მოხელეს მიმდინარე ბრძანება გადასცა.

„ავსა და კარგს თქვენ უკეთ განსჯით“, დაეთანხმა ალფრედი.

„ვითარება მართლაც მეტად რთულია. ანალოგიური მდგომარეობაა დედამიწის სხვა რაიონებშიც. ამიტომ მოდით ამ ღამით მიმდინარე მოხსენება-რაპორტების საქმე დროებით გვერდზე გადავდოთ და ვისაუბროთ ჩვენი დიდი უფლის, მისი შვილის და

საერთოდ, მათ შესახებ ვისთანაც საქმე გვაქვს ამ დიდი უბედ-ურებების ჟამს“, წამოაყენა წინადადება სატანამ.

„რა თქმა უნდა თქვენო უდიდებულესობავ, როგორც თქვენ განსაზღვრავთ ისე იქნება“, თქვა ალფრედმა და სატანა გაშლილ მაგიდასთან მიიპატიჟა.

„კეთილი. მაშასადამე, სანამ საქმეს შევუდგები დავნაყრდეთ“, თქვა სატანამ და მსახურის მიერ მიწოდებული წითელი ღვინით სავსე ჯიხვის რქა დაცალა.

„კარგია!“ თქვა სატანამ.

„პაპაჩემ სვიმონის არის, ერთი გალონი ღვინო ჩადის“, გან-მარტა ალფრედმა.

„ძალიან კარგი“, თქვა ისევ სატანამ და მრგვალ მაგიდასთან მოკალათდა.

„ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. მალე გვარამ ჩოფიკაც შემუერთდათ.

„რა გადაწყვიტეთ?“ ჰკითხა ლუციფერმა გვარამს და რამდე-ნიმე მოზრდილი კალმახი გადაიღო ლანგრიდან.

„ძალიან ნერვიულობს. ახლა კი დანგობერთების დედაქალაქში გაემგზავრა“, თქვა გვარამმა.

„დიდხანს ნუ გაჩერდება იქ, რადგან „დევდორაკის მყინვარი“ ძალიან სახიფათოთ ჰკიდია, შეიძლება მოწყდეს და მაგ ქალაქს დაჰკრას“, თქვა სატანამ.

„ხვალვე შევატყობინებ“, თქვა გვარამმა და თავი დახარა.

ყველა გემრიელად ვახშმობდნენ, მცირე ხნის შემდეგ სატანა ფეხზე წამოდგა, ღვინით სავსე ვერცხლის თასი აღმართა და თქვა:

„ჩვენი დიდი მეუფის იეჰოვას სადღეგრძელო იყოს. მის ხელში ვართ ყველანი. მოდით, დღეს მის შესახებ ვისაუბროთ და შემდეგ კი შეძლებისდაგვარად დედამიწის მოსახლეობასაც მივაწოდოთ ის რასაც გეტყვით“.

სატანამ თასი დაცალა, ჩანგლით ეჩმიაძინის ტოლმას დაწვდა და დაჯდა. ყველამ მას მიბაძა. დრო ნელა გაიწელა, სითბო და სიმყუდროვე დაგუბდა დარბაზში. მსახურები ფეხაკრეფით მიმოდიოდნენ, საინებს ცვლიდნენ, ღვინის თასებს ავსებდნენ.

ბოლოს სატანამ მოგიზგიზე ბუხრის წინ ჯირკზე გადაინაცვლა და საუბარი დაიწყო:

„დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა მორწმუ-

ნეა და ღმერთის სწამთ, ძალიან ცოტაა ხალხი ვისაც სასწაულების არ სჯერა, მაგრამ თუ ვინ არის ღმერთი და როგორ გამოიყურება იგი არ აქვთ გათვითცნობიერებული. უფრო მეტიც, მათ თითქოს არც კი უნდათ გაიგონ სიმართლე და ამაში ქრისტიანი მკვლევარები ყველაფერში მე მადანაშაულებენ. გამოდის, რომ ყველა ერები, რომლებიც გამოცხადებაში არიან აღნიშნულები ჩემს მიერ მოტყუებულები არიან: ბიბლიაში წერია:

„გადმოგდებულ იქნა! დიდი დრაკონი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია და რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მთელი მსოფლიო“ (გამოცხადება 12:9).

დავიწყოთ იქიდან, რომ მე არავინ არ მომიტყუებია, როდესაც უფალმა ადამი და ევა შექმნა, მათ თავისი სახე, თავისი ანარეკლი მისცა (გამოცხადება 1:27). მერე განდევნა ისინი ბაღიდან, მაგრამ უფალს ადამიანებთან კონტაქტი არ გაუწყვეტია. თაობიდან თაობაში უფლის ურთიერთობა ადამიანებთან გრძელდებოდა და გრძელდება.

აბელს უფალი იესოს პირით უწოდებს „მართალი აბელი“.

ენოქს უფალთან სიარულის უფლება აქვს, შემდეგ კი მეგატრონი გახდა.

უფალი საუბრობს ნოესთან და მისცა კიდევაც მას კიდობნის მშენებლობის პროექტი.

მეფე ნომროდმა უფლის გამოწვევაც კი სცადა. უნდოდა მასთან საუბარი.

უნდა ითქვას, რომ პირველ ხალხს ღმერთი პირდაპირ ელაპარაკებოდა ერთი-ერთზე, ადამს, ევას, აბრამს, მოსეს და სხვებს.

უფალი წინასწარმეტყველებების საშუალებით აძლევს ხალხს ინფორმაციას, აქვს მათთან კონტაქტი.

მიუხედავად ამისა, ხალხს მაინც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა უფალზე, ვერ წარმოედგინა იგი ფიზიკურად. უფრო მის შემოქმედებას უყურებდა, ვიდრე შემოქმედს. „პატივს მიაგებდა და წმინდა მსახურებას უსრულებდა ქმნილებას, შემოქმედის ნაცვლად“ (რომაელებს 1:25).

დღეს, ამ კრიტიკულ დროსაც კი, როდესაც მილიონობით ადამიანი რელიგიურ-ეთნიკური შეტაკებების მსხვერპლია და შველას მხოლოდ უფალში ხედავენ და თუ შეეკითხები, რომელიმე გაუბედურებულს:

„ღმერთის გწამს?“ იგი გიპასუხებს:

„დიახ მწამს, რომ ღმერთი არის პირველი მიზეზი ყველაფრისა“.

მაგრამ ვერავინ იტყვის თუ როგორ გამოიყურება იგი. ღმერთი არ არის მათთვის რეალური ქმნილება“, თქვა ლუციფერმა, ჯირკიდან წამოდგა, მომცრო მაგიდას მიუახლოვდა და რამდენიმე დიდი დოუნათი და „მცხეთის ღვეზელი“ აიღო.

„გემრიელი დოუნათია, სად გამოაცხვეთ?“ იკითხა ლუციფერმა.

„რესტორან „კავკასიის თვალის“ საცხობიდან ამოვიტანეთ“, მიუგო გახარებულმა ბარი რიჩარდსმა.

„კარგი არჩევანია“, შეაქო ბარი ლუციფერმა და გააგრძელა თხრობა:

„ის, რომ ადამიანებს უფალი ჯეროვნად ვერ წამოედგინათ, ეს მათი ბრალი არ არის. ეს უფლის შეცნობის პროცესია. ეს ხალხის მასწავლებლების მოვალეობაა. ისინი უნდა იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე და თავისი საქმის მოყვარულები. თუ მასწავლებელი არასწორ ინფორმაციას აძლევს ადამიანებს, უფლის შეცნობის საკითხი განუსაზღვრელი ვადით იდება ხოლმე და ამიტომ ვიღებთ პარადოქსალურ სიტუაციას. ხალხმა დღემდე წესიერად არ იცის, ვინ არის და რისგან შესდგება ჩვენი შემოქმედი. მისი სახით როგორ ფენომენთან აქვს საქმე.

ქრისტიანები ამტკიცებენ, რომ ღმერთი და იესო ერთი და იგივეა, რომ კაცობრიობა შეიქმნა 6000 ათასი წლის წინათ. მიუხედავად ამისა, 4000 წლის შემდეგ მხოლოდ 120 ადამიანს სჯეროდა, რასაც იესო უფალზე ამბობდა. აბა, გავიხსენოთ:

„იმ დროს წამოდგა პეტრე ძმებს შორის (იქნებოდა სულ 120-მდე კაცი) და თქვა... (მოციქულთა საქმეები 1:15).

შემდეგ 120 კაციდან ქრისტეს მიმდევრებნი 2 მილიარდამდე გაიზარდნენ, მაგრამ მაინც არ იცოდნენ თუ როგორ გამოიყურებოდა უფალი.

იეჰოვა ღმერთმა შექმნა ყველაფერი, სამყარო, ვარსკვლავები, გალაქტიკები, კოსმოსი, მიწა, ადამიანი, ყველაფერი დედამიწაზე. ღმერთი შემოქმედია, იგი არქიტექტორია, დიზაინერია, მოქანდაკეა. მან შექმნა სიცოცხლე. იგი გამცემია და არა მიმღები.

მაგრამ თავად როგორ გამოიყურება იგი? ვინ არის იგი? ჰყავს მშობლები? ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცის, ან თუ იციან აქვთ მწირი ცოდნა.

ზოგი ფიქრობს, რომ უფალი არის ე. წ. კეთილი საწყისი, რომელშიც მოთავსებულია ყველა ინდივიდუმი დედამიწაზე.

ზოგი ფიქრობს, რომ ღმერთი არის კერპი, რომელიც შექმნი-

ლია ოქროსგან, ვერცხლისგან, მოჩუქურთმებული წითელი ხისგან ან რაიმე იშვიათი სხვა მასალისგან.

ებრაელები სანამ მათი ლიდერი მოსე უფალს ესაუბრებოდა, ფიქრობდნენ, რომ უფალი ჰგავს ოქროს ხბოს და დაამზადეს კიდევაც მისი გამოსახულება, რამაც მოსეს რისხვა გამოიწვია.

ზოგი ფიქრობს, რომ უფალი არის უმაღლესი ინდივიდი.

ზოგი ფიქრობს, რომ იგი არის სული.

ქრისტიანული მსოფლმხედველობა ამტკიცებს ღმერთის გაგებას სამებაში. ანუ სამი ინდივიდის ერთობლიობაში. მამა, შვილი და სული წმინდა ერთად არიან გაერთიანებულები და ეს არის ჩვენი უფალი.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიაში სამება მოხსენიებული არ არის. ასევე ბიბლია არ ასწავლის სამების დოქტრინას, მაგრამ ამის შესახებ კიდევ ვიტყვი მოგვიანებით“, თქვა ლუციფერმა და ოქროსფერი თმები მხრებს უკან გადაიყარა.

„მაგრამ მოდით ახლა წავიდეთ ყველაზე ადრეულ დროში და ვნახოთ წყარო, სადაც ღმერთი პირველად არს მოხსენიებული. ზოგი ექსპერტი იტყვის, რომ ეს არის დაბადება 1:1, მაგრამ როგორც სჩანს უფრო ადრე ეს იოანემ გამოხატა შემდეგნაირად:

„დასაწყისში იყო „სიტყვა“. სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ის (სიტყვა) დასაწყისში ღმერთთან იყო. ყველაფერი მისი მონაწილეობით მოხდა. მის გარეშე არაფერი გაჩენილა. მისი მონაწილეობით გაჩნდა სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა სინათლე“ (იოანე 1:1-4).

მალე სიტყვა ხორცად იქცევა.

„...ამრიგად, სიტყვა ხორცი გახდა...“ (იოანე 1:14).

„ღმერთი სულია“ (იოანე 4:24), სული კი უხილავია.

მაშასადამე, იოანეს მიხედვით ჯერ იყო სიტყვა, სიტყვა ჯერ არ იყო ღმერთი. სიტყვა მერე გახდა ღმერთი. აიღო ხორცი, გახდა სული. გახდა პიროვნება.

რატომ არ არის უფალი რეალური არსება მრავალი ადამიანისათვის?

იმიტომ, რომ ღმერთი სულია (იოანე 4:24).

...იგი (იესო) უხილავი ღვთის ანარეკლია. (კოლოსელები 1:15) ე. ი. ღმერთი უხილავია.

მიუხედავად ამისა, რომ ღმერთი უხილავია და სულია, მას აქვს ფორმა და გამოსახულება.

როგორია უფლის ფორმა და გამოსახულება?

დაბადების პირველი თვის 26 პარაგრაფში ითქვა, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი ჩვენს ანარეკლად, ჩვენს მსგავსად“ (დაბადება 1:26).

ჩვენ ვიცით ადამიანის ფორმა და გამოსახულება. მსგავსი გამოსახულება უნდა ჰქონდეს უფალსაც.

„ახლა კიდევ ერთ რამეს გეტყვით“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„ბიბლიის მრავალ ადგილას ჩვენ ვკითხულობთ ინფორმაციას, საიდანაც ირკვევა, რომ უფალს აქვს სახე, თვალები, ცხვირი, პირი, ყურები. მას აქვს თმა და აქვს თავი, ასევე აღმოჩნდა, რომ ღმერთს აქვს ხელები და ფეხები. აქვს მკლავები და თითები!

არც ერთ ცხოველს, ფრინველს, ჩიტს, მწერს არ აქვს ხელის მტევნები ადამიანის მსგავსად. თუ რომელიმე არსებას ექნება ადამიანის მსგავსი გონება, ხელებისა და თითებიოს გარეშე თავის ჩანაფიქრს ხორცს ვერ შეასხამს.

ღმერთს აქვს თავი, ფეხები და ტანი. ღმერთს აქვს გონება. ცხოველებს აქვთ ტვინი, მაგრამ არა ისეთი ძლიერი, როგორც ადამიანებს აქვთ.

რაც შეეხება სექსს. აქვს თუ არა უფალს სექსუალური ორგანოები, ეს საკითხი ძალიან ღრმა არის. ერთი ხელის მოსმით ვერ იტყვი. რადგან უფალი ყველაფრის საწყისია და მათ შორის სექსისაც.

ასე რომ თუ შენ იცი, როგორ გამოიყურება ადამიანი, იცი თუ როგორ გამოიყურება ღმერთი. იესოს ერთ-ერთი მოწაფის შეკითხვაზე, თუ როგორ გამოიყურება მამა-ღმერთი, იესომ უპასუხა:

„ფილიპე, ამდენი ხანია თქვენთან ვარ და აქამდე ვერ გამიცანი? ვინც მე მიხილა, მამაც იხილა“ (იოანე 14:9).

იესო ჰგავდა მამას. იესო იყო უფლის შვილი, მის საყვარელი შვილი.

როგორ გამოიყურებოდა თავად იესო?

იესო იყო ერთ-ერთი ადამიანის მაგვარი. იგი იმდენად ჰგავდა ებრაელს, რომ სინჰედრონის თავკაცებს ქრთამის მიცემა დასჭირდათ იუდეისათვის, რათა მას ეჩვენებინა სადამსჯელო რაზმისთვის, რომელი იყო იესო მრავალ ებრაელ მოქალაქეს შორის.

ახლა პატარა შეჯამებასავით გავაკეთოთ და ვთქვათ რომ ჩვენი უფალი არის ფენომენი რომელიც თვითონ აწარმოებს

თავისთავს, თავად მრავლდება თუმცა უამრავი ცოლიც ყავს, თვითონ ეძებს თავისთავს თუმცა უამრავი გამომძიებელი ანგელოზი ჰყავს, თავად პოულობს თავისთავს, თავად არის თავისი თავის მამა, დედა, ძმა, და, ქმარი, შვილი. ამ უკიდეგანო ფენომენის წიაღში ყველაფერი მუდმივი ძალის არის და ყველაფერი არეკლილია ადამიანის გონებაში. ადამიანს შეუძლია უფლის შეცნობა შემეცნებით, გამოხატოს იგი ენით და მეცნიერულად დაასაბუთოს," განაცხადა ლუციფერმა.

ამრიგად, ჩვენ უკვე ვიცით, რომ უფალს აქვს ადამიანის ზოგიერთი ფორმა და მოხაზულობა, ამავე დროს მას აქვს მსგავსება იესოსთან, ჩემთან და სხვა ანგელოზებთან", თქვა ლუციფერმა.

„ახლა ორიოდ სიტყვა ანგელოზებზე ვთქვათ," შენიშნა ლუციფერმა და გააგრძელა:

„მინდა ყველამ იცოდეს, რომ უფალმა პირველად ანგელოზები შექმნა. ისინი თავის ანარეკლად და მსგავსად შეიქმნა და ეს მნიშვნელოვანია.

შემდეგ შექმნა მან დედამიწა, ვარსკვლავები, გალაქტიკები და ყველა დანარჩენი. ღმერთი თავად აღნიშნავს, რომ როდესაც მან დედამიწა შექმნა, ყველა ანგელოზს ფრიად გაუხარდათ (იობი 38:7).

მაშასადამე, უფალმა ჯერ ანგელოზები შექმნა, და შემდეგ კი ყოველგვარი სახის შენაერთები, მაგრამ მოდით ისევ ჩვენს შემოქმედს დავუბრუნდეთ. ჩვენ გავარკვიეთ, რომ უფალს ადამიანისა და ანგელოზის ფორმა და მოხაზულობა აქვს. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ იგი შესდგება სულისაგან და ისეთი ნივთიერებებისაგან, რომლისგანაც ადამიანი შესდგება. ამავე დროს უფლის სული უხილავია მანამ სანამ იგი სპეციალურად ხილულად არ გამოეცხადება ადამიანს.

რა შეგვიძლია ვთქვათ ღმერთის ხასიათზე? ესეც ძალიან მნიშველოვანი გარემოებაა და იგი ერთი სიტყვით შეგვიძლია გამოვხატოთ, უფალი „აბსოლუტური სრულყოფილებაა", იგი ლიდერია სიყვარულშიც და სიძულვილშიც. ეს მისი მოვალეობაა.

ასე გამოიყურება და ასეთი ხასიათისაა ჩვენი დიდი უფალი და ეს ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ „დიდი უბედურებების" პერიოდში, რომელიც დამღუპველია როგორც კაცობრიობისათვის ისე საანგელოზოსათვის.

„ახლა კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ", თქვა სატანამ და ბუხრიდან ისევ მრგვალ მაგიდაზე გადაინაცვლა.

„ვისაც ვახშმობის სურვილი გაქვთ და პროდუქტების მიღება შეგიძლიათ ივახშმეთ, მე ნუ მიყურებთ. მე შემიძლია ვჭამო და არც ვჭამო, ისე მოვიქცე, როგორც ვითარება მოითხოვს, მაგრამ ასეთ კალმახებზე უარის თქმა არ შეიძლება“, თქვა ლუციფერმა და რამდენიმე მთის კალმახი გადაიღო და ვერცხლის თასი კი წითელი ღვინით შეივსო.

რამდენიმე მოციქული არ ჭამდა. ისინი ცოცხლები არ იყვნენ, მათ საჭმელი არ სჭირდებოდათ, რადგან ეთერით საზრდოობდნენ, მაგრამ სხვები მაგიდას მიუსხდნენ, ცხვრის ნეკნები, ახლად შემოტანილი ჩაქაფული და „ჯიმლა“ პიცა გასინჯეს.

„ბევრი ბიბლიის მკვლევარი და მეცნიერი საუბრობს და ასევე ბევრს ძალიან აინტერესებს თუ რა ურთიერთობა მაქვს მე ლუციფერს იესოსთან. რა გვაერთიანებს და რა გვაშორებს ჩვენ ერთმანეთისაგან“, თქვა ლუციფერმა.

„ამის შესახებ ვისაც არ ეზარება ყველა საუბრობს, ჩემს გარდა“, გაიღიმა ლუციფერმა და გააგრძელა:

„მოვიდა დრო, რომ ჩემს თავზე მე ვილაპარაკო. აბა ვინ იტყვის ჩემს თავზე ჩემზე უკეთესად? რაც დრო გავა სპეკულაცია ამ თემაზე მოიმატებს, რაც ფრიად ბუნებრივია, რადგან ჩვენ მე და იოსე ყველაზე გავლენიანი ფიგურები ვართ დედამიწაზე.

ზოგიერთი ქრისტეს მომხრე მკვლევარი ისე შორს წავიდა, რომ განაცხადა, თითქოს მე საერთოდ არავითარი ურთიერთობა არ მაქვს უფალთან, მამაჩემთან, რომ მე არ ვარ მისი შვილი ან მისი ქმნილება. მათ დაავიწყდათ თუ რა თქვა ღმერთმა ისაიას პირით:

„მე ვქმენი სინათლეს და სიბნელეს
მომაქვს მშვიდობა და უბედურება
მე იეჰოვა ვაკეთებ ყოველივე ამას“ (ესაია 45:7)

ამის გამო მე იძულებული ვარ ზოგიერთი საკითხი განვმარტო:

„ღმერთი არის მუდმივი არსება, რომელიც არსებობდა ყოველვის. უფალს ჰყავდა მრავალი ცოლი. მათ მისცეს სიცოცხლე ანგელოზთა მთელ თაობებს. თქვენ იცით თუ რა კონტაქტები აქვთ ანგელოზებს დედამიწასთან, რაც ასე დაწვრილებით არის აღწერილი „ალფრედ ნავიგატორის ჟურნალში“. მე ლუციფერი საზეიმოდ ვაცხადებ, რომ სანამ უფალი შექმნიდა მიწას და სხვა ციურ სხეულებს, ე. ი. „დიდი დარტყმის“ წინ, იგი უფალი თავის ჰარემთან, ცოლებთან და თავის სპირიტულ ბავშვებთან და ანგელოზებთან ერთად ცხოვრობდა ზეცაში. ციური ზეცა

არ არის ერთი. იგი 7-9 ზეცისგან შესდგება და ამის შესახებ თუ ვინ ცხოვრობს ამ ზეცაში დაწვრილებით საუბრობს ალფრედ ნავიგატორი თავის სხვა წიგნში „სატანას წარმოშობა და მისია“.

მე და იესო ვართ სულიერი ძმები. უფალს ყავდა და ყავს ორი გამორჩეული შვილი. ერთი მე ვარ, დედამიწის გუბერნატორი და მეორეა იესო, რომელმაც მოგვიანებით მესიის (ქრისტეს) ტიტული აიღო.

ციური დეკრეტით, პერსპექტივისა და პოტენციის მიხედვით უფლის ყველა შვილს შეუძლია გაიაროს ტესტი და გახდეს ღმერთი. ზეციურ დეკრეტში, რომელიც მოკვდავებისათვის მიუწვდომელია წერია:

„უფლის ყველა შვილს შეუძლია გაიაროს ზეციური ტესტი, გახდეს პრეტენდენტი ღმერთის ტახტისა და საბოლოოდ გახდეს ღმერთი“.

უფალი არ არის შესაცვლელადი. ამავე დროს უფლის შვილი არ არის შეუცვლელი. ისინი უკვდავები არიან.

„იმ შემთხვევაში თუ უფლის რომელიმე შვილი წარმატებით გაივლის ტესტს-გამოცდას და გახდება უფლის ტახტის პრეტენდენტი ამ შემთხვევაში სად მიდის მამა ღმერთი?“ დასვა კითხვა ლუციფერმა.

„იგი არსად არ მიდის. იგი არ კვდება. ტახტის პრეტენდენტი შვილი ერწყმის მამა ღმერთს და მამა-შვილი ხდებიან ერთი მთლიანი. სწორედ ეს არის ქრისტიანობის საბაზისო რწმენა. მხოლოდ მათ ლიმიტირება გაუკეთეს ასოცირებულ წევრებს სამამდე: ერთი ღმერთი, ერთი შვილი და ერთი წმინდა სული. სამი სუბსტანცია ერთში. ეს არის ქრისტიანობის ქვაკუთხედი და ეს შეხედულება ძალიან მოსახერხებელია მათთვის“.

„მაშასადამე, შვილი იჭრება მამა ღმერთში“, კვლავ ხაზი გაუსვა ლუციფერმა და იქმნება ერთიანი კავშირი ახალი, უფრო სრულყოფილი და უფრო ახალგაზრდა ღმერთისა, ახალი იეჰოვასი. ამის შემდეგ აღიზრდება ღმერთის ახალი პრეტენდენტი შვილი. თუ მანაც წარმატებით გაიარა ციური გამოცდა, მაშინ ისიც ერწყმის მამა ღმერთს. ეს ღვთიური პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტლივ. ამავე დროს გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ ღმერთი ყოველთვის ახალგაზრდა უნდა იყოს. ღმერთს ერთი ჭაღარა რომ გამოერიოს, იგი მაშინვე შეიცვლება. ასე რომ ქრისტიანობის მიერ გამოსახული თეთრწვცერა მოხუცი ღმერთი

ფიქციაა. მოხუცებს სამყარის მართვა არ შეუძლიათ. სამყაროს მართავდა და მართავს ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა ღმერთი.

თითქმის იგივე ცვლილებების პროცესი ხორციელდება უფლის მრავალრიცხოვან ცოლებს შორის. ისინი ძალიან დაკავებულები და საქმიანები არიან. ამავე დროს მათი მოვალეობაა ყოველთვის ახალგაზრდები და ლამაზები იყვნენ. მათ ყოველთვის უნდა გაიახალგაზრდავონ თავი. ქალიშვილი პრეტენდენტი ანგელოზების თვითშერწყმის გზით.

ზოგჯერ სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ უფლის ქალიშვილებს და ვაჟიშვილებს სქესი არ აქვთ. ეს ნაწილობრივ მართალია. ანგელოზები ორსქესიანები ანუ ანდრონინესები არიან, მაგრამ როგორც უფალი გადაწყვეტს მათ შეუძლიათ იყვნენ როგორც ქალები, ისე კაცები.

უფლის ყველა შვილი როდი გადის ტექსტს და ერწყმება უფალს. ვინც ტესტს ვერ გადის რჩება ანგელოზად. ტესტგამოცდას მხოლოდ რჩეული შვილი გადის.

მაშასადამე, ზეციური გამოცდა ყველასათვის სავალდებულოა. ეს უფლის ბრძანებით ხდება და მოითხოვს სრულ განწმენდას და ნეგატიური პროდუქტებისაგან განთავისუფლებას.

მე უფროსი ვარ. ჩემი დედა არის შეკინაჰი, უფლის ყველაზე წარჩინებული და მაღლა მდგომი ცოლი, ქალღმერთის ტიტულის მატარებელი ზეციური არსება. მამაჩემი არის უფალი. მე ღმერთის შვილი ვარ. მე ვარ ყველაზე უმაღლესი არსება, რომელიც ოდესმე ყოფილა უფლის ახლო წრეში და უფლის ზეციურ სათათბიროში.

იესოს მამა არის უფალი, ისეთივე როგორც დედა არ არის უფლის ცოლი. იგი არის უფლის ქალიშვილი მარიამი, იგი ადამიანია და მოკვდავია. მაგრამ იესოს ორი მამა ჰყავს: ზეციური და მიწიერი, ამიტომ იესო პირველია ადამიანებს შორის.

იგი პირველდაბადებული და პირველი ნაყოფია ზეციური ქმნილებების შემდეგ. იგი არის მხოლოდ უფლის ერთადერთი „უსაყვარლესი შვილი“ მოკვდავი მეუღლისაგან.

მაშასადამე, იესო არის პროდუქტი, უფლის ზეციური ძალებისა დ ქალწული მარიამისა, რომელიც ადამიანი იყო.

იესო არის ზეციური მამის შვილი სხეულით და სულით, იგი არის 50 პროცენტი ღმერთი და 50 პროცენტი ადამიანი“.

„მე ვარ“, კვლავ ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„ასი პროცენტი ღმერთის შვილი, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან და ამავე დროს შემიძლია ვიყო ანდროიდი. შემიძლია ვიყო ას პროცენტიანი ადამიანიც, როგორც ქალი, ისე კაცი, როგორც ეს ანგელოზების ბუნებას შეეფერება. ამავე დროს შემიძლია ვიყო ასი პროცენტი ღმერთი თუ უფლის ტესტს გავივლი.

მე უფროსი ვარ, მე უფლის პირველი დაბადებული შვილი ვარ. ამრიგად, თუ იესო დედა მარიამი არის, უფლის ქალიშვილი და ცოლი, ეს ნიშნავს იმას, რომ იესო დედის მხრიდან არის ადამიანი და ამიტომაც დაიბადა დედის მუცლიდან და მე-8 დღეს როგორც ჭეშმარიტ ებრაელ ბავშვს შეეფერება ჩაუტარდა საზეიმო წინდაცვეთა, როგორც კაცს. ე. ი. როგორც ადამიანი იესო იყო კაცი და ჰქონდა სქესი. ხოლო ღვთიურ არსებებს სქესი არა აქვს.

მამის მხრიდან იესო იყო ღმერთი და იყო ორსქესიანი. სანამ დედამიწაზე თავის ცნობილ მისიას ასრულებდა, იესო იყო მამაკაცი და მრავალი ქალის, მათ შორის მარიამ მაგდალინელის დაინტერესებას იწვევდა, როდესაც იგი ზეცაში აღავლინა იგი უსქესო ან ორსქესიანი გახდა.

მე მამის მხრიდან ვარ „უფლისწული“. დედაჩემი ქალღმერთი შეკინაჰი არის უფლის პირველი ციური ცოლი. როგორც სარა იყო აბრამის პირველი ცოლი, ისე იყო დედაჩემი შეკინაჰი უფლის პირველი ცოლი. დედაჩემი შეკინაჰი უკვდავია. ეს იმას ნიშნავს, რომ მე როგორც დედის, ისევე როგორც მამის მხრიდან 100 პროცენტიანი უფლის უკვდავი ჩამომავალი ვარ. ჩემი მოკვლა შეუძლებელია და თუ წარმატებით გავივლი „ზეციურ ტესტს“ მე შემიძლია გავხდე უფლის ზეციური ტახტის პირველი პრეტენდენტი.

იესოს არ აქვს უფლება გაიაროს „ზეციური ტესტი“, რადგან იგი ნახევრად მოკვდავია. მაგრამ მან შეიძლება მიიღოს ეს უფლება, რადგან ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით თუ რა შედეგებით დასრულდება მისი მე-2 მოსვლა დედამიწაზე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იგი უფლის ტახტის №1 პრეტენდენტი ვერ გახდება.

ასე რომ დღეს ჩემს წინ არავინ არ არის. არავის ისე არ დაუმსახურებია გახდეს ღმერთი, როგორც მე და სწორედ ამიტომ ვთქვი უკვდავი სიტყვები:

„...ავალ ღვთის ვარსკვლავების ზემოთ, დავიდგამ ტახტს,

დავჯდები შეხვედრის მთაზე, შორეულ ჩრდილოეთში... უზენაესს დავემსგავსები“ (ესაია 14:13-14).

იმ ღამეს კიდევ დიდხანს საუბრობდა ლუციფერი უფალზე, იესოზე, თავის თავზე და სამყაროს ამ სამი ყველაზე გამოჩენილი ქმნილების ურთიერთობაზე. ეს იყო ალფრედ ნავიგატორის სახლში მოწყობილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი შეხვედრა. ბევრი რამ ნათელი გახდა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან დიდი განსაცდელი ახლოვდებოდა და ამ დროს ყველაფერი ნათელი უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედტრა მოხდა კავკასიონის მთის გრეხილებში, ლუციფერის საზაფხულო რეზიდენცია „პანამირანიუმის“ მახლობლად, კავკასიის მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთ-სითიში, რომელსაც ახლა სან-სტეფანო ჰქვია.

საყვარელი ქალაქი

„რომელია თქვენი საყვარელი ქალაქი?“ ჰკითხა ერთხელ ალფრედ ნავიგატორმა სატანას.

„საინტერესო კითხვაა ალფრედ, მაგრამ ჯერ შენ მითხარი თუ რას აკეთებდი იქ?“ თავის მხრივ შეუბრუნა კითხვა სატანამ, როდესაც გაიგო, რომ ალფრედი ახლახან დაბრუნდა სინგაპურიდან.

„კეთილი! სინგაპურში ვსწავლობდი გამოცდილებას თუ როგორ დაასამარო შედარებით ბევრი ადამიანი, შედარებით მცირე ადგილზე“, უპასუხა ალფრედმა.

„კარგი და ფრიად აქტუალური საკითხია“, წამოიძახა კმაყოფილმა სატანამ.

„სინგაპურელებმა სასაფლაოების მაგივრად უკვე გამოიგონეს მრავალსართულიანი დეპოზიტორი, ორმელსაც „კოლანბარიუმი“ ჰქვია. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ფრიად მაღალია“, აღნიშნა ალფრედმა.

„სინგაპურის ჩინური მოსახლეობა ძალიან ნიჭიერი ხალხია. მათი გამოცდილება ძალიან გამოგვადგება დღეს, ე. წ. „დიდი უბედურებების“ შვიდწლიანი პერიოდის დროს, როდესაც ჩვენი უძლეველი და სათნო უფლის ინიციატივით ყოველ დღე მილიონობით ადამიანი გვეღუპება. გარდაცვლილთა გვამების ეფექტური და ამავე დროს ჰუმანური უტილიზაციის სინგაპურულ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოდი დავუბრუნდეთ შენს კითხვას, თუ რომელია ჩემი საყვარელი ქალაქი. მე შენ სწორად გაგიგე, ალფრედ?“

„დიახ, ჩვენო უძლეველობავ!“ იყო პასუხი.

„ყოველ ცნობისმოყვარე ადამიანს, რომელსაც აინტერესებს ჩვენი პლანეტის წარსული, სურს იცოდეს თუ რომელია ჩემი საყვარელი ქალაქები. დღეს მე მოგიყვები ამ საკითხის შესახებ.

როდესაც დედამიწის გუბერნატორი გავხდი თავდაპირველად ვცხოვრობდფი სამხრეთ მესოპოტამიის ქალაქებში, ერიდუში და ქიშში. იმ დროს მე კოორდინაციას ვუწევდი ექსტრატერესტრიული ცივილიზაციების წარმომადგენლების საქმიანობას დედამიწაზე. ამ ქალაქებში განლაგებული იყო დედამიწის ციური ადმინისტრაციები. ეს იყო დიდი ტრანსფორმაციების დრო და მე და ჩემი დამხმარეები ძალიან მაგრად ვმუშაობდით. ერიდუ და ქიშში იყო ჩემი პირველი საყვარელი ქალაქები.

ე. წ. „ყბადაღებული წარღვნის“ შემდეგ ყველანი დიდ გაჭირვებაში ჩავვარდით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში „ჰომო საფიენსები“ აღმოჩნდნენ, მაგრამ არც ჩვენ ანგელოზები და უცხოპლანეტელები ნაკლებ გაჭირვებაში არ აღმოვჩნდით. დიდი ფიქრის შემდეგ მე აღმოსავლეთით წავედი და დავსახლდი მდინარე ინდუს ველზე, რომლიც ხუთი მილიონი „ჰომო საფიენსის“ სამშობლო იყო. მათთან დიდხანს ვცხოვრობდი. იმ დროის თიხის ფირფიტები მოგვითხრობენ, რომ ინდუს ველის მაცხოვრებლებს მაღალი ცოდნა ჰქონიათ მათემატიკაში და ფლობდნენ წონებისა და ზომების რთულ სისტემებს. მათ განავითარეს დამწერლობის წესები და სტრუქტურები, რომლებიც შესაძლებელია უფრო ძველია, ვიდრე შუმერული დამწერლობა. არქეოლოგებმა ნახეს მუსიკალური ინსტრუმენტების, ბავშვების სათამაშოების, ჭკუამახვილი თამაშობებისა და მექოთნეობის ნიმუშების ექპოტანები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქირურგიული ინსტრუმენტების კომპლექტში. ამ საქმეებში ჩემი წილი ძალიან დიდი იყო.

მე მიყვარდა ინდუს ველი. იქ ძალიან ნიჭიერი ჰუმანოიდები ცხოვრობდნენ. საცხოვრებლად ავირჩიე ქალაქი მოჰენჯო დარო (მკვდრების გორა), სადაც 40.000 ადამიანი ცხოვრობდა, თითქმის მუდმივად იქ ვიყავი. ქალაქის ტერიტორია დაახლოებით 300 ჰექტარზე იყო გადაჭიმული და ინდოეთის ცივილიზაციის ყველაზე დიდ ქალაქად ითვლებოდა.

ცხოვრების პირობები აქ ფრიად კომფორტაბელური იყო. ქალაქს ჰქონდა დიდი სახალხო აბანო, ცენტრალური სავაჭრო მოედანი და დიდი ფუნდამენტური ჭა. ბევრი სახლი ორსართულიანი იყო, ჰქონდა საკუთარი ცხელი აბანო და ბოტანიკური ბაღი, მაგრამ ეს არ იყო სულ. ზოგიერთ სახლს ჰქონდა საკუთარი ტუალეტი, რომელიც მსოფლიოში პირველ საკანალიზაციო სისტემას უკავშირდებოდა. მოჰენჯო დარო იყო ადგილი, სადაც პირველად მოხდა ქათმების მოშინაურება და ცნობილი ინდაურების წარმოშობა. სწორედ აქ ჩაისახა ბევრ ქვეყანაში ცნობილი მამლების ბრძოლის ტრადიცია.

სარწყავი არხების კარგად განვითარებული სისტემები ხორბლისა და ქერის უხვ მოსავალსაც იძლეოდა, მაგრამ ეს გარემოება სამწუხაროდ ამბოხების მიზეზიც ხდებოდა. ეს ჰუმანოიდების თვისებაა. მაინც ეს კარგი დრო იყო და მე ინდუს

ველის მოსახლეობის ერთ დიდ ჯგუფს, არიელებს განსაკუთრებით ვუჭერდი მხარს. მათ შორის ბევრი ჰიბრიდი იყო. მე მათ მართალ ცხოვრებას ვასწავლიდი. ჩემი საქმიანობით კმაყოფილი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ ეს კარგი დრო კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა და მოჰენჯო დარო იქნებოდა მაგალითი როგორც მსოფლიოს ყველაზე უფრო წარმატებული ქალაქისა, რომ ყველა ადამიანი დედამიწაზე ისე იცხოვრებდა, როგორც ამ აყვავებულ ქალაქში, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი კი იცინოდაო. საუბედუროდ მე საერთო ენა ვერ გამოვძებნე ჩვენს დიდი ბატონთან, ჩვენს სათნო და მიმტევებელ უფალთან, რომელმაც გადაწყვიტა ჩაეკლა სიცოცხლე მოჰენჯო დაროში და ამის გამო მე დავტოვე ეს მხარე და მესოპოტამიაში გადავედი“, თქვა სატანამ.

მოჰენჯო დაროს შემდეგ ჩემი საყვარელი საცხოვრებელი ქალაქი გახდა ბაბილონი. მალე ეს ქალაქი მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ქალაქად იქცა, რადგან მისი მოქალაქეები ყველაზე მდიდრები იყვნენ. მათ ღრმა შეიგნეს, რომ ფული არის ის რითაც ცხოვრებისეული წარმატება იზომება. მათ შეისწავლეს საიდუმლოებები და მეთოდები თუ როგორ იქნეს ფული მოპოვებული, როგორ იქნეს ფული დაცული და როგორ გაკეთდეს ფულისგან ფული.

ბაბილონში ცხოვრობდნენ მსოფლიოს საუკეთესო ფინანსისტები, თვით ნეფილიმებიც კი, რომლებიც დედამიწაზე პლანეტა ნიბირუდან გადმოსახლდნენ და ხელმძღვანელობდნენ ადამიანთა რასას, რომლებიც თავადვე შექმნეს, ვალი ჰქონდათ, ბაბილონელი ფინანსისტებისა. ბაბილონში შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. მმართველ კლასს, ნეფილიმებს ჰქონდათ პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ იმავე დროს ზოგიერთ ჰუმანოიდ მოქალაქე ფინანსისტს ზეგავლენა ჰქონდათ ხელმძღვანელ კლასზე. სწორედ ეს იყო დემოკრატიის უმაღლესი ფორმა.

ბაბილონი იყო მსოფლიოში ყველაზე უფრო განათლებული ქალაქი. იგი ასპროცენტიანი წერა-კითხვის მცოდნე ხალხით იყო დასახლებული. ბაბილონის მოქალაქე ვერ გახდებოდი, თუ წერა-კითხვასა და ფინანსური ცოდნის ტესტს ვერ ჩააბარებდი. ეს წესი ჩემი მოთხოვნით იქნა შემოღებული.

მე აქ ავაშენე მსოფლიოს პირველი აკვარიუმი, პლანეტარიუმი და უნივერსიტეტი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „ცოდნისა და სიბრძნის ტაძარი“. მის ფართე აუდიტორიებში

სიბრძნე წარმოჩინდებოდა ვოლუნტარი მასწავლებლებისა და პროფესორების მიერ. ტაძარში დიდ დაინტერესებას იწვევდა ე.წ. ღია ფორუმზე მიმდინარე დისკუსიები და დებატები. ამ ადგილას ყველა ადამიანი თანაბარი იყო.

მუშაობით დაღლილი, მაგრამ კარგად განბანილი თავმდაბალი მონა უმაღლესი მატერიის საკითხებზე საუბრობდა და კამათობდა სამეფო სახლის პრინცებთან. აქ ისეთი გარემო იყო შექმნილი, რომ უმეცარი და ყოყოჩა ადამიანი ფეხს ვერ მოიკიდებდა. იგი თავად დატოვებდა ფორუმს.

ბაბილონში მე შევქმენი საზოგადოება, სადაც ყოველ ნიჭიერ მონას ჰქონდა შესაძლებლობა სავაჭრო გარიგება დაედო საშუალო და მაღალი კლასის წარმომადგენლებთან, გამოესყიდა საკუთარი თავისუფლება და გამხდარიყო პატივცემული ვაჭარი.

პატივისცემის მთავარი კრიტერიუმი ბაბილონში იყო ფული, ცოდნა და არა რასიული წარმოშობა. სწორედ ბაბილონში დავაარსე მსოფლიოში პირველი ფინანსური სკოლა და საბანკო სისტემა, რომელსაც ასირიული წარმოშობის მოქალაქე ტიკილ-ტუნინურტა ხელმძღვანელობდა. ისევე როგორც დოქტორი ლოლა ხელმძღვანელობდა ჩემს მიერ დაარსებულ მსოფლიოში პირველ ჰოსპიტალს. თვით ნეფილიმები-გიგანტები ესწრებოდნენ ჩემს ლექციებს ტაძრის უნივერსიტეტში და საფინანსო სკოლებში.

თავად მე ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი მარდუქის ტაძარში, სადაც აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი რჩეული კლასისა და ხალხის ქალდეელების განვითარება-განათლებაში. მე მოვამზადე და გავწვრთენი ბევრი განმანათლებელი. მათ შორის დიდი მეფე ნაბუქოდონოსორი, მისი მამა, ნაბუპალასარი. ებრაული წარმოშობის ბაბილონელი წინასწარმეტყველებები ეზეკიელი, დანიელი, ეზრა და ბევრი სხვა“, თქვა სატანამ და მერე კი მწუხარე ხმით დასძინა:

„ყველასთვის სამწუხაროდ, ჩვენს უძლეველ და ყველაფრის შემნდობ უფალს სხვანაირი გეგმა ჰქონდა და მან მთლიანად გაანადგურა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და განათლებული ქალაქი“.

„უფლის შემოჭრის შემდგომ მე ასურეთს დედაქალაქ ნინევიაში გადავსახლდი, სადაც აშურბანიპალის ბიბლიოთეკაში დროის გარკვეული, პერიოდში, როგორც ბიბლიოთეკის ასისტენტი-დამხმარე ვმუშაობდი, შემდეგ კი მუშაობა დავიწყე დასავლეთ

ირანში მდებარე გუნდიშაპურის აკადემიაში. ეს აკადემია დაარსდა სასანიდების იმპერიის დროს და იცავდა 400.000 ხელნაწერს.

ამის შემდეგ ცხოვრება და მოღვაწეობა გავაგრძელე ხეთების იმპერიის დედაქალაქ ჰატუსაში. ამ მაღალ მთებში მოთავსებულ კარგად დაცულ ქალაქში ძალიან მოწინავე არქივი იყო, სადაც ხეთების ყველა ტექსტი იყო შენახული. ამ ხალხს კარგი პერსპექტივა ჰქონდათ, რათა განათლების მაღალი დონისთვის მიეღწიათ. მაგრამ ხეთების იმპერიაში სომეხთა ძალიან ძლიერი ასიმილებური შეჭრა მოხდა. და ისინი მალევე გაქრნენ, თუმცა მათი სახელი შემორჩენილია ამ მხრეში: კოლხეთი, კახეთი, ჯავახეთი, ჯოჯოხეთი. დაბოლოება „ხეთი“ ან „ეთი“ ხეთებისგან მოდის.

რამდენიმე ხანს მე სომხებს ვიკვლევდი. ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მოვიდნენ და ებრაელების მსგავსად მეზობელი ხალხების კარგი ასიმილატორები იყვნენ. მათ ჰქონდათ ცოდნისადმი ღვთიური მიდრეკილება, რასაც თავის სასარგებლოდ მშვენივრად იყენებდნენ, ამავე დროს ღრმად აანალიზებდნენ მათ. სომხებმა უამრავი ზედაპირული ცოდნა მოაგროვეს. ამაში ისინი დიდად მონდომებულები იყვნენ, ახარისხებდნენ ცოდნას და მომავალი საუკუნეებისთვის იყენებდნენ. ამ ხალხს პრაქტიკული განსჭვრეტის დიდი უნარი ჰქონდათ. მე ვფიქრობდი, რომ სომხებს მომავალი ჰქონდა, თან ვურჩევდი უფრო დიდსულოვნები და მეზობელი ერებისთვის უფრო მეტად ყოფილიყვნენ სასარგებლონი. შეენელებინათ ასიმილური მიდრეკილებები, რაც როდისმე კატასტროფით დასრულდებოდა. მათ სომხეთის დიდი იმპერიის შექმნაც კი მოახერხეს, რომელიც რამდენიმე საუკუნეს მსოფლიოს აზანზარებდა. ისინი პართიელებთან და რომაელებთან ქედმაღლურად რომ არ მოქცეულიყვნენ ყველაფერი კარგად იქნებოდა“. მოულოდნელად სატანას სახე შეეცვალა, მცირე ხნით იგი ფიქრობდა, მერე კი მძიმედ დასძინა:

„მაგრამ იქ არაფერი საინტერესო არ მოხდა და გადავწყვიტე ადგილის გამოცვლა და საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ ჰერგამონში გადავედი“.

„ხმელთაშუაღვის ეს ქალაქი იოანეს „გამოცხადების წიგნშია“ მოხსენიებული და მთელი რიგი პარამეტრებით მნიშვნელოვანი ქალაქია. ბევრი მკვლევარი და საქმეში ჩახედული პირი ფიქრობს, რომ ეს 200.000 ბერძნების მიერ კლდოვან ადგილებში აშენებული ქალაქი ყველაზე ლამაზი და კომფორტაბელურია, მათ მიერ

აშენებულ ქალაქებს შორის. შეიძლება ეს ასეა“. თქვა სატანამ და გააგრძელა.

„პერგამონი იყო აკადემიური და ცოდნის მოყვარულთა ქალაქი. აქ უამრავი პროფესორი და სტუდენტი ცხოვრობდა. აქ დომინირებდა ცოდნისა და თავისუფალი ნების კულტი.

პერგამონის ყველა მოქალაქეს საკუთარი შეხედულებისა და სიტყვის უფლება ჰქონდა. მაგალითად, ბევრმა პერგამონელმა კარგად იცოდა, თუ რა როლს თამაშობდა ჰუმანოიდების ცხოვრებაში ნეფილიმები. ზოგიერთი მოქალაქე მათი წინააღმდეგი იყო, სხვები კი თავიანთ შეხედულებებში უფრო ზომიერები იყვნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აკეთებდა მკაცრ განცხადებებს. ორივე მხარე ტოლერანტობას ინარჩუნებდა.

როგორც ყოველთვის სიტუაცია ქრისტიანებმა გააფუჭეს. პირველი ქრისტიანები ნიფილიმების კატეგიული მოწინააღმდეგენი იყვნენ. მათ განაცხადეს:

„ჩვენ არ ვიბრძვით სხეულისა და სისხლის წინააღმდეგ, მაგრამ კბილებითა და ფრჩხილებით ვეწინააღმდეგებით დიდგვაროვნებს, ძალაუფლებას, სიბნელის მმართველებს და სულიერ ბოროტებას, მაღალ ადგილებში“ (ეფესელები 6:12).

„ჰერგამონში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქრისტიანთა ფრიად ზომიერი ჯგუფი. ამის გამო მახარებელი იოანე მკაცრად აკრიტიკებდა ადგილობრივ ქრისტიანებს ბოროტების წინააღმდეგ არასაკმარისი ბრძოლისათვის. ერთ საღამოს იოანეს გაფრთხილება მივეცი, ვუთხარი ქალაქის დალაგებულ ცხოვრებას ნუ აბუნტებ-მეთქი, მაგრამ ამაოდ. მისთვის იესო, როგორც ახალგაზრდა ლიდერი უფრო ავტორიტეტული იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა ვინმე და ამიტომ მე იგი მარტო დავტოვე“, თქვა სატანამ და გააგრძელა:

„ამავე დროს პერგამონი ჩემი ქალაქიც იყო. მე იქ ვცხოვრობდი. მქონდა საკურთხეველი და ტაძარი, სადაც კულტურა და განათლებაა იქ არის ჩემი ადგილი. პერგამონში დავაარსე განთქმული სამედიცინო ინსტიტუტი და ჰოსპიტალი, სადაც სიმბოლოდ დახველი გველი იყო. იგი დღესაც ჯანმრთელობის ღმერთის პოპულარული სიმბოლოა“, თქვა სატანამ აღტაცებით.

„პერგამონს ჰქონდა განთქმული ბიბლიოთეკა, რომელშიც პლუტარქეს ცნობით 200.000 ხელნაწერი ტექსტი ინახებოდა, მე ეს ზუსტად ვიცი, რადგან ყველა მათგანს ჩემს კაბინეტში

გავეცანი, რომელიც ასევე ბიბლიოთეკაში იმყოფებოდა. პერ-გამონის ბიბლიოთეკას ძალიან კომფორტაბელური შენობა ჰქონდა. აქ ბევრი სამუშაო ოთახი იყო. ჰქონდა უამრავი თაროები და სივრცეები ჰაერის სამოძრაოდ. აქ ხელნაწერები კარგად იყვნენ დაცულები სინესტიდან.

თბილი კლიმატიდან და სინესტისაგან დასაცავად პერგამონში უძველესი დროიდან ცდილობდნენ ხელნაწერების დაცვას. პერგამონი იყო ადგილი, სადაც გამოიგონეს განთქმული პერჩმენტი, შესანიშნავი საწერი მასალა, რომელიც მზადდებოდა ცხვრის ტყავისაგან და არა პაპირუსისაგან. ტექსტი, რომელიც პერგამენტზე იწერებოდა იხვეოდა, და თაროზე ინახებოდა. ბიბლიოთეკის მთავარ სამკითხველო დარბაზში ათენას ქანდაკება იდგა, რომელიც სიბრძნისა და კეთილშობილების ქალღმერთი იყო. ბოლოს ეს შესანიშნავი ბიბლიოთეკა ადამიანების ვნებების მსხვერპლი შეიქმნა.

მარკუს ანტონიუსმა, ბრძენმა კაცმა, პოლიტიკოსმა და მეომარმა 200.000 ხელნაწერი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად ეგვიპტის დედოფალს კლეოპატრას აჩუქა. თითქოს დიდი არაფერი მომხდარა, ერთი დიადი ბერძნული ქალაქიდან ხელნაწრები გადაიტანეს მეორე დიად ბერძნულ ქალაქში. მაგრამ ეს იყო ანტონიუსის საქორწინო საჩუქარი პატარძლისათვის. ამავე დროს პატარძალი ჰიბრიდი იყო, ნახევრად ბერძენი და ნახევრად ნეფილიმელი ანუ უცხო პლანე-ტური წარმოშობის. ამან დაასამარა პერგამონის ბიბლიოთეკა და დაასრულა მისი როგორც განათლების ცენტრის საქმიანობა. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ამ პროცესში ჩართვა და პერგამონის ბიბლიოთეკის გადარჩენა, მაგრამ ასეთი აქტი წინააღმდეგობაში მოვიდოდა უფლის მიერ დადგენილ ადამიანის „თავისუფალი ნებისა და არჩევანის“ უფლების მიმართ. ასე რომ პერგამონის ბევრი პროფესორი და სტუდენტი, ასევე ყველა განათლების უბრალო მოყვარული სიბრძნის წყაროს გარესე დარჩნენ. მათ შორის ვიყავი მეც და ეს იყო ძალიან მტკივნეული მომენტი ჩემს ბიოგრაფიაში“, აღნიშნა სატანამ.

„მოგვიანებით უფალმა თავისი მოსაზრების თანახმად მხარი დაუჭირა ოტომან თურქებს და მათ ლიდერს მეჰმედ მეორეს, რომელმაც დაიპყრო პერგამონი და კონსტანტინოპოლი. მეჰმედს კარგად ესმოდა თუ რა ტრადიციებს სტაცა ხელი. მან პერგამონის

ბიბლიოთეკიდან ორი დიდი ალებასტრის ქოთანი სტამბოლის აია სოფიას ტაძარში წაიღო და იქ მოათავსა როგორც სიბრძნის ქვაკუთხედი. მაგრამ მანამდე მე უკვე დავტოვე პერგამონი.

იმის გამო, რომ ჩვენმა დიდმა, უძლეველმა და სათნო უფალმა პერგამონის სამეფო ნანგრევებად აქცია მე გავემართე ალექსანდრიაში, სადაც კვლავ შევქმენი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ბიბლიოთეკა, თავისი საცავებითა და სამკითხველო დარბაზებით. იქ თავმოყრილი იყო 400.000 ხელნაწერი. ჩემი ხალხი მთელს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, ასევე, სპარსეთში, ინდოეთში და ჩინეთშიც კი დადიოდნენ, რათა ჩამოეტანათ უნიკალური ხელნაწერები.

შეიძლება არ იცით, ამიტომ გეტყვით, რომ როდესაც 13 წლის იესო იერუსალიმში დაიკარგა და 17 წელიწადი გაუჩინარებული იყო, იგი აღმოსავლეთის ქვეყნებში ცხოვრობდა და მოგზაურობდა და მხოლოდ 30 წლის ასაკში დაბრუნდა სამშობლოში, სადაც სამი წლის შემდეგ ჯვარზე დაასრულა სიცოცხლე. სწორედ ჩემმა ემისრებმა წაიყვანეს სწავლას მოწყურებული იესო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც იგი დიდ სიბრძნეს ეზიარა. მათ შორის დაეუფლა ლევიტაციას, ანუ ზეცაში ასვლასა და ფრენის ხელოვნებას. ამ საგანში იესომ დიდ წარმატებას მიაღწია და კონკურენციას უწევდა ჩემს სხვა მოწაფეს საიმონ მაგნუსს. სწორედ ჩემმა ქვეშევრდომებმა ასწავლეს იესოს ფრენის ხელოვნება ეს მოხდა ინდოეთის ქალაქ ჯაგერნაუთში, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ფონდების შესავსებად მე კიდევ ერთი საშუალება გამოვნახე. ის ხომალდი, რომელიც ალექსანდრიის ნავთსადგურში ღუზის ჩაშვებას და ვაჭრობას აპირებდა, ვალდებული იყო განბაჟების საფასურში ერთი ხელნაწერი ტექსტი გადაეხადა.

საუბედუროდ ბევრ ჩვენს ქრისტიან ძმებს ტვინი გადაუბრუნდათ და განათლების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. მათი აზრით რაც უფრო გაუნათლებელი იყო ადამიანი, იგი მით უფრო იოლად ითვისებდა ქრისტიანულ სიბრძნეს. ამიტომ მათ როდესაც იხელთეს დრო და გადაწვეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, რითაც აურაცხელი ზარალი მიაყენეს კაცობრიობას.

ასე რომ მე კვლავ უმუშევარი დავრჩი და წავედი რომში. იმ დროს რომის მფლობელი იყო აქანგელოზი ჰანიელი. მე მასთან გარიგება

დავდე და ეს ქალაქი ჩემს დაქვემდებარებაში გადმოვიფორმე და საკმაო ხანს ვატიკანის ბიბლიოთეკაში ვმოღვაწობდი. შემდეგ გადავედი კონსტანტინოპოლში, სადაც იმპერიულ ბიბლიოთეკაში ასისტენად ვმუშობდი. ზოგიერთი კლასიფიკაცია აჩვენებს, რომ კონსტანტინოპოლის ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იყო 100.000 ტომი, პერგამენტისა და პაპირუსის ხელანწერის შეკვრები.

მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის გამო კონსტანტინოპოლში ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი 1453 წლიდან 1924 წლამდე და შემდეგ მის იმპერიულ უმაღლესობას პრინც ერტუგრულ ოსმანს გავყევი ნიუ-იორკში. 12 წლის პრინცი ათათურქის მიერ გაძევებულ იქნა სამშობლოდან. სულთანის ოჯახი მანჰეტენზე დასახლდა, მე კი ბრონქსში ვცხოვრობდი. მოგვიანებით გუგენჰაიმის მუზეუმში ვმოღვაწეობდი.

ახლა ვიმყოფები ჰონგ-კონგში და კარგი კონტაქტები მაქვს ჯაკარტასთან და სინგაპურთან, საიდანაც ახლახან ალფრედი ჩამოვიდა. საერთოდ ვინც სინგაპურთან ახლო კონტაქტს დაამყარებს, მხოლოდ წაადგება თავის ქვეყანას.

ამას გარდა მაქვს რამდენიმე ზამთრის რეზიდენცია ჰიმალაიზე. აგრეთვე ჩემს განკარგულებაშია ტიბეტში მდებარე „ყინულის სასახლე“, კავკასიონის „პანამირანიუმი“ და ანტარქტიკის რეზიდენცია „სამხრეთი პოლუსი“. ამ ადგილებში თავმოყრილია დედამიწისა და სამყაროს უმთავრესი სულიერი მემკვიდრეობა და მე ყურადღებით ვდარაჯობ მათ. ამას გარდა ამ რეზიდენციებში იწერება ე. წ. „სატანას ციური ქრონიკები“.

„ეს იყო და იქნება ჩემი საყვარელი ქალაქები და საცხოვრებელი ადგილები მსოფლიოში“, დაასრულა თავისი თხრობა სატანამ.

სვიმონის დაღუპვა

„როგორ ფიქრობ, ალფრედ, რომელი უფრო მძიმე დანაშაულია, მკვლელობა ფიზიკური ზემოქმედებით თუ სიტყვიერი ზემოქმედებით ჩადენილი მკვლელობა“, იკითხა ლუციფერმა.

„თქვენო უძლიერესობავ! ჩემი აზრით სიტყვიერი ზეგავლენით ჩადენილი მკვლელობა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ხანჯლით, ბომბით ან საწამლავით ჩადენილი მკვლელობა“, მიუგო ალფრედმა.

„მეც ასე ვფიქრობ. ხომ ვერ მოიყვან რომელიმე მაგალითს, რომელიც უფრო ნათელს მოჰფენს ამ საკითხს?“ ისევ იკითხა ლუციფერმა.

ამ დროს ალფრედი ლუცისფერის კავაკსიის რეზიდენცია „პანამირანიუმში“ იმყოფებოდა. ეს იყო კაცობრიობისათვის მეტად დაძაბული პერიოდი. მიმდინარეობდა მესამე მსოფლიო ომი და პლანეტა ცეცხლის ალში იყო გახვეული. მიუხედავად ამისა, უკვე შეინიშნებოდა ამ ომის დასრულების ნიშნები და ძალიან შორს ჰორიზონტზე უკვე იკვეთებოდა საბოლოო, არმაგედონის ომის კონტურებიც.

„ეს საკითხი გარკვეულად მაგიასთან არის დაკავშირებული“, თითქოს ორჭოფულად თქვა ალფრედმა.

„შეიძლება მკვლელობა მთლიანად მაგიური აქტია“, ღიმილი შეაგება ლუციფერმა.

„რა თქმა უნდა, თქვენო უძლიერესობავ! მკვლელობა ნებისმიერ შემთხვევაში მაგიური აქტია“, დაეთანხმა ალფრედი.

„როდესაც ადამიანს მოკლავ, და სპეციალურ რიტუალს ჩაატარებ მაშინ მოკლული არსების ფიზიკური და გონებრივი ენერგია მკვლელში გადმოვა. ეს ბარბაროსული აქტი არის მკვლელობის ქვაკუთხედი“, განმარტა ლუციფერმა.

„მაშინაც როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს თავს ესმის?“ ჩაეკითხა ალფრედი.

„დიახ, მაშინაც როდესაც ერთი სახელმწიფო ცდილობს მოკლას მეორე სახელმწიფო და მისი სასიცოცხლო ენერგია ანუ მისი სასარგებლო წიაღისეული გააკონტროლოს“. თქვა არქანგელოზმა და გააგრძელა:

„სამწუხაროდ, ცოდნის შეძენის გზაზე მაგიური საწყისი გაფერმკრთალდა. მაგიური ხელოვნება როგორც ერთ-ერთი

ღირსეული და შეკრული დისციპლინა ინტელექტუალურ და გამჭრიახული მეცნიერების სასარგებლოდ დაქვეითდა. იგი დარჩა როგორც სანახაობრივი, მასობრივი ეშმაკობის ნაწილი, მაგრამ როგორც რწმენის სისტემის ნაწილი იგი გახუნდა“, თქვა ლუციფერმა.

„მახსენდება პარასელსუსის სიტყვები“, თქვა ალფრედმა.

„აბა გაიხსენე და თქვი“, გაამხნევა ლუციფერმა.

„მაგია არის უკვე მრავალგზის შემოწმებული ძალა შეიგრძნოს და პრაქტიკულად გამოიყენოს ის მოვლენები, რომლებიც მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის. იგი არის ფრიად საიდუმლო ცოდნა, რომელიც მისი არსის შეუცნობელობის მიუხედავად ხალხის დიდი სიხარულისა და აღტაცების მიზეზია“, თქვა ალფრედმა.

„ეს მართალია, მაგრამ ისევ ჩვენს თემას, სიტყვიერი და ფიზიკური მკვლელობის მაგიურობის საკითხს დავუბრუნდეთ“, სურვილი გამოთქვა ლუციფერმა.

„სანამ რენესანსულ ევროპაში სქოლასტიკურ-მაგიური ძალები აღზევდებოდნენ, განსაკუთრებული უნარითა და ზებუნებრივი ძალებით დაჯილდოებული ადამიანების მოღვაწეობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე მყარი ტრადიციები გააჩნდათ. ხშირად ამ ხალხს სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტი მოსდიოდათ ახლად აღმოცენებულ, განვითარებული დინამიკის მქონე რელიგიურ რწმენებთან. ეს იყო ჩვეულებრივი, მაგრამ სასტიკი ბრძოლა ადამიანის სულებზე ბატონობის მოსაპოვებლად.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში სამარეთის მცხოვრებლების გაოცებას იწვევდა კაცი, რომელსაც სვიმონი ერქვა, იგი მაგიური უნარისა და ძალების შთამბეჭდავ დემონსტრირებას ახდენდა. სვიმონი თავის თავს მაგიური ხელოვნების ყველაზე დიდ ოსტატს უწოდებდა და ამ აზრს ყველა ეთანხმებოდა. სამარელები აღნიშნავდნენ, რომ სვიმონს ღმერთის ძლიერება ჰქონდა. ამიტომაც მას სვიმონ დიდი უწოდეს. ეს ამბები მოთხრობილია ახალი აღქმის მახარობლების აქტებში“, თქვა ალფრედმა და გააგრძელა:

„სვიმონს შეეძლო თავისი თავი უხილავად ექცია, მიეღო სხვა ადამიანის ან ცხოველის ფორმა, გასულიყო ქვის მასიურ კედელში, დაუზიანებლად გაევლო ცეცხლში, ეფრინა ჰაერში“, თქვა ალფრედმა.

„მე ძალიან კარგად ვიცნობდი სვიმონს. მის შესახებ მრავალი მოთხრობა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი აგვიწერს თუ როგორ

მიუსაჯა იმპერატორმა ნერონმა მას სიკვდილი თავის მოკვეთით, როგორ დააღწია სვიმონმა თავი ამ უბედურებას და გახდა იმ-პერატორის ამალის წარჩინებული ასტროლოგი, მაგრამ ალფრედ გააგრძელე შენი მონათხრობი“, შენიშნა ლუციფერმა.

„აბსოლუტურად ნათლად ბრძანებთ თქვენო უძლიერესობავ! ეს ადამიანი მეტად მოხერხებული და მიმზიდველი ბუნების იყო. შესაძლებელია სვიმონის შესახებ არსებულ ამბებს შორის ყველაზე შთამბეჭდავია მოთხრობა მისი საბოლოო მარცხის შესახებ.

სვიმონსა და მახარობელ პეტრეს შორის დაძაბული ურთიერთობა შეიქმნა. ორივე მეტად პოპულარული იყო ხალხში. ისინი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ და მოსახლეობას თავიანთ უნარსა და შესაძლებლობებს უჩვენებდნენ. ორივე მეტად კარგი მჭერმეტყველი და საიდუმლო ცოდნის მატარე-ბლები იყვნენ. ბოლოს ისინი სამარეთის ერთ ქალაქში შეხვდნენ ერთმანეთს და სვიმონმა მახარობელ პეტრეს პირისპირ შეხვედრა შესთავაზა, რათა ხალხს თავად გადაეწყვიტა თუ ვინ იყო მათ შორის უძლიერესი.

სვიმონი სამარეთის ერთ-ერთი ქალაქის ცენტრში მდებარე ყველაზე მაღალი კოშკის ფანჯრიდან მოედანზე შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანის თვალწინ გამოფრინდა, მახარობელი პეტრე მუხლებზე დაეშვა და ლოცვანი აღავლინა, რამაც გადაწყვიტა სვიმონის ბედი“, თქვა ალფრედმა და „პანამირაუმის“ ყინულის დარბაზში გაიარ-გამოიარა, მერე კი უფროსს მი-უახლოვდა, რომელიც უზარმაზარი ფანჯარასთან იდგა და ჭოგრიტით „მყინვარის“ წვერს უყურებდა.

„მე მგონი ერთი კომეტა მყინვარის წვერს დაატყამს, იგი ჩვენი საყვარელი უფლისა და ცის მტარვალის მთავარსადლის, იესო ქრისტეს მიერ არის გამოსროლილი, და თუ ეს მოხდება, რასაც რამდენიმე წუთში გავიგებთ, მაშინ ჩვენი კანიონი და მიმდინარე რაიონები გამდნარი თოვლის ზვავით აივსება რაც აქ მყოფი ასი ათასი ადამიანის დაღუპვას გამოიწვევს. ხოლო რაც შეეხება შენს ნათქვამს მხოლოდ დავამატებდი, რომ ძალიან ცოტა ცნობები გვაქვს სასწაულმოქმედი სვიმონის ანუ როგორც მას უწოდებდნენ სვიმონ მაგნუსის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი მას სიმონ აგნოსტიკოსთან აიგივებს რომელიც პირველ საუკუნეებში არსებული ერეტიკოსი ქრისტიანების ერთ-ერთი სექტის ხელმძღვანელი იყო. ეს სექტა ამტკიცებდა, რომ

ადამიანის სულის ხსნა გადის საიდუმლო და მაგიური ცოდნის შეცნობის გზაზე.

სიმონ აგნოსტიკოსმა, ისევე როგორც იესომ სპარსეთში, ინდოეთში, ტიბეტში და აღმოსავლეთის სხვა რამდენიმე ქვეყანაში იმოგზაურა. მან დიდი ცოდნა და გამოცდილება მიიღო რამდენიმე სასწაულმოქმედების საგანში. კერძოდ იგი ძალიან ძლიერი იყო ჰაერში ფრენაში, ტელედეპორტაციაში და მკვდარი ხალხის ზომბირებაში. მან შექმნა მთელი პროგრამა თუ როგორ გაეცოცხლებინა მკვდრები და ფაქტიურად იგი იდგა ბიოლოგიური რობოტებისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის სათავეებთან.

იმის გამო, რომ ადრიანი ქრისტიანი მამები ძალიან მავნებლები იყვნენ, მათ გაანადგურეს და ყოველგვარი კვალი წაშალეს ერეტიკოსი ქრისტიანების ტექსტებისა. ამის გამო სიმართლეს სვიმონ სასწაულმოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ასევე მისი და სიმონ აგნოსტიკოსის იდენტურობას შესახებ დარწმუნებით ვეღარ ვიტყვით“, თქვა ლუციფერმა და დარბაზისკენ შემობრუნდა.

„ბოლოს ვიტყოდი, რომ სვიმონ მაგნუსი დამარცხებულ იქნა. მახარობელმა პეტრემ ლოცვებით დაძლია სვიმონის ბოროტი ძალები, რომლებითაც იგი შეპყრობილი იყო და შეწყვიტა მისი ლევიტაცია, რის შედეგადაც სასწაულმოქმედი მიწას დაენარცხა, დაიმტვრია ორივე ფეხი და ჩაიწყვიტა შიგნეულობები რის შედეგადაც დაიღუპა“, თქვა ალფრედმა.

მაშასადამე, სვიმონმა პეტრეს სიტყვიერი ზემოქმედების შედეგად ფრენა შეწყვიტა, დედამიწას დაენარცხა და დაიღუპა“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„დიახ ასეა“, კვერი დაუკრა ალფრედმა.

„რატომ არ დაეხმარა სვიმონს სასწაულმოქმედი ძალები. იგი ხომ ფლობდა ტელედეპორტაციის ხელოვნებას?“ იკითხა ლუციფერმა.

„პეტრემ შესძლო მის გონების რამდენიმე წამით დაბინდვა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მისი დასამარებისათვის“, თქვა ალფრედმა.

„უკვე ის ფაქტი, რომ ადამიანს ფრენაში ხელს შეუშლი, დაბორკავ და მიწაზე დაანარცხებ არის საზიზღარი ფაქტი. მაგრამ როდესაც ამ ფაქტს ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვებად გამოაცხებ ორმაგად საზიზღარი ფაქტია“, განაცხადა ლუციფერმა და ფანჯრიდან კვლავ ცის ჭვრეტა განაგრძო.

„მართალს ბრძანებთ. ეს პროგრესის შეწყვეტაა. წინსვლის შეჩერებაა“, რწმენა გამოთქვა ალფრედმა.

„ფრენა არის ცოცხალი არსების ერთ-ერთი უმაღლესი სიამოვნება და შთაგონების წყარო. სიზმარში ადამიანები ხში-რად დაფრინავენ. ეს დაძაბული გრძნობაა. ზოგჯერ მათ გაოფლიანებულებს ეღვიძებათ, რადგან დახარჯეს ის ენერგია რაც საფრენად არის საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები გენეტიკურად მზად არიან იფრინონ, ჯერთ საფრენი აპარატით და შემდეგ უიმისოდ. ნახეთ რამდენი ახალგაზრდა ხდება „რუფერი“, ზოგიერთი იღუპება, მაგრამ მათ შორის ადრე თუ გვიან გამოჩნდება ის ვინც ხელსაწყოების გარეშე შესძლებს ფრენას“. თქვა ლუციფერმა და ალფრედს ანიშნა გააგრძელეო საუბარი, თვითონ კი კვლავ ფანჯარას მიუბრუნდა.

„მახარობელმა პეტრემ სვიმონის ფრენა ვერაგულად შეაწყვე-ტინა. მის წინააღმდეგ ბოროტი მაგია გამოიყენა და, გაანადგურა, ანუ მოკლა და ამას გამართლება არა აქვს. მას რომ სვიმონი მიწაზე უშუალო შეტაკებაში ხანჯლით მოეკლა, ეს იქნებოდა ერთი დანაშაული, რადგან დადგენილია, რომ კაცმა თავისმაგვარი არ უნდა მოკლას. მაგრამ როდესაც მან სვიმონი მოკლა ჰაერში, სადაც იგი ფიზიკური საყრდენის გარეშე, მხოლოდ ნებისყოფის ძალით იმყოფებოდა და გამოაცალა ეს ნებისყოფა ვერაგულად, მოულოდნელად, ასე ვთქვათ „ბოზურად“ არის ორმაგი მკვლე-ლობა და, როდესაც მკვლელობა ჩადენილია ადამიანის სულიერი მისწრაფების წინააღმდეგ იფრინოს ჰაერში არის სამმაგი მკვლელობა და ბოლოს, როდესაც ამ სამმაგ მკვლელობას ქრისტიანობის გამარჯვებით გამოაცხადებ და იმოქმედებ იმ კაცის სახელით, რომელიც თავად იყო შესანიშნავი მფრინავი, კომენტარს არ ექვემდებარება და ამ საშინელი ბოროტების შესახებ კაცობრიობამ უნდა იცოდეს“, თქვა ალფრედმა.

ლუციფერმა კი დასძინა:

„ამჯერად იესო გონს მოეგო. კომეტას უკანასკნელ მომენტში მიმართულება შეუცვალა და იგი როსტოვს დაარტყა. ჩვენი ხეობა კი გადარჩა, მაგრამ ის საცოდავი ქალაქი დაიღუპა. ყველაფერი არმაგედონის ომისაკენ მიდის. შევძლებთ მის თავი-დან აცილებას? ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ რომ გადავრჩეთ“, შესძახა ლუციფერმა და ფანჯრიდან „მყინვარის“ ჭვრეტას შეეშვა.

„თქვენო უძლიერესობავ! თქვენი სიტყვები იმედით აღმავ-სებს“, მიუგო ალფრედმა და მალევე დატოვა „პანამირანიუმის“ ყინულის ცისფერი სასახლე.

შეხვედრა ტიბეტში

მცირე ხნის შემდეგ ლუციფერი, რომელიც თავად მამა-მაცხოვრის მიერ არის დედამიწის გუბერნატორად დანიშნული, უმნიშვნელოვანეს ვიზიტს განახორციელებს ჩინეთში, და ტიბეტის დედაქალაქ ლჰასას რეზიდენციაში შეხვდება ჩინეთის ლიდერს, რომელიც იმ დროისათვის სახელს შეიცვლის და გოდორი ხანი გახდება.

ლუციფერის ვიზიტი იქნება მოულოდნელი, არაფორმალური, ზარდამცემი და გამაოგნებელი.

„ვინ ხარ შენ?“ მექანიკურად შესძახებს გოდორი ხანი, როდესაც დაინახავს „ჰოლანდ ჰოლანდიის“ ქურთუკში გამოწყობილ ოქროსფერთმიან წარმოსადეგ ვაჟკაცს რომელიც მის საძილე ოთახში გამოჩნდება. ეს მოხდება იმ დროს, როდესაც იგი დასაძინებლად ემზადებოდა.

„მე ვარ ის ვინც მე ვარ“, იყო მოკლე პასუხი და ჩინეთის ლიდერი მაშინვე მიხვდება თუ ვინ იდგა მის წინაშე.

„ნუ ღელავ! ახსნა განმარტებები და თავის გამართლებები საჭირო არ არის, არ იღელვო ხვალინდელი დღის სავარაუდო სასჯელზე, შენს მაგივრად მე ვიფიქრებ მათზე. მე არ მოვსულვარ შენთან, რომ გავნო, არამედ დაგეხმარო“, თქვა ლუციფერმა.

„გმადლობთ ჩვენო უძლეველობავ! ნება მიბოძეთ სათათბირო დარბაზში მიგიწვიოთ“, თქვა გოდორი ხანმა და მოსასხამში გაეხვია.

„ვცდილობ ჯეროვან დონეზე გავერკვე თუ რა ხდება დღეს და რა პერსპექტივები გვაქვს“, თქვა გოდორი ხანმა გზად და დერეფნის ბოლოს საგულდაგულოდ დალაგებულ წიგნებისა და ხელნაწერების ზვინზე მიუთითა.

„ვხედავ, რომ დროს უქმად არ ხარჯავ“, მიუგო ლუციფერმა და გოდორი ხანს გამამხნევებლად გადახედა. მალე მათ მოლაპარაკევბები დაიწყეს.

მოლაპარაკებები რამდენიმე დღეს გასტანს. კაცობრიობის ისტორიისთვის „პლანეტის სახურავზე“ მომხდარი ეს შეხვედრა ერთ-ერთი კულმინაცია იქნება. მათ ტიბეტის რამდენიმე მისტიკური ადგილი მოინახულეს, ბოლოს კი ჰუნანის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სამი პარალელური ხეობის რაიონში მდებარე შანგრილას მწვერვალი აიღეს. მწვერვალზე ფეხი შედგა თუ არა ლუციფერმა განაცხადა:

„ჩვენს ქვევით არის დაკარგული ტიბეტის ველი, სადაც შენახულია მსოფლიოს მთელი სიბრძნე და მატერიალური ფასეულობები. მისი გრანდიოზული მიწისქვეშა ლაბირინთები ყველასთვის დაფარულია, ჩვენთვის კი ჩემო მეგობარო გოდორი-ხან, მისი კარიბჭეები ღიაა. ეს ადგილი შამბალას სახელით არის ცნობილი. მისი ბოლო 32-ე მეფე რუდრა ლაკრინი დედამიწაზე შემოჭრილ ბარბაროსებს გაანადგურებს, ეს უნდა მოხდეს 2029, 2066 ან 2424 წლებში. ახლა ჩვენ 2066 წელში ვართ და ყველა ნიშანი არსებობს რომ ეს ბრძოლა ახლა მოხდება“, დასძინა ლუციფერმა და გოდორი ხანთან ერთად შამბალას დედაქალაქ „ოქროს სითისკენ“, მისი მეფის რუდრა ლაკრინთან შესახვედრად გაემართა.

შესანიშნავად განათლებული და მამაცი გოდორი ხანი სამწუხაროდ ღრმად ვერ ერკვეოდა ბიბლიური წინასწარმეტყველებების ფარისევლურ ნიუანსებში და წინააღმდეგობებში. იგი კარგად ვერ განასხვავებდა ე. წ. ბიბლიურ „ხორბალს“, ბიბლიური „ჩენჩოსგან“. ლუციფერმა მოთმინებით აუხსნა გოდორი ხანს, რომ ბრძოლას მისი შვილის წინააღმდეგ, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „კავკასიელი ჰალსტუკიანი რეფორმატორი“, და არის ისრაელის, „ისრაელის სახელის“, გაეროს გენერალური მდივნისა და დასავლეთ ცივილიზაციის ლიდერი, შედეგად მოყვება პლანეტა დედამიწის კაპიტულაცია და ეს მოხდება ზეციდან გამოგზავნილი საფრთხის წინაშე, არმაგედონის ომისა და შემდგომ პერიოდში.

„შვიდი წლის წინათ ნახევარი მილიარდი ადამიანი თუ მეტი არა ზეცაში აღზევდა. დარჩენილი მოსახლეობის ნახევარი ე. წ. „ბეჭდების მტვრევის“ და „საყვირების განჩინების“ დროს მოკლულ იქნება. ძალიან ბევრი ადამიანი „თასების“ დაღვრის დროს განადგურდება. დაახლოებით მეოთხედი ხალხისა, რომლებიც დედამიწაზე აღზევების შემდეგ დარჩებიან, შეიყრებიან არმაგედონის ველზე, რათა ერთმანეთს ეომონ საბედისწერო ბრძოლაში. თუ დედამიწის მმართველებს სურთ სამშობლო შეინარჩუნონ მათ არ უნდა იომონ ერთმანეთის წინააღმდეგ, გაერთიანებულები ჩვენ ვიდგებით, დაყოფილები კი დავეცემით“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

შემდეგ დედამიწის გუბერნატორმა, არქანგელოზმა ლუციფერმა – სატანამ საუბარი და ანალიზი დაიწყო. მან გაიხსენა დაბადების მე-11 თავში მოხსენიებული ამბავი ბაბილონის კოშკის მშენებლობის შესახებ.

„ჩემო ყოჩაღო, კარგო და რწმენით აღსავსე მეგობარო, რასაც ახლა გეტყვი შენი გამოცდა არ არის “, თქვა ლუციფერმა.

„ბოსს! თქვენს განკარგულებაში ვარ. როგორია თქვენი გეგმა?“ თავმდაბლად, მაგრამ მგზნებარედ იკითხა გოდორი ხანმა.

„წარღვნის შემდეგ დედამიწაზე ერთი სალაპარაკო ენა იყო. ყველა ერის ადამიანი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და მათ ერთმანეთის კარგად ესმოდათ. ამის გამო ხალხი კონსოლიდირებული იყო. ნათესაობა და სტუმრიანობა ჩვეულებად ქცეული ამბავი იყო. ხალხი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ თან ცდილობდნენ წარღვნის შემდეგ დაზიანებული დედამიწის მოწესრიგებას.

ერთხელ როდესაც ისინი „შინაარის მიწაზე“ მივიდნენ ერთმანეთს უთხრეს: „გვეყოფა აქეთ-იქით სიარული, მოდი ავაშენოთ ქალაქი და კოშკი, რომლის წვერი ზეცას მიაღწევს. ამით სახელს გავითქვამთ და უფალს დავანახვებთ, რომ მის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, რომ ღირსები ვართ ადამიანები გვერქვას“.

ხალხმა მართლაც ააშენა ქალაქი და კოშკი, რომელმაც ზეცას მიაღწია, უფალმა დაინახა ადამიანების ერთობლივი შრომითი მიღწევა, გამოვიდა აივანზე და თანმხლებ ანგელოზებს უთხრა:

„შეხედეთ! ხალხი არის ერთი. მათ აქვთ საერთო ენა; მათ შესძლეს ამის გაკეთება. თუ ისინი რაიმეს დაგეგმავენ შეუძლებელი მათთვის არფერია. მოდით ჩავიდეთ დაბლა. აურიოთ მათი ენა, რათა მათ ვერ გაუგონ ერთმანეთს. ამრიგად, უფალმა ერთი ენის მაგივრად რამდენიმე ენა შექმნა. ხალხმა ერთმანეთს ვეღარ გაუგო და სხვადასხვა მიმართულებით ხეტიალობდნენ დედამიწაზე, რადგან ერთმანეთის აღარ ესმოდათ. მტრობდნენ ერთმანეთს. მათ მიატოვეს ქალაქიცა და კოშკის მშენებლობა, რომლებიც წაიქცა“ (დაბადება 11:6-8).

„ეს იყო უფლის აქტი ადამიანებისა და საერთოდ პროგრესის წინააღმდეგ“, თქვა ლუციფერმა.

„მართალია, მეც ასე მესმის“, დაემოწმა გოდორი ხანი.

„უფალს არ სურს ადამიანების რასის კონსოლიდაცია. რატომ აწუხებს მას ეს? იმიტომ ხომ არა, რომ თუ ისინი გააგრძელებენ გაერთიანებას, შესაბამის დროს „შეუძლებელი მათთვის არაფერი იქნება“, მათ შორის ბოლოკიდან სისხლის გამოწურვასაც შესძლებენ“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„დიახ, სწორედ ასეა“, დაეთანხმა გოდორი ხანი.

„ადამისა და ევას ედემის ბაღიდან განდევნის ერთ-ერთი ახსნა

არის ცოდნის ხის ნაყოფის, ვაშლის ჭამა, სწორედ ამიტომ არის ვაშლი ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ხილის სახეობა. შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა მეორე აკრძალული ხილის, სიცოცხლის ხის ნაყოფის, ბროწეულის მირთმევა. დღესაც ბროწეული და ვაშლი ყველაზე გამორჩეული ხილია. ამბობენ რომ აკრძალული ხილი ტკბილია. ეს ადამიანური თვისებაა. მაშასადამე, თეორიულად, ღმერთის ბრძანების დარღვევისა და აკრძალული ხილის მიღების შემდეგ ადამი და ევა უკვდავები უნდა გამხდარიყვნენ.

აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. საქმე იმაშია, რომ ჩვენს სამყაროში, რომელიც ჩვენი დიდი უფლის მიერ განუყოფელი ინტერესითა და სიყვარულით არის შექმნილი, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და დაწესებული კანონების ქვეშ მოქმედებენ, არა აქვს მნიშვნელობა სულიერია იგი თუ უსულო. თუ ვინმე მოიპოვებს უკვდავების სტატუსს, ეს ნიშნავს რომ იგი უკვდავია. ჩვენ სხვა დროს ვისაუბრებთ სხეულისა და სულის უკვდავების შესახებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, არავის შეუძლია უკვდავის მოკვლა, თვით უფალსაც კი. თუ უფალი ვინმეს უფლებას მისცემს თუნდაც ერთხელ მაინც დაარღვიოს ეს წესი, ეს გარემოება მთელი სამყაროს წესრიგის დარღვევას გამოიწვევს. მოკვდავისა და უკვდავის სუბორდინაცია სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ბაზისი და უფლის ბრძანებაა. მის უსაფრთხოებას მე ვაქცევ ყურადღებას.

ადამისა და ევას დროს ედემის ბაღში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც პირველ წყვილს საშუალება ჰქონდათ ეჭამათ ბროწეული ანუ მეორე აკრძალული ხილი, რომელიც სიცოცხლის ხეზე იზრდებოდა. ცოდნის ხიდან მათ უკვე მიირთვეს აკრძალული ვაშლი და ყველაფრის მცოდნენი გახდნენ. ახლა მათ საშუალება ჰქონდათ სიცოცხლის ხიდან ბროწეული ეჭამათ და უკვდავები გამხდარიყვნენ. ეს ნიშნავდა რომ ისინი იქნებოდნენ ყველაფრისმცოდნენი, უკვდავები და ღვთიური ოჯახის წევრები. ე. ი. მათ შეეძლოთ გამხდარიყვნენ „ერთ-ერთი მათგანი“, რაც არ შედიოდა უფლის გეგმაში, და შემოქმედმა ისინი სასწრაფოდ გააძევა ედემის ბაღიდან.

ახლა, მეფე ნიმროდის ეპოქაში, უკვე წარღვნის შემდგომ დაბადებული ხალხის ერთ ჯგუფში ღმერთმა შეამჩნია, რომ ადამიანებმა შეინარჩუნეს ძველი, ედემის ბაღის დროინდელი ინსტინქტები და მიუხედავად იმისა, რომ მოკვდავები იყვნენ, გაერთიანებისა და შესაბამისი ხელმძღვანელობის პირობებში

წარმოეშობოდათ განდიდების მანია. მათი სურვილია რომ მიაღწიონ უფლის დონეს, რადგან „არაფერი შეუძლებელი მათთვის არ არის“, და ამიტომ უფალმა ენები აღრია, რათა დეზორგანიზაცია გაეკეთებინა ადამიანების რასისათვის“, მოყვა ლუციფერი.

„მიაქციე ყურადღება, რომ ადამიანების კონსოლიდაცია არ არის უფლის სურვილი და პირიქით, ადამიანების მოწადინებაა იყვნენ ინტეგრირებულები. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამის შესახებ რადგან კაცობრიობის ისტორიის ბოლო დღეს შესრულდება ყველა წინასწარმეტყველება ადამიანური ცხოვრების ყველა ფორმების გაერთიანების შესახებ“, დაასრულა ლუციფერმა.

„ამრიგად, მეფე ნიმროდის ცდა გააერთიანებინა კაცობრიობა ერთი მთავარი იდეის გარშემო, კერძოდ მიემართა იგი კოსმოსისაკენ მარცხით დასრულდა. უფალმა შეაჩერა ეს მისწრაფება. ეს იყო პირველი აჯანყება ჩვენი საყვარელი უფლის დიქტატორული წესრიგის წინააღმდეგ.

მეორე დიდი აჯანყება უფლის წინააღმდეგ მოხდა არა დედამიწაზე, არამედ ზეცაში, ჩემსა და უფალს შორის. თუ პირველი აჯანყება ადამიანებსა და უფლის ძალაუფლებას შორის მოხდა, მეორე იყო ანგელოზების ნაწილის აჯანყება უფლის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

დრო მიდის და ახლა, როდესაც ნიმროდის აჯანყებიდან ანუ კოშკის მშენებლობიდან გავიდა რამდენიმე ათასი წელი, ისევ შეიქმნა პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური კავშირები ადამიანებს შორის. ამჯერად ასეთი სურათია: თუ პირველ აჯანყებას ნიმროდი ხელმძღვანელობდა, მეორეს უფროსი მე, ლუციფერი ვხელმძღვანელობდი. მესამე აჯანყების უფროსი ჩემი შვილი, „ანტიქრისტე იქნება“, კვლავ გაუსვა ხაზი ლუციფერმა.

„რას ნიშნავს გაგება. ახლა შეიქმნა ახალი ვითარება?“ ჰკითხა ლუციფერმა გოდორი ხანს, რომელიც ყურადღებით უსმენდა დედამიწის გუბერნატორს.

„ძალიან ბევრ ცუდს. უფალი ყოველთვის ბორკავდა ადამიანების მისწრაფებას გაერთიანებისაკენ. ღმერთმა შეწყვიტა ბაბილონის კოშკის მშენებლობა. მანვე წარმატებით აღკვეთა ჩემი აჯანყება და თითქოს დამაქვეითა. უფალი ყოველთვის გაყინავს ყოველგვარ მისწრაფებებს, რაც პირდაპირ ემუქრება მის აბსოლუტურ ძალაუფლებას“, დაასკვნა ლუციფერმა.

„თანამედროვე დროს უფლისა და ადამიანების დაპირის-

პირებულობამ კულმინაციას მიაღწია. მესამე დიდი აჯანყება მოხდება იმ ადგილზე, რომელსაც არმაგედონი ჰქვია. ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ არ უნდა ვიომოთ.

გოდორი ხან! იცოდე, რომ ბრძოლა ღმერთის გეგმაშია. ამ ბრძოლის შედეგად იქნება ადამიანების რასის პოტენციალის შეკვეცა, რაც წარსულში ბევრჯერ მოხდა. ჩვენ უნდა ადამიანების რასის არმიები არმაგედონთან შევკრიბოთ, რათა უძლეველ ღმერთს ბრძოლა გავუმართოთ. ვაჩვენოთ მას რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ მონური მორჩილებისა და, რომ ჩვენი ფასეულობები სხვა არის“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„გამოცხადების წიგნი“ მე და ჩემს შვილს ზოგჯერ „მხეცებს“ გვიწოდებს. ამ ტერმინს რომ იყენებს, ქრისტიანები ფიქრობენ, რომ მორჩილებაში ამყოფონ ადამიანების რასა. აი რას წერს იოანე გამოცხადებაში:

„და მე (მახარობელი იოანე) დავინახე „მხეცი“ (ანტიქრისტე ან მამამისი) და დედამიწის მეფეები თავიანთი არმიებით, რომლებიც გროვდებოდნენ ერთ ადგილას, რათა ეომონ მას (იესო ქრისტეს), რომელიც ცხენზე ზის და თავის არმიას მიუძღვება“ (გამოცხადება 19:19).

„მოკლედ რომ ვთქვა, დედამიწის მეფეები, ანუ მთავარსარდლები შეთქმულებას აკეთებენ იმ ერთის წინააღმდეგ რომელიც „ცხენზე ზის“... რომელია ის ერთი? სხვა არავინ, მაგრამ იესო ქრისტე თავად“, დასძინა ლუციფერმა.

„მხედველობაში იქონიე კიდევ ერთი გარემოება! თუ იესოს შემოჭრა დედამიწაზე ახალ აღქმაში გასაგებად არის ნაწინასწარმეტყველი, ამ შემოჭრის (მოსვლის) საპირისპირო წინასწარმეტყველება ძველ აღქმაშია ნაწინასწარმეტყველი. თავად განსაჯე უთხრა ლუციფერმა გოდორი ხანს.

„დედამიწის მეუფეებმა თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს, და თათბირი გამართეს ერთმანეთში, უფლისა და მისი მირონცხებული ძის წინააღმდეგ. მათ თქვეს: მოდით დავამსხვრიოთ ბორკილები ნაწილ-ნაწილ და მოვიშოროთ ის თოკები, რომლებიც გვბორკავენ“ (ფსალმ. 2:2,3).

„ვინ მართავს თათბირს ერთმანეთში?“ დასვა კითხვა ლუციფერმა და თავადვე უპასუხა:

„ეს არის ჩემი შვილის ანტიქრისტეს დიპლომატიური საქმიანობა, და ჩემი და შენი საუბარი“.

„დიახ! ჩემო მეგობარო გოდორი ხან. ჩვენი დღევანდელი საუბარი და ჩვენი მომავალი შესაძლო ერთობლივი საუბარი ჩემს შვილთან, როგორც „დედამიწის მეუფეების თათბირი“ უკვე ნაწინასწარმეტყველია ძველ აღქმაში.“ თქვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„გაითვალისწინეთ კიდევ ერთი გარემოება. ვის წინააღმდეგ არის ეს თათბირები მიმართული? ისინი არ აპირებენ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ისინი შეთქმულებას აწყობენ უფლისა და მისი მირონცხებული მოყმის წინააღმდეგ რომელიც მან მეფედ დაგვიყენა სიონის წმინდა მთაზე,“ (ფსალმუნები 2:6) ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„ვინ არის ეს „მირონცხებული მოყმე? რა თქმა უნდა, იგი უფლის მოყმე იესო ქრისტეა. დედამიწის მეუფეები მის წინააღმდეგ გალაშქრებას გეგმავენ, რათა „უფლის ბორკილები“ დაამტვრიონ“, ახსნა მანათობელმა ლუციფერმა.

„უფალს შეუძლია ის მოიმოქმედოს, რაც მას სურს“, მოკრძალებულად ჩაერთო გოდორი ხანი და ოქროს ნაწნავი მხარს უკან გადაიგდო.

„მართალია, სწორედ ამიტომ არის იგი უფალი. არავინ არის მის უკან“.

„იგი მოკლავს ყველას, ვინც მის საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგება. ეს ასეა?“ იკითხა ჩინეთის ლიდერმა.

„ვშიშობ, რომ ეს ასეა. განსაკუთრებით ეს იმ ხალხს ეხება, ვინც ანტიქრისტეს მხარეზე დადგება, მაგრამ არის ერთი იმედიანი გარემოება. სახარებაში წერია, რომ დედამიწის მოსახლეობა არ მოსპობს ან ვერ მოსპობს ანტიქრისტეს ანუ „ჰალსტუკიანი კავკასიელი კაცის“ იგივე გაეროს გენერალური მდივნისა და მსოფლიოს ერთიანი მთავრობის ძალაუფლებას. (დანიელი 8:25). მხოლოდ ზეციური არმიების მთავარსარდალს, იესო ნაზარეველს ძალუძს გააკეთოს ეს“, თქვა ლუციფერმა.

„შეგვიძლია იესოს აგრესიას წინ აღვუდგეთ?“ იკითხა გოდორი ხანმა.

„ძნელი კითხვაა, რადგან იესომ ნათლად გამოხატა თავისი პრეტენზიები ციურ იერარქიაში“.

„არის მხოლოდ ერთი ღმერთი და მას მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს. ეს მე ვარ. ღმერთსა და ადამიანებს შორის მხოლოდ ერთი შუამავალია. ეს მე ვარ. ჩემს გარეშე ვერავინ ვერ მივა ღმერთთან. მე ვარ უფლის ძე და კაცის ძე, იესო მესია, ალფა და ომეგა, პირველი

და უკანასკნელი, დასაწყისი და დაბოლოება. უძლეველი. მე ვარ, ვინც იცხოვრა და მოკვდა. შემდეგ აღსდგა და შეხედეთ მე ცოცხალი ვარ კიდევ. ამენ. და მე ვფლობ ჰადესისა და სიკვდილის გასაღებს“.

იესო არის კაცობრიობის მიმართ უფლის გეგმის შემსრულებელი, რომელიც ითვალისწინებს დედამიწის დანგრევას და მის მაგივრად „ახალი იერუსალიმის, ახალი მიწისა და ახალი ზეცის“ შექმნას.

მალე მეგიდოს (არმაგედონის) ცაზე ღრუბლები გაიხსნება და საზეიმოდ წარმოჩინდება თეთრ ცხენზე ამხედრებული, მახვილშემართული, თორმეტი ერთგული ანგელოზითა (ზოგი ვერსიით შვიდი) და უამრავი ლაშქრით გარშემორტყმული იესო ქრისტე. დედამიწაზე მოსახლე ყველა ადამიანი კარგად დაინახავს მას. ზეციური სარკეების საშუალებით იგი დედამიწის ყველა კუთხეში გამოჩნდება, როგორც ზენიტში, ისე ნადირში და პოლუსებზე. მე სასწრაფოდ უნდა დაველაპარაკო მას და შევეცადო ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანო. ეს უნდა მოხდეს მანამდე, სანამ იგი დიდ, თეთრ ტახტზე დაჯდება და ერებისა და პიროვნებების განსჯას დაიწყებს. ჩვენ შანსი გვაქვს გავაკეთოთ ეს. მაშასადამე, არმაგედონის უმაღლესი მოწოდებაა ადამიანის რასის განთავისუფლება უფლისა და მისი საყვარელი ძის ტირანული და ავტოკრატული მმართველობისაგან“. მოსაზრება გამოთქვა ლუციფერმა და კვლავ დასძინა.

„ეს სიტუაცია შენთვის დილემაა, ხარ მზად რომ იბრძოლო ჩემი შვილის, „კავკასიელი ჰალსტუკლიანი რეფორმატორის“ წინააღმდეგ, თუ სურვილი გაქვს, რომ მასთან ერთად გაერთიანდე, რათა ერთობლივი ძალისხმევით წინ აღუდგეთ უფლის საყვარელ შვილსა და მთავარსარდალს იესო ქრისტეს? ჩემი რწმენით აღსავსე მეგობარი, გოდორი ხან, ბოლომდე ათვითცნობიერებ სიტუაციის მნიშვნელობას?“

„დიახ, ჩემო უძლეველო და განუმეორებელი ბოოს! შენ დამარწმუნე, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, რათა გადავარჩინოთ პლანეტა და მისი დარჩენილი მოსახლეობა“, უპასუხა კეთილშობილმა გოდორი ხანმა.

ეს პირველი შემთხვევა იყო როდესაც ჩინეთის ზეციური იმპერიის მესაჭემ გოდორი ხანმა აღიარა დედამიწის გუბერნატორის უზენაესობა და მისი ადგილი კაცობრიობის ისტორიაში, დაინახა განსხვავება უკვდავისა და მოკვდავის

პასუხისმგებლობებს შორის, დაინახა მისი უფროსის ხედვა და დიდბუნებოვნება.

გახარებულმა ლუციფერმა, იგივე სატანამ, ეშმაკმა და არქანგელოზმა, ქერუბმა და მეგატრონმა, მადლობა გადაუხადა გოდორი ხანს და გამოუძახა თავის რეფორმატორ შვილს, დასავლეთის კოალიციის ლიდერს, რომელიც მოუთმენლად ელოდა ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრის დასასრულს.

მალე ანტიქრისტე ლჰასაში ჩაფრინდა, შეხვდა თავის ზეციურ მამას და გოდორი ხანს. ახლა ეს სამი არსება საგულდაგულოდ ეძებს გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან. გოდორი ხანმა და ანტიქრისტემ მიიღეს რჩევები ლუციფერისგან თუ როგორ ეწარმოებინათ თავდაცვითი ღონისძიებები, რათა ერთობლივი ძალისხმევით გადაერჩინათ პლანეტა დედამიწა, სადაც მიწისძვრებმა და ვულკანების ამოფრქვევებმა ისეთ ინტენსივობას მიაღწიეს, რომ ფაქტიურად ცა და მიწა გააერთიანეს.

ამ კულმინაციის შესახებ ნოსტრადამუსი მიუთითებდა:

„ორი დიდი ლიდერი (ანტიქრისტე და გოდორი ხანი) მოკავშირეები გახდებიან; მათი ძლიერება განუზომლად გაიზრდება. ახლად შექმნილი ერების ერთობა თავისი ძლიერების პიკს მიაღწევს“. (ნოსტრადამუსი 2-89)

მაშასადამე, ერების ახლად შექმნილი კავშირი შეეწინააღმდეგება იესო ქრისტეს გამანადგურებელ მეორედ მოსვლას.

ზეციური ზუზუნი

„მსოფლიოში შენი პირველი გამოჩენა და ომის დაწყება ერთი იყო. შენ ჩამოხვედი არა ირლანდიაში ან ჩინეთში, არამედ იმ დროინდელი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყანაში, რომის იმპერიაში. დღევანდელი შეერთებული შტატები არის რომის იმპერიის მემკვიდრე. შენს მოსვლამდე რომის იმპერიაში არაჩვეულებრივი სიმშვიდე იყო. რომის კონტროლის ქვეშ მყოფი მთელი ხმელთაშუა ზღვის რეგიონი ყვაოდა, უზარმაზარი გალერები სერავდა მის სივრცეს. ხმელთაშუა ზღვის ყველა საზღვაო პორტში არსებობდა, გემების მიმოსვლის ზუსტი გრაფიკი, იყო რამდენიმე ათეული სახანძრო ხომალდი, არსებობდა მეხანძრე მეზღვაურების პროფესია. იყო ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, მოწესრიგებული საგზაო სისტემა, სასტუმროები, ფოსტა, რესტორნები, ბიბლიოთეკები, სრულყოფილი აბანოები და საკანალიზაციო სისტემები, წყალმომარაგება, კრიმინალი საერთოდ არ იყო.

შენს იუდეაში პირველად გამოჩენას ჯანყი მოყვა. ჯანყმა სისხლი შვა, სისხლს კი სისხლი მოყვა. შენამდე რომის იმპერიაში სისხლი მხოლოდ ამფითეატრებში იღვრებოდა, სადაც განსაკუთრებით გამოჩენილ გლადიატორს შანს ჰქონდა თავისუფლება, რომის იმპერიის მოქალაქის სტატუსი და პენსიის უფლება მოეპოვებინა.

შემდეგ შენი მიმდევრები აწამეს. მალე, როგორც შენ იწინასწარმეტყველე იერუსალიმი დაანგრიეს, ხოლო მამაჩვენის სახლი, სოლომოს ტაძარიც ზედ მიაყოლეს. ქრისტიანული მრწამსისათვის მრავალი ადამიანი დახოცეს. განვითარდა მოწამებრივი სიკვდილის კულტი.

იესო! მართლაც რომ ძლიერ მოძრაობას ჩაუყარე საფუძველი. შენმა მიმდევრებმა სულის დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს და არ შეუშინდნენ ტანჯვა-წვალებას. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ კი სხვებიც ბევრი დატანჯეს. ქრისტიანემდელი კულტურა და რელიგიები გაანადგურეს. მაგალითად, ინკვიზიციის დროს ზოგიერთი დაანგარიშებით 600.000-დან 9 მილიონამდე ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. უმეტესად ქალები.

„მე ყოველთვის ქალების ემანსიპაციის მომხრე ვიყავი“, იესოს ხმაში „იუმორის ნოტები“ გაისმა.

„მართალი ხარ! სამწუხაროდ, მრავალი ფაქტი არსებობს

რომ ნეგატიურ მოვლენეთა უმეტესობა შენს მერე, მაგრამ შენი სახელით მოხდება. აბა გავიხსენოთ შესანიშნავი და უაღრესად ინიციატივიანი დომინიკანელი ბერები ჰაინრიხ კრამერი და ჯეიმს სპენგერი. მათ ერთობლივად შექმნეს ალბათ ყველაზე ცნობილი და ამაზრზენი წიგნი, რომელიც ოდესმე დაწერილა. ეს იყო ინკვიციზიის მუშაკების სამაგიდო წიგნი თუ როგორ უნდა ეტანჯათ ეჭვმიტანილი პირი. წიგნს ეწოდება „მილეუმ მალეფიქარუმ“ (ჩაქუჩი ჯადორებისათვის). ეს იყო პროფესიული მკვლელების დიდებული სახელმძღვანელო, რათა მილიონობით ადამიანი სწრაფად და ეფექტურად დაეხოცათ. მაშასადამე, ძალადობამ ძალადობა შვა. თქვენს მიმდევრებს ხოცავდნენ, თქვენ კი სასტიკი რევანში აიღეთ.

იესო! შენ რა თქმა უნდა, ამის მომხრე კატეგორიულად არ იყავი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს უბედურებები შენი სახელით მოხდა, რომელშიც ჩარევა ვერ მოახერხე, რადგან უკვე ზეცაში იყავი წასული.

„მილეუმ მალეფიქარუმ“-ის იდეამ უფრო დიდ სრულყოფილებას და ორგანიზებულობას გერმანელი, რუსი და ჩინელი ჯალათების დროს მიაღწია.

შენი დიდი მიმდევარი, ქრისტეს დიდი მომხრე და ინკვიზიტორი ეგნატე ლოიოლა და მისი მოწაფეები მონდომებით ხოცავდნენ მოხუცებს, სახალხო გინეკოლოგებს, ებრაელებს და ბოშებს, ყველა მათ ვინც არ ჯდებოდა თანამედროვე ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში.

ისინი ყველა ეჭვმიტანილები იყვნენ და ჯადოქრებათ იყვნენ გამოცხადებულები, რადგან იყვნენ ქრისტიანობამდელი რელიგიის შორეული წარმომადგენლები.

მატერიალური ფასეულობების საკმაოდ დიდი ნაწილი, რაც შენს გამოჩენამდე იყო, განადგურდა. შეწყდა კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციები. ძალაუნებურად შენი მიმდევრები დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში „პროგრესის მუხრუჭებად“ იქცნენ. შეგვიძლია მხოლოდ გალილეო გალილეის დიდებული თეორია გავიხსენოთ პლანეტების მიზიდულობის შესახებ. იგი და მეცნიერების სხვა დარგები ჰერესად გამოცხადდა.

დაეცა ზნეობა, აღორძინდა და ადამიანებს შორის ურთიერთობებში სახელმწიფოებრივ დონეზე ავიდა დასმენა და სიდამპლე. თუ ვინმეს რომელიმე პიროვნების მიმართ ბოღმა ან ეჭვი ჰქონ-

და შეეძლო იგი ჯადოქრობაში დაედანაშაულებინა. დაინტერ-ესებულ პირს თუ ვინმეს მამული ან ცოლი უნდოდა, შეეძლო მისი დასმენა და მერე მის ქონებას დაპატრონებოდა. თუ ვინმე მარტო ცხოვრობდა ან გონებრივი და ფიზიკური პრობლემები ჰქონდა, შეიძლება ბოროტი მიყურადების ობიექტი გამხდარიყო, რაც ჩვეულებრივ სიკვდილით დასჯის ანუ ცოცხლად დაწვით მთავრდებოდა.

გაქრა ლამაზი ლეგენდები ფერიების, ჯუჯებისა და ელვისების შესახებ. მათ ადგილას მოვიდა შენი მიმდევრები, რომლებმაც შენი მემკვიდრეობა გადააკეთეს და ახლა ჩამოყალიბდნენ სხვა რელი-გიურ იდეოლოგიად, რომელშიც შენ ის ადგილი გაქვს, რომელიც მათ მოგიჩინეს და თუ მას წინ აღუდგები მაშინვე შეგზღუდავენ.

„როდესაც ხეს ჭრი, ნაფოტები აქეთ-იქით იფანტება, ეს ბუნების წესია“, სიტყვა ჩაურთო იესომ, რომელიც მოთმინებით უსმენდა ლუციფერის გატაცებულ საუბარს.

„კარგი პასუხია, როგორც ყოველთვის იგი სხარტი და ამოუწურავია, მაგრამ ჩვენი შეხვედრა დასასრულს უახლოვდება და ამიტომ მინდა მოვასწრო და გითხრა ჩემი შეხედულება ხალხზე და დროებაზე“, თქვა ლუციფერმა ოდნავ დაღვრემილი ტონით.

„შენ და მე თითქმის ერთი და იგივე მდგომარეობაში ვართ. ჩვენ ვთამაშობთ ერთი და იგივე დეკორაციებით მორთულ სცენაზე. ჩვენ ერთი ერის მსახიობები ვართ. ეს არის ებრაელი ერი. ჩვენ ვართ მათი მთავარი „ზღაპრებისა და არაკების წიგნის, ბიბლიის“ მთავარი გმირები, შენ ხილული, მე კი უხილავი“, თქვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„წმინდა ბიბლია განსაკუთრებული წიგნია. იგი გამორჩეუ-ლი ერის, ებრაელი ხალხის ისტორიაა. იგი არის მოთხრო-ბა დაბადებიდან გამოცხადებამდე სადაც უმთავრესად ებრაელი ხალხის ვნებათაღელვებია აღწერილი, თუ მოთხრობაში სხვა ერ-ებიც არიან მოხსენიებული ეს ხდება იმდენად თუ როგორი კონ-ტაქტი აქვთ მათ ისრაელთან“, თქვა ლუციფერმა.

„ამბობ იმას, რაც ფრიად ცხადია. ხომ სწერია ახალ აღქმაში „ვინ არის ებრაელები; ისინი ვინც იშვილა, ვისაც დიდება მისცა, ვისთანაც შეთანხმება დადო, ვისაც რჯული უბოძა და ვინც ემსახურება უფალს, იზიარებს მის პირობებს“ (რომაელები 9:4) ჩაურთო სიტყვა იესომ.

„მაშასადამე ყველაფერი, მათ შორის თვით უფალთან შე-

თანხმებაც კი ერთპიროვნულად ეკუთვნის ებრაელ ხალხს. ხოლო სახარება თავიდან ბოლომდე, მისი ყველა ნაწილი ეკუთვნის ებრაელ ხალხს და მათ ღმერთს იაჰვეს, რომელიც თავადვე აღმოაჩინეს. ბიბლიის ავტორებიც ებრაელები არიან. ისინი შთაგონებულები იყვნენ და უფლის სიტყვას წერდნენ. ასეთია ფაქტები რომლებიც ჩვენს განკარგულებაში არიან. ყველა ბიბლიური წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველება მეტ-ნაკლები სიზუსტით სრულდებოდა, მაგრამ ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა წინასწარმეტყველების თავიდან აცილება?“ თქვა ლუციფერმა.

„დიახ, შესაძლებელია, თუ ვიცით მოსალოდნელი შედეგის რეალურობა, მაგრამ ეს არავინ იცის ჩვენი მამის გარდა“, მიუგო იესომ.

„მე ვიცი მისი შედეგის შესახებ. ახლა ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ ბოლო ბიბლიური წინასწარმეტყველება იესო ქრისტეს შტორმისმაგვარი დედამიწაზე შემოჭრის შესახებ, რაც იესოს მეორედ მოსვლად არის ცნობილი და საყოველთაო კატასტროფას გამოიწვევს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ნუთუ ისრაელისა და დედამიწის ბედი ერთი და იგივეა? იესო! შენ როგორ ფიქრობ, დედამიწას და ისრაელს ერთი ბედისწერა აქვთ?“ ჩაეძია ლუციფერმა.

„ვინ იცის, ვინ იცის“, თავი აარიდა პასუხს იესომ.

„ახლა ჩვენ უეჭველად ვცხოვრობთ ე. წ. „ბოლო დღეების“ პერიოდში. დედამიწის საბოლოო კატასტროფა რომ მოხდეს უნდა შესრულდეს მთელი რიგი ებრაეული წინასწარმეტყველებები: იერუსალიმის ტაძრის აღდგენა, მილიონობით ქრისტიანი მორწმუნის ზეცაში აღზევება, რელიგიური და ეთნიკური ომები, მესამე მსოფლიო ომი, ანტიქრისტეს გამოჩენა, მსოფლიო მშვიდობის დამყარება, მსოფლიოს მთავრობისა და მსოფლიო რელიგიის შექმნა, მსოფლიოს ერთიანი კოსმოსური და ჩვეულებრივი ძალების სარდლობის დაარსება, მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება.

ცალკე სათქმელია ერთიანი საიდენტიფიკაციო ბარათის შექმნა. მისი მონაცემები „666“-ზე იქნება ბაზირებული. ამის თაობაზე ბიბლია ასე აღნიშნავს: „...გონიერმა გამოთვალოს მხეცის რიცხვი, რადგან ეს ადამიანის რიცხვია, მისი რიცხვია 666“ (გამოცხადება 13:18)

ეს ნომერი უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ყველა ქალაქელსა და სოფლელს. იგი კისერზე, შუბლზე, საფეთქელზე ან მარჯვენა ხელის ზედა ნაწილზე უნდა იყოს მოთავსებული.

„და ვერც ერთი კაცი ვერ იყიდის ან გაყიდის რაიმეს თუ არ ექნება „მხეცისადმი“ (მსოფლიო მთავრობა) ლოიალობის სპეციალური ნიშანი“ (გამოცხადება 13:17).

ბევრი დავაა ნომერ „666“-ის წარმოშობის შესახებ. არის მრავალი ვერსია, მაგრამ ერთი რამ ცხადია. ნომერი „666“ წარმოადგენს მსოფლიოს სრულყოფილების ნიშანს, მართლაც სამყარო ექვს დღეში შეიქმნა და იქ არის ექვსი მთავარი მიმართულებები: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, ზემოთ და ქვემოთ“, დასძინა ლუციფერმა და გააგრძელა:

„კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ ჩვენი უფლისა და მისი ერთადერთი შვილის, იესოს დედამიწაზე შემოჭრის ერთ-ერთი მიზეზია ის გარემოება, რომ ვინც ამ ნომრის ტარებას არ დაიწყებს, მათ ანტიქრისტე და ე. წ. „დიდი უბედურებების“ პერიოდის სპეციალური გამანადგურებელი რაზმები სიკვდილით დასჯის. ხოლო იესო ქრისტე მათი გადარჩენის ოპერაციას ჩაატარებს. ამის შემდგომ გადარჩენილ ხალხს იესო ნომერს შეუცვლის და მათ ახალ ნიშანს „888“-ს მიანიჭებს. ე. ი. გამოდის, რომ:

„666“ არის სატანასა და ანტიქრისტეს ნიშანი.

„777“ არის უფლის ნიშანი.

„888“ არის იესო ქრისტეს ნიშანი“.

„მინდა ხაზგასმით ავღნიშნო“, დააზუსტა ლუციფერმა, და დასძინა:

„ჩვენ გვინდა, რომ ყველამ ნათლად იცოდეს, რომ ლუციფერი მისი ოჯახის წევრები და მომხრეები, მკვლელები არ არიან. ეს არ არის ჩვენი მოვალეობა. ჩვენ არავინ დაგვიხოცავს, არ ვხოცავთ ახლა და არც არავის დახოცვას ვაპირებთ მომავალში. არ არის არც ერთი მაგალითი ბიბლიაში, რომ მე კაცი მომეკლას. თუ იობის ოჯახის ტრაგედიას გავიხსენებთ, რომლის ოჯახის ათამდე წევრი დაიღუპა, ეს ჩემი ბრალი არ არის. მაშინ უფლის დავალებას ვასრულებდი. ეს იყო უფლისადმი ლოიალობის ტესტი, რომლის ჩატარება მე დამეკისრა. ასე რომ იობის ოჯახის წევრთა სიკვდილი ჩემი ბრალი არ არის. უფალმა კი 13 მილიონამდე ადამიანი მოკლა. ასე რომ, არც მე და არც ჩემს შვილს ანტიქრისტეს,

რომლის დედაც, ისევე როგორც დედაშენი ქალბატონი მარიამი უბიწო ქალიშვილი იყო, არავინ დაგვიხოცავს.

ჩემი შვილი, ანტიქრისტე ითვალისწინებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებებს და, რა თქმა უნდა, არავის არ დახოცავს, თვით ყველაზე შავბნელ კრიმინალებსაც კი, რათა შენ, უფლის ერთადერთ და საყვარელ შვილს, იესოს დედამიწაზე შემოჭრის საბაბი არ მოგცეს. პირიქით, ანტიქრისტე სრულ დემოკრატიასა და საყოველთაო მშვიდობას ამყარებს გაეროსა და მსოფლიო მთავრობის დიდი ატორიტეტით. ამავე დროს ყველამ უნდა იცოდეს, რომ ვისაც როგორი ნომერი უნდა ისეთს ატარებს, მაგრამ გაეროსა და მსოფლიო ხელისუფლების კომპიუტერული მატრიცის ბაზა „666“ იქნება. იმავდროულად სხვა ნომრის მატარებელ ხალხს არავითარი შეზღუდვა არ ექნებათ.

ხალხი სხვადასხვაა. ზოგს სასახლეში უყვარს ცხოვრება და ზოგიც უბინაოდ ტყეში ცხოვრობს. ამიტომ ზოგს „ID“ ექნება, ზოგიც მის გარეშე იცხოვრებს, მაგრამ სოციალური უპირატესობებით, რასაც საერთო ბაზაში ყოფნა იწვევს ვერ ისარგებლებს“, თქვა ლუციფერმა და კვლავ გააგრძელა გულისხმიერი საუბარი იესოსთან.

„ჩემო ძმაო! კარგა ხანია ვსაუბრობთ.და ბოლოს დასკვნასავით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენმა თითქმის ორი ათასწლოვანმა მოღვაწეობამ ბევრი რამ ფრიად ნათელი გახადა. ბოლოსდაბოლოს, გავიგეთ თუ რა სურს ხალხს, რა აქვთ თავში და, როგორი ხასიათის არიან.

„ხალხში ყველა თანასწორები არიან, მათ ერთი მიზანი აქვს ტანჯვით მოიპოვონ თავიანთი სასუფეველი“, თქვა იესომ.

„ეგ ბუდამ თქვა და ამ აზრს შენ ინდოეთში მომსახურების დროს გაეცანი. აზრი სწორი, მაგრამ ჩვენ გვინდა ტანჯვას ავცდეთ და მივაღწიოთ სულიერ სრულყოფილებას უკვე ამ ქვეყენაში და არა საიქიოს“.

„ტანჯას და სასოწარკვეთილებას ნუგეში და თანადგომა სჭირდება. ტანჯვა-ნუგეშზეა აგებული ქვეყნიერება“, თქვა იესომ.

„ჩემი აზრით კი სურათი სხვაგვარია. მსოფლიო მოსახლეობის 1 პროცენტი არის მოწინავე და ჭკვიანი. დანარჩენი 99 პროცენტი კი არის მასა, რომელსაც ხელმძღვანელი სჭირდება. ასეთ ხელმძღვანელად გახდი შენ და უფროსი აღმასრულებელი მენეჯერი, ჩვენი უფალი იეჰოვა. მე დავრჩი მოსახლეობის 1

პროცენტის ხელმძღვანელად. შეიძლება ციფრები შეიცვალოს, მაგრამ ტენდენცია ერთია. ზოგიერთ ერში ჭკვიანთა რაოდენობა მეტია, ზოგშიც ნაკლები. ჩემის აზრით ყველაზე ჭკვიანია ერი, ღვთის რჩეული ებრაელი ერი არის, რომლებმაც მიიღეს ქალდეველების კულტურული მემკვიდრეობა. მერე მოდიან ჩინელები, სომხები და ანგლო-საქსები. საერთოდ, ჭკვიანია ის ერი, რომლეიც ახერხებს მსოფლიოს სხვადასხვა ერების კულტურული მემკვიდრეობის მიღებას ისე, რომ საკუთარი არა თუ დაკარგოს, არამედ უფრო განავითაროს.

ხალხები და ადამიანები არიან ცნობისმოყვარეები, გამომძიებლები, და ჩვეულებრივები, ანუ ასე ვთქვათ მასა, რომლებსაც გამორჩეულად ყოფნა არ შეუძლიათ.

დაკვირვება აჩვენებს, რომ ადამიანთა უმრავლესობას, ანუ მასას ბუნებით არ შეუძლიათ „მოათვინიერონ“ თავისუფლება, ან იზრუნონ მასზე, მიიღონ მორალური გადაწყვეტილება და დაიცვან მშვიდობა. მშვიდობა სლიპია, ხელიდან სხლტება, მას ვერ მიუდგები თუ გონიერი არ ხარ. ეს მძიმე სამუშაოა და შესანიშნავი პასუხისმგებლობაა. როგორც დოსტოევსკი აღნიშნავს, მასის, არც ერთ წევრს აბსოლუტურად არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა.

სხვა სიტუაციაა სოციალური საზოგადოების ერთ პროცენტში, ეს ელიტ კლასია, რომელიც მთელი კაცობრიობისთვის მატერიალური ფასეულობებსა და კომფორტს ჰქმნის. ისინი ასევე ყველას მაგივრად იღებენ მორალურ გადაწყვეტილებებს. წარუმატებლობის შემთხვევაშიც პასუხსაც თვითონ აგებენ. ეს გარკვეულად მათ ელიტ-კლუბში ყოფნის საფასურია. ისინი აკავშირებენ ხალხებს, მათთვის გასაგები ფასეულობების მიხედვით, რადგან „მასას“ არ შეუძლია განსხვავების დანახვა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან ერთი პროცენტის ჯგუფიდან გამოსული განსაკუთრებით ნიჭიერი პიროვნება, ჰუმანიტარული მოსაზრებებით უნდა აკონტროლებდეს ათობით ათას „მასის კლასის“ ჯგუფებს. „მასის“ კონტროლი არის „ელიტ ჯგუფის“ ერთ-ერთი ამოცანა. „ელიტ-კლასი“ ზოგჯერ იმუქრება და შესაბამის ზომებსაც იღებს, რათა დააშოშმინოს „მასის კლასის“ ასი ათასობით აღელვებული ინდივიდი.

ამრიგად, უმეტესი სიკეთისათვის და „მასის კლასის“ ინტერესების დასაცავად „ელიტ კლასის“ ხელმძღვანელი პიროვნება

მეტწილ შემთხვევაში აღვირახსნილი მოძალადეც უნდა იყოს, თუ საჭიროება მოითხოვს მან უნდა მოკლას კიდეც „მასის კლასის„ მერყევი ელემენტები. ეს საჭიროა რათა დაცული იქნეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური სისტემა, პილიტიკური იერარქია და „მასის კლასის“ ფასეულობები.

იესო! ჩემო ერთ-ერთო ძმაო! უფლის შესაძლოა ყველაზე რჩეულო შვილო! ხომ იცი რომ ძმებს შორის არსებული მტრობა ყველაზე ძლიერი მტრობაა. ასეთი ცუდი პერსპექტივების მიუხედავად ნება მიბოძე ბანქო ბოლომდე გავხსნა“, თქვა ახოვანმა ლუციფერმა და იესოს არწივისებულ ცხვირს დააცქერდა.

„გახსენი“, მოკლედ გამოსცრა შავგვრემანმა იესომ და ნაწნავებიანი თავი დასტურის ნიშნად დააქნია.

„ჩემის აზრით, ასეთი იყო საზოგადოებრივი სურათი ე. წ. „დიდი უბედურებების“ პერიოდის დაწყების წინ, დაახლოებით შვიდი წლის წინათ. ამ დროს შენ და ჩვენმა მამამ გადაწყვიტეთ ზეცაში წაგეყვანათ „მასის კლასის“ მილიონობით თქვენი მიმდევარი. ამავე დროს, უამრავი ქრისტიანი განადგურდა, შენს მიერ ორგანიზებული მასიური ზეციური დაბომბვების დროს, სხვადასხვა ჭირის დედამიწაზე ჩამოყრისას, რელიგიური და ეთნიკური შეტაკებების დროს. უამრავი ადამიანი დაიღუპა ახლახან დასრულებელი მესამე მსოფლიო ომის შედეგად, რომელმაც რუსეთი (მაგოგლენდი) გაანადგურა. ახლა მივადექით არმაგედონის ომს.

იესო! ხომ იცი, რომ შენს მიერ განხორციელებული ყოველდღიური დაბომბვების დროს მეტწილად „მასის კლასის“ წარმომადგენლებს ხოცავ. იმის გამო, რომ „მასის კლასის“ მილიარდობით ადამიანი დაიღუპა, „ელიტარული კლასის“ პროცენტული რაოდენობა გაიზარდა, „მასის კლასის“ რაოდენობის შემცირების ხარჯზე. „ელიტარული კლასი“ ფაქტიურად უხიფათოდ არის მოთავსებული მიწისქვეშა ქალაქებში და მთის მწვერვალებზე მოთავსებულ თავშესაფრებში. აქ მათ შეზიდეს და შეინახეს მთელი კაცობრიობის კულტურული საგანძური“.

„ის რაც ძველი და დრომოჭმულია უნდა წავიდეს და ახლა კი ახლად აღორძინდეს, ჩვენი დიდი მამისა სადიდებლად და ჩვენს საკეთილდღეოდ“, სიტყვა ჩაურთო იესომ.

„როდესაც პირველად მოხვედი შენმა ხალხმა არ მიგიღო“ (იოანე 1:11), როდესაც მეორედ მოხვალ ასევე ურწმუნოთ მიგიღებენ (ლუკა 18:8).

იესო! მოდი ვიყოთ რეალისტები. დრო თითქმის აღარ გვაქვს. ერთმა ძლიერმა, შენმა მიმდევარმა ანგელოზმა (ალბათ მიხეილმა) უკვე დაიყვირა: „მეტი დაყოვნება აღარ იქნება“-ო (გამოცხადება 10:6). შენ კი კვერი დაუკარი! წადი და უფლის საყდარი გაზომე (გამოცხადება 11:1) რაც ნიშნავს სადამსჯელო ოპერაციები დაიწყეო.

მოდი დავბრუნდეთ დედამიწაზე და იქნებ ზეგავლენა მოვახდინოთ უფლის გეგმებზე, რომლის მთავარი შემსრულებელი შენ ხარ. „მასის კლასის“ ხალხს შენ პირდები „ახლა იერუსალიმში“ ცხოვრებას, სადაც ისინი უზრუნველად და დარდის გარეშე იცხოვრობენ. ეს ხომ „მასის კლასის“ ტოტალური ზომბირებაა“, ისე თქვა ლუციფერმა, თითქოს განმარტებას იძლევაო.

„შენ ხარ დიდი დრაკონი, გველეშეპი, უძველესი დროის მცურავი ეშმაკი და სატანა, რომელიც უხსოვარი დროიდან ცდილობს მსოფლიოს შეცდომაში შეყვანას. შენ გააუბედურე დედამიწა, გაუკაცრიელებული ქალაქებით და უდაბნოებით დაფარე იგი, დაავადე ხალხი, მოწამლე ატმოსფერო. მე ფიცი მაქვს დადებული, რომ დედამიწა ვიხსნა, მისი მტრები გავანადგურო, დატყვევებული ხალხი გავანთავისუფლო, ისევე როგორც ასურელების ლაშქარი გავანადგურე და ისრაელი ვიხსენი. მე ვთქვი, რომ ჩემი ხალხი აღარასოდეს იქნებიან მონები და ეს მთელ დედამიწას ეხება. მე შევქმნი ახალ მიწას და ახალ ზეცას, სადაც არ იქნება შუღლი, რისხვა, გარყვნილება, სიკვდილი და გლოვა! ეს ცოდვილი მიწა კი სიცხეში დადნება“ (2 პეტრე 3:10,12), მრავალმნიშვნელოვნად განმარტა იესომ და ორიოდ ნაბიჯით დასცილდა ბუხარს, თითქოს სიცხემ შეაწუხაო.

„ისე ღრმად ლაპარაკობს, რომ შეიძლება თვითონვე ვეღარ ახერხებ გაზომვას“, ამოიოხრა ლუციფერმა.

„შიში გიპყრობს, ვაითუ არაფერი გამომივიდეს იმ საქმისგან, რამაც ამ მხარეში გადმომაგდო და ჩემთან ლაპარაკი გაიძულა“, წარმოთქვა იესომ.

„ვშიშობ, რომ რაღაც ღრმა გეგმა გაქვს თავში, მაგრამ ჩემი მოვალეობაა სათქმელი დავასრულო“, განმარტა ლუციფერმა და განაგრძო:

„მე, ისევე როგორც შენ ჩემი კლასის ინტერესებს ვიცავ თუ შენი ხალხი „ახალ იერუსალიმში“ აპირებს ცხოვრებას, ჩემი ხალხი ჩვენს პლანეტაზე აპირებს დარჩენას. ეს ჩვენი პლანეტაა. იგი

ალბათ ყველაზე ლამაზია სამყაროში. ასე რომ ახლა შენ ხედავ ვითარებას და სურათს, და მოდი ნულარ დაარტყამ დედამიწას. გვეყო ნგრევა და სისხლისღვრა. შენს მიმდევარ „მასის კლასის“ დარჩენილ მოქალაქეებსაც მივხედავთ. ზოგიერთი მათგანის ბავშვებს აღზრდა-განათლების პერსპექტივას მივცემთ. მათგან საუკეთესოებს „ელიტარულ კლასში“ გადმოვიყვანთ. ჩვენი თხოვნაა თავი დაანებე ხალხის გაბრუებას. ნუ აღელვებ მათ. ნუ პირდები აუხსენელ ილუზიებს, დააბრუნე ისინი ბუნებასთან.

ჩემს ხალხს ბუნება უყვარს. ჩვენ ბუნების შემადგენელი ნაწილი ვართ. მას ვისაც ბუნება უყვარს, არ შეუძლია მისგან შორს იყოს. იყოს ბუნებით აღტაცებული მისთვის ისევე საჭიროა, როგორც ცხოვრება და სუნთქვა. იგი ბუნებაზე ექსპერიმენტსაც არ ატარებს. მას არ ესმის რა საჭიროა მდინარეს დინების მიმართულება შეუცვალო, მთვარე მოსპო და მის მაგივრად ახალი მთვარე შექმნა. ჩემი ხალხი ბუნებას ყოველ ცისმარე დღე აკვირდება. ეს ხდება წვიმაშიც, სიცხეშიც და სიცივეშიც, ტყეებში და სოფლებში, ხმელეთზე და ზღვაში, ჰაერში, ყველგან რაიმე საინტერესოს ნახულობს.

ყოველ წუთს მის გარშემო საოცარი ამბები ხდება. იგი დაუღლელად დახეტიალობს ქალაქების გარეუბნებში, ყველა-ფერს აკვირდება, ყურს უგდებს ბუნების ოდნავ შესამჩნევ ხმებს, გრძნობს ველებისა და ტყეების სუნთქვასა და არომატს, გრძნობს ტემპერატურის ოდნავ ცვლილებასაც კი. ეფერება ბუჩ-ქებს, რათა იგრძნოს ჩვენი პლანეტის სიახლოვე, ისინი ჩემი ადა-მიანები არიან, რომლებიც დაჯილდოევებულები არიან ბუნების სისავსეობის შეგრძნებით.

შენს მიმდევრებს შორის კი ძალიან ცოტანი არიან ბუნების ნამდვილი მცოდნენი. ამიტომ მათთვის იოლია ჩვენი პლანეტ-ის გადადნობა და ილუზიურ „იერუსალიმში“ გადასახლება. ისინი სიკვდილს დიდი ეჭვით ხვდებიან, შფოთავენ, ღელავენ, არ არიან დარწმუნებულები მომავალში.

ჩემი ხალხი, როდესაც დრო მოდის სიკვდილს ისევე წყნარად ხვდებიან, როგორც ცხოველთა უმრავლესობა ხვდება, ამაყად და ღირსეულად.

შენი ხალხი საფლავში მარტო სიკვდილს ნახავენ. ეს არის არაფრის, არარსებობის კონდიცია. ნუ ეუბნები მათ უფლის ჯილდოს შესახებ. ზეციურ და მარადიულ ცხოვრებაზე,

სამოთხეულ ბედნიერებაზე. კმარა ტყუილების ლაპარაკი, ისეთი როგორიც არის ე. წ. „პირველი სიკვდილი“, „მეორე სიკვდილი, „მარადიული ცხოვრება“.

„გლობალური აღდგომა ჩემი მეორედ მოსვლის შემდეგ მოხდება. ბიბლიაში ცხრაჯერ ვხვდებით მკვდრების აღდგომის ან გაცოცხლების შემთხვევებს. მათ შორის არის განსხვავება. აღდგომის გარეშე ქრისტიანობა მხოლოდ ჭკვიანურ მოძღვრებად დარჩება. მხოლოდ აღდგომის საოცრებამ გარდაქმნა ქრისტიანობა რელიგიად. აღდგომამ დაამარცხა სიკვდილი. იგი ქრისტიანობის ქვაკუთხედია. მე ხალხს განვუცხადე, რომ „მე ვცხოვრობ და შენც იცხოვრებ“ (იოანე 14:19). უფრო ადრე ისაიამ იგივე თქვა „შენი მკვდარი ერთ დღეს გაცოცხლდება“ (ისაია 26:19). მას კიდევ ერთი ბრძენი კაცი დანიელიც ეთანხმება (დანიელი 12:2). თავად ებრაელების მამამთავარს ღრმად სჯერა უფლის ყოვლისშემძლეობა, რომ მსხვერპლად შეწირულ ისააკს უფალი კვლავ გააცოცხლებდა (ებრაელებს 11:19). ასე რომ ჩვენ არავის ვაბრუებთ და არც ვატყუებთ“, ღიმილით განმარტა იესო ქრისტემ.

„ასეთ რამეებს ბიბლიაში ხშირად ვხვდებით, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ შენ უკვდავი ხარ, ჩვენ კი – მოკვდავებზე ვსაუბრობთ“, შენიშნა ლუციფერმა.

„სწორი ხარ და ცოდვაც იქნება წინ აღვუდგეთ ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, მაგრამ უნდა შეგვეძლოს არ ვიყოთ რადიკალები, უნდა ვიცოდეთ ბიბლიის სტროფებს შორის კითხვა“, დასტური გამოთქვა იესომ და ისეთი სახე მიიღო თითქოს საუბარი დაასრულაო.

„მაშასადამე ამ უმნიშვნელოვანესი ფენომენის შესახებ ორი შეხედულება არსებობს. ერთია სიკვდილის შემდგომი აღდგომა და სამუდამო სასუფეველი, რომელსაც შენი მიმდევრები აღიარებენ და მიყვებით, და მეორეა დაბნეულობა, რომ სიკვდილის შემდეგ ყველაფერი თავდება. ალბათ ბიბლიის ყველაზე ძველი ნაწილი „იობის წიგნი“ სვამს კითხვას: „სიკვდილის შემდეგ ადამიანი კვლავ იცოცხლებს?“ (იობი 14:14). ძველი აღქმის მიხედვით სიკვდილი მეტწილად დასასრულია. „მტვერი იყავ და კვლავ მტვრად იქეც“ (დაბადება 3:19). „მკვდრებმა არაფერი იციან“ (ფსალ. 115:17). ამავე დროს მკვდარ კაცს არავითარი უპირატესობა არ აქვს მკვდარ ცხოველთან შედარებით. ორივე დავიწყების სტადიაში

გადადიან (ექლეზიასტე 3:19;20). მათ ენიჭებათ შეუგრძნობლობის დავიწყებისა და არარსებობის სტატუსი. ფსალმუნი 146:4 აღნიშნავს, რომ სული მიდის სიკვდილიდ დროს და მკვდარი კაცის სულს უფლება არა აქვს ცოცხალი ადამიანის სულთან დაამყაროს კავშირი. ასეთი კავშირი ჯადოქრობით და უფლის ნების წინააღმდეგ წასვლა იქნება (მეორე სჯული 18:10-15).

სულის კონფიგურაციის დადგენაში დაგვეხმარება ფორმულა A + B = C, სადაც A არის მტვერი, B არის სუნთქვა, რომელიც უფალმა ჩაბერა პირველად შექმნილ ადამიანებს ნესტოებში, ხოლო C არის სული. ე. ი. მტვერი + სუნთქვა = სულს. როდესაც ადამიანი კვდება სუნთქვა ანუ სიცოცხლე სტოვებს სხეულს, რომელიც მტვრად იქცევა. სხეული და სუნთქვა სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. სული კი კვდება, ქრება როგორც გადამწვარი ნათურა. აღარ არის შუქი და აღარ არის სიცოცხლე. რაც შეეხება მკვდარ სულს იგი უფალს ეკუთვნის (ეზეკიელი 18:4). ასე რომ არავითარი აღდგომა და გარდახორციელება არ არსებობს. რა თქმა უნდა, მკვდრის გაცოცხლება შეიძლება ზომბირების სახით. მას სული არ ექნება. ეს მოხდება ისე, როგორც ეს შენ ლაზარეს შემთხვევაში გააკეთე. ლაზარე გაცოცხლდა, როგორც ზომბი. მას გამრავლების უნარი არ ჰქონდა. საერთოდ რეინკარნაცია არალოგიკური იდეაა და ჩვენი პლანეტის თითქმის 10 მილიონიანი მოსახლეობისათვის ვერ გამოდგება. არალოგიკური ჩანს ამდენი ხალხის რეინკარნაცია. უბრალო დაანგარიშებით ეს 50 მილიარდი კაცი იქნება ამისათვის ახალი „სულების მანქანის“ გამოგონება საჭირო.

რეინკარნაციის იდეა შეიძლება პატარა ტომობრივ გაერთიანებაში გამოდგეს, როდესაც ტომის წევრი ერთდროულად ხედავს ბაბუის გარდაცვალებას და შვილიშვილის დაბადებას. შეიძლება მან იფიქროს, რომ ბაბუის სული შვილიშვილში გაინკარნირდა, მთელი დედამიწისთვის ეს იდეა მიუღებელი სჩანს. ხომ ასეა იესო?“ იკითხა იესოს გულისხმიერი მზერით მოხიბლულმა ლუციფერმა.

„ჩვენ არ ვიცით თუ რატომ აუკრძალა პირველ ადამიანებს ჩვენმა მამამ იეჰოვამ ცოდნის ხიდან ხილის მირთმევა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმ დროს ხალხი მზად არ იყო და უფალი ელოდებოდა მათ განვითარებას. ჩემის აზრით, როგორც კი პირველი ადამიანები საკმარის ცოდნას დააგროვებდნენ უფალი მათ ყველაფრის მცოდნედ და უკვდავად

აქცევდა, ე. ი. ნებას მისცემდა მათ მიერთვათ ხილი ცოდნისა და სიცოცხლის ხეებიდან. მორჩილება, მოთმინება და ცოდნა უნდა ყოფილიყო ის საყრდენი აგურები, რომელიც კაცობრიობას მრავალ უბედურებას ააცილებდა. პირველი ადამიანები დროებით გაუნათლებლები დარჩნენ. თავიანთი ამპარტავნობის გამო ისინი დღესაც ასეთები არიან და ამიტომ მათ არ შეუძლიათ უფლის გეგმის შესრულება. მათ არ გაამართლეს უფლის იმედები და შესაცვლელები არიან. საჭიროა რადიკალური ცვლილებები და ამიტომ ვარ აქ“, თავი აარიდა პირდაპირ პასუხს იესომ.

„დიახ მოხვედი და ჩვენ ძალიან გვიხარია რომ აქ ხარ“, კვერი დაუკრა ლუციფერმა და თავის ოქროსფერ თმებში თითები შეაცურა.

„შენი ჩვენთან სტუმრობა იმედს გვაძლევს, რომ იქნებ ერთმანეთს გავუგოთ. ახლა არის ოცდამეერთე საუკუნის შუა პერიოდი. მრავალი საუკუნეა ხალხი შენს მოსვლას ელოდება. ახლაც დგანან და მონდომებით გელიან. ბევრი მათგანი პარასკეობით თავიანთ კონგრემაციაში იკრიბება და მღერიან „იესო მოდი, გადაარჩინე ჩვენი სულები“. ვთქვათ ერთ შუა დღეს მათ ღრუბლებიდან დაენახვები ან მეტი შთაბეჭდილებისათვის ცხენზე შემჯდარი გამოჩნდები ან თეთრ ტახტზე დაჯდები ან მათთან მიხვალ და მთავარ, გადარჩენილ ქალაქების ქუჩებში გაივლი. დარწმუნებული ვარ, შენი ახლანდელი კანის ფერის მიუხედავად, ყველა მაშინვე გიცნობს. შენ მათ მიესალმები მათ, ხელს აუწევ. ისინი ნაზი, სათნო ღიმილით, სელფს გადაიღებენ შენთან, კალთებს დაგიკოცნიან. შეიძლება რომელიმე ბრმა ქრისტიანს თვალი აუხილო, ზოგს ყვერებში ხელი ჩაავლო და პროსტატის ან შარდის შეკავებისაგან განკურნო, ქუჩის შადრევანზე შესდგე, წყალზე გაიარო, მორგში შეხვიდე და რამდენიმე ადამიანი გააცოცხლო სიტყვებით „ქალწულო ადექით!“ ან „მოყმე დრო არის გაიღვიძოთ სამუშაოზე წასვლის დროა“, ხოლო დამსწრე საზოგადოებას ან ექიმებს კი ჰკითხო:

„რატომ გიკვირთ და ქვითინებთ? ამ ხალხს ხომ მხოლოდ ძინავს“.

ტრიუმფი დიდი იქნება. შესაძლებელია რომელიმე გამბედავი რეპორტიორის მიკროფონითა და კამერებით მიგიახლოვდეს და გკითხოს:

„თქვენ იესო ხომ არ ხართ?“ შენ კი სათნო ღიმილით თავ-მდაბლად მიუგებ:

„ეს ხომ შენ თქვი“.

მაგრამ რა მოხდება შემდეგ? როგორი იქნება მოვლენების შემდგომი განვითარება?

ამჟამად უფლის ბრძანებით მთელი ძალაუფლება დედამიწაზე მე მაქვს გადმოცემული. ასეთი ვითარება გაგრძელდება არმაგედონის ომამდე. ახლა რასაც აკეთებ, მხედველობაში მაქვს დედამიწის ახლანდელი დაბომბვები, არის ჩემი და დედამიწის საქმეებში უხეში ჩარევა და მიმართულია ჩემს წინააღმდეგ. ვფიქრობ, რომ უფალმა არ იცის ამის შესახებ.

არმაგედონის ბრძოლის დროს ჩინეთი ისრაელსა და მის მეგობარ ქვეყნებს უნდა დაეჯახოს. ამის მერე ომები აღარ იქნება, მაგრამ იქნება თუ არა დედამიწა ეს ძალიან საკითხავია. მე ჩემი ძალაუფლება ჩემს შვილზე ანტიქრისტეზე და ჩინეთის ლიდერ, გოდორი ხანზე გადავანაწილე. ისინი აღარ იომებენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ასე რომ, „გამოცხადებაში“ ხაზგასმული შენი დედამიწაზე შემოჭრა საჭირო აღარ არის. რატომ უნდა მოხვიდე? ისრაელს ხომ არავინ ემუქრება, რომ მოხვიდე რა უნდა მისცე დედამიწის მოსახლეობას უკეთესი? თავისუფლებას შეპირდები? ვისგან? დედამიწა უკვე თავისუფალია. არავინ არ ჩაგრავს ვინმეს. ყველანი დედამიწის ერთიანი ხელისუფლების ქვეშ არიან გაერთიანებულები. მათი ხელმძღვანელი ჩემი შვილია გოდორი ხანთან მჭიდრო თანამშრომლობაში. მეტი თავისუფლება შეუძლებელია. იგი ანარქიაში გადაიზრდება.

ხალხის უმრავლესობამ თავიანთი ე. წ. „თავისუფლება“ ჩვენს, შენს და ჩემს ფეხებთან დადეს. გვითხრეს:

„არ გვინდა თავისუფლება, ვიქნებით მონები, ოღონდ გვიხელმძღვანელეთ და გვაჭამეთ!“

ამ ხალხს არ აქვს და არ სურს თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობის მორალური მხარე. მათ არ შეუძლიათ სულიერი აღფრთოვანება, გააკეთონ რაიმე ახალი, სპეციალური, იყვნენ ე. წ. არაჩვეულებრივი „სოციალური ცხოველები“. მე ამ დასკვნამდე მივედი, როდესაც მივიღე მთელი ინფორმაცია და დაკვირვებების მონაცემები, კაცობრიობის ისტორიის დასაწყისიდან დღემდე“, მოზომილი ტონით განაცხადა ლუციფერმა.

„კარგი პათეტიკური გამონათქვამებია მხოლოდ. იგი ვერ მოიცავს ისტორიის ყველა კუთხე-კუნჭულს. დრო არის გამოიღვიძო, მაგრამ თუ არ იცი როდის გაიღვიძო, მე გაგაღვიძებ როდესაც

ქურდივით მოვალ შენთან, და არ გეცოდინება როდის მოვალ“ (გამოცხადება 3:3). როდესაც მოვალ „ჩემი პირიდან გამოიჭრება ბასრი მახვილი, რომელიც დალახვრავს ერებს. რკინის ბაგირით ვმართავ მათ, როდესაც უფლის რისხვის საწნახელში გავატარებ მათ“ (გამოცხადება 19:15), ნაზი ღიმილით შენიშნა იესომ.

„სანამ ამას გააკეთებ, კიდევ ერთხელ განვაცხადებ, რომ არსებობენ ათობით ათასი ადამიანების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ბუნებით განსხვავებულები არიან. მათ ძალუძთ აიღონ პასუხისმგებლობა და აქვთ შეგნება არა მარტო იცხოვრონ განსხვავებულად, არამედ ასევე შექმნან განსხვავებულობა. ამ გარემოებას კაცობრიობის ისტორია და ადამიანების ზნეობრივი განვითარება აჩვენებს. ეს არის „ელიტ კლასი“ და მათი ლიდერი მე და ჩემი ოჯახის წევრები არიან. ამავე დროს ადამიანების უმრავლესობას არ აქვთ უნარი მოიპოვონ აუცილებელი რაოდენობის საკვები და ჯეროვან დონეზე შეიმოსონ. საკვების სიმცირე და საერთო სიდუხჭირე ადამიანთა ამ უდიდეს ჯგუფს აიძულებს დამოკიდებულები იყვნენ გარემოების მიმართ. მათ არ ძალუძთ დინების წინააღმდეგ ცურვა, ვითარების შეცვლა. და ასე არის დასაწყისიდან. მე მხედველობაში მაქვს ხალხის ცხოვრება ედემის ბაღის გარეთ, ძველი დროიდან დღემდე.

„დიდი უბედურების“ პერიოდში მილიონობით ადამიანი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მათ ძალიან გაუჭირდათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. ისინი უუნარო არიან იბრძოლონ არსებობისათვის. ეს არის „მასის კლასი“ და მათი უფროსი შენ ხარ“, განაცხადა ლუციფერმა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. იესო და ლუციფერი ჯერ ერთმაეთს უყურებდნენ, მერე კი მცირე ხნით წინ და უკან დაიწყეს სიარული. იატაკმა ჭრიალი დაიწყო. ჭაღი ირყეოდა. ლუციფერი ფანჯარასთან შესდგა და განაცხადა:

„მალე გათენდება. კარგი იქნება თუ გადაწყვეტილებას მივიღებთ“, თქვა მან და მძიმე ფარდა გადაწია, ფანჯრის დარაბა გააღო. გამთენიის პირი იყო სახლის წინ მდგარ ხეზე უამრავი ყვავი იჯდა. თათბირი ჰქონდათ.

„გააგრძელე“, მოკლედ გამოსცრა იესომ და ბუხრის წინ ქიმზე ჩამოჯდა. ორი ნაჭერი შეშაც ცეცხლს შეუკეთა. ცეცხლის ალმა ოთახი გაანათა. ლუციფერი ბუხართან შედგა.

„იმის გამო, რომ „მასის კლასი“ ვერ აღწევს მიზანს, რათა გამოკვების თავისი თავი და ახლობლები, იგონებს მიზეზებს, რომლებიც ამ მიზნის მიღწევას ხელს უშლის. იგი უამრავ მოვლენას ასახელებს, რომლებიც აფერხებს „მასის“ წინსვლას. ეს არის სხვადასხვა ტრადიციები და ტრანსცენდენტული მოვლენები, აუცილებელობისა და მოვალეობების გრძნობები, მაგია და ოკულტიზმი, სატანისა და დემონების მაგვარი ბოროტი ძალები, ყოფილი მეფეები, ახლა კი პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, ოლიგარხები, მთავარსარდლები, თავდამსხმელები, ოკუპანტები, ეკონომიკური კრიზისები, სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმები, შტორმები, გვალვები, ტროპიკული ქარიშხლები, ცუნამები, ავადმყოფობები.

„მასის ხალხი“, „ელიტ კლასს“ უყურებს როგორც მტრებს, მაგრამ მათ გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. „ელიტ კლასში“ რამდენიმე ათასი ადამიანია. „მასა“ მათ როგორც უფროსებს ისე უყურებს, მათგან მითითებებსა და მხარდაჭერასდ ელის, რადგან თავად არ შეუძლიათ გადაჭრან თავიანთი პერსონალური პრობლემები. ისინი არიან მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

თუ „მასის კლასი“ ძალიან დიდი რაოდენობით არის ერთ ქვეყანაში თავმოყრილი, იგი უკვე კონტროლს აღარ ემორჩილება. ასეთი ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სავსეა ინტრიგებით, ჭორაობით, წუწუნით, რომ ყველაფერში დამნაშავეა წინა ხელისუფლება, და აურაცხელი მტერი, მძიმე სამეზობლო, ამერიკული იმპერიალიზმი. ამ ქვეყანას რაც არ უნდა დიდი ბუნებრივი სიმდიდრეები ჰქონდეს, მაინც გაჭირვებული და ველური ინსტინქტებით ცხოვრობს, ძარცვა-გლეჯის იმედი აქვს. მაგალითად, შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა სუდანს, იემენს და საქართველოს. რა უშლიდა ხელს ამ ქვეყნებს რომ ყოფილიყვნენ წარჩინებულები? არაფერი, მაგრამ იმის გამო, რომ თავის დროზე „ელიტ კლასი“ გაანადგურეს, მერე აღარ იცოდნენ როგორ ეცხოვრათ. ისინი როგორც რუსეთი „მასის კლასით“ იყვნენ გაბერილნი და თავს ძარცვა-გლეჯითა და პირატობით ირჩენენ ან შიმშილით კვდებოდნენ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ისინი გაქრნენ დედამიწიდან.

კაცობრიობის ისტორია ფაქტიურად ომების ისტორიაა, რომელიც იწყება მხოლოდ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგე მისი მსგავსი არ არის. ომების უმეტესობა „მასის კლასის“ სულელური

ინსტინქტების გამო ხდება და ყოველთვის ამ კლასის წარმომადგენლები იღუპებიან. „ელიტარული ხალხი“ ერთმანეთის მიმართ მეტწილად კეთილად არიან განწყობილნი, აქვთ კოორდინაცია და განხეთქილებები მათ შორის იშვიათია, მაგრამ თუ ხდება მაშინვე ომი იწყება. განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე ქვეყანაში „მასის კლასის“ ქვენა გრძნობები დომინირებს. ამ ქვეყანაში „ელიტ კლასი“ ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას და ამის გამო ხდება ომი, რომელიც ერთადერთი საშუალება ხდება დედამიწაზე მშვიდობის დასამყარებლად.

მხარეები ომის მიზეზს იოლად ნახულობენ. მათ შეუძლიათ თქვან, რომ ოპონენტი მხარე ტყუილ ღმერთს ემსახურება, რომ მათი ცხოვრების წესი არასწორია, შეიძლება ამორალურია და ამიტომ დასასჯელები არიან. „ელიტ კლასს“ კარგად ესმის მასის ფსიქოლოგია და როდესაც შეატყობს რომ რომელიმე ქვეყანა ძალიან „გამასდა“ ხდება ასეთი ქვეყნის ან ქვეყნების განკვეთა, როგორიც ეს მაგოგლენდის და საქართველოს მისამართით ხდება. ამაზე „ელიტა“ სრულ პასუხისმგებლობას იღებს.

„ელიტ კლასის“ უმეტესობას უყვარს ხალხი, ესმის „მასის“ მისწრაფებებს, ტანჯვისა და მღელვარების მიზეზები. მათი სურვილია რომ „მასის კლასის“ საუკეთესო შვილები ორგანულად გადავიდნენ და შეერწყნენ „ელიტ კლასს“, რომელიც წარმოშობით „მასიდან“ არიან. ასეთი პერიოდული გადასვლა და ფილტრაცია დედამიწას უფრო კეთილშობილს გახდის და მოსპობს ომების მიზეზებს. „ელიტ კლასი“ იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. ისინი ჩემი მიმდევრები არიან. ისინი ჩემი ხალხია და მე ვარ მათი ხელმძღვანელი. ჩვენ გვიხარია ერთად ყოფნა და გვინდა რომ გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა და მისი ყველა ცოცხალი არსება, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ უფლის გეგმების შესახებ.

იესო! ნუ დაიწყებ შემოჭრას. დადექი ჩვენს მხარეს. დადექი დედამიწის მხარეს და წინ აღვუდგეთ ცის მტარვალის გეგმებს. ერთად ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ“, თითქოს ორჭოფულად დაასრულა თავისი მონოლოგი ლუციფერმა.

„მჭევრმეტყველება მოქმედების გარეშე დავიწყების ბურუსში იძირება“, წარმოთქვა იესომ, ჯირკიდან წამოიმართა და ბუხრის კუთხესთან მდგარ ლუციფერს ახედა.

ყურადღებით ვისმენდი ლუციფერის ბრძენი სულის ლაპარაკს,

იესოსადმი მის ხან კეთილ, ხან ფრიად მწვავე მიმართვებს და მეტად და მეტად ვრწმუნდებოდი რომ გადამწყვეტი მომენტი ახლოვდებოდა. გულში იმედი და სასოწარკვეთილება ერთმანეთს ცვლიდა. ვუყურებდი ლუციფერის მაღალ, თეთრ შუბლს, კეთილშობილური მოხაზულობის ოდნავ კეხიან ცხვირს, და მხრებამდე ჩამოშლილ ოქროსფერ თმებს, სულში იმედის და მშვიდობიანობის სხივი იჭრებოდა. ეჭვი მიპყრობდა, რომ ასეთი ქმნილება დამარცხებულიყო, მაგრამ როდესაც იესოს ებონისფერ, შავტუხა, ფერადი ძაფებით მოწნული ნაწნავები ნახევრად დაფარულ ულვაშგადმოფანჩვილ სახეს და მომცრო სხეულს ვუყურებდი სულში სასოწარკვეთილება იბუდებდა. ასევე არარეალური სჩანდა ამ თავდაჯერებული, ოდნავ დამცინავი მზერის მქონე ღვთიური არსების დამარცხება და შიში მიპყრობდა, ვაითუ არაფერი გამოვიდეს იმ საქმისაგან, რამაც ამ მხარეში შეგვყარა.

მე მოწმე ვიყავი სამყაროს კულმუნაციისა, მისი კლიმაქსისა, რადგან როდესაც ორი ასეთი ბუმბერაზი ქმნილება ერთმანეთს ხვდება, ყოველთვის არის შანსი რომ ყველაფერი კეთილად დასრულდეს ან ყველაფერი საბოლოოდ წახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ბიბლიურ წინასწარმეტყველებაში არ სწერია „უკანასკნელი დროების“ დროს იესო და ლუციფერი კონფიდენციალურად ერთმანეთს შეხვდება, მაინც ეს შეხვედრა შესდგა. ეს მოხდა კავკასიაში, ვარსკვლავეთ-სითიში, ჩემს საგვარეულო სახლში და მე მისი მოწმე ვიყავი.

შეგახსენებთ, რომ იესო და ლუციფერი სულ ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სამი შეხვედრის შესახებ ლუციფერმა უკვე ისაუბრა ჩემს სახლში. მეოთხე შეხვედრა ახლა დასასრულს უახლოვდებოდა. იყო კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც ერთმანეთის დაუსწრებლად, იუდეაში გაკვრით მოხდა ოცდაერთი საუკუნის წინ. მათე ამ ამბავს ასე აღწერს:

„იმ დროიდან იესომ თავის მოწაფეებს, აუხსნა და უჩვენა, თუ როგორ შევიდოდა იერუსალიმში, რა ტანჯვა შეემთხვევოდა, როგორ შეხვდებოდა იერუსალიმის ტაძრის უხუცესებს, უმაღლეს მღვდელს, გადამწერებს და როგორ მოკვდებოდა, შემდეგ კი მესამე დღეს აღსდგებოდა. ამის შემდეგ სიტყვა პეტრემ აიღო და მწუხარება გამოთქვა ასეთი მდგომარეობის გამო, და თქვა, რომ იესო შორს ყოფილიყო იმ ხალხისგან. იესო უეცრად შემოტრიალდა, პეტრეს დააცქერდა და თქვა: განვედ ჩემგან სატანა, შეაჩ-

ერე შენი ქმედებები ჩვენი საქმის წინააღმდეგ. ყველაფრის თავი უფლის ნებაა და არა კაცის. შემდეგ იესომ ხაზი გაუსვა. ჩემო მოწაფეებო, თუ რომელიმე კაცი ჩემს შემდეგ იტყვის ქრისტე ვარ, დე მან უარყოს თავისი თავი, გამოართვით მას ჯვარი და მე გამომყევით“ (მათე 16:21-24).

პეტრეში იმ დროს ლუციფერის სული შევიდა და ეს კარგად შეამჩნია იესომ, როდესაც უთხრა „განვედ ჩემგან სატანა“. მეტჯერ ისინი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მოგვიანებით იესომ ჯვარცმის შემდეგ დატოვა დედამიწა, ხოლო ლუციფერი კი როგორც გუბერნატორი დედამიწაზე დარჩა. ამბობენ, რომ ლუციფერი იესოს ჯვარცმას დაესწრო, მაგრამ არავინ იცის ამ დროს იგი იესოს დასცინოდა თუ ამხნევებდა. და ახლა მათი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა. იგი ლუციფერის ინიციატივით მოხდა, როდესაც მან შესძლო ჩინეთის ლიდერის გოდორი ხანის გადაბირება და ისრაელ-ჩინეთის ომის მაგივრად ისინი ერთ ფრონტად გააერთიანა იესოს კოსმოსური შემოტევების წინააღმდეგ. ლუციფერი მონდომებით ცდილობს იესოს დედამიწის ძალების მხარეზე გადმოყვანას.

უეცრად ზეციდან სუსტი, მაგრამ თანდათანობით გაძლიერებული ზუზუნის ხმა მოისმა. ლუციფერი გაირინდა, დააცქერდა იესოს, რომელიც უკვე ამდგარიყო და ღუმელთან მინელებულ ცეცხლს ჩასცქეროდა. მღელვარებამ შეიპყრო. წელში მოხრილი მოკრძალებული მანერით ნელა წამოვიმართე ტახტიდან და თითის წვერებზე მეზობელ ოთახში გავედი, აივნის კარი შევაღე და კიბეებით ქვევით, ეზოში დავეშვი.

იმ დროს ჩემი მთის ქალაქი ვარსკვლავეთი ხალხმრავალი ადგილი იყო. ადრე ჩვენ ავღნიშნეთ, რომ „უბედურებისა“ და განსაკუთრებით კი „დიდი უბედურების“ დროს მსოფლიოს ყველა ადგილი თითქმის განადგურდა. ყინულები პოლუსებზე, მთავარ მყინვარებზე და მთის წვერებზე დადნა, ოკეანეს დონემ კი საგრძნობლად მოიმატა, ბევრი განთქმული სანაპირო ქალაქი წყალში ჩაიძირა, მაგრამ ვარსკვლავეთს ყველა უბედურებამ გვერდი აუარა. აქ არ დაცემულა არცერთიო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, არ მომხდარა ზვავები, ხანძარი, ეპიდემიები, წყალდიდობები, რომლებმაც წალეკეს დედამიწა. ყველა ამ უბედურებამ გვერდი აუარა ამ დასახლებას. ეს იყო საოცრება და ამის გამო მოსახლეობის ნაწილმა, განსაკუთრებით მათ ვინც ვარსკვლავეთის

წარმოშობის იყვნენ დაიწყეს უკან, სამშობლოში დაბრუნება. ეს იყო შედარებით უხიფათო ადგილი და ბევრს უნდოდა აქ ცხოვრება, მაგრამ სპეციალურ ალპური სამხედრო შენაერთები, რომლებიც მონიტორინგს უკეთებდნენ ახლომდებარე მთის კომუნიკაციებს და ქედებსა და გზაჯვარედინებზე ზღუდავდნენ ამ აქტიურობებს.

ახლა როდესაც გარეთ გამოვედი და ეზოში დავეშვი დავინახე, რომ ქალაქის ქუჩები და გზაჯვარედინები ხალხით იყო სავსე. ყველანი თავიანთ სახლებიდან და სასტუმროებიდან გარეთ გამოცვენილიყვნენ. მათ ხელში ფოტო-ვიდეო კამერები და სმარტფონები ეჭირათ. ძაღლები ყეფდნენ, საქონელი ღმუოდა. ჩიტები და ბევრი მოშინაურებული ცხოველი გამქრალიყო. იყო ერთი აურზაური.

ჩემგან არც თუ ისე შორს ახოვანი ლუციფერი იდგა. მის გვერდით კი ტანმორჩილი იესო იყო. ყველანი ცას შეჰყურებდნენ. მეც ზევით ავიხედე.

ვარსკვლავეთის ცა ერთ-ერთი ულამაზესი ცა არის მსოფლიოში. იგი დგას ჰიმალაის, ტიანშანის, ჰინდიკუშის, ანდებისა და ალპების რიგში. კრისტალურად სუფთა გამჭვირვალე ჰაერი იდეალური ადგილი იყო შორეული პლანეტებისა და ვარსკვლავების სათვალთვალოდ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვარსკვლავეთის მოპირდაპირედ მდებარე კავკასიონის თოვლიანი მწვერვალის თავთან მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობსერვატორია „ირაყლიონი“ იყო განლაგებული.

ამ ადრიან დილას ჯერ კიდევ სრულად ამოსული არ იყო. თითქოს დეკორაციებით სავსე სცენის მიღმა არისო, მხოლოდ კავკასიონის ულამაზესი მთა-მყინვარი „ხევის პატარძალი“ იყო ოქროსფერ სხივებში გახვეული. გრილოდა, ცა ლურჯი, ნათელი ნისლით იყო გადაჭიმული. ციდან ზუზუნით ეშვებოდა ცეცხლოვანი კომეტები, რომლებიც ღრუბელნარევ კვალს ტოვებდნენ. ისინი ათასობით იყვნენ და მანძილი მათ შორის უმნიშვნელო იყო. ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა და გამვლელები იდგნენ და სურათს უღებდნენ ამ დაუვიწყარ მოვლენას, რომელიც კალეიდოსკოპიურად სწრაფად იცვლებოდა, წითელ, ლურჯ, ყვითელ და სხვა ფერებში.

კვლავ ლუციფერის მხარეს გავიხედე. იესო უკვე აღარსად იყო.

„როგორც ქურდივით მოვიდა, ისე წავიდა, თვალი ვერც კი მოვკარი“, თქვა ლუციფერმა თბილად და მანიშნა ახლოს მივსულიყავი.

რამდენიმე თავმდაბალი ნაბიჯი გადავდგი. იქ სადაც ადრე იესო იდგა, მიწაზე ბრილიანტებით მოვარაყებული ტარიანი მათრახი ეგდო. ლუციფერმა აიღო და ჰაერში დაიქნია. მათრახში გალვანურმა მუხტებმა გაჰკვესეს.

„ბედისწერის დღეა“, თქვა ლუციფერმა და მხარზე მათრახიანი ხელი დამადო.

„ძალიან კარგი პლანეტა იყო, მსგავსი არსად არ მინახია“, დააზუსტა შემდეგ.

„ნება მიბოძეთ ჩემი აზრი გამოვთქვა“, ვთქვი მე და მიწას ჩავაცქერდი.

„მიდი“, იყო პასუხი.

„იქნება ახალი იერუსალიმი?“

„სიმართლეს გეტყვი შენ, ალფრედ!“, მითხრა ლუციფერმა, ოდნავ უკან დაიხია, „ხევის პატარძალს“ ახედა და გააგრძელა:

„ახალი იერუსალიმი არ იქნება. ეს ილუზიაა. იესოს მოგონილია და მახარობელმა იოანემ „გამოცხადებაში“ გააჟღერა. იგი კარგი ილუზიაა, ლამაზი ტყუილია. თუ რატომ დასჭირდა და სჭირდება იესოს ეს ტყუილი, გრძელი ისტორია არის და თუ დაგვცალდა, სხვა დროს გეტყვი“.

„ახლა სად არის იესო?“ დავინტერესდი.

„თუ იგი ჩვენს მხარეს გადმოვიდა, ახლა არმაგედონის ველზე იქნება აუცილებლად, მაგრამ თუ მოხუცი მამის მხარეს დარჩა მაშინ ვერავინ იტყვის თუ სად არის“.

„მეჩვენება, რომ ახლა იგი არმაგედონის ველზეა“, რწმენა გამოვთქვი მე.

„მეც ასე ვფიქრობ, იმედი მაქვს“, თქვა ლუციფერმა.

კვლავ ცისკენ ავიხედე, ცეცხლოვანმა ბოლიდებმა თითქმის ნახევარი გზა გამოიარეს. რამდენიმე წუთი და ისინი დედამიწას მიაღწევდნენ.

უეცრად ციური ზუზუნი, ციურ მელოდიად გადაკეთდა, რომელიც ალბათ მთელს დედამიწაზე ისმოდა. უეჭველია ციური სარქველი იხურებოდა. „დიდი უბედურობები“ წერტილს სვამდა.

„მე რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე? რა გზას დავადგე? შეიძლება რომ მეც იმედი ვიქონიო?“ ვიკითხე მე.

„ახლა მე არმაგედონის ველზე მივდივარ. შიში შორს. მე დედამიწის წინააღმდეგობას ჩავუდგები სათავეში. ანტიქრისტე, იესო და გოდორი ხანი იქ უნდა იყვნენ. თუ ეს ასე მოხდება

მაშინ ჩვენ როგორც ერთიანი თავყრილობა წინ აღვუდგებით ცის მტარვალის მიმდინარე შეტევებს და ახალ წესრიგს დავამყარებთ. უფლის სათათბიროს ერთი მესამედი და ანგელოზების უმეტესობა ჩვენს მხარეზე არიან“, თქვა ლუციფერმა და იესოს ბრილიანტებით მოვარაყებულ ტარიანი მათრახი ჩემი ღობის კაუჭზე ჩამოკიდა, რომელიც დღემდე იქ ჰკიდია.

კიდევ ერთხელ ავხედე ზეცას, რომელიც ფაქტიურად თავზე გვემხობოდა და მზერა შევაჩერე. არ მინდოდა, ლუციფერის გაუჩინარებისათვის შემეხედა. ჩათრევა იცის ხოლმე.

ევანგელისტი გურამი სიხარულიძე
არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი,
რადიოს, ტელევიზიისა და რამდენიმე გაზეთის
ყოფილი პოლიტიკური მიმომხილველი
საქართველოში და რამდენიმე სხვა ქვეყანაში

„ჩვენი მისიაა გავამხნევოთ ხალხი რათა მათ
უკეთესად განსჭვრიტონ მომავალი“

ალფრედ ნავიგატორი

„თვალი გაახილე და ყურები ცქვიტე,
შენი წარმოსახვა მაშინვე მუშაობას იწყებს“.
ისააკ აზიმოვი

ISBN 978-9941-27-125-0
9 789941 271250

**“THIS BOOK IS NOT TO BE SOLD.
IT IS FREE EDUCATIONAL SERVICE IN
THE PUBLIC INTEREST.**